ანზორ თოთაძე

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

ეთნიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში

„ქართველები თავაზიანნი და კეთილშეგებენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან... საქართველოში... ეფლება გაკვირ იეზოერო შენი ხარწმუნოებით და ადათებით, ამბავადო მასზე და დიდება იგი. აქ შეხვდებით ხომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოხეოიტებსა და ევროპელებს".

კან ბარდენი, ფრანგი მოგზაური, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა და ერედად აღწერა ხალეთარი თვალით ნანახი ეამრავი ფაქტი თუ მოვლენა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეთნიკურ დაპირისპირებას მე-20 საუკუნემდე ადგილი არ ჰქონია. არც ქართულ წერილობით წყაროებში, არც უცხოელი ისტორიკოსებისა და მოგზაურთა ნაშრომებში ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე დევნის, შეულლისა და გაუტანლობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. როგორც დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი 1907 წელს აღნიშნავდა, „სხვა ეროვნების უფლებებისადმი პატივისცემა... ჩვენს სამეფოში იქამდეც კი მიდიოდა, რომ ისეთი მძლაერი და წმინდანი მეფე, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, არაფეიათად დადიოდა ხომხურ ტაძარში და მაჰმადიანურ მეჩეთში, სადაც ისმენდა ღეოისმსახურებას ხომეხთა და თათართა ენებზე. და რადგან ქართველთა სამეფოში არ იყვნენ გერები და ბედკრულები, თავისი სამეფოს საზღვრებს ყველანი ისე თავდადებით იცავდნენ, როგორც ღვიძლი შვილები. სწორედ ამით აიხსნება ქართველთა პატარა სამეფოს განსაცვიფრებლად ხანგრძლე

სებზე კი არ არის საუბარი, არამედ ამ მწყემსებში პოეტ კაცი (ერთ-ერთი მათგანი), რომელმაც სომხური იცოდა. ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ წმინდა ნინომ სომხეთის საზღვარ ორნაბეთიდან ისე გაიარა ჯავახეთი და მიადწია ფარავნის ტბას, რომ სომხური ენის მცოდნე ვერსად ნახა, რათა მისთვის მცხეთაში წასასვლელი გზა ეხსნა ჯავახეთნაცა. ამდენად ჯავახეთში მხოლოდ ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა. აქ უკვე სხვაგარი გაგებისათვის ოდნავი ეჭვი აღარ რჩება.

წმინდა ნინომ ჰკითხა სომხურის მცოდნე მწყემსს მათი სადაურობის შესახებ. მან მიუგო: „დაბით ულარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ".[4] ულარბინი ნიშნავს დაბას, საფურცლე დაბა იყო მცხეთის მახლობლად, ქინძარა ადგილია მცხეთის მახლობლად, ხოლო რაბატი ციხე-ქალაქის სამოსახლო ნაწილია. ამრიგად მწყემსები მცხეთიდან და მის მახლობლად მდებარე ადგილებიდან იყვნენ, რომლებიც ცხვარს ჯავახეთში, თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე აძოვებდნენ და, ბუნებრივია, ქართულად ლაპარაკობდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველთა განმანათლებელის ნინოს ცხოვრება, როგორც ვარაუდობენ, VII საუკუნეში აღწერილად უფრო ძველი წყაროების საფუძველზე. მე-9 საუკუნეში ნინოს ცხოვრების ეპიზოდების შემცველი ტექსტი ლიტერატურულად გამთლიანდა და შეიქმნა ნაწარმოები, რომელსაც „მოქცეაი ქართლისა" ეწოდა. ეს უკანასკნელი მე-11 საუკუნეში გადაამუშავა და შეავსო ლეონტი მროველმა.[5] ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ლეონტი მროველის ნაშრომი უძველეს და რეალურ ფაქტებს ემყარება.

ეროვნულ უმცირესობათა შორის ამჟამად ორი ეთნოსი — ებრაელები და სომხეთია, რომლებიც უძველესი დროიდან განუწყვეტლივ ცხოვრობენ საქართველოში. ებრაელები ჩვ.წ-მდე ორიან მოსულები VI ან შეიძლება VIII საუკუნეშიც კი, ხოლო სომხები ჩვ. წ-მდე II საუკუნეში უნდა იყვნენ მოსულები. დაბარბარები ეთნოსები ძირითადად XVII-XVIII და ბერძენ-კათოლიკეები XIX საუკუნეებში გადმოსახლებულნი ცხოვრობენ ამჟამად საქართველოში.

უცხოელი მოგზაურები ბერძენ-კათოლიკებით ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ საქართველოში ეროვნული უმცირესობები არავითარ ეროვნულ ჩაგვრას და რელიგიურ შევიწროებას არ განიცდიან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ქვეყნებში. გადასახადები და კანონები ერთნაირი იყო ქართველებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. არაბი ისტორიკოსი ალ-ფაკირი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ როდესაც დავით აღმაშენებელმა 1122 წელს საქართველოს დედაქალაქი თბილისი მძიმე ბრძოლის შედეგად არაბების ბატონობისაგან გაანთავისუფლა, თბილისის მუსულმანურ მოსახლეობას სარწმუნოებრივი თავისუფლება მიანიჭა. მუსულმანებს უფლება მიეცათ თავისუფალი ლოცვები და ლოცვების მოწოდებისათვის. ისტორიკოსი ალ-ფაკირი გადმოგვცემს, რომ თბილისში მცხოვრებ ქრისტიანებს, ქართველებსა და სომხებს, აგრეთვე ებრაელებს აკრძალათ მუსლიმანთათვის განკუთვნილ აბანოში შესვლა, მათ უბანში არავის ჰქონდა ღორის დაკვლის უფლება. რაც ასევე მოაგარია, დავით აღმაშენებელმა მუსულმანებს საგადასახადო შეღავათებიც მიანიჭა — წელიწადში მეფის სასარგებლოდ ქართველებს უნდა გადაეხადათ 5 დინარი, ებრაელებს — 4 დინარი, ხოლო მუსულმანებს — 3 დინარი.[6]

გასულ საუკუნეებში თბილისში მოხეედრილი ევროპელი მოგზაურები განცვიფრებას ვერ მალავდნენ იმ ფაქტის გამო, რომ თბილისის ერთ პატარა უბანში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებდა ქართული და სომხური ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი. ევროპელმა მოგზაურებმა მსოფლიო ისტორიაში ეს უნიკალური ფაქტი, ქართველების მიერ სხვა რელიგიების შემწყნარებლობის შესანიშნავი მაგალითები, თაყვანთა ნაშრომებშიდაც ასახეს. მაგალითად, ფრანგი მოგზაური გრაფი ფერიერ-სოვეიფი, რომელიც მე-18 საუკუნის 80-იან წლებში იმყოფებოდა საქართველოში, აღნიშნავს: ქართველები „მართალია მეტისმეტად მორწმუნენი არიან, მაგრამ სხვა სარწმუნოების ადამიანებს რელიგიის გამო არასოდეს აწყენინებენ".[7]

ეთნიკური ურთიერთობები საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნეზე არასოდეს გამწვავებულა. ზოგიერთი სიმესი მეცნიერი მიუთითებს, რომ სომხე-

ბის მიერ დიდი სიმდიდრის დაგროვების გამო ქართველები აღშფოთებულები იყვნენ, რაც გადაიზარდა სოციალურ დაპირისპირებაში, ერთმანეთის მეტოქეობაშიო. ამ მოსაზრებას რაღაც მიზეზული საფუძველი შეიძლება ჰქონდეს კიდეც მე-19 საუკუნეში, მაგრამ ამას ვერ ეიტყვით წინა საუკუნეებზე. მე-19 საუკუნეშიც ქართველები შეურაცხყოფილნი იყვნენ იმით, რომ სომხები არაკანონიერი გზით ხელში იგდებდნენ ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს, ქართველების ადგილ-მამულს, რაც, არც ისე იშვიათად, თვით ქართველების ბედოლათობის შედეგიც იყო. მაგრამ ეს „დაპირისპირება" უალრესად ზოგად ფრაზებში პრესის ფურცლებსა და პირად საუბრებ არ გასცილებია. მაგალითად, ცნობილია, რომ ერთხელ თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის „შშაკის" რედაქტორ გრ. არწრუნსა და აკაკი წერეთელს შორის „დიდი სომხეთის" აღდგენის იდეის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა. გრ. არწრუნი კუზიანი იყო და როდესაც არწრუნმა აკაკი წერეთელს უთხრა: „შენ რა გესმის, მთელი სომხეთის სეე-ბედი ამ კისერზე მაწევსო", აკაკიმ მისთვის ჩვეული ენამახვილობით უპასუხა: „მჯერა, ბატონო, სომხეთი კისერზე და არარატიც ზურგზე გადგია, მეტი რაღა გინდა, ბედნიერი ყოფილხარო".[8]

აღნიშნულ პროცესზე (სომხების მიერ სიმდიდრის დაგროვების შესახებ) საქართველოში მყოფ თითქმის ყველა ევროპელ მოგზაურს აქვს ყურადღება გამახვილებული. ფრანგი მოგზაური ჟ.პ. ტურნეფორი, რომელიც 1701 წელს საქართველოში იმყოფებოდა, შემდეგში თავის ნაშრომში წერდა: სომხები გამოირჩევიან მომჭირნეობით. „დიდი მოგზაურობის დროს სახლიდან წამოღებული საგზლის მეტი ნაწილი ხშირად უკან მიაქვთ... როდესაც სომხები ქალაქებში ჩერდებიან, ისინი ერთ ოთახში მოთავსდებიან ხოლმე და ხელმომჭირნედ ცხოვრობენ... ავადმყოფობის დროსაც კი ხელმოჭერილნი არიან... სომხების გაკოტრება ძალიან იშვიათი მოვლენაა".[9] ძირითადად სწორედ ასეთი ცხოვრების წესის წყალობით, სომეხი „ეაჭრები მთელს დედამიწის ზურგზე ყველაზე ცნობილი კომერსანტები გახდნენ".[10] მოგზაური ყველაზე მეტად იმ ამბავს გაუკვირდებია, რომ „ქართველებს ფული არ უყვართ და თავიანთ სურსათ-სანოვაგეს არ ყიდიან".[11] შემდეგში ამ სომხების შთამომავლებმა მნიშვნელოვანი კაპიტალი დააგროვეს და მე-19 საუკუნეში ქართველების დიდ-ძალი ადგილ-მამულები შეიძინეს. სწორედ ამის შესახებ აღნიშნავს ს.პარსეი მოგზაური გენერალი მაჯდ-ოს-სალტანე, რომელმაც 1894 წლის თბილისის ცხოვრების სურათი აგვიწერა: „ქართველი ხალხი, საზოგადოდ, მშვიდობის მოყვარეობითა და სიმამაცით არის განთქმული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თათრებთან და სპარსელებთან წარმოებულ რძოლაში დიდ გმირობასა და ეაეკაცობას იჩენდნენ; რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვება ქართველმა მხედრებმა მოიპოვეს, უმეტესი მათგანი მოხალისედაც კი წავიდა ომში. ახლანდელი თაეიდები... ტაბეებიან ცხოვრებით და დროს თავის გეშოზე ატარებენ, დაუფიქრებლად ფანტავენ ქონებას და არცა დარდობენ ამაზე; არ ეშინიათ მისი დაკარგვისა. რასაც ქართველები ფანტაეენ, იმას სომხები იძენენ.[12]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკური პროცესები ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მეტ-ნაკლებად გამწვაედა. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ეთნიკურმა პროცესებმა მიიღო კავკასიაში და, უპირველეს ყოელისა, საქართველოში. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საბჭოთა კავშირში თავიის არსებობის განმაელობაში ეროვნულ პრობლემებზე საუბარი თანდათანობით სულ უფრო ტაბუდადებული ხდებოდა. არადა ბევრი პრობლემა გადაწყვეტას მოითხოვდა. ეს პრობლემები კი პოლიტიკური მოსაზრებებით კრემლში ერთპიროვნულად წყდებოდა. როდესაც ადამიანებმა სიტყვის თავისუფლების გემო იგემეს, როდესაც უკვე საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმისათვის ადამიანები აღარ იდევნებოდნენ და მათ აღარ იჭერდნენ, ხშირად არაცნობიერად ზედმეტიც ბევრი რამ ითქვა, რაც ეთნიკურ დაპირისპირებასაც უწყობდა ხელს და რაც გარეშე ძალების ინტერესებშიც შედიოდა.

განეითარების თანამედროვე დონეზე, ადამიანისათვის თავისი ქვეყნისა და ერის სიყვარული უალრესად ფასეულია. ადამიანის გენეტიკური კოდი შერწყმული წინაპართა ხსოვნის პატიეისცემასთან, რომელშიც განეიეთებული არის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მილიონობით წინაპრის დაღერული სისხლი, სამშობლოს სიყვარულის

შესანიშნაავი მაგალითები, სახელოვანი წინაპრების მთელი პლეადის მოღვაწეობა, პიროვნების ცხოვრების აზრის განუყოფელი და საუკეთესო ნაწილი ხდება.

ერთხელ არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჩაატარეს. სამხრეთ აფრიკული ფრინველის ერთ-ერთი სახეობას აქვს ცხოველის ბეწვიდან ბუდის გარკვეული ფორმის გაკეთების გენეტიკურად დაპროგრამებული უნარი. ამ ფრინველის ხუთი თაობა მოკლებული იყო იმ მასალას, რომელსაც იყენებდა ბუდის გასაკეთებლად. მიუხედავად ამისა ამ ფრინველის მეექვსე თაობის წარმომადგენლებმა სწორედ ამოირჩიეს სხვადასხვა მასალის გროვიდან შესაფერისი ცხოველის ბეწვი და გააკეთეს მათი სახეობისთვის დამახასიათებელი ბუდის ნიმუში.[13] რა თქმა უნდა, მექანიკურად ამ მაგალითის ადამიანზე გადმოტანა გაჭირდება, რადგან მათ გენებში არ არის დაპროგრამებული ქცევის რთული სახეობები, მაგრამ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ურთიერთობები გარე სამყაროსთან, ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, საერთოდ ეროვნულ კულტურასთან და სულიერებასთან მთელი ცხოვრების განმავლობაში თან ახლავს პიროვნებას და იგი ამ კულტურის განუყოფელი ნაწილი ხდება (გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არსებობს). ხომ ცნობილია, რომ „რაც ერთხელ ცხოელად სულს დააჩნდების, სამშვილიშვილოდ გარდაეცემის". სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა ეკატა-ფშაველა: „ეერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრონობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ეინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, — სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი".[14]

შესანიშნავად აქვს ეს აზრი გატარებული გამოჩენილ დაღესტნელ პოეტს, რასულ გამზათოვს, თავის წიგნში „ჩემი დაღესტანი", სადაც მრავალთა შორის სამშობლოს სიყვარულით საოცრად გამთბარი ასეთი სტრიქონებიც გვხვდება: „ადე, მაპატიონ ინდოეთის პაკოდებმა, ეგეიპტის პირამიდებმა და იტალიის ბაზილიკებმა, მაპატიონ ამერიკის აეტოსტრადებმა, პარიზის ბულვარებმა, ინგლისის პარკებმა და შეეიცარიის მთებმა, მაპატიონ პოლონელმა, იაპონელმა და რომაელმა ქალებმა — თუმცა, ეტკებოდი თქვენით, გული მაინც მშვიდად ცემდა; ხანდახან ოდნავ თუ ამიჩქროლდებოდა, ისე კი არა, რომ ყელი გამშრობოდა და თავბრუ დამხვეოდა.

ახლა კი, როცა კლდეების ფერხთით შეყუჟული სამოცდაათი ქოხი დაელანდე, რატომ შემიქანდა გული ისე ძალუმად, რომ ნეკნებში გამიარა მწველმა ტკივილმა, თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამეხვა, თითქოს მთერალი ეიყო ან აეადგყოფი?

ნუთუ დაღესტნის პატარა აული ეენციაზე, ქაიროსა და კალკუტაზე უფრო მშვენიერია? ნუთუ, ბილიკზე მიმავალი ზურგზე ფიჩხმოკიდებული ხუნძი ქალი უფრო მშვენირეია, ეიდრე მაღალ-მაღალი, ოქროსფერთმიანი სკანდინაეიელი?

ცადა! დაეეხეტები შენს მინდერებში და დილის ციკი ცვარი მისუსხავს დამაშერალ ფეხებს. მთის ნაკადულები რაა, წყაროს წყალს ეისხურებ პირზე... შენ წყაროს ხარ, ცადა, მუხლებზე გიჩოქებ და მხურვალე ბაგეებით გეწაფები". ასეთ სიყვარულს არ შეიძლება რაიმე შეუტოლდეს, იგი უსაზღვრო და უნაპიროა. სწორედ ამიტომ არის ახლობელი, არა მარტო ქართველისათვის, აკაკი წერეთლის სულის შემძრაეი სტრიქონები: „დედა-შვილობამ, ბეერს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო". დაეით გურამიშეილი კი ცხოვრების მიწურულს, მარტოსულის მწარე ხეედრით დამძიმებული, შორს, უარაინის სოფელ ზუბოვკაში, ხოროლისპირა ქოხში წერს სამშობლოს უდიდესი სიყვარულით გამთბარ საოცარ სტრიქონებს: „სახით სიტყვა მშვენიერო, სხიო, მზეთამზის სახეო, ეეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ენახეო, გეაჯები, ნუ გამწირავ, მოეკეედე, შენ კერძ დამმარხეო".

და, როდესაც ამ სიყვარულის სრულად გამოხატეის საშუალება არ ან ნაკლებად გეძლეეა, როდესაც გაძალებენ ახალი ერთობის „საბჭოთა ხალხის" ნაწილი გახდე და ამაეე დროს ამ საშინელებიდან თაეის დაღწეეის დროც დგება, როდესაც უკეე შენი ეროვნული ტკივილების ჭირისუფალი შენეე ხდები, შეცდომებიც არ არის გამორიცხული ერეონებათშორისი მეტად ფაქიზი პრობლე-

მების მოგვარების გზაზე, ხოლო ცალკეული ადამიანების არასწორი, შოვინისტური გამოთქმები არ შეიძლება ხელისუფლებისა თუ მთელი ერის მიზანმიმართულ ლოზუნგად მიეინიშნოთ. უცხოურ ნაშრომებში ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, რომ „დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევამ ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა შიში გამოიწვია. ეს შეშფოთება, როგორც ისინი აღნიშნავენ, უპირველეს ყოვლისა, თითქოს იყო გამსახურდიას ულტრანაციონალისტური რიტორიკის შედეგი და მისი მისწრაფებით ცხოვრებაში განეხორციელებინა იდეა „საქართველო ქართველებისათვის“. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემება, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ სახელმწიფოს მმართველობაში გაუწაფავი ადამიანები, რომლებმაც შეცდომებიც დაუშვეს. უცხოელები სამართლიანად გვსაყვედურობდნენ კიდეც იმას, რომ საქართველოში ხელისუფლებაში მოვიდნენ მხატვრები, მწერლები, დრამატურგები, ჟურნალისტები, ისტორიული დროის სხვა პოტენციალით, რომელთაც აზროვნების სხვა წყობა და ცელილებათა აუცილებლობის სხვა გაგება აქვთ.

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე კიდევ შეიძლება რაღაც გამართლება მოუძებნო ზემოთ აღნიშნულ გამონათქვამს, მაგრამ როდესაც ამჟამად უფრო უარეს გამონათქვამებსაც ეხედებით და, არც თუ ისე იშვიათად მოქმედებაში განხორციელებულს, ისიც ციელიზებულ ქვეყნებში, ეს კი უკვე, მართლაც საშიში და დამაფიქრებელია. მაგალითად, როგორც მეცნიერმუშაკი პ. გუპტა (ინდეეა, შვეიცარია) აღნიშნავს, „კრასნოდარის მხარეში არ მოიძებნება კაზაკების გამოსელებზე უფრო რასისტული გამოსელების მაგალითი“.[15] კაზაკთა განცხადებით, კრასნოდარის მხარე „კაზაკთა მიწაა და ეს ყველამ უნდა იცოდეს. აქ თამაშის წესებს ჩვენ გაესაზღვრავთ“.[16] ამ მხარეში არც იშვიათია განსაკუთრებით სომხების დარბევები ეთნიკური ნიშნით. ხშირად მოისმენთ ეროვნული უმცირესობების დამმცირებელ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს: „შავების საცხოვრებელი ადგილი მარსზეა“, „რუსეთი რუსებისათვის“ და ა.შ.[17] სამწუხაროდ, ასეთი გამონათქვამები ყურადღების მიღმა რჩება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან და საქართველოში ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებზე მსჯელობისას კი ყოველთვის გვახსენებენ გამონათქვამს „საქართველო ქართველებისათვის“, თითქოსდა, მართლაც, ამ გამონათქვამის გამო განაღდა კონფლიქტები.

დღეს ქართველ ხალხს დიდად აღელვებს დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან. სწორედ ამ დაძაბული ურთიერთობების შედეგად დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის ეთნიკური პორტრეტი. 226 წლის წინათ 1783 წელს გეორგიევსკში დაიდო ტრაქტატი რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ეს იყო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში სუსტი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შესელის აქტი. გეორგიევსკის ტრაქტატით ერეკლე II უარს ამბობდა ირანის ან სხვა სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებაზე და ცნობდა რუსეთის იმპერატორის უზენაეს მფარველობას. სამაგიეროდ რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის, შეუნარჩუნდებოდა ერეკლე მეფეს და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტი, სამფლობელოები და საქართველოს აღადგენდა მის ისტორიულ საზღვრებში. რუსეთის მიზანი შემდეგში გასცილდა ტრაქტატით გათვალისწინებულ ურთიერთობებს და 1801 წელს რუსეთმა შეიერთა საქართველო – ქვეყანაში გაუქმდა სახელმწიფოებრიობა და დამყარდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი. შემდეგში ეროვნულ სახის შესანარჩუნებლად ქართველ საზოგადოებას დიდი ძალისხმევა და ბრძოლა დასჭირდა იმპერიისთვის დამახასიათებელი ძალმომრეობისაგან თავის დასაცავად. დღევანდელი გადასახედიდან, თვითმპყრობელობის არსიდან გამომდინარე, სხვაგვარად მოელენების განეითარება, ალბათ, არც შეიძლებოდა. რუსეთი საქართველოს უკვე განიხილავდა, როგორც ერთიანი იმპერიის შემადგენელ განაპირა ნაწილს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მშვიდობიანმა წლებმა მოსახლეობის გამრავლებასა და საერთოდ ცხოვრების სტაბილურ განვითარებას დაუყო სათავე და ეს არცთუ ისე ცოტას ნიშნავდა. დიდი ქართველი მოღვაწე, ერის მამად წოდებული, ილია ჭავჭავაძე საქართველოში რუსის ჯარის შემოსელის 100 წლისთავთან დაკავშირებით წერდა: „დამშეიდდა დიდი ხნის დაუმშეიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკ-

ლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ელერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჩქარა ცეცხლი, რომელიც სწვაედა და პბუგაედა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენ საცხოვრებელს, გათაედა რბეეა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-და დაგერჩა".[18]

დიდი ეროვნული ტრაგედია, რაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას მოპყვა, იყო ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება. საქართველოში, რუსეთის მისი მეორეთების შემდეგ, მყარდება რუსული მმართველობა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის გარუსებას, საქართველოს გადაქცევას რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად და ამისათვის საქართველოში ყოველგვარი ანტირუსული ძალების დასუსტებასა და განადგურებას. ეს უკვე იყო მკვეთრად გამოხატული კოლონიური პოლიტიკა. ამასთან ერთად, მართალია, იმპერიის ფარგლებში, მაგრამ საქართველოს დაუბრუნეს თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების ნაწილი, აღდგა ეროვნული მთლიანობა, ქვეყანა გაიშალა თავის ისტორიულ საზღვრებში. საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებით რუსეთმა მაინც საბოლოოდ ხელი შეუწყო ქართველი ერის გამთლიანებას, მის კონსოლიდაციას. ქართული მიწა-წყალი და ქართველი ხალხი ერთ ორგანიზმად გაერთიანდა. საქართველომ შეინარჩუნა მთავარი: ფიზიკური არსებობა, თვითმყოფადი კულტურის აღმაყლობის შესაძლებლობა, ენა, ტერიტორია, მშვიდობიანი ცხოვრება, ისტორიული გარდაქმნების პერსპექტივა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1800 წელს საქართველოს მოსახლეობა 675 ათას კაცს უდრიდა და მტრების გამუდმებული შემოსევების შედეგად, 1254 წელთან შედარებით მისი მოსახლეობა 12-ჯერ იყო შემცირებული. ქვეყანა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. *რუსეთის* იმპერიის მოსახლეობის 1897 *წლის აღწერის* მიხედვით საქართველოს *თანამედროვე* საზღვრებში უკვე 1919 ათასი *კაცი ცხოვრობდა* და აქედან 1331 ათასი *კაცი ქართველი* იყო. ამრიგად, ერთი საუკუ*ნის განმავლობაში* საქართველოს მოსახლეობა 1244 *ათასი კაცით* ანუ 2,8-ჯერ *გაიზარდა, ხოლო ქართველების* რაოდენობა — 2,6-ჯერ. ისიც სათქმელია, რომ მიუხედავად თვითმპყრობელობის მხრიდან ყოველგვარი ეროვნულობის წაშლის დიდი მცდელობისა, მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების დიდ აღმაყლობას ჰქონდა ადგილი. ობიექტურ ანალიზს ეფუძნება ილია ჭავჭავაძის ნათქვამი: „რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმაევე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოპკეეთა ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ".

პროგრესული რუსი მოღვაწეები გამოდიოდნენ საქართველოს მიმართ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილია გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკისა და რუსი ხალხის სხვა გენიალურ შეილთა პოზიცია ამ საკითხში. მაგრამ ეს მარტო ამ უკედავთა და გენიოსთა პოზიცია არ იყო. 1887 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა რუსი მწერლის ეგგენი მარკოვის წიგნი „კავკასიური ნარკვევები". იგი წერდა: „ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავიეიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით ან დაგვიპყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი მებატონენი. ჩვენ არ უნდა დავიეიწყოთ, რომ ქართველნი შემოეიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადეე დარჩნენ, აიმტომაც ყოველსათეე ქართულს, ისტორიით მოპოეებულს, ყოველ ქართველთა-განს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსაეე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ეცეთ, იმოდენად მხარი მიეცეთ და ხელი შეეუწყოთ, რამოდენადაც ყოელისფერს ჩვენს საკუთარს, რუსულს. კაეშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში, რომ ერთმა მეორე ჩაყლაპოს".[19]

რუსი ხალხის საუკეთესო შეილები გამოდიოდნენ ქართველი ხალხის უფლებათა დასაცავად. რუსი მოღვაწე ი. კანდაპვეი, რომელიც კარგა ხანი თბილისში ცხოვრობდა, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნში წერდა: „ბურჟუაზია, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ყოველთვის იმარჯვებს თავადაზნაურთა კლასზე. ეს სწორია, მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ ეკონომიკური ეეოლუცია არსად არ დამთავრებულა ისე საკალალოდ თავადაზნაურო-

ბისათვის, როგორც აქ... განა მთავრობამ უნდა დაუშვას, რომ დაიღუპოს ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთს მასთან საქართველოს შეერთების დროიდან? არ უნდა დაიეიწყოთ ის ფაქტი, რომ იგი იყო ორი ერთმორწმუნე ხალხის ერთიანობის იდეის მატარებელი, და ერთი სამეფოს მეორე სამფოსთან ნებაყოფლობითი შეერთების მთავარი მიზეზი... საქართველოს შეერთებამ... უდიდესი სარგებლობა მოუტანა რუსეთს იმ მხრივ, რომ მისი საზღვრები უშუალოდ თურქეთთან და სპარსეთთან მოვიდა შეხებაში, რამაც საშუალება მისცა რუსეთის მთავრობას, უშუალო გაელენა მოეხდინა ორივე სახელმწიფოზე. ამას გარდა, საქართველოს შეერთებით კაკეასიის მთიელები ყოველმხრივ გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ, რამაც გარდაუვლად გამოიწვია მათი დამორჩილება და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კაკეასიის მშვიდობიანი კულტურული განვითარების ხელისშემშლელი პირობების მოსპობა. დასასრულ, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ რუსეთმა საქართველოს სახით შეიძინა ქვეყანა, რომელიც არაჩვეულებრივად მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რაც რუსი ხალხის გამდიდრებას შეიძლება ემსახუროს".[20]

თაეის მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებამ კეთილმყოფელი გაელენა მოახდინა თვით რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებაზე, რუსი ერის სულიერი ცხოერების გამდიდრებაზე. 200 წლის განმაელობაში რუსეთის სახელმწიფოს ბეერი მოღვაწე, კულტურისა და ხელოენების მრავალი ცნობილი წარმომადგენელი, ასევე ცნობილი გენერლები ეროენებით ქართველები იყენენ. მათ დიდი წელილი შეიტანეს რუსეთის სახელმწიფოს მშენებლობაში, მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში, სულიერ ცხოერებაში. ამის დასტურია ქართველი გენერლის ელადიმერ მიხეილის ძე იაშვილის იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც საოცარი სიძლიერით წარმოდგენილია რუსეთისადმი უსაზღერო სიყვარულით გამსჭვალული რუსეთში მცხოერები ქართველი კაცის მოქალაქეობრივი მრწამსი, სახელმწიფოებრივი ხედვა, რუსეთის უკეთესი მომაელისათვის ზრუნა.

ელადიმერ იაშვილი 1801 წელს მონაწილეობდა იმპერატორ პაველ I-ის მკელლობაში. 1803 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იაშვილი გადააყენა თანამდებობიდან და გადაასახლა თაეის მამულში — კალუგის გუბერნიის სოფელ მურომკეეოში პოლიციის ზედამხედველობის ქეშ. მას მოსკოესა და პეტერბურგში გამოჩენის უფლებაც ჩამოართეეს. 1812 წლის სამამულო ომში კუტუზოეის დაკალებით იაშვილმა შექმნა რაზმი და აქტიურად იბრძოდა ფრანგების წინააღმდეგ. როდესაც ალექსანდრე I-მა გაიგო ეს, მან რესკრიპტით საკეედური გამოუცხადა კუტუზოვს იაშვილის არმიაში ჩართეისათვის და იგი თაეის სოფელში დაბრუნეს.

იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი ელადიმერ იაშვილის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „ხელმწიფეე, იმ წუთიდან, როდესაც თქვენი მამა აეიდა ტახტზე, მე გადავწყეიტე მსხვერპლად შემწირა თაეი, თუკი ეს საჭირო გახდებოდა რუსეთის კეთილდღეობისათეის, რომლეიც დიდი პეტრეს შემდეგ გახდა მეფეროეების სათამაშო და, ბოლოს მსხვერპლი.

ჩეენი სამშობლო თეითმპყრობელური ძალაუფლების ქვეშ იმყოფება, მილიონობით ადამიანების ბედი დამოკიდებულია ერთი ადამიანის გონებასა და სულის სიდიადეზე. პეტრე დიდი სახელოენად ატარებდა თეითმპყრობელობის ტეერთს და მისი ბრძნული ძალაუფლების ქვეშ სამშობლო ისეენებდა, მაგრამ გენიოსები იშეიათია...

ღმერთმა სიმართლე უწყის, რომ ჩეენი ხელები წითლად შეიღება არა ანგარებისათეის: დაე, მსხვერპლი ნუ იქნება ამაო. გაიგეთ თქვენი მაღალი დანიშნულება, იყაეით ტახტზე, თუ შესაძლებელია, პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე. გაიგეთ, რომ სასოწარკეეთილებისათეის ყოველთეის არის საშუალება და ნუ მიიყეანთ სამშობლოს დაღუპეამდე.

ადამიანი, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთისათეის, უფლება აქეს გითხრათ თქვენ ეს; ამჟამად მე უფრო დიდი ეარ, ეიდრე თქვენ, იმიტომ რომ არაფერი მსურს, და თუ საჭირო იქნება თქვენი დიდების გადარჩენისათეის, რაც ასე ძეირფასია ჩემთეის მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არის რუსეთის დიდება, მე მზად ეარ მოკედე საჯალათო კუნძზე.

მიედიეარ ჩემს სოფელში, ეეცდები იქ გამოეიყენო სისხლიანი გაკეეთილები... მეუე,

რომელიც მეფობს, მაპატიებს ან დამსჯის სიკეთილის ჟამს; ეეეედრები მას, რომ ჩემი მსხეერპლი არ იყოს ამაო. მშეიდობით ხელმწიფეე! სახელმწიფოს წინაშე მე სამშობლოს მხსნელი ეარ, შეილის წინაშე – მამის მკეელი".[21]

ძნელია ამაზე ერთგულად ემსახურო ქეეყანას და ამიტომ არც „კაეკასიური ომების" ავტორს ე. პოტოს ნათქეამია შემთხეეეითი: „ჩეენი სამშობლოს წრეში მოქცეულ ყეელა ხალხთაგან, არსად მოიძებნება რუსი ადამიანისათვის ისეთი წრფელი და ძმური მეგობრობა, როგორიც ქართეელის ეაეკაცურ გულშია".

საბედნიეროდ, ასეთი მაგალითები ქართეელი და რუსი ხალხების ურთიერთობის შესახებ, მრავალად მოიპოეება. ეინც ამ ურთიერთობებს იცნობს, ისიც იცის, რომ სამაგალითო იყო რუსი და ქართეელი ინტელიგენციის მეგობრობა. „ხსოენის მჭონე შთამომაელობა" ამის შესახებ მრავალჯერ დაწერს და ამდენად მრავალჯერ არნახული ურთიერთპატეიისცემისა და სიყეარულის ტყეეობაში აღმოჩნდება. აქეე ისიც უნდა ითქეას, რომ ასეთი ურთიერთობა მხოლოდ ინტელიგენციის საკუთრებას როდი წარმოადგენდა. უბრალო ხალხში ახლაც ხარობს ერთმანეთს შორის დათესილი სიკეთის თესლი.

ბუნებრიეია ისმის კითხეა, მაშ, რა მოხდა? რატომ დაიძაბა ურთიერთბები რუსეთსა და საქართეელოს შორის იმ ზომამდე, რამაც საბოლოოდ ამ ორ ქეეყანას შორის ომამდე მიგეიყვანა? იქნებ ეს ომი გაცილებით ძლიერი ძალების გამოძახილიც იყო? ერთი რამ ცხადია – აფხაზებისა და საქართეელოში მცხოერები ოსებისათვის, რომელთა ცხოერების დონე და ეროენული განეითარების პარამეტრები ყეელაზე უაეთესი იყო საბჭოთა კაეშირში მცხოერები არა მარტო მოკაეშირე რესპუბლიკების, არამედ ყეელა ავტონომიური ფორმირების მოსახლეობასთნ შედარებებით (ამის შესახებ იხილეთ ქეემოთ) ომს არაეინ წამოიწყებდა. აფხაზები და ოსები საბაბი გახდა იმ დიდი პოლიტიკსა, რომელმაც მთლიანად გადაფარა ქართეელებს და რუსებს შორის ზემოთ აღნიშნული უადრესად ახლო ურთიერთობები. კონფლიქტის ანატომიის არსი გაცილებით რთულია. მაგრამ სანამდე ამ პრობლემას განეიხილაედეთ, ისტორიიდან ერთი მნიშენელოეანი ფაქტიც განეიხილოთ, რომლიდანაც გაკეეთილები ეერ გამოეიტანეთ.

ნოე ეორდანიამ 1920 წლის 20 მარტს გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლებისათვის თბილისში: „ქართეელ ხალხს ყეელა საფუძველი აქონდა ეფიქრა, რომ მხოლოდ თნხმობის დიდი სახელმიფოებისაგან შეეძლო მიეღო ნამდეილი მხარდაჭერა თაეისუფლებისა და დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლაში. ამ იმედს ჩეენ ეამყარებდით... ჩეენს ორმხრიე რეალურ ინტერესებზე, იმაზე, რომ საქართეელოს რესპუბლიკის არსებობა სრულიად შეეფერება თანხმობის ქეეყნების ინტერესებს. ამ ეარაუდიდან გამომდინარე, ჩეენ გადაედგით მთელი რიგი ნაბიჯები უმაღლესი საბჭოს წინაშე ჩეენი აღიარებისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით. ჩეენ მიეიღეთ ფაქტიური აღიარება, რისთეისაც ძალიან მადლობელი ეართ, მაგრამ მე უნდა განეაცხადო, რომ მხოლოდ შიშეელმა აღიარებამ ეერ მოგეცა ეერაეითარი უპირატესობა ჩეენი თაეისუფლებისა და სახელმწიფოებრიეი არსებობის ბოლომდე შენარჩუნების საქმეში... ჩეენ განსაკუთრებით ჩაგეცა ლახეარი თანხმობის ქეეყნების ჩეენდამი დამოკიდებულებამ ჩეენი ჩრდილო საზღერების დაცეის საქმეში, საიდანაც ჩეენი სახელმწიფოს დანგრეეის მიზნით ბოლშეეიკები მოემართეანენ... იმის გამო, რომ თქეენი მთავრობები არასაკმარისად არიან ჩახედულნი, ან კიდეე ბოლშეეიკური რუსეთის მიერ ჩეენი რესპუბლიკის დანგრეეა აღმოსაელეთში თქეენი ინტერესების ხელყოფად არ ითვლება.

ასეთ ეითარებაში ჩეენი ხალხის უმაღლესი ინტერესები საქართეელოს მთავრობას კარნახობს დაუყოვნებლივ ეძებოს ხსნის გზები უკეე თქეენს გარეშე, თქეენი ინტერესების გაუთვალისწინებლად...

ეაცხადებ რა ამას, წინასწარ ეიმედოვნებ, რომ ჩეენი გადაწყეეტილება გაგებული იქნება თქეენს მიერ არა როგორც ჩეენი სიმპათიების ცელილების შედეგი, არა როგორც მუქარა, არამედ როგორც ობიექტური გარემოებებით გამოწეეული გარდაუვალი ნაბიჯი".[22]

ძნელია საქართეელოს ახლანდელ ეითარებასა და მაშინდელი ეითარებას შორის

რაიმე განსხვავების მონახვა. ახლაც ამერიკა და დასავლეთის ქვეყნები ქართველ ხალხს კეებაეს დაპირებებით, ისინი ზეპირი განცხადებებით ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, იმართება სხვადასხვა დონის უამრავი თათბირი, იღებენ რეზოლუციებს საქართველოს მხარდასაჭერად და ამასობაში გავიდა თითქმის 20 წელი. რუსეთმა კი ამ დროს პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, 2008 წელს ერთბაშად ცნო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა, იქ ჩააყენა თავისი ჯარები, აშენებს სამხედრო ბაზებს და აინუნშიაც არ აგდებს დასავლეთის განცხადებებს. რუსეთმა, აფხაზ და ოს სეპარატისტებზე დაყრდნობით, მოახერხა აფხაზებისა და ოსების კოლექტიური ცნობიერების ფსიქოლოგიური დამუშავება – შექმნა ქართველების სახით მტრის ხატი, რასაც ჩვენც შეეუწყვეთ ხელი. დიდი სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის და რუსეთის ინტერესების მიჯნაზე იჭყლიტება საქართველო, რომლის ტერიტორიის 17,9 პროცენტი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება.

საქართველოში მომხდარმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა შეცვალა ქვეყნის ეთნიკური იერსახე, საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა და მათი განსახლების გეოგრაფია.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არა ერთი დიდი თუ მცირე კონფლიქტი მოხდა ეროვნულ ნიადაგზე. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ტოტალიტარული რეჟიმის, გაბატონებული საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ეროვნულ პრობლემებზე საწინააღმდეგო აზრის ღიად გამოთქმა მეტად საშიში იყო. კომუნისტურ პარტიას მარადიულად მიჩნეული შეხედულებათა სისტემა გააჩნდა, მათ შორის, ეროვნული ურთიერთობების სფეროშიც, რომელიც მკაცრად იყო გამოელენილი უპირატესად საზოგადოებრივი ცნობიერების პოლიტიკურ ფორმაში. არადა ეროვნული პრობლემები განიცდიდა განვითარებას, მწიფდებოდა და საჭიროებდა შესაბამის გადაწყვეტას. ამასთან, ავტონომიების შექმნის დროს ნაკლებად ითვალისწინებდნენ რეალურ ეთიკარებას, ყველაფერი ერთპიროვნულად კრემლში წყდებოდა. მაგრამ ეს არ იყო ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობის ერთადერთი ფაქტორი. რუსეთს, რომელსაც გაუსაზღვრელი ზეგავლენა ჰქონდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და ცალკეული რესპუბლიკების ხელმძღვანელები შეპასუხებასაც კი ვერ უბედავდნენ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დასაცავად, უცებ აღმოჩნდა, რომ თავისი უპრეცედენტო გავლენიდან აღარაფერი დარჩა. ოფიციალურად შეუძლებელი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ადრინდელი ზეგავლენის დაბრუნება. ორპოლუსიანი მსოფლიო, სადაც სუპერსახელმწიფოებს რუსეთი და აშშ წარმოადგენდნენ, ერთპოლუსიანი გახდა. რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენის აღსადგენად ცალკეულ რესპუბლიკაში და განსაკუთრებით გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ რეგიონებში მხარი დაუჭირა სეპარატისტულ ძალებს, ზოგჯერ კი თვითონ იზრუნა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის პირიოდში, ამ ძალების შექმნაზე და შემდგ ყოველმხრივ შეუწყო ხელი ეთნოკონფლიქტების ფართოდ გაღვივებას, რომლებსაც ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაგალითად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არა რუსეთის მხარდაჭერა კონფლიქტი აფხაზეთსა და კონფლიქტი ყოფილ სამხრეთ ოსეთში არც წარმოიშობოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ისინი სისხლისღვრის გარეშე ჩაცხრებოდა. ყოველივე ამან უაღრესად დაჩაბა ეთნიკური პროცესები საქართველოში.

ეროვნებათშორისი კონფლიქტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ემთხვევა, რაც სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. რუსეთი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, გაელენის სფეროების დაკარგვას ვერ ეგუება. არც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან დაშორებული მოელენების მჭიდრო კავშირი იყო შემთხვევითი. ძირითადად მოსკოვიდან იმართებოდა დნეპრისპირეთში, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე მოელენები. წინასწარ მომზადდა საომარ სიტუაციათა მოდელები. ასე იყო აფხაზეთში, „სამხრეთ ოსეთში" და სხვაგან.

არც ეთნოტერიტორიული კონფლიქტების სპეციფიკური თვისებაა შემთხვევითი. საქართველოში არსებულ კონფლიქტებს მკვეთრად გამოკვეთილი გეოგრაფიული გამოხატულება აქვთ – ეს კონფლიქტები გასდევეს რუსეთ-საქართველოს საზღვარს. ამასთან, საქართველოში ცხოვრობენ ბევრად

უფრო მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობები, რომელთა რაოდენობა ბევრად აღემატება აფხაზებისა და ოსების რაოდენობას, მაგრამ საქართველოს მათთან შეუდარებლად უფრო ნაკლები პრობლემები აქვს. საქმე ისაა, რომ ისინი ცხოვრობენ რუსეთის საზღვრიდან მოშორებით და რუსეთისათვის ბევრად ადვილი და მოსახერხებელია ეთნო კონფლიქტები შექმნან უშუალოდ მათ მოსაზღვრედ მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებში. ასე, რომ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი" რუსეთისათვის გადაიქცა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად, ისე როგორც რუსეთმა სხვა ყოფილ რესპუბლიკებზე ზემოქმედების სხვადასხვა, ძირითადად მაინც ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ბერკეტი გამოიყენა.

რუსეთს საქართველოზე ზეგავლენა ხელ-ფეხს უხსნის მთელ სამხრეთ კავკასიაში თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის. ამას განსაზღვრავს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. კავკასიის რეგიონში ზეგავლენის უზრუნველყოფა რუსეთის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის გარეშე მას არ შეუძლია იყოს დიდი სახელმწიფო. ამიტომ ცდილობს იგი არ დაუშვას სხვისი ზეგავლენა სამხრეთ კავკასიაზე. მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობენ აშშ და დასავლეთის სახელმწიფოები. როგორც აღნიშნავენ, რუსეთს არ შეუძლია ამჟამად და არც უახლოეს პერსპექტივაში კავკასიაში ითამაშოს გადამწყვეტი როლი და ამიტომ აუცილებელია „საერთო კავკასიურ პროცესში" აქტიურად ჩაერთონ გავლენიანი მოთამაშეები, უპირველეს ყოვლისა, აშშ და ევროკავშირი.

კავკასიაში გავლენის სფეროების ხელახალი განაწილება სერიოზული კონფლიქტების წყარო შეიძლება გახდეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ავორიტეტული შეფასებებით XXI საუკუნეში კავკასიის რეგიონი იქნება ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ენერგორესურსების ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობას რეგიონში, რომელიც ზოგჯერ იღებს ღია დაპირისპირების სახეს და, სამწუხაროდ, რომლის დროსაც კავკასიის რეგიონის ინტერესები იჩრდილება.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საქართველო წარმოადგენს რეალური ინტერესის სფეროს, რადგან მის ტერიტორიაზე, როგორც ევრაზიის დერეფანზე, გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზები და ნავთობსადენები, რომელთა მეშვეობით გადაიქაჩება ამერიკული ფირმების მიერ ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი და გაზი შავ ზღვაზე და შემდეგ დასავლეთის ბაზარზე. უაღრესად მნიშვნელოვან ქვეყანას ამერიკისათვის კასპიისპირეთის რეგიონიდან აზერბაიჯანიც წარმოადგენს, რადგან ძირითადად სწორედ აქ მოიპოვება ნავთობი და გაზი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლურმა სტრატეგიამ შეზღუდა რუსეთის როლი რეგიონში. საქართველო და აზერბაიჯანი არამარტო დაშორდნენ რუსეთს, არამედ აშშ-სა და თურქეთთან ერთად ფაქტობრივად ბლოკავენ რუსეთისათვის ხელსაყრელ მარშრუტებს. რუსეთი ამ მარშრუტს თავისი ნავთობმილსადენების სტრატეგიის სერიოზული კონკურენტად მიიჩნევს. თამაშგარეშე რჩება სომხეთი, რომელმაც არაერთი შეთავაზების მიუხედავად უარი თქვა აზერბაიჯანელებთან ერთად მიღო მონაწილეობა აღნიშნულ პროექტებში. ის ამ პროექტების განხორციელებაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის შესაძლო სტრატეგიულ ალიანსსაც ხედავს, რაც, მისი აზრით, შეიძლება მომავალში სომხეთის ინტერესებს შეეწინააღმდეგოს, ამიტომ რუსეთმა და სომხეთმა თითქოს სავასუხოდ სამხედრო პარტნიორობა განამტკიცეს.

აშშ ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით კასპიის ზღვის რეგიონში განლაგებულია მსოფლიოში გადაუმუშაებელი ნახშირწყალბადების უმსხვილესი მარაგი. მათ შორის, გამოძიებული მარაგი შეადგენს 17-დან 33-მდე მილიარდ ბარელ ნავთობს და დაახლოებით 232 ტრილიონ კუბურ ფუტ ბუნებრივ გაზს. პოტენციურმა მარაგმა შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 200 მილიარდი ბარელი ნავთობი და 350 ტრილიონამდე კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი.

ეს ფაქტორები განსაზღვრავს ძირითადად რეგიონის მნიშვნელობას, ამიტომ წარმოაგენს იგი არამარტო რუსეთის, არამედ ამჟამად უკვე მსოფლიოში ერთადერთი სუპერ სახელმწიფოს — აშშ-ს ინტერესების სფეროს. ასეთ სიმდიდრეს ადრე თითქმის

მთლიანად რუსეთი განაგებდა, ახლა იგი იძულებულია მსოფლიო და რეგიონული სახელმწიფოებთანაც დაიბალანსოს თავისი ინტერესები. ამისათვის მას, უპირველეს ყოვლისა, ჭირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი ზეგავლენის აღდგენა, რათა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა არა მარტო გაუწიონ არამედ აუცილებლად გაუწიონ ანგარიში მის ინტერესებს და ამით გარკვეული პრიორიტეტი მოიპოვოს რეგიონში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესთა დაბალანსების სფეროში. ამაზეა დამოკიდებული რუსეთის ენერგეტიკული უსაფრთხოება. ყოველივე ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აქამდე ჯერ კიდევ არ არიან შეთანხმებული კასპიისპირეთის სახელმწიფოები — ირანი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი — კასპიის სამართლებრივი სტატუსის საკითხში. ასევე არ არიან ისინი შეთანხმებული ზღვის ბიორესურსების ექსპლუატაციის უფლებაზე.

კასპიის ზღვის შუა და განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთი ნაწილი უკვე მთლიანად გაყოფილია. სამმა კასპიისპირეთის სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კასპიის ფსკერის 19 პროცენტი ეკუთვნის რუსეთს, 29 პროცენტი — ყაზახეთს და 19 პროცენტის ფარგლებში — აზერბაიჯანს. რაც შეეხება თურქმენეთსა და ირანს, მათ შეთავაზეს ეარიანტი — ან დაეთანხმებიან კასპიის გაყოფის შემუშავებულ პირობებს, ან დააყენებენ რა ეჭვის ქვეშ კასპიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში არსებულ საბადოებს, უცხოელ ინვესტორებს დაიფრთხობენ პერსპექტიული სტრუქტურების შემუშავებისათვის.

აღსანიშნაია, რომ კავკასიის რეგიონში ბაკო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაწყებისთანავე დესტრუქციული ძალები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ნაციონალური სეპარატისტული ძალები, გაეღვივებინათ პოლიტიკური და რელიგიური ექსტრემიზმი პროექტის ჩასაეარდნად. ამ მოვლენათა ფონზე აზერბაიჯანმა გამოაცხადა თავისი მზადყოფნა განალაგოს ნატოსა და თურქეთის სამხედრო ბაზები აფშერონზე[2]. აშშ უკვე დაიწყო მუშაობა ამ რეგიონის მომავლის ფორმირებისათვის. უპირველეს ყოველისა, აშშ-ს საჭიროდ მიაჩნია ბრძოლა კასპიის ნავთობისა და მისი ტრანსპორტირებისათვის ევროპაში. ამასთან შეთავაზებულმა კასპიის ნავთობის მილსადენმა, აშშ-ის აზრით, გვერდი უნდა აუაროს ირანის, სომხეთისა და რუსეთის ტერიტორიებს, ამავე დროს, მეტოქეობა უნდა გაუწიოს რუსეთს ტრანზიტული ტვირთების ალტერნატიული ტრანსკიმბირული გზების შექმნაში ევროპიდან აზიაში და უკან. 1998 წელს ეაშინგტონმა მიიწვია აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პრეზიდენტები და ამერიკულმა მხარემ ხელი მოაწერა მთელ რიგ დიდი იმედის მქონე დოკუმენტებზე. ეს დოკუმენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მარტო ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას, არამედ საერთოდ სატრანსპორტო დერეფანს, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენას და, მაშასადამე, შავ ზღვაზე გასასვლელს, რაც ზრდის საქართველოს ავტორიტეტს და აუცილებელს ხდის მის უშუალო მონაწილეობას ტრანსნაციონალური კომპანიების მუშაობაში, სხვადასხვა ხელსაყრელი პროგრამების შედგენაში. ეს მით უფრო არსებითია, რომ ნავთობისა და გაზის მარაგების ამოწურვის შემდეგაც, აბრეშუმის გზის ფუნქციონირება არასოდეს შეწყდება, რადგან ტვირთების გადაზიდვის მოთხოვნილება აღმოსაელეთიდან დასაელეთისაკენ და უკან მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგა — დაწყებულია სარკინიგზო ბაგისტრალის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაკოს თურქული მონაკვეთის მშენებლობა. ეს გზა, რუსეთის გვერდის

მხოლოდ გარკეული ეადით. სეუასტოპოლი უკრაინის ნავსადგურია და უკრაინა უკვე მოითხოვს ამ ეადის გადასინჯვას მისი შემცირების მიზნით. რუსული ნაუსადგური ნოეოროსიისკი კი წელიწადში ოთხი თვე გამოუსადეგარია და ამიტომ იზრდება რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ.

ამავე დროს აშშ და დასავლეთის ქვეყნები უკანასკნელ წლებში ზრდიან თავიანთ კაპიტალდაბანდებებს კაკასიასა და შუა აზიაში ეკონომიკის სხვა პერსპექტიული დარგების განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შუა აზიასა და სამხრეთ კაკასიაში ოქროს, ქრომის, ნიკელისა და სხვა წიაღისეული საბადოების ათვისება, რომელთა მარაგი მსოფლიოში სულ უფრო იწურება. ეს კი ამ წიაღისეულ სიმდიდრეებს ფასდაუდებელს ხდის XXI საუკუნეში.

ეთნოკონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს განვითარება. კონფლიქტების საწყის ეტაპზე ეკონომიკა მთლიანად მოიშალა. შეიარაღებულმა შეტაკებებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასეული ათასობით ადამიანი კიდევ ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი გახდა.

ეთნოკონფლიქტებმა საქართველოში მთლიანად შეცვალა მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება. უპირველეს ყოვლისა, უადრესად შემცირდა შობადობის როგორც აბსოლუტური ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. საქართველოში განსაკუთრებით ამაღლდა მოკვდაობის დონე. იმდენად დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, კიდევ შემცირდება შობადობა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება, გააუარესა ყველა დემოგრაფიული მაჩვენებელი. პროფესორ ეაჟა ლორთქიფანიძის მოსაზრებით, სამწუხაროდ, მიუხედაეად იმისა, რომ ოფიციალურმა თბილისმა არაერთხელ აღნიშნა კონფლიქტების გადაწყვეტაში რუსეთის გადამწყვეტი როლი, ხოლო რუსეთმა არაერთხელ აღნიშნა ამ პრობლემის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მოგვარების აუცილებლობის შესახებ, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დასრულებას ბოლო არ უჩანდა. სულ ბოლოს კი, რუსეთმა გადადგა უაღრესად არაგონივრული და უსამართლო ნაბიჯი. საერთაშორისო სამართლის, გაეროს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული პრინციპებისა და თვით რუსეთის მოქმედი კანონების დარღვეეით, რუსეთმა ოფიციალურად ცნო აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. აეტომატურად რუსეთმა დაკარგა კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობის სტატუსი და ის კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ იქცა. გარდა იმისა, რომ ეს ცუდი პრეცედენტია თვითონ რუსეთისათვის და ის მას ბუმერანგიეით უკან დაუბრუნდება, ამით მნიშვნელოვნად გართულდა აფხაზეთისა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოგვარება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში იმპერიული ინტერესები სამართლიანობაზე გაცილებით მაღლა დგება და რეალიები, რომლებშიდაც ჩვენ გეიხდება ცხოერება, გაუთვალისწინებული რჩება. ამიტომ ამ პრობლემის შესახებ არაერთ უმაღლეს დონეზე შეხვედრას, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გაკეთებულ განცხადებებს შედეგი ფაქტობრივად არ მოაქვს. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს დეენილთა დემოგრაფიულ პოტენციალს და, საერთოდ, ეთნოპოლიტიკური შედეგებიდან გამომდინარე, საგრძნობლად აუარესებს დემოგრაფიულ ეითარებას.

დემოგრაფიული ეითარება კი საქართველოში, მართლაც უმძიმესია. კრიზისულ ზღერამდე დაეცა შობადობა, გაიზარდა მოკვდაობა, მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია, საზღვარგარეთის ქვეყნებში მილიონზე მეტი მოაქალაქე წაეიდა. 1999-2007 წლებში ერთი ქალი თაეისი სიცოცხლის განმაელობაში საშუალოდ 1,4 ბაეშეს აჩენდა, რაც იმას ნიშნაეს, რომ მოსახლეობის გამრაელება უზრუნველყოფილია მხოლოდ 65,1 პროცენტით. ცალკეულ წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო, ე.ი. ფაქტობრივად ხდებოდა ერთი მშობლის ანაზღაურება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიარაღებული კონფლიქტები ძირითადად ეთნოპოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. ამის შედეგად არსებითად შეიცვალა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. მაგალითად, 390 ათასიანმა სომხურმა თემმა აზერბაიჯანში და 84

ათასიანმა აზერბაიჯანულმა თემმა სომხეთში თითქმის მთლიანად შეწყვიტა არსებობა. „აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, აფხაზეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილი ეთნიკური წმენდის შედეგად, საქართველოს შიდა რაიონებში გაიქცა“ (ვ. მკომელი). ამასთან, რუსულენოვანმა მოსახლეობამ სასწრაფოდ დატოვა კონფლიქტებით მოცული ყოფილი რესპუბლიკები და ძირითადად რუსეთში გადასახლდა.

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა 1926-2005 წლებში

ათასი

№	ქვეყნები \ წლები	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	2005
	კავკასია								
	абсолютные	7617	10827	12712	16659	18865	21032	22182	22610
	%	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
	მათ შორის								
	საბჭოთა კავკასია								
	абсолютные	5872	8027	9505	12295	14052	15727	15537	15884
	%	77,1	74,1	74,8	73,8	74,5	74,8	70,2	70,5
	მათ შორის								
1.	**საქართველო**								
	абсолютные	2677	3540	4044	4686	4993	5401	4371	4321
	%	35,1	32,7	31,8	28,1	26,5	25,7	19,8	19,8
2.	**აზერბაიჯანი**								
	абсолютные	2315	3205	3698	5117	6028	7021	7953	8347
	%	30,4	29,6	29,1	30,7	31,9	33,4	35,9	36,6
3.	**სომხეთი**								
	абсолютные	881	1282	1763	2492	3031	3305	3213	3216
	%	11,6	11,8	13,9	15,0	16,1	15,7	14,5	14,1
	ჩრდილოეთ კავკასია								
	абсолютные	1745	2800	3207	4364	4813	5305	6645	6726
	%	22,9	25,9	25,2	26,2	25,5	25,2	30,0	29,5
	მათ შორის								
1.	**ადიღე**								
	абсолютные	114	242	285	386	404	432	447	445
	%	1,5	2,3	2,2	2,3	2,1	2,0	2,0	2,0
2.	**ყარაჩაი-ჩერქეზეთი**								
	абсолютные	102	243	278	345	367	415	439	435
	%	1,3	2,3	2,2	2,1	2,0	2,0	2,0	1,9
3.	**ყაბარდო-ბალყარეთი**								
	абсолютные	204	359	420	588	666	753	902	897
	%	2,7	3,3	3,3	3,5	3,6	3,6	4,0	3,9
4.	**ჩრდილოეთ ოსეთი – ალანია**								
	абсолютные	152	329	451	553	592	633	710	704
	%	2,0	3,0	3,5	3,3	3,1	3,0	3,2	3,1
5.	**ინგუშეთი**								
	абсолютные	75	697	710	1064	1156	1270	467	482
	%	1,0						2,1	2,1
6.	**ჩეჩნეთი**								
	абсолютные	310						1104	1141
	%	4,1	6,4	5,6	6,4	6,1	6,0	4,9	5,0
7.	**დასტანი**								
	абсолютные	788	930	1063	1428	1628	1802	2576	2622
	%	10,3	8,6	8,4	8,6	8,6	8,6	11,6	11,5

შენიშვნა: მოსახლეობის რაოდენობა 2005 წლის მაცხოვრები მიმდინარე ალიაესეის, ხოლო დანარჩენ წლებში მოსახლეობის ადგილების მონაცემების მიხედვით. 1939-1989 წლებში ჩეჩნეთი და ინგუშეთი გაერთიანებული იყო და იწოდებოდა ჩეჩნო-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკად. ამიტომ ირიცხება კავკასიაში ყველა ავტონომიური რესპუბლიკა და ავტონომიური ოლქი გადაკეთდა რესპუბლიკად და წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სუბიექტს.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ისე როგორც მთელ XIX საუკუნეში, კავკასიაში მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით საქართველო გამოირჩეოდა. 1926 წელს კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 35,1 პროცენტს უდრიდა, ე.ი. ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. საქართველოს შემდეგ კავკასი-

აში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობა კავკასიის მთელი მოსახლეობის 30,4 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის (ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო-ოსეთის-ალანიას, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის რესპუბლიკები) მოსახლეობის წილი 22,9 პროცენტს არ აღემატებოდა.

2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ძირითადად ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილმა 19,8 პროცენტი შეადგინა ნაცვლად 35,1 პროცენტისა 1926 წელს. სამაგიეროდ ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი – 30,4 პროცენტიდანან 36,6 პროცენტამდე.

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა
(ათასი კაცი)

წლები	სამხრეთ კავკასია		მ ა თ შ ო რ ი ს					
			საქართველო		აზერბაიჯანი		სომხეთი	
	абсолют.	%	абсолют.	%	абсолют.	%	абсолют.	%
1897	4816	100.0	2109	43.8	1807	37.5	900	18.7
1926	5862	100.0	2667	45.5	2314	39.5	881	15.0
1959	9507	100.0	4044	42.5	3698	38.9	1765	18.6
1989	15726	100.0	5400	34.4	7021	44.6	3305	21.8
2002	15955	100.0	4601	28.8	8141	51.0	3213	20.2
2005	16079	100.0	4516	28.1	8347	51.9	3216	20.0

წყარო: Всесоюзная перепись населения 17 декабря 1926г. Краткие сводки. Выпуск IV. Народность и родной язык населения СССР. Москва, 1928, с.124-128. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, თბ., 1991, გვ.4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, თბ., გვ.18.Population of Azerbaijan. Baku, 2006, p.19. Статистический ежегодник Армении. Ереван, 2006, с. 26.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 1897, 1926, 1989 და 2005 წლებში (პროცენტებით)



წ ლ ე ბ ი

ქართველ მოსახლეობაში შობადობის სისტემური შემცირების შედეგად ქართველე-

ბის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაშიც. თუ ისტორიულად სამხრეთ კავკასიაში ქართველები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი იყო სხვა მკვიდრ ერებთან შედარებით, შემდეგში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კერძოდ, 1926 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველები მეტნი იყვნენ სომხებზე 465 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებზე – 145 ათასი კაცით. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ქართველებს სომხები აღემატებოდნენ 107 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები – 2394 ათასით. მოსახლეობის ბოლო აღწერების მონაცემებით სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელები ქართველებს უკვე 3751 ათასი კაცით ჭარბობენ. ამასთან აზერბაიჯანში 1989-1999 წლებში აზერბაიჯანელები 1400 ათასი კაცით გაიზარდა.

1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა – 39,5-ს, ხოლო სომხეთისა – 15,0 პროცენტს. 2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა – სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და იგი 28,1 პროცენტი გახდა. აზერბაიჯანის მოსახლეობამ შეადგინა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი – 51,9 პროცენტი. ამაღლდა სომხეთის მოსახლეობის წილიც – 20,0 პროცენტამდე.

საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის პერმანენტული შემცირებისა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, ქვეყანას დიდად გაუჭირდება თავისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და საერთოდ ეროვნული ამოცანების განხორციელება, საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობას, ადრინდელ მიმზიდველობას დაკარგავს ქართველი ერისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი ხდება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი, ერის გენოფონდის ცვლილება. ყოველივე ეს კი განსაკუთრებით საშიშია ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც საკმაოდ მრავალია ინტერესთა გადაკვეთის წერტილები და, ამდენად, გაძნელებული საკუთარი ინტერესების დაცვა. ეს მით უფრო საგულისხმო ხდება გლობალიზაციის პირობებში.

გლობალიზაციის პროცესს ნაკლებად აინტერესებს ეროვნული ფასეულობები, და მაშასადამე, ასეთ პირობებში თითოეულმა ერთმა თავად უნდა იზრუნოს, თავად უნდა მონახოს ძალა თავისი ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, სულიერების დასაცავად და განსაკუთარებლად.

თუკი საინტერესოა მსოფლიოსათვის სხვადასხვა კულტურა, მაშინ უნდა შეეინარჩუნოთ ამ კულტურების მატარებელი ეთნოსები. კულტურის გლობალიზაციას არ უნდა ემსხვერპლოს კაცობრიობის ეთნიკური მრავალფეროვნება. უფალმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქეს უთვალავი ფერითა“ და ჩვენც მოვალენი ვართ გლობალიზაციის პროცესში შეეინარჩუნოთ ეს პარმონია.

ლიტერატურა

[1] ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 201.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 85.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 85-86
[5] ქართული პროზა. წიგნი პირველი, გვ. 584.
[6] თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, გვ. 103,113.
[7] მ. იამანიძე. საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში. თბ.,2006, გვ. 208.
[8] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, თბ., 1936, გვ. 17.
[9] ჟ. პ. ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბ., 1988, გვ. 107-108.
[10] იქვე, გვ. 106.
[11] იქვე, გვ. 56.
[12] მაჯდ-ოს-სალტანე. ქალაქ თბილისის აღწერა. თბ., 1971, გვ. 40.
[13] Смелзер. Н. Социология. М; 1998, с. 96-97.

[14] ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V,თბ., 1961, გვ. 214.
[15] Гупта П. Краснодарский край Российской федерации… Жур. «Центральная Азия и кавказ», № 5, 2006, с. 151.
[16] Маркеденов С. Этнополитические процуссы в ростовской области. Жур. «Центральная Азия и кавказ», № 2, 2005, с. 166.
[17] Савва М. Конфликтный потенциал межетнических отношений на Северном Кавказе. Жур. «Центральная Азия и кавказ», № 3, 2004, с. 81.
[18] ი. ჭაღჭაღაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 216-217.
[19] Марков Е. Очерки Кавказа. С. Петербург – Москва, 1887, с. 214.
[20] Канадпев И. Очерки Закавказской знзни. Баку. 1990, с. 80-81.
[21] Жур. «Русская старина». 1909, январь, с. 212.
[22] ოსთა საკითხი. თბ., 1996, დანართი, გვ. 308-309.
[23] Ахмедов С. Внешная политика Азербаджанской республики в контексте развития транснациональных компаний. Баку – Элм, 2006, с. 87, 90-91.

ქართველები

„რომელთა ქართველთა განმრავლებაი იღვაწონ... ხოუკუნოცა არს ხახსენებელი და კურთხეული მათი!“

გიორგი მთაწმინდელი.

XI საუკუნის ცნობილი ქართველი ხახელიერო და ხაზოგადო მოღვაწე.

თანამედროვე საქართველოს ტერიტორია ადამიანის მიერ ათვისებულია ძრაველი ათეული ათასი წლის წინათ. უძველესი ადამიანის ნაკვალევი ქვის ხანის ეპოქიდან არის ცნობილი. ევროპის ხალხები სულ ახლახან ერთმანეთს ეცილებოდნენ „პირველი ევროპელის“ წოდებას, მაგრამ მას შემდეგ რაც დმანისის რაიონში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ცნობილმა ქართველმა, ამერიკელმა, ფრანგმა, გერმანელმა და სხვა უცხოელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის წინაპარს საქართველოში უხსოვარი დროიდან უცხოერია, ადამიანის განსახლების საკითხში ერთბაშად ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ, მეცნიერებაში აღიარებული პიპოთეზის მიხედვით, ჩვენი ბიოლოგიური წინაპარი – პირველი ჰომო წარმოიშვა აფრიკაში დაახლოებით 2,5 მილიონი წლის წინათ. დიდი ხნის განმავლობაში იქვე ბინადრობდა და დაახლოებით ერთი მილიონი წლის წინათ გაერცელდა ევრაზიაში. დმანისის პალეოანთროპოლოგიურმა აღმოჩენებმა არსებითად შეცვალა ჰიპოთეზა და ახლებურად დააყენა პრობლემა ადრეული ადამიანის ევოლუციის, გაერცელების დროისა და გზების შესახებ. დღეს დაეჭვა არ იწვევს, რომ ევრაზიაში პირველი ჰომინიდი 1,81 მილიონი წლის წინათ უკვე ბინადრობდა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე[1].

ძველი ქვის ხანის ადამიანი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ უნდა ყოფილიყო განსახლებული, რასაც ამტკიცებს უკვე გამოვლენილი პალეოლითის ეპოქის ძეგლთა სიმრავლე. საქართველოში სულ ამ დროის 400-ზე მეტი ძეგლია აღნუსხული, რომელთაგან დაახლოებით 280 ქვედაპალეოლითის ეპოქით თარიღდება. ისინი გაერცელებულია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. განლაგების მიხედვით თუ ეიმსჯელებთ ქვედა პალეოლითში, აშელისა და მუსტიეს კულტურებში ადამიანი ფართოდ განსახლებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათ მაღალ მთიანეთშიც კი უცხოერიათ და ათვისებული აქვთ ყველა ლანდშაფტური ზონა. მათი სადგომები განლაგებულია როგორც მღვიმე-ეხებში, ისე „ღია“ ადგილებში. ეს პროცესი განაპირობა უაღრესად ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, მდიდარმა ცხოველეთთა და საკვებად ვარგისმა მცენარეულმა სამყარომ, ქვის იარაღების დასამზადებლად ვარგისი ნედლეულისა და ბუნებრივი თავშესაფრების სიმრავლემ.

მეზოლითის ეპოქაში საქართველოში აღმოჩენილი მასალა გვიჩვენებს იარაღის წარმოების ტექნიკის თანდათანობით განვითარების პროცესს. თვით მეზოლითური ძეგლების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა კი აშკარად მოწმობს, რომ „მეზოლითი არ წარმოადგენს აქ შემთხვევით მოსული ადამიანთა უსახო ან სხვა ადგილიდან გადმონერგილ კულტურას, რომ იგი ადგილობრივი ზედა პალეოლითიდან იღებს საწყისებს და ასახავს მოცემული მეზოლითიელთა შედარებით ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრების მიმდინარეობას“[2].

საქართველოს ნეოლითის ეპოქაში გვხვდება საკმაოდ მძლავრი ღია ნამოსახლარები, რომლებსაც ზოგჯერ რამდენიმე აეკტარი ფართობი უკავია. ამ ეპოქაში დასახლებათა ტიპი სოფლის სახეს იღებს. დემოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა არა მარტო სოფლების წარმოქმნა, არამედ გარკვეულ მეკრორეგიონებში მოსახლეობის სიმჭიდროეს ფაქტიც. რისი დადგენის საშუალებასაც დასახლებათა ტოპოგრაფია იძლევა. „დასახლება – სოფლები მეტ-ნაკლებად კომპაქტურ ჯგუფადაა განლაგებული ერთმანეთისაგან დაახლოებით 10-15 კმ-ის დაცილებით. თითოეული ასეთი ჯგუფი შედგება რამდენიმე (3-5) სოფლისაგან. ასეთი სოფლები ერთმანეთისაგან 0,5-5 კმ-ის დაცილებით არიან განლაგებული. საქართველოში რამდენიმე ასეთი

დასახლებაა გამოელენილი და შესწავლილი. ძალზე ძნელია დაბეჯითებით მსჯელობა თითოეული კონკრეტული დასახლების ფართობსა და მოსახლეობის რაოდენობაზე. ვარაუდობენ, რომ შულავერის გორაზე განლაგებულ დასახლებას დაახლოებით 1 ჰა ფართობის ეკავა და შედგებოდა 60-მდე სახლისაგან, რომელთაგან თითოეულში 5-8 სული ცხოვრობდა. ასე რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 400-500 სულს აღწევდა. ამავე წესით გაანგარიშებისას იმირის გორის მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება 300 სულით განისაზღვროს, ხოლო მთლიანად შულავერის ჯგუფისა, რომელიც ითხი სოფლისაგან შედგებოდა, დაახლოებით 1200-1300 სულით. მთლიანი ფართობი, რომელიც ამ ოთხ სოფელს ე. ი. ერთ ჯგუფს ეკავა, განისაზღვრება დაახლოებით 500 ჰა-ით, რომლისაგან მხოლოდ 2/3 გამოდგებოდა სახნავ-საძოვრად, დანარჩენი კი ტყეებს ეკავა"[3]. ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ ბინადარ სახოგადოებასთან, სადაც მეურნეობის მთავარი დარგებია მაღალი დონის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

ქვის ხანა შეცვალა ლითონის – ჯერ ბრინჯაოს, შემდეგ კი რკინის ხანამ. ამიერიდან საზოგადოების განვითარება, მისი პროგრესი არნახულად ჩქარდება. უადრესად ხელსაყრელი პირობები იქმნება მოსახლეობის გამრავლებისათვის. სტაბილური გახდა ადამიანის საარსებო პირობები, ჩნდება გუთანი.

ამ პერიოდში იქმნება განსაკუთრებული სამიწადმოქმედო კულტურა, რომელიც უაქტობრიავად ბრინჯაოს ხანის კულტურაა და ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის სახელწოდებით. ეს კულტურა გავრცელებული იყო მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში და ძირითადად წინა პერიოდის ტრადიციებს აგრძელებდა, მაგრამ იგი წინა კულტურასთან შედარებით გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგა. მტკვარ-არაქსის კულტურა გაერცელდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე – სამხრეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩრდილო-დასავლეთ ირანში. მისი ელემენტები ჩანს სირია-პალესტინისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამ კულტურისათვის დამახასიათებელია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დაწინაურება, სპილენძის მეტალურგიის განვითარება, სრულიად განსხვავებული კერამიკა. ამ პერიოდში, III ათასწლეულში, საბოლოოდ ჩამოყალიბდა კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები.

მტკვარ-არაქსის კულტურამ იმ პერიოდში გასაოცარ სიმაღლეს მიაღწია. რა თქმა უნდა, ასეთი კულტურის შექმნა და გაერცელება შესაძლებელი იყო ამ ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობის პირობებში. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ უამრავი, ზოგჯერ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს, მაგრამ ის მასალა, რაც აღმოჩენილია და რაც შორეული წარსულის წედომის საშუალებას იძლევა, ყველაზე მეტად, და, შეიძლება ითქვას, გადაჭრითაც, იმაზე მიანიშნებს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, ქართველურენოვან ტომებს მიუძღვით დამსახურება, აგრეთვე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ კულტურის განვითარებაში ხურიტულენოვანმა ტომებმა.

მტკვარ-არაქსის კულტურის მემკვიდრეა თრიალეთის კულტურა, რომლის ძეგლებად უმთავრესად ყორღანული სამარხების კულტურა ითვლება. იგი ბრინჯაოს ხანის კულტურაა. ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ადგილი ჰქონია მიგრაციულ პროცესებს, მოსახლეობის ახალ-ახალი ტალღის შემოსვლას, მაგრამ გლობალურ ეთნიკურ ძერებს, ცხოვრების ხასიათის მნიშვნელოვან შეცვლას ადგილი არ ჰქონია. საბოლოოდ ყველაფერს მაინც ადგილობრივი მოსახლეობის წესი და მისი განვითარების კანონზომიერებები განსაზღვრავდა.

მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის მაღალგანვითარებული კულტურების არსებობა შეუძლებელი იყო საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობის გარეშე. ამას მოითხოვდა, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უამრავი გორასამარხების აგება, რომ არაფერი ეთქვათ სხვა, თუნდაც საყოფაცხოვრებო, ნაგებობებზე. მაგალითად, ზურტაკეტის (თრიალეთი) უდი-

დესი გორასამარხების ქვაყრილის დიამეტრია 100 მ, სიმაღლე – 8 მ, დასაკრძალავი დარბაზის შიგა ფართობი 150 m^2, კედლების სიმაღლე 4-6 მ. ასეთი გორასამარხების აგება დიდ შრომით დანახარჯებს საჭიროებდა. კერძოდ, წნორის დიდი ყორღანის ასაგებად უნდა დახარჯულიყო დაახლოებით 22 000 კაც-დღე[4], ე. ი. ასეთი ყორღანის ასაგებად ერთი წლის განმაელობაში ყოველდღიურად 60 კაცს უნდა ემუშავა.

საქართველოს ტერიტორიაზე კულტურები უწყვეტად ეითარდებოდა და არც რაიმე არსებით ეთნიკურ ცვლილებებს ჰქონია ადგილი. ძველი წელთაღრიცხვის V-III ათასწლეულში სამხრეთ კაკასიის ზეგანზე ჩამოყალიბდა საერთო ქართველური ენის მქონე ეთნიკური ერთობა.

უძველესი დროიდან თანამედროვე საქართველოს და მის სამხრეთით, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსაელეთით მიმდებარე ტერიტორია, ქართველი ტომებით იყო დასახლებული. უძველესი ცნობები ქართველი ტომების შესახებ დაცულია ძველ ბერძენ ავტორთა ნაშრომებში. კერძოდ, აპოლონიოს როდოსელის „არგონაეტიკაში", რომელშიც გადმოცემულია არა ამ თხზულების შექმნის პერიოდის (ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნე) ადამიანთა საზოგადოებისა და ყოფა-ცხოერების განეითარების ამსახველი ცალკეული დეტალები თუ ეპიზოდები, არამედ გეიან ბრინჯაოს ხანისა (ძველი წელთაღრიცხვის XIV-XIII საუკუნე), კერძოდ, იმ ეპოქისა, როდესაც მოეწყო არგონაეტების ლაშქრობა კოლხეთში. ეს ცნობები კი, როგორც ჩანს, აპოლონიოს როდოსელმა მოიპოვა ძველ ბერძენ მწერალთა წყაროებში, რომლებსაც იგი „არგონაეტებზე" მუშაობის დროს იყენებდა. თხზულებაში ავტორი ჩამოთვლის შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ქართველ ტომებს მათი განსახლების ადგილის მიხედეით. აპოლონიოს როდოსელის მიერ დახასითებული ქართველი ტომებიდან (ხალიბები, ტიბერენები, მოსინიკები, მაკრონები, საპირები, კოლხები) მრავალრიცხოვანია კოლხების ტომი („კოლხთა მრავალი ათასიანი ხალხი", „კოლხთა ურიცხეი ლაშქარი")[5] და, აგრეთეე, მოსინიკები. რაც შეეხება ხალიბებს, მათი ქეეყანა ერცელია. ძველი წელთაღრიცხეის V საუკუნის მეორე ნახეეარში ქართველი ტომების განსახლების შეესახებ ასეეე ფასდაუდებელ ცნობებს გეაწედის ბერძენი ავტორები ჰეროდოტე, ქსენოფონტე და სხვ. ქსენოფონტეტს მიხედეითაც შეი ზღვის სანაპიროზე ცხოერობენ ქართველი ტომები, ხალიბები, მაკრონები, კოლხები, ტაოხები და სხვ. მოსიკანების ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, ქსენოფონტეს „ანაბასისში" დაცული მონცემების საფუძველზე ჩეენს მიერ გაკეთებული გაანგარიშების მიხედეით, 30 ათას კაცს მაინც უდრიდა[6]. შაეი ზღვის სანაპირო'ხე კი მრავალი ქართველი ტომი ცხოერობდა.

ძველ ბერძენ მწერალთა თხზულებებში დაცულია აგრეთეე ცნობები ქართველი ტომის მესხების შესახებ, რომელიც უძველეს დროში ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ძველი წელთაღრიცხეის XI საუკუნიდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები, და კასკები, რომელნიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკეე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან[7]. სწორედ მესხთა ტომის სიძლიერე'ს მეტყველებს ასურული წარწერა, რომელიც ძველი წელთაღრიცხეის 1100 წლით თარიღდება. ამ წარწერაში მოხსენიებულია სუბარების ქეეყანა და „მისი ამაყი და ურჩი ხალხი." როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები, რომელნიც ზოგჯერ თვითო ესხმოდნენ თაეს ასურეთს და მის თემებს იპყრობდნენ[8]. იმაეე ა'ხრს ანეითარებს ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დეეიდ ლენგი: „მუშკები (თანამდროვე მესხები) დაახლოებით 1165 წელს ჩეენს წელთაღრიცხეამდე დამკეიდრდნენ ეეფრატის სათაეეებთან... ამაეე პერიოდში მათი ნაწილი ცხოერობდა სამხრეთ-დასაელეთ საქართველოში და წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და გაელენიან მესხთა ტომს (მოსხი, რომელთა შესახებ წერენ ბერძენი გეოგრაფები). მათ მიერ ჩამოყალიბებულმა პროეინციამ სამცხემ დღეეანდლამდე შეინარჩუნა თაეისი განმასხეავებელი თაეისებურებანი"[9]. მისიეე აზრით ელასიკური იბერიის სახელმწიფო, რომელიც გაერთიანებული იყო საერთო ქართული ენით, შეიცავდა მესხების ეთნიკურ ჯგუფს[10].

დასავლეთ ქართველურ-კოლხთა ტო-

მის დიდი გაერთიანება ცნობილია ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან დიაოხის სახელწოდებით. ის ყველაზე ძლიერი ჩანს ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე „ნაირის ქვეყნებს“ შორის და მისი გაელენა XIII-XII საუკუნეებში ერცელდებოდა შავიზღვისპირეთში მცხოვრები კოლხური ტომების გაერთიანებაზე. დიაოხი ძველი წელთაღრიცხვის XII-VIII საუკუნეებში ძლიერ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა. VIII საუკუნეში ურარტუმ და კოლხამ დიაოხი გაანადგურეს. მან არსებობს შეწყვეტა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი კოლხეთის სამეფო, რომელიც ცნობილი იყო მთელ ანტიკურ საფაროში. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დასავლეთ საქართველოში წარმოიქმნა ეგრისის სამეფო, რომელსაც ანტიკურ წყაროებში ლაზიკა ეწოდებოდა. კოლხები ლაზების უშუალო წინაპრები იყვნენ. მეთორმეტე საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე ცეცეს მიხედვით კოლხებს „ლაზებიც ეწოდებოდათ“, „კოლხები ლაზური ტომია“[11]. უფრო ადრინდელი, კერძოდ, V საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფის ცნობით: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლიდან (ახლანდელი სოხუმი – ა.თ.) მოკიდებული, ვიდრე აფსაროსამდე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“. VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის აგათიას ცნობითაც: „ლაზები მრავალრიცხოვანი და მეომარი ხალხია. ისინი ბატონობენ სხვა მრავალ ტომზე. ლაზები ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა არც თუ უსაფუძველოდ“[12]. ამრიგად, „წყაროები ერთხმად მიუთითებენ ლაზებისა და კოლხების გენეტიკურ ურთიერთკავშირზე. ლაზებმა კი დღემდე შემოინახეს თავიანთი ენა, რომელიც (მეგრულ-ლაზურთან ერთად) დასავლურ ქართულია“[13].

ძველი კოლხეთისა და შემდეგ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში შედიოდა თითქმის მთელი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია. ამრიგად, ეს ტერიტორია ქართველი, კერძოდ, კოლხური ტომებით იყო დასახლებული. მაგალითად, ჰეკატიოს მილეტელი (ძვ. წ. VI ს.) და ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. IV ს.) ნაწარმოებში დაცული ცნობებით ქ. დიოსკურიის ჩრდილოდასავლეთით მდებარე ტერიტორია ეჭირათ კოლხურ ტომებს – კოლებსა და კოლაქსებს. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, კოლები და კოლაქსები ქართველი ტომებია...

აღსანიშნავია, რომ დიოსკურია – სოხუმს ამ პერიოდში ჩრდილოეთიდან ქართველი ტომი სვანები ემეზობლება, რომელსაც ძველ დროში აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა. ასეთ ცნობას გეოწერის II საუკუნის ცნობილი გეოგრაფი კლაუდიოს პტოლემაიოსი. უფრო მეტიც, სვანებს დიდი ტერიტორია ეჭირათ ზღვისპირეთიდან იმიერკავკასიის ბარამდე.

სტრაბონის დახასიათებით, სვანების ტომი საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ, ფლობენ ირგვლივ ყველაფერს, მთელი ხალხი მეომარია და შეუძლიათ გამოიყვანონ 200 000 კაცი ომიანობის დროს. მათ უყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის[14].

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, კერძოდ მის ჩრდილოეთ ნაწილში, კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში, როგორც ჩანს, არსებობდა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელმაც შეაჩერა ჯერ ურარტუს, ხოლო შემდეგ მიდიისა და აქამენიანთა ირანის ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ. სამხრეთ საქართველოში ამ დროს რამდენიმე ქართველი ტომი სახლობდა, რომელთა შორის თავისი სიძლიერით გამოირჩეოდა მესხები. ერთიანი აღმოსავლურ ქართული სახელმწიფო – ქართლის სამეფო (იბერია), წარმოიქმნა ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში[15]. იბერიის მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით საგულისხმოა სტრაბონის შემდეგი ცნობა: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც დ დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“[16]. სტრაბონი იმასაც გეამცნობს, რომ იბერთა ტომებს აქვთ მდიდარი ქვეყანა და „განსაკუთრებთ ეარგისი კარგად დასახლებლად“, მაშინ როდესაც „კავკასიონის მახლობლად არიან ღარიბები და მცირე მიწის მქონენიო“. ამრიგად იბერების ქვეყანა

მდიდარია და კარგად დასახლებული. მათ შეუძლიათ მრავალი ათასი მებრძოლის გამოყვანა. ამრიგად ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იბერიის მოსახლეობა მრავალრიცხოვანი იყო.

ჩვენს ნელთაღრიცხვამდე სხვადასხვა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა მხოლოდ მიახლოებითი ეარაუდის დონეზე შეიძლება. საეროოდ ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ცალკეულ პერიოდებში ადამიანთა რიცხვის განსაზღვრა ძალიან ძნელია. რაც ზემოთ ითქვა, თუ იმ ფაქტებს ანალიზის საგნად ვაქცევთ, და მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მიმართებაში განვიხილავთ, მაშინ შეიძლება იმ ეპოქებში მცხოვრებთა მიახლოებითი რაოდენობის შესახებ მსჯელობა.

ამჟამად მეცნიერთა უმრავლესობის მიერ გაზიარებული ჰიპოთეზის თანახმად კაცობრიობის წინარე სამშობლო აფრიკა არის. ქვედა პალეოლითის ხანაში, ანუ 1 მილიონი წლის წინათ აქ დასახლებული პირველყოფილი ადამიანების რიცხვს 125 ათასი კაცით განსაზღვრავენ. ამ პერიოდში მოსახლეობა უკიდურესად ნელა იზრდებოდა და ერთ მილიონ კაცს მან მხოლოდ 700 ათასი წლის შემდეგ, ანუ 300 ათასი წლის წინათ მიაღწია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ათას წელიწადში მოსახლეობა საშუალოდ 1250 კაცით იზრდებოდა, ხოლო ყოველ 1 წელიწადში – 1,25 კაცით. უკვე 25-10 ათასი წლის წინათ მსოფლიოში შესაბამისად 3,3 და 5,3 მილიონი კაცი ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ადამიანთა ასეთი რაოდენობა საკმარისი იყო ცივილიზაციის ფორმირების უზრუნველყოფისათვის ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობით[17].

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის გასაზღვრის დროს ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებში ჩვენ მხედველობაში ვიღებთ ნასახლარების რაოდენობას, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, მიწათმოქმედების გავრცელების მასშტაბებს. მაგალითად ცნობილია, რომ ერთი და იგივე ფართობიდან მიწათმოქმედების დროს შეიძლება გამოიკვებოს 20-30-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე მეცხოველეობის დროს, ხოლო მეცხოველეობის დროს 20-30-ჯერ მეტი, ვიდრე მონადირეობის დროს[18]. გარდა ამისა, მეურნეობის განვითარების გარკვეული დონე შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის ასევე გარკვეული სიმჭიდროვის პირობებში. 1883 წელს ფრანგმა მეცნიერმა ჟ. ე. ლევასერმა წარმოაყენა მოსახლეობის სიმჭიდროვისა და მეურნეობის განვითარების დონეს შორის კავშირის სქემა, რომლის თანახმად ნადირობის, თევზჭერისა და შემგროვებლობის დროს მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ^2-ზე 0,002 კაცზე ნაკლებია, მესაქონლეობის დროს 0,02-2,7 კაცს უდრის, ხოლო მიწათმოქმედების დროს – 2,7-40 კაცს[19].

მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში ვიღებთ აგრეთვე მაღალგანვითარებული კულტურების არსებობის, ცალკეული ქართველი ტომების რაოდენობის შესახებ დაცულ ზოგად ცნობებს, საცხოვრებელ პირობებს, კულტურების განვითარების დონეს, ბრძოლის დროს გამოყენებული მეომრების რაოდენობას და სხვ. მაგალითად, როგორც სტრაბონი აღნიშნავს, ქართველ ტომს სვანებს შეეძლოთ გამოეყვანათ 200 000 მებრძოლი. ასეთ შემთხვევაში სვანების რაოდენობა ერთ მილიონს მაინც უდრიდა. რა თქმა უნდა, ეს ცნობა გადაჭარბებულად მიგვაჩნია, მაგრამ იმაზე მაინც მეტყველებს, რომ სვანები კავკასიაში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ტომი იყო.

საქართველოს ტერიტორიაზე ქვედაპალეოლითის დაახლოებით 280 ძეგლია აღრიცხული. რა თქმა უნდა, ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი და ბევრის გამოვლენაც, ალბათ, შეუძლებელი გახდება. ეიცით, რომ ამ პერიოდში ადამიანი ფართოდ იყო განსახლებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მათ მაღალ მთიანეთშიც კი უცხოვრიათ, ათვისებული აქვთ ყველა ლანდშაფტური ზონა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გაეიგოთ, რომ მთელ ტერიტორიაზე ადამიანი თანაბრად იყო განსახლებული. იგი მთასა თუ ბარში საცხოვრებლად იყენებდა მხოლოდ ბუნებრივ მღვიმეებსა და ეხებს, საცხოვრებლად მოსახერხებელ „ღია" ადგილებს. ამიტომ არის, რომ ადამიანს ზოგიერთ ერთი და იმავე ძეგლზე ათასეული წლების განმაელობაში უცხოვრია. ისინი 10-30 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად ცხოვრობდნენ. თუ ზემოთ აღნიშნულ სხვა ფაქტორებსაც გავითვალისწი-

ნებთ, მაშინ ქეედა პალეოლითის აშელის კულტურის დასასრულისთვის, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია ქვის ხანის ისტორიაში და ათასეულობით საუკუნეს მოიცავს, საქართველოში 20 ათას ადამიანს უნდა ეცხოვრა.

ქეედა პალეოლითის მუსტიეს კულტურის დასასრულს, რომელიც 60 ათასზე მეტ წელს მოიცავს და 40-35 ათასი წლის წინათ დამთავრდა, საქართველოს ტერიტორიაზე 30 ათას კაცს მაინც უნდა ეცხოვრა. ამ პერიოდში უმჯობესდება იარაღების დამზადების ტექნიკა და მთელი რიგი ცვლილებები ხდება სამეურნეო ცხოვრებაში. უნდა ვიეარაუდოთ, რომ ყოველ საუკუნეში მოსახლეობა 20 კაცით მაინც გაიზრდებოდა. ზედა პალეოლითის, მეზოლითისა და განსაკუთრებით ნეოლითის დროს მოსახლეობა სწრაფად იმატებს. თუ გავითვალისწინებთ იმ პროგრესს, რასაც ადგილი ჰქონდა მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქებში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სოფლის დასახლებების წარმოშობას და სხვ., მაშინ ძვ. წ. X და III ათასწლეულების დასაწყისში იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობა შესაბამისად 60 ათასსა და 100 ათას კაცს მაინც უდრიდა, ე. ი. მოსახლეობა ზედა პალეოლითისა და ნაწილობრივ მეზოლითის ეპოქებში (30 ათასი წლის განმავლობაში) ყოველწლიურად საშუალოდ ერთი კაცით, ხოლო მეზოლითსა და ნეოლითში (7 ათასი წლის განმავლობაში) – 6 კაცით იმატებდა.

ბრინჯაოს და რკინის ხანაში მოსახლეობა სწრაფად იზრდება. ამ პერიოდში უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება მოსახლეობის გამრავლებისთვის. როგორც ჩანს, ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობამ მნიშვნელოვნად მოიმატა და იგი 400 ათასს კაცს მაინც უდრიდა, ყოველწლიური მატება უკვე საშუალოდ 150 კაცს შეადგენდა. ჩვენი ერის დასაწყისისთვის კი იმ პერიოდის საქართველოში დაახლოებით 1-1,5 მილიონ კაცს შეიძლება ეცხოვრა.

მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტ ცნობებს მოსახლეობის აღწერები იძლევა. ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, მოსახლეობის აღწერა, რომლის მონაცემების გადაანგარიშების საფუძველზე შეგვიძლია XIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დავადგინოთ, 1254 წელს მონღოლებს ჩაუტარებიათ. ლიტერატურულ წყაროებში მითითებული ცნობების მიხედვით საქართველოში მოსახლეობის აღწერები უფრო ადრეც ჩაუტარებიათ (VI და XI საუკუნეებში), მაგრამ აღწერების მასალები დაკარგულია.

„ქართლის ცხოვრებაში" (საქართველოს ისტორია), რომელიც ძველი ქართველი მემატიანეების მიერაა დაწერილი, დაცულია 1254 წელს აღწერის საკმაოდ დეტალური მონაცემები. ამ მონაცემთა გაანგარიშების საფუძველზე ირკვევა, რომ ამ პერიოდის საქართველოში ცხოვრობდა დაახლოებით 8 მილიონი კაცი. მართალია, ამ დროისათვის საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ, მაგრამ XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველომ მიაღწია თავისი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური განვითარების მწვერვალს და იგი უდიდეს სახელმწიფო წარმოადგენდა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

მონღოლთა ბატონობამ თავისი მძიმე კვალი დაამჩნია ქვეყანას, რაც მისი მოსახლეობის შემცირებაშიც გამოიხატა – მონღოლების შემოსევებისა და ბატონობის შედეგად ასიათასობით ქართველი დაიღუპა. ამასთან მონღოლებმა დაეავლდებულეს საქართველოს მოსახლეობა ებრძოლა მათ ჯართან ერთად. ქართველები მონღოლების დაპყრობით ომებში იბრძოდნენ და უამრავი სისხლი დაღვარეს.

XIV საუკუნის 30-იან წლებში მეფე გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346 წლები) შეძლო მონღოლთა ბატონობისაგან თავის დაღწევა და საქართველოს ერთიანობის აღდგენა, მაგრამ მალე ქვეყანას უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს – 1386-1403 წლებში თემურლენგი რეაჯერ შემოესია საქართველოს და ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა.

სპარსელი ისტორიკოსების მიხედვით, თემურლენგი დიდ გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მუსულმანური ქვეყნების გარემოცვაში როგორ შემორჩა ქრისტიანული სარწმუნოება საქართველოში. იგი იმუქრებოდა, რომ უსათუოდ გამოასწორებდა წინაპართა მიერ დაშვებულ ამ შეცდომას,

ერთბაშად ისლამის სფეროში შეეყარით საბოლოოდ უნდა დაეიმშვიდოთ მადალი გონებაო[20]. მართალია, თემურლენგმა გულისწადილი ვერ შეისრულა, მაგრამ მისმა შემოსეებმა აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა. უკვე ამ პერიოდიდან ქართველი ხალხი ხშირად ხმარობდა ტერმინებს: ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნაფუძვარი და სხვ. უცხოელი მწერლების ცნობით, დასავლეთ საქართველოში განადგურებული სოფლების რიცხვი 700-ს აღემატებოდა[21].

XVII საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს მოსახლეობა მრავშენელოვნად შეამცირა ირანის შაპის აბას I-ის შემოსეებმა. მისი ოთხი შემოსევის შედეგად 100 ათასი კაცი მტერს შეაკვედა, ხოლო 200 ათასზე მეტი სპარსეთში გადაასახლეს. XVII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 2,5 მილიონ კაცს უდრიდა.

XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის მრავშენელოვანი შემცირება გამოიწვია ადამიანებით ვაჭრობამ. დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელდა „ტყვის სყიდვა". ტყვეებს ყიდდა ევროპა წოდების წარმომადგენელი. აღმოსავლეთ საქართველოში კი ადამიანებს გასაყიდად იტაცებდნენ უცხო, უმეტესად მეზობელი დაღესტნელი ტომის წარმომადგენლები, რაც „ლეკიანობის" სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მახინჯმა მოვლენამ ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ მან ფაქტორიად წელში გატეხა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ქართველ კაცს მოთარეშეთა შიშით ცალ ხელში ხმალი ეჭირა, ხოლო მეორეში გუთანს იყო მოჭიდებული. რუსი კაპიტანი ნ. იაზიკოვი, რომელიც უშუალოდ ამ მოვლენის თვითმხილველი იყო, 1772 წელს აღნიშნავდა: „ქართველები ისეთ დიდ შიშში ცხოვრობდნენ, რომ არც ხენისა და არც სხვა საქმისათვის თავისი სახლიდან 100 მეტრის მოშორებითაც კი უიარაღოდ არ გაელენო"[22].

ტყვეებით ვაჭრობა უდიდესი ტრაგედია იყო ქართველი ხალხისათვის. ტყვეთა სყიდვის შედეგად კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, შემცირდა შობადობა, გაიზარდა მოკვდაობა, დეფორმირება განიცადა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივმა სტრუქტურამ, საგრძნობლად შემცირდა მშობადი კონტინგენტი, მოიშალა ქვეყნის კულტურული და საშეურნეო ცხოვრება, დაქვეითდა მისი ეკონომიკა და ბრძოლისუნარიანობა, უაღრესად შეფერხდა ქვეყნის წინსვლა და განვითარება. სიცოცხლის მოსალოდნელი ხელყოფის გამუდმებული შიში მოსახლეობის არამკარი ფსიქიკის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, გადაგვარების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ქართველი ერის გენოფონდი. ცნობილია, რომ ტყვეებად იტაცებდნენ რჩეულ – ყველაზე ლამაზ და ფიზიკურად ჯანსაღ ახალგაზრდა თაობას, რაც საფუძველს აცლიდა ერის გამრავლებას. სამაგიეროდ, ქართველი ტყვეები მტრების გამრავლების წყარო ხდებოდა. სწორედ ამ მოვლენის გამო, დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი, იმოწმებს რა ძველ მოგზაურს, აღნიშნავდა: „სპარსული სისხლი გაკეთილშობილებულია ორი ეროვნების – ქართველებისა და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხზე ლამაზები არიან. სპარსეთში თითქმის არ არის არცერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების შთამომავალი არ იყოს"[23]

ადამიანებით ვაჭრობის შედეგად უაღრესად დიდი იყო დემოგრაფიული დანაკარგები. მთლიანად საქართველომ 300 წლის განმავლობაში – 1550-1850 წლებში ტყვეების ვაჭრობის შედეგად 1350 ათასი კაცი მაინც დაკარგა. ტყვეებით ვაჭრობას ყოველმხრივ ხელს უწყობდა ოსმალეთი. დაყვეებულ ადამიანებს ძირითადად სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ. ჯერ კიდევ 1753 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II რუსეთს თხოვდა ზეწოლა მოეხდინა ოსმალეთზე ლეკების ასალაგმავად, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს საშინლად აწიოკებდნენ. როგორც წერილობითი წყაროების ანალიზი გვიჩვენებს დემოგრაფიული დანაკარგები თითქმის მთლიანად ქართველ ხალხზე მოდიოდა და ამდენად მისი წილი თანდათანობით მცირდება მთელ მოსახლეობაში. მაგრამ ამით არ ამოიწურება ადამიანებით ვაჭრობის საეალალო შედეგები – თაობებს მოესპო საკუთარი ერის გამრავლების შესაძლებლობები, რაც რამდენიმე მილიონი ქართველით განისაზღვრება. ძირითადად ადამიანებით ვაჭრობის შედეგად ისე შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, რომ 1770 წელს

ქვეყანაში 761 ათასი კაცი ცხოვრობდა. უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარებიდან გამოსავალს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთის მფარველობაში ხედავდა. 1783 წელს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ჩრდილო კავკასიაში გეორგიევსკის ციხესიმაგრეში დაიდო ხელშეკრულება, რომელიც იყო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში სუსტი სახელმწიფოს ნებაყოფილობითი შესვლის აქტი, რომლის თანახმად მეფე ერეკლე II-სა და მის მემკვიდრეებს უნარჩუნდებოდათ სამეფო ტახტი.

დასავლეთში გავრცელდა თვალსაზრისი, თითქოს რუსეთთან შეერთების დროს ქართველებს რაიმე პირობა არ წამოუყენებიათ. ასეთი მოსაზრების გავრცელებას ხელი შეუწყო რუსულ ისტორიულ მეცნიერებაში გეორგიევსკის ტრაქტატის ცალმხრივად და უადრესად მიკერძოებულად წაკითხვამ, რასაც ყურადღება მიაქცია ცნობილმა ქართველოლოგმა, ეენციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუიჯი მაგაროტომ. ამ მხრივ იგი სხვა ნაშრომებთან ერთად აღნიშნავს ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვასილ კლიუჩევსკის წიგნს „რუსეთის ისტორიის კურსი", სადაც ეკითხულობთ: „ჯერ კიდევ 1783 წელს სპარსეთის მიერ შევიწროებულმა საქართველოს მეფე ერეკლემ რუსეთის მფარველობა მიიღო. ეკატერინე იძულებული გახდა კავკასიის ქედის გადაღმა, თბილისში, რუსული პოლკი გაეგზავნა. მისი გარდაცვალების შემდეგ, რუსებმა დატოვეს საქართველო, სადაც სპარსელები შეიჭრნენ და ყოველივე გააჩანაგეს. იმპერატორი პავლე იძულებული გახდა დახმარებოდა ქართველებს და 1799 წელს ერეკლეს მემკვიდრე – გიორგი XII საქართველოს მეფედ ეცნო. გიორგიმ სიკვდილის წინ საქართველო რუსეთის იმპერატორს უანდერძა, რომელიც იძულებული გახდა 1801 წელს მიეღო ნაანდერძევი. ქართველებმა ყველაფერი იღონეს რუსეთის იმპერატორის მფარველობის მისაღებად"[24]. უპირველეს ყოვლისა, ე. კლიუჩევსკის მოტანილ ციტატაში ის იქცევს ყურადღებას, რომ ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას კისრულობდა ქართლ-კახეთის სამეფოში პყოლოდა ორი ქვეითი ბატალიონი ოთხი ზარბაზნით, რაც არ შესრულეს. ფაქტობრივად და იურიდიულად ამით რუსეთმა ტრაქტატი გააუქმა. როგორც პროფესორი ლ. მაგაროტო აღნიშნავს, ე. კლიუჩევსკის ეს ტექსტი მოვლენებისა და თარიღების აშკარა მისტიფიკაციაა. სინამდვილეში რუსმა ჯარისკაცებმა საქართველო დატოვეს არა ეკატერინეს გარდაცვალების (1796) შემდეგ, არამედ – 1787 წელს და სწორედ მათი გაწვევის გამო შეძლეს სპარსელებმა ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა და აოხრება 1795 წელს, როდესაც ეკატერინე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავს მშვენივრად გრძნობდა.

ასევე სრული სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს გიორგი XII-მ სიკვდილის წინ თავისი სამეფო იმპერატორ პაველს უანდერძა, რომელიც მოგვიანებით იძულებული გახდა, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მიეღო ნაანდერძევი ქვეყანა[25].

გიორგი XII-ემ, რომელიც მამის, ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798 წლის 11 იანვარი) შემდეგ ავიდა ტახტზე, მხოლოდ 3 წელი იმეფა – იგი 1800 წელს 28 დეკემბერს გარდაიცვალა. მაგრამ მანამდე რუსეთის იმპერატორს პაველ I-ს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების გაუქმება – 1800 წლის 18 დეკემბერს მან ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების შესახებ, თუმცა ამ დოკუმენტს თავდაპირველად საიდუმლოდ ინახავდნენ. მანიფესტი, ფაქტობრივად რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიას ნიშნავდა. რუსეთის ხელისუფლებამ, მიიღო თუ არა გიორგი XII-ის გარდაცვალების ცნობა, პეტერბურგსა და მოსკოვში 18 იანვარს გამოაქვეყნა პაველ I-ის მიერ ერთი თვის წინათ ხელმოწერილი მანიფესტი, 16-17 თებერვალს კი – თბილისში, რომელსაც ხალხი დიდი უკმაყოფილებით შეხვედა.

ამ პერიოდში, კერძოდ 1801 წლის 12 მარტს, სასახლის გადატრიალების შედეგად იმპერატორი პაველ პირველი მოკლეს. თბილისში იმედი ჩაესახათ, რომ ახალი იმპერატორი აღადგენდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობითობას და ახალ იმპერატორს ალექსანდრეს მიმართეს ამ თხოვნით, რომელმაც სახელმწიფო საბჭოს დაავალა კვლავ განეხილათ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის საკითხი. მაგრამ ფაქტობრივად ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო

და 1801 წლის 11 და 15 აპრილს სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე მიიღეს გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთების შესახებ ყოველგვარი თვითმმართველობის შენარჩუნების გარეშე. საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო დინასტია საბოლოოდ გაუქმეს. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრემ გამოაქვეყნა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთების შესახებ. იმპერატორი ქართველ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებრიობას აუწყებდა: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის საზღვართა გაფართოებისათვის ვიღებთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვეარაბობს ჩვენ საღვთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყროთ ტანჯულთა ვედრებას“ და ა. შ. ამ თავის გამართლების, ცრუ პროპაგანდისტული განცხადებით ისე გამოდიოდა, თითქოს რუსეთმა საქართველო 1801 წელს ქართველი მეფისა და ხელისუფლების თხოვნით მიიერთა.

შემდეგში რუსმა ისტორიკოსებმა სცადეს არსებული დოკუმენტების მიუკერძოებელი ანალიზის, საქართველოს რუსეთთან მიერთების რეალური ვითარების ჩვენების ნაცვლად, იმპერატორ ალექსანდრეს არასწორი, წინასწარგანზრახული თვალსაზრისის განმტკიცება. ე. კლიუჩევსკი აღნიშნავდა: „მთელი რიგი რთული მოვლენები გამოიწვია ქართველი გიორგი XII-ის ანდერძმა. რუსეთის ხელისუფლებამ სრულიად გულწრფელად და არაერთხელ აღიარა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით თავისი საზღვრების შემდგომი გაფართოების ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავს და აქედან არც არავითარი სარგებელი აქვს“[26].

სინამდვილეში სწორედ მოსალოდნელი სარგებლის გამო იმპერატორმა პაველ I-მა თბილისში მყოფ თავის წარმომადგენლებს უბრძანა საქართველოში იმხანად განლაგებული რუსეთის ჯარის მეშვეობით საქართველოს დაპყრობა და რუსეთის იმპერიასთან მიერთება. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „პაველ I-ის მიზანი სცილდებოდა ტრაქტატით გათვალისწინებულ ურთიერთობებს“. მიზანი... საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა და მისი რუსეთთან შერწყმა იყო, ვინაიდან, პეტერბურგის მთავრობის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეეძლებოდა მისი გადაქცევა საიმედო და მოხერხებულ სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად სამხრეთ კავკასიაში“[27].

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ მნიშვნელოვნდა იცვლება ქვეყნის ეთნიკური სურათი. საქართველოში რუსეთის ხელისუფლება მე-19 საუუუნეში ასახლებს სომხებს თურქეთიდან, ევროპელ და რუს ებრაელებს (აშკენაზებს), ბერძნებს, ლიტველებს, ესტონელებს, პოლონელებს, ეაინახებს. საქართველოში სახლდებიან აგრეეე ასურელები, უკრაინელები და, რაც მთავარია, მე-19 საუუუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო რუსების მასობრივი ჩამოყახლება. ამის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჩამოსახლებულთა ძირითადი ნაწილი დასახლდა. კერძოდ, 1800 წელს საქართველოს მთელ მოსახლეობაში ქართველები 79,4 პროცენტს შეადგენდნენ, 1865 წელს – 73,8 პროცენტს, ხოლო 1897 წელს – 69,4 პროცენტს.[28] შეტად საინტერესოა ამ მხრივ 1886 წელს რუსი მოხელეების მიერ შედგენილი საოჯახო სიები, რომლის მიხედვით ქართველები აღწერილნი არიან ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, თითქოს ისინი ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ.

საოჯახო სიების მიხედვით, 1886 წელს საქართველოს მოსახლეობა 1731449 კაცს უდრიდა. აქედან 1218696 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 70,4 პროცენტი ქართველი იყო. თბილისის გუბერნიაში – 396673 ქართველი ცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიაში კი 2,1-ჯერ მეტი – 822023 ქართველი. იმერლების რაოდენობა 422877 კაცს უდრიდა, მეგრელებისა – 245 422 კაცს და ა.შ. თბილისის გუბერნიის მოსახლეობაში ქართველების წილი – 49,1 პროცენტს უდრიდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 89,9 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 1886 წელს ართვინის ოლქში, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა (ამჟამად თურქეთის ეკუთვნის), 17814 ქართველი ცხოვრობდა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში ისტორიულად ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. სხვა ეროვნების წარმომადგენლები აქ მეტად მცირე რაოდენობით ბინადრობდა. მაგალითად, თემურ-ლენგის შემოსევის დროს, სპარსული წყაროებსი მიხედვით, იქ არაქართველი მოსახლეობის ყოფნისა და არსებობის არავითარი კვალი არ ჩანს.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ეთნოგრაფიული ჯგუფების მიხედვით 1886 წელს

	[illegible]	მათ შორის, ეთნოგრაფიული ჯგუფების მიხედვით								
	[illegible]	ქართველები	იმერები	მეგრელები	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
თბილისის გუბერნია	396 673	363717	9010	283	-	-	9155	6560	5624	232 4
ქუთაისი გუ ბერნია	822 023	13432	41386 7	245139	76 055	59 495	-	-	-	-
მათ შორის: ბათუმის ოლ ქი	45 996	-	446	3387	470	41 693	-	-	-	-
ერევნის ოლ ქი	17 814	-	-	-	12	17 802	-	-	-	-
სოხუმის ოლ ქი	34 806	515	84	34198	9	-	-	-	-	-
ფოთი	2939	-	-	2939						-
საქართველო – სულ	1218696	377 149	42287 7	245 422	76 055	59 495	9155	6560	5624	232 4
პროცენტებით	100,0	30,9	34,7	20,2	6,2	4,9	0,8	0,5	0,5	0,2

შენიშვნა: სვანები, რომელთა რაოდენობა 14035 კაცს უდრიდა (1,1 პროცენტი), მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრობდნენ. ქართველებში შეფასებულია: ქართლელები, კახელები, მესხები და ჯავახები. ფოთის მოსახლეობაში იმერლები და მეგრელები ერთადაა ნაჩვენები.

წყარო: Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из переписных списков 1886 года. Тифлис, 1893.

ეროვნულ უმცირესობებს შორის 1886 წელს ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოში სომხები ცხოვრობდნენ. მათი რიცხოვნობა 210 ათას კაცს აღწევდა და ისინი ქვეყნის მთელი მოსახლეობის 12,1 პროცენტს შეადგენდნენ.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის პირველი და ბოლო აღწერა. მეფის რუსეთში მოსახლეობის მეტი აღწერა არ ჩატარებულა. აღწერის შედეგები გამოქვეყნდა ცალკეული გუბერნიების მიხედვით 50 ტომად, ცალკე გამოიცა 2 ტომად აღწერის საერთო შედეგები. აღწერის პროგრამა დეტალური იყო, მაგრამ მას საკმაოდ დიდი ნაკლიც ჰქონდა – სააღწერო ფურცელი არ შეიცავა კითხვას ეროვნების შესახებ. ეროვნების განსაზღვრა ხდებოდა მშობლიური ენის საფუძველზე. მშობლიური ენა და ეროვნება კიდევ ყოველთვის როდი თანხვდება ერთმანეთს. მაგალითად, უალრესად გართულდა თურქულ ენაზე მოლაპარაკე ეროვნებების ერთმანეთისაგან გამოყოფა. ამასთან ამ პერიოდშიც კი ბევრისთვის რუსული მშობლიური ენა იყო, თუმცა ისინი თავს რუსებად არ თვლიდნენ და სხვ.

1897 წელს ქართველები აღიწერა კილოების, კერძოდ, ქართული, იმერული, მეგრული და სვანური კილოების მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ იმის შესახებაც, რომ, მართალია, ოფიციალური, მეცნიერულ საფუძველზე ჩატარებული აღწერებისა თუ სხვადასხვა კამერალური აღწერის დროს ქართველებს ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით აღწერდნენ (ქართველი, იმერელი, მეგრელი, სვანი, აჭარელი, გურული, თუში, ფშავი, ხევსური, მთიელი), მაგრამ აღწერების მესვეურები და რუსი მეცნიერები მრავალგზის მიუთითებდნენ, რომ ისინი ყველანი ქართველები იყვნენ. მაგალითად, კავკასიის შესახებ სტატისტიკურ ცნობათა კრებულის პირველ ტომში, რომელიც 1869 წელს გამოიცა, აღნიშნულია: ქართველების რიცხოვნობის დასადგენად საჭიროა აეიღოთ თბილისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობის რიცხვი, ქუთაისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობის რიცხვი, გურულები, ახალციხის მაზრის მაჰმადიანი ქართველები, სამეგრელოს მცხოვრებთა რიცხვი, ზაქათალის ოლქის ქართველი მაჰმადიანები, ე.წ. ინგილოები, თბილისის გუბერნიის მთიელები (თუშები,

ფშაველები, ხევსურები), სვანები და ყველა ამათი ჯამი მოგეცემს ქართველების საერთო რაოდენობასო.[29]

1876 წელს თბილისის გუბერნიაში მცხოვრები ქართველების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ აღნიშნულია, რომ „ქართველებთან დაკავშირებით მოვალეობად მიგვანია გავასწოროთ შემდეგი შეცდომა: ქართველებს აჩვენებდნენ იმერლების, გურულების და თუშებისაგან ცალკე ეროვნებად, როდესაც ყველა ესენი ერთი ხალხია, ყველანი ქართველები არიან და ეკუთვნიან ერთი და იმავე ქართველურ თაობას. მთელი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ისინი მხარის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ".[30]

1897 წელს რუსეთის იმპერიის მაშინდელ საზღვრებში 1 352,5 ათასი ქართველი ცხოვრობდა, მათ შორის კავკასიაში – 1350,3 ათასი, ხოლო საქართველოში – 1 336,7 ათასი. კალკულირებულად ქუთაისის გუბერნიაში თითქმის 2-ჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა (868,8 ათასი), ვიდრე თბილისის გუბერნიაში (467,6 ათასი).

კავკასიის დანარჩენ გუბერნიებში ქართველების რაოდენობა 14,9 ათას კაცს უდრიდა. ამრიგად, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები თითქმის მთლიანად თაღის ქვეყანაში ბინადრობდნენ (98,8 პროცენტი).

მოსახლეობის 1897 წელს აღწერის მონაცემების მიხედვით ქართველი ხალხის შესახებ ერთი ისეთი მონაცემი იქნა მიღებული, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდებოდა სხვა ხალხების ანალოგიური მონაცემებისგან. კერძოდ, ქართველებში შთამომავლობითი თავადაზნაურობა 70 ათასზე მეტ კაცს, ანუ მთელი ქართველი მოსახლეობის 5,29 პროცენტს უდრიდა და ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო იმპერიაში მცხოვრებ სხვა ხალხების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად, რუსებში იგი 0,76, ხოლო საშუალოდ იმპერიაში 0,97 პროცენტს შეადგენდა. ქალაქად მცხოვრები ყოველი მეცხრე ქართველი თავადაზნაურულ წოდებას ეკუთვნოდა. ამასთან კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტი ქართველი თავადაზნაურობა იყო, რუსი – 16,8, ხოლო სომეხი თავადაზნაურობა მხოლოდ 5,4 პროცენტს უდრიდა. პოლონელი პროფესორის ბ. ბარანოვსკის აზრით, საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო მსოფლიოში, სადაც თავადაზნაურობა მოსახლეობის ასეთ დიდ ნაწილს შეადგენდა. ასევე დიდი იყო საქართველოში პიროვნული თავადაზნაურობის რაოდენობაც – 14 049 კაცი, რომელიც შეადგენდა მთელი ქართველი მოსახლეობის 1,04 პროცენტს. რუსეთში ანალოგიური მაჩვენებელი 0,61 პროცენტს უდრიდა, ხოლო მთლიანად იმპერიაში – 0,50 პროცენტს. შეუდარებლად მაღალი იყო საქართველოში სასულიერო პირების წილიც – 2,18 პროცენტი.[31] ეს მაჩვენებელი იმპერიაში საშუალოდ 0,47 პროცენტს უდრიდა.

ამდენად ამ მხრივ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შორის ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვქონდა და ამ მხრივ, ასე ვთქვათ, გამორჩეული ვიყავით. აღნიშნული მაჩვენებლები გაანგარიშებულია თავადაზნაურობისა და სასულიერო პირების ოჯახის წევრებთან ერთად. პრივილეგირებული წოდების სიმრავლეს თავისი დადებითი და არანაკლებ უარყოფითი მხარეები გააჩნია. ერთი მხრივ, ის საუკეთესო თვისებები რაც თავადაზნაურობას ჰქონდა, სულ უფრო მეტად ხდებოდა მთელი ერის საკუთრება, მეორე მხრივ, ნივთიერ სახსარს მოკლებული თავადაზნაურობა თავის ადგილმამულს ყიდდა და ეროვნული სიმდიდრე სხვის ხელში გადადიოდა.

ყოველივე ეს კარგად შეამჩნიეს ევროპელმა მოგზაურებმა. მაგალითად, იაკობ რაინეგსი, რომელიც 1778-1781 წლებში ერეკლე II-ის კარზე იმყოფებოდა, აღნიშნავდა: „ქართველი აზნაური საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რომ მას საერთოდ იმდენი შეძლება ჰქონდეს, რაც მისი საჭიროება (ხარჯი) მოითხოვს. ამპარტაენობა, რომ ის არის აზნაური, მას იმდენად ეუფლება, რომ სამარცხვინოდ მიაჩნია, თავისი საკუთარი შრომით საჭირო სახსრები მოიპოვოს"[32].

რუსეთი საქართველოს მიერთების მომენტიდან უპირველეს ამოცანად სახავდა ქართველების სრულ ასიმილაციას რუსულ სახელმწიფოში ასევე მის ინტეგრირებას ეროვნულ ნიშან-თვისებების წაშლის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბევრი ცნობილი მოღვაწე განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი ქართველი ხალხისადმი და საჯაროთაც არაერთხელ

დაუცაეთ ქართველთა ინტერესები, რომ ქართველები რუსეთში ქართველებად უნდა დარჩნენ და რუსები მოვალენი არიან პატიეი სცენ ყოველგვარ ქართულსო, რუსეთის იმპერია თავიდანვე მიზნად ისახავდა აქ კოლონიური პოლიტიკის გატარებას, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა დემოგრაფიული ექსპანსიით. ამ გზიდან მას ერთხელაც არ გადაუხვევია და იგივე პოლიტიკა საბჭოთა იმპერიამაც არანაკლები მასშტაბით განახორციელა. აგრესიული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით რუსეთმა შეცვალა საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნოსთა რაოდენობრივი ბალანსი, შეაფერხა საქართველოს ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება მისთვის სასურველი მომავლის შედეგების გათვალისწინებით. სამართლიანად მიუთითებენ, რომ, „დღეანდელი საქართველოს სეპარატისტული რეჟიმები, კომპაქტური არაქართული რეგიონების უსაფუძვლო პრეტენზიები ქართული სახელმწიფოს მიმართ შედეგია იმ დემოგრაფიული პოლიტიკისა, რასაც რუსეთი ატარებდა XIX-XX საუკუნეებში", მის მიერ დაპყრობილ საქართველოში".[33]

საქართველოში ასახლებენ ხალხს რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან, თავისუფალ მიწებზე დასახლებაზე კი უარს მხოლდ უმიწაწყლო ქართველ გლეხებს ეუბნებიან. მაგალითად, 1817 წელს ჩამოასახლეს გერმანელები, შემდეგ რუსი სექტანტები, 1829 წელს პასკევიჩმა დიდი რაოდენობით თურქეთიდან ჩამოასახლა სომხები და ასე გრძელდებოდა ათეული წლები.

კოლონიზაციის პროცესში ისინი ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც ისედაც განიცდიდნენ მიწის სიეიწროეეს, არაფერს ეკითხებოდნენ. მეფის მთავრობა შენიღბულად მოქმედებდა, ყოველმხრივ ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და სხვა ადგილზე ან თურქეთში გადასახლებას და მათ ადგილზე კაზაკ-რუსების დასახლებას, მოსახლეობისაგან დაკარიელებულ საცხოვრებელ ადგილებს კი უმალვე რუსულ სახელწოდებებს ანიჭებდნენ. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ: „საკითხი – როგორი სახელწოდება უნდა მისცენ დარჩენილ თავისუფალ მიწებს – არის არა მარტო კერძო, ადგილობრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის".[34] მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში შეიქმნა ახალი დასახლებული პუნქტები რუსული სახელწოდებებით: ბაკლანკა, პეტროპავლოვსკოე, მიხაილოვსკოე, პოლტავსკოე, ჩერნოგოესკოე, ევსიოლაია, პერეინკა, ვისოკაია და სხვ. ფაქტობრივად რუსეთი ამზადებდა მყარ ნიადაგს მთელ კავკასიაში საბოლოოდ გასაბატონებლად და მხარის გასარუსებლად. ამ მიზანსვე ემსახურებოდა სკოლებში რუსულ ენაზე სწავლება, მკვიდრი ერების ენების დევნა, მათ სამსახურში ჩამდგარი საიმპერო პირებისათვის ჩინ-მედლების დარიგება (ჩინ-მედლების დარიგებაში კი დედამიწის ზურგზე არცერთი მთავრობა არ იყო ისეთი უხეი, როგორც რუსული), მკვიდრი ერების მოსაზრებათა აბსოლუტური იგნორირება და მათი უფლებების შენიღბული და ხშირად აშკარა შეზღუდეაც, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი უპატიეცემულობა და სხვ.

მეფის რუსეთმა მხარის მთლიანი კოლონიზაცია, რომელიც მან მიზნად დაისახა, საბოლოოდ ვერ განახორციელა. უპირველეს ყოელისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ პირობებს შეუჩვე

ტარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა". დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს პოლიტიკურ სისტემად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა.[35]

საბჭოთა რუსეთი ვერ ეგუებოდა თავისი პოზიციის დაკარგვას სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოშიც, და ყოველმხრივ ცდილობდა აქ პოზიციების აღდგენას. ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში მან ცადა საქართველოსა და მთელი სამხრეთი კავკასიის ოკუპაცია, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ახლად შექმნილმა ქართულმა სამხედრო კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა სადგურ შამქორთან და სხვა ადგილებში სასტიკად დაამარცხეს რუსეთის არმია. ამასთან რუსეთი ყოველმხრივ მხარს უჭერდა აფხაზ და შიდა ქართლში მცხოვრებ ოს სეპარატისტებს, ცდილობდა საქართველოდან აფხაზეთისა და შიდა ქართლში ოსებით დასახლებული ტერიტორიების ჩამოცილებას და რუსეთისათვის მიერთებას. მიუხედავად ამისა, 1919 წლის მარტში აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ საქართველოს შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის ძალითაც საქართველოს ძირძველ, განუყოფელ ნაწილებს, კერძოდ, აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), აჭარისა (ბათუმის ოლქს) და საინგილოს (ზაქათალის ოლქს) მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა:

სამწუხაროდ, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია, რადგან 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ეს იყო ძალდატანებით გასაბჭოება და ფაქტობრივი ანექსიაც. მაგრამ მანამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო ქვეყნის ტერიტორიების ხელყოფა. აფხაზ და ოს სეპარატისტებს ქმნიდა და აქეზებდა რუსეთი, რომელიც მათი მეშვეობით ცდილობდა საქართველოს ტერიტორიების მითვისებას, ასევე სეპარატისტული მოძრაობის გაჩაღებას ცდილობდა საინგილოში (საქართველოს ისტორიულ პროვინციაში ჰერეთში) ირანისა და თურქეთის აგენტურა, 1918 წლის აპრილში თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ და მისმა ჯარებმა დაიკავეს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია, ხოლო სომხეთი 1918 წლის დეკემბერში თავს დაესხა საქართველოს და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა ძირძველი ქართული ტერიტორიების დათმობას სამხრეთ საქართველოში, ქართლსა (საქართველოს დედაქალაქ თბილისის ჩათვლით გორამდე) და აჭარაში. ქართულმა რეგულარულმა ჯარებმა და სახალხო გვარდიამ სასტიკად დაამარცხა სომხეთის ჯარი და რომ არა ინგლისი, სომხეთი დიდ სამხედრო კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა.

საბჭოთა რუსეთმა სამოქალაქო ომში (1918-1920 წწ.) გამარჯვების შემდეგ დაიწყო ზრუნვა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების დასაპყრობად. 1920 წლის აპრილში რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ ჯერ აზერბაიჯანი დაიყრო და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა, შემდეგ კი, ნოემბერში სომხეთის ანექსია მოახდინა და იქაც საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ცხადი გახდა, რომ რუსეთი საქართველოს, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოც, მით უფრო არ დათმობდა და მის დაპყრობაზე ხელს არ აიღებდა. ჯერ კიდევ 1920 წელს, მაისში მე-11 წითელმა არმიამ აზერბაიჯანის საზღვარი გადმოლახა და თბილისისაკენ დაიძრა, მაგრამ იმხანად მოსკოვში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება მიმდინარეობდა და 1920 წლის 7 მაისს მათ შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაც დაიდო. რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ეს იყო დროებითი მოელენა.

მოსკოვში მომზადებული სცენარის მიხედვით 1921 წლის 12 თებერვალს მე-11 წითელი არმია შემოიჭრა საქართველოში ვითომდა ბორჩალოს მაზრის რუსულ სოფლებში აჯანყებულთა დასახმარებლად. ეს „აჯანყება" რუსულმა პროპაგანდამ „საქართველოს მშრომელთა აჯანყებად" მონათლა. ყოველი შემთხვევისათვის, დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ აშკარა აგრესიის შენიღბვის მიზნით, ბოლშევიკების ინიციატივითვე საქართველოს მშრომელთა სახელით მოსკოვში გაიგზავნა თხოვნა დახმარების თაობაზე. ამით კიდევ უფრო მეტად ხელ-ფეხი გაეხსნა მე-11 არმი-

ას, რომელიც უტეედა საქართველოს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. იმავდროულად აფხაზეთში სოჭის რაიონიდან შემოიჭრა რუსეთის მე-8 არმია, ხოლო ჩრდილოეთ კაეკასიიდან ქუთაისისკენ – წითელი არმიის ორი ბრიგადა. რუსეთმა თბილისისკენ შეტევა დარიალის ხეობიდანაც განახორციელა. ამრიგად საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან შემოესივნენ რუსეთის ჯარები. მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა ცხადი გახდა, რომ ასეთ ეითარებაში და თანაც დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო, ქართული ჯარი და სახალხო გვარდია თბილისის დაცვას ვერ შეძლებდა და მათ უკან დახიეს. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში რუსეთის მე-11 არმიის ნაწილები შეეიდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ამის შემდეგ საქართველოში შეიქმნა სამი ეროენულ-სახელმწიფოებრიეი ერთეული – აფხაზეთის აეტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა (1921 წლის 4 მარტს), აჭარის აეტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (1921 წლის 16 ივლისს) და სამხრეთ ოსეთის აეტონომიური ოლქი (1922 წლის 20 აპრილს). რუსეთის ფედერაციის შემდეგ მოკაეშირე რესპუბლიკებს შორის ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე საქართველოს რესპუბლიკა ყველაზე მეტ ეროენულ-სახელმწიფოებრიე ერთეულს შეიცავდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში საბჭოთა წყობილების ექსპორტირების მომზადების მთელ პერიოდში და მისი სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე განხორციელების შედეგად მნიშვნელოვანი �ilebi მოხდა დემოგრაფიულ მოელენებსა და პროცესებში. პირველი მსოფლიო ომისა და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში, რასაც თან ახლდა მეურნეობის მოშლა და ცხოვრების პირობების უკიდურესობამდე გაუარესება, მკეეთრად გამწეავდა დემოგრაფიული ეითარება. მარტო 1914-1917 წლებში საქართველოს მოსახლეობა 2601 ათასიდან 2338 ათასამდე, ანუ 263 ათასი კაცით შემცირდა.[36] 1921 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა ოდნავ გაიზარდა და მან 2411 ათასი კაცი შეადგინა.[37] ამ პერიოდში საგრძნობლად შემცირდა შობადობა და გაიზარდა მოკედობა. დიდი იყო ომში დაღუპულთა როადენობა, გახშირდა საშიში ინფექციური დაავადებები და იმატა ამ დაავადებების შედეგად გარდაცელილთა რიცხვმა. მოსახლეობის შემცირებას ქეეყნის ყველა რეგიონში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში, როგორც საომარ მოქმედებათა რაიონთან ახლოს მდებარე რეგიონში. საქართველოს ფარგლები პირველ რიგში დატოვა იმ არაქართველმა მოსახლეობამ, რომელიც ომამდელ წლებში ჩამოსახლდა საქართველოში (სომხები და სხვ.) და ჯერ კიდეე არ იყო მტკიცედ დამკეიდრებული ახალი საცხოვრებელ ადგილზე. თუ ომისწინა პერიოდში საქართველოს გარე მიგრაციულ პროცესებს მკეეთრად გამოხატული დადებითი სალდო ჰქონდა, 1914-1917 წლებში წასულთა რიცხეი ბეერად ჭარბობდა მოსულთა რაოდენობას.[38]

არსებითი ceelilebebi მოხდა დემოგრაფიულ პროცესებში 1921 წლის შემდეგ. არაქართველი მოსახლეობის უმეტესობა, რომელმაც 1914-1920 წლებში დატოვა საქართველო, დაბრუნდა საქართველოში. 1920-იან და განსაკუთრებით 1930-იან წლებში სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლების შედეგად ქეეყანაში გაიზარდა მიგრანტთა რაოდენობა. გარკეეულწილად შეიცვალა მოსახლეობის ეროენული შემადგენლობა. მაგრამ სანამ ამ საკითხებს განეიხილავდეთ, საჭიროა ითქეას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თითქმის 20 ათასი კეადრატული კილომეტრით (მოსახლეობა დაახლოებით 300 ათასი) შემცირდა საქართველოს ტერიტორიის ფართობი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდეე 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული სამშეიდობო ხელშეკრულების IV მუხლის თანახმად რუსეთი ცნობდა ბათუმის ოლქს, ასეე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებს,[39] რუსეთმა მაინც გაასაჩუქრა საქართველოს მიწები. კერძოდ, რუსეთმა ოსმალებთან დაძაბული ურთიერთობის განსამუხტაეად სამხრეთ-დასაელეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშთ-ერუშეთ-არტაანი ფოცხოვით ოსმალეთს დაუთმო. ეს მოხდა ყარსის ხელშეკრულების (1921 წლის 13 ოქტომბერი) საფუძველზე. ფაქტობრიეად ყარსის ხელშეკრულება სომხეთზე, აზერბაიჯანსა და საქართველოზე აერცელებდა 1921 წლის 16 მარტს რუსეთსა და ოსმა-

ლეთს შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულების ძირითად დებულებებს. ამრიგად, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების ფაქტობრივი რატიფიკაცია იყო. ამასთან სომხეთს მიეცა ნეიტრალური ზონა ალაევერდი, ხოლო აზერბაიჯანს – ზაქათალას ოკრუგი. ასე დაანაწილეს და გააჩუქეს საქართველოს მიწები ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიე მათი ხელისუფლებაში ყოფნის სანაცვლოდ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში მოსახლეობის პირველი აღწერა, ისე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, 1926 წელს ჩატარდა. შემდეგი აღწერები საბჭოთა კავშირში 1939, 1959, 1970, 1979, 1989 წლებში მოხდა და, რა თქმა უნდა, ამ აღწერებმა საქართველოც მოიცვა, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკა. ბოლო აღწერა საქართველოში 2002 წელს ჩატარდა და ეს აღწერა იყო პირველი ეროვნული აღწერა დამოუკიდებელ საქართველოში. 2002 წლის მოსახლეობის აღწერა ჩატარდა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამდენად მან ვერ მოიცვა მთელი ქვეყანა, კერძოდ, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელსაც აკონტროლებს სეპარატისტული ხელისუფლება).

მე-20 საუკუნეში, ისე როგორც მე-19 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 2,8-ჯერ გაიზარდა. 1926 წელს საქართველოში 2,7 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ხოლო 60 წლის შემდეგ – 1989 წელს 5,4 მილიონი. ქვეყნის მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა საქართველოს დიდი მსხვერპლი რომ არ გაეღო 1941-1945 წლების ომში. ფრონტზე დაიღუპა დაახლოებით 300 ათასი კაცი. ასეთმა დანაკარგებმა და ომის წლებში შობადობის შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის ზრდაზე.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა და მან 2005 წელს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ისე არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) 4516 ათასი კაცი შეადგინა. ასეთ მცირე დროში მოსახლეობის ასეთი მნიშველოვანი შემცირება საქართველოს მთელი თავისი ისტორიის განმაელობაში არ ახსოვს. მოსახლეობის შემცირება მოხდა ნულოვანი ბუნებრივი მატებისა და ინტენსიური გარემიგრაციული პროცესების შედეგად.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა X-XX საუკუნეებში (ათასი კაცი)

წლები	სულ მოსახლება	მათ შორის: ქართველი	
		აბსოლუტურად	%
X-XI საუკუნეები	1370	-	-
1254*	8000	-	-
XVIII საუკუნის დასაწყისი	2500	-	-
1770	761	-	-
1800	675	-	-
1897*	2109	1336	63,3
1926*	2667	1788	67,1
1959*	4044	2601	64,3
1979*	4993	3433	68,8
1989*	5400	3787	70,1
2002*	4601	3724	81,0
2005	4516	-	-

შენიშვნა: 2002 და 2005 წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოტანილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ როგორც კონტროლირებადი, ისე არაკონტროლირებადი ტერიტორიის მიხედვით. 1770 წლის მონაცემი გაანგარიშებული პროფესორ ვ. ჯაოშვილის მიერ.

* მოსახლეობის აღწერის მონაცემები იმდროინდელ საზღვრებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობა შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც გამოწვეული იყო მონღოლებისა და თემურლენგის შემოსევებით, ხოლო შემდეგ ფართოდ გაერცელებული ადამიანების ეაჭრობით. ქართველი ტყვეები თითქმის სამ საუკუნენახევარი იყიდებოდა ოსმალეთის ბაზრებზე.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებით მთლიანად ქვეყნის მოსახლეობა წინა 1989 წლის აღწერასთან შედარებით ზუსტად 800 ათასით შემცირდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მოსახლეობის მატების ტემპის (ჩვენს შემთხვევაში კლების ტემპის) მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე უარესი მაჩვენებელი აქვს უკრაინის შემდეგ. ქართველი და უცხოელი დემოგრაფების გაანგარიშების თანახმად, თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა თითქმის განახევრდება. შეიძლება ეს გაცილებით უფრო ადრეც მოხდეს, თუ ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელდება. ამის საფუძველს საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებიც იძლევა.

2002 წლის მოსახლეობის აღწერა, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ჩატარდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამდენად ვერ მოიცავ მთელი ქვეყანა, კერძოდ, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ეს იმას ნიშნავს, რომ აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე ვერ შექმნის ნათელ სურათს ორი უკანასკნელი აღწერის პერიოდში (1989 და 2002 წლებში) მთელი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაში მომხდარ ცვლილებებზე.

ამ მიზნით ექსპერტული შეფასების, სხვადასხვა ცნობებისა და გაანგარიშების საფუძველზე დავადგინეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა. 2002 წელს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შესაბამისად დაახლოებით 180 ათასი და 50 ათასი კაცი ცხოვრობდა.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოს მოსახლეობა ცენტრალურ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 4371 ათას კაცს უდრიდა, ხოლო მთელი საქართველოს მოსახლეობა, როგორც კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიაზე – 4601 ათას კაცს, ნაცვლად 5401 ათასი კაცისა 1989 წელს (იხილეთ ცხრილი 26). ამრიგად, მთლიანად ქვეყნის მოსახლეობა, როგორც უკვე ითქვა, 800 ათასი კაცით შემცირდა.

გაანგარიშების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ 2002 წელს საქართველოში ქართველებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა და საზღვარგარეთის ქვეყნებში წასულთა რიცხვი. მაგალითად, 2002 წელს საქართველოში ცხოვრობდა 3724 ათასი ქართველი, ანუ ქართველები 1989 წელთან შედარებით 63 ათასით შემცირდა. ამ პერიოდში საზღვარგარეთ წავიდა 280 ათასი ქართველი. ამრიგად, ქართველთა რაოდენობა 2002 წელს, წინა აღწერასთან შედარებით, მიუხედავად გარდამავალი პერიოდისათვის თანმხლები პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმებისა, დიდად არ შეცვლილა – მხოლოდ 63 ათასი კაცით შემცირდა. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ განსაკუთრებით 1990-იანი წლების დასაწყისში ქართველების ბუნებრივი მატების აბსოლუტური მაჩვენებელი შედარებით მაღალი იყო და იგი უცხოეთის ქვეყნებში წასული ქართველების რიცხვს აღემატებოდა.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის თანახმად ქვეყანაში 619 ათასი უმუშეველია, 202 ათასი – მარტოხელა, მიღებული განათლების შესაბამისი სპეციალობით დასაქმებულია მხოლოდ 175 ათასი კაცი (14,4 პროცენტი), სხვა პირის კმაყოფაზეა 1172 ათასი 16 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანი, რომელთაგან 16-29 წლის ასაკშია ნახევარ მილიონზე მეტი – 556 ათასი ახალგაზრდა. ამასთან 2006 წელს პენსიონერთა რაოდენობამ 986 ათასს მიაღწია და ქვეყნის მოსახლეობის 22,4 პროცენტი შეადგინა. ასეთი ვითარება მეტად უარყოფით გაელენას ახდენს ადამიანის ღირსებაზე, მის ფსიქიკაზე და ფერტილურ ასაკში მყოფ სხვისი ხელის შემყურეთა დემოგრაფიულ ქცევაზე.

მოტანილი მონაცემების შემდეგ ნათელი ხდება, რომ მოსახლეობის, განსაკუთრე-

ბით ახალგაზრდების, დიდი ნაწილი უმუშევარია ან არ მუშაობს შეძენილი ცოდნის მიხედვით. ისინი ლუკმა პურის საშოვნელად იძულებულნი არიან, თუკი იშოვეს სამუშაო, დასაქმდნენ მათთვის უინტერესო სფეროში და ამდენად ვეღარ ახდენენ თავიანთი თავის გამოვლენას, ანუ ეთქვათ, ერის სასიკეთოდ ბოლომდე ვერ „იხარჯებიან“, ეერაეითარ ფასეულს ვერ ქმნიან და ფუჭად იფლანგება მათი ეროვნული ენერგია. უფრო მეტიც, რეალიზაციის შესაძლებლობების უქონლობას დამანგრეველი შედეგები მოაქვს. ამასთან, ფაქტობრივად წყალში იყრება სახელმწიფოსა და ოჯახის მიერ მათ სწავლაზე გაწეული უზარმაზარი ხარჯები. ადამიანის ცხოვრებაში მთავარია სამუშაო წარმოადგენდეს პიროვნების თვითგამოხატვის, მთელი სისრულით გამოვლინების საშუალებას, მას უნდა იზიდავდეს სამუშაოს შემოქმედებითი ხასიათი, პროფესიული სამუშაო არ უნდა გადაიქცეს მარტოოდენ არსებობის საშუალებათა მოპოვების წყაროდ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში ვერაფერი ფასეული ვერ შეიქმნება.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1926-2002 წლებში

ათასი

წლები	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	
							I	II
მოსახლეობა-სულ								
აბსოლუტურად	2677	3540	4044	4686	4993	5401	4371	4601
%	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა								
ქართველები								
აბსოლუტურად	1788	2174	2601	3131	3433	3787	3661	3724
%	66,8	61,4	64,3	66,8	68,8	70,1	83,8	80,9
აფხაზები								
აბსოლუტურად	57	58	63	79	85	96	3	46
%	2,1	1,6	1,6	1,7	1,7	1,8	0,1	1,0
ოსები								
აბსოლუტურად	113	148	141	150	160	164	38	85
%	4,2	4,2	3,5	3,2	3,2	3,0	0,9	1,9
სომხები								
აბსოლუტურად	307	415	442	452	448	437	249	281
%	11,5	11,7	11,0	9,7	9,2	8,1	5,7	6,1
აზერბაიჯანელები								
აბსოლუტურად	138	188	154	218	256	308	285	285
%	5,2	5,3	3,8	4,6	5,1	5,7	6,5	6,2
რუსები								
აბსოლუტურად	96	308	408	397	372	341	68	100
%	3,6	8,7	10,1	8,5	7,4	6,3	1,5	2,2
ბერძნები								
აბსოლუტურად	54	85	73	89	95	100	15	19
%	2,0	2,4	1,8	1,9	1,9	1,9	0,3	0,4
ებრაელები								
აბსოლუტურად	31	42	52	55	28	25	4	4
%	1,1	1,2	1,2	1,2	0,6	0,5	0,1	0,1
უკრაინელები								
აბსოლუტურად	14	46	52	50	45	52	7	10
%	0,5	1,3	1,3	1,1	0,9	0,9	0,2	0,2
დანარჩენი								
აბსოლუტურად	79	76	58	65	71	91	41	47
%	3,0	2,2	1,4	1,3	1,4	1,7	0,9	1,0

შენიშვნა: 2002 წლის მონაცემების I გრაფა ასახავს მოსახლეობის რაოდენობასა და ეროვნულ შემადგენლობას კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხოლო II გრაფა როგორც კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიაზე.

ყოველივე აღნიშნული მეტად უარყოფით გაელენას ახდენს და მომავალშიც მოახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. საჭირო არის აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის

გატარება. საზოგადოებაში დიდი ხანია არის მოთხოვნა ასეთ პოლიტიკაზე, რომელიც, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან წლების განმავლობაში უპასუხოდ რჩება. შემდეგში უმწეველი დემოგრაფიული პრობლემების დაძლევა, რაოდენ დიდი სახსრებიც არ უნდა გაიღოს სახელმწიფომ, თუ შეუძლებელი არა, მეტად რთულ და ნაკლები ეფექტის მომტანი იქნება.

უკანასკნელ წლებში კრიზისულ ზღვარამდე შემცირდა შობადობა. თუ 1980-იან წლებში ყოველწლიურად საშუალოდ თითქმის 100 ათასი ბავშვი იბადებოდა, 2000-იან წლებში ეს მაჩვენებელი განახევრდა. შობადობის შემცირება გამოიწვია ეკონომიკური პირობების საგრძნობლად გაუარესებამ. ზოგჯერ მიიჩნიათ, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ფაქტორი თითქოს არ ახდენდეს გავლენას შობადობის დონეზე, განსაკუთრებით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რაც არ არის სწორი. მაგალითად, აშშ-ში 2008 წელს 68 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა წინა წელთან შედარებით. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა ეკონომიკური კრიზისის შედეგია, რადგან ბავშვები ამერიკელების საოჯახო ბიუჯეტის ყველაზე ხარჯვითი ნაწილია და გასაკვირი არ არის, რომ გაურკვეველი მომავლის წინ ეს ხარჯები მცირდება. გელაპის ინსტიტუტის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გათხოვილი ქალების 17,0 პროცენტის აზრით, კრიზისმა გაელენა მოახდინა ბავშვების გაჩენაზე, ამასთან, ყოველმა მეათე გამოკითხულმა გათხოვილმა ქალმა უპასუხა, რომ ეკონომიკურმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა დაგეგმილი ორსულობის გადაადებაზე.

საქართველოში ეკონომიკური ფაქტორის გადამწყვეტი როლი მოსახლეობის გამრავლებაზე ნათლად აჩვენა საჩხერის რაიონის შობადობის დონისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლების ანალიზმმა. ცნობილია, რომ ცნობილი ქართველი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი საჩხერის რაიონში ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს: ხელი შეუწყო მოსახლეობის დასაქმებას, მოსახლეობას ეხმარება გადასახადების გადახდაში, ააშენა საავადმყოფო, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით, განათლების დარგის მუშაკები უზრუნველყოფილია მაღალი ხელფასებით და ა.შ. საჩხერის რაიონში შობადობის დონე და მოსახლეობის ბუნებრივი მატება გაცილებით მაღალია, ვიდრე მეზობელ რაიონში, სადაც დიდი ხანია მოსახლეობის კლებაა დაწყებული. მაგალითად, საჩხერის რაიონში 2008 წელს ბუნებრივი მატება 322 კაცს შეადგენდა, მაშინ როდესაც მეზობელი ჭიათურის რაიონში მოსახლეობა 114 კაცით შემცირდა, ე.ი. მოკვდაობამ 114 კაცით გადააჭარბა შობადობას.

იმერეთის რაიონების მოსახლეობის შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები 2007-2008 წლებში

	მოსახლეობის რაოდენობა 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	შობადობა მოსახლეობის 1000 კაცზე		მოსახლეობის ბუნებრივი მატება			
				2007 წელი		2008 წელი	
	ათასი	2007 წ.	2008 წ	ბუნებრივ სულ სულებად	მოსახლეობის 1000 კაცზე	ბუნებრივ სულ სულებად	მოსახლეობის 1000 კაცზე
საჩხერე	47	15,3	18,3	181	3,9	322	6,9
ჭიათურა	55	10,9	11,4	-139	-2,5	-114	-2,1
ბაღდადი	29	8,2	10,0	-84	-2,9	-36	-1,3
ვანი	34	6,4	8,6	-121	-3,6	-52	-1,5
ზესტაფონი	75	10,3	11,1	-41	-0,5	-15	0,2
თერჯოლა	45	7,4	9,5	-127	-2,8	-34	-0,8
სამტრედია	60	8,6	10,6	-61	-1,0	56	0,9
ტყიბული	30	7,5	8,7	-95	-3,1	-61	-2,0
წყალტუბო	73	6,6	8,3	-92	-1,3	26	0,4
ხარაგაული	27	8,2	9,9	-100	-3,6	-59	-2,2
ხონი	31	7,5	9,2	-66	-2,1	-16	-0,5

წყარო: საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

ამ მხრივ სერიოზულ ღონისძიებებს ატარებს „აეროსი-ფარმას“ გენერალური დირექტორი პაატა კურტანიძე. ის ეხმარება მრავალშვილიან დედებს ქეყნის მასშტაბით, აკეთებს უფასო ოპერაციებს, ყველანაირად უწყობს ხელს იმ თანამშრომლებს, რომლებიც შვილის გაჩენასა და დეკრეტულ შვებულებაში გასვლას აპირებენ, რითაც ბევრი თანამედროვე ფირმა ვერ დაიკვეხნის.

სწორედ ასეთი ქველმოქმედებაა სანიმუშო, რადგან ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნის დემოკრიტეს თქმით, „ქველმოქმედი ის კი არაა, ვისაც სარგებლობა აინტერესებს, არამედ ის, ვინც უანგაროდ მოქმედებს“. ასეთი ადამიანები რომ გეყავედეს, უმძიმეს დემოგრაფიულ პრობლემებს თაეს დაეაღწეეთ და აღარ გადაეშენდებით!

თაეი რომ დაეაღწიოთ „დემოგრაფიულ ზამთარს“ საჭიროა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. საქართველოს ხეალინდელი დღე დამოკიდებულია დღეს დაბადებულ ბავშეთა რაოდენობასა და აღზრდის ხარისხზე.

საქართველოში და განსაკუთრებით მის ისტორიულ კუთხეში, სამცხე-ჯაეახეთში ეთნიკური სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა დეპორტაციის, ანუ იძულებითი მიგრაციის შედეგად. მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კაეკასიიდან მთლიანად გაასახლეს მთელი რიგი ხალხები, დღის წესრიგში დადგა მესხეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების საკითხი. მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნებით ქართველი იყო.

მესხეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლება ისეთივე ხელწერით ხდებოდა, როგორც ჩრდილოეთ კაეკასიის ხალხებისა. ამ შემთხვევაშიც დეპორტაციას საფუძვლად დაედო საბჭოთა კაეშირის პარტიული ხელმძღვანელობისა და ძალოვანი სტრუქტურების შეთხზული დოკუმენტები, კერძოდ, თაედაეცის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 იელისის დადგენილება და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1944 წლის 20 სექტემბრის ბრძანება. ამ და სხეა დოკუმენტების თანახმად, თითქოს მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელსაც თურქეთში ყავდა ნათესაეები, ეწეოდა კონტრაბანდას, აეელენდა ემიგრაციულ განწობილებას, იყო თურქეთის სადაზეერეო ორგანოებისათეის ჯაშუშური ელემენტების გადაბირების წყარო და ქმნიდა ბანდიტურ ჯგუფებს. სახელმწიფო თაედაცეის კომიტეტის დადგენილებით, თურქეთთან საქართველოს სახელმწიფო საზღეერის დაცვის პირობების გაუმჯობესების მიზნით უნდა გადაესახლებინათ საქართველოს სასაზღერო ზონიდან ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოეკის რაიონებისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები თურქი, ქურთი და ხეშინი მოსახლეობა. აღსანიშნაეია, რომ თურქეთს მთელი ომის განმაელობაში საბჭოთა კაეშირის საზღერის მახლობლად ყაედა 30 დივიზია და პოტენციურ აგრესორად ითელებოდა, მაგრამ ომის დასასრულისთეის ეს საფრთხე უკეე მინიმუმამდე იყო შემცირებული. ამაეე დროს, როგორც ჩანს, უახლოეს პერსპექტიეაში თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების საკითხიც დაისმებოდა. ამის უდაეო დადასტურეაა 1945 წლის 14 დეკემბერს ქართულ გაზეთ „კომუნისტში“, ხოლო მეორე დღეს, 15 დეკემბერს რესპუბლიკის რუსულენოეან გაზეთ „ზარია ეასტოკაში“ ცნობილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის გამოქეეყნებული წერილი, რომელიც იმაეე წლის 20 დეკემბერს დაბეჭდა საკაეშირო გაზეთებმა „პრაედამ“ და „იზვესტიამ“. წერილი ასეა დასათაურებული: „თურქეთისადმი ჩენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. მასში ისტორიული ქართული ტერიტორიების თურქეთის მიერ დაპყრობისა და მისი დაბრუნების საკითხებია განხილული.

წერილი თაედება მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების კატეგორიული მოთხოვნით: „ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კეკლაე შურის თვალით შემოკეურებდა ჩენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად სწერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდეე ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს

თაეისი მიწა-წყალი... ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით".

ტოტალური რეჟიმის პირობებში, რა თქმა უნდა, ასეთი წერილის დაბეჭდვას ეერაეინ გაბედადა. ეჭეი არ რჩება, რომ ცნობილ მეცნიერებს წერილის დაწერა უშუალოდ სტალინის ჩარეეის შედეგად, უფრო სწორად, სტალინის დაეალებით თხოეეს.

შემთხვეეითი არ იყო, რომ წერილი დაიბეჭდა საქართველოს ცენტრალურ ოფიციალურ გაზეთში ქართულ და რუსულ ენებზე და სულ რაღაც ოთხი დღის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ გაზეთებში „პრაედასა" და „იზვესტიაში" იბეჭდება. გამორიცხულია, რომ ასეთი შინაარსის წერილს, მაშინ არსებული უმკაცრესი ცენზურის პირობებში, უმაღლესი ხელისუფალის თანხმობის გარეშე დღის სინათლე ეხილა. წინაადმდგ შემთხვეევაში, არათუ წერილის ავტორები, არამედ გაზეთების რედაქტორებიც, სულ ცოტა დაპატიმრებას ეერ აცდებოდნენ.

იმ პერიოდში სტალინის რენომე უაღრესად დიდი იყო და მის ყოველ ნათქვამს ანგარიშს უწევდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ომის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ ეეროპაში შეიქმნა მთელი რიგი სოციალისტური სალმწიფოები და მათზე საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური გაელენა განზომლად დიდი იყო. ბუნებრივეი, ქართული ტერიტორიების დაბრუნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიის, მისი გაელენის სფეროების კიდეე უფრო მეტად გაფართოებას მოასწავებდა და ამას უკვე ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა დასაელეთ ეეროპის ქვეყნებისა და ამერიკის ხელისუფლება. ამავე დროს, ამერიკის მიერ მთელი რიგი სამხედრო ოპერაციების წარმატებით ჩატარების შედეგად სიტუაცია თურქეთის სასარგებლოდ შეიცვალა და ეს საკითხიც დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ამდენად, საქართველო – თურქეთის სასაზღვრო ზონიდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციას, როგორც აშკარად ჩანს, ის ფაქტორიც განაპირობებდა, რომ უკვე ჩაფიქრებული იყო უახლოეს მომაეალში თურქეთისადმი პრეტენზიების წაყენება მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე და ასეთ ვითარებაში საჭიროდ ჩათვალეს მთელი მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლება, რაც დიდი უსამართლობა იყო. მართლაც, როგორც ამ პრობლემაზე მომუშაეე მეცნიერები მიუთითებენ, ნამდვილია, რომ საბჭოთა კავშირი თურქეთში ჯარის შესაყვანად ემზადებოდა და იმჟამინდელი სამხედრო-სტრატეგიული წესების შესაბამისად სასაზღვრო კორიდორს სწმენდდა თურქეთის ვეხუთე კოლონნისაგან. სწორედ ასეთად წარმოედგინა მას ისტორიული თუ თანამედროვე მონაცემებით მესხეთის, საქართველოს სამხრეთ რაიონის მაჰმადიანური მოსახლეობა. არის მეორე ვერსიაც. სტალინი მიიჩნეედა, რომ კელაე დიდი იყო ე. წ. პანთურქისტული მიზნების განხორციელების საფრთხე, ანუ თურქეთი ისარგებლებდა მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის აქტიური მონაწილეებით, დიდი პრობლემებით, რომლებიც მაშინ საბჭოთა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს წინაშე იდგა და საქართველოდან, მისი სამხრეთ ნაწილიდან დაიწყებდა ე. წ. დიდი თურანის მუსულმანური სახელმწიფოს შექმნის იდეის განხორციელებას. ცნობილია, რომ პანთურქიზმი გულისხმობდა თურქული რასით დასახლებული ადგილების გაერთიანებას ერთ სახელმწიფოში, კერძოდ ცენტრალური და მცირე აზიის, ციმბირის, ეოლგის ნაპირების, შაეი ზღეის ნაპირების, კავკასიისა და ორიეე აზერბაიჯანის ჩათვლით. ამ მოძღვრების მამამთავარი იყო ზია გეკ-ალპი, რომელიც თავის კონცეფციას აყალიბებს თავის წიგნში – თურქიზმის საფუძვლები (1923 წ.). პირველ რიგში ის სწორედ კაეკასიის მიერთებაზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, მაჰმადიანური მოსახლეობით დასახლებული სამხრეთ საქართველოს ანკლაეი ამ მიზნის განხორციელებისათვის შესანიშნავ ფორფოსტად მიიჩნეოდა. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, პოლიტბიუროს დასარწმუნებლად სტალინმა ეს არგუმენტიც გამოიყენა.[40]

თურქეთის სასაზღვრო ზონიდან მოსახლეობის გასახლების საკითხი 1944 წელს გაზაფხულზე დაისვა, ხოლო გადაწყეეტილება დეპორტაციის შესახებ მიიღეს შუა ზაფხულში, როგორც ჩანს, იმ ეარაუ-

დით, რომ ზამთრის დადგომამდე მოესწროთ დეპორტაცია. მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესრულებას ხელს უშლიდა უგზოობა. ბორჯომი-ეალეს რკინიგზის შშენებლობა, რომლითაც საბოლოოდ მოხდა მესხების გადაყვანა დანიშნულების ადგილზე, მოითხოვდა დამატებით დროს. საბოლოოდ გადასახლება შედგა გვიან შემოდგომაზე. იგი დაიწყო 1944 წლის 15 ნოემბრის დილით და გაგრძელდა სამი დღე. ოპერაციის ჩატარების წესის თანახმად, ოპერაციის დაწყებამდე ამოწშებდნენ ჩასაფრებისა და დასახლებული პუნქტების ალყის შემორტყმის მდგომარეობას, რის შემდეგ უბნის რწმუნებული ახდენდა მოზრდილი მამაკაცების შეკრებას და მათ უცხადებდა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათ ასახლებენ შუა აზიის სამხრეთ რაიონებში. შეკრების დამთავრების შემდეგ უბნის რწმუნებულები მაშინვე აგზავნიდნენ ოპერატიულ ჯგუფებს მათზე მიჩაგრებულ სახლებში, რომლებიც ბინებში მისელისთანავე ოჯახის უფროსებს წინადადებას აძლევდნენ ჩაებარებინათ სახლში არსებული ცეცხლსასროლი და ციები იარაღი, რის შემდეგ მაინც ახდენდნენ სახლის დათვალიერებას. გასახლებულებს უფლება ეძლეოდათ თან წაეღოთ პირად საკუთრებაში არსებული ფასეულობა, ფული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჭურჭელი, საოფლო-სამეურნეო და საოჯახო ინვენტარი და სურსათის მარაგი ოჯახზე 1000 კილოგრამის რაოდენობით. იმ შემთხვევაში თუ გადასახლებას დაქვემდებარებული ოჯახის რომელიმე წევრი სახლში არ იმყოფებოდა, ოპერატიული მუშაკი ადგენდა მის ადგილსამყოფელს და საყრიცხეო ბარათში შესაბამის მინიშნებას აკეთებდა, ხოლო ყველა ეჭვმიტანილს აპატიმრებდნენ. უბნის რწმუნებული ვალდებული იყო ყოფილიყო საბრძოლო მზადყოფნაში და ექსცესების წარმოშობის შემთხვევაში მიეღო გადაჭწყვეტი ზომები მათ სალიკვიდაციოდ იარაღის გამოყენებითაც კი. გასახლებულთა შეკრების ადგილზე გადასაყვანად ოპერაციის დღეს, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, უნდა გამოეყენებინათ კოლმეურნეობების საჭანე ტრანსპორტი, აგრეთვე, სატვირთო ავტომანქანები, სადგურებში ყოველ ეაგონში უნდა მოეთავსებინათ ხუთი-ექვსი ოჯახი მათ ქონებასთან ერთად, ოპერაციის ჩატარების აღნიშნული წესი დაახლოებით საერთო იყო ყველა დეპორტაციის ჩატარების დროს.

გადასახლება მესხეთში შეეხო 89 სასოფლო საბჭოსა და 220 დასახლებულ პუნქტს. მათ ადგილზე ჩაასახლეს 7 ათასი გლეხის ოჯახი საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან.

გზა საქართველოდან შუა აზიამდე ორი-სამი კვირა გრძელდებოდა და მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის ძირითადი მასის ტრანსპორტირება დეკემბერში დასრულდა, თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა მიზეზით დარჩენილთა 695 ოჯხს, რომლებიც ბოლო ეშელონით საქართველოდან 1945 წლის 31 იანვარს გაამგზავრეს. გადასახლებულებს მათთვის უჩვეულო პირობები, ცუდი წყალი და პარტახტიანი ტიფი დახვდათ. ამ კონტინგენტის მაღალ სიკვდილიანობაზე განსაკუთრებით იმოქმედა იმ ფაქტორმა, რომ გადასახლება ზამთარში მოხდა. მოკედობამ არაოფიციალური მონაცემებით 1/3 შეადგინა (1948 წლის ივნისის მდგომარეობით)[41].

მესხეთიდან სულ გადაასახლეს 92307 კაცი, აქედან ნახევარი 16 წლამდე ასაკის ბავშვი იყო. გადასახლებულთა ნახევარზე მეტი უზბეკეთში, ხოლო დანარჩენი სამხრეთ ყაზახეთსა და ყირგიზეთში ჩაასახლეს. მათი რაოდენობა 40-იანი წლების ბოლომდე განუწყვეტლივ მცირდებოდა[42], რაც მიმე საარსებო პირობებთან ერთად გადასახლებულთა დეფორმირებულმა სქესობრივ-ასაკობრივმა სტრუქტურამაც განაპირობა. საკმარისია ითქვას, რომ 1941-1945 წლების ომში, 20 ათასზე მეტი მაშმადიანი მესხი დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ მაშმადიანი მესხების გადასახლების წარმატებით ჩატარებისათვის, ისე როგორც სხვა დეპორტაციების დროს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 413 თანამშრომელი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვეს.

1944 წლის 25-26 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასაზღვრო ზონიდან გაასახლეს 113 ოჯახი. უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა გადასახლებული ქართველი ეთნოგრაფიული ჯგუფის — ლაზების მიმართ. აჭარის მინისტრ მ. ეანილიშის შუ-

ამდგომლობის საუუბეელზე და ბერიას მი-თითებით ყველა ლაზი მოძებნეს (32 კაცი გადასახლებული იყო ყირგიზეთში, 29 კაცი – უზბეკეთში და 7 კაცი ყაზახეთში) და დააბრუნეს მშობლიურ სოფლებში, თაეიანთ სახლებში.

ამრიგად, საქართველოს ისტორიული პროვინციიდან – მესხეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობა მთლიანად გაასახლეს. ეინც შემთხეეეთ 1944 წლის 14-16 ნოემბერს გა-სახლებას გადაურჩა, შემდეგ თითო-თითოდ მოძებნეს და შუა აზიის შორეულ გზას გა-უყენეს.

მესხეთიდან დეპორტირებული მაჰმადი-ანი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლო-ბა ძირითადად ერთგეაროვანი იყო. დეპორ-ტირებულთა 90 პროცენტზე მეტს შეადგენ-დნენ ეთნიკური ქართველები, ხოლო დანარ-ჩენები იყვნენ თურქულ-ენოვანი თარაქამები – თურქმანული მოდგმის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოს შემოეიდა ჯავახეთში („თარაქამა“ ნიშნავს „მომთაბა-რეს“) და ხემშინები (გამაპმადიანებული სომხები).

1957 წელს საბჭოთა კავშირის უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრძანებულე-ბით, დეპორტირებულებს ნება დართეს ეც-ხოერათ ნებისმიერ საბჭოთა რესპუბლიკაში, ქეეყნის ნებისმიერ რეგიონში საქართველო-სა და ყირიმის გარდა.

ქართველი ხალხის დიდი უმრაელესო-ბა ქრისტიანული რელიგიას აღიარებს, რო-მელიც საქართველოში სახელმწიფო რელი-გიად IV საუკუნის 30-იან წლებში გამოც-ხადდა. გადმოცემით საქართველოში ქრის-ტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სეიმონ კანანელი (I საუკუნე). ქრისტიანობ-ის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დაკაეშირებულია წმ. ნინოს სახელთან, რო-მელმაც ჯერ დედოფალი ნანა, ხოლო შემ-დეგ მეფე მირიანი ქრისტიანულ სარწმუნოე-ბაზე მოაქცია. ამის შემდეგ საბერძნეთიდან ჩამოსულმა სამღედელოებამ მეფე, მისი სახ-ლობა, წარჩინებულნი და მდაბიო ხალხი მდინარე მტკეარში მონათლა.

ახლად დანერგილ ქრისტიანობას ბრძოლა უხდებოდა წარმართობასთან, განსაკუთრებით მაზდეიზმთან და ცეცხლთაყ-ეანისმცელობასთან. შედმეგში ქართველ ხალხს მწეაეე და ხანგრძლიეი ბრძოლების გადატანა მოუხდა მაჰმადიანობასთან, რომე-ლიც „დღიდან მისი გამოჩენისა, ისტორიულ მტრად გადაექცა საქართველოში ქრისტია-ნობას და ქართველებს მისგან არასოდეს მოუსეენიათ. შინაარსი ჩვენი ხანგრძლიეი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა არის გარე-შე მტრებთან მუდმეი ბრძო�sა, უმთავრეე-სად ქრისტიანობასა და მაჰმადლიანობას შორის ბრძოლის სახით“[43] ცნობილია, რომ თემურ-ლენგი გაკვირვებული იყო იმის გა-მო, რომ მუსლიმანური სამყაროს გარემოც-ეაში როგორ შემორჩა საქართველოში ქრისტიანობა და იგი პირობას დებდა, რომ გამოასწორებდა წინაპართა მიერ დაშეებულ ამ შეცდომას, რათა მისი მოლიანად ისლა-მის სფეროში შეყვანით საბოლოოდ დაეამ-შეიდოთ მაღალი გონებაო.[44]

ქრისტიანობის დასაცავად ქართველი მოღეაწეები უძეელესი დროიდან თარმგნიდ-ნენ საეკლესიო-საისტორიო მწერლობის ძეგლებს, შექმნეს შესანიშნავი აგიოგრაფიი-ული ნაწარმოებები. მაგალითად, მერეე საუ-კუნის მეორე ნახეკარში ქართლში არაბები-სა და სპარსელების მოზღაეკებაა. ამ პერი-ოდის ცნობილი მოღეაწე იოანე საბანის ძე ხედავდა, რომ აღარ „იყო ზრუნეა სულიე-რი“ და უცხო ტომისა და ხალხის მოძალე-ბის ჟამი იდგა, ქართველ ხალხს აშკარა გა-დაგეარების საფრთხე ელოდა. ამ საფ-რთხეს, გადაგეარების გზაზე დამდგარ ელე-მენტებს იოანე საბანისძემ „ღონე სიტყეი-საი“ დაუპირისპირა: „აღეერიენით ერსა უც-ხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესა-გან... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელ-თა“.[45] მან გამოაფხიზლა ქართველი ხალხი და საკუთარი სახის დაკარგვის მოსალოდ-ნელი საშიშროება დაანახა.

მეთერთმეტე საუკუნის 40-იან წლებში კი ცნობილი ქართველი სასულიერო და სა-ზოგადო მოღეაწე გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა: „რომელთა ქართველთა განმრავ-ლებაი იღეაწოო... საუკუნომცა არს სახსენე-ბელი და კურთხეეაი მათი!“ დიდი წინაპა-რი იმაზეც ზრუნაედა, რომ ისტორიულ სი-რიაში მდებარე ზეაი მთის ეკლესია-მონას-ტრებისა და საზღვარგარეთ სხეა ქართული კულტურის ცენტრების კუთვნილი მიწა-წყა-ლი არაეის გაეცა და იქ ქართველთა სახსე-ნებელი არ ამოწყეეტილიყო : „უკეთუ ეინმე

გამოჩნდეს ნათესაესა ჩვენისაგან კაცი, – გინა მამასახლისი, გინა იეროზომოსი, გინა სხეაი ვინ, – და რაითაცა... საფასისა სიხარბითა.. განსცეს მიწაი მთასა გინა გარე, ანუ ქართველთა შინაგამეცემელ ეკმნეს... და ჩვენი სახსნებელი ამოსწყვიდოს, ყოველთა წმიდათა ჯეარითა და მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შენეკენებულ და განეეთილ წესისგან „ქრისტეანეთაისა".[46]

ირანელი დამპყრობლები საქართველოს ეროვნულ-ტერიორიული მთლიანობის მოშლის მიზნით ატარებდა უაღრესად ეერაგულ რელიგიურ პოლიტიკას. ამისთვის ირანელი შაპები ქეეყანაში ქმნიდნენ ადგილობრივ დასაყრდენ ძალას. ქეეყნის შიგნით ასახლებდნენ მუსლიმანურ ტომებს. მუსლიმანური სარწმუნოების მიღების შემთხვეევაში ყოველმხრივ ახალისებდნენ მმართველი წრის წარმომადგენლებს. ასევე იქცეოდნენ ოსმალო დაპყრობლებიც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1725 წლის ერთი დოკუმენტი, რომელიც ეხება ახალციხის ფაშის ბრძანებას მუბაშირისადმი : „ჩვენო მუბაშირო, ეს მაპმად (რომ ბეკან ერქეა) ზურაბის შვილი ბარათიანი, რადგან მუსულმანი შაიქმნა, რაც მამით-პაპით მამული და ყმა სჭერიათ, ეგრეეე უნდა დაიჭიროს. მაპმადისათეის წყალობა უყაეთ და საყმოთ უბოძეთ".[47]

ირანელი მბრძანებლები თაეიანთი მზაკერული მიზნის განხორციელებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეებს ძალდატანებით ამაპმადიანებდნენ, ურჩებს კი ციხეში სეამდნენ და სიკედილით სჯიდნენ. მე-16 საუკუნიდან მე-18 საუკუნის 40-იან წლებამდე შაპებს სამეფო ტახტზე, როგორც წესი, გამაპმადიანებული ქართველები ასაყვდათ, რომელთა ნაწილი ყველაფერს აკეთებდა ქართული სულიერი სამყაროს გადაგეარებისათვის. ქართველი მემატიანე ბერი ეგნატაშვილი გულისტკივილით აგვიწერს როსტომ მეფის (1632-1658) მოღეაწეობას, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ქეეყანაში ზოგი რამ ააშენა, სულიერი საზრდო მოუსპო ქართველობას: „მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან გარდაცვალება, და ყოველთაეე შეიეუარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყუარება... მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და განმრავალდა სახლსა შინა მისსა სიძეა და არა – წმიდება, ცოდეა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრეეა... არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა... ამისა ჟამსა შინა არ იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყენეს ფუფუნეულ და ხორცთ-მოყუარე... ამას შინა მოუძლურდა სჯული და განიყურნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათეის ზრუნეიდენ ყოველნიეე".[48]

ქართველი ხალხის შედარებით მცირე ნაწილი მაინც ეერ გადაურჩა გამაპმადიანებას. მტერმა ყველაფერი იღონა მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველების გამუსლიმანებისათვის.

მე-19 საუუუნემდე არავითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, თუ ქართველების რა ნაწილი აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და რა ნაწილი მაპმადიანურს. ამ მხრივ პირველად ყველაზე სარწმუნო ცნობებს გვაძლევს 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ არსებული მონაცემები, თუმცა საოჯახო სიები არ იძლეეა ეროვნებების მიხედვით რელიგიური აღმსარებლობის დახასიათების საშუალებას. მთლიანად ქეეყანაში კი მართლმადიდებურ რელიგიას მოსახლეობის 74,8 პროცენტი აღიარებდა, აქედან თბილისის გუბერნიაში – 61,3 პროცენტი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 86,6 პროცენტი. ქართველების დიდი უმრაელესობა მართლმადიდებელი იყო.

1897 წელს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქართველი მოსახლეობის დიდი უმრაელესობა მართლმადიდებელია. მთლიანად რუსეთის იმპერიაში მცხოვრები 1241730 ქართველი ანუ 91,8 პროცენტი მართლმადიდებლობას აღიარებდა. სომხურ-გრიგორიანული და სომხურ კათოლიკური სარწმუნოების მიმდეკარი იყო შესაბამისად ქართველობის 2,2 და 0,4 პროცენტი, რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების – 0,2 პროცენტი, იუდაიზმს აღიარებდა 0,5 პროცენტი, ხოლო მაპმადიანურ სარწმუნოებას – 4,9 პროცენტი. ამრიგად რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველების დიდი უმრაელესობა მართლმადიდებელი იყო, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი – მაპმადიანი.[49] რამდენადაც რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველების 99,0 პროცენტი საქართველოში ცხოვრობდა, აღნიშნული მაჩვენებლები რელიგი-

ური აღმსარებლობის შესახებ საქართველოში მცხოვრები ქართველების თითქმის იდენტურია. მაგალითად, თბილისის გუბერნიის ქართველების 90 პროცენტი მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებდა".[50]

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებში რელიგიური აღმსარებლობის შესახებ კითხვა არ ფიგურირებდა. საბჭოთა კავშირში არსებული იდეოლოგია უარყოფდა ღვთისა და ზებუნებრივი ძალების არსებობას და ათეისტური აღზრდის თვალსაზრისით ასეთი კითხვა ამოღებული იქნა აღწერის პროგრამიდან. მხოლოდ 2002 წელს გახდა შესაძლებელი საადწერო ფურცელში სარწმუნოების შესახებ კითხვის შეტანა.

საქართველოში სარწმუნოების მიხედვით მოსახლეობის განაწილებამ 2002 წელს შემდეგი სურათი მოგვცა. მოსახლეობის 88,6 პროცენტი ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა, აქედან 83,9 პროცენტი (3872099) მართლმადიდებელი იყო, 3,9 პროცენტი (171 139 კაცი) – სომხურ-გრიგოლრიანული სარწმუნოებისა და 0,8 პროცენტი (34 729 კაცი) – კათოლიკე. მოსახლეობის 9,9 პროცენტი (433 784 კაცი) მაჰმადიანურ რელიგიას მისდევდა, 0,1 პრცენტი – იუდეურს და 0,8 პროცენტი – სხვა რელიგიას. არც ერთ რელიგიას არ აღიარებდა მოსახლეობის 0,7 პროცენტი. მართლმადიდებლურ რელიგიას მოსახლეობის 99 პროცენტზე მეტი აღიარებდა იმერეთის; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის; სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეებში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ ჰქონდათ მარტვილისა (მოსახლეობის 99,8 პროცენტი) და თერჯოლის რაიონებს (99,7 პროცენტი). აღსანიშნაია, რომ აჭარის მოსახლეობის 64,0 პროცენტი (240 552 კაცი) მართლმადიდებელია.

მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებს საქართველოს მოსახლეობის 9,9 პროცენტი. ყველაზე მეტი მიმდევარი ამ რელიგიას ყაყაჩოს ქვემო ქართლში – მოსახლეობის 45,4 პროცენტი (225 657 კაცი), ხოლო შემდეგ აჭარაში – მოსახლეობის 30,6 პროცენტი (115 161 კაცი). მაჰმადიანური რელიგიის მიმდევართა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ხულოსა (მოსახლეობის 88,4 პროცენტი მაჰმადიანია) და მარნეულის (83,4 პროცენტი) რაიონებს. ბევრი მაჰმადიანი ცხოვრობს აგრეთვე კახეთში – 51 256 კაცი, ანუ კახეთის მოსახლეობის 12,6 პროცენტი. საგარეჯოს რაიონის მოსახლეობის თითქმის მესამედს (32,1 პროცენტი) მაჰმადიანები შეადგენენ, ლაგოდეხის რაიონში – მოსახლეობის 22,5 პროცენტს, ხოლო ახმეტის რაიონში – 19,9 პროცენტს.

ქართველების დიდი უმრავლესობა ქრისტიანულ რელიგიას აღიარებს – 3483351 კაცი (95,2 პროცენტი), აქედან მართლმადიდებელია 3468794 კაცი (99,6 პროცენტი), კათოლიკე – 11508 კაცი (0,3 პროცენტი) და სომხურ-გრიგორიანული სარწუმნოებისა – 3048 კაცი (0,1 პროცენტი). ამასთან სულ საქართველოში ცხოვრობს 139 306 ქართველი მაჰმადიანი ანუ მთელი ქართველი მოსახლეობის 3,8 პროცენტი. ძირითადად ქართველი მაჰმადიანები აჭარაში ბინადრობენ – 115 161 კაცი. გარდა აჭარისა ქართველი მაჰმადიანები შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდებიან გურიაში – 13 636 კაცი, სამცხე-ჯავახეთში – 5817 კაცი და ქვემო ქართლში – 2224 კაცი.

აღსანიშნაია, რომ საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის 95,1 პროცენტი და ოსების 95,2 პროცენტი მართლმადიდებელი რელიგიის მატარებელია. ასევე მართლმადიდებელ რელიგიას აღიარებს სომხების 23,2 პროცენტი და აზერბაიჯანელების – 1,6 პროცენტი. რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მონაცემები მოტანილია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მიხედვით.

ლიტერატურა

[1] Leo Gabunia, Abesalom Vekua, David Lortkipanidze, Carl C. Swisher III, Reid Ferring, Antje Justus, Medea Nioradze, Merab Tvalchrelidze, Susan C. Anton, Gerhard Bosinski, Olaf Jöris, Marie – A-de Lumley, Givi Majsuradze, Aleqsander Mouskhelishvili. Science Reprint. Earliest Pleistocene Hominid Cranial Remains from Dmanisi, Republic of Georgia: Taxonomy, Geological Setting, and Age. 2000, Volume 288, pp. 1019-1025; დ. ლორთქიფანიძე, ა. ვეკუა, ფილიპ გ. რაიტმაიერი, ა. მარგველაშვილი. დმანისელი ნამარხი ადამიანი და მისი

ადგილი ალრეულ პომინიდებს შორის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. ტ. 175, №1, გვ. 110. ნაშრომის ამ ნაწილში (ქართველები) ფართოდ ვისარგებლე პროფესორ ვ. ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით გამოცემული წიგნით: „ერი ერმა უნდა გადაარჩინოს", თბ., 2007.

[2] საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ; 1991, გვ. 219.

[3] ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი, 2002, გვ. 56-57.

[4] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1976, გვ. 177.

[5] ალილუიანოს რედაქციები, ანგარიტია, თბილისი, 1975, გვ. 113, 122, 183.

[6] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", ბერძნული და ქართული ტექსტები, თბილისი, 1967, გვ. 104-105.

[7] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. I, 1979, გვ. 43.

[8] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 30.

[9] Давид Ленг Грузины М, 2004, с. 58

[10] იქვე, გვ. 82.

[11] გეორგიკა. ტ. II, ბერძნული და ქართული ტექსტი. თბილისი, 1967, გვ. 32, 37.

[12] ციტირებულია: ო. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხეთის კულტურა, 1972, გვ. 26.

[13] ო. ლორთქიფანიძე, ქართული ცივილიზაცია. საიდან იწყება მისი ისტორია? ისტორეთ: ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო, ბიულეტენი № 3, 1994, გვ. 26.

[14] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ბერძნული და ქართული ტექსტი. 1957, გვ. 126.

[15] საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 2006, გვ. 50-51.

[16] თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

[17] Древние цивилизации. М., 1989, с. 20-21.

[18] Авербух М. Законы народонаселения докапиталистических формаций. М., 1967, с. 42.

[19] ციტირებულია: ი. საუშკინი. ეკონომიკური გეოგრაფიის შესავალი. თბ., 1978, გვ. 191.

[20] ციტირებულია: კ. ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმოშენული ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით. იხ. კრებული: საქართველოსა და ქართველების აღმოშენული უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 249.

[21] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორია. ტ. I, თბ., 1958, გვ. 255.

[22] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკეთი II. თბ., გვ. 523.

[23] ციტირებულია: მიხეილ რეხიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ., 1982, გვ. 312.

[24] ლ. მაგარიტო, საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801). თბ., 2008, გვ. 12; Ключевский В. Сочинения в девяти томах, Курс русской история, часть V, М., 1989, с. 178.

[25] ლ. მაგარიტო, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[26] Ключевский В. დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[27] რ. ლომინაძე. რუსეთის ბატონობის დამყარება საქართველოში. თბ., 2000, გვ. 108.

[28] ე. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 82, 116

[29] Сборник статистических сведений о Кавказе. Т. I, Тифлис, с. 23.

[30] Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 г. Тифлис, 1880, с. 95.

[31] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г. Общий свод по империи. Т. II. С. Петербург, 2005, с. 374.

[32] ი. რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 182.

[33] დ. ჭიკინაძე. რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს) და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამერეკეკასიის განყოფილება". იხ. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 189

[34] ციტირებულია: Дзидзария Махаджырства и проблемы истории Абхазии столетия Сухуми 1982 с 439

[35] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეოლიტერატურა აქტების კრებული, 1918-1921. თბ., 1990, გვ. 3-4.

[36] Народное хозяйства Грузинской ССР. Юбилейный статистический ежегодник, Тбилиси, 1977, с. 9.

[37] იქვე, გვ. 10.

[38] ე. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 100.

[39] საქართველოსა და რუსეთის ხელშეკრულება, 1920 წლის 7 მარტი. იხ. წიგნში: ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991, გვ. 221.

[40] ალექსანდრე ცოფია. „ეთუოული ოდენი". ჟურნალი „ახალი იერი", პარიზი, №11, სექტემბერი, 1938.

[41] Сталинские депортации, с. 522-524, 531-532.

[42] Сталинские депортации, с. 524.

[43] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ., 1960, გვ. 477

[44] კ. ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს სპარსული წყაროების მიხედვით. იხილეთ: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 249.

[45] იოანე საბანისძე. პაბოს წამება. ქართული პროზა. წიგნი I, თბ., 1981, გვ. 145.

[46] გიორგი მთაწმინდელი. იოანეს და ეკეთიმეს ცხოვრება. ქართული პროზა, წიგნი I, გვ. 422-423.

[47] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.) წიგნი I, თბ., 1959, გვ. 142.

[48] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 424-425.

[49] Общий свод по империи результатив разработки данных первой всеобщеи переписи. Т. II, С. Петербург, 1905, с. 92-97.

[50] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Т. LXIX, С. Петербург, 1905, с. 82.

აფხაზეთი

*„თუ შეგვნეული აფხაზები დაახლოებითი კაცრობენ თაეიანი ხამმობლოს წარხულს, ცხადად დარწმენდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ ხუეუნეებში ხტებოდა კეთილ-დღეობით და კაი ხახულით, როდა შეაეაერებული იყო საქართველოსთან ჰოლიტიკურად, ხარწმენოებით და ენათა-მხახურებით... მეკიეე კაეპირი... ქართველებთან წვლში გამარაეს აფხაზებს, ზურგს გაემაგრებს, ძალას და ღონეს მიხცემს და კარგის მომაელის ი

ეი მატებისა (ზოგიერთ წლებში კლების) და ინტენსიური გარე მიგრაციული პროცესების შედეგად აფხაზი მოსახლეობა მცირდებოდა. დაახლოებით ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის რაოდენობრივი ცვლილება და გამონაკლისი არც აფხაზები იყვნენ. ამასთან სისხლისმღვრელმა კონფლიქტებმა რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის აფხაზებისაც. კონფლიქტების შედეგად აფხაზეთი საკმაო რაოდენობით დატოვა არა მარტო ეროვნულმა უმცირესობებმა, არამედ აფხაზებმაც. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 932 აფხაზი იძულებული გახდა გამოქცეოდა აფხაზი სეპარატისტების რეჟიმს და მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარეს თავი. ექსპერტული შეფასებებით და სხვადასხვა მოძიებული წყაროებით აფხაზეთში 2002 წელს 42 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. 1989-2002 წლებში 52335 აფხაზი წავიდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ძირითადად რუსეთში. ზოგიერთები აფხაზების რაოდენობას ამჟამად 70 ათას კაცამდეც ანგარიშობენ. აფხაზებისაგან უალტობრივად მთა და მთისწინეთი დაიცალა. ისინი ქალაქ სოხუმსა და ზღვისპირა რაიონებში ქართველთა კუთვნილ სახლებში ჩასახლდნენ.[4]

განსაკუთრებით საეჭვოა საზღვარგარეთის ქვეყნებში 400 ათასიანი აფხაზური დიასპორის არსებობა, თუნდაც აბაზებთან ერთად. ეს, ეფიქრობთ, გამოძახილია აფხაზი სეპარატისტი მეცნიერების სურვილისა, რომლებიც დაჟინებით აცხადებენ, რომ მე-19 საუკუნეში თითქოს აფხაზეთიდან თურქეთში 500 ათასი აფხაზი გადასახლდა.

აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, შეუძლებელია ამ რაოდენობის აფხაზების თურქეთში გადასახლება. კერძოდ, 1867 წელს აფხაზეთში 65 ათასი კაცი ცხოვრობდა. რუსი მოხელეები აღნიშნავენ, რომ აქედან 22 ათასი სამურზაყანელი[5] ანუ ქართველი იყო. აფხაზეთის დანარჩენ რაიონებშიც ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რის შესახებაც აღნიშნულია ევროპელი მოგზაურების ნაშრომებში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ 1867 წელს 7 ათასი აფხაზი ყუბანის ოლქში (ზელენჩუკისა და ელბრუსის ოკრუგებში) ცხოვრობდა.[6] რაც შეეხება აბაზებს, ისინი მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ ყუბანის ოლქში, კერძოდ, ზელენჩუკის ოკრუგში ცხოვრობდა 4511 აბაზა[7] და დაახლოებით ამდენივე – ელბრუსის ოკრუგში. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ამჟამად დაახლოებით 10 ათასი აბაზა ცხოვრობს მახლობელ აღმოსაელეთში, რომლებიც 1862-1864 წლებში გადასახლდნენ.[8] შემდეგში აბაზები მცირე რაოდენობით გადასახლდნენ თურქეთში. კერძოდ, 1871-1884 წლებში თურქეთში გადასახლდა 1256 აბაზა.[9] თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გავითვალისწინებთ, აფხაზები და აბაზგები მთლიანადაც რომ გადასახლებულიყვნენ თურქეთში, შეუძლებელია ამჟამად 400 ათასიანი აფხაზური (აბაზგებთან ერთად) დიასპორის არსებობა საზღვარგარეთის ქვეყნებში. მთავარი მაინც ის არის, რომ თურქეთში გადასახლებული აფხაზების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი აუცილებლად გაითქვიფებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში და, მითუმეტეს, თუნდაც საკარაუდოდ, 400 ათასიანი აფხაზური დიასპორის არსებობა გამორიცხულია.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აფსილებსა და აბაზგებს აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევს. ისინი არ იზიარებენ დებულებას იმის შესახებ, რომ აფხაზთა წინაპრებად მიჩნეული აფსილები და აბაზგები რეალურად ქართველი ტომები არიან. მეცნიერები, რომლებიც ამ მოსაზრებას უჭერენ მხარს თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ აბაზგები და განსაკუთრებით აფსილები გაქართველდნენ, აფხაზეთი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. „ერთი სამყაროა ქართველნი, აფხაზნი, კახნი...“[10] გვიან შუა საუკუნეებში ხდება ამ ქართულ სამყაროში „აფხაზების ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ. იყო ამაეე დროს ბრძოლა „ქართულის“ წინააღმდეგ და აფხაზეთი „მიიქცა წარმართად“.[11] მანამდე „საშუალოსაუკუნეების აფხაზეთში არ ასრებობდა ფეოდალური კულტურა გარდა ქართულისა, გარდა ეეფხისტყაოსნის კულტურისა... (გიხსენე ალექსანდრე შარავაშიძის პროტესტი: **„Я не абхазский, а грузинский князь...“**)[12] ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მოეიყვანთ შედარებით ერცელ ამონაწერს აკადემიკოს

ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომიდან, რომელიც ცხადყოფს გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კაკასიიდან აფსუების გადმოსახლებას თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე — ფაქტობრივად მათ მთლიანად ქართულ სამყაროში შემოჭრას. როგორც იგი აღნიშნავს, XVII საუკუნის აფხაზები საკმაოდ გვიან ჩამოვიდნენ ბარში. მათ ჯერ კიდევ ეერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ეერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა და ფეოდალური მეურნეობა. მათი ყოფნა პრიმიტიულია და რელიგია წარმართული. მაგრამ მეორე მხრივ, გაცილებით ადრე, საშუალო საუკუნეებში (VIII-XIII სს.) აფხაზეთი არის განეთარებული ქრისტიანული ფეოდალური ქვეყანა, რასაც მოწმობენ უცხოელი და ქართველი მწერლები, აწინდელი აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლები და უცვალ ხდება ჸირფუსეიანი გარდატეხა... აფხაზეთი „წარმართობს", აფხაზეთში ზედიზედ უქმდება საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა, აფხაზთა შორის ფეხს იკიდებს მაჰმადიანობა და ეს ხდება არა იმის გამო, რომ აქ ოსმალეთმა ძალით დანერგა მაჰმადიანობა, როგორც ეს მოხდა მესხეთში, არამედ სულ სხვა საფუძველზე. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ყოველიეე ამის შემდეგ ნ. ბერძენიშვილი ასკვნის: „საესებით დაუჯერებელია, რომ ესოდენ ინტენსიურ ფეოდალურ ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორიც იყო აფხაზეთი, საიდანაც ქრისტიანობა იმიერკაკასიის ხალხებშიაც კი ერცელდებოდა, ქრისტიანობა თავისთავად გაქრა და მისი ადგილი პირველყოფილმა წარმართობამ დაიკავა... ეს ხომ ყოველად დაუჯერებელი რამ არის. განა მეზობელი სამეგრელო უფრო განეითარებული მხარე იყო ეკონომიურად, პოლიტიკურად ან სოციალურად? ან როგორ მოხდა, რომ სამეგრელოში საზოგადოებრივი განეითარება გვიან ფეოდალიზმამდე მიეიდა, ხოლო აფხაზეთი ადრეფეოდალურ ურთიერთობას შერჩა?..

მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რასაც ადგილი აქონდა არაერთგზის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწყა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ აქონდა ადგილი... ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამოდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე".[13]

ამ ასპექტში ყურადსაღებია ბ. გოგიას მოსაზრებაც, რომლის თანახმად კაკასიის შავი'ხღვისპირეთში მცხოვრები ანტიკური ტომები, კერძოდ, კერკეტები, პენიოხები, ჯიქები, აბაზგები და აბსილები თავდაპირველადვე ქართველური ტომები იყვნენ, მაგრამ შემდეგში მუდმივი თავდასხმების შედეგად მოხდა მათი ასიმილაცია და შეინარჩუნეს მხოლოდ ქართული ტოპონიმები. ამის შედეგად ამ ტომების ეთნიკური შემადგენლობა და საერთო კოლხური თეითშეგნება იცვლება მე-14 საუკუნისათვის: თუ ადრე ისინი ატარებდნენ საერთო ქართველურ პოლიტიკას, ისწრაფოდნენ ერთიანი ქართული (აფხაზური) სამეფოს შექმნისათვის ქართული დამწერლობით, კულტურით და ეკლესიით, XIV-XV საუკუნეებიდან დაწყებული „ისინი" ისტორიის წინაშე წარდგებიან არა როგორც ქართველური, მკვიდრი, მიწათმოქმედი და ქრისტიანული მოსახლეობა, როგორც ეს იყო ადრე, არამედ როგორც უცხო, მოსული, მესაქონლეობის მიმდევარი და წარმართი მოსახლეობა.[14]

საყურადღებოა ბ. გოგიას შემდეგი მსჯელობაც. კაკასიის შავიზღვისპირეთში ჩვ. წ. I საუკუნიდან ხდება ტომების დიდი გადაადგილება. ადგილობრივი მოსახლეობის მკვიდრი ქართველური ეთნიკური შემადგენლობის ასიმილაცია მოახდინეს აფხაზურ-ჩერქეზულმა ტომებმა, რომლებიც შემოიჭრნენ აქ (კერძოდ, ტუაფსეს რაიონში) ორი მხრიდან: აზოვისპირეთიდან და დიდი კაკასიონის ქედის ხეობებიდან და გადასასვლელებიდან. მიუხედავად ამისა კაკასიის შავიზღვისპირეთის გეოგრაფიული ნომენკლატურა დარჩა ძველი ე.ი. ქართველური. კოლხური ტომების — მეგრელების, სვანების, კერკეტების, პენიოხების, ჯიქების, აფხაზებისა და აფსილების — საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია პიდრო-ტონოპიმების როგორც ადგილობრივი (ქართველური), ისე ბერძნულ-ლათინური სახელწოდებები, რომლებიც თარგმნილია ქართველური ენებიდან ან მოტანილია ანტიკური კოლო-

ნისტების მიერ დასავლეთ ევროპიდან. ის, რომ შემდეგ პერიოდში გამქრალი აფსილები ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ ქართველურ დიალექტზე უცილობელი ფაქტია. მაგალითად, მცენარე წიფელის აღსანიშნავად ისინი იყენებენ ქართულ სიტყვას წიფელი... ქართველი აეტორი ჯუანშერი (XI ს.), VIII საუკუნის ისტორიული ამბების განხილვის დროს აღნიშნავს: „ქალაქი აფშილეთისა ცხუმი"[15] (სოხუმი) ე.ი. აბსილეთის ქალაქი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხუმი (სოხუმი) ასევე ქართული სიტყვაა და ნიშნავს „რცხილას". ძველი კოლხური ტომები, განსაკუთრებით აბაზგები „თაყვანს სცემდნენ ხეებს", მათ ღმერთებად თვლიდნენ და ადგილებს მათ სახელებს არქმევდნენ. ასე იყო ბიჭვინთის (პიცუნდა) შემთხვევაშიც, რომელიც ნიშნავს ფიჭვს ქართველურ ენებზე, და ბზების (ბზიბი) მიმართაც, რომელიც საშუალო საუკუნეების ევროპელმა აეტორებმა ქართულიდან გადათარგმნეს როგორც buxo – бужо („ბზა"): ძველმა ბერძნებმა იგი გადათარგმნეს ბერძნულად (Πιτυε) ჯერ კიდევ ძველ ანტიკურ დროში. ასეთი მაგალითები ბევრია და ისინი უცილობლად გვიჩვენებენ, რომ არა მარტო აფსილები, არამედ აბაზგებიც, რომლებიც მონათლეს VI საუკუნეში... იყვნენ ქართველური და არა აფსუური ტომები.[16]

ბ. გოგიას განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ მან მოიძია, შეისწავლა და კომენტარებით გამოაქვეყნა უნიკალური ისტორიული რუკები, რომლებიც ეძღვნება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებს.[17] წიგნში შესული გეოგრაფიული რუკები ქრონოლოგიურად მოიცავენ პერიოდს პირველი საუკუნიდან (კოლხიდის, იბერიისა და ალბანიის ანტიკური რუკა) მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა). უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ რუკების წარმოშობის, დანიშნულებისა და რაც მთავარია, შედგენის დროისაგან დამოუკიდებლად ენგურიდან ფსოუმდე ტერიტორია ანუ თანამედროვე აფხაზეთი, ყოველთვის შედის საქართველოს ან ქართული პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობაში. მაგალითად, კოლხიდის, იბერიისა და ალბანეთის ანტიკური რუკის მიხედვით, კოლხიდა შეიცავს მთლიანად თანამედროვე აფხაზეთს მდინარე ფსოუმდე. რუკაზე აბასკები და აფსილები ლოკალიზებულია თანამედროვე სამეგრელოს ტერიტორიაზე, რაც ამტკიცებს მათ კუთვნილებას კოლხურ-მეგრულ ტომებთან. კლაპროტი და სხვები აფსილებს ათავსებენ სამეგრელოში. დიუბუა დე მონპერიე აფსილებს ათავსებს სამეგრელოს სამთავროში და მათ აცხადებს მეგრელებად: აფსილები – მეგრული მოსახლეობაა (ადრე იწოდებოდნენ პენიოხებად). ისამბერიის, პროკოფი კესარიელის მთარგმნელის რეზიუმეს მიხედვით, „ლაზები, რომლებიც რამდენიმე ხალხს შეადგენენ ფაზისზე, გაერთიანებული არიან კოლხების სახელწოდებით... აფსილები ლაზები არიან, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილო-დასავლეთით და ესაზღვრებიან აბაზგებს (ისინი, უეჭველად, თანამედროვე მეგრელები არიან).[18] რა თქმა უნდა, რაც ზემოთ ითქვა, ვერ ეიტყვით, რომ უეჭველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ უარყოფა იმისა, რომ აფსილები და აბაზგები ქართველური ტომები არ არიან, ერთი ხელის მოსმით, დაუშვებელია. მეცნიერები, მათ შორის, დიდი აეტორიტეტებიც, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ, აფსილებსა და აბაზგებს ქართველურ ტომებად თვლიან. ამ საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად შეეეხებით.

ბ. გოგიას მოძიებული რუკები მეტად საინტერესოა. ზოგიერთ რუკაზე არა მარტო თანამედროვე აფხაზეთი, არამედ ტუაფსე და სოჭიც საქართველოს შემადგენლობაშია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში ქართველური ტომების ცხოვრების კვალი ტოპონიმებისა და ზოგიერთი წერილობითი წყაროს მიხედვით აშკარად ჩანს. სწორედ ამ წყაროების ანალიზის საფუძველზე პროფესორი ზ. რატანი აცხადებს: „პირიქითა საქართველო იყო ლაზ-მეგრელებით, სვანებით, დეალებით, წანარ-მოხვევებით, ფხოე-ხევსურებით და თუშებით დასახლებული. ეს ქართველი ტომები არიან პირიქითა საქართველოს პირველი მკვიდრი მოსახლეები – აბორიგენები, ანუ ისინი, ეისაც ლენტი მროველი კავკასიანებს უწოდებს".[19]

აფხაზი ქართველს ყოველთვის ეაჟკაცობის განსახიერებად, სიტყვის პატრონად, უერთგულესი მეგობრობის ნიმუშად, უფროსი თაობის დრმა პატივისმცემელად, ავისა და კარგის გამრჩევად, სიკეთის დამფასებლად, ეროვნული ტრადიციების უალრეს

დამცველად ჩაეყარა წარმოდგენილი. ქართველსა და აფხაზს გასაყოფი არაფერი ჰქონიათ. მათ შორის ხშირი იყო ქორწინებები. მე-19 საუკუნის ქართული ჰრესა საესე იყო პუბლიკაციებით, რომლებშიც ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდ გულისტკივილს გამოთქვამდნენ აფხაზების თურქეთში ძალდატანებით გადასახლების გამო. ისინი მოითხოვდნენ მათ სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ როგორც თურქეთი, ასევე რუსეთი ყოველნაირ დაბრკოლებას უქმნიდნენ მუსაჯირებს და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდნენ მათ მშობლიურ მხარეში დაბრუნებას.[20] ქართველი მოღვაწეები დიდ ზრუნვას იჩენდნენ აფხაზური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, მხარს უჭერდნენ „აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას“. დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი ჯერ კიდევ 1907 წელს, როდესაც ფეხს იდგამდა აფხაზური დამწერლობა და ლიტერატურა, აღნიშნავდა: აფხაზეთში „ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ; მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავეა. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდაოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“.[21] საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. იგი მოითხოვდა ი. გოგებაშვილს მონაწილეობა მიეღო „აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოს შექმნაში“.[22]

მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ქართველთა და აფხაზთა შორის არნახული კეთილმეზობლური ურთიერთობის, მათ მიერ ჭირისა და ლხინის გაზიარების შესახებ. მიუხედავად ამისა, უკვე მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში იგრძნობა ამ ურთიერთობების დაძაბვა, რომელიც უკვე პრაქტიკულ გამოხატულებას განსაკუთრებით 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან იძენს. 1956, 1967 და 1978 წლებში ხდება მასობრივი ხასიათის გამოსვლები, რომლებზეც აყენებდნენ დაუსაბუთებულ მოთხოვნებს, მათ შორის, საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის საკითხს, რაც, ბუნებრივია, ქართველთა საპროტესტო აქციებს იწვევდა. ქართველთა და აფხაზთა შორის მეფის რუსეთიც ცდილობდა ურთიერთობების დაძაბვას. ამის შესახებ ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „ამ ჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დაშორონ იგინი საქართველოს, გაიპატრონონ და გადიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კაეშირი აფხაზებისა ქართველებთან“.[23]

კავკასიაში გაბატონებისათვის რუსეთი თავიდანვე არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსა და მის ისტორიულ კუთხეში – აფხაზეთში თავისი პოზიციების გამაგრებას. ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელებისათვის მას ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების გაფუჭების, უადრესად დაძაბვის გეგმაც ჰქონდა დასახული. ამ გეგმამ განსაკუთრებით აგრესიული სახე, ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი კომუნისტური მმართველობის პერიოდში მიიღო. ამ გეგმის უპირატესი მიზანი იყო კონტროლის ქვეშ მყოლოდათ საქართველო და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და მოკოვების შემთხვევაში გაეთამაშებინათ სწორედ ეს მთავარი კოზირი, რაც შესანიშნავად გამოიყენეს კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) და 1990-იანი წლების დასაწყისში. ამას არც აფხაზი სეპარატისტები მალავენ. ყოფილი წამყვანი სეპარატისტული ორგანიზაციის „აიდგილარას“ ეიცე თაემჯდომარე ზურაბ ანბა აფხაზი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში დაუფარავად აცხადებდა: აფხაზეთი – ეს არის ყულფი, რომელიც რუსეთმა ჩამოაცვა საქართველოს, რათა თავისი გაელენის სფეროში იყოლიოსო“.[24]

ამ პრობლემის რესტროსპექტული განხილვა არსებითად ახალს არაფერს გვეუბნება. კერძოდ, 1820-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა, რუსეთის მთავრობას მოძღვრავდა: გაგრის ადგილმდებარეობა ძლიერ მოხერხებულია, რუსეთის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ადგილს და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კაეკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამორჩილება სურს.[25] მაგრამ რუს მოხელეებს გამბას გა-

რეშეც ყურადღება ჰქონდათ მიქცეული ამ ადგილისათვის. ამავე ხანებში გენერალი პასკევიჩი ნიკოლოზ პირველს არწმუნებდა, რომ კავკასიის საბოლოო დაპყრობა შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ შაეი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შემდეგო.[26] მეტად საინტერესოა ამ მხრივ „კავკასიის დიქტატორის" ა. ერმოლოვის 1820 წელს დაწერილი წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ამ პერიოდში რუსეთის გარნეზონში დიდი სიკედილიანობისა[27] და დიპლომატიური სიძნელეების გამო რუსეთის საგარეო სამინისტროში დაისვა სოხუმისა და აფხაზეთის თურქებისათვის დაბრუნების საკითხი. ა. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა იმის შესახებ, რომ სოხუში წარმოადგენდა აღმოსავლეთ შაეიზღვისპირეთში რუსეთის დასაყრდენს. იგი გადადგომით იმუქრებოდა, თუკი სოხუმს თურქებს დაუბრუნებდნენ. სამინისტრომ დააკმაყოფილა ა. ერმოლოვის მოთხოვნა.[28]

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ საქართველოს შესახებ ევროპელი მოგზაურები, რომლებმაც 1830-იან წლებში იმოგზაურეს საქართველოში. მაგალითად, ო. სპენსერი წერს: „საქართველო „თავისი ადგილმდებარეობით დანარჩენი ამიერკავკასიის სამფლობელოებისაკენ ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს[29] გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მ. ეაგნერი (1843-1846 წლებში იმოგზაურა შაეიზღვისპირა ქვეყნებში, საქართველოშიც) კი თბილისის შესახებ აღნიშნავდა: „თუ მე აქ რაიმეს ერცლად ესაუბრობ ტფილისსა და მის მოსახლეობაზე, ეს უნდა მაპატიოს ამ ქალაქის დიდმა პოლიტიკურმა და გეოგრაფიულმა მნიშვნელობამ. ცხადზე უცხადესია, რომ მისი უფრო დიდი როლი მომავალშია (ვიდრე ეს ზარსულში ჰქონდა): აქედან წარიმართება რუსული არწივის წარმატებითი ლაშქრობა სპარსეთისა და აზიური თურქეთის დასაპყრობად".[30]

ახლახან გამოვიდა პროფესორ ნოდარ ლომოურის შესანიშნავი წიგნი: „ძირძველი ქართული მხარის — აფხაზეთის ისტორიისათვის". მასში განხილულია აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიის საკითხები. ამასთან პატიეცემული პროფესორი, უკანასკნელ 20 წელიწადში აფხაზეთში მომხდარი ამბების, როგორც უშუალო თვითმხილველი და მონაწილე უაღრესად ობიექტურ შეფასებას იძლევა, რაც მეტად მნიშვნელოვანია უახლესი ქართული ისტორიოგრაფიისათვის. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, 1854 წელს გამოიცა გამოჩენილი ქართველი მკელვარის პაელე ინგოროყვას დიდტანიანი და საკმაოდ მნიშვნელოვანი წიგნი „გიორგი მერჩულე", სადაც საგანგებო IV თავი მიძღვნილი ჰქონდა აფხაზეთის ძველი ისტორიისათვის და აქ ამტკიცებდა, რომ ძველი აფხაზები (ბერძნულ-რომაული წყაროების აფსილები და აბაზგები) ქართველი ტომები იყვნენ, ხოლო დღევანდელ აფხაზთა (აფსუთთა) წინაპრები გადმოსახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ XVII საუკუნის შემდეგ. ამ ფაქტმა ბიძგი მისცა ანტიქართული განწყობილების გამწვეველებს და აფაზურ მოსახლეობაში იმ ბრალდების გაერცელებას, რომ ყველაფერი რაც აფხაზეთში უარყოფითი ხდებოდა, ქართველთა ბრალია.[31]

პ. ინგოროყვა დიდძალი წყაროების სათანადო მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიეიდა აღნიშნულ დასკვნამდე, თუმცა მკელვარის ეს მოსაზრება არ იყო მთლიანად ახალი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მეცნიერული ჭეშმარიტების ძიება, ამ ჭეშმარიტების ძიების დროს თუნდაც არასწორი მოსაზრებების გამოთქმა, თუკი ასეთი მოსაზრებები წინასწარი განზრახვით არ არის ნაკარნახევი, არ უნდა ძაბავდეს ურთიერთობებს ერებს შორის. სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებში გარეშე შოვინისტური ძალების წაქეზებით თავს წამოყოფდნენ აფხაზი სეპარატისტები. მაშ, რაღა ეთქმით ქართველებს, როდესაც გაცილებით ადრე, 1920-იან წლებში, და შემდეგაც, უმთავრესად გამიზნულად, აფხაზი ავტორიტეტი მოღვაწეებიც კი საშინლად ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას, ცდილობდნენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის მთლიანად მითვისებას და, თუ ძალიან რბილად ვიტყვით, ანგარიშსაც ვერ უწევდნენ გამოთქმულ აბსურდულ მოსაზრებებს. „ეთქვათ მრავალთაგან მცირედი".

აფხაზეთის ისტორიის საკითხების მეტად ტენდენციურ კვლევას სათავე დაუდო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელის დ. გულიასა[32] და ს. აშხაცავას[33] 1925 წელს გამოცემულმა „შრომებმა". დ. გულუა და ს. აშხაცავა საკვლევ საკითხებში უაღრესად პრიმიტიულ ცოდნას ამჟღავნებენ და ამი-

ტომ არ არის გასაკვირი, რომ ისინი არა მარტო ტენდენციურად და ულოგიკოდ განიხილავენ აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, არამედ ფაქტობრივად ხელყოფენ ქართულ კულტურას და ცდილობენ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მითვისებას. საგულისხმოა, რომ დ. გულიას წიგნი თბილისში გამოიცა, ხოლო რეცენზიები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც დ. გულიას, ასევე ს. აშხაცავას „შრომებზე" მხოლოდ პროფ. ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა და ისიც ჟურნალ „საქართველოს განათლების მუშაკში".[34]

როგორც ჩანს, მაშინაც აფხაზურ თემაზე წერა არც ისე ადვილი იყო. შემდეგში დ. გულიასა და ს. აშხაცავას „ნაშრომები" აფხაზმა მეცნიერებმა ზ. აგრბამ და ა. ხაშბამ გააკრიტიკეს ა. ფადეევის წიგნის წინასიტყვაობაში.[35] მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიტანთო რამდენიმე მაგალითი აღნიშნული ავტორების „შრომებიდან".

დ. გულია თავისი წიგნის ათი თავიდან რვა თავს აფხაზების წარმოშობის საკითხს უთმობს. ავტორის მიზანია დაამტკიცოს, რომ „აფხაზები და მათი წინაპრები პენიოხები (ინიოხები) კოლხები არიან ეგვიპტიდან და უმთავრესად აბისინიიდან".[36]

კოლხების ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ პირველად ისტორიოსმა პეროდოტემ აღნიშნა, მაგრამ ეს აზრი დიდი ხანია მეცნიერებმა უარყვეს. პეროდოტეს არგუმენტები, რომ კოლხები მუქი კანის ფერისა და ხუჭუჭთმიანები არიან, რომ ისინი ისევე ამუშავებენ სელს და მიმართავენ წინადაცვეთას, როგორც ეგვიპტელები, არაფერს არ ნიშნავს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს თვისებები მრავალ ხალხს ახასიათებს და არა მარტო ეგვიპტელებს.

დ. გულია ხვდება, რომ მხოლდ პეროდოტეს პიპოთეზი კოლხების წარმოშობის შესახებ არ არის საკმარისი და იგი ცდილობს თავისი თეზისი ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ანალოგიებით გაამაგროს. აქ უკვე დ. გულიას ზღაპრების სამყაროში გადაეყავართ. მაგალითად, იგი ერთმანეთს ადარებს აფხაზურ და ეგიპტურ გეოგრაფიულ სახელწოდებებს კოლხების ეგვიპტური წარმოშობის დასამტკიცებლად. კერძოდ, დ. გულია ამ მხრივ დიდ მსგავსებას ხედავს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებას „გუმას" და ეგვიპტურ „გუმბას" შორის, „გალსა" და „გალლას" შორის და ა.შ.[37] მაგრამ თუ ასეთ ფორმალურ შედარებებს გავაკეთებთ, მაშინ ანალოგები შეიძლება გავატაროთ აფხაზეთსა და მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის. თუ „მსოფლიო ატლასს" გაეცნობით, იქ „გალის" მსგავს ათეულობით გეოგრაფიულ სახელწოდებას შეეხვდებით. მაგალითად, გალა, გალანა, გალანტა, გალატი, გალაკი, გალიმი, გალინა, გალიონი, გალიტი, გალიჩი და ა.შ.[38]

დ. გულია პარალელს უკებნის მდინარე აბაშას ეგვიპტეში, მაგრამ არის აგრეთვე ქალაქი აბეშე ჩადის რესპუბლიკაში. ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ აბაზების ზუსტად მსგავს ცნობილ გეოგრაფულ სახელწოდებას „აბაზას" ეხვედრით ალეკრძალ[39] და სხვ. ამ შემთხვევაში, ისევ დაგვრჩენია, რომ ეამტკიცოთ ნათესაობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან.

გულუბრყვილოა დ. გულიას მსჯელობა ადამიანთა აფხაზური და ეგვიპტური სახელების მსგავსების დასამტკიცებლად. მაგალითად, მას მოაყავს აფხაზური და შემდეგ ეგვიპტური სახელები: ზასხან-ხასხალ, შაბატ-შაბაკუ, საბიტა-საბიტა, გუდიმ-ლუდიმ, გაბლია-გაბილე და სხვ.[40] ასეთი მაგალითების მოტანით, მართლაც შეგეიძლია ეამტკიცოთ, რომ ინდოეთში მილიონობით ქართველი ცხოვრობს, რადგან იქ გაერცელებული გვარები ჩირაკა, გაუნია, ტ'ენია, ულანია და სხვ. პავე ქართულ გვარებს, ჩიქავას, გაბუნიას, გუნიას და ალანიას,[41] მაგრამ ამგვარ შედარებებში ჩვენ მეცნიერულს ვერაფერს ეხედავთ.

ე. აგრბას და ა. ხაშბას მიხედეით მეტად სასაცილოა დ. გულიას ეთნოგრაფიული ანალოგები კოლხების აბისინიიდან და ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ. მართლაც, თუმმე მხოლოდ აფხაზები და აბისინიელები მიცვალებულს უხდიან ქელეხს, უაღრესად სტ'ემრთმოყვარენი არიან, ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში დიდხანს ატარებენ ტრაურს, საკმელად იყენებენ წითელ წიწაკას და სხვ.[42]

დ. გულიას აზრით, ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ „კოლხები (აფხაზები და მათი მონათესავე ტომები) წარმოშობით ეგვიპტიდან და აბისინიიდან, საერთოდ, აფრიკიდან არიან.[43] როგორც ჩანს, დ. გულიას მაინც აწუხებს, აზრი იმის შესახებ, რომ აფრიკაში მცხოვრები აფხაზების წინაპრები,

ზანგები ხომ არ იყვნენ და პასუხს ამ კითხვაზე თვითონ სცემს: „ეფიქრობთ, რომ არა“.[44]

ცოდნის პრიმიტიურ დონეზე იხილავს დ. გულია აფხაზური ენის წარმოშობის საკითხსაც. მისი აზრით აფხაზურ ენას მსგავსება აქვს აფრიკის ენებთან. როგორც პროფ. ს. მაკალათია შენიშნავს, „ეგიპტოლოგიიდან აეტორი გადაკვარდება ხეთოლოგიაში და ამტკიცებს აფხაზურ და ხეთურ ენის ნათესაობას... შემდეგ აფხაზური ლექსიკა შედარებულია აზიისა და აფრიკის ყველა ძველ ენებთან და აეტორი მათ შორის საგულისხმიერო მსგავსებას აღნიშნავს.

ისე გამოდის, რომ აფხაზური რაღაც უნიკალური ენა ყოფილა, არაისტორიულ ხანაში, რომელზედაც კაკობრიობა თურმე მეტყველებდა“.[45]

შემდეგში ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განაკრცეს სხვა აფხაზმა „მეცნიერებმა“, რომლებმაც უკვე „მონახეს“ აფხაზური ენის მსგავსება შექსიკურ, ტიბეტურ, ჩინურ და მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ენებთან. ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ სულ ახლახანს ს. ლაკობამ ერთ-ერთ თავის წიგნში განაცხადა: კაკობრიობა აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებსო.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ, ბუნებრივია დ. გულია ყოველგვარ ზომიერებას კარგავს და მისი გაგებით აფხაზების მეფე და კათალიკოსი „საჭეთმპყრობელი ყოფილან მთელ საქართველოსი და სომხეთისაც“. ასეთივე განდიდების მანიათა შეპყრობილი ს. აშხაცავაც, მისი აზრით „მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის არც ერთი ერის შესახებ არ მოიპოვება იმდენი ცნობები, რამდენიც აფხაზების შესახებ, ჩვენ მაინც არ გვაქვს მისი ისტორია. ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის მთელი კავკასიის ხალხებს აერთიანებდა და რომელმაც შეასრულა დიდი კულტურული სამუშაოები დღემდე შეუსწავლელია“. ჩვენ არ ვიცით ს. აშხაცავას რა იმდენი ისტორიული ცნობები ჰქონდა მხედველობაში აფხაზებზე, ან რა ისეთი განსაკუთრებული კულტურული საუშაოები შეასრულა ამ ერმა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ძველმა ქართველმა და სომეხმა ისტორიკოსებმა, მართლაც, ზღვა მასალა დატოვეს თავიანთი ქვეყნების ისტორიის შესახებ. ასეთი მარგალიტებითა სავსე დ. გულიასა და ს. აშხაცავას „შრომები“, რომელთაგან არ შეიძლება კიდევ ერთის შესახებ არ აღინიშნოს. ს. აშხაცავას აზრით „ხუცური ანბანი აბხაზების ანბანი იყო, მხოლოდ, როდესაც აბხაზთა სამეფო დაეცა, ეს ანბანიც თანდათანობით პკრება და ქართლის სამეფოს აღორძინებით მხედრული ანბანი ძლიერდებაო“.[46]

ასე ერთი ხელის მოსმით. ს. აშხაცავამ ქართული ანბანი აფხაზურ ანბანად გამოაცხადა, მაგრამ იმას კი ეველარ დაუკვირდა, რომ აფხაზურ ენაზე ხუცური ანბანით დაწერილი არავითარი ცნობა არ არსებობს და ამის დამამტკიცებელი არც რამე სხვა საბუთი. ხუცური, კერძოდ, ასომთავრული და ნუსხური ანბანით კი დაწერილია ძველი ქართული ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლები.

აი, ამ დონეზე იხილავს დ. გულია, ს. აშხაცავა და სხვა აფხაზი „მეცნიერები“, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მათგანს, აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, რასაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან. განდიდების საოცარი სენით შეპყრობილი აფხაზი მეცნიერებისათვის აფხაზეთი „ამაყი სილამაზის მხარეა“, „კავკასიის მარგალიტია“, ხოლო აფხაზები „კავკასიის ფრანგებია“, „უაღრესად ნიჭიერი ხალხია, რომელიც ერკვევა რთულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში“ და რომელიც „აკეთრებს უცხოელებს თავაზიანობით“.[47] საკუთარი ისტორიის აპოლოგიით გატაცებულმა აფხაზმა მეცნიერებმა მოახერხეს აფხაზი ხალხის საკმაო ნაწილისათვის შეექმნათ განსაკუთრებულობის ილუზორული გრძნობა და ამით ნებით თუ უნებლიეთ მათ აფხაზი ხალხის აგრესიის იმ გზაზე დაყენებას შეუწყვეს ხელი, რომელიც საბოლოოდ ე. არძინბამ და მისმა გარემოცვამ განახორციელა და რაც ქართველებისადმი დაპირისპირებასა და ქართველებთან საომარ კონფლიქტებში გამოხატა. ასე რომ, ქართული ისტორიისა და კულტურის მითვისების სურვილი შემდეგში ქართული მიწების მითვისების სურვილსა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში გადაიზარდა.

ჩვენ ასე ერცლად იმიტომ შევჩერდით დ. გულიასა და ს. აშხაცავას შრომებზე, რომ შემდეგი თაობის აფხაზი მეცნიერების გამოკვლევებიც, იშვიათი გამონაკლისის გარ-

და, ფაქტების საოცარი გაყალბებით და საკითხების ტენდენციური გაშუქებით ხასიათდება. ასე რომ არ იყოს, ქნელია მაშინ გულწრფელად დაწერო: „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია დ. გულიას წიგნი „აფხაზეთის ისტორია", რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა".[48]

აფხაზეთის ისტორიის საკითხებს მეტად ცალმხრივად აშუქებს აგრეთვე მ. გუნბა. მისთვის არ არსებობს ფაქტები, იგი დაუსაბუთებლად უარყოფს სხვა მეცნიერების მოსაზრებებს, თავისი აზრის დასამტკიცებლად ხშირად აშკარად ცრუობს. მაგალითად, მ. გუნბა აღნიშნავს: „მკვლევართთა ნაწილი გულმოდგინედ ამტკიცებს, რომ აფხაზეთის სამეფოში, და განსაკუთრებით აფხაზეთში, მთავარი ენა იყო ქართული და რომ ოფიციალურ წარწერებში ბერძნული ენა IX-X საუკუნეებში შეცვლილი იქნა ქართულით. ამ აზრის განსამტკიცებლად ეურდნობიან ხ.ს. ბღაჟბას ნაშრომს „დამწერლობის ისტორიიდან აფხაზეთში", მაგრამ ხ.ს. ბღაჟბას ნაშრომში ამის მსგავსი არაფერია".[49] ენახოთ, მართლაც, არაფერია თუ არა ამის მსგავსი ხ. ბღაჟბას ნაშრომში: „აფხაზეთის გაძლიერებული კულტურული სიახლოვე საქართველოსთან, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ენა არის სამწერლობო, სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა".[50] ამ აზრის განსამტკიცებლად ხ. ბღაჟბა ზ. ანჩაბაძესაც იმოწმებს. თუ არა მთავარი, მაშ რა უნდა ეუწოდოთ აფხაზეთში ქართულ ენას, როდესაც იგი ასრულებს სამწერლობო, სახელმწიფო საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციებს? ამასთან, ბუნებრივია, თუკი ხალხს, ადგილობრივ მოსახლეობას ეს ენა არ ესმოდა, მაშინ იგი ამ ფუნქციებს ვერც შეასრულებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ხ. ბღაჟბა იმასაც მიუთითებს, რომ საშუალო საუკუნეების აფხაზეთში ქართული დამწერლობის გავრცელებას მოწმობს ძველი ტაძრების კედლებზე ქართული წარწერები, რომლებიც X საუკუნესა და შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება.[51] მისივე მტკიცებით აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი XI-XIV საუკუნეების ეპიგრაფიული ძეგლები უმთავრესად შესრულებულია ქართულ ენაზე, ხოლო ქართული ენა და დამწერლობა აფხაზეთში გავრცელებული იყო XX საუკუნემდე.[52]

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბებით ყველა მათგანს გადაჭარბა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ლაკობამ. მან 1988 წელს სოხუმში დასტამბა წიგნი „ერთიანი დღეები სოხუმ-კალეში", სადაც „ამტკიცებს" იმას, რომ კაცობრიობა წარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებსო. ამ აკეიატებული აზრის დასამტკიცებლად იგი „ასაბუთებს" აფხაზური ენის ნათესაობას ჩინურ, ტიბეტურ, ხეთურ, ბასკურ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე გავრცელებული ციმშიან-ჩინუკისა და სხვა ენებთან. „მანია გრანდიოზით" შეპყრობილი ს. ლაკობა, თავისი აზრი რომ მეცნიერულ ჭეშმარიტებად გაასაღოს, ცნობილ რუს პოეტებს ანდრეი ბელისა და ოსიპ მანდელშტამს მოუხმობს – თითქოს ისინიც მისი თანამოაზრეები იყვნენ. „ბელის პაეროვანი აზრი „მომავალი სალაპარაკო ენის" შესახებ უფრო გარკვევით განსაზღვრა მანდელშტამმა. რა თქმა უნდა, ბელისაგან დამოუკიდებლად. ოსიპ მანდელშტამი კაცობრიობის „მომავალ სალაპარაკო ენად" აფხაზურ ენას მიიჩნევდა".[53]

აი, ასე დაადგინა ს. ლაკობამ თუ რა ენაზე ილაპარაკებს კაცობრიობა მომავალში. თუ ჩვენი პლანეტა ობოლი არ არის ამ უსასრულო სამყაროში და სხვა პლანეტებზეც არსებობენ მოაზროვნე არსებები, გამორიცხული არ არის, რომ ისინიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებენ. საგულისხმოა, რომ ს. ლაკობას წიგნი მომზადდა დ. გულიას სახელობის ენის, აფხაზეთის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორი ასევე „განდიდების კეიატით" შეპყრობილი, აფხაზი სეპარატისტების ყოფილი ლიდერი ე. არძინბა იყო.

რამდენადაც „სახელოვანი კაცი მარტო დიდს საქმეს არ სდევს", ს. ლაკობა თავის წიგნში სხვა მცირე საკითხებსაც ეხება. მაგალითად, მას მოყავს სხვათა და სხვათა გამონათქვამები იმის შესახებ, რომ აფხაზები ვაჭრობას არ მისდევედნენ – ეს მათ სამარცხვინო და დამამცირებელ საქმედ მიაჩნდათ. სამაგიეროდ, ქართველები ამ საქმეში

მეტად ხელგაწაფულები იყენენო და სხვ.

ყოველივე ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ 2006 წელს ო. ბღაებასა და ს. ლაკობას აეტორობით გამოვიდა სახელმძღვანელო მეათე-მეთერთმეტე კლასებისათვის – „აფხაზეთის ისტორია“. ცხადია, თუ ზემოაღნიშნულს გაეითვალისწინებთ აფხაზეთის მთელი ისტორია ყალბ ფაქტებზეა აგებული და ისტორიის ხელახალი გადაწერის ცდაა. რომ არაფერი ეთქვათ ს. ლაკობაზე, ო. ბღაჟბა სახელმძღვანელოში გვერდს უელის იმ ფაქტს, რომ აფხაზეთი მოფენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით, რომლებსაც ქართული წარწერები ამშეენებენ. იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ქართულ ენას აფხაზეთში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. ამით მან მთლიანად ხაზი გადაუსვა თაეიისი მამის, ცნობილი მეცნიერის ხ. ბღაჟბას მეცნიერულ მემკეიდრეობას, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ გეკონდა საუბარი. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, გასაკეირი არ არის, რომ „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოში უმოწყალოდ დამახინჯებულია ისტორიული ფაქტები; ქართველი ტომები გამოცხადებულია აფხაზურ ტომებად; არაფერია ნათქვამი ქართველი დ აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე, აფხაზეთში, საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში, ქართველი მოსახლეობის ცხოერების შესახებ; მთლიანად მითვისებულია ქართული კულტურული მემკეიდრეობა; ქართული წყაროები გამოყენებულია უაღრესად ტენდენციურად, საქართველო და ქართველები სახელმძღვანელოში ნახსენებია იშეიათად და ისიც უარყოფით ასპექტში.

ს. ლაკობას ნარკეევებში მსგავსი ადგილები საკმად გვხედება. მათი აქ მოტანა მეტად ზორს წაგვიყვანს. მთავარი ის არის, ეიკითხოთ, თუ ვის ჭირდება ასეთი წიაღსელები, არაფრისმომცემი დასკვნების გაკეთება ცალკეული პრობლემების ირგელიე, ან რატომ აძლეეს თავს უფლებას ს. ლაკობა კაცობრიობის მომავალ სალაპარაკო ენად აფხაზური ენა გამოაცხადოს. ასეთი რამ ხომ სრულებითაც არ უწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის სწორად აღზრდას, ერთა შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარებას. იგი მხოლდ ადამიანთა ფსევდოპატრიოტული გრძნობით აღზრდას ემსახურება, რასაც სიკეთე არც ერთი ერისათეის არ მოუტანია.

ჩვენ ღრმად გეწამს: ყოველივე აღნიშნული იმის შედეგია, რომ წლების განმაელობაში აფხაზი მეცნიერები უაღრესად ცალმხრიედ და ტენდენციურად იხილაედნენ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. პასუხის გამცემი კი არაეინ ჰყაედათ. გარკეეული მიზეზების გამო ქართველი მეცნიერებისათვის ამ საკითხებზე წერა ტაბუდადებული იყო. შედეგიც სავალალო მიეიღეთ. ცნობილი „აფხაზური წერილი“ დ ლიხნის „მიმართეაც“ თაეის დროზე უპასუხოდ დარჩენილმა ფსევდომეცნიერულმა ნაშრომებმაც განაპირობა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ოფიციალურად 1992 წლის აგეისტოში დაიწყო, როდესაც საქართველოს ხელისუფლების გადაწყეეტილებით თბილისიდან აფხაზეთში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თაედაცვის სამინისტროს შენაერთები გადაადგილდნენ. მათი შეყვანა რეალურად გამოიწეია საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკეეთზე სატეირთო ვაგონების სისტემატურმა გაჩერებებმა და მასშტაბურმა ძარცეებმა, აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს თანამდებობის პირთა სისტემატურმა გატაცებებმა. ზარალმა მილიარდობით რუსული მანეთი შეადგინა. თანაც, იძარცეებოდა არა მარტო საქართველოს კუთვნილი ტეირთი, არამედ დიდი ოდენობით იძარცეებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანისკენ მიმავალი ტეირთებიც. წესრიგის დასამყარებლად ჩასულ ჯარს აფხაზეთში გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. საბოლოოდ ქართული ჯარი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა აფხაზეთი, რადგან ფაქტობრიედ ბრძოლა მიმდინარეობდა რუსეთსა და საქართველოს შორის. ბრძოლის გეგმაც რუსეთში შემუშაედა. საქართველოს ჯარებს ბრძოლა მოუხდათ რუსეთის მიერ კარგად შეიარაღებულ აფხაზ სეპარატისტებთან, რუსეთის სამხედრო ტექნიკასთან და გარკეეული ზომით რუსეთის მოქალაქეებთან და გადაცმულ რუს სამხედროებთან. ამის შედეგად აფხაზეთში მთლიანად შეიცეალა ეთნიკური შემადგენლობა. მოსახლეობის უმრაელესობა აფხაზები და სომხები გახდნენ, ხოლო ქართველები იქედან პრაქტიკულად მთლიანად გამოდეენეს. მოხდა მათი უმოწყალო და სრული ეთნოწმენდა.

კოფლიქტის დაწყებას წინ უძღოდა სეპა-

რატისტული ძალების უაღრესად გააქტიურება, რასაც რუსეთის გარკვეული ძალები უწევდნენ ორგანიზებას. რუსეთის რეაქციული წრეების კარნახით სეპარატისტული ძალები ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოება, თითქოსდა ქართველები აეიწროვებდნენ მათ ენას, ლიტერატურას, საერთოდ აფხაზურ კულტურას, ხელს უშიდნენენ აფხაზური სკოლების განვითარებას, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ აფხაზეთში ისტორიულად მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველები ყოველმხრივ აფერხებდნენ აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ფორმალურად რუსეთიც ყოველთვის აღიარებდა იმას, რომ აფხაზეთი საქართველოს ორგანული და განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ასე იყო მეფის რუსეთის დროსაც, როდესაც 1864 წელს გააუქმეს აფხაზეთის სამთავრო და ეს ისტორიული მნიშვნელობის და დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს მხარე (პროვინცია) ერთ ჩვეულებრივ სამხედრო განყოფილებად გადააქციეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს სამხედრო განყოფილებაც საქართველოს შემადგენლობაში, კერძოდ ქუთაისის (სიდიდითა და მნიშვნელობით საქართველოს მეორე ქალაქი) გუბერნიაში შეიყვანეს.

აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაშიც. ეს შენარჩუნდა გასული საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში, რთული პოლიტიკური პროცესებისა და რევოლუციების დროსაც.

1918 წლის 26 მაისის აქტს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ აფხაზებიც აწერენ ხელს. ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს, საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელსაც ელადიმერ ლენინი აწერს ხელს, რუსეთმა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ცნო, როგორც მისი უეჭველი ნაწილი. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაშიც და მის მომდევნო ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში, აფხაზეთი, როგორც საქართველოს შემადგენლობაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკაა მოხსენიებული. საქართველოსაგან განსხვავებით, აფხაზეთი არასდროს ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, არ პქონია გაფორმებული რაიმე სახის საერთაშორისო ხელშეკრულება რუსეთთანაც კი. ცნობილია, ისიც, რომ 1922 წლის დეკემბერში, როდესაც შეიქმნა საბჭოთა კავშირი, მასში ცალკე რესუბლიკად შეეიდა საქართველო და არა აფხაზეთი. აფხაზეთი მაშინაც საქართველოს შემადგენელ ნაწილად იყო აღიარებული.

მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კონფლიქტი აფხაზეთში არის არა ეთნიკური, მითუმეტეს ეთნოდემოგრაფიული, არამედ ის უპირველესად არის ხელოვნურად ორგანიზებული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი. ამდენად მისი მოგვარებისას ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს. ამიტომ კონფლიქტის მოგვარებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპით და იმ პრინციპით, რომ აფხაზეთისათვის უნდა შეიქმნას ყველა შესაძლებელი პირობა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის და სწორედ ამის გარანტი უნდა იყოს საქართველოს ერთიანი სახელმწიფო. აფხაზი ხალხის უფლებების ინსტიტუციონალური განმტკიცების გარანტიები ასახული უნდა იყოს როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთის კონსტიტუციებითაც. ამდენად, აფხაზეთი უნდა წარმოადგენდეს ერთ იმ სუბიექტს საქართველოს შემადგენლობაში, რომელსაც აქვს სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნის განსაკუთრებულად მაღალი სტატუსი. საქართველოს ერთიან სახელმწიფოში მყოფ აფხაზეთს უნდა ჰქონდეს თავისი კონსტიტუცია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება და სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტები.

სწორედ ასეთია საქართველოს ხედვა და შეთავაზებები აფხაზებში კონფლიქტის მოსაგვარებლად, მოყოლებული 1993 წლიდან. საქართველოს ასეთ წინადადებებს მხარს უჭერს გაერო, ეუთო, ევროკავშირი, დასავლეთის სახელმწიფოები, აშშ. სამწუხაროდ, რუსეთის აგრესიული წრეების ზეგავლენით აფხაზი სეპარატისტები ამას ყურს არ უგდებენ. როგორც ყოფილ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთშიც კონფლიქტის მოგვარება კიდევ უფრო გააძნელა რუსეთის მიერ ცალმხრივად როგორც საერთაშორისო ნორმების, ასევე თვით რუსეთის კანონმდებლობის უხეში დარღვევით, აფხაზეთის დამოუკიდებ-

ლობის აღიარებამ.

ვინ ცხოვრობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველეს დროს? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ეარაუდი, რომ უძველეს ასურულ წარწერებში (ძვ. წ. XI საუკუნე) დამოწმებული „აბეშლა“ ამეღლანებს მსგავსებას ანტიკურ წყაროებში დასახელებულ „აფსილების“ სახელწოდებასთან, საიდანაც ასევე ეარაუდობენ თანამედროვე აფხაზების თვითსახელწოდების – „აფსუას“ წარმოშობას. მაგრამ, როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, „აბაშლას“ ტომები მოსახლეობდნენ არა იქ, სადაც შემდეგ ანტიკური წყაროები „აბსილებს“ ასახელებენ, არამედ „აბეშლა“ ასურულ წყაროებში იხმარება ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელწოდების, ხეთური „ქაშქას“ ეარიანტად“.[54]

პროფ. ზ. ანჩაბაძე „აბეშალას“ „აფსილებთან“ დაკავშირების მიზნით აღნიშნავს იმის შესახებ, რომ აფხაზურ-ადიღეურ ენებთან ახლოს არის პროტოხეთური ენა. მაგრამ ამ სფერში მომუშაავე მეცნიერები ამ ენათა ნათესაობის მხოლოდ შესაძლებლობას უშვებენ. ამიტომ პროფ. ზ. ანჩაბაძის დასკვნა იმის შესახებ, რომ ეთნონიმი „ქაშქები“ დაკავშირის ადიღეელების ეითომ ძველ სახელწოდებასთან „ქაშაგებთან“ ამ მხრივ უსაფუძვლოა. მისი აზრით XII საუკუნეში ძ.წ. ასურულ წყაროებში ქაშქური ტომობრივი კავშირის სახელწოდების ეარიანტად ფიგურირებულია ეთნონიმი „აბეშლა“, რომელიც უკავშირდება ძველაფხაზური ტომის აფსილების სახელწოდებას. მის მიერ ციტირებული აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება კი ამის საფუძველს არ იძლევა. კერძოდ, აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „ტომობრივი სახელწოდებების ანალიზი თითქოს გვაძლევს საფუძველს ეამტკიცოთ, რომ ქაშქების ხალხი (ან ყოველ შემთხვევაში მისი რაღაც ნაწილი) ეთნიკურად უნდა იყოს ჩრდილო კავკასიური (აფხაზურ-ჩერქეზული) წარმოშობის“. მაგრამ იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ იგი „იგი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ქაშქები ჩათეალოს პროტოხეთად, ხოლო უკანასკნელი – აფხაზურ-ადიღეელად“. ამრიგად, პროფ. ზ. ანჩაბაძის მიერ მოტანილი ციტატები სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ეამტკიცოთ: „როგორც ვხედავთ, ქაშქები-აბეშლა შეადგენდნენ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ეთრობის (ტომთა კავშირს) იმ ნაწილს, რომელიც III-II ათასწლეულებში ჩვ. წ. ჯერ კიდევ არსებობენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში და ხატებთან (პროტოხეთათან) ერთიან წარმოშობასთან იყო დაკავშირებული.[55] მისიეე აზრით, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აფხაზურ-ადიღეური ტომების წინაპრების დასახლებას მოწმობს აქ გაერცელებული ძველი და თანამედროვე ტოპონიმები: აკამპსისი, არიასა, დეაბზუ, სუფსა, ფასისი და სხვ. მაგრამ ეს ტოპონიმებიც რომ არ გამოდგება აღნიშნული თეზნისის მტკიცების დასასაბუთებლად, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი და აქ აღარ შეეჩერდებით.

თანამედროვე აფხაზების აბორიგენობის შესახებ აფხაზი მეცნიერები სხვადასხვა ეარაუდს გამოთქეამენ (აზრთა სხვადასხვაობაა ქართველ მეცნიერთა შორისაც). ნაწილი მხარს უჭერს ლ. სოლოვიოვის თეზისს იმის შესახებ, რომ III და II ათასწლეულების მიჯნაზე კოლხიდის დაბლობში ხდება მოსახლეობის შეცვლა. მისი აზრით სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება კაეკასიაში მცირეაზიული ქაშქების გადაადგილების პირველი ეტაპი. პროფ. ზ. ანჩაბაძე დასაშვებად თვლის მცირეაზიური ტომების რაღაც ჯგუფების გადასახლებას კაეკასიაში. ადრე იგი ამ თეზისს უფრო ფართოდ იზიარებდა, მაგრამ შემდგომში მის აზრით, კაეკასიის შაეიზღვისპირეთი მონათესაეე ტომებს ეკაეათ, რომელთა ისტორიული განვითარების შედეგად ძველი აფხაზური, ადიღეური და დასაელეთქართველური ეროვნებები ჩამოყალიბდა. ჩვენი აზრით, კაეკასიის დასავლეთ ნაწილში და მასთან მოსაზღერე მცირე აზიის რაიონებში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ არა მონათესაეე აფხაზურ-ადიღეურ-ქართველური, არამედ მხოლოდ მონათესაეე ქართველური ტომები.

ბერძნული წყაროების მიხედვით უძველესი დროიდან დასაელეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ტომი ცხოვრობდა. როგორც ამ წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, ეს ტომები მონათესაეე ქართველური ტომები იყენენ. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შეეეხებოდეთ, ჩვენ უაღრესად მნიშვნელოეან ფაქტად მიგეაჩნია აკად. ი. ჯავახიშვი-

ლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ძველი საბერძნეთის მწერლებს აზრადაც კი არ მოსულიათ, რომ სხეადასხვა ქართველური ტომები ერთმანეთის მონათესაველნი არიან“.[56]

დასავლეთ ქართველურ-კოლხთა ტომის დიდი გაერთიანება ცნობილია ძ.წ. XII საუკუნიდან. ეთნიკური სახელი „კოლხი“ პირველად ძველ აღმოსავლურ წყაროებს იხსენიება XII-XI საუკუნეებში. კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა აირეკლა არგონავტების შესახებ არსებულ თქმულებებში. ცნობილი ელინისტური ეპოქის მეცნიერი და ეპიკოსი პოეტი აპოლონიოს როდესელი, რომელიც ძ.წ. III საუკუნეში მოღვაწეობდა, „დაწვრილებით მოგვითხრობს შაეი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მოსახლე ქართული ტომების სამკეიდრებელი ადგილის, ზნე-ჩვეულებებისა და ყოფაცხოვრების შესახებ“.[57] აპოლონიოსის მიხედვით კოლხეთი ძლიერი, მრავალრიცხოვანი ხალხით დასახლებული სამეფოა. მისი თქმით „ლეკეამოსილი კოლხეთის მეფის გარშემო „ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“.[58]

ძ.წ. VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან კოლხეთის სამეფო დაეცა, მისმა პოლიტიკურმა ცენტრმა ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადაინაცვლა და იქ ძ.წ. VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი კოლხეთის სამეფო, რომელიც ცნობილი იყო მთელ ანტიკურ სამყაროში. ცნობილი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის მიხედვით კოლხების მიწა-წყალი ძ.წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე საკმაოდ ერეკლია. „ქსენოფონტი პირველი მწერალია, რომლის ცნობათაგან უშუალოდ ირკვევა, რომ კოლხების ქვეყანა ფასის-რიონის აუზის გარდა, წინააღმდეგ ანტიკურ საისტორიო ტრადიციაში გაბატონებული აზრისა, შაეი ზღვის სამხრეთ სანაპიროზედაც არსებობდა და დასავლეთით კერასუნტს იქით იყო გაერცელებული“.[59] დაახლოებით ახ.წ. I საუკუნეში კოლხეთის სამეფოს დაშლის შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა ძველი ქართული ეგრისის სამეფო, რომელსაც ანტიკურ წყაროებში ლაზიკა ეწოდებოდა. IV საუკუნეში ეგრისის სამეფო, რომელსაც ადრე მხოლოდ მდ. რიონის ორიეე ნაპირი (ქობულეთიდან მდ. ერისწყალამდე) ეკავა, გაძლიერდა და გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო. ამავე დროს, კოლხები ლაზების უშუალო წინაპრები არიან. მეთორმეტე საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე ცეცეს მიხედვით კოლხებს „ლაზებიც ეწოდებათ“, „კოლხები ლაზური ტომია“.[60] უფრო ადრინდელი, კერძოდ, V საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფის ცნობით: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული, ეიდრე აფსაროსამდე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“. VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლი აგათიას ცნობითაც: „ლაზები მრავალრიცხოვანი და მემამარი ხალხია. ისინი ბატონობენ სხვა მრავალ ტომზე. ლაზები ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქეთ თავი, შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ“.[61] აგათია იმასაც დასძენს, რომ მას არ ეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქეშეერდომთა სიმრავლით. ამრიგად, „წყაროები ერთხმად მიუთითებენ ლაზებისა და კოლხების გენეტიკურ ურთიერთკავშირზე. ლაზებმა კი დღემდე შემოინახეს თავიანთი ენა, რომელიც (მეგრულ-ზანურთან ერთად) დასავლურ-ქართულია“.[62]

ძველი კოლხეთისა და შემდეგ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში შედიოდა თითქმის მთელი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია. ამრიგად, ეს ტერიტორია ქართველური, კერძოდ, კოლხური ტომებით იყო დასახლებული. მაგალითად, პეკატაიოს მილეტელი (ძ.წ. VI ს.) და ფსეედო-სკილაქს კარიანდელის (ძ. წ. IV ს.) ნაწარმოებებში დაცული ცნობებით ქ. დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია ეჭირათ კოლხურ ტომებს კოლებსა და კორაქსებს. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით კოლები და კორაქსები ქართველური ტომებია. ამიტომ ეერ გაეიზიარებთ პროფ. ზ. ანჩაბაძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას არაფერს ეუბნება პეკატაიოს მილეტელის შემდეგი ცნობა კორაქსების შესახებ: „კორაქსები კოლხური ტომია, კოლებთან ახლოს მდებარე“. მისი აზრით, ამ ცნობით თითქოს შეუძლებელია კორაქსების ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა.[63] რაც შეეხება „კოლებს“, იგი უკავშირდება ამავე ფუძის მქონე ეთნონიმს „კოლ-ხი“. როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. ინაძე, „აღნიშნული გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ დიოსკუ-

რიის მახლობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაგორიანი ადგილები და სანაპირო ზოლიც ადრეანტიკურ ხანაში ქართული წარმომაქალობის ტომებით იყო დასახლებული".[64] თეით დ. გულიაც კი, რომელიც მეტად ტენდენციურად იხილავს აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, კორაქსების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, კორაქსები იყვნენ სვანები და, როგორც ცნობილია, ისინი ცხოერობდნენ ახლანდელი სოხუმის რაიონში ჯერ კიდეე ჩვენი ერის დაწყებამდე და შემდეგ".[65]

ამავე პერიოდში (ძვ. წ. V ს.) აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ტომთა შორი ბერძენი და რომაელი აეტორები ასახელებენ პენიოხთა ტომს. პენიოხთა ტომის ეთნიკური ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. ძირითადად აფხაზი აეტორები პენიოხებს აფხაზურ-ადიღეურ ტომებად მიიჩნეევნ, რადგან საწინააღმდეგო მოსაზრების დაშვების შემთხვეევაში აფხაზეთის თანამედროეე ტერიტორიაზე იმ პერიოდში აფხაზურ-ადიღეურ ტომებს აღარ უცხოვრიათ, ასე ეთქვათ, მათ იქ ადგილი აღარ რჩებათ. მეცნიერთა დიდი ნაწილი (იე. ჯაკაიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ნ. მარი, ი. ორბელი, გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე, მ. ინაძე და სხე.) პენიოხებს სვანურ ან მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომებად მიიჩნევს. მაგალითად, პ. ინგოროყვამ პენიოხები სვანებთან და სანიგებთან დააკავშირა და ისინი კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) ტომთა ჯგუფში გააერთიანა. ანტიკური ხანისა და ადრეულ საშუალო საუკუნეთა წყაროების ჩვენების თანახმად, „ტომი სანთა პენიოხთა" ეწოდებოდა სამხრეთ კოლხიდის ლაზური შტოს ტომს. „რომ პენიოხები ეკუთვნოდნენ ქართველ ტომთა ჯგუფს (კოლხურ-ლაზურ შტოს), ეს სრულიად უდავოდ დასტურდება კერძოდ იმით, რომ პენიოხთა მიწა-წყლის გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებანი, რომლებიც მოიხსენება საისტორიო წყაროებში, იხსნება ქართულის, ქართველური ენა-ფილექტის საშუალებით".[66] საინტერესოა ამ მხრივ მწერალ ე. ალფენიძის მოწოდებული (ზეპირი) შემდეგი ცნობა: იგი ერთ-ერთ თავის სტატიაში („რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პენიოხები?") ძველ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ პენიოხურად შვილს ერქვა სჭირი, მაშინ, ცხადია, პენიოხები და ლაზები მონათესავე ტომებია და ისინი ერთი და იგივე ან მონათესავე ენაზე მეტყველებდნენ. ე. ალფენიძემ ასევე მოახდინა რამდენიმე პენიოხური სიტყვის იდენტიფიცირება ქართველურ ლექსიკურ ერთეულებთან.

პენიოხების ქართველურ ტომებად გამოცხადების სასარგებლოდ მეტად საყურადღებო ფაქტად მიგეაჩნია ის გარემოება, რომ ისინი ბერძულ-რომაული აეტორების მიხედეით ცხოერობდნენ არა მხოლოდ დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით, არამედ მდინარე ფასისი (რიონის) შესართავთან, სამხრეთ კოლხეთში, ქ. ტრაპეზუნტის მახლობლად და მდინარე აფსაროსთან (ახლანდელი ჭოროხი). ამრიგად, პენიოხები ცხოერობდნენ ყველგან ქართველური ტომების გეერდით, იქ სადაც ქართული სამყაროა, რაც მათ ქართულ წარმოშობაზე მეტყველებს. ამასთან, პენიოხები ისეთიე სუფიქსით ბოლოედება, როგორც სხვა ქართველური ტომები, კერძოდ, მოს-ხი, სანნ-ხი, ტაოხი, კოლ-ხი. საერთოდ მკელეეართა დიდი უმრავლესობა, კერძოდ, იე. ჯაკაიშვილი, ნ. მარი, გ. მელიქიშვილი, ი. ორბელი, პ. ინგოროყვა, მ. ინაძე და სხე. პენიოხებს ქართველურ ტომებად მიიჩნეეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთინი პენიოხებს სანიგებთან, სანებთან აიგიეებენ და ყველა ამათ სვანებთან, მეორენი კი პენიოხებს მეგრულ-ჭანურ ტომებად მიიჩნეეენ. ბ. გიგინეიშვილის გამოკვლეევით „პენიოხი როგორც ტომობრივად, ისე ენობრივად იგივე ჭანია.[67]

პენიოხთა ეთნიკური ვინაობის გარკეეის დროს, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც. ბერძენი აეტორების მიხედეით „პენიოხი" საერთო სატომო სახელწოდებაა, რომელშიც იგულისხმებოდნენ მრავალი სხვადასხვა სახელწოდების წერილი ტომები. თუ გაეიხსენებთ იე. ჯაკაიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ძველ ბერძენ აეტორებს აზრადაც მოსელიათ სხვადასხვა ქართველური ტომების ნათესაობის საკითხი დაესეათ, თუ აღენიშნავთ იმასაც, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოერობდა ცალკეულ რეგიონებში (მსოფლიოს მოსახლეობა ახ. წ. I საუკუნეში 200 მილიონს ოდნავ ამეტებდა), მაშინ მეტად ძნელია ეი ლაპარაკოთ პენიოხების მრავალრიცხოენობაზე, მრავალ ან შერეულტომიანობაზე

იგივე ითქმის კოლხთა ტომების შესახებაც. როდესაც აპოლონიოს როდოსელი აღნიშნავს კოლხების ურიცხვ ტომზე, ეს, რა თქმა უნდა, სრულდებითაც არ ნიშნავს კოლხების მრავალრიცხოვნობას თანამედროვე გაგებით. როგორც პენიოხების, ისე კოლხების ტომები მაშინ რაოდენობრივად „ურიცხვი“ იყო სხვა ტომებთან შედარებით. ყოველივე აღინშნული უფლებას გვიტოვებს ვთქვათ, რომ პენიოხთა მრავალტომიანობა, რაზედაც საგანგებოდ მიუთითებენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სინამდვილეში სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე მონათესავე წერილ ქართულ ტომებს გულისხმობს. სწორედ ამაზე მეტყველებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ავტორის პლინიუს სეკუნდის ცნობა: დიოსკურიაში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე 300 ტომი იკრიბებოდა და ამიტომ საქმის საწარმოებლად 130 თარჯიმანი მოეწვიეთო. რა თქმა უნდა, ეს ცნობა გადაჭარბებულია, მაგრამ იმაზე კი ნამდვილად მიუთითებს, რომ ფაქტობრივად აქ საუბარია სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე წერილ ქართველურ ტომებზე.

პენოიხთა ტომის ეთნიკური წარმომაველობის შესახებ სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას ანვითარებს პროფესორი ნ. ლომოური. მან შეისწავლა პენოიხების შესახებ არსებული ბერძნული წერილობითი წყაროები, მათ შორის, ეინმე პერაკლიდეს ფრაგმენტის ყველა ძირითადი გამოცემა, რომლის მიხედვით თითქოს ქ. ფაზისში სახლობდნენ პენოიხები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებითად გამორიცხა პენოიხების კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლეობა, მათი ქართველური, მეგრულ-ჭანური, თუ სვანური წარმომაველობის ტომად გამოცხადება. ასევე კატეგორიულად გამორიცხა პენოიხების აფხაზთა წინაპრებად აღიარება. ამ მოსაზრებას პატივცემული პროფესორი ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ ანტიკური ავტორები, რომელთა ნაშრომები პენოიხების ეთნაობასთან დაკავშირებით სპეციალურად გაანალიზა, ასახელებენ პენოიხებს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, კოლხეთის და შესაბამისად, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ, თანაც საკმაოდ დაშორებით კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვრიდან.[68]

ამავე ასპექტში უნდა იქნეს განხილული აფსილები და აბაზგები, როგორც ქართველური, მეგრულ-ჭანური მოდგმის და არა თანამედროვე აფხაზების წინაპარი ტომები. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბერძენი მწერლები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ტომს ასახელებენ, აფსილებსა და აბაზგებს პირველად მხოლოდ რომაელი ავტორები პლინიუსი და არიანი ახ.წ. I-II საუკუნეებში ასხენებენ. მათი ნაწერებიდან შეიძლება აფსილეთისა და აბაზგების განსახლების დაახლოებითი არეალის დადგენაც. პლინიუს სეკუნდას მიხედვით აფსილები სებასტოპოლის – სოხუმის ახლოს, მის სამხრეთით ცხოვრობენ, რომაელი ისტორიკოსის ფლავიუს არიანეს ცნობით, რომელიც ბევრად უფრო საიმედოა, რადგან არიანემ თავად იმოგზაურა II საუკუნის 30-იანი წლებში დიოსკურია-სებასტოპოლისამდე საინსპექციო მიზნით, რიონის ორივე ნაპირზე ლაზები მოსახლეობენ, შემდეგ ჩრდილოეთით – აფსილები, შემდეგ – აბასკები და ბოლოს სანიგები, რომელთა მიწაზე მდებარეობს სებასტოპოლისი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სანიგები ქართველური ტომია. შეიძლება დამატებით იმის თქმა, რომ „ეთნონიმში პირველი ნაწილი „სან“ – უკავშირდება ეთნიკურ სახელს „ჭანი“ (ბერძნები ჭანებს „სანებს“ ან „სანნებს“ უწოდებენ) და ამდენად სანიგები უდავოდ მეგრულ-ჭანური ტომია“.[69] ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დიოსკურია – სოხუმს ჩრდილოეთიდან სუანო-კოლხების ტომი ემეზობლება, კერძოდ, ასეთ ცნობას გვაძლევს II საუკუნის ცნობილი გეოგრაფი კლავდიოს პტოლემაიოსი. შემდეგში სუანო-კოლხებს წყაროები აღარ ახსენებენ. „სამაგიეროდ აფსილების უშუალო მეზობლად ბიზანტიელი ისტორიკოსები აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე პროტიქტორი ასახელებენ მისიმიანთა ტომს“.[70] მეცნიერთა უმრავლესობის აზრით მისმიანელთა სვანური ტომი უნდა იგულისხმებოდეს „სუანო-კოლხებში“. მეანადრე პროტიქტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მისიმიანელები სვანეთში სახლობდნენ.[71] მისიმიანების ეთნოგენეზის საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა პროფ. გ. გასეიანმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისიმიანები სვანურენოვანი ქართველური ტომი იყო და მას ძველ დროში აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა.[72] უფრო მეტიც, სვანებს დიდი ტერიტორია ეჭირათ ზღვისპირეთიდან იმიერკავკასი-

ის ბარამდე. საგულისხმოა, რომ სტრაბონის ცნობით იმ დროს მთელს კავკასიაში არ ცხოვრობდა სვანებზე მრავალრიცხოვანი ხალხი. ამასთან, ცნობილი გეოგრაფი, რომელსაც ახ.წ. პირველ საუკუნის დასაწყისშიც მოუწია ცხოვრება, „აბაზას“ ან „აფშილებს“ საერთოდ არ იცნობს.

ამრიგად, აფსილებსა და აბაზგებს, რომლებსაც ეჭირათ ზღვისპირა მცირე ზოლი თანამედროვე ოჩამჩირესა (მდ. ღალიძგას შესართავი) და სოხუმს შორის, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთით მხოლოდ ქართველური ტომები ესაზღვრებოდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ „აბაზგ“ ეთნონიმს არაფერი აქვს საერთო კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები აბაზინელების აღმნიშვნელ „აბაზა“ ეთნონიმთან. აქ მხოლოდ გარეგნულ მსგავსებასთან გვაქვს საქმე. როგორც თ. გამყრელიძე აღნიშნავს, არსაიდან ჩანს ამ ეთნონიმთა შორის ეტიმოლოგიური კავშირი. ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. „ბერძენ. „აბაზგ“ – ფორმა ქართულში დადასტურებულ „აფხაზ“ – ეთნონიმის ისტორიული ექვივალენტია– ხოლო „აბაზა“ სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს და ჩრდილო-კავკასიურ, ჩერქეზულ-ადიღეურ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება“.[73] ამასთან, ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შავიზღვისპირეთის ეთნო-კულტურული ვითარება თ. გამყრელიძეს კარნახობს „შესაძლებლობას“ „აფხაზ“/„აბაზგ“-ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომაელობის ტომები დავინახოთ, რომლებიც ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყო ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა“.[74] აფსილთა ქართველური მოდგმის ტომის სასარგებლოდ ლაპარაკობს აფსილთა მთავარი პოლიტიკური ცენტრის სახელწოდება – წიბელი-უსი (დღევანდელი წებელდა), რომელიც ბიზანტიურ წყაროებშია დაცული. აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, თუ ეს, მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ ეს სიტყვა წარმოდგენილია აღმოსავლურ-ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით წიფელ-ი, ჭანური წიფ-ურ-ი, წიფ-რ-ი, მეგრული წიფ-ურ-ი, სვანური წიე-რა.[75]

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ აკადემიკოს თ. გამყრელიძის, როგორც ენათმეცნიერების სამყაროში დიდი ავტორიტეტის, მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბერძნული წყაროების „აფსილია“ და „აბაზგია“ სახელებს ქართულ შუასაუკუნეთა წყაროებში „აფშილეთი“ და „აფხაზეთი“ შეესატყვისება და ამ ეთნონიმებით აღნიშნულ ხალხებს ქართველურ ტომებად მიიჩნევს. მეტად მნიშვნელოვანია მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ ბერძნული „აბაზგ“ ფორმაში მსგავსებას ხედავდნენ თანამედროვე აფხაზების ახლო მონათესავე, კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები აბაზინელების აღმნიშვნელ „აბაზა“ ეთნონიმთან. მაგრამ, თ. გამყრელიძის აზრით, არსაიდან ჩანს „აბაზა“ და ბერძნული „აბაზგ-“ ეთნონიმთა ეტიმოლოგიური კავშირი. ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. „აბაზა“ სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს და ჩრდილო-კავკასიურ, ჩერქეზულ-ადიღეურ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება. მეტად მნიშვნელოვანია თ. გამყრელიძის შემდეგი ორი დასკვნაც: 1. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ „აბაზგ“/„აფხაზებით“ იხსენიებიან ანტიკურ წყაროებში, როგორც წესი, სწორედ ქართველური ტომების აღმნიშვნელ ეთნონიმთა კონტექსტში, ე.ი. ძველ კოლხეთში მობინადრე ისეთი ტომების გვერდით, როგორიცაა „ლაზები“, „სანები“, „სანიგები“, „მაკრონები“, „ჟენიოხები“ და სხვ. 2. „აბაზგ-“ „აფხაზთა“ ქართველური წარმომაელობა იმის მიხედვითაც უნდა ეიარაუდოთ, რომ სწორედ ისინი ხდებიან ძველ კოლხეთში მობინადრე სხვა მრავალრიცხოვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. გამყრელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძველი კოლხეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ ის დასავლურ-ქართველური ტომები, რომლებიც ქართველური ენის დასავლურ დიალექტებზე მეტყველებდნენ (ამ დიალექტების ცოცხალი შთამომაელებია სვანური და მეგრულ-ლაზური). ამას მოწმობს ბერძენ „არგონავტთა“ მეტყველებაში შესული არა ერთი დასავლურ-ქართველური სიტყვა, რომლებიც შემდგომ ძველ ბერძნულ ენაში დამკვიდრდა. მაგალითად, სიტყვა „ტყავის“ ბერძნულში გაჩენა უნდა უკავშირდებოდეს მის სესხებას ადგილობრივი მოსახლეობის ენიდან და ეს ენა უნდა ყო-

ფილიყო ერთ-ერთი დასაველურ-ქართველური დიალექტი მეგრულ-ლაზური ტიპისა, სადაც „ტყაეფის“ აღმნიშვნელი სიტყვა ჟღერდა როგორც (ტ) კოვ-ი (შდრ. თანამედროვე მეგრული ტყვებ-ი, ლაზური ტკვებ-ი „ტყაეი“.) „ამით დასტურდება ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ კოლხეთის მოსახლეობა ეთნიკურად ქართულ-ქართველური იყო და რომ იგი ერთ-ერთ დასაველურ-ქართველურ დიალექტზე მეტყველებდა, რომელსაც აკაკი შანიძე „კოლხურს“ უწოდებს და რომლისგანაც შემდგომ წარმოიშვა მეგრული და ლაზური“.[76] აფხაზები თავის ენაზე თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ და არა აფხაზს. ამავე დროს ყველა სხვა ხალხი მათ ამკვიდად „აფხაზს“ უწოდებს და არა „აფსუას“. ა. ონიანის აზრით სახელწოდება „აფსილის“ „აფსუას“ წინამორბედ ფორმად გამოცხადება არ შეიძლება. „აფსილი“ ამ სახელწოდების ბერძნული ეარიანტია, „აფშილი“ კი – ქართული. როგორც იგი აღნიშნავს, „აფსილები VIII საუკუნეში გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, ამის შემდეგ ისინი აღარ იხსენიებიან, აფსუები კი მხოლოდ ბოლო საუკუნეებში იჩენენ თავს. წყვეტა მათ შორის, მაშასადამე, 800-900 წელს აღწევს. ერთი მათგანის მეორის წინაპრად მიჩნევა აბიტომ, უხეში ძალდატანების გარეშე, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ყოველივე ეს ნიშნავს: აფსილ-აფშილები, აფხაზ-აბაზგთა მსგავსად, თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრად ვერ ჩაითვლება, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპარი ხალხი არ იძებნება და, ამდენად, მისაღებია მხოლოდ ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც აფსური მოსახლეობა აფხაზეთის ქართულ მიწაზე მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში შემოიჭრა ჩრდილო-კავკასიიდან და ქართველ აბორიგენთა სახელი – აფხაზი – მას მხოლოდ ამის შემდეგ დაერქვა ქართული მოსახლეობის გააფსუებულ ნაწილთან ერთად“.[77]

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნეში აფსუები ისევ ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსი მოხელეები მთიელებისა და მუსლიმანური ხალხების რიცხოვნობის გაანგარიშების დროს „აფსუა-აფხაზის“ ცხოვრების ფაქტსაც აღნიშნავენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს ცნობა მოცემულია თბილისში 1885 წელს გამოსულ „კავკასიის შესახებ ცნობათა კრებულის“ მე-9 ტომში (გვ. 58, 98).

აფსილებისა და აბაზგების საცხოვრისი ალბინუს სეკუნდასა და ფლავიუს არიანეს ეპოქაში, როგორც ზემოთ ითქვა, ზღვისპირა მცირე ზოლს მოიკავდა მდ. ღალიძგას შესართავიდან სოხუმამდე. ყოველ შემთხვევაში ამის ადასტურებს რომაელი ავტორების ცნობები. აქ მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი, რომლებსაც მეცნიერები ყურადღების გარეშე ტოვებენ. აღნიშნული ზოლი დაახლოებით ას კვადრატულ კილომეტრს უდრიდა. მის გარშემო მთლიანად ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. ამიტომ ყოველად შეუძლებელად მიგვაჩნია ეს ზოლი უცხო, თუ არა ქართველური, ეთნიკური ტომებით ყოფილიყო დასახლებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საყოველთაოდ ცნობილია: იმ პერიოდში მოსახლეობის გამრავლების ტემპი უაღრესად დაბალი იყო და ამდენად არ შეიძლებოდა აფსილებსა და აბაზგებს, ამ ისედაც მცირე ტერიტორიაზე, საგრძნობი რაოდენობით ეცხოვრათ, ხოლო შემდეგ ამ ტომებს აფხაზეთის სამეფოსთვის დაედოთ სათავე. როგორც ჩანს, ახ.წ. I საუკუნეში კოლხეთის სამეფოს დაშლის შედეგად ხდება მონათესავე ქართველური ტომების ცალკე ერთეულებად გამოყოფა. სწორედ ასეთ წერილშინ ქართველურ, კერძოდ, მეგრულ-ჭანურ ტომებს ეკუთვნიან აფსილები და აბაზგები, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე სწორედ ამ პერიოდიდან ჩანან. ამიტომაც ძველი ბერძენი მწერლები და არც ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი არ იცნობენ აფსილებსა და აბაზგებს. ყოველივე აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ უძველეს დროში დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მონათესავე ქართველურ ტომებს ფარადა კოლხთა კრებითი სახელი. ძველი ბერძნული წყაროებით კოლხები შემდეგ ლაზებად იწოდებოდა, ე.ი. კოლხები ლაზების უშუალო წინაპრები არიან. ლაზები კი ქართველური ტომია. მათ დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი ენა, რომელიც დასავლურ ქართულია. ამდენად, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველო უძველესი დროიდან ქართული სამყაროა და იქ მცხოვრები ტომები, მათ შორის აფსილები და აბაზგები, ქართველური მოდ-

გმის ტომებია. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს კუთვნებია: ლაზმეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს".[78]

ახლა თუ დავუშვებთ იმას, რომ აფსილები და აბაზგები უცხო ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, მაშინ ყოველად შეუსაბამელია მათი ასიმილაცია არ მომხდარიყო. ამ პროცესის აუცილებლობას ორი ფაქტორი განაპირობებდა: პირველი, აფსილებისა და აბაზგების გარშემო მხოლოდ ქართველური ტომები ცხოვრობდნენ და მეორეც, აფსილებსა და აბაზგებს მეტად მცირე ტერიტორია ეჭირათ (ასი კვადრატული კილომეტრი) და ამდენად ისინი რაოდენობრივად, თუ იმ პერიოდში მოსახლეობის გამრავლების უაღრესად დაბალ ტემპსაც გავითვალისწინებთ, მეტად ცოტანი იყვნენ.

რაც შეეხება ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთი მხარის ეთნიკურ შემადგენლობას, იგი ჯ. ინგოროყვეას მიხედვით, ასეთია: აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო-პენიოხეთი (ტუაფსეს რაიონი) — ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მეგრელ-ლაზთა ტომებთან პენიოხებთან, ხოლო ანტიკური ხანის ბოლო პერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ამ მხარეში შერეული მოსახლეობაა პენიოხებისა (სანიხებისა) და ჯიქებისა.[79]

ქართული და უცხოური წყაროები ძველი და თანამედროვე აფხაზების შესახებ. ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში აფხაზეთი ქართული სამყაროა, მისი ორგანული შემადგენელი ნაწილია. „აფხაზეთი", „კახეთი", „სამცხე", „ტაო" და „ქართლი" ყველა ერთი და იგივე ოდენობის ცნებაა, ყველა ერთნაირი „ქვეყანაა"... იგულისხმება, რომ ყველა ესენი ერთი სამყაროა სხვა ასეთივე „ქვეყნებთან" ერთად (ჯავახეთი, პერეთი, კლარჯეთი...) და იბრძვიან ურთიერთ შორის. ეს მეფენი ცდილობენ დაიპყრონ ეს „ქართული" ქვეყნები. საინტერესოა, რომ მებრძოლი მხარეები „შინ" დაუნდობელნი არიან: კახეთმა პერეთი გადაყლაპა და ქართლის ხელში ჩაგდებას ცდილობს. აფხაზეთი ქართლს იპყრობს, კახეთის სამეფოს გაუქმებას და ქვეყნის შემოერთებას დაჟინებით ცდილობს, ამავე დროს მიიწევს თრიალეთ-სამცხე-ჯავახეთი-საკენ, ხოლო „ქართველთა მეფენი" ხომ კიდევ მეტის ენერგიით იბრძვიან „ქართლსა ზედა", ვიდრე სხვა მათი მოძმენი".[80]

შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით აფხაზეთი უძველესი დროიდანვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შემადგენელი ერთ-ერთი ქვეყანა იყო. გიორგი მერჩულეს მიხედვით, იგი იმ ქვეყნების რიგს ეკუთვნოდა, ისეთ ქვეყანად მიაჩნდათ, რომელიც „ქართლად... აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირების და ლოცეანი ყოველი აღესრულების".[81] ამავე წყაროებით აფხაზი ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენლად, საქართველოს მკვიდრად ჩანს და არა უცხო მოდგმისა და ტომის ნიშან-თვისებების მატარებლად და კუთვნილებად. ამდენად აფხაზეთის სამეფოც მთლიანად ქართული იყო და ქართული ტომებით დასახლებული. „ქართლის ცხოვრებაში" ამის შესახებ უამრავი ცნობაა დაცული. „ეთქეათ მრავალთაგან მცირედი".

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალის ცოტნე დადიანის გმირობის ამბავი. 1245 წელს იგი მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში. მონღოლებმა შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს და ანისში მონღოლთა ნორნს მიგვეარეს. შეთქმულების მონაწილენი გამოტეხვის მიზნით მოედანზე შიშველები მცხუნვარე მზეზე დასხეს. დაპატიმრებას შემთხვევით გადარჩენილი ცოტნე დადიანი ამ ამბის გამო „მწუხარე იქმნა უზომოდ", თავის „სიკუდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგი". ცოტე დადიანი ანისში ჩაედა და ნებაყოფლობით გაიზიარა თავისი ამხანაგების ხვედრი — „განშიშველდა... და დაჯდა წარჩინებულთა თანა". დადიანის გმირული საქციელით გაკვირვებული მონღოლები დარწმუნდნენ ქართველთა სიმართლეში და გაანთავისუფლეს, „განუშვეს ყოველნი ესე წარჩინებულნი". ეამთააღმწერლის მიერ მოთხრობილი ამ ამბავში ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ აჯანყების მოსამზადებლად „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, ეოსტას თაესა, იმერნი და ამერნი". ხოლო როდესაც მონღოლები ცოტნე დადიანის გმირობის მოწმენი გახდნენ, თქვეს: „ეინადგან ნათესავნი ქართველთაგანი ესოდენ კეთილ არიან... რომელ აფხაზეთით მო-

ვიდა კაცი, რათა დადეას სული თავისი მოყვარეთათვის, და... არა არს სიცრუე მათ შინა... ამისათვის განუტეოთ ყოველნი". ამ კონტექსტში აფაზეთის ხმარება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ იმერი, დასავლეთ საქართველო, ანუ როგორც მას არც ისე იშვიათად აფხაზეთსაც უწოდებდნენ, ჩვეულებრივად ქართველებთან არის დასახლებული და ისინი ერთ ქართულ საქმეს აკეთებენ. კერძოდ, ეოხტას თავს მათი შეხვედრის მიზანი იყო ერთმანეთისაგან განდგომილი მთავრები ისევ შეერთებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად — „შეეკრბეთ ყოველნი, და ებრძოლოთ თათართაო". ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ აჯანყებულებმა „დამტკიცეს ომი, და დადვეს პაპანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი... და რაჭის ერისთავი, — ესენი ყოველნი წარეიდეს კაზად".[82]

„უშორეს მყოფნი აფხაზნი" ამ შემთხვევაში საეჭვოა აფხაზებს გულისხმობს, რომლებიც თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს საქართველოს განთავისუფლებისათვის მზად არიან ებრძოლონ თათრებს. ამავე დროს ერთ კონტექსტში ხმარება „ნათესავნი ქართველთანნი", „აფხაზეთით მოვიდა კაცი", „უშორეს მყოფნი აფხაზნი" მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთი იგივე საქართველოა, მისი შემადგენელი ნაწილია, ხოლო აფხაზი იგივე ქართველი. პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნიკულტურულ ცნებაზე, საუბარი — „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც პერეთი და პერი, როგორც ქართლი და ქართველი... ამას ასე გრძნობდა იოანე მარუშის ძე, ან ოთაღო შარეაშის ძე და ცოტნე დადიანი, ეახაბერ გურიელი და ბეკა ჯაველი, ამას ასე გრძნობდნენ ეოხტას თავს შეთქმულნი".[83]

ბასიანის ომის დროს „დაწყეს რაზმი... ერთ-კერძო აფხაზნი და იმერნი, ერთ-კერძო ამერნი და პერ-ეახნი".[84] აფხაზნი და პერ-ეახნი აქ ერთ სიბრტყეშია განხილული, რაც აფხაზების ქართველობაზე მიუთითებს.

ასევე მრავალგზის არის აფხაზი ნახსენები საქართველოს ისტორიული ეუთხეების მცხოვრებლებთან ერთად. მაგალითად, თამარ მეფე „რა გამოიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს... პერნი და ეახნი; შემდგომად ქართველნი, შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-ეალარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუანმეგრელ-გურულნი თანა რაჭა-თაკეურ-მარგუველთაურთ".[85]

ასეთივე კონტექსტშია ნახმარი „ქართლის ცხოვრების" სხვა ადგილებში. მაგალითად, როდესაც ჯალალ-ედინი „წარმოემართა მეორეს ტფილისს" რუსუდან მეფემ „მოუწოდა ყოველთა სპასთა თეისთა, იმერთა და ამერთა... პერ-ეახთა... ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნესს... აფხაზთა, ჯიქთა და ყოველთა იმერსა სამეფოსა".[86] რუსუდანის ძის დავითის გამეფების დროს კი „ეითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ყეენს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე".[87] თამარ მეფის პირველი ისტორიის უცნობი ავტორი სასტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" აფხაზეთს ასევე ჩვეულებრივ ქართულ სამყაროდ განიხილავს: „ეარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხი-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა... შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკეური და არგუეთი".[88] ამრიგად, ქართველი ფეოდალი დადიანი XII საუკუნეში ნიკოფსიამდე „უცილობლად" ყოფილა გამგებელი და მიწა-წყლის პატრონი (მქონებელი). აფხაზი ისევე მკვიდრია საქართველოსი, როგორც სხვა დანარჩენი კუთხის წარმომადგენელი. ბაგრატ მეფე თემურ ლენგს „სიტყვითა ლიქნითა" პპირდება: „საქართველოს მკვიდრთ, მათ შორის აფხაზებს, მოვაქცევ თქვენს ოჯულზეო".[89]

შემდეგი დროის სასტორიო წყაროები აფხაზეთს და აფხაზებს მხოლოდ ამ გაგებით განიხილავენ. XVIII საუკუნის ცნობილ მეცნიერს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს ეახუშტი ბატონიშვილს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" აფხაზეთი განხილული აქვს როგორც ქართული სამყაროთ და მისი ორგანული ნაწილი. ქართულ ლიტერატურულ ძეგ-

ლებშიც ანალოგიური აზრია გატარებული.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", რომელიც დაწერილია 951 წელს და მასში აღწერილია VIII-IX საუკუნეების ამბები, აფხაზეთი ასევე განხილულია როგორც ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. სხეაგვარად გაუგებარი დარჩებოდა სასულიერო პირის – გრიგოლ ხანძთელის განრისხება აფხაზთა მეფის მიმართ. როგორც მერჩულე გადმოგვცემს, აფხაზეთში მონაზენების საძებნელად ჩასულ გრიგოლ ხანძთელს მეფემ დაუმალა ისინი და „მაშინ ნეტარი მამაი გრიგოლ სიტყვასა ზედა მეფისასა განრისხნა". მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ მონაზენები მოაყვანინა, ხოლო გრიგოლს სთხოვა: „აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაც სიწმინდემან შენმა ინებოს, მონასტრად აღეაშენოთ ადგილი იგი".[90]

ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც, იმ ხანაშიც კი, როცა ქვეყანა ყველაზე დიდს სამეფონეთ და პოლიტიკურ დაქვეითებას განიცდიდა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ფ. გორგიჯანიძე, 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ რომ მოგვითხრობს, შენიშნავს, ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი – ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა – ხონთქარს" დარჩაო.[91] იგივე აზრი – ეროვნული ერთობის იდეა გატარებულია 1703 წელს არჩილ მეფის მიერ რუსეთის ხელისუფლების მიმართ წარდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში – ჩვენი მიწები – იმერეთი, სამცხე, საათაბაგო, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და ჯიქეთი – ნაწილი სპარსელებმა და ნაწილი სულთანმა მიითვისაო.[92]

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს იმერელი, გურული, მეგრელი და აფხაზი ერთმანეთში პყავს გაიგივებული. ევროპაში ყოფნისას მან ნახა ქართველი ტყვეები და ამის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ქართველნიც ენახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ".[93] თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით აფხაზეთის სამეფო ივერიის ქვეყნის, გაცილებით უფრო ფართო ცნების, შემადგენელი ნაწილია: „აფხაზეთი არის სამეფო ერთი ივერიისა ქვეყნისა ქვემოსა შინა ივერიასა".[94] ანტონ ბაგრატიონი კი თავის „წყობილსიტყვაობაში" ვახუშტი ბატონიშვილზე შემდეგს აღნიშნავს: „ამან დაწყებით ქართველთა ისტორია – კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სუან-კაეკასთა აღწერა, დაშურა, შეეწია ქართველთა".[95] იგი როდესაც ჩამოთვლის ქართველებს კუთხეების მიხედვით, კერძოდ, მესხებს, ქართლელებს, იმერლებს, გურულებს, მეგრელებს, კახელებს და სეანებს, მათთან ერთად აფხაზებსაც ასახელებს,[96] ხოლო თანამედროვე აფხაზი მოღვაწე მიხეილ დელბა კი პირდაპირ აცხადებს: „აფხაზები ქართველები არიან, აფხაზები წარმოადგენენ ქართველთა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ტომს".[97] აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიული მეცნიერების უუძემდებელი დ. გულია, რომელმაც უარყო თავისი მცდარი შეხედულებები აფხაზეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, 1951 წელს წერდა: მინდა „ერთხელ კიდევ გაეუსვა ხაზი იმ ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ მრავალრიცხოვან მეცნიერულად შემოწმებულ ფაქტებს, რომლებიც უდაოდ მეტყველებენ, რომ აფხაზები ყოველთვის ერთიანი ისტორიული და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველებთან, რომ აფხაზები საკუთრივ იგივე ქართველები არიან".[98] ამრიგად, ძველი ქართველი მწერლებისა და მემატიანეებისათვის აფხაზი, როგორც ცალკე, ქართული სამყაროდან და, თუ გნებავთ, ქართველიდან განსხვავებული, როგორც უცხო ელემენტი არ არსებობს. მათთვის აფხაზეთი საქართველოა, აფხაზეთი ქართული სამყაროა, ხოლო „იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი".[99] ერთმანეთის ძმები და ამდენად საერთო ქართული სულის მატარებლები არიან.

ერთიანი ქართული ორგანიზმის, ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილად აქეს წარმოდგენილი და განხილული აფხაზეთი ამავე პერიოდის უცხოელ ავტორებსაც. ამავე დროს ისინი იქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებად მიიჩნევენ. მაგალითად, საინტერესო ცნობებია დაცული ამ მხრივ XIV-XV საუკუნეების არაბი ისტორიკოსების თხზულებებში. ალ-მუსიბები (XIV საუკუნე) აღნიშნავს, რომ „ქართველებს

პაეთ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს, და დადიმანი[100] – მეფე, რომელიც განაგებს სოხუმსა და აბასს... მაღალი ალლაჰი დღეგრძელ პაოფს... აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა[101] მეფეს, მეფეთა და სულტანთა მეგობარს. (ყოველ მათგანს) ეწოდება ქართველთა მეფე".[102] ამასვე აღნიშნავს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი.[103] ამრიგად, არაბი ისტორიკოსების მიხედვით აფხაზთა მეფე იგივე ქართველთა მეფეა, ხოლო აფხაზეთი ქართველებითაა დასახლებული.

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ბევრი სხვა უცხოელი აეტორიც. კერძოდ, ბერძენი ს. ლუზიანის თხზულებაში „ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია", რომელიც XVIII საუკუნეშია შექმნილი, აღნიშნულია: იბერიას საერთოდ საქართველოს, აფხაზეთს და სამეგრელოს უწოდებენო".[104] ცნობილი ფრანგი მოგზაური ბოტანიკოსი ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოშიც იმოგზაურა, იბერიის ძველ ხალხებს აბაზგებთან (აფხაზებთან) აიგივებს.[105] ამავე საუკუნის თურქი მემატიანე მეჰმედ რაშიდი აფხაზეთს საქართველოს ქვეყნად აცხადებს.[106] უფრო აღრინდელი, კერძოდ, XIII საუკუნის არაბულენოვანი აეტორი იაკუთი თავის გეოგრაფიულ ლექსიკონში კი აღნიშნავს, რომ აბხაზი „დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ".[107] აქ ქურჯები ქართველებს ნიშნავს. ამ ორი ეთნიკური ტერმინის იგივეობის კონკრეტული მაგალითები მრავალია. როგორც გ. ჯაფარიძე აღნიშნავს: „1048-1049 წ. თურქ-სელჩუკებმა ბასიანში დაამარცხეს ბიზანტიელები და დაატყვევეს „აფხაზთა მალიქი კარიტი" – იგივე ქართველი ფეოდალი კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღაში. იმად ალ-დინ ალ-ისპაპანი მოგვითხრობს, რომ 1154 წ. სელჩუკმა უფლისწულმა სულაიმან-შაამა იკორწინა თავის ძმის ქერეზე, ქართველთა მეფის ასულზე (ბინთ მალიქ ალ-ქურჯ), რომელიც იმავე დროს იყო „აფხაზი ქალბატონი" („ხათუნ ალ-აბხაზთა").[108] შემდეგ იაკუთი განაგრძობს, რომ ქურჯები, რომლებიც მოვიდნენ აფხაზეთიდან, „ჩამოხდნენ თბილისთან და ალყა შემოარტყეს ქალაქს, ეიდრე არ დაეუფლნენ მას ბრძოლით. დახოცეს იქ მუსლიმთაგან მრავალი ხალხი. შემდეგ დაეუფლნენ ქალაქს, გამაგრდნენ მასში და მოექცნენ მის მცხოვრებლებს კეთილად, გაიხადეს რა ისინი ქვეშევრდომებად. და ქართველები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მუსლიმებს ხან არანში, ხან აზერბაიჯანში, ხან ხილატში... ასე გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ არ გაემართა მისკენ (თბილისისკენ) ჯალალ ად-დინ მანქუბარნი იბნ ხვარაზმშაპი... მან დაიმორჩილა თბილისი და ამოწყვიტა ქართველები".[109] ამ ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ აფხაზეთი დასახლებულია ქრისტიანი ქართველებით (ქურჯებით). რა თქმა უნდა, ჩვენ მოტანილ ციტატებში მხედველობაში გვაქვს მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთის ჩათვლით.

ოსმალურ დოკუმენტებში აფხაზები ერთ-ერთ ქართველურ ტომადაა მიჩნეული. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ როდესაც თურქები ფეხს იკიდებენ აფხაზეთში, მათ აფხაზების ეთნიკური წარმოშობაც სხვაზე კარგად იციან. ამაზე მეტყველებს თბილისში 1989 წელს გამოცემული წიგნი „ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიასა და რუხის შესახებ", სადაც ბევრგან მითითებულია იმის თაობაზე, რომ აფხაზები ქართველი ტომია:

„აფხაზები და მეგრელები სხვა ქართველურ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ".

„ოდიშისა და აფხაზეთის ქაფირები (ე.ი. ქრისტიანები – ა.თ.) სხვა ქართველებთან ერთად შეიარიბნენ".

„1709 წელს აჯანყებულმა აფხაზებმა, მეგრელებმა და სხვა ქართველმა ქაფირებმა დახოცეს ზაფირეჯიები, ხოლო მკეიდრ მოსახლეობას აუკრძალეს ურთიერთობა ოსმალო ვაჭრებთან".

„1722 წელს აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად შეკავშირდნენ და თავს დაესხნენ გონიოს, ანაკლიის და ბათუმის ციხეებს. ეერაგი და ცბიერი ყაჩაღებისაგან მოსვენება არ არის".[110] ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მეთორმეტე საუკუნის ბერძენი კომენტატორისა და პოლიპისტორის იოანე ცეცეს ცნობა აფხაზების წარმომაელობის შესახებ. როგორც იგი აღნიშნავს, იბერები და აბასგები ერთი ტომისანი არიან".[111] ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ XIV-XVI საუკუნეების ევროპელი მისიონერებისა და მოგზაურების მიერ შედგენილ რუკებზე სოხუმი „პორტო მინგრელიადა", ხოლო ცხუმელი კათალიკო-

სის პეტრე გერალდის 1330 წელს კენტერბერიის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ წერილში „ქეედა საქართველოდ“ იწოდება.[112] სოხუმს, კერძოდ სოხუმის კონცხს ქართულ მიწას უწოდებს XV საუკუნის ცნობილი რუსი მოგზაური ათანასე ნიკიტინი.[113] ევროპელი ავტორის, ლუი გრანჟიეს მოხსენება, რომელიც დაწერილია, მოქვში, ასეა ხელმოწერილი: „მოქვი, სამეგრელოში, 2 მარტს, 1615 წელს“.[114] ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან არაბი ავტორებიც. ალ-ჯალაშანდის (გარდ. 1418 წ.) თანახმად, შავი ზღვის ნაპირზე, როგორც კი თავდება ტრაპიზონის მხარე, იწყება ქურჯთა (ქართველთა) ქვეყანა, ხოლო აბულ-ფიდას ცნობით ქურჯების (ქართველების) ქალაქია XIV საუკუნეში სოხუმი.[115] ამასთან არაბი ავტორების მიხედვით X საუკუნის შემდეგ აფხაზი სულ უფრო აშკარად ქართველებისა და საქართველოს იდენტურია.[116]

ახლა საჭიროა უკვე ითქვას მთავარი. თუ XV საუკუნემდე საკმაოდ ბევრი უცხოელი ავტორი აფხაზეთს ქართულ მიწა-წყლად თვლის, ხოლო იქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებად, XV საუკუნის შემდეგ უკვე უცხოელი ავტორები აფხაზეთის მოსახლეობას ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულებად მიიჩნევენ. მართლაც, ამ პერიოდიდან იწყება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით აფსუების ჩამოსახლება აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან. პროფ. თ. მიბჩუანს ამის მრავალი მაგალითი მოაქვს,[117] რომელთაც ჩვენც დავიმოწმებთ. კერძოდ, რუსეთის ისტორიის მამად წოდებული ვ. ტატიშევი (1686-1750 წწ.) წერდა: „სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს თურქები და ყაბარდოელები აბხაზოსს, ხოლო ჩვენი წინაპრები ობეზის უწოდებდნენ. ამჟამად ამ ტერიტორიის დიდ ნაწილში ყუბანელები ცხოვრობენ“.[118] ამ ყუბანელებში აბსუები იგულისხმებიან. როგორც ა. ფადეევი აღნიშნავს, აშუბას გვარის წარმომადგენელი მოხუცი აფხაზები ამბობენ, რომ მათი წინაპრები პსხუდან ჯგერდში ჩამოსახლდნენ. საერთოდ გადაადგილებებსა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე აფხაზებში ფართოდ გავრცელებულია გადმოცემები.[119] ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, „აფხაზები ყოველთვის როდი ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველი ტომები“.[120] ცხადია, ამ აფხაზებში აფსუები იგულისხმებიან. ფრანგი კონსული ჟ. გამბა კი აღნიშნავს, რომ „ეს აფხაზები სხვა წარმოშობისაა, ვიდრე ისინი, რომელთაც მე ადრე ვიცნობდიო“. XVIII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების აზრით კი „ქრისტიანი აფხაზები ქართველებია, წარმართი აფხაზები – ჩრდილოეთ კავკასიელები“. ასეთივე აზრი გამოთქვა XIX საუკუნეში დუგლას ფრეშფილდმა: „აფხაზები წარმოშობით ჩრდილოეთის ტომია“. ჩვენს მიერ მოტანილ ციტატებში ყველგან აფსუები იგულისხმებიან. ამის შესახებ პროფ. ს. პოტოცკი შენიშნავდა: „აფხაზები თავიანთ თაეს უწოდებენ აბსიეს. ეს ხალხი, როგორც ჩანს, წარმოშობით კაკასიის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაა“. აფხაზების (აფსუების) საცხოვრისის შესახებ საინტერესოა XV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსის ალ-აინის ცნობა. ალ-აინი „ჩამოთვლის მთავარ ჩერქეზულ ტომებს და მათ განშტოებებს, რომლებიც ცხოვრობდნენ „უღელტეხილზე დამურ-ყაბისთან (დარუბანდთან) ტაბარისთანის (ასპეის) ზღვის მხრიდან – ქართველებამდე“. აბხაზის გარდა, აქ დასახელებულია აბაზაც“.[121]

ამრიგად, უცხოურ წყაროებში იმ პერიოდიდან მოიპოვება აფხაზების, უფრო სწორად, აფსუების ჩამოსახლების შესახებ ცნობები, როდესაც, მართლაც, იწყება აფსუების ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების პროცესი აფხაზეთში. ამას თვით აფსუთა შორის გაერცელებული გადმოცემებიც ადასტურებენ. 145 წლის მაჟაგე ადლეიბას ნაამბობის მიხედვით, რომელიც 1934 წელს აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა, აფხაზეთში პირველად გადმოსახლდნენ აგრბას, ადლეიბას, ინაპშბას... გვარის წარმომადგენელები ყარაჩაიდან. როგორც იგი მიუთითებს, მათი „წინაპრები აფხაზეთში მაშინ ჩამოსახლდნენ, როდესაც გაიგეს, რომ აფხაზეთი მოსახლეობისაგან დაცარიელდა“.[122]

აფსუებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან XV-XVI საუკუნეებში დაიწყეს ჩამოსახლება. ეს პროცესი შემდეგ საუკუნეებში ინტენსიურად გრძელდებოდა. აფსუების მასობრივი გადმოსახლების პერიოდში საქართველოს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს. გარეშე მტრების გამუდმებულმა შე-

მოსეევებმა ქეეყანა ეკონომიკურად გააპარტახა. შინაფეოდალურმა ომებმა კი ისედაც დაუძლურებული ქეეყანა დაღუპვის პირზე მიიყვანა. კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთი მხარე გაუკაცრიელდა. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთ ტომებისაგან დამცავი კაეკასიონის მთავარი ქედი სამგან „გაირღვა“, აფსუები სახლდებიან აფხაზეთში, ოსები – სამაჩაბლოში, ხოლო ლეკები – კახეთში. საქართველოს აღარ შესწევეს ძალა და აღარც უნარი დაუკითხავად მოსული გადამთიელი სტუმრები უკანეე გაბრუნოს, როგორც ეს, ეთქვათ, გიორგი ბრწყინვალემ გააკეთა ოსების მიმართ, როდესაც მოთარეშე ოსები საქართველოდან განდევნა. უფრო მეტიც, მათ საქართველოს მიწაწყალზე დასახლებას ადგილობრივ ფეოდალთა ვიწრო პირადული ინტერესებიც უწყობდა ხელს: გამუდმებული გარე და შიდა ბრძოლებისაგან დაკარიელებულ მაზულებში ყმა გლეხთა გამრავლება.

რას ამბობს ენობრივი მასალა, ტოპონიმიკა, ანთროპოლოგია, გვარსახელები და ზეპირსიტყვიერება აფხაზთა ეთნიკურ წარმომაელობაზე. ბუნებრივია, ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ენა შეიცვალა უწიგნო და გაცილებით დაბალი კულტურის მქონე აფსუების ენით. საერთოდ, როდესაც მოსული ელემენტი იმარჯვებს მისი ენა დევნის დამარცხებულის ენას, თუნდაც ეს უკანასკნელი უფრო განვითარებულიც იყოს. თუ ისტორიული პირობები არახელსაყრელია, თვით კულტურის მაღალი დონეც ეეღარ იცავს ენას. სამართლიანად აღნიშნავდა ცნობილი ენათმეცნიერი თ. შარაშენიძე: „მაღალი კულტურის მატარებელი არა ერთი ენა აღგვილა დედამიწის ზურგიდან და მის ადგილას კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი... ხალხის ენა გაბატონებულა“.[123] ამავე დროს, აშკარად ჩანს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში საგრძნობი ცვლილებები ხდება აფხაზურ ენაში. როგორც ცნობილია, XVII საუკუნეზე ადრე ჩვენ არც ერთი აფხაზური სიტყვა წერილობით წყაროებში დაცული არ მოგვეპოვება. ამიტომ არ ვიცით, თუ რა ენაზე ლაპარაკობდა აქ მცხოვრები ხალხი, როგორი იყო მათი ლექსიკა. პირველად თურქმა მოგზაურმა ეელია ჩელებიმ, რომელმაც 1641 წელს იმოგზაურა აფხაზეთში, ჩაიწერა რამდენიმე აფხაზური სიტყვა, შემდეგ კი გერმანელმა აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა 1770-იან წლებში შეადგინა მცირე გერმანულ-აფხაზური ეოკაბულარი. ამ უკანასკნელის მასალების განხილვისას აკად. ს. ჯანაშია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „სახელთა უმრავლესობა წარმოდგენილია იმ ა – წინსართის გარეშე, რომელიც დღეეანდელ აფხაზურში განუყრელი ნაწილია განეენებული მნიშვნელობით აღებული სიტყვისა“.[124] აკად. ს. ჯანაშია იმასაც მიუთითებს, რომ გიულდენშტედტს აღნიშნული აქვს რამდენიმე სიტყვა, რომელთა თავკიდური ა სწორედ ამ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან იგი გულისხმობს, რომ „იმ დროს ეს ნაწილაკი გაცილებით უფრო სუსტად იყო დაკავშირებული სიტყვის ძირითად მასასთან“.[125] ეს შეიძლება იმითაც ეოფილიყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში, და უფრო ადრეც, აფსუები სახლდებიან აფხაზეთში და მათი ენაც გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რაც უფრო ღრმად შეედიეართ აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მით უფრო მცირდება აფხაზურ ენაზე მეგრული ენის და სამაგიეროდ იზრდება ქართული ენის გავლენა. აკად. ქ. ლომთათიძეს მოყავს ს. ჯანაშიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბსიფურ მეტყველებას ქართული ენის ისეთი ფაქტები ახასიათებს, რომლებიც უცხოა უფრო სამხრეთით მდებარე აბკუის მეტყველებისათვის, რომელზედაც მეგრულის გავლენა ჭარბობსო.[126] ეფიქრობთ, ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ სხვადასხვა მორიგესაევ ქართველური ტომებით იყო დასახლებული აფხაზეთი.

საგულისხმოა ისიც, რომ გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი აფხაზური ნაცვალსახელების ნაწილის ახსნა თანამედროეე აფხაზურის საშუალებით ეერ ხერხდება, რადგან, როგორც იე. ჯაეახიშვილი აღნიშნავს: „აქ ჩრდილო-აღმოსავლური ენობრივი მასალა გვაქვს“.[127] სწორედ ამ ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ხდება ის პერიოდში გაერცელებული ნაცვალსახელების ახსნა.

აფსუების ჩრდილოეთ კაეკასიიდან გადმოსახლების ფაქტს ჯერ კიდევ გასული

საუკუნის დამლევს მიაქცია ყურადღება ა. ხახანაშვილმა. იგი წერდა: „გეაქეს საუუძეელი ეიფიქროთ, რომ აფხაზებმა, რომლებიც ცხოერობდნენ კავკასიის ქედის იქითა მხარეს, გადმოლახეს კავკასიის მთები და შეაეიწროეეს მეგრელები სამხრეთისაკენ.. მათ ორი საუკუნის განმაელობაში მეგრელები მნიშვნელოვნად შეაეიწროეეს". ამ თაეის მოსაზრებას იგი ამაგრებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით, წებელდაში ნაპოვნი ქართულად წარწერილი ნიეთები, მისი აზრით, მოწმობენ მეგრელების განსახლებას ჯერ კიდეე X და XI საუკუნეებში თანამედროეე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ა. ხახანაშვილს მოყავს ამონაწერი არქეოლოგ სიზოეის ანგარიშგებიდან, სადაც სიზოეი შემდეგს აღნიშნავს: აფხაზეთში „ჩემს მიერ აღმოჩენილი კულტურის კეალი ძირითადად ატარებს ქართული კულტურის ბეჭედს".[128]

აფსუების თაეიანთი ისტორიული სამშობლოდან – ჩერქეზეთიდან აფხაზეთში გადმოსახლების შესახებ ნათლად მეტყეელებს ა. დაიჩოკ-ტარასოეის მიერ მოტანილი შემდეგი ფაქტიც: მეგრელები ადრე გაცილებით ჩრდილოეთით ცხოერობდნენ. სოხუმის დაარსების ეპოქაში ამ მეგრელები ბატონობდნენ. სოხუმის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოენია ეაზა, რომელიც ქართული კულტურის ბეჭედს ატარებს, და მონეტა ქართული წარწერით. ა. დიაჩკოტარასოეს ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნია მეგრული და ლაზური ენების დიდი სიახლოვე; თანამედროეე აფხაზეთის ტერიტორიაზე თითქმის ტუაფსემდე ძეელი ლაზიკის მოსახლეობის მოხსენიება ძეელი გეოგრაფების მიერ; ბელის (ინგლისელი პოლიტიკური აგენტი, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში ცხოერობდა ჩერქეზთა შორის) მიერ იმის აღნიშვნა, რომ მის დროს ლიხნის მიდამოებში მცხოერები აფხაზები მეგრულ ენაზე ლაპარაკობდნენ; დიოსკურიიდან მდინარე აფსარამდე კოლხების ცხოერება, რომელთაც შემდეგ ეწოდებოდათ ლაზები; აფხაზებზე მეგრელების ძლიერი კულტურული გაელენა.[129] აქ ჩეენთეის განსაკუთრებით მნიშვნელოეანია ის ფაქტი, რომ თეით XIX საუკუნის 30-იან წლებშიც კი აფხაზებით დასახლებულ ცნობილ ლიხნში აფხაზები ჯერ კიდეე მეგრულად ლაპარაკობენ.

ლიხნი მნიშვნელოეან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეებში, ხოლო ბოლო პერიოდში აფხაზეთის მთაეართა რეზიდენცია იყო. ლიხნში არის ძეელი ქართული ხელოვნების შესანიშნაეი ძეგლი – ტაძარი ფრესკებით და XI საუკუნის ქართული წარწერებით. ე. ინგოროყეამ უტყუარად დაამტკიცა, რომ სახელწოდება ლიხნი ქართული წარმოშობისაა".[130] როგორც ჩანს, გადმოსახლებულმა აფსუებმა ლიხნში, როგორც კულტურულ ცენტრში, გასული საუკუნის 30-იან წლებშიც ეერ შეძლეს თაეს მოეხვიათ თაეიანთი ენა აქ მცხოერები ქართველებისათვის. ოდითგან აქ მცხოერები ქართველებისი ისეე მეგრულ ენაზე ლაპარაკობდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ თურქი მოგზაურის ელია ჩელების ცნობა. იგი აბაზას ქეეყანაში მოსახლე ჩაჩების ტომის შესახებ აღნიშნავს: „ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენო".[131] იგი მხოლოდ ჩანდების ტომზე ამბობს: „წმინდა აბაზები ესენი არიანო".[132] როგორც ჩანს, აფხაზეთის დიდ ნაწილში ჩამოსულმა აფსუებმა ადგილობრივ მოსახლეობას თანდათანობით თაეს მოახვიეს თაეიანთი სალაპარაკო ენა, რის გამომწეეე მიზეზებზეც ჩეენ ზემოთ გეკონდა საუბარი. ამასთან აღსანიშნაეია, რომ შემოსული მოსახლეობის მიერ ქართველი მოსახლეობისათვის მათი ენის თაეს მოხვეეის ფაქტებს არა მარტო აფხაზეთში, არამედ საქართველოს სხეა კუთხეებშიც ჰკონდა ადგილი. მაგალითად, იმ ქართულ სოფლებში ან იმ ქართული სოფლების გარშემო, სადაც ოსები მასობრივად სახლდებიან, ოსური ენა ქართველებშიც გაერცელდა და მოსახლეობის ნაწილი კიდეც გაოსდა. ანალოგიური პროცესი მოხდა ჯაეახეთის ზოგიერთ ქართულ სოფელში. კერძოდ, ახალქალაქის რიაონის სოფლები – ბაერა, ხულგუმო და კარტიკამი გასული საუკუნის 30-იან წლებში ქართველებით იყო დასახლებული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სოფლების გარშემო სომხები დასახლდნენ, ქართველი მოსახლეობა თანდათანობით კარგაეს ქართულ ენას და ქართულ თვითშეგნებას – ისინი საბოლოოდ გასომხდნენ. როგორც ჩანს, ასეთიეე პროცესი მოხდა აფხაზეთში, მაგრამ გაცილებით ფართო მასშტაბით.

თანამედროეე აფხაზეთის ტერიტორია რომ უძეელესი დროიდან ქართველური ტო-

მებით იყო დასახლებული, ამას სხვა ფაქტორებთან ერთად, აქ გაერცელებული გეოგრაფიული სახელწოდებები ანუ ტოპონიმებიც ადასტურებენ. ამ სახელწოდებათა დიდი ნაწილი ძირძველი, ქართული წარმოშობისაა და მრავალ საუკუნეს ითვლის. ამიტომ ასაკოვან ტოპონიმთა შინაარსი ზოგჯერ ბუნდოვანია და ჭირს მისი გაგება. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ასეთ ტოპონიმთა სპეციალური შესწავლა და სიტყვის შინაარსის დადგენა, ე.ი. სიტყვის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება, რაც საკმაოდ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. ამიტომ ყოველი ერი თავის ისტორიის შესწავლის დროს ტოპონიმების კვლევასაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. როდესაც უშუალო წერილობითი, ზეპირი თუ სხვა წყაროები არ არსებობს ტოპონიმები მაშინ ერის შორეულ წარსულში ამა თუ იმ რეგიონში ბინადრობის გარკვევის ერთ-ერთ თუ არა, ერთადერთ საშუალებად გვეყლინება. როგორც სამართლიანად მიუთითებს ს. ჯანაშია, „ტოპონიმია, კერძოდ, ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობით გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“.[13] რა თქმა უნდა. ტოპონიმთა შესწავლა მარტოოდენ აღნიშნული მნიშვნელობით არ შემოიფარგლება და განსაკუთრებით საგულისხმოა ამ საკითხის კვლევა აგრეთვე ერის ისტორიის და საერთოდ ერის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარის გაშუქების დროს. მაგრამ აქ ისიც მხედველობაშია მისაღებია, რომ არც ერთ ერს იზოლირებულად, სხვა ერებთან მეზობლობის, ურთიერთთანაცხოვრებისა და მჭიდრო კავშირის გარეშე არ უცხოვრია. არც ისე იშვიათად ისიც ხდება, რომ ენა ითვისებს მისთვის უცხო წარმოშობის ტოპონიმს და ფონეტიკურად თავისი ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესაბამისად ცვლის მას (ასე მოუვიდა, ჩვენი აზრით, მოგვიანებით ქართულ ტოპონიმებს აფხაზეთში). სწორედ ასეთ შემთხვევაში თუ რამ გაუგებრობის სფეროში რჩება, მაშინ მთავარია ტოპონიმთა არსის გარკვევა სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე.

აფხაზმა სეპარატისტებმა დიდი ხმაური ატეხეს, განსაკუთრებთ უკანასკნელ წლებში, აფხაზეთის მთელი რიგი დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა შეცვლის თაობაზე. ამ მიზნით აფხაზეთში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ 154 დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლა მოითხოვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის სახელწოდება აფხაზური უნდა გამხდარიყო. ამით ისინი ცდილობდნენ მეცნიერული დასაყრდენი გამოენახათ აგრესიული სეპარატიზმისათვის, კიდევ უფრო გაემარჯვებინათ ისედაც დაძაბული ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. ეს ფაქტბრივად იყო ანტიქართული გამოვლინება, როდესაც მთლიანად იგნორირებული იყო ისტორიული სინამდვილე და მკვიდრი ქართული მოსახლეობის აზრი ამ საკითხზე. ამასთან, აფხაზი სეპარატისტების მიერ ტოპონიმების შეცვლის გაუთავებელი და დაუსაბუთებელი მოთხოვნები ერთ-ერთი რგოლი იყო იმ ჯაჭვისა, რომელმაც ფაქტობრივად აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია განაპირობა.

ახლა ვნახოთ როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება. 1926 წელს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით აფხაზეთის რესპუბლიკაში 530 დასახლებული პუნქტი ითვლებოდა. მათ შორის, 260 დასახლებული პუნქტის სახელწოდება აფხაზური იყო, 160-ის – ქართული, 80-ის – რუსული, 24-ის – სომხური და ა.შ. 1975 წლისათვის ეს შეფარდება თითქმის არ შეცვლილია. კერძოდ, აფხაზეთში 520 დასახლებული პუნქტი იყო. აქედან აფხაზური წარმოშობის სახელწოდებას ატარებდა 280 დასახლებული პუნქტი, 190 – ქართულს, 27 – რუსულს, 16 – სომხურს და ა.შ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1943-1948 წლებში ძირითადად ქართული წარმოშობის ტოპონიმებით შეიცვალა იმ 81 დასახლებული პუნქტის სახელწოდება, რომლებიც მეფის, გენერლების, ოფიცრების, მოხელეების, ეკაზრების სახელს ატარებდნენ, ან თურქული წარმოშობისა იყო. ამ პერიოდში აფხაზური წარმოშობის სახელწოდებები არ შეცვლილა. 1953-1967 წლებში კი 89 დასახლებული პუნქტის დასახელება უკლებელ აფხაზური სახელწოდებებით შეიცვალა, მათ შორის, ქართულიც. ამრიგად, როგორც 1943-1967 წლებში დასახლებული პუნქტების გადარქმეული სახელწოდებების ანალიზი გვიჩვენებს, ქართული და აფხაზური ტოპონიმების

შეუარდება 1926 წლიდან არ შეცვლილა. 1990 წლისათვის ყველა დასახლებული პუნქტი, სადაც აფხაზური მოსახლეობა ჭარბობდა, უკვალოდ მოლოდ აფხაზურ სახელწოდებას ატარებდა, მიუხედავად იმისა, ეს ისტორიულად გამართლებული იყო თუ არა, და რადგან ტოპონიმები ხალხის ისტორიის ნაწილია, აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ ქართველი ხალხის ისტორიის გაყალბებას, ისინი უძველეს ქართულ ტოპონიმებს აფხაზურად ან არაქართულად აცხადებენ, საეჭვოდ მიიჩნევენ ბეერი ტოპონიმის უცილობელ ქართულ წარმოშობას. ამით ისინი ცდილობენ დამალონ ის უტყუარი ფაქტი, რომ აფხაზეთის გეოგრაფიული ძველი სახელწოდებები ქართულ ენობრივ საშყაროს ეკუთვნის და ამდენად აფხაზეთის ბინადარი იმთავითვე ქართულ ეთნოსს ეკუთვნოდა.

უძველესი დროიდან აფხაზეთში ქართველური ტომების ცხოვრების უტყუარი ფაქტია უამრავი ქართული წარმოშობის ტოპონიმი, განსაკუთრებით ოიკონიმები (დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებები) და ჰიდრონიმები, კერძოდ, ჰოტამონიმები (მდინარეთა სახელწოდებები).

როგორც ცნობილია, აფხაზეთის დედაქალაქის სახელწოდება სოხუმი (ცხუმი) ქართული წარმოშობისაა და იგი ქართულ წყაროებში მე-8 საუკუნიდან იხსენიება. ამის შესახებ არაერინ არ დაობს. ახლანდელი სოხუმის ადგილზე ძველად ანტიკური ქალაქი დიოსკურია მდებარეობდა, რომელიც ბერძენმა მოახალშენეებმა, მილეტელებმა დაარსეს ძ.წ. VI საუკუნეში. დიოსკურია კოლხთა ქალაქის რიცხვს მიეკუთვნებოდა. შემდეგში დიოსკურიას სებასტოპოლი უწოდეს. ამის შესახებ არიანე, რომელმაც 134 წელს შავი ზღვის სანაპირო მოიარა, თავის მოხსენებაში რომის იმპერატორს წერდა: „დიოსკურია ამჟამად იწოდება სებასტოპოლად". ამდენად, „ეს ციხე-ქალაქი არიანემდე იწოდებოდა დიოსკურიად, ხოლო მის დროს (მეორე საუკუნეში – ა.თ.) უკვე სახელგადარქმეულია, სებასტოპოლის სახელს ატარებს".[134]

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა დიოსკურიის სახელწოდება, კერძოდ, არის თუ არა იგი უძველესი ქართული ტოპონიმი. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ქალაქის სახელწოდება ადგილობრივი სახელწოდების ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს ან მოლიანად ქართველური ენების საუძველზე აიხსნება. მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, ქალაქის სახელწოდება წმინდად ბერძნულია და დაკავშირებულია ტყუა ძმებ დიოსკურებთან. ეს მეორე მოსაზრება ნაკლებად მისაღებია, რადგან ტყუა ძმები დიოსკურები ზევსის ვაჟები იყვნენ და თუ მათ საპატიოცემულოდ დაარქვეს ქალაქს დიოსკურია, ნაკლებად მოსალოდნელია, შემდეგში ეს სახელი გადაერქვათ და სებასტოპოლი ეწოდებინათ, მით უმეტეს, რომ ასეთი სახელწოდების დასახლება უკვე არსებობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამ შემთხვევაში ეერც ჯ. ინგოროყვას მოსაზრების თანამოაზრენი გაეხლებით იმის შესახებ, რომ სახელწოდება დიოსკურია დაკავშირებულია ტყუა ძმების ლეგენდასთან, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ბერძნული სახელწოდებანი კოლხიდის ქალაქებისა ადგილობრივ სახელწოდებათა თარგმანს წარმოადგენენ. კერძოდ, რამდენადაც ძველი დიოსკურიის ნაქალაქეეს დღემდე შერჩენილი აქვს სახელწოდება ტყუბენი, ტყუბნი, სრულიად აშკარაა, რომ ბერძნული სახელწოდება ამ ქალაქისა დიოსკურია, დაკავშირებულია ტყუა ძმების ლეგენდასთან და მომდინარეობს ამ ქალაქის ადგილობრივი სახელწოდებიდან.[135]

ჩვენი აზრით, ქალაქ დიოსკურიის სახელწოდების ყველაზე საფუძვლიან ახსნა-განმარტებას იძლევა პროფ. გ. ფიფია. როგორც იგი აღნიშნავს, სიტყვა „დიოსკურია" შედგება ორი ზანური, ანუ ძველკოლხური სიტყვის „დიო" და „სკური"-საგან. „დიო" – ზანური სიტყვის „დიდოს" შეკვეცილი ფორმაა. იგი შემონახულია თანამედროვე ჭანურლაზურ დიალექტებში და ნიშნავს დიდი, სიერცე, ფართო. ზანური სიტყვა „სკური" კი აღნიშშნავს წყალს, მდინარეს, ღელეს, წყაროს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა სიტყვათმიმართებაში იხმარება. სიტყვასთან „დიო" იგი ქმნის წყლიანი სიერცის, ხმელეთში შეჭრილი ფართო წყლიანი ზოლის გაგებას. უდაოა, ძველი ზანები სიტყვა „დიოსკური"-თ აღნიშნავდნენ ყურეს. „დიოსკურია"-თი – ამ ყურის სანაპიროს დასახლებას.

ამ ასპექტში საყურადღებოა მდინარე კელასურის სახელწოდების ახსნაც. ეს მდინარე დიოსკურიასთან ახლოს ზღვაში ჩაე-

დინება. მისი სახელწოდება აგრეთვე წარმოდგება ზანური სიტყვებისაგან „ელელ“ და „სკური“. პირველი სიტყვა ნიშნავს მოკლეს და „სკური“-სთან ერთად ქმნის ცნებას – „მოკლე მდინარეს“ (ელესური). მართლაც, ეს მდინარე თავისი სიგრძით არ გამოირჩეა. პროფ. გ. ფიფია სამართლიანად მიუთითებს, რომ ტოპონიმები, რომლებიც შეიცავენ ელემენტს „სკური“, გეხვდება ხშირად და მოიცავენ იმ ტერიტორიას, სადაც ძველად ცხოვრობდნენ ზანები და მათი ენა ერცელდებოდა. მაგალითად, გვაქვს სოფლები სკურჩა და ქუასკური ონამჩირის რაიონში, სკურია – სენაკის რაიონში, სკურდი – მარტვილის რაიონში, სკურა – ქობულეთის რაიონში, სკურდიდი – ხელვაჩაურის რაიონში და მდინარე სკურდიდი – აჭარაში, აგრეთვე სქური – განთქმული სამკურნალო წყარო წალენჯიხის რაიონში და სხვ.

დიოსკურიის სახელწოდების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ვ. ჯოჯუა, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ვ. ნიკონოვის, ლ. სოლოვიოვის, ს. ჯანაშიას და სხვ. მეცნიერთა მოსაზრებებს. კერძოდ, იგი აღნიშნავს: „ბერძნული ეტიმოლოგიის მქონე ქართულ სახელწოდებას, რომელიც გეხვდება ანტიკური ხანის აეტორებთან, შეიძლება არაფერი პქონდეს საერთო ბერძნულთან. ჩვენ ეიზიარებთ იმ მეცნიერთა (ს. ჯანაშია, ლ. სოლოვიოვი, თ. მიქელაძე, ი. შენგელაია) აზრს, რომლებიც დიოსკურიას ადგილობრივ სახელწოდებად მიიჩნევენ. მისი დაკავშირება მითოლოგიურ დიოსკურებთან დამაჯერებელი არ ჩანს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადგილობრივი მაღალი კულტურის ხალხით დასახლებულ ქალაქს არ შეიძლებოდა არ ქმონოდა სახელი და ჩამოსულ ბერძნებს არ დასჯერდებოდათ მისთვის სახელის დარქმევა“.[136]

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ეფიქრობთ, შეიძლება მხოლოდ ის დასკვნა გაკეთდეს, რომ დიოსკურია ზანური წარმოშობისაა. მაშინ, ბუნებრივია, „ქალაქი, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო, დაარსებულია იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც ლაპარაკობდნენ ზანურად, ანუ ძველკოლხურად“.[137]

სოხუმის ძველი სახელწოდება „ცხუმი“ აგრეთვე ქართული, კერძოდ, სვანური წარმოშობისაა და რცხილის სვანურ სახელს – ცხუმს უკავშირდება. ასეთი სახელწოდებები ფართოდაა გავრცელებული სვანეთსა და ნასვანარ ადგილებში. მაგალითად, ცხუმარი (სოფელი მესტიის რაიონში), ცხუმელური (ლენტეხის რაიონში), ცხმორი (რაჭა), ცხომარეთი (ზემო იმერეთი) და სხვ. ცხუმის სვანურბუნებოვნობაზე მეტყველებს აგრეთვე შუა საუკუნეთა სვანეთში ცხუმხრეთიანი გვარეულობების არსებობაც. მაგალითად, ცხუმიანები, ცხვიმიანები და ჩხუმიანები. ცხუმდან წარმოშობილი ჩანს გვარები: ცხომელიძე, ცხომარია და სხვ.[138] ამრიგად, მართალია, უშუალოდ წერილობითი ძეგლების მიხედვით ჩვენ არ ვიცით რა ენაზე ლაპარაკობდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები, მაგრამ თავიანთი ენობრივი მასალა, სიტყვები მათ ძველ ტოპონიმებში დაგვიტოვეს. ეს ტოპონიმები (შეიძლება ითქვას, უელბლივ ყველა), ეს სიტყვები კი ქართული წარმოშობისაა, რაც აფხაზეთში ქართველური ტომებით დასახლებაზე მიუთითებს. კერძოდ, აფხაზეთის დედაქალაქის ორიგე სახელწოდების (დიოსკურია, ცხუმი) შემოქმედი თავის დროზე მხოლოდ ქართული – მეგრულ-ზანური და სვანურენოვანი მოსახლეობა იყო და ამდენად სოხუმი და მიმდებარე ტერიტორია უწყვეტად საუკუნეების ჩანილზე ქართველური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული სხვა დასახლებული პუნქტების, ფერდობების, მთების, ქედების სახელწოდებები ასევე ახსნილია ქართველური ენების საფუძველზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება იმ ტოპონიმებს, რომლებიც აფსუებმა აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ შექმნეს.

უძველესი დროიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური ტომების დასახლების უტყუარ ფაქტს წარმოადგენს აფხაზეთში გავრცელებულ მდინარეთა სახელწოდებები – პიდრონიმები. როგორც ცნობილია, პიდრონიმები იშვიათად იცვლება და ამდენად მდინარეთა სახელწოდებები ამ მდინარეთა აუზში მცხოვრებთა ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის მეტად სარწმუნო წყაროა. პროფ. გ. ფიფიამ დაადგინა აფხაზეთის პიდრონიმები ქართველურ-ზანური ფუძით და აფხაზურ-ადიღეური ფუძით. როგორც იგი აღნიშნავს, მდინარეების ენგუ-

რისა და გუმისთას შორის ტერიტორიაზე 30 მდინარე მიედინება. ამ 30 მდინარის სახელწოდებიან მხოლოდ ორი მათგანია წარმოქმნილი აფსუა ენიდან. ეს არის ღელე აძიქეა, რომელიც ზღვაში ჩაედინება ქალაქ ოჩამჩირის ფარგლებში და ღელე ძიგუთა, რომელიც სოხუმზე გადის. დანარჩენი 28 მდინარის სახელწოდება უალბლილე ყველა ქართველურ-ზანური წარმოშობისაა.

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთში, მდინარეების გუმისთასა და ფსოუს შორის კიდევ 27 მდინარე მიედინება, რომელთაგან 18 აქეს აფხაზურ-ადიღეურ ენათა საფუძველზე წარმოქმნილი სახელწოდება, ხოლო 9 მდინარის სახელწოდება კი შეიცავს როგორც აფხაზურ-ადიღეური, ასევე ჭანური ენების ელემენტებს, რაც, პროფ. გ. ფიფიას აზრით, ამ რეგიონში ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორით შეცვლას მოწმობს.[139] მეტად საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთის ყველაზე დიდი მდინარეების, კოდორისა და ბზიფის სათავეებში შენაკადთა სახელწოდებების უმრავლესობა სუფთა სვანურია, ხოლო ზოგიერთის სახელწოდება აფსუა ენიდან მომდინარეობს ან ამ ორი ენის ელემენტებს შეიცავენ. მაგალითად, სვანური წარმოშობის შენაკადებია: ორმელენთი, ნამხარო, ბარდღვი-ნამკრავარი, სისინა, ნაჭვალი, გენწეიში, ლამკაცი, ჩხალთა, კვარაში, გარაფი, შოუდიდი, ბეშთა, ბიღდაზია, გრბძა, გვაშთხვა.

ამრიგად, მდინარეთა სახელწოდებების მიხედვით თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად მეგრელი და სვანი ტომები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება შედარებით მცირე რაოდენობით მდინარეთა სახელწოდებების აფსუა ენიდან წარმოშობის საკითხს, იგი შეიძლება შემდეგი გარემოებით აიხსნას: ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები თავდაპირველად ძირითადად შედარებით უკაცრიელი პატარა მდინარეების (ღელეების) აუზებში სახლდებიან და ამ მდინარეებსაც (ღელეებს) თავიანთ სახელწოდებებს არქმევენ. ამიტომაცაა, რომ აფხაზეთის ყველა დიდი მდინარის სახელწოდება, რომელთა აუზებში ქართველური ტომები უხსოვარი დროიდან განუწყვეტელივ სახლობდნენ, ქართული წარმოშობისაა. ამასთან დიდი მდინარეების სახელწოდებები, რომლებიც უკვე ფართოდაა ცნობილი ადგილობრივ და მეზობელ ტომებში, თუნდაც გარკვეულ პერიოდში მოსახლეობა უკვე მათ აუზებში მცირე რაოდენობით ან აღარც ცხოვრობდეს, შეცვლას ნაკლებად ექვემდებარება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ პროფ. გ. ფიფია ზოგიერთი მდინარის სახელწოდებას „ფსა“ დაბოლოებით აფსუა ენიდან წარმოშობილად თვლის, უფრო სწორად, სუფთა აფსუა სახელწოდებად მიიჩნევს. საერთოდ „ფსა“ ნაწილაკის ახსნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეთა სახელწოდებების ენობრივი კუთვნილების გასარკვევად. როგორც აკად. ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, „სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ტოპონიმიკაში, კერძოდ, მდინარეთა სახელწოდებაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) გეხვდება ფსა (ფს) დაბოლოების მქონე სახელები (ნ. მარი, იე. ჯაეახიშვილი, ს. ჯანაშია). ტოპონიმიკურ სახელთა ეს ელემენტი საესებით სამართლიანად არის მიჩნეული ადიღეურ (ჩერქეზულ) სიტყვად, სადაც იგი „წყალს“ აღნიშნავს და აგრეთვე გამოიყენება როგორც რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი წყლის მნიშვნელობის გადმოსაცემად“.[140] მართლაც, ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „ფსა“, როგორც მდინარეთა სახელების მაწარმოებელი ფორმანტი, ეჭვს გარეშე აღმოჩნდა. ასევე უდავო იყო ჩვენთვის, რომ ეს ნაწილაკი არის ჩერქეზული სიტყვა „ფსა“, რომელიც ნიშნავს „წყალი“, „მდინარე“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილს და აწინდელ ტერიტორიაზე“.[141] საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად (და ისტორიულადაც) გეხვდება „ფსა“ დაბოლოებით მდინარეთა სახელწოდებები: სუფსა, ნიკოფსია, ლაგუმფსა, აკამფსი (ანტიკურ მწერლობაში მდინარე ჭოროხის სახელწოდება) და სხვ. თუ დაეუშვებთ, რომ სიტყვა ფსი (ფსა) ჩერქესულიდან მომდინარეობს, მაშინ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული მოსახლეობის კვალიც ჩანს, რომელიც მათ ადგილობრივ ტოპონიმიკაში დატოვეს. ს. ჯანაშია ამის შესახებ გარკვევით აღნიშნავდა: „საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვა-

ლეეია".[142] ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში, ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეების — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვ. აზრით ქართველები და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ტომი, მათ შორის, აფხაზებიც ამ ტერიტორიაზე მოსულებად ითვლებოდნენ. შემდგომში ეს შეხედულება შეიცვალა და ამჟამად მათ ოდითგანვე აქ მცხოვრებ, აბორიგენ მოსახლეობად მიიჩნევენ. ამდენად, თუ ისინი მოსულები იყვნენ ამ ტერიტორიაზე, ბუნებრივია, გზადაგზა თაეიანთ კვალსაც ტოვებდნენ ტოპონიმების სახით. ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში უასდაუდებელი წვლილის გამო იმდენად დიდი იყო ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას აეტორიტეტი, რომ ჩერქეზული ტოპონიმების ასრებობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საეჭვო არავის გაუხდია, რაც ადასტურებდა აქ ადრე ჩერქეზული მოსახლეობის გაერცელებს და ამდენად ქართველებისა და ჩერქეზული ტომების მოსვლის თეორიას. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას დაკვირვებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ფსა" დაბოლოების მქონე მდინარეთა სახელწოდებებში ფს ნაწილს საკუთრივ აფხაზურად არავითარი განმარტება არ მოეძებნება. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს მ. ინაძე: „გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსად, არც ერთ თაეის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ზემოთ განხილულ ტოპონიმებს (მხედველობაშია ძირითადად ფს — ძირითანი ტოპონიმები — ა.თ.) არ უკავშირებდნენ საკუთრივ აფხაზურ ეთნიკურ წრეს".[143] ფს — დაბოლოებიან ტოპონიმებს ისინი მხოლოდ ადიღეური (ჩერქეზული) ენის საფუძველზე ხსნიან.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, პირველად ჯ. ინგოროყვამ მიაქცია ყურადღება იმ საკითხს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზულად მიჩნეული ტოპონიმები სინამდვილეში ქართული წარმოშობისაა. კერძოდ, როგორც იგი მიუთითებს, მართალია, ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფსა" წყალს ნიშნავს, მაგრამ „ამავე ფუძისეული სიტყვა არსებულა არქაული პერიოდის ქართულშიც, რა დროსაც ეეუთვნის ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობა".[144]

მართლაც, ქართულ ენაში სიტყვა ფსი ძირეულია და აღნიშნავდა ცნებას „წყალი". ამას, უპირველეს ყოელისა, ადასტურებს უძველესი ქართული სიტყვა ფსელი (ფს-ელი) და სიტყვა ფს-ი ფუძის მრავალგვარი გაჩენტრება: „ფშა", „ფშანი", „ფშატილა", რაც შესაბამისად წყაროს, წყაროსმდინარეს, თოელნარეე წყალს ნიშნავს. საგულისხმოა ისიც, რომ „ფსია" მეგრულ დიალექტზე დიდ-წყლიანობას ნიშნავს. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში"[145] განმარტებულია სიტყვები ფსელი, ფს-მა, შე-ფს-მა, მ-ფს-მელი. სულხან-საბა ორბელიანის მიხედეით ფსმა ფსლის დათხეევა, ხოლო მოფსმა-ფსლის დაქცეა.[146] დაეით ჩუბინაშვილს ფსმა და მოფსმა განმარტებული აქეს, როგორც შარდზედ გასელა, შარდზედ მიდგომა.[147] შარდზე გასელა კი ქართულში წყლის დაღერის ტოლფასია. ერთ-ერთი ქართულ ხლაპარში აღნიშნულია: ქალს „ერთ ადგილას შარდზე გასელა მოუნდა. იქვე ჩაჯდა. მერე ჩხირი აიღო და დაქცეულ წყალს დაუწყო ჯვარედინად გადახაზვა"[148]. საგულისხმოა, რომ ხლაპარი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაშია ჩაწერილი. ამ მხრივ საეურადღებოა აგრეთვე ქართული სიტყვები: ფსკერი, ფსკა (დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა), ფსორი (მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი)[149] და სხვ.

აქ მიზანშეწონილია ფშ-ძირიან ტოპონიმების შესახებაც აღინიშნოს, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, „თუმცა ფშ კომპლექსი თანამედროეე ჩერქეზულს წყლის სახელად აღარ აქეს, მაგრამ ნინათ რომ ჰქონია ეს იქითგანაც ჩანს, რომ ქეიშას, ლამს ჩერქეზულად ეხლაც ფშახუა და ეაბარდოულად ფშახო ეწოდება".[150] თუ ჩვენ ამაეე აზრს ფს ნაწილის მიმართ გაეიზიარებთ, შეგეიძლია ეთქვათ, რომ ფს კომპლექსი თანამედროეე ქართულ ენაში წყლის სახელად აღარ გეაქეს, მაგრამ წინათ რომ ჰქონია ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფსკა ქართულად ახლად დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებულ მწვანე ლორწოსებრ მასას, ხოლო ფსორი მდინარის მიერ დატოვებულ კალაპოტს ნიშნავს. ამავე დროს, თვით სიტყვა „ფშაც" ქართულშიც წყლის ცნებას უკავშირდება. ჯ. ინგოროყვა ამის შესახებ აღნიშნავს: ფსი ფუძე — სიტყვის განშტოებას წარმოადგენენ: „სიტყვა „ფშა",

რაც ნიშნავს წყაროს, წყალს; „ფშანი“ – დიდი ფშა... წყარო მდინარე; „ფშა-ტალა“ – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „წყალი თოელ-ნარეი“.[151]

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს საქართველოს დიდი მდინარეების ფაზისის, აკამფსისის (შესაბამისად რიონისა და ჭოროხის ისტორიული სახელწოდება) და სუფსის სახელწოდებები, რომელთა ქართულ წარმოშობაზე შეიძლება ფსი ტერმინის საშუალებით ან კერძო შემთხვევაში მის გარეშეც ეიმსჯელთო. მაგალითად, მართალია, ფაზისის ფსასთან მიმართებაში საკითხი მეცნიერებაში საკმაო ხანია დგას, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის. ს. ჯანაშია ფაზისს ფოთ-ფუთ (საყურადღებოა სოფლის სახელი „ფუთი“ ზემო იმერეთში) ფუძესთანაც აკავშირებს.[152] რაც შეეხება სუფსას, ეს მდინარე სათავეს სურების მთებში იღებს და ამდენად სუფსა (სურ-ფსა) ნიშნავს სურების წყალს, სურების მდინარეს.[153]

ჩვენს მიერ მოტანილი მსჯელობის შემდეგ მთავარი საკითხი მაინც გადასაწყვეტი რჩება. კერძოდ, როგორ მოხდა, რომ სიტყვა ფს (ფსა) ქართულსა და ჩერქეზულ (ადიღეურ) ენებში წყალს ნიშნავს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ის უბრალო დამთხვეეით აიხსნას. როგორც ჩანს, ქართველი ტომები დასაელეთ საქართველოს და, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე (და ბევრად უფრო ჩრდილოეთითაც) უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და ამდენად აფხაზეთში გავრცელებული ჰიდრონიმებიც ქართული წარმოშობისაა. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ქართველური ტომების ცხოვრების ფართო არეალს, რომლებიც უძველეს დროში იმ ტერიტორიებსაც მოიცავდა, სადაც გუხედება ფსა დაბოლოებით მდინარეთა სახელწოდებები, მაშინ უფრო მისაღები ის აზრია, რომ ფსა სიტყვა ქართულიდან შეეიდა ჩერქეზულ ენაში. ე.ი. უშუალოდ ქართული სამყაროს ველრდით ცხოვრების პერიოდში. სრულიად დასაშვებია, რომ ჩერქეზულ ტომებს ქართული ფსა სიტყვაც შეეთვისებინათ.

ჯ. ინგო�ყვა უშვებს ამ სიტყვის ჩერქეზულში ქართულიდან შესვლის შესაძლებლობას. მაგრამ ამ მოსაზრებას უფრო მეტი გამზიარებელი ჰყავს ორიეე ენობრიეი გარემოსთვის ფსა-ს საერთოობას. მაგალითად, აკადემიკოსი გ. ახელედიანი იცავს აზრს, რომ ფსა საერთოა ქართველურ ენებსა და ადიღურში. ამავე აზრისაა თ. მიქელაძეც, რომელიც ამ დებულების სასარგებლოდ იშველიებს სიტყვა სილას, რომელსაც მეგრულში ფსილას სახე აქვს. ლ. სალამანიძე იხილავს რა სხვადასხვა მეცნიერთა თვალსაზრისს ამ საკითხზე აღნიშნავს: „ეხება რა ორიეე თვალსაზრისს – ფსა ელემენტის შესახებ, პროფ. ალ. ღლონტი თვლის, რომ ისინი ჰიპოტეტურობას არ გასცილებია და ორიეე თვალსაზრისს დაკვეა ცალმხრიეობა. მისი აზრით, ფსა (ფასა) არის ტრადიციული, საერთო ქართველური ჰიდრონიმი, ერთნაირად გავრცელებული არა მარტო ისტორიულ კოლხეთში, არამედ ისტორიულ იბერიაშიც... – ფსას ეარიანტებად აღმოსავლეთ საქართველოში პატეეცემული მეცნიერი თვლის – ფშა, – ფშავ ელემენტებს, ხოლო სვანურში ფაშგეას... ასევე ანგარიშგასაწევად მიაჩნია ა. ღლონტს აფხაზურ-ადიღეურ-ჩერქეზული მასალაც, ეინაიდან აღნიშნული ლექსემა ისტორიულად ჩანს, საერთო ყოფილა ამ ორი სხვადასხვა ენობრიეი გარემოსათვის“.[154]

ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან გეიან შუა საუკუნეებამდე რომ მხოლოდ ქართველური ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული, ამაზე ნათლად მეტყველებს ანთროპოლოგიური მონაცემები. აქ იგულისხმება ფიზიკური თვისებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ „ამა თუ იმ ერისა თუ ტომის მონათესაეობის საკითხის გადასაწყვეტად“ (ივ. ჯაეახიშვილი) და რომელთა შეცელა მემკეიდრეობითი კანონების გარდა არაეითარ სხვა ფაქტორს, არაეითარ გარეშე გავლენას არ შეუძლია. ანთროპოლოგიურადაც აფხაზები ყველაზე ახლოს ქართველებთან დგანან, ფაქტობრიეად ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს იმეორებენ.

დღეეანდელი ქართველები, როგორც ცნობილი ანთროპოლოგი აკად. მ. აბდუშელიშეილი აღნიშნავს, დასაელეთ ამიერკავკასიის უძველესი დროის მოსახლეობის შთამომაელები არიან. არსად, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ხილული ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე, არ შენიშნება რაიმე საგრძნობი უცხო, ადგილბრიეი მოსახლეობისაგან განსხვაეებული ელემენტების ექსპანსიისა და ასიმილაციის კეალი.[155]

ქართველი ანთროპოლოგები საქართველოს თანამედროე მოსახლეობაში გამოყოფენ ხუთ ადგილობრივ ეარიანტს, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. ამ ხუთი ეარიანტიდან ერთ-ერთი, კერძოდ, შავიზღვისპირული გავრცელებულია შავიზღვისპირელი აჭარლების, გურულების, მეგრელებისა და აფხაზების ჯგუფებთან, ეიდრე ჩერქეზებთან. პროფ. შ. ინალ-იფა, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ტენდენციურად განიხილავს აფხაზეთის ისტორიისა და მოსახლეობის საკითხებს, ამ უტყუარი ფაქტის შესახებ იძულებულია აღნიშნოს: „ანთროპოლოგიურად თანამედროვე აფხაზები ეკუთვნიან ერთ დასავლეთ-კაკასიურ ტიპს, ამჟღავნებენ სიახლოვეს, ერთი მხრივ, დასავლეთ-ქართველურ, ხოლო მეორე მხრივ – ჩერქეზულ მოსახლეობასთან. ამასთან ანთროპოლოგიური მსგავსება დასავლეთ ქართველებთან უფროა გამოხატული, ვიდრე ჩერქეზებთან, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელნი აფხაზებთან ერთად ლინგვისტურად ეკუთვნიან ერთ განსაკუთრებულ აფხაზურ-ადიღეურ ოჯახთა ჯგუფს. სპეციალისტები აფხაზების ანთროპოლოგიურ მსგავსებას მეგრელებთან, აგრეთვე გურულ და აჭარულ ჯგუფებთან, ადიღეველებთან შედარებით დიდად დაშორების პირობებში დამტკიცებულ უაქტად თვლიან“.[156] ამდენად ანთროპოლოგიურად აფხაზები გაცილებით ახლოს დგანან ქართველებთან, ვიდრე ჩერქეზებთან და, მით უმეტეს, ჩრდილოეთ კაკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან. აფხაზების ქართველებთან მსგავსება ეახუშტი ბატონიშვილმაც შეამჩნია: „კაცნი მგეანენი მეგრელთა და უმეტეს ცქეიტნი და ტანოეანნი, წერწეტნი“.[157]

კიდევ უფრო საინტერესო და მეცნიერულად მისაღებია რუსი ანთროპოლოგისა და კაკასიოლოგის აკად. ვ. ალექსეევის დასკვნა იმის შესახებ, რომ აფხაზები ანთროპოლოგიურად, ადიღეველებთან შედარებით, გაცილებით ახლოს დგანან ქართულ სამყაროსთან და მათი შესვლა ადიღეულ ოჯახთა ჯგუფში მოგვიანებით მოხდა. კერძოდ, იგი შემდეგს აღნიშნავს: „ანთროპოლოგიური მონაცემები მოწმობენ აფხაზების ისტორიულ კავშირებს უფრო მეტად ქართულ, ვიდრე ადიღეურ სამყაროსთან. აფხაზების შესვლა ადიღეურ ხალხთა შემადგენლობის ენათა ოჯახში განხორციელდა გეიან და ყოველ შემთხვევაში თავისთავად წარმოადგენს მეორად მოელენას მათ ეთნიკურ ისტორიაში“.[158] აკად. ვ. ალექსეევის მოტანილ ციტატიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება: აფხაზები ქართულ სამყაროს ეკუთვნიან და მათი შესვლა ადიღეურ ოჯახთა ჯგუფში მოხდა მას შემდეგ, რაც აფსუები გადმოსახლდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამასვე ადასტურებს ქართული წარმოშობის აფხაზური გვარები.

პროფ. თ. მიბჩუანმა დააჯგუფა აფხაზები გვარების წარმოშობის მიხედვით.[159] აღმოჩნდა, რომ დღევანდელ აფხაზთა გვარების 72,7 პროცენტი ქართულია, 23,5 პროცენტი ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინური, ხოლო აფხაზური გვარების 3,8 პროცენტი ძირითადად თურქული, სპარსული და რუსული წარმოშობისაა. სულ აფხაზთა 417 გვარიდან 303 გვარი ქართულია. ასეთი გვარებია: ანჩაბაძე, ასათიანი, ჭელიძე, ჭკადუა, წერეთელი, იაშელი, თაყაიშელი, ახელედიანი, ამილახვარი, დეკიძე, ლაღიძე, მელაძე, ცეხლაძე, ხიდაშელი, ჩხეიძე, ჩიქოვანი, სიჭინავა, კეარაცხელია, ლაბახუა, ადამია, ძიძარია, ბასარია, გულია და მრავალი სხვა. ამ გვარების უმრავლესობის შინაარსობრივი ახსნა. მათი წარმოქმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, ქართული სიტყვიერი მასალის საფუძველზე შეიძლება. მაგალითად, ჭკადუა და ჭელიძე წარმოშობილია ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. მჭედელს მეგრულად ჭკადუ ქქვია, აქედანაა გვარი ჭკადუა.[160] ასევე ხელობის აღმნიშვნელი გვარია ჭელიძე, რომელიც მიღებულია მჭედლიძესაგან. ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს სადაურობის (წარმოშობის ადგილის) აღმნიშვნელი გვარები. სწორედ წარმოშობის ადგილს უკავშირდება გვარი წერეთელი. კერძოდ, წერეთელი ნასოფლარია ქართლში, საიდანაც მიღებულია გვარი წერეთ-ელ-ი[161] და ა.შ.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი აფხაზური გვარი, რომელთა აფხაზურ წარმოშობაზე ეჭვის შეტანა თითქოს ძნელია, ქართული წარმოშობისაა. მაგალითად, როდესაც ს. ჯანაშია იხილავს ზან და ჭან ფირმების აფხაზურის მიერ შეთვისების საკითხს, აღნიშნავს: „უკანასკნელი დაცუ-

ლია კიდეეაც აფხაზური გვარის სახელში ჭან-ბა, რაც ქართულ ჭანიშვილს უდრის".[162] იგივე შეიძლება ითქვას აფხაზური გვარის გუბაზის მიმართ, რომელიც ლაზური წარმოშობისაა. ამის შესახებ ა. ფადეევი აღნიშნავს: „ლაზიკის შემადგენლობაში შედიოდა თანამედროვე აფხაზეთიც. გუბაზმა (კოლხეთის მეფე VI საუკუნეში – ა.თ.) თავის გაელენას დაუქვემდებარა აბასკ-ავასების ტომები. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი (VI საუკუნე) აღნიშნავს, რომ „ავასგები ძველთაგანვე ლაზებს მორჩილებდნენ"– ლაზიკის მმართველები გუბაზების გვარიდან იყვნენ, ხოლო აფხაზეთში გუდაუთის რაიონში ამჟამადაც ცხოვრობს გლეხი გვარით გუბაზი".[163] ლაზური წარმოშობისაა აგრეთვე აფხაზური გვარები: ხალეაში, ხვიტიში, ბაბადიში, ხაზირიში და სხვა. რუსული წარმოშობის აფხაზებს მიეკუთვნებიან ერმოლოვები, ივანოვები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გვარსახელი შარვაშიძე აშკარად მეგრული წარმოშობისაა: შარვაში პლუს ქართული ძე, როგორც ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს. საერთოდ, როგორც პროფესორი ო. ჭურულია აღნიშნავს, ქართულ წყაროებში ზანური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის -ში სუფიქსიანი გვარსახელების ხელმეორადი ქართული წარმოება ხდება ამ გვარსახელზე ქართული მაწარმოებლის დართვის საშუალებით. მაგალითად, ბურე-ში-ძე, გეგე-ში-ძე, დურმეში-ძე, ღამბა-ში-ძე, ნაკა-ში-ძე, ჯანა-ში-ა, კაში-ა და სხვ. ამავე წესით ნაწარმოებ გვარსახელად ჩანს შარვა-ში-ძე-ც.[164] ამავე ასპექტში სანიტერესოა აფხაზური გვარის მაწარმოებელი -ბა, რომელიც გეხვდება ქართულ გვარებში. მაგალითად, დუმ-ბა-ძე, კაკა-ბა-ძე და სხვ. საინტერესოა „ბა" მაწარმოებლის კაეშირი ქართულ გვარებთან და არის თუ არა იგი მხოლოდ აფხაზური გვარების მაწარმოებელი. ცნობილია, რომ რომაელმა პატრიცმა პიეტრო დელა ვალემ 1620-იან წლებში ცოლად შეირთო ქართველი ქალი თინათინ ძიბა.[165]

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, თუ აფხაზური გვარების წარმოშობის მიხედვით თანამედროვე აფხაზების რაოდენობის პროპორციულ განაწილებას მოვახდენთ, მაშინ აფხაზების შთელი რაოდენობიდან (1989 წელს 93267 აფხაზი ცხოვრობდა აფხაზეთში) 67805 გენეტიკურად, სისხლით და ხორცით ქართული წარმოშობისაა, 21917 კაცი – ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინური და 3544 კაცი – ძირითადად თურქული, სპარსული და რუსული წარმოშობის. რა ეშმა უნდა, აქ საუბარია მხოლოდ გენეტიკურ წარმოშობაზე. ალბათ, გარკვეული რაოდენობის გამონაკლისის გარდა, ისინი თვითშეგნებით აფხაზები არიან. მაგრამ „თუ რომელიმე ქართველი გააფხაზდა, ღმერთმა შეუნდოს და ხელი მოუმართოს, ოღონდ თავის მშობლებს ნუ დაუწყვებს გინებას და ქვის სროლას".[166] და, მით უმეტეს, ნურც ტყვიას ესვრის.

აფხაზეთში მცხოვრები ტომების ქართულ წარმოშობაზე მეტყველებს აფხაზური ზეპირსიტყვიერებაც. ამას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს ნართების ეპოსი. აფხაზი მკვლევარების აზრით, აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში ყველაზე თვალშისაცემი, ყველაზე ფართო მოცულობის და ყველაზე სრული ძეგლებია ნართებისადმი მიძღვნილი თქმულებები. ამ ეპოსის ყველაზე მთავარი პერსონაჟია გმირი ქალი სათანეი-გეგაშა. როგორც აფხაზ მკვლევარებს ჩვევიათ, ისინი ახდენენ ამ გმირი ქალის იდეალიზაციას. კერძოდ, ს. ზუხმა აღნიშნავს, რომ „მსოფლიო ეპიკურ პოეზიაში კარგადაა ცნობილი არაერთი გმირი ქალის სახე, მაგრამ ტიპოლოგიურად სათანეი-გეგაშას მსგავსი არსად გვეგულებაო".[167] ამ აზრს იგი იმით ამტკიცებს, რომ სათანეი-გეგაშა მარად ახალგაზრდაა, არ ბერდება, მზესავით ანათებს და მას, მიუხედავად ასი შვილის გაჩენისა, „ისეთი კან-ხორცი ჰქონდა, თავით ფეხამდე მთლად ჭყინტ ყველასა ჰგავდა". სათანეი-გეგაშას მოსწონს მენახირე ზართიეკა, რომელსაც იგი მდინარე ყუბანის ნაპირზე ხედება. მათ ერთმანეთი თვალში მოუვიდათ: „და მოგორებს ზეირთებს მძლაერი ყუბანი ისევ და, მერამდენედ, ზართიეკას ისევ ნაპირზე ისვრის".[168] აქ ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ ეპოსში ასახული ამბები ქედს გაღმა, ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის ნაპირზე ხდება, ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი გარკვევით მიუთითებს: „საკუთარ ისტორიას გაურბიან... აქეთ თუ არა ისტორიული გადმოცემები? თუ ესენი იმ აფხაზების გენეტიკური მემკვიდრენი არიან, მათ ისტორიულ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდეს... ნართების ეპოსი მათ მთიელობაზე მიუთითებს".[169] ქედ-

სგადაღმელ თუ ზღვისიქითელ მოძალადეებს კი მუდამ ეჯირათ თვალი აფხაზეთზე. სწორედ ამას ამტკიცებს თქმულება აფხაზეთის მთავარზე. თქმულებაში ქედსგადადმელმა აჩბამ ნადირობის დროს „აქეთ გადმოიხედა და ზღვა დაინახა". თქმულების მიხედვით ხალხის ხსოვნაში ასახულია ჩრდილო კავკასიელი ტომების აფხაზეთში გადმოსახლების ამბავი. კერძოდ, აჩბასა და მის ძმებს სურთ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე დასახლება და როდესაც ამის ნებართვას მიიღებენ ძმები იქ ასობენ ისარს, რომელი ადგილიც საცხოერებლად მოეწონებათ: „მეორე დღეს ძმები წავიდნენ, ერთმა სოჩის ახლოს ჩაარჭო ისარი, მეორემ სოფელ აჭანდარაში, მესამემ სოფელ ლიხნში და მეოთხემ აბეუაში, იმ ადგილას, ჩაარქვითი რომ ეწოდება".[170]

აფხაზურ ფოლკლორში იდეური მნიშვნელობით და მხატვრული ხელოვნებით ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია აბრსკილისადმი მიძღვნილი საგმირო თქმულება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თქმულებ უძველეს დროში აფხაზეთში მოსახლე ქართველი ტომების მიერ უნდა იყოს შექმნილი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ამ ეპოსში ამირანის ანალოგიური მოტივებია (აბრსკილი ერთი წლისა ათი წლისას მიაგადა, გაამპარტავნებულმა ღმერთს ჯიბრი დაუწყო, ღმერთმა იგი ბოძზე მიაჯაჭვა, აბრსკილი წლების მანძილზე არყევს ამ ბოძს და როდესაც უკვე უნდა ამოთხაროს ბოლოქანქარა ჩიტი შემოჯდება სვეტის თავზე. გაბრაზებული აბსკილი იქვე მიგდებულ დიდ ფოროს დასწვდება და ჩიტს მოსაკლავად მოუქნევს, ჩიტი აფრინდება, ურო ბოძს ხვდება და ადრინდელზე უფრო ღრმად ერჭობა მიწაში. აბრსკილი დღესაც ამ ჭამბარშია) ასახული და უფრო მეტად იგი ოჩამჩირის რაიონშია გაერცელებული, რაც იმას მოწმობს, რომ აქ ოდითგანვე ქართველი ტომები ცხოერობდნენ.

ამისათვის, რომ სწორედ იქნეს დადგენილი აბრსკილის თქმულების საფუძველი, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით თქმულების გმირის აბრსკილის სახელის ეტიმოლოგიის გარკვევას. ნ. მარის თვალსაზრისით „აბრსკილი" ორი ნაწილისაგან შედგება. „აბრ"/„ამრ" და „სკილისაგან". მისი აზრით, „აბრ" - „ამრ" ძველი აფხაზური სიტყვაა და „მზეს, ზეცას" ნიშნავს. „სკილ" კი მეგრულ-ჭანური სიტყვაა და „შვილს" აღნიშნავს. ამრიგად, აბრსკილი „მზის შვილს" უდრის. ზოგიერთი მეცნიერი „აბრსკილის" ეტიმოლოგიას აფხაზურ-ადიღეურ ენებში ეძებს. მათი აზრით, „აბრ" უძველესი აფხაზურ-ადიღეური სიტყვაა, სადაც „აბრა" (ამბორმიქვა) „ქვას" ნიშნავს, ხოლო სკილი „შვილს", ე.ი. „აბსრკილი" იგივეა, რაც „ქვის შვილი".

აბრსკილის სახელის ეტიპოლოგიის ასეთ ახსნას ძნელია დაეთანხმო. უპირველეს ყოელისა, ერთი მხრივ, აფხაზური (ან აფხაზურ-ადიღეური) სიტყვისა და მეორე მხრივ, მეგრულ-ჭანური სიტყვის შეერთების საფუძველზე ნაკლებ დასაშვებია ეპოსის მთავარი გმირის აბრსკილის სახელის წარმოშობა. უფრო მისაღებია, ალბათ, პროფ. მ. ჩიქოვანის მოსაზრება, რომელიც მიიჩნეოდა, რომ სახელ „აბრსკილ"-ში „აბრ" „მზეს" („ამრა") კი არ ნიშნავს, არამედ უკაეშირდება ამირანის ქართული ხალხური საგმირო ეპოსის ერთ-ერთ პერსონაჟის ამბრის სახელს.[171] ამის შემდეგ შეგვიძლია ეიეარაუდოთ, რომ საგმირო ეპოსი აბრსკილი აფხაზეთში მცხოერებ ქართველურ ტომებში წარმოიშვა და იგი ამირანის თქმულების ერთ-ერთი უძველესი ვარიანტია. ამ მოსაზრებას კიდევე უფრო ამტკიცებს პროფესორ ო. ჭურჭულიას აბრსკილის ეტიმოლოგიური ახსნა. აბრსკილის ზოგ ვარიანტში იარაღად გამოყენებული აქვს „აბრზალი", რომელიც წარმოადგენს რკინის შუბს, რომელსაც აქვს ორკაპი წვერი. მისი აზრით, სიტყვა აბრზალი აფხაზურ ენაში შესულია მეგრული ენიდან. მეგრულად მას ეწოდება ბორზალი. იგი წმინდა გიორგის იარაღია — ორკაპა შუბი. მეგრული ბორწალი თავის მხრივ ნაწარმოებია ქართული ბოძალისაგან, რომელსაც გააჩნია ბორჯალი ფორმაც, ხოლო „ბოძალი" ნაწარმოებია სიტყვა ბოძ-ისაგან ალ სუფიქსის მეშვეობით. აფხაზული ა-ბ (ო) რზალ მეგრული ბორზალის სახეცვალია. აბრზალში ა აფხაზური პრეფიქსია და ბ (ო) რზალ სიტყვაში ო ჩაეარდნილია და მიეიღეთ აბრზალ. აბრსკილში აბრ აბრლალის ნაშთია, ხოლო სკილ ზანური სიტყვაა და უდრის შვილს. პროფესორ ო. ჭურჭულიას აზრით, თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ აბრსკილი გამოდის აბრზალის, ე.ი. მეხის (აქედან ელვის) შვილად. აბრზალი (ბორზალ) წმინდა გიორგის იარაღია, რომე-

ლიც დედამიწას მეხად ეელინებოდა, წმინდა გიორგი კი ჭექა-ქუხილის ღვთაება იყო.[172]

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ თუ საერთო დასკვნას გაეაკეთებთ, იგი ასეთი იქნება: თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ბეეიან შუა საუკუნეებამდე ქართველური, ძირითადად მეგრულ-ჭანური და სვანური ტომები ცხოვრობდნენ. აფსილები და აბაზგები არ არიან თანამედროვე აფხაზების წინაპრები, ისინი მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომებია. ძველ ქართულ წყაროებში აფხაზი იგიეე შინაარსით იყო დატეირთული, როგორც მეგრელი, სეანი და სხვა ქართველური ტომების წარმომადგენლები. თანამედროვე აფხაზების წინაპრები არიან აფსუები, რომლებიც ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კაეკასიიდან და მიიღეს ადგილობრივი ძირძველი ეთნიკური სახელწოდება აფხაზი. აფსუები დროთა განმავლობაში შეეერიენენ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ცხადია, ჩამოსულთათვის პირველი ეტაპი იყო ადგილობრივი სამეურნეო საქმიანობის ათვისება. ამ უკანასკნელმა კი ხელი შეუწყო ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან ეთნიკური პროცესების განვითარებას. შერეული პროცესი უფრო ინტენსიური იყო ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ვიდრე სამხრეთში. ამრიგად, თანამედროვე აფაზების წინაპრები აფსუები და ქართველები არიან. ერთი სიტყვით, თანამედროვე აფხაზების ეთნოსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა აფსუა და ქართველი.

თუ ასეთ დასკვნას გაეიზიარებთ, ადეილად გასაგები ხდება აფხაზეთის სამეფოს წარმოშობის, თვით ცნების „აფხაზეთის“ მნიშვნელობის გაფართოების, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეფეთა ტიტულებისა და საერთოდ აფხაზეთის სამეფოსთან დაკავშირებული საკითხები. უპირველეს ყოელისა, ის არის ანგარიშგასაწეევი, რომ დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის სამეფო შექმნილია ქართველური ტომების მიერ.

რატომ იწოდებოდა გაერთიანებული საქართველო აფხაზეთად, ხოლო მეფეები — მეფედ აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა. როგორც ცნობილია, VIII საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო. იგი ამყარებს კავშირს ლაზიკასთან და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებთან ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს არაეითარი დაპყრობა აფხაზეთში მოსახლე ქართველური ტომების მიერ არ მომხდარა. როგორც სწორედ შენიშნავს ჯ. ინგოროყვა, მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან. „ბატიანე ქართლისაი“-ს ძველში პირდაპირ აღნიშნულია, რომ აფხაზთა ერისთავი „გაადგა ბერძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“, ე.ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიც და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან.[173] ამის შემდეგ კეთდება ის, რაც ქართველთა ტომების უზენაეს ინტერესებში შედიოდა — იწყება „წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი ბატონობიის გაბატარება დასავლეთ საქართველოში“. ბერძნული ენა, რომელიც აფხაზეთში გაბატონებული ენა იყო, სწორედ აფხაზთა დინასტიის მიერ შეიცვალა ქართული ენით, რომელსაც როგორც სახელმწიფო ენას დაეკისრა სამწერლობო, საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციები; დასავლეთ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ გამოეყო კონსტანტინოპოლის სამწყსოს და მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა; გაუქმდა ბერძნული და დაარსდა ქართული საეპისკოპოსოები. აფხაზთა სამეფო ქართველური ტომების მიერ რომ არ ყოფილიყო შექმნილი, იგი რომ წმინდა ქართული სახელმწიფო არ ყოფილიყო, მაშინ არც ქუთაისი გახდებოდა მისი დედაქალაქი, არც წირეა-ლოცვა შესრულდებოდა ქართულ ენაზე და არც ეკლესია დაექვემდებარებოდა მცხეთის კათალიკოსს. მაგრამ აფხაზეთის სამეფო, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა, მხოლოდ ქართული ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობდა და შემდეგში აქტიურად შეუწყო ხელი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

საერთოდ VIII საუკუნის მიწურულიდან „აფხაზეთის“ ცნების მნიშვნელობა ფართოვდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველი კოლხეთის მემკვიდრე ხდება ეგრისის (ლაზიკის) სამეფო. ისტორიულ კოლხეთში მცხოვრები ქართველური ტომები თანდათანობით ეგრისის სამეფოს დაქვემდებარებაში ექცევა. ამას ხელს უწყობდა ბიზანტიის ხელისუფლებაც, „რათა ძლიერი ეგრისის სახელწიფო მტკიცე ბარიერი გამხდარიყო ჩრდილოელი მომთაბარე ტომებისათვის“.[174] IV საუკუნის დასასრულიდან ეგრისის სამეფო იერთებს სანიგებით დასახლებულ სანაპიროს. პროკოფი კესარიელის ცნობით, ასევე „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშეურდომები იყვნენ“. ასეთივე დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ეგრისის სამეფოს მიმართ სვანები, ლეჩხუმლები, აფშილები და სხვ. VI საუკუნის დასასრულისათვის „ლაზიკის“ სამეფოს „აბაზგია“ გამოეყოფა, რომელიც აერთიანებს სხვა ქართველ ტომთა (სანიგების, მისიამანელების და სხვ.) მიწა-წყალს. ბუნებრივია, ამის შედეგად ფართდება „აბაზგია“/„აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ის უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო აფხაზად არა ქართველი ტომის აფხაზების წარმომადგენელი იგულისხმებოდა, არამედ ყველა დასავლელქართველი, უფრო მეტიც, XII-XIII საუკუნეებში მთელ გაერთიანებულ საქართველოსაც „აფხაზეთი“, „ქუეყანა აფხაზეთისა“ ეწოდებოდა. ქართულ და უცხოურ წყაროებში „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ „ქართველისა“ და „საქართველოს“ შესატყვისი, პარალელური ცნებები ხდება. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ საკუთრივ აფხაზეთში მხოლოდ ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, რომელთა თაოსნობითაც ერთიანდება დასავლეთ საქართველო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობის სფეროში რჩება ყველაფერი. თუ დაეუშვებთ, რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მისია აფხაზეთში მცხოვრებმა უცხო ტომის ხალხმა ითავა, მაშინ, როდესაც უკვე არსებობს ქვეყნის სახელწოდების ერთიანი ცნება „საქართველო“, მართლაც გაუგებარია ქვეყანას უცხო ტომისა და მოდგმის სახელი უწოდო, თანაც შენივე ისტორიულ წყაროებში და იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზენიტში იმყოფება.

როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. თ. გამყრელიძე, „აბაზგ“/„აფხაზთა“ ქართველური წარმომავლობა იმის მიხედვითაც უნდა ეიკარაუდოთ, რომ სწორედ ისინი ხდებიან ძველ კოლხეთში მობინადრე სხვა მრავალრიცხოვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ.[175] ზოგიერთ აფხაზ მეცნიერს აფხაზეთის სამეფოს შექმნაში თანამედროვე აფხაზების ეითომც წინაპართა დამსახურება სურს დაინახოს. მაგალითად, ლიანა ქეარჩელია ისტორიული მოვლენებისა და პროცესების აშკარა გაყალბებას ცდილობს და მეტად პრიმიტიული აზროვნებით უცხოელთათვის, და, მაშასადამე, საქმეში ჩაუხედავი მკითხველებისათვის, დაწერილ სტატიაში აღნიშნავს: „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1200 წელზე მეტი ხნის წინათ ჩამოყალიბდა და აფხაზებს მრავალჯერ მოუწიათ თავდაცვა დამპყრობთაგან.

საუკუნეების მანძილზე ქართველები და აფხაზები, ერთმანეთისაგან განსხვავებული ეთნიკური წარმოშობისა და ენის მქონე ხალხები, ცხოვრობდნენ მეზობელ ტერიტორიებზე. იყო პერიოდები მათ ისტორიაში, როცა აფხაზეთი, როგორც ცალკე სამთავრო, მოქცეული იყო საქართველოს ან ოტომანების მბრძანებლობის ქვეშ. ასევე ყოფილა ხანა, როცა საქართველოს დასავლეთი და ზოგი აღმოსავლეთის მხარეც აფხაზეთის სამეფოს ნაწილი იყო“.[176]

ამ ანდა-უდგის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ის შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი „მეცნიერები“ იქნებ აჯობებდა წინასწარ შეთანხმებულიყვნენ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ზუსტ თარიღზე. თუ ლ. ქეარჩელიას აზრით აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1200 წლის წინათ ჩამოყალიბდა, ი. ეორონოვისა და სხვათა ავტორობით მოსკოვში 1993 წელს გამოცემულ „აფხაზეთის თეთრი წიგნში“, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორია 2600 წელს ითვლის. ამ საკითხს აღნიშნულ წიგნში მთელი პარაგრაფი ეძღვნება. მაგრამ ასეთ სახელმწიფოს 26 საუკუნის მანძილზე და არც მის მონაკვეთებში მსოფლიო ისტორია არ იცნობს.

ლ. ქეარჩელია უცხო მკითხველის თვალში, საკითხს რომ უფრო მეტი დამაჯე-

რებლობა შემატოს, ეითომც სხვათა შორის, აღნიშნავს: აფხაზეთის ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც აფხაზეთი მოქცეული იყო საქართველოს ან ოტომანების მბრძანებლობის ქვეშო. მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. ოტომანების მბრძანებლობის ქვეშ გარკვეულ პერიოდში მოქცეული იყო საქართველოს სხვადასხვა და მათ შორის მისი განუყოფელი ნაწილი აფხაზეთიც. აკი აფხაზურ ლიტერატურისა და ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელი დიმიტრი გულია, რომელმაც 1950-იან წლებში უარყო თავისი მცდარი თეორია აფხაზთა წარმოშობის შესახებ, აღნიშნავდა: „აფხაზეთი, რომელიც ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ისტორიის მთელ მანძილზე მასთან ერთი ცხოვრებით ცხოვრობდა, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში ორგანულად მონაწილეობდა".[177]

სრულ გაუგებრობაზეა აგებული ლ. კეარჩელიას მსჯელობა იმის შესახებ, რომ თითქოს გარკვეულ ხანაში აფხაზეთის სამეფოს ნაწილი იყო საქართველოს დასავლეთი და ზოგი აღმოსავლეთის მხარეც. არსებული უცხოური და ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით არსად არ არის მინიშნებული იმის შესახებ, რომ თითქოს აფხაზეთი და საქართველო სრულიად დამოუკიდებელი სხვადასხვა სახელმწიფოები იყვნენ. ისტორია აფხაზეთის სამეფოს იცნობს როგორც მხოლოდ ქართულ სახელმწიფოს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით მთელი დასავლეთ საქართველო და საკუთრივ აფხაზეთი ქართველი ტომებითაა დასახლებული. საილუსტრაციოდ გვინდა კიდევ XII საუკუნის ცნობილი სპარსელი პოეტის ხაყანის შემოქმედებიდან მაშინდელი ვითარების ამსახველი სურათიც მოვიტანოთ. ხაყანისათვის ცნობილია, რომ სრულიად საქართველოს მაშინ აფხაზეთსაც უწოდებდნენ და ამ ფაქტმა ასახვა პოეა პოეტის მხატერულ შემოქმედებაში. კერძოდ, მოუსვენარი სულის პატრონი, პოეტი ხაყანი, რომელიც ეთი ქეეყნიდან მეორეში მოგზაურობდა და მუდმივად ეერსად ჩერდებოდა საცხოერებლად ამბობდა, სახენათელი ქართველი ქალის გულისთვის აფხაზეთის მცხოერები გაეხდი და ქართულად დაეიწყე ლაპარაკიო:

„ტრფობით შენი თეთრი სახის
და კავების, მას რომ ამკობს,
აფხაზეთში დავესახლე
და ქართულად ელაპარაკობ".

არანაკლებ საგულისხმოა ხაყანის შემდეგი სტრიქონებიც:

„ერთ მშვენიერ დღეს უეხს დაეკრავ და
აფხაზეთს გავალ.
ღიად დამხვდება ქართველების
კარები, მჯერა".[178]

ხაყანის ამ მშვენიერ სტრიქონებში ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მაშინ აფხაზეთსაც უწოდებდნენ, ხოლო ეს ქეეყანა — აფხაზეთი ქართველებითაა დასახლებული. ისტორიის ამ უშუალო და უტყუარი მოწმის შემდეგ სადაოც არაფერი რჩება.

ამრიგად, აფხაზეთი სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით და, რა თქმა უნდა, მოსახლეობითაც ქართული სახელმწიფო იყო. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ზოგიერთი წყაროს მიხედვით აფხაზეთის სამეფოს „ეგრისის" სამეფოსაც უწოდებენ. აკად. მ. ლორთქიფანიძის ცნობით „X-XI სს. ზოგი სომეხი ისტორიკოსი, მაგალითად, იოანე დრასხანაკერტელი, ამ სახელმწიფოს „ეგრისს" უწოდებს, მათ მეფეს — „ეგრისის მეფეს", ხოლო მცხოერებთ — „ეგრისელებს".[179] ამავე დროს, აფხაზეთის სამეფო რომ მთლიანად ქართული სამყარო იყო, საქართველოს მეფეთა ტიტულატურაც ამტკიცებს. როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. მ. ლორთქიფანიძე, „დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის „აფხაზთა მეფის" ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი ჯერ „აფხაზთა მეფედ" (ე.ი. დასავლეთ საქართველოს მეფედ) აკურთხეს, ხოლო მისი წინაპარი „ქართველთა მეფის" გარდაცვალების შემდეგ მიიღო მან „ქართველთა მეფის" ტიტული. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ — ჰერთა და კახთა მეფის ტიტულებიც და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გაიმართა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა".[180] საქართველოს ძლიერების ხანაში ამ ტიტულატურის თანმიმდევრობა უცვლელი რჩება, რადგან ქართველთა შეგნებაში აფხაზი და ქართველი, ჰერი და კახი თანაბარი ოდენობის ცნებებია, ერთი ქართული სამყაროა. ამიტომ, როდესაც ეს ტიტულატურა შემოკლებით იხმარებოდა,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს „მეფე აფხაზთა“ ეწოდებოდა, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს „აფხაზეთი“, ამიტომაც ქართული წყაროები (და უცხოურიც) გაერთიანებული და უძლიერესი საქართველოს ყველაზე თვალსაჩინო მეფეებსაც – დაეით აღმაშენებელსა და თამარს „მეფე აფხაზთა“ ტიტულით მოიხსენიებენ.

მუჰაჯირობა: ტრაგედიის რეალური მასშტაბები. აფხაზეთის მოსახლეობა გეიან შუა საუკუნეებამდე ეთნიკურად ძირითადად ერთგვაროვანი იყო. მის ტერიტორიაზე ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. XVI-XVII საუკუნეებიდან აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა აფსუების ჩამოსახლების შემდეგ საგრძნობ ცელილებებს განიცდის, მაგრამ ამ ცელილებების რაოდენობრივი გამოხატულება სათანადო წყაროების უქონლობის გამო გაურკვეველი რჩება. აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის მონაცემები ძირითადად XIX საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ ამ მონაცემებსაც აფხაზი მეცნიერები ჩვეულებრივად უმოწყალოდ ამახინჯებენ. მათი მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ როგორმე დაამტკიცონ, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ქართველები მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, აფხაზები რიცხობრივად ყოველთვის აღემატებოდნენ მათ და ამიტომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ აფხაზებია.

აფხაზეთში აფხაზებისა და ქართველების რაოდენობისა და მათი თანაფარდობის საკითხს განსაკუთრებით არაობიექტურად და ტენდენციურად იხილავენ შ. ინალიფა, ს. ლაკობა, ბ. აშუბა და სხვ. მაგალითად, ბ. აშუბას ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე მოაქვს თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობა იმის შესახებ, რომ მე-17 საუკუნეში მდინარეებს რიონსა და ანაპას შორის ცხოვრობდა 600 ათასი აფხაზი და ეს ცნობა მას სარწმუნოდ მიაჩნია.[81] იგი ამ ცნობას ამაგრებს იმით, რომ ქართველი ისტორიკოსი ს. ჭიჭინაძეც მე-17 საუკუნის შუა ხანებში აფხაზთა რაოდენობას 600 ათასს ასახელებს, მაგრამ ს. ჭიჭინაძის მონაცემებით 1770 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 400 ათასამდე, ხოლო მე-18 საუკუნის მიწურულს 200 ათასამდე შემცირდაო. რისთვის დასჭირდა ბ. აშუბას ასეთი მანიპულაცია, ცოტა ქვემოთ ეისაუბრებთ. ახლა კი უნდა ვიკითხოთ, რა მონაცემები პქონდა ს. ჭიჭინაძეს ან რას ეყრდნობოდა ევლია ჩელები აფხაზთა რაოდენობის განსაზღვრისას?

ასეთი მონაცემები, რომლებიც დაურდნობილი იქნებოდა ოფიციალურ ცნობებზე ან მოსახლეობის აღწერების მასალებზე არ არსებობს. ხოლო ის, რომ ევლია ჩელებმა აფხაზეთში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებების გაელენით აფხაზთა რაოდენობა, ეთქვათ, 600 ათასით განსაზღერა, არაფერს ნიშნავს. ამასთან, ეინც ს. ჭიჭინაძის მემკვიდრეობას იცნობს, დაგეერწმუნება, რომ არ შეიძლება მისი ბეერი დებულებისა და მოსაზრების უარიყოდ გაზიარება. ცნობილია, რომ იგი ხშირად არაკეითარ წყაროს არ ეყრდნობოდა და მისი მსჯელობა, არც ისე იშეიათად, ზღაპრულ სამოსელშია გახეეული. მე-17 საუკუნეში მთელი საქართველოს მოსახლეობაც არ იყო 600 ათასზე ბეერად მეტი. 1770 წელს ჩატარებული აღწერით მთელი ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობა დაახლოებით 220 ათას უდრიდა. ამავე პერიოდისათვის პროფესორ ეიხტანგ ჯაოშვილის გაანგარიშებით იმერეთში 110 ათასი, სამეგრელოში 75 ათასი, ხოლო აფხაზეთში 64 ათასი კაცი ცხოვრობდა. თუ გაეითვალისწინებთ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და ეკონომიკურ დაქეეითებას, გამორიცხულია, რომ აფხაზეთში 600 ათას კაცს ეცხოვრა. რაც მთავარია, აფხაზები იმ პერიოდში დაბლობ ადგილებში, ზღვის პირას არ ცხოვრობდნენ. იმდროინდელი ევროპელი მოგზაურების ცნობებით აფხაზები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ და წარმოუდგენელია რომ აფხაზების მთებში 600 ათას კაცს ეცხოვრა. უბრალოდ მთა მოსახლეობის ამ რაოდენობას ეერ დაიტეევდა.

მხედველობაში არის მისაღები ის აზრიც, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს ხშირად პქონდათ ერთმანეთში ტერიტორიული დავა და ძირითადად სამეგრელოს ძალაუფლება აფხაზეთზე ერცელდებოდა. თუკი აფხაზეთი ასეთი მრავალრიცხოვანი იყო, მაშინ მოსახლეობის რაოდენობისა და, მაშასადამე, ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში ყოველთვის საპირისპირო მოვლენას უნდა პქონოდა ადგი-

ლი. ამასთან, როდესაც ეელია ჩელები შაეი ზღვის სანაპიროზე და, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორაზე ჩამოთელის სხეადასხეა ტომს, იგი ყოველგეარი დასაბუთების გარეშე აღნიშნაეს თითოეული ტომის მოსახლეობის ან მებრძოლთა რაოდენობას და ასეთად უმთავრესად 10 ათას ასახელებს.[182] ესეც ეელია ჩელების მოსახლეობის შესახებ მონაცემთა არასაიმედობაზე მიუთითებს. ასეეე შეცდომას უშეებს იგი აბაზას ქეეყნების საზღერების დასახელების დროს. მისი აზრით, „აბაზას ქეეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა".[183] (მეცნიერთა აზრით „ფაშა" ფაზისი, ე.ი. რიონია). ამაეე დროს ეელია ჩელებიმ კარგად იცის, რომ რიონის შემდეგ სამეგრელოა, ხოლო იმის იქით „აბაზას ქეეყანა". ასე, რომ ეელია ჩელების აფხაზეთში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები აფხაზთა რაოდენობის შესახებ ეერაეითარ კრიტიკას ეერ უძლებს. მაგალითად, თურქეთში ჩასული ეერ ქართეელი ტურისტები და წარმოშობით იქაური ქართეელებიც კი ხშირად აღნიშნაეენ, რომ თურქეთში 10, ხოლო ზოგის აზრით 20 მილიონი ქართეელი ცხოვრობს, მაგრამ არცერ ჭკუათმყოფელ მეცნიერს აზრად არ მოუვა ამტკიცოს, რომ თურქეთში 20, 10 ან თუნდაც 5 მილიონი ქართეელი ცხოვრობს.

ცნობილია ისიც, რომ ძეელი ავტორები საერთოდ გაზეადებულად მიუთითებდნენ მოსახლეობის რაოდენობას. მაგალითად, XI საუკუნის ქართეელი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ეახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში გაილაშქრა ოსებზე, დაამარცხა ისინი და თითქოს ხელთ ჩაიგდო 1060 ათასი ტყეე. ამ ცნობის საფუძველზე ზ. ჭიჭინაძე ასკვნის, რომ ოსები მაშინ მილიონობით იყო. მაგრამ შეიძლება ამ ცნობის მიღება? რა თქმა უნდა, არა. იმ პერიოდში ასეთი რაოდენობის ჯარის გამოყეანა შეუძლებელი იყო და მით უმეტეს ტყეედ ჩაგდება. ამასთან, მაშინ მსოფლიოში თითქმის არც ერთი სახელმწიფო არ იყო, რომელსაც მილიონობით მოსახლეობა პყაედა, მე-5 საუკუნეში თვით მსოფლიოს მოსახლეობაც მცირე იყო – დაახლოებით 250 მილიონი.[184]

მეტად დასანანია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ანალოგიურ, მეტად მძიმე შეცდომას უშეებს თუ იმეორებს პროფ. ლ. მარშანია თაეის შესანიშნაე წიგნში „აფხაზეთის ტრაგედია". იგი აღნიშნავს: „აფხაზი ხალხის ეთნიკურ მდგომარეობას ასეეე დიდი ზიანი მიაყენა შაემა ჭირმა, რომელიც აფხაზეთში მძინეარებდა 1811-1812 წლებში, მაშინ დაიღუპა მოსახლეობის თითქმის ნახეეარი. XVIII საუკუნის 50-იან წლებში თუ აფხაზთა რაოდენობა 600 ათასს აღწეედა, XVIII საუკუნის დასასრულს იგი შეადგენდა მხოლოდ 200 ათასს. გენერალ მურავიოვის დამსჯელ ექსპედიციას (1841 წ.) მოპყეა აფხაზთა მასობრიეი გადასახლება თურქეთში. XIX საუკუნეში გადაასახლეს 300 ათასზე მეტი აფხაზი".[185]

ჩვენ უკეე აღენიშნეთ, რომ XVII საუკუნის 50-იან წლებში აფხაზეთში 600 ათას კაცს არ უცხოვრია და არც შეიძლებოდა ეცხოვრა. მაგრამ თაეი რომ დაეანებოთ ამ მეტისმეტად გაზეიადებულ მონაცემს, პატიეცემული მკვლეეარის მოტანილ ციტატაში აშკარად შეინიშნება ურთიერთგამომრიცხაეი მომენტები. კერძოდ, როგორც პროფ. ლ. მარშანია აღნიშნაეს XVIII საუკუნის დასასრულს აფხაზეთის მოსახლეობა 200 ათას კაცამდე შემცირდა, რომელიც 1811-1812 წლებში შაეი ჭირის მძინეარების დროს განახეერდა, ე.ი. XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მოსახლეობა 100 ათას კაცს უდრიდაო. აქ უკეე საჭიროა იმის თქმაც, რომ აფხაზეთიდან მოსახლეობის თურქეთში გადასახლება XIX საუკუნეში რამდენჯერმე მოხდა და ეს პროცესი ძირითადად დასრულდა 1880 წლისათვის. მაშინ გაუგებარია, სულ რაღაც 70 წელიწადში როგორ გადასახლდა აფხაზეთიდან თურქეთში 300 ათასი კაცი, თუკი მისი მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისში 100 ათას კაცს უდრიდა. მხედველობაში უნდა მიეიღოთ ის გარეგმეება, რომ აფხაზეთიდან რამდენიმე ათეული ათასი აფხაზი არსად არ წასულა და მშობლიური კერა არ მიუტოვებია. ამასთან, გადასახლების დროს აფხაზეთში შაეი ზღვის სანაპიროზე გემების მოლოდინში შიმშილისაგან უამრაეი ადამიანი დაიღუპა. ასე, რომ 300 ათასი აფხაზი, თურქეთში რომ გადასახლებულიყო 1812-1880 წლებში, ანუ 70 წლის მანძილზე, აფხაზების რაოდენობა ოთხჯერ ანუ 400 ათასამდე მაინც უნდა გაზრდილიყო, რაც შეუძლებელია. მითუმეტეს თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნის მანძილზე რამდენიმე ეტაპად

მოხდა აფხაზების თურქეთში გადასახლება და თითოეული გადასახლების დროს მოსახლეობა მცირდებოდა. ამასთან, ხალხი ამ პერიოდში დიდ ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

მე-19 საუკუნემდე ჩვენ არაიეთარი სანდო წყარო არ მოგვეპოვება, რომ მიახლოებით სწორად მაინც განვსაზღვროთ აფხაზების რაოდენობა. ასევე რთულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისათვის აფხაზების რაოდენობის დადგენა. ეს იმითაა გაპირობებული, რომ აფხაზეთში ამ პერიოდში არ ჩატარებულა კამერალური აღწერები, რასაც რუსეთის ხელისუფლება ანხორციელდება. რუსული მმართველობა კი აქ 1864 წელს დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, ცალკეული ცნობები მაინც მოიპოვება ამ პერიოდის აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ. აკად. ჯ. გუბუშვილის გაანგარიშებით 1800 წელს აფხაზების რაოდენობა 30 ათასს, 1832 წელს კი 34,8 ათასს უდრიდა.[186]

აფხაზეთის მოსახლეობის განხილვის დროს აუცილებელია ცალკე შეეეხოთ მუჰაჯირობის საკითხს. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს გადასახლებას, ემიგრაციას.

1864 წლის 24 მაისს დასრულდა კავკასიის ომები, როდესაც რუსეთის ჯარმა მდინარე მზიმთის სათავეში მთიელთა ბრძოლის უკანასკნელი კერა – კბაადა დაიკავა. ომში გამარჯვებამ ცარიზმის პოზიციები კავკასიაში მნიშვნელოვნად და, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ განამტკიცა. ყოველივე ამან ხელ-ფეხი გაუხსნა მეფის მთავრობას ფართო მასშტაბით დაეწყო კავკასიის კოლონიზაციის პროცესი. ეს კი შესაძლებელი იყო კავკასიის მთიელ ხალხთა მასობრივი გადასახლებით, რაც კიდეეაც განხორციელდა თურქეთში.

გადასახლებულთა მოძრაობამ აფხაზეთში ფართო ხასიათი XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო. ძირითადად ეს იყო აფხაზთა ძალდატანებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში. გადასახლებულთა და შემდეგ უკან დაბრუნებულთა რიცხვის დადგენა ჩვენ დაგეეხმარება შედარებით ზუსტად განესაზღვროთ აფხაზეთის მოსახლეობისა და საკუთრივ აფხაზების რაოდენობა XIX საუკუნის ცალკეულ პერიოდებში. ამ საკითხის შესწავლა იმითაც არის საგულისხმო და აუცილებელი, რომ თანამედროვე აფხაზი ავტორები შეგნებულად არასწორად განსაზღვრავენ XIX საუკუნეში თურქეთში გახიზნულ აფხაზთა რაოდენობას. უკანასკნელ წლებში ისინი სულ უფრო და უფრო ზრდიან ამ მაჩვენებელს. თუ ადრე გადასახლებულთა რიცხვს 30 ათასით განსაზღვრავდნენ, შემდეგში ამ მაჩვენებელმა 400 ათასსაც კი მიაღწია. კონიუქტურის აყოლის სურვილი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ადრე თუ პროფ. შ. ინალ-იფა თურქეთში გადასახლებული აფხაზების საერთო რიცხვს 60 ათასი კაცით განსაზღვრავდა,[187] ამჟამად მისი აზრით, XIX საუკუნეში თურქეთში 100 ათასი აფხაზი მაინც გადასახლდა, თუ მეტი არა.[188] ბ. აშუბას აზრით კი XIX საუკუნის 80 წელიწადში 200 ათასი აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი.[189]

ბუნებრიივა, დაისვას კითხვა: აფხაზი ავტორები ასე თავგამოდებით რატომ ცდილობენ ხელოვნურად გაზარდონ თურქეთში გახიზნული აფხაზების რაოდენობა? ეს მათ იმისათვის სჭირდებათ, რომ „დაამტკიცონ" აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ და ისიც დიდი რაოდენობით. ამდენად სხვა ერებს, და მით უმეტეს ქართველებს, იქ, მათი აზრით, არაფერი ესაქმებათ.

თავიდანვე უნდა აღენიშნოთ, რომ მუჰაჯირობის საკითხში რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ზედმიწევნით დაემთხვა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ 1858 წლიდან დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების საკითხი მეფის რუსეთისა და თურქეთის დიპლომატიური მიმოწერის მეტად მნიშვნელოვანი საგანი გახდა.[190]

როგორც რუსეთის, ისე თურქეთის ხელმწიფეთაგს აფხაზების თავიანთი საცხოვრებელი მიწიდან აერისა და თურქეთში გადასახლების საკითხში გამოკვეთილი მიზნები ჰქონდათ. რუსეთი დაინტერესებული იყო დაცარიელებულ ადგილებში კაზაკრუსები დაესახლებინა. მაშინდელი უმაღლესი რანგის ხელისუფალთა მიმიწერაში დაუფარავადაა ეს სურვილი გაცსადებული და ამისათვის საჭირო ღონისძიებებიცაა დასახული. 1861 წელს კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ბარიატინსკი წერდა: „უნდა გავანთავისუფლოთ კავკასიის ზეგანი მოსახლეობისაგან... და ამ მშვენიერ და ნაყოფიერ ადგილებში უნდა შეექმნათ კაზაკთა დასახ-

ლებები". იმპერატორ ალექსანდრე მეორეს კი კაკასიის ომის დამთავრების მილოცვის წერილში იმასაც ატყობინებდნენ, რომ „დროის" დაუკარგავად და რამდენადაც შესაძლებელია" უნდა გადავასახლოთ მთიელები თურქეთში და „რაკი ქეყანა მათგან გაიწმინდება დავამყარებთ იქ ჩვენს ბატონობას სამუდამოდო".[191] რუსეთის ხელისუფალთა მიზანი იყო მთლიანად გაესახლებინათ ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, უბიხები, აფხაზები და სხვა მთიელი ტომები. 1860-იან წლებში ძირითადად გადაასახლეს საძები, აბაზები, უბიხები. უბიხები თითქმის მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. კაკასიაში დარჩა მხოლოდ 13 ოჯახი (80 სული) უუბანის ოლქის სხვადასხვა ჩერქეზულ აულში და 40 ოჯახი შაეიზღვისპირეთის სანაპიროზე სოფელ გოლოვინსკის მახლობლად. შემდეგში უბიხური ოჯახების ნაწილი გადაასახლეს კოსტრომის გუბერნიაში, სადაც მათ მალე დაიკარგეს კიდეც მშობლიური უბიხური ენა.[192]

ამავე პერიოდში დაგეგმილი იყო აფხაზების თურქეთში გადასახლება. 1864 წელს, ე.ი. კაკასიის ომის დამთავრებამდე, მეფისნაცვალი ალექსანდრე მეორეს პირად წერილში წერდა: „ვიმოქმედოთ წინდაბედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ მთლიანად გავწმინდოთ შაეი ზღვის სანაპირო".[193] ამ პერიოდში ამ გეგმის განხორციელება – აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობის გადასახლება თავდაპირველად დაგეგმილი მასშტაბით ვერ მოხერხდა. როგორც პროფ. გ. ძიძარია აღნიშნავს, ამაში გარკვეული როლი ითამაშა რუსეთის საზოგადოებრიემა აზრმა. მართალია, ოფიციალურ წრეებში ზოგიერთები საჭიროდ მიიჩნეოდნენ დასავლეთ კაკასიაში მცხოვრებ მთიელებთან ერთად აფხაზების გადასახლებას, მაგრამ იმ პერიოდში ამ აზრის განხორციელება არ იქნა მიჩნეული სასარგებლოდ და აფხაზები ადგილზე დარჩნენ. მიუხედავად ამისა, აფხაზების მცირე ნაწილი 1863 წელს მაინც გადასახლდა თურქეთში, ძირითადად აჭარის სოფელ ნურიეში ბათუმის მახლობლად. მაშინ აჭარაში თურქეთი ბატონობდა.

აფხაზების თურქეთში გადასახლების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში თურქებსაც თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ. თურქეთის მთავრობას სურდა კაკასიიდან გადასახლებული მთიელებით დაესახლებინა იმპერიის ცარიელი და ნაკლებად დასახლებული ადგილები. ამის შესახებ სულთანი დოლეთ გირეი წერდა: თურქეთის მთავრობა სიამოვნებით იღებს გადმოსახლებულებს, რომლებიც გეჭირდება ევროპული და აზიური გუბერნიების ცარიელ ადგილებში დასასახლებლად.

ხანგრძლივი ომების შედეგად თურქეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. იმ პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თურქეთი ბრძოლებში ყოველწლიურად კარგავდა ასი ათას ჯარისკაცს.[194] თურქეთი არც შემცდარა. მისთვის ხელსაყრელი იყო თავისი მოსახლეობის შეესება ეაკკაცობის, კეთილშობილების, უანგარო ერთგულების ტრადიციებზე აღზრდილი ხალხით. ამით იგი წყვეტდა სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს, უზრუნველყოფდა თავის ეკონომიკას იაფი მუშახელით, ხოლო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში მუჰაჯირების დასახლებით ამტკიცებდა ქეყნის თავდაცვისსურიანობას, ამასთანავე მუსულმანური სამყაროს თვალში გამოდიოდა როგორც ყველა მუსულმანის მფარველი.

თურქეთში გადასახლების პროცესში მთიელებს უდიდესი ტრაგედია დაატყდათ თავს. მეფის არმია მეტად სასტიკად ეპყრობოდა მათ. მთიელებმა მთელი თავისი ქონება მიატოვეს და საზღვაო პორტებს მიაშურეს თურქეთში გადასასახლებლად. მაგრამ არც თურქულ და არც მეფის ფლოტს არ შეეძლო ერთდროულად ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანთა გადაყვანა. ისინი მშიერ-მწყურვალნი თვეობით ელოდნენ გემებს. შაეი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო მოფენილი იყო გვამებით და მომაკვდავი ადამიანებით. ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ ღონემიხდილი ადამიანები მშიერი ძაღლების მსხვერპლნი ხდებოდნენ, ხოლო ბავშვები მკვდარ დედებს ძუძუს წოვდნენ. თურქი ჯაშუშები გზაში ავადმყოფობის მცირე ნიშნის შემჩნევის დროსაც კი ადამიანებს გემიდან აგდებდნენ.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ მთიელები თურქეთში, განსაკუთრებით სამსუნსა და ტრაპეზუნტში, სადაც თავი მოიყარა გადასახლებულთა დიდმა რაოდენობამ. ათეულ ათასობით ადამიანი შიმშილით დაიღუპა. ქუჩები, ბაღები და მოედ-

ნები გეამებით იყო მოფენილი. ტრაპეზუნტში ყოველდღიურად 180-250 კაცი იღუებოდა, ხოლო სამსუნგში – 200 კაცი. ანატოლიის სანაპიროზე სულ 350 ათასი გადმოსახლებული დაიღუპა. ამ რიცხვში აფხაზებიც შედიოდნენ.[195]

თურქი ხელისუფალნი სარგებლობდნენ გადასახლებულთა გამოუვალი მდგომარეობით და მასობრივად ყიდდნენ მათ, ქმნიდნენ „ჩერქეზ" კაპალერისტთა პოლს, სულთანის „ჩერქეზულ გეარდიას". ამის გამო აკრძალეს მათი გაყიდვა, მაგრამ რამდენადაც არმიაში უცოლოებს იღებდნენ, ბევრმა მოიელმა გაყიდა თავისი ცოლ-შვილი. გადასახლებულთა საერთო გულისტკივილი გამოხატა ერთ-ერთმა მოიელმა, რომელიც 1872 წელს კონსტანტინეპოლში წერდა: „რეა წელი გაეიდა რაც თურქეთში გადმოვსახლდით. ჩვენ მოკლებულნი ეართ თავისუფლებას, ოჯახს, ქონებას. ყოველდღიურად გეართმევენ იმის ნახეკარს, რასაც გამოეიმუშავებთ. მაგრამ ისინი ამით როდი ემაყოფილდებიან: იარაღის ძალით გეართმევენ შეილებს, ეაჟებსა და გოგონებს და ყიდიან მათ მონებად.[196] ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილ მთიელთა საკმაო ნაწილი უკან დაბრუნდა.

აფხაზების თურქეთში გადასახლებას ხელი შეუწყო აგრეთვე აფხაზი ფეოდალების მოღალატურმა მოქმედებამ. საერთოდ „თურქეთში მთიელების გადასახლების პოლიტიკა გატარდა გამიდეველი თავადების ხელით".[197] ამ აზრს მთლიანად ვერ გაეიზიარებთ, მაგრამ, ცხადია, იმის შინთ, რომ საგლეხო რეფორმის გატარების გამო ძველ პრივილეგიებს დაკარგავდნენ მათ გადაწყეტეს თურქეთში გადასახლება კუთვნილ გლეხებთან ერთად და ეს გადაწყეეტილება რუს ხელისუფალთ შეატყობინეს.

იმპერატორი ალექსანდრე მეორე უშუალოდ იძლევა თანხმობას აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებ. შესაბამისად მეფისნაცვალი უმალ სცემს მითითებას: მისი უმაღლესობა ნებას იძლევა აფხაზეთიდან და წებელდიდან თურქეთში გადასახლდნენ მუსულმანები. გამოიყენეთ ამისათვის ყოველი მოხერხებული შემთხვევა და ახლავე შეუდექით შესრულებას. მართლაც, აფხაზების ერთ-ერთი დიდი გადასახლება თურქეთში ამ პერიოდში ხდება. 1867 წელს თურქეთში გადასახლდა 14458 კაცი,[198] მაგრამ, არაადამიანურ პირობებში ჩავარდნილი აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდა.

რუსეთის ხელისუფალნი აფხაზების თურქეთში გადასახლებას, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, ხელს უწყობდნენ იმის გამოც, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტად თელიდნენ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად. ამიტომ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და გადასახლებას და მათ ადგილზე კაზაკ-რუსების დასახლებას, მოსახლეობისაგან დაცარიელებულ საცხოვრებელ ადგილებს კი უმალვე რუსულ სახელწოდებებს აძლევდნენ. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ „საკითხი – როგორი სახელწოდება უნდა მისცენ დარჩენილ თავისუფალ მიწებს – არის არა მარტო კერძო, ადგილობრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის".[199] გასული საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში შეიქმნა ახალი დასახლებული პუნქტები: ბაკლანკა, პეტრეპაველოსკოე, მიხაილოსკოე, ეტერნსკოე, პოლტავსკოე, ჩერნოგოვსკოე, ევსიოფლაია, პილენკოეო, პეტრინკა, მოლდაეანკა, ეისოკკაია და სხვ.

რუსეთის იმპერიის მმართველი წრეები მალე სიტყვიდან საქმეზე გადაეიდნენ. მათი გეგმა ითვალისწინებდა შავი ზღვის აღმოსაელეთ სანაპიროზე, კერძოდ, ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამდე ყაზახთა სტანიცების მოწყობას. მათი აზრით, ყუბანის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიის საზღვრად გაგრის ქედი უნდა ყოფილიყო მიჩნეული. შემდეგ ეს გეგმა კიდევე უფრო გააფართოვეს და ყაზახ-რუსების დასახლება მდ. ენგურის შესართავამდე განიზრახეს. მაგრამ ამ გეგმის შესასრულებლად საკმარო იყო თავისუფალი მიწები და, მაშასადამე, დასახლებული ადგილების განთავისუფლება ნამდვილი მეპატრონეებისაგან. მეფის რუსეთის უშუალო ხელშეწყობითა და მონაწილეობით ათასობით აფხაზი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა მშობლიური მხარე და თურქეთში გადასახლებულიყო. უფრო ტრაგიკული ბედი ერგოთ აფხაზებისა და ადიღეელების მეზობლად მცხოვრებ ხალხს – უბიხებს, რომლებიც მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მირსკი ამის შესახებ აღინშნავდა: თუ აფხაზების

ნაწილი მოისურვებს ოსმალეთში გადასახლებას ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ. ჩვენ უნდა შეეიძინოთ აფხაზეთის მაშულები, რომლებიც მეტად ერცელია და შეუუდგეთ აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახრუსების საშუალებითო.

აფხაზეთში საკოლონიზაციოდ გამოყოფილ მიწებზე ინტენსიურად ასახლებენ რუსებს, ხოლო ყველა სხვა მსურველს უარს ეუბნებიან, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობის ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებსა და მოლდაველებსაც აძლევენ დასახლების უფლებას. 1870-იან წლებში რუსეთის შიდა გუბერნიებში დაიგზავნა მოსაწვევი განცხადებები აფხაზეთში საცხოვრებლად მსურველთა ჩამოსასახლებლად. მაგალითად, იაროსლავის გუბერნიიდან მოელოდნენ მებოსტნეებს და მიიჩნევდნენ, რომ მებოსტნეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები წებელდაში იყო.[200] უარს აქ დასახლებაზე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეზობელი მაზრების უმიწაწყალო ქართველ გლეხებს ეუბნებიან. ცნობილია, მაგალითად, რომ გასული საუუუნის ბოლოს ასი ქართველი გლეხის ოჯახმა თხოვნით მიმართა მთავრობას აფხაზეთში დასახლებაზე, მაგრამ მათ უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ „სოხუმის ოლქში ყველა თავისუფალი მიწა საბოლოოდ განაუთვნილია რუს კოლონიზატორთა დასაბინაევებლადო".[201]

მეფის ხელისუფლება აფხაზეთის მოსახლეობის ასიმილაციის მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევედა ქართული კულტურული სამყაროდან აფხაზების გამოთიშვას. მას დიდად აწუხებდა ის გარემოება, რომ აფხაზი ინტელიგენცია ქართულ ენას იყენებდა როგორც მშობლიურ ენას. სწორედ ამიტომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილე 1897 წელს დათარიღებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მასწავლებლად და მღედლებად არ მიეღოთ ქართველები და ქართული ენის მცოდნე აფხაზები, რაც საგირო იყო „იმპერიის მოსახლეობასთან აფხაზთა სრული შერწყმისათვის". იგი იქვე დასძენდა: „სოხუმის ოკრუგში ქართული მოძრაობა მხარის გარუსებას ამუხრუჭებსო".[202]

როგორც უკვე ითქვა, სოხუმის მოსახლეობის უმრაელესობას ქართველები შეადგენდნენ. ამიტომ, ბუნებრიეია, სოხუმის თვითმმართველობის არჩევნებში 1896 წელს ქართველობამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. სულ აირჩიეს „26 ხმოსანი". ამომრჩეველთა შორის 19 ქართველი იყო, 4 – ბერძენი და 3 რუსი, ამით უკმაყოფილო გადამთიელნი, რომლებიც აფხაზეთში და, კერძოდ, სოხუმშიც ჩამოვიდნენ საცხოვრებლად, ყოველმხრივ ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ იქ მცხოვრები ქართველებისათვის და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ჯერ კიდევ მაშინ, აფხაზეთიდან ქართველების გასასახლებლად. როგორც თ. სახოკია ჟურ. „მოამბეში" ერთ-ერთ თავის სტატიაში აღნიშნავდა, „ამ ჯურის უცერემონიო ხალხმა განსაკუთრებით შაეი ზღვის პირად მდებარე ადგილებზე და იქაურს მკვიდრზე მიიტანეს იერიში". ეინმე რიბინსკიმ „თავისი ლიტერატურული გალიმატია ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა და... მეგრელებს უქადიდა აფხაზეთიდან აკრას". ამ პერიოდში სოხუმის გარშემო მდებარე თავისუფალ მიწებს ძირითადად მხოლოდ რუსებს ურიგებდნენ. ამის შესახებ თ. სახოკია იმავე პუბლიკაციაში მიუთითებდა, რომ „სანიტარულ სოხუმში ადგილები შეიცავს 234 დესეტინას. დარიგებული აქვთ, უმეტეს ნაწილად, მოსულ მდიდარს რუსებს (ქართველობა 5-6 კაცია ამ ადგილების პატრონი".).[203]

აფხაზეთის კოლონიზაციისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აფხაზი ხალხი ყოველთვის უარყოფითად აფასებდა. მაგრამ ამ ამბებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ზურაბ აჩბა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან აფხაზეთში საცხოვრებლად ეპატიჟება ყველას და ისიც თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობით. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ რუსეთის საქმიან წრეებთან, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მათ რუსების აფხაზეთში ჩამოსახლებაში. აქ უკვე სხვადასხვა რეგიონებიდან არიან ჩამოსულნი – სახალინის, ელადიეოსტოკის, სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის მცხოვრებლები. აჩბას აზრით, აფხაზეთში მცხოვრები რუსები აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა და ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ აფხაზეთი რუსეთია. მიუხედავად იმისა, რაც ზემოთ ითქვა აფხაზეთის შესახებ, ზ. აჩბა მაინც უსირცხვილოდ აცხადებს: „ჩვენი მიწა უცხო სხეულია საქართველოსათვის",[204]

თუმცა აჩბამ შესანიშნაად იცის, რომ აფხაზეთი რუსეთი არ არის. სამწუხაროდ, ასეთმა ყალბმა პროპაგანდისტულმა სტატიებმა თავისი როლი მაინც შესანიშნაად შეასრულა.

ჩვენ მხოლოდ ის გვჯერა, რომ „ცალკეული პიროვნებები შეიძლება გაიხრწნან მორალურად, ხალხი კი – არასოდეს". ამიტომ არის, რომ დღეს აფხაზების მოწინაეე ნაწილი კარგად ხედავს თუ რა ტრაგედიას უმზადებს თავის ხალხს აჩბა და მისნაირი, „გადაგვარების მოსურნე" ადამიანები. ამიტომ როდესაც ქართველი ხალხი აფხაზეთის დასაბრუნებლად იბრძვის, ის მარტო თავის მიწა-წყალს კი არ იცავს, არამედ აფხაზების გადარჩენისათვის და მისი, როგორც ერის, გაქრობის წინააღმდეგაც იბრძვის, რადგან „სწორედ ქართველი და აფხაზი ხალხის ერთიანობაში აფხაზეთი ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ-ისტორიულ სივრცეს, საკუთარ სახეს".[205]

აფხაზმა სეპარატისტებმა კარგად იციან, რომ რუსეთს ნაკლებად ენაღვლება აფაზეთის დამოუკიდებლობა და ის მის ნამდვილ დამოუკიდებლობას, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არც დაუშვებს. რუსეთს უნდა მხოლოდ თავისი გაელენის სფეროებში მყოფი და თანაც უსტბუეოდ მისი ინტერესების აღმსრულებელი აფხაზეთი. უკანასკნელი წლების მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ აფხაზეთში ეროვნული არაფერი დარჩა. აფხაზური სეპარატიზმის ცნობილი იდეოლოგი სტანისლავ ლაკობა მოსკოვში გამომავალ „ობშჩაია გაზეტაში" იტყლებული იყო ეღიარებინა: „წინათ მხოლოდ თითო-ოროლა კაცს თუ მოუვიდოდა აზრად კითხეა სჭირდება კია აფხაზეთს რუსეთან ერთად ყოფნა? დღეს კი სოხუმში ბევრს მოსკოვისაკენ გამოხედეაც კი არ უნდა".[206]

ზედმეტად მიგვაჩნია აქ იმის მტკიცება, რომ ქართველს თავის მიწა-წყალზე გაცილებით მეტი უფლება აქეს იცხოვროს, ვიდრე, ეთქვათ, სახალინელს ან ეწლადეოსტოკელს. ეს ყოველიე საქვეყნო ცნობილია და ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ის იწვევს ეჭვს, რომ ქართველი ხალხი იწყებს თუ არა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნის შენებას, რუსეთის რეაქციული და კონსერვატიული ძალები იმპერიული მიზნების განსახორციელებლად ყოველმხრივ ცდილობენ ეს არ დაუშვან.

თურქეთში აფხაზების გადასახლებაში დიდი როლი ითამაშა თურქების მერ აფხაზეთში გაწეულმა აგიტაციამ. ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებს პირდებოდნენ სამოთხეში ცხოვრებას, უყვებოდნენ მათ იმის შესახებ, რომ თურქეთში ბევრი ოქროა, ეირებსაც კი ოქროთი ამკობენ და მხოლოდ ბრინჯით კვებავენ. იქ გოგრა იმხელა იზრდება, რომ შიგ კამეჩი თავისუფლად მოთავსდებოდა, ფუტკრები ქათმებზე მსხვილია და „თაფლი მდინარესავით მოედინება და სხვ. მოსახლეობას უნერგავდნენ იმ აზრს, რომ თურქეთში, ამ „ზღაპრულ ქვეყანაში", ისინი მიიღებდნენ ყველაფერს. როდესაც ამით მოსიბლულმა ადამიანებმა გადასახლება გადაწყვიტეს და სოხუმს მიაღწიეს, ისინი გაკვირვებული იყვნენ ასეთი სანანადობით: რეიდზე იდგა თურქული გემი, რომელიც სადღესასწაულოდ იყო მორთული დროშებითა და ლენტებით. უკრავდა მხიარული მუსიკა. ამის შემყურე ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ თურქეთში ისინი ბედნიერად იცხოვრებდნენ.[207] თავისთავად აფხაზ მოსახლეობაში ასეთი აგიტაციის გასაკვალი, მხოლოდ მათ კულტურულ ჩამორჩენილობაზე მეტყველებს, რაც გამოწვეული იყო ამ პერიოდში აფხაზეთში საგანმანათლებლო კერების მოშლით, თურქთა თარეშით და სხვა ფაქტორებით. ამის შესახებ ფ. ბროკჰაუზისა და ი. ეფრონის ენციკლოპედიაში აღნიშნულია: აფხაზებს დამწერლობა არა აქვთ, მათი დიდებულები ქართულად ლაპარაკობენ და იყენებენ ქართულ დამწერლობას, ხალხი კულტურულად ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილია".[208] 1926 წელსაც კი მხოლოდ 6100 აფხაზმა, ანუ აფხაზი მოსახლეობის 11,8 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, ხოლო თავის მშობლიურ აფხაზურ ენაზე წერა-კითხვას მხოლოდ 485 აფხაზი ახერხებდა, აქედან 395 მამაკაცი და 90 ქალი.[209]

თურქეთში აფხაზების და საერთოდ კავკასიელ მთიელთა გადასახლების მიზნით აერცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ რუსები მაჰმადიანებს ქრისტიანებად მონათელას უპირებდნენ, ჯარში გაიწვევდნენ და სხვ. კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზე-

ზი ისიც იყო, რომ ამ პერიოდში რუსეთში საგლეხო რეფორმა მზადდებოდა (უქმდებოდა ბატონყმობა). მთიელთა ზედა ფენებმა იმის შიშით, რომ საგლეხო რეფორმის გატარების გამო პრივილეგიებს დაკარგავდნენ, გადაწყვეტეს თურქეთში გადასახლება კუთვნილ გლეხებთან ერთად.

თურქები უმოწყალოდ ძარცვავდნენ აფხაზ მოსახლეობას, ართმევდნენ მათ უკანასკნელ საარსებო საშუალებას. ამავე დროს ფიზიკურად სპობდნენ იმ აფხაზებს, რომლებიც უარს ამბობდნენ თურქეთში გადასახლებაზე. თვითმხილველთა სიტყვით ისინი საშინლად ასახიჩრებდნენ დახოცილთა გვამებს. სოხუმში ერთ ადგილას ოცდაათამდე ხელშეკრული და ყელგამოჭრილი აფხაზთა გვამი ეყარა გროვად.[210] უკეთესი დღე აფხაზებს არც გზაში ელოდათ. თურქებს გემზე აყავდათ ყველა აფხაზი – მოხუციც და ახალგაზრდაც. მაგრამ როგორც კი გემი შუა ზღვაში შეეიდოდა, მაშინვე იწყებდნენ აფხაზთა დახარისხებას: ყველა მოხუცს, ეისაც არ შეეძლო იარაღის ტარება, მოხუც ქალებს, რომლებიც უკვე არ გამოდგებოდნენ პირუტყვული ჟინის დასაკმაყოფილებლად და პატარა ბავშვებს, რომლებიც მშობლების მოელას საჭიროებდნენ, გემიდან ზღვაში ყრიდნენ.[211] ამასთან თურქები უამრავ ახალგაზრდა, ჯანმრთელ და ლამაზ ქალს აგროვებდნენ თავიანთი პარამხანების შესაესებად.

აფხაზი ხალხის ამ ტრაგედიას დიდი თანაგრძნობით შეხვდა ქართველი ხალხი, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. ქართულ პრესაში არა ერთი და ორი სტატია დაიბეჭდა აფხაზი ხალხის მხარდასაჭერად. ამიტომ უადგილოდ გამოიყურება ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ქართველ ხალხს არაფერი გაეკეთებინოს ამ ტრაგედიის თავიდან აცილებლად და უყურადღებოდ დაეტოვებინოს მათი გასაჭირი. თუ აფხაზური მეცნიერების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. გ. ძიძარიას დაეუჯერებთ და არა, ეთქვათ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ს. ლაკობას, რომლის აზრით კაკობრიობა მომავალში აფხაზურ ენაზე ილაპარაკებს, მაშინ „აფხაზი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე რთულ პროცესებში განსაკურებული როლი ითამაშა ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებმა... ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პიროვნებებზე, როგორიცაა ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ხახანაშვილი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, დ. ყიფიანი, ს. მესხი და სხვ., ლაპარაკია იმ ქართველ მოღვაწეებზე, რომლებიც, ცხოვრობდნენ რა აფხაზეთში, უდიდესი წვლილი შეიტანეს აფხაზი ხალხის კულტურისა და განათლების საქმეში (ა. ჭარაია, ნ. ჯანაშია, კ. მაჭავარიანი, თ. სახოკია და სხვ.).[212] თედო სახოკია პირდაპირ აღნიშნავდა: „აფხაზეთს ეჭირვება დროზე მიშველება, გულწრფელი მამობრივი პატრონობა“.[213]

აფხაზები ყველაზე მასობრივად თურქეთში 1877 წელს გადასახლდნენ. როგორც წინა წლებში, ისე 1877 წელსაც აფხაზეთიდან გადასახლებულთა რაოდენობის დაზუსტება ძალიან რთულია. ერთი რამ ცხადია: გადასახლებულთა რიცხვს თითქმის ყოველთვის გადიდებულად უჩვენებდნენ. „ზეთი „კავკაზი“ ამის შესახებ აღნიშნავდა: „პრესაში არა ერთხელ მოიყვანეს უკანასკნელი ომის დროს თურქეთში გადასახლებული აფხაზების შესახებ ციფრები. ეს ციფრები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საერთოდ გადიდებული“.[214] ამასთან „კავკაზში“ აღნიშნულია, რომ გაზეთი აქვეყნებს ოფიციალურ ცხრილს აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ომამდე და ომის დამთავრების შემდეგ. ცხრილი შედგენილი იყო სოხუმის პოლიციის განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ პ.ი. არაკინის მიერ გაკეთებული ცნობების საფუძველზე. ცხრილის მიხედვით აფხაზეთში ომის დაწყების მომენტისათვის ცხოვრობდა 75698 კაცი. აქედან თურქეთში გადასახლდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა 31964 კაცი. პროფ. ზ. ანჩაბაძის გაანგარიშებით ამ პერიოდში აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლდა დაახლოებით 30 ათასი კაცი.[215] ჩვენც ეს მონაცემები ყველაზე სარწმუნოდ მიგვაჩნია. პროფ. გ. ძიძარია, თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას, მართალია, მეტისმეტად გაზვიადებულად მიიჩნევს,[216] მაგრამ მაინც საეჭვოდ ხდის პოლკოვნიკ პ. ი. არაკინის მონაცემებს და უფრო საიმედოდ მიიჩნევს გ. წერეთლის, ს. მესხის და სხვათა ცნობებს თურქეთში 1877 წელს აფხაზეთიდან 48-50 ათასი კაცის გადასახლების შესახებ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება

მხოლოდ ის ითქვას, რომ გ. წერეთელს და ს. მესხს, აგრეთვე სხვა ავტორებსაც, არავითარი სანდო ცნობები უშუალოდ ხელთ არ ქქონიათ და არც შეიძლება ქქონოდათ, რადგან ერთი გაზეთის კორესპონდენტად, ხოლო მეორე რედაქტორად მუშაობდა. ამდენად, თუ მონაცემთა საიმედობაზე ეიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, სოხუმის პოლიციის განყოფილების უფროსის მონაცემები, საიმედოობის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მისაღებია. ასე რომ მოვიყვეთ, ზოგიერთი ცნობის საფუძველზე 30 ათასი კაციც არ გადასახლებულა თურქეთში, ხოლო ზოგიერთი ცნობით გადასახლდა 30 ათასზე ოდნავ მეტი.[217] უამრავ სხვა ცნობაში, რომლებიც ასევე მოკლებულია რეალურ საფუძველს, სულ სხვა მონაცემებია დასახელებული. ამდენად, ვერ გავი'ზიარებთ პროფ. გ. ძიძარიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მუჰაჯირობის შედეგად 60-70-იან წლებში აფხაზეთიდან გადასახლდა დაახლოებით 80 ათასი კაცი.[218] ეს მონაცემი პროფ. გ. ძიძარიას გამოყავს სხვადასხვა ცნობების უბრალოდ არითმეტიკული შეჯერებისა და საშუალო სიდიდის მიღების საფუძველზე, რაც ყოველად დაუშვებელია. სხვადასხვა ცნობების შეჯერება უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ, მათი მეცნიერული ღირებულებისა და ამდენად საიმედო მონაცემის მიღების მიზნით. ამიტომ პროფ. გ. ძიძარიას მონაცემი – თურქეთში 80 ათასი კაცის გადასახლების შესახებ, სრულიად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია.

აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულ მოსახლეობას იქ ოჯროს კოშკების მაგივრად დახვდათ სიღატაკე, სიმშილი და აბუჩად აგდება. ბევრმა მათგანმა მაშინვე დაიწყო ზრნეკა სამშობლოში დაბრუნებაზე. ამის შესახებ ისინი მიმართავენ რუსეთის გენერალურ საკონსულოს კონსტანტინოპოლში, ხოლო ტრაპიზონში იტალიის საკონსულოს. მუჰაჯირები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ ბათუმში ჩამოსვლას და იქიდან აფხაზეთში მოხვედრას. გადასახლებულთა უკან დაბრუნებას ყოველმხრივ უშლიდა ხელს რუსეთის ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, მუჰაჯირები, ზოგჯერ საკმაოდ დიდი რაოდენობით, სხვადასხვა გზებით მაინც ახერხებდნენ სამშობლოში დაბრუნებას.[219] 1879 წელს აფხაზთა რეპატრიაცია უფრო დიდ მასშტაბებს აღწევს. არიქივებში დაცული მასალების მიხედვით ამავე წლის 3 აგვისტოს სოხუმში ბათუმიდან ჩამოვიდა 1000 მუჰაჯირი, შემდეგ 60, ამდენივე დაბრუნდა გაგრაში, ხოლო ბათუმში ჩამოადწია კიდევ 285 ემიგრანტმა და სხვა. 1880 წლიდან გადასახლებულ აფხაზთა დაბრუნებამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ბევრი მუჰაჯირი ფარულად პატარა ხომალდებით დაბრუნდა სამშობლოში. უმთავრესად ისინი რაპორზე გადმოდიოდნენ ღამით. მალე ხელისუფლება იძულებული შეიქმნა მუჰაჯირებისათვის ოფიციალურად აფხაზეთში ცხოვრების ნება დაერთოთ. ეს მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ აფხაზები შიმშილისა და სიღატაკის გამო სამშობლოში დაბრუნებისას გზაში დიდი რაოდენობით იღუპებოდნენ.

ამავე დროს მათი ისევე თურქეთში დაბრუნება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამასთან კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი, რომელიც აფხაზების თურქეთიდან უკან დაბრუნების წინააღმდეგი იყო, „ამინისტიის“ ძალით, რომელიც გამოეცხადათ 1877-1878 წლების ომებში მონაწილე პირებს 1879 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების მერვე მუხლის შესაბამისად, იძულებული შეიქმნა დაეშვა აფხაზთა ნაწილობრივი რეპატრიაცია სამი წლის ვადაში. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების პირობებს მუჰაჯირებს უმალავდნენ, ამის შესახებ ხმა მაინც გავრცელდა და აფხაზეთში გადმოსახლება ინტენსიურად გაგრძელდა. პროფ. გ. ძიძარიას ძირითადად საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოაქვს მონაცემები თურქეთიდან უკან დაბრუნებული მუჰაჯირების რაოდენობის შესახებ. კერძოდ, „სახალხო აღწერის“ თანახმად, გუდაუთის უბანში 1880 წლის დასაწყისში ცხოვრობდა სულ 1098 ოჯახი, მათ შორის თურქეთიდან დაბრუნებული 413 ოჯახი. საერთოდ 1881 წლისათვის აფხაზეთში დაბრუნდა 13258 კაცი, რაც მჩარის მთელი მოსახლეობის 21 პროცენტს შეადგენდა. 1881 წლის 10 ივნისისათვის გუდაუთის უბანში დაბრუნდა კიდევ 1974 ოჯახი. 1883 წლის დასაწყისისათვის აფხაზეთის მოსახლეობამ უკვე 64189 კაცი შეადგინა. სამშობლოში აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნება შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა.[220] ამრიგად, თუ ოჯახში საშუალოდ სულ მცი-

რე ხუთს სულს ეიგულისხმებთ და ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს შეეჯაბებთ, თურქეთიდან აფხაზეთში მარტო 1877 წლის შემდეგ 1881 წლის 10 ივნისამდე დაბრუნდა 18628 კაცი. სხვა მონაცემით მარტო 1880 წლის 10 ივნისისათვის სამშობლოში დაბრუნდა 15 ათასზე მეტი აფხაზი.[221]

ამრიგად, 1877 წელს თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა ნახევარზე მეტი ისევ უკან დაბრუნდა. საერთოდ, „თურქეთში მცხოვრები ბევრი აფხაზი, რუსეთის ხელისუფლების ნებართვის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში".[222] ამასვე ადასტურებს სხვა წყაროებიც.[223] ამასთან აფხაზები თურქეთში გადასახლდნენ არა მარტო საქართველოდან, არამედ ყუბანის ოლქიდანაც, სადაც 1897 წელს მოსახლეობის აღწერით 12,5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. კერძოდ, მარტო 1871-1884 წლებში ყუბანის ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 13 ათასი მთიელი და სხვა მუსულმანური სარწმუნოების ხალხი, მათ შორის, 1809 აფხაზი.[224] ამჟამად, თურქეთში აფხაზები მცირე რაოდენობით ცხოვრობენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გასულ საუკუნეში ისინი დიდი რაოდენობით თურქეთში არ გადასახლებულან. მაგალითად, 1983 წელს მსოფლიოში აფხაზთა რაოდენობა 95 ათას კაცს აღწევდა.[225] თუ გავითვალისწინებთ, რომ 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ყოფილ საბჭოთა კავშირში აფხაზების რაოდენობა 91 ათასს უდრიდა, მაშინ საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა დაახლოებით 5 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა, ძირითადად თურქეთში. ამასვე ამტკიცებს ენციკლოპედიური ლიტერატურაც.[226] ჩვენი აზრით, ეს მონაცემები რამდენადმე შეფცირებულია. მხედველობაში უნდა მიეიღოთ ის გარემოებაც, რომ თურქეთში ცხოვრობენ არა მარტო საქართველოდან, არამედ ყუბანის ოლქიდანაც გადასახლებული აფხაზები.

მიუხედავად ამისა, აფხაზი მეცნიერები ყოველმხრივ ცდილობენ საქმე ისე წარმოჩინონ, თითქოს თურქეთში ასიათასობით აფხაზი ცხოვრობდეს. ამ მხრივ მათი მსჯელობა ვერაკეთარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, შ. ინალ-იფა აფხაზების რაოდენობას თურქეთში შემდეგნაირად განსაზღვრავს: ზოგიერთები ამბობენ, რომ თურქეთში ამჟამად აფხაზების რაოდენობა 300 ათასზე ნაკლები არაა, ხოლო ზოგიერთების აზრით — 250 ათასია. ზოგიერთები, რომლებიც თურქეთში ხანგრძლივად ცხოვრობენ, აღნიშნავენ რომ თურქეთში აფხაზები უფრო მეტია, ვიდრე ჩერქეზები. აი ასე, „ზოგიერთების" მონაყოლისა და წარმოდგენის საფუძველზე შ. ინალ-იფა ასკვნის, რომ ამჟამად თურქეთში ცხოვრობს არა ნაკლები 100 ათასი აფხაზისა.[227]

ამ მხრივ ყველა ფანტასტიკის მოყვარულს გადააჭარბა ვ. არძინბამ, რომელმაც რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: უცხოეთში აფხაზების დიასპორა 500 ათას კაცს შეადგენსო. საინტერესოა ამ მხრივ თურქეთის ჟურნალ „ივენი ფორუმში" სტრატეგიული კვლევის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ცენტრის „რენდ კორპორეიშნის" კონსულტანტის, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის ადმინისტრაციაში ზბიგნევ ბჟეზინსკის მოადგილის პოლ ჰენზის ინტერვიუ, რომლის თარგმანიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა. პოლ ჰენზი საერთაშორისო მეთვალყურის როლში იმყოფებოდა საქართველოში და კერძოდ აფხაზეთში, სადაც იგი შეხვედა აფხაზეთის ლიდერებს. სწორედ მათთან საუბრის საფუძველზე პოლ ჰენზიმ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ლიდერთაგან „ბევრი არარეალური იდეებით არის შეპყრობილი. მაგალითად, გვითხრეს, რომ ასობით ათასი აფხაზური წარმოშობის ადამიანია თურქეთში, რომლებსაც აფხაზეთში დაბრუნების და დასახლების სურვილი აქვთო".[228]

აფხაზეთის და საერთოდ კავკასიის დემოგრაფიულად ათვისების ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ამ რეგიონში გაბატონების, არამედ XIX საუკუნეში შემოერთებული ტერიტორიების საბოლოოდ დე იურედ დამკვიდრების მხრივაც. კავკასიისათვის ომების პერიოდში და მის შემდეგაც რუსეთის მოწინააღმდეგ დიდი სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობდნენ ამ ტერიტორიების რუსეთისაგან ჩამოცილებას. მაგალითად, ყირიმის ომის დროს, რომელმაც არსებითი გაელენა იქონია კავკასიაში მოელენების მსელელობაზე, ინგლისის მეომრულად განწყობილი წრეები ცდილობდნენ რუსეთისაგან ყირიმთან ერთად კავკასიის ჩამოცილებას, კერძოდ, ყირიმის, ჩერქეზეთისა და საქართველოს თურქეთისათვის გადაცემას. უფრო შორს მიმავალი გეგ-

მები ითვალისწინებდა რუსეთისაგან კავკასიის პროვინციების ჩამოშორებას, საქართველოს დანაწევრებას, საქართველოს, სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, სომხეთის სამთავროების შექმნას ოსმალეთის ან დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ, ირანისა და ოსმალეთის იმპერიისათვის იმ ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც გულისტანისა და ადრინოპოლის სასაუთ ხელშეკრულებებით რუსეთს გადაეცა. ეს გეგმები ღიად გააზხოვანა გაზეთმა „ტაიმსმა", რომელიც წერდა: „კავკასიაში რუსეთის საზღვარი უნდა გაეიდეს თერგის ჩრდილოეთით და ყუბანზე".[229]

აფხაზეთის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში: სიფალბე და რეალობა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეიძლება უკვე ვიმსჯელოთ აფხაზეთის მოსახლეობის, აფხაზებისა და ქართველების რაოდენობის შესახებ XIX საუკუნის ცალკეულ პერიოდებში. ამ საკითხში ჩვენ ერთ-ერთ ამოსავალ, ძირითად მაჩვენებლად 1886 წელს აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა მიგვაჩნია. როგორც ცნობილია, 1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. ამ სიების მიხედვით შესაძლებელია როგორც მთელი საქართველოს, ისე მისი ცალკეული კუთხეების, კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის, ეროვნული, სარწმუნოებრივი და წოდებრივი შემადგენლობის გარკვევა. მოსახლეობის ამ აღწერის მონაცემები ცალკე წიგნად გამოიცა 1893 წელს.[230]

გასული საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის მოსახლეობის საკითხების გასარკვევად ასევე მნიშვნელოვან მაჩვენებლად მიგვაჩნია 1867 წლის ოფიციალური მონაცემები აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ.[231] ამ წელს აფხაზეთის მოსახლეობა 65 ათას კაცს უდრიდა. აქედან 22 ათასი სამურზაყანოში ცხოვრობდა. ამასთან, სამურზაყანო თითქმის მთლიანად ქართველებით (მეგრელებით) იყო დასახლებული. ქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში. ამდენად, 1867 წელს, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთში დასახლებით 40 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა. მოსახლეობის დანარჩენ რაოდენობას ამ პერიოდში თითქმის მთლიანად ქართველები შეადგენდნენ.

აფხაზი ავტორები, კერძოდ, შ. ინალიფა, ს. ლაკობა და ბ. აშუბა წინასწარგანზრახულად დამახინჯებულად წარმოადგენენ აფხაზეთში მიმდინარე დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს, მე-19 საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, რამაც ჩვენს ერებს შორის ურთიერთობის დაძაბვას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მაგალითად, ისინი ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით აფხაზეთში აფხაზების რაოდენობა 59 ათასს (მოსახლეობის 85,7 პროცენტს), ხოლო ქართველებისა 4 ათას (6 პროცენტი) შეადგენდა. 1993 წელს მოსკოვში გამოცემულ „ნაშრომში" – „აფხაზეთის თვთრი წიგნი", რომლის შემდგენლები არიან ი. ეორონოეი, აგრეთვე პ. ფლორენსკი და ტ. შუტოეა, აფხაზეთის მოსახლეობის საკითხები, სხვა საკითხებთან ერთად, მეტად პრიმიტიულად, დაუსაბუთებლად, აშკარად წინასწარგანზრახვით და ამდენად ზერელედ არის განხილული. წიგნის შემდგენლები აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ზუსტად იმეორებენ ზემოთ აღნიშნული ავტორების მონაცემებს.[232] საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიტანთ აფხაზეთში მცხოვრები აფხაზებისა და ქართველების რაოდენობას ცალკეულ წლებში ისე, როგორც აფხაზ ავტორებს აქვთ წარმოდგენილი.

	1886 წ.	1897 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქართველი	4166	25875	67497	91967
აფხაზი	58963	58697	55918	56197

აღნიშნული მონაცემების შეუსაბამობა ცალკეული წლების მიხედვით აშკარაა. მაგრამ ს. ლაკობა, ი. ეორონოეი და სხვები გვერდს უვლიან ამ ფაქტს. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი რჩება რატომ მცირდება 1897 და 1926 წლებში და 1939 წელსაც კი აფხა-

ზების რაოდენობა 1886 წელთან შედარებით, ან რატომ იზრდება ასე ერთბაშად ქართველების რიცხვი. ცნობილია, რომ 1886 წლის შემდეგ მუჰაჯირობას ადგილი არ ჰქონია. პირიქით მცირე რაოდენობით თურქეთიდან გრძელდებოდა აფხაზების რეპარტრიაცია. არც ამ საუკუნის პირველ მეოთხედში წასულან სადმე აფხაზები. ამასთან პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს აფხაზები ჯარში არ გაყვანდათ. უცილობლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ დროის ამ მონაკვეთში (1886-1926 წლები) აფხაზებს ბუნებრივი გამრავლებისათვის გაცილებით მშვიდობიანი და მატერიალურად უზრუნველყოფილი პერიოდი ჰქონდათ, ვიდრე მთელი XIX საუკუნე 1886 წლამდე. ასე რომ, აფხაზი მოსახლეობა, კლების ნაცვლად, საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ეერსად ვერ შეეხვედებით 58,9 ათას აფხაზს. მოსახლეობის ამ აღწერის დროს აფხაზეთში 28320 აფხაზი ცხოვრობდა, ძირითადად გუდაუთისა და კოდორის უბნებში. მაგრამ აფხაზმა ავტორებმა მონაცემები განგებ დაამახინჯეს და სამურზაყანოს 30,6 ათასი ქართველი მოსახლეობა, რომელიც 1886 წლის საოჯახო სიებში ცალკეა გამოყოფილი და რომელიც მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის მდებარე ტერტორიაზე ცხოვრობდა (სამურზაყანო მოიცავედა ძირითად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას)[233] დაუმატეს აფხაზებს და ასეთი მანიპულაციით მათთვის სასურველი რაოდენობაც მიიღეს. მაგრამ იმავე 1886 წლის აღწერით სამურზაყანოს უბანზე არცერთი აფხაზი არ არის აღრიცხული. ამასთან თურქეთ-რუსეთის ომის დროს არცერთ სამურზაყანოელს თავისი კუთხე არ მიუტოვებია და თურქეთში არ გადახიზნულა, რაც მათ ქართველობაზე მიუთითებს. ეს გასაგებიცაა, რადგან ისტორიულად სამურზაყანო მუდამ ქართველებით დასახლებული წმინდა ქართული ტერიტორია იყო. ამ ასპექტში მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1917 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით სამურზაყანოში 40858 ქართველი და მხოლოდ 1161 აფხაზი ცხოვრობდა.[234]

ამ მხრივ საინტერესო ცნობაა მოთავსებული 1877 წლის გაზეთ „კავკაზში". „კოდორის აქეთა მხარეს, მხოლოდ სამურზაყანოში ყველა თავის ადგილზე დარჩა... ჩეენთან იბრძოდა მთელი მისი მამაკაცი მოსახლეობა".[235] აქ იგულისხმება ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ აეყარათ და თურქეთში გადაესახლებინათ ადგილობრივი მოსახლეობა. ეს ცნობაც ადგილობრივი მოსახლეობის ქართველობაზე მიუთითებს.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის სამთავრო ერცელდებოდა ჯიქეთიდან მდინარე კოდორამდე. ეს ნათლად ჩანს ქართულ წყაროებში და აგრეთვე უცხოელ ავტორთა, კერძოდ არქანჯელო ლამბერტის, შარდენისა და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, რომ აღარაფერი ვთქვათ ვახუშტი ბატონიშვილის წერილობით ძეგლზე, ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა და თავისი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა აღწერა, პირდაპირ აცხადებს: მდინარე კოდორი სამეგრელოს გამოყოფს აფხაზეთისაგანო. მოგზაური, საეჭვო რომ არაფერი დარჩეს, იმასაც დასძენს – სამეგრელო თვითონა მაქვს თავიდან ბოლომდე გავლილიო.[236] ამასვე მიუთითებს ფრანგი კონსული გამბა, რომელმაც XIX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში იმოგზაურა საქართველოში. იგი სამურზაყანოს სამეგრელოს ერთ-ერთ პროვინციად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო დადიანების სახელმწიფო ნაწილს შეადგენსო.[237] ის, რომ სამურზაყანო სამეგრელოს ეკუთვნოდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იცოდნენ და ისინი არაერთხელ აღნიშნავდნენ ამის შესახებ. მაგალითად, 1834 წელს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ მიითვისა სოფელი ილორი და სოფლის მცხოვრებლებისაგან ერთგულების ფიციც მოითხოვა. ამის თაობაზე ბარონმა როზენმა მიწერა მიხეილ შერვაშიძეს: „ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში არსებული უწესრიგობის გამრავლებას და არ შემიძლია გაეკვირვება არ გამოვთქვა თქვენი ასეთი თვითმმართველობის შესახებ სხვის სამფლობელოში. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი

ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ გთხოვოთ.– გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიღებული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს".[238] ბარონი როზენი სხვა დოკუმენტშიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ სამურზაყანო ეკუთვნის სამეგრელოს.[239] იმ პერიოდში გამოსულ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც სამურზაყანო სამეგრელოს ნაწილადაა აღიარებული.[240]

საერთოდ სამურზაყანო უძველესი დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ამის შესახებ ცნობები მრავალ უცხოურ წყაროშია დაცული. XIX საუკუნეში მთელი სამურზაყანოს მოსახლეობას მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ. ა. დიაჩკოვ-ტარასოვის ცნობით სამეგრელოს მთავრები „დადიანები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ სამურზაყანოს თვისტომთ" და, მართლაც, ლეკან დადიანი 1839 წელს დაპატრონა სამურზაყანოს.[241] ამასვე ადასტურებენ სხვადასხვა წლებში წიგნად გამოსული „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" ანგარიშგებები. ამ ანგარიშგებებში მრავალგზის აღნიშნულია, რომ სამურზაყანოში უძველესი დროიდან ცხოვრობენ მეგრელები, „ილორიდან დაწყებული მთელ სამურზაყანოში ბატონობს მეგრული ენა".[242] „არაევთარი ეჭვი არ შეიძლება შეეტანოთ იმაში, რომ სამურზაყანოელები ეკუთვნიან ქართულ ტომს. სამურზაყანოელები ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე და არა აფხაზურზე, როგორც ზოგიერთები ფილრობენ და წერენ. აფხაზურ ენაზე მხოლოდ აფხაზები ლაპარაკობენ აფხაზეთში".[243]

1897 წელსაც აფხაზთა რაოდენობა მომატებულად არის ნაჩვენები. ჯერ ერთი, ათი წლის მანძილზე არ შეიძლებოდა აფხაზთა რაოდენობა 28,3 ათასიდან 58,7 ათასამდე გაზრდილიყო, ე.ი. 30 ათასით. თუ დაეუშვებთ, რომ თურქეთიდან აფხაზები უკან დაბრუნდნენ, მაშინ თურქეთში აფხაზი აღარ დარჩენილა და ყველა სამშობლოში დაბრუნებულა. ეს კი ასე არ მომხდარა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში რეპატრიაციის პროცესი უაღრესად შემცირებული იყო. მეორეც, არც ბუნებრივი მატებით შეიძლებოდა სულ რაღაც ათ წელიწადში აფხაზი მოსახლეობის გაორკეცება. ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. სინამდვილეში მოსახლეობის აღწერის დროს დაშვებული იქნა შეცდომა. სრულიად რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 1886 წლის აღწერისაგან განსხვავებით „სამურზაყანოელნი" აფხაზ მოსახლეობაში შეიყვანეს.[244] ამის შედეგად აფხაზი მოსახლეობა გაიზარდა, ხოლო ქართველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ თუ ამ გარემოებას მხედველობაში მიეიღებთ და კორექტირებას გავაკეთებთ, მაშინ 1897 წელს აფხაზეთში, როგორც პროფ. კ. ანთაძე აღნიშნავს, 39,6 ათასი აფხაზი[245] და 44,8 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

აფხაზი ავტორების მიერ ხელოვნურად არის შემცირებული აფხაზეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა 1886 წელს. როგორც უკვე ითქვა, მათ სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობა ქართველების საერთო რიცხვი გამოაკლეს და აფხაზებს დაუმატეს. ხოლო სამურზაყანო რომ ისტორიულად და, კერძოდ, 1886 წელსაც ქართველებით იყო დასახლებული, ჩვენ ამის შესახებ უკვე საკმარისი ფაქტები მოვიყვანეთ და კიდევ დამატებითი მასალის მოტანის საჭიროებას ვერ ვხედავთ. ამდენად, თუ სამურზაყანოს ქართველ მოსახლეობას (30,6 ათასი) მიეიღებთ მხედველობაში, მაშინ 1886 წელს აფხაზეთში 34,8 ათასი ქართველი (ცხოვრობდა. ანალოგიური შესწორების საფუძველზე 1897 წელს აფხაზეთში ქართველების რაოდენობა 44,8 ათას კაცს შეადგენდა.

აფხაზი ავტორების საპირისპიროდ ჩვენს მიერ ოფიციალური სტატისტიკური მასალის საფუძველზე გაანგარიშებული აფხაზი და ქართველი მოსახლეობის რაოდენობის სიზუსტე ერთხელ კიდევ ადასტურებს ერთ-ერთი ოფიციალური მასალა, კერძოდ, რუსი ჩინოვნიკების მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიშგებები. მაგალითად, 1902 წელს შედგენილი მოსახლეობის ეროვნული, სარწმუნოებრივი და წოდებრივი მდგომარეობის შესახებ უწყისის თანახმად, აფხაზეთში ცხოვრობდა 46,4 ათასი აფხაზი და 51,3 ათასი ქართველი.[246] ანალოგიურ მონაცემებს შეიცავს სხვა წლების უწყისებიც.

საინტერესოა აფხაზეთის მოსახლეობის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა. 1902

წელს აფხაზეთის მოსახლეობის 89,5 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, 3,1 პროცენტი — გრიგორიანელი, ხოლო 7 პროცენტი — მუსულმანი. 1886 წელს ქრისტიანული მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში თითქმის იგივე იყო — 89,7 პროცენტი, ხოლო მუსულმანებისა — 6 პროცენტი.[247] 1867 წელს კი ქრისტიანი იყო აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 57 პროცენტი.[248] მუჰაჯირობის დროს, განსაკუთრებით კი 1877 წლის შემდეგ, მუსულმანი აფხაზები, თავი რომ დაეღწიათ თურქეთში გადასახლებისათვის, ან უკვე გადასახლებულნი როგორმე სამშობლოში რომ დაბრუნებულიყვნენ, მასობრივად იღებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას.

გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებიც. ამ აღწერის მიხედვით აფხაზეთში 67494 ქართველი და 55918 აფხაზი ცხოვრობდა. ამასთან 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა. შემდეგი აღწერების დროს გაცილებით ნაკლებმა აფხაზმა დაასახელა თავის მშობლიურ ენად ქართული. მაგალითად, 1979 წელს მხოლოდ 730 აფხაზისათვის იყო მშობლიური ენა ქართული. ჩვენ ეფიქრობთ, რომ იმ აფხაზების დიდი უმრავლესობა, რომლებმაც მშობლიურ ენად ქართული დაასახელეს, ეროვნებით ქართველები იყვნენ. როგორც ჩანს, აფხაზეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ ქართველების აფხაზებად ჩაწერას გარკვეული მოსაზრებებით შეუწყო ხელი, თუმცა შემდეგ, როდესაც აღწერაში აფხაზების რაოდენობა გადიდებულად დაფიქსირეს, რაც მათთვის მთავარი იყო, აღნიშნეს: „რამდენიმე ათასმა კაცმა მიათვალა „თავი აფხაზ ეროვნებას“, თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული“.[249] ამდენად, თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ ქართველების სულ ცოტა ნახევრი მაინც შეგნებულად აფხაზ ეროვნებას დაუმატეს, მაშინ 1926 წელს აფხაზეთში 71954 ქართველი და 51458 აფხაზი ცხოვრობდა. მართალია, შემდეგ წლებშიც ჰქონდა მოსახლეობის აღწერების დროს მონაცემთა ხელოვნურად შესწორებებს ადგილი, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბებში. მაგალითად, მოსახლეობის 1989 წლის აღწერის დროს, აფხაზების რაოდენობა ყოფილ საბჭოთა კავშირში ჯერ 102,9 ათასი კაცი უჩვენეს (მათ შორის: აფხაზეთში 90713 კაცი). ხოლო შემდეგ 105,5 ათასი კაცი (მათ შორის: აფხაზეთში 93267 კაცი). როგორც ჩანს, იმის გამო, რომ აფხაზების წილი ამაღლებულიყო აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში აქ მცხოვრები აფხაზების რაოდენობა ხელოვნურად 2554 კაცით გაზარდეს. ასევე ხელოვნურად შეამცირეს ქართველების რაოდენობა — 242,3 ათასიდან 239,9 ათას კაცამდე.[250]

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებულ კორექტიებს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მაშინ აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზების რაოდენობა აღნიშნულ წლებში ასეთია:

	1886 წ.	1897 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქართველი	34806	44882	71954	91967
აფხაზი	28320	39600	51458	56197

ამდენად, 1886 და 1897 წლებში აფხაზების მოცემული რაოდენობა უაღრესად ზუსტ მონაცემებად მიგეჩნია. მართლაც, თუ ოფიციალური მონაცემით 1877 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობა 75,7 ათასს უდრიდა და აქედან დაახლოებით 40 ათასს აფხაზები შეადგენდნენ, მაშინ ასევე ოფიციალური მონაცემებით თურქეთში 31 ათასი აფხაზი გადასახლდა, მაგრამ დაახლოებით 18 ათასი უკან დაბრუნდა. ამრიგად, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ აფხაზებში ბუნებრივ მატებას მცირედ, მაინც ექნებოდა ადგილი, მაშინ 1886 წელს საოჯახო სიებით აღრიცხული 28 ათასი რაოდენობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე, ასევე კანონზომიერად ჩანს და არავითარ ეჭვს არ იწვევს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 40 წლის მანძილზე — 1886-1926 წლებში.

აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობასაც ქართველები შეადგენდნენ. მაგალითად, იმავე საოჯახო სიების მონაცემებით 1886 წელს სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლე-

სობას ქართველები შეადგენდნენ. ასევე ოსამჩირეში 1886 წელს მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. გუდაუთის მოსახლეობაშიც ქართველები ჭარბობდნენ. მაგალითად, ცნობილი ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე იმოგზაურა აფხაზეთში, შემდეგს აღნიშნავს: „გუდაუთი საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთისა. შიგ 172 კომლი (1117 სული) მცხოვრები ითელება სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ადგილი უჭირავს ქართველებს — 365 სული, შემდეგ რუსებს — (242 სული), მერე მოპაყეებიან ბერძნები (133 სული), სომხები (132), აფხაზები (87 სული), ლაზები (32) და სხვ.“[251]

აღსანიშნავია ისიც, რომ გაგრასა და მის მიმდებარე ადგილებში გასულ საუკუნეში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდა. როგორც კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულშია აღნიშნული, 1830 წლამდე, რუსის ჯარის აქ მოსვლამდე, ეს ადგილები, ცნობილი მიზეზების გამო, მთლიანად დაცარიელებული იყო. ადრეულ საუკუნეებში ამ ადგილებში ცხოვრობდა ქრისტიანული მოსახლეობა, რასაც ადასტურებს გაგრაში საკმაოდ კარგად შენახული ქვის ტაძარი. 1866 წელს გაგრაში ძირითადად ქართველები და ბერძნები ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში აფხაზ მოსახლეობას გაგრაში არ უცხოვრია.[252]

აფხაზეთის წარმომადგენლები განსაკუთრებული მონდომებით აღნიშნავენ იმიგრაციის შედეგად აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ზრდის შესახებ. მაგალითად, ს. ლაკობა მისთვის დამახასიათებელი საუბრის სტილით აცხადებს: ქართველებს უნდა რცხვენოდეთ იმისა, რომ აფხაზეთში ამჟამად აფხაზები 17 პროცენტს შეადგენენო. რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის მოსახლეობა იმიგრაციული პროცესების მიზეზითაც იზრდებოდა, მაგრამ აქაც გემართებს შემდეგი გარემოებები გაეთხსენოთ. ჯერ ერთი, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში იზრდება ბუნებრივი მატების შედეგადაც, მეორეც, 1926 წლიდან 1979 წლამდე აფხაზეთში ქართველების რაოდენობა გაიზარდა 72 ათასიდან 213 ათასამდე, ე.ი. 2,9-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 7,5-ჯერ), სომხებისა — 25 ათასიდან 73 ათასამდე, ე.ი. 2,9-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 67-ჯერ), რუსებისა 1926-1970 წლებში — 12 ათასიდან 93 ათასამდე, ე.ი. 7,8-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 76,4-ჯერ). როგორც ეხედავთ, აქაც რაიმე უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ აქცენტი ყოველთვის ქართველების მიმართაა გაკეთებული. უფრო მეტიც, იმ ფაქტს, რომ აფხაზების წილი მთელ მოსახლეობაში დაბალია, მხოლოდ ქართველი მოსახლეობის იმიგრაციით ხსნიან, რაც არასწორია.

რადგან „ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია“ შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ. 1926 წლის შემდეგ აფხაზეთში ერთი ქართველიც რომ არ დაბადებულიყო და არც საცხოვრებლად გადასულიყო, მაშინ 1979 წელს აფხაზების წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში 17,1 პროცენტიდან 24,4 პროცენტამდე ამაღლდებოდა. უფრო მეტიც, 1989 წელს აფხაზეთში ქართველ მოსახლეობას საერთოდ რომ არ ეცხოვრა, აფხაზი მოსახლეობის წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 32 პროცენტი იქნებოდა. როგორც ეხედავთ, ამ შემთხვევაში არც ისე დიდი „ბრალი“ მიუძღვის ქართველ მოსახლეობას. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობის იმიგრაციისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია აფხაზეთში მცხოვრებ დანარჩენ ეროვნებებში.

ამავე ასპექტში აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობა, ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან შემოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, 1922 წელს ქალაქის მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით, სოხუმში მცხოვრები 4992 ბერძენიდან 3381 დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, 4467 რუსიდან — 3400, ხოლო 1889 სომეხიდან — 1123. ანალოგიური მონაცემებით ხასიათდება გუდაუთის მოსახლეობაც. ამ ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთაა დაბადებული (ძირითადად რუსები, ბერძნები და სომხები). ამასთან 1992 წელს აფხაზები როგორც სოხუმში, ისე გუდაუთაში მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ისინი შესაბამისად მთელი მოსახლეობის 2,4 და 6,5 პროცენტს შეადგენდნენ.[253]

აფხაზეთში შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის სხვადას-

ხეა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსახლება, რასაც ადგილებზე უშუალოდ თვით აფხაზები უწყობდნენ ხელს. ისინი უხეშად არღვევდნენ იმ დროს არსებულ საპასპორტო რეჟიმს. მაგალითად, 1986-1988 წლებში ოჩამჩირის რაიონში ჩაწერილთა მთელი რაოდენობიდან საქართველოს რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩასულებმა 20 პროცენტი შეადგინა, დანარჩენები ჩამოვიდნენ კრასნოიარსკის, კემეროვოს, სმოლენსკის, მოსკოვის, დონეცკის, ჩელიაბინსკის, ტიუმენის, დნეპროპეტროვსკის, ტომსკის, ამურისა და სხვა ოლქებიდან. ეს ჩაწერები განხორციელდა რაიონის მილიციის უფროსის აფხაზი ე. ახუბას მიერ. ასეთივე ვითარებას ჰქონდა ადგილი აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. კერძოდ, 1983-1988 წლებში ტყვარჩელში საცხოვრებლად საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩავიდა 380, ხოლო სხვა რესპუბლიკებიდან – 1616 კაცი.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის წარმომადგენლები ათასგვარი ცილისწამებით გამოდიან და ყოველად დაუსაბუთებელ და დაუსრულებელ პრეტენზიებს უყენებენ ქართველ ხალხს. მაგალითად, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწარმოო ძალების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე ე. კვარჭია თავის პუბლიკაციაში ბევრ სხვა უზუსტობას შორის შემდეგსაც აღნიშნავს: „ბანა სადმე მსოფლიოში არის იმის პრეცედენტი, სადაც მკვიდრი მოსახლეობა იყოს მთელი მოსახლეობის ერთი მეხუთედზე ნაკლები. ეს, პატიეცემულო ოლეგებო, აფხაზეთში ქართველთა რაოდენობის არა ბუნებრივი, არამედ მექანიკური ზრდის შედეგია".[254]

ამ განცხადების მეორე ნაწილის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ხოლო რაც შეეხება პირველ ნაწილს, აქაც საკმაოა სათქმელი. მსოფლიოს რომ თავი დაეანებოთ, თვით საბჭოთა კავშირში ბევრი პრეცედენტი იყო იმისა, როცა ავტონომიურ ფორმირებაში გაცილებით ნაკლები რაოდენობით ცხოვრობდნენ მკვიდრი ეროვნებები, ვიდრე აფხაზეთში – აფხაზები. მაგალითად, 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით კარელები, რომლებიც კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობაა, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენენ. ასევე ჩუქჩები თავიანთ ავტონომიურ ფორმირებაში 7,3 პროცენტს, ხაკასები – 11,1, ნენები– 11,9, ევენკები – 13,9, ხოლო ხანტები და მანსები მხოლოდ 1,4 პროცენტს უდრიდა. ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ იმის ნათელსაყოფად, რომ ასეთი პრეცედენტი არსებობს, ეფიქრობთ, საკმარისია. ამასთან, რაც მთავარია, ავტორს თუ „დაავიწყდა" ისიც უნდა შეეახსენოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მკვიდრ ეროვნებებზე – ქართველებსა და აფხაზებზე მთელი მოსახლეობის 63 პროცენტი მოდის. მართალია, ასეთი მდგომარეობაც მძიმეა, მაგრამ არც ობიექტურ რეალობაზე უნდა დავსუფთოთ თვალი.

ეფიქრობთ, ქვემოთ მოტანილი ცხრილი კომენტარის გარეშეც საკითხის არსს ნათლად ასახავს. მაგე დროს, გეოლდა რუსეთის ექსტრემისტულ ძალებს, რომლებიც ე. კვარჭიას თანამოაზრეები არიან და რომელთა უშუალო ხელშეწყობით აფხაზეთში სისხლი დაიღვარა, შეეახსენოთ, რომ 1926 წელს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში რუსების რაოდენობა 14 ათას კაცს უდრიდა, ხოლო 1989 წელს 722 ათასს. ძირითადად ამის შედეგად კომელების წილი თავის რესპუბლიკაში 92,3 პროცენტიდან 23,3 პროცენტამდე შემცირდა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, აფხაზი ერის გამრავლებას აღმავალი ხასიათი აქვს. მაშ რაშია საქმე? რა პრობლემები დგას? საქმე ისაა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზებთან და ქართველებთან ერთად, როგორც ენახეთ, დიდი რაოდენობით ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მათი რაოდენობის ზრდა დიდადაა დამოკიდებული თუ რა წილი ეკავება აფხაზეთში საკუთრივ აფხაზებს. აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების ზრდა-გამრავლებასთან ერთად აფხაზეთში იცვლება ეროვნულ ღირებულებათა, ენის, ტრადიციების, ადათ-წესებისა და სხვა ეროვნულ თავისებურებათა მატარებელი ეროვნული ჯგუფების მდგომარეობაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზურ ტრადიციას, აფხაზურ ენას, აფხაზურ წესჩვეულებებსა და ადათს აფხაზეთის ტერიტორიაზე თანაცხოვრება უსდება ამ ეროვნების ტრადიციებთან, ენებთან, ადათთან და ა.შ. რაც, ცხადია, სრულიად განსხვავებულ სურათს ქმნის თავისი პრობლემებით, პლუსებითა და მინუსებით.

კარელიის, კომის, იაკუტიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხანტი-მანსის ავტონომიური ოკრუგის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით

	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
კარელიის ა[255]						
კარელები	101	37,4	85	13,1	79	10,0
რუსები	154	57,0	413	63,4	581	73,5
დანარჩენი	15	5,6	153	23,5	130	16,5
მოსახლეობა სულ	270	100	651	100	790	100
კომის ა[255]						
კომელები	191	92,3	245	30,4	291	23,3
რუსები	14	6,8	390	48,4	722	57,7
დანარჩენი	2	0,9	171	21,2	238	19,0
მოსახლეობა სულ	207	100	806	100	1251	100
იაკუტიის ა[255]						
იაკუტელები	212	84,8	226	46,4	365	33,4
რუსები	28	11,2	215	44,2	550	50,3
დანარჩენი	10	4,0	46	9,4	179	16,3
მოსახლეობა სულ	250	100	487	100	1094	100
ხანტი-მანსის ა[255]						
ხანტები	-	–	11	8,9	12	0,9
მანსები	-	–	6	4,7	7	0,5
რუსები	-	–	90	72,6	848	66,2
უკრაინელები	-	–	4	3,3	148	11,6
დანარჩენი	-	–	13	10,5	267	20,8
მოსახლეობა სულ	-	–	124	100	1282	100
აფხაზეთის ა[256]						
აფხაზები	51	25,6	61	15,1	93	17,8
ქართველები	72	35,8	158	39,0	240	45,7
რუსები	12	6,0	87	21,4	75	14,2
სომხები	25	12,5	64	15,9	77	14,6
დანარჩენი	41	20,4	35	8,6	40	7,7
მოსახლეობა სულ	201	100	405	100	525	100

ახლა ყურადღება შემდეგ ფაქტსაც უნდა მივაპყროთ. 1989 წელს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის საწარმოებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელთა ეროვნული შემადგენლობა ასეთია: კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელმძღვანელთა მთელ რაოდენობაში 9 პროცენტია მკვიდრი მოსახლეობა, ე.ი. კარელები. კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში კი კომელებს ხელმძღვანელ თანამდებობათა მხოლოდ 18,3 პროცენტი უკავია. მაშინ როდესაც კომელები თავიანთ რესპუბლიკაში მთელი მოსახლეობის 23,3 პროცენტს შეად-

გენენ. მარიელებისათვის კი ეს მაჩვენებელი შესაბამისად 26,4 და 43,2 პროცენტს უდრის.[257] ეფიქრობთ, საჭირო აღარაა ასეთი ფაქტების დასახელების გაგრძელება. რა თქმა უნდა, ასეთი თანაფარდობა სულაც არ მიგვაჩნია მართებულად, მაგრამ არც ისაა მართებული, როდესაც აფხაზეთში აფხაზებს მათ წილთან შედარებით გაცილებით მეტი ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ. ამდენად ანაქრონიზმად ისმის ე. არძინბასა და სხვათა მიერ გაზეთ „სახალხო განათლებაში" (26 აპრილი 1990 წ.) შემდეგი დაჩივლება: „უპრეცენდენტო კომპანია გაჩაღდა საქართველოში, რათა აფხაზ პირთა მიერ დაკავებული ყველა თანამდებობა გამოთავისუფლდეს, ქართველი ერი შეგნებულადაა ჩართული აფხაზ ხალხთან კონფლიქტში იმგვარად, რომ ირღვევა ამ უკანასკნელთა ადამიანური უფლებები". თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გავითვალისწინებთ, საკითხავი მხოლოდ ერთი რამ რჩება: სად ან როდის მოითხოვა ქართველმა ხალხმა აფხაზთა მიერ დაკავებული ყველა თანამდებობის გამოთავისუფლება. სიმართლე თუ გვინდა ეთქვათ, ამ მხრივ სწორედ ქართველი ხალხისა და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ხალხების ადამიანური უფლებები ირღვეოდა. და თუ გულახდილი ვიქნებით, ამ საკითხის სწორად და დროულად გადაწყვეტა ბევრ მწვავე პრობლემასაც მოხსნიდა.

ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი. ამის შესახებ გარკვეით აღნიშნავს პოლ ჰენზი თურქეთის ჟურნალ „იენი ფორუმში". „საბჭოური სისტემის პერიოდში, ყველა მაღალი თანამდებობა, პროპორციულობის უგულვებელყოფით, აფხაზებს ეკავათ. მათ სურთ ამ პრაქტიკის გაგრძელება, თუმცა იციან, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ამის განხორციელება გაძნელდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქართველები შეადგენენ. ძნელია აგრეთვე ისეთი დემოკრატიული ფორმულის გამონახვა, რომელიც მოსახლეობის 17 პროცენტს მთელი ტერიტორიის დომინირების უფლებას მისცემდა. ასე რომ, აფხაზი ლიდერები დიდად არ არიან დაინტერესებული დემოკრატიით. ისინი ლაპარაკობენ უმცირესობათა უფლებებზე. აფხაზი სეპარატისტი ლიდერები პროფესიით ძირითადად ფილოლოგები, ისტორიოსები და არქეოლოგები არიან. მათ შორის არავინ შემხვედრია ეკონომიკის ან სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი".[258] ძნელია რაიმეს დამატება, მაგრამ იმის აღნიშვნა კი საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში ხელისუფლების სათავეში მოსული ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ამბიციურმა და ემოციურმა კრეტინიზმმა რაოდენ დიდი მორალური ტრამვა და მატერიალური ზარალი მიაყენა მთელ საქართველოს და მის ისტორიულ კუთხეს — აფხაზეთს.

სეპარატისტული ძალები აფხაზეთში ყოველმხრივ ცდილობენ საქართველოს ერთიანი ორგანიზმის დაშლას, ანტიქართული განწყობილების გაღვივებას. ამისათვის ისინი უართოდ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და განსაკუთრებით პრესას. ყველაზე აგრესიული როლი ამ საქმეში ითამაშა გუდაუთის რაიონულმა გაზეთმა „ეზიფმა". ეს გაზეთი სიამოვნებით უთმობდა ადგილს მათ, ვინც არაფერს იშურებდა ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბებისათვის. ამ გაზეთის რედაქტორის მოადგილე ა. ეოზბა დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენი გაზეთი მცირეკალიბრიანი იარაღია, მაგრამ ნამეტანი არტყამს, პირდაპირ თვალში და არა წარბშიო".[259] ასეთი ცინიზმით იყო გაჟღენთილი ყველა მათი პუბლიკაცია.

ჩვენ ზემოთ გაეანალიზეთ აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნეში. ახლა ვნახოთ თუ რა ცვლილებები მოხდა ამ მხრივ XX საუუუნეში (იხ. ცხრილი).

როგორც ეხედავთ, ძირითადი ცვლილებები აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მოხდა 1926-1939 წლებში — მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველებისა და აფხაზების წილი, ხოლო სამაგიეროდ ასევე მნიშვნელოვნად გადიდდა რუსებისა და სომხების წილი მთელ მოსახლეობაში. სულ რაღაც 13 წლის მანძილზე რუსები აფხაზეთში თითქმის 5-ჯერ, ხოლო სომხები — 2-ჯერ გაიზარდა.

	126 წ.		1939 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	71954	35,8	91967	29,5	158221	39,1	199595	41,0	213322	43,9	239772	45,7
აფხაზი	51458	25,6	56197	18,0	61193	15,1	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
სომეხი	25677	1,6	49705	15,9	64425	15,9	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	12553	1,8	60210	19,3	86715	21,4	92889	19,1	79730	15,4	74914	14,3
ბერძენი	14045	3,1	34621	11,1	9101	2,2	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სულ მოსახ-ლეობა	201016	100,0	31185	100,0	404738	100,0	486959	100,0	486082	100,0	525061	100,0

ამ პერიოდში ყოველწლიურად აფხაზეთში თითქმის 3600-ით მეტი რუსი შემოდიოდა, ეიდრე გადიოდა. ამავე წლებში, რუსებთან და სომხებთან შედარებით, ქართველები და აფხაზები უმნიშვნელოდ გაიზარდა – შესაბამისად 1,3-ჯერ და 1,1-ჯერ. ასე, რომ მთელ მოსახლეობაში აფხაზების წილის შემცირება 1926-1939 წლებში 25,6 პროცენტიდან 18,0 პროცენტამდე გამოწვეული იყო აფხაზეთში რუსებისა და სომხების დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად სხვადასხვა რესპუბლიკებიდან გადმოსელით. ეს ტენდენცია შემდეგ წლებშიაც შენიმნეოდა. მაგალითად, 1959 წელს რუსების წილი 1939 წელთან შედარებით კიდევ უფრო ამაღლდა და მან აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში 21 პროცენტი შეადგინა. ნაცელად 1,8 პროცენტისა 1926 წელს, ხოლო სომხების წილი შესაბამისად 15,9 და 1,6 პროცენტს უდრიდა.

ყოველივე აღნიშნულის, მოსახლეობის აღწერების მონაცემების უბრალოდ გაცნობის შემდეგ საოცრად ტენდენციური და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ჩანს პროფ. შ. ინალ-იფას დაჩიელება: აფხაზეთში მიზანმიმართული ასიმილატორული პოლიტიკის განხორციელების შედეგად 1959 წელს პირველ ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ გავიდნენ ქართველები.[260] ქართველი რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყვნენ არა მარტო 1959 წელს, არამედ მოსახლეობის ყველა წინა აღწერების მიხედვით. ამასთან, მთელ მოსახლეობაში აფაზების წილის შემცირების მიზეზებზე, ეფიქრობ, საკმაოდ არგუმენტირებული მონაცემები მოვიყვანეთ.

1970 წლიდან რუსების რაოდენობა აფხაზეთში როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით მცირდება, სომხებისა კი დაახლოებით უცვლელი რჩება. ამავე დროს 1959-1989 წლებში ქართველებისა და აფხაზების რაოდენობა თანაბრად იზრდება. ეჭვმოდ, როგორც აფხაზები, ისე ქართველები ამ პერიოდში 1,5-ჯერ გაიზარდა. ამავე დროს, აფხაზების ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელები, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში უკეთესია, ეიდრე სხვა ეროვნებების ანალოგიური მაჩვენებლები. მაგალითად, 1990 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აფხაზეთის აეტონომიურ რესპუბლიკაში 13,7 პრომილეს უდრიდა, ანუ მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე ამ წელს 13,7 ახალშობილი მოდიოდა. საკუთრივ აფხაზებში კი ამ მაჩვენებელმა 16,2 პრომილე შეადგინა, ქართველებში – 14,7, სომხებში – 13,8, ხოლო რუსებში – მხოლოდ 9,6 პრომილე. ამასთან, აფხაზებში გაცილებით დაბალია მოკედაობის მაჩვენებელი, ეიდრე სხვა ეროვნებებში. შობადობის მაღალი და მოკედაობის დაბალი დონის პირობებში აფხაზებში, სხვა ეროვნებებთან შედარებით, მაღალია ბუნებრივი მატება. თუ მთლიანად აფხაზეთში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 1990 წელს ბუნებრივი მატება 5,8 კაცს შეადგენდა, აფხაზებში ეს მაჩვენებელი თითქმის ზუსტად ორჯერ მაღალი იყო. შობადობა და ბუნებრივი მატება ასევე მაღალი იყო აფხაზებში სხვა წლებშიც. მაგალითად, 1986 წელს ახალშობილთა მთელ რაოდენობაში აფხაზების წილი 19,0 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1987 წელს – 19,2 პროცენტს. ამავე დროს აფხაზების წილი მთელ მოსახლეო-

ბაში 18,0 პროცენტსაც ვერ აღწევდა. ამასთან, აღსანიშნაია, რომ 1985 წელს აფხაზეთის მოსახლეობის მთელი ბუნებრივი მატების 25,1 პროცენტში აფხაზების წილად მოდიოდა, ხოლო 1986 წელს — 24,2 პროცენტი.

ამრიგად, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე აფხაზი მოსახლეობის რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ამასთან, აფხაზი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი იყო.

რატომ აყალბებენ აფხაზი სეპარატისტები ისტორიას. აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი, ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. იგი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით შუდამ საერთო ქართულ სამყაროს განეკუთნებოდა და საქართველოს ისეთივე ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხე იყო, როგორც ქართლი, კახეთი, ეგრისი, სამცხე, ტაო და სხვ. მეათე საუკუნის მემატენის სიტყვებით რომ ეთქვათ, აქ „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირეოდა და ლოცვაი ყოველი აღესრულებოდა". და ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან აფხაზეთში უხსოვარი დროიდან ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. ამას უცილოდ ადასტურებს ძველი ბერძნული და ქართული, უფრო მოგვიანებით კი, ბერძნულის გარდა, სხვა უცხოური წყაროებიც. სხვა ქართულ კუთხეებთან ერთად აფხაზეთი აქტიურად იღვწოდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის, უფრო მეტიც, სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანებისა და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა XI საუკუნეში.

XVI-XVII საუკუნეებში უცხოელი დამპყრობლების გამუდმებული შემოსევებისაგან დასუსტებული და პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითებული ერთიანი საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. სწორედ ამ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე იქმნება ახალი ეთნიკური ერთეული, რომელიც წარმოიშვა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ერთ-ერთი ადიღეურ-ჩერქეზული ტომის — აფსუეების შერევის შედეგად, რომლებმაც მიიღეს ადგილობრივი, ძირძველი ეთნიკური ტომის სახელწოდება — „აფხაზი". ისინი საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად. სამაგალითო იყო მათი ურთიერთობა, ერთმანეთის პატივისცემა, ლხინსა და ჭირში თანაზიარობა.

ამ მშვიდობიან თანაცხოვრებას მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენეს აფხაზმა ექსტრემისტებმა და სეპარატისტულმა ძალებმა შინაური და გარეშე მტრების წაქეზებით და ხელშეწყობით. მათ უდიდესი უბედურება დაატეხეს თავს აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობას, განსაკუთრებით ქართველობას. მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ჩადენილი დანაშაულიც კი გაუერმართალდა მათი ნამოქმედარის წინაშე: საომარ კონფლიქტში დაღუპული ათასობით ადამიანი, სასტიკი წამებით დახოცილი უამრავი უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრები, ხშირად მშობლებისა და ახლობლების თვალწინ ქალებისა და გოგონების გაუპატიურება, თაეის მოკვეთა, უმწეო მოხუცების ადგილზე დახვრეტა, ადამიანთა სასიკვდილოდ დაჭრა მათი სისხლის დასალევად და ბოლოს 300 ათასი კაცის გამოდევნა — აი იმ დანაშაულთა არასრული ნუსხა, რომლებიც აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დამქაშებმა ჩაიდინეს.

ყოველივე ეს იყო არნახული გენოციდი, ძირძველი ქართული მიწა-წყლის ეთნიკური წმენდა. XX საუკუნის მიწურულს ცივილიზებული კაცობრიობის თვალწინ ასეთი ბარბაროსობა, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა ერთი მუჭა ფაშისტური ხროვა, რომ მისთვის გარეშე რეაქციულ ძალებსაც არ დაეგზავნათ მხარი. ასეთი ფართო მასშტაბის წინასწარგამიზნული სისხლისღვრა შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის ამუშავების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მასების დამუშავება სიცრუის და დემაგოგიის გზით ხდება. ცხადია, გამონაკლისი არც აფხაზი სეპარატისტები ყოფილან.

განსაკუთრებული ცილისწამებით გამოირჩევიან აფხაზი სეპარატისტები ქართველების მიმართ. მათ შეცდომაში შეყავთ თავიანთი თანმამულენი, თითქოსდა ქართველები აეიწროებდნენ მათ ენას, ლიტერატურას, საერთოდ აფხაზურ კულტურას, ხელს უშლიდნენ აფხაზური სკოლების განვითა-

რებას, ცდილობენ დაარწმუნონ თეისტომნი, რომ აფხაზეთში ისტორიულად მხოლოდ აფხაზები ცხოერობდნენ, ხოლო ქართველები ყოველმხრივ აფერხებდნენ აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ დროს პირიქით, სწორედ საწინააღმდეგო ეითარებასთან გვქონდა საქმე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას უსაზღვროდ პრივილეგირებული პირობები ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნულ-სახელმწფიოებრივ წარმონაქმნებთან შედარებით. აფხაზეთი ერთადერთი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, რომლის კონსტიტუციით აფხაზური ენა გამოცხადებული იყო სახელმწიფო ენად, ხოლო მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება უაღრესად სწრაფი ტემპებით ხორციელდებოდა.

აფხაზეთი, რომელიც საუკუნის დასაწყისში ჩამორჩენილი პატრიარქალური, წერილსასაქონლო, ნატურალური მეურნეობის მხარე იყო, მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და კულტურის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაიქცა. თუ 1922 წელს აქ მხოლოდ 7 მეცირე სიმძლაერის სამრეწველო საწარმო მოქმედებდა, სადაც ასამდე კაცი მუშაობდა, 1922-1989 წლებში 100-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო აშენდა, შეიქმნა თანამედროვე სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, ხე-ტყის დამუშავების, საშენი მასალების წარმოება, მსუბუქი და კვების მრეწველობა, აგრეთვე მძიმე მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება და ელექტროენერგეტიკა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა და არსებითად ამაღლდა მისი ტექნიკური დონე, შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მემცენარეობა, განვითარდა მეთამბაქოება და მეენახეობა-მებაღეობა. დარგის დიდ პოტენციალზე მეტყველებდა ის, რომ აფხაზეთზე მოდიოდა საქართველოში წარმოებული ციტრუსების 40 პროცენტი, ჩაის – 19, თამბაქოს – 30 პროცენტი.

აფხაზეთის ეკონომიკის ასეთი ფართო მასშტაბით განვითარება, ბუნებრივია, მოითხოვდა დიდ კაპიტალურ დაბანდებებს, რისი უზრუნველყოფაც ხდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1951-1989 წლებში ავტონომიურ რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებისათვის 4 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება გამოიყო.

სულ უფრო მეტი სახსრები გამოიყოფოდა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად. საკმარისია ითქვას, რომ 1981-1989 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა 4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო საცხოერებელი ფართობი. საკმსლუატაციოდ გადაეცა ზოგასაგანმანათლებლო სკოლები 82 ათასი მოსწავლისა და სკოლამდელი დაწესებულებები 8,7 ათასი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მეტი საბიუჯეტო სახსრები იხარჯებოდა, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. ამავე დროს, უფლადი შემოსავლები, საყოფაცხოერებო მომსახურებისა და საკონსლბრუნვის მოცულობა გაცილებით მაღალი იყო მოსახლეობის ერთ სულზე აფხაზეთში, ვიდრე საშუალოდ ქეეყანაში.[261]

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის აფხაზეთი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ენის, ისტორიის განვითარების მხრივ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, სრულიად უსაფუძველო იყო აფხაზ სეპარატისტთა დაუსაბუთებელი ბრალდებები აფხაზური ენის, ლიტერატურის, საერთოდ აფხაზური კულტურის შეეფწრეობის, აფხაზური სკოლების განვითარებისადმი უყურადღებობის თაობაზე. არ შეიძლება აქ ისიც არ ითქვას, რომ ამ საკმეში აფხაზ სეპარატისტებს ყოველთვის გეერდში ედგა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. წლების განმაელობაში განსაკუთრებით რუსული პრესა, როგორც წესი, ცალმხრივად, ტენდენციურად, აშკარად არაკეთილმოსურნე პოზიციებიდან აშუქებდა აღნიშნულ პრობლემებს, აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობებს. სანლილითაც რომ ვეკებოთ, ერთი მასალაც არ მოიძებნება ქართველების მიმართ კეთილად რომ იყოს განწყობილი. და ეს ყველაფერი შეგნებულად და წინასწარგანზრახულად კეთდებოდა. სწორედ ყოველიეე ამან

იდეოლოგიური ნიადაგი მოუმზადა 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას და მსოფლიო საზოგადოებრიობას მეტად არასწორი წარმოდგენა შეუქმნა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მაინც როგორი იყო აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების მიერ წამოწყებული ბრალდებები და როგორი იყო სინამდვილე?

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ „აფერხებდა“ საქართველო მისი ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას. ახლა სხვა მითისა და რეალობას შეეეხოთ.

აფხაზი სეპარატისტები, რომლებსაც კეერს უკრავეს რუსული პრესა, დაჟინებით იმეორებენ, რომ აფხაზეთი 1921 წლიდან იყო საბჭოთა სოციალისტური რესუბლიკა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში და იგი 1931 წელს უკანონოდ გადააკეთეს ავტონომიურ რესუბლიკადო. ისინი საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს აფხაზეთი ისეთივე სოციალისტური რესუბლიკა იყო, როგორც რუსეთი, უკრაინა, საქართველო, სომხეთი და სხვა რესუბლიკები. ამასთან, ცნობილია, რომ რევოლუციის შემდეგ დაუსაბუთებლად მრავალი საბჭოთა რესუბლიკა შეიქმნა, რომლებიც შემდეგ გაუქმდა.

ასე რომ, აფხაზეთი ამ მხრივ, გამონაკლისი რიდი იყო. მაგალითად, 1918 წელს უკრაინის ტერიტორიაზე შეიქმნა დონეცკ-კრიეოი-როგის საბჭოთა რესუბლიკა, რომელიც რსფსრ-ში შედიოდა, ამავე წელს შეიქმნა სტავროპოლის, ყუბან-შაეი ზღვის, ჩრდილოეთ-კაეკასიის რესუბლიკები, რომლებიც შემდეგ გაუქმდა. 1920 წელს რსფსრ შემადგენლობაში შეიქმნა კარელიის შრომის კომუნა, რომელიც 1928 წელს გადაკეთდა კარელიის ასსრ რესუბლიკად, 1940 წელს იგი გახდა კარელია-ფინეთის სსრ, ხოლო 1956 წელს – ისევ კარელიის ასსრ. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სსრ ამ სტატუსს თავიდანვე ვერ იმსახურებდა იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა რაოდენობრიეად აფხაზებზე გაცილებით მეტი იყო; მაგრამ ესეც რომ არ იყოს, იმ დროს დამკვიდრებული პრაქტიკით, საბჭოთა რესუბლიკის სტატუსის მისანიჭებლად მისი მოსახლეობა მილიონზე მეტი უნდა ყოფილიყო. თეით მაშინდელი აფხაზეთის პარტიულ ხელმძღვანელობასაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა დროებით ღონისძიებად მიაჩნდათ. ასე რომ, აფხაზეთის საბჭოთა რესუბლიკის შექმნის შესახებ მილებული არასწორი გადაწყეეტილება თავის დროზე სამართლინად გაუქმდა.

ასევე არ შეეფერება სინამდვილეს აფხაზების ბრალდება ქართველების მიერ აფხაზური ენისა და ლიტერატურის შეეიწროების შესახებ. საკმარისია მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიტანოთ. აფხაზური ლიტერატურა გაცილებით მეტი რაოდენობით გამოიცემოდა, ეიდრე საბჭოთა კაეშირში მცხოვრები სხვა რომელიმე ეროვნების ლიტერატურა. ყოველ 10 ათას აფხაზზე 1988 წელს 4,3 დასახელების მხატერული ლიტერატურა გამოიცა, თითქმის 15-ჯერ მეტი, ეიდრე რუსული ლიტეტარატურა ყოველ 10 ათას რუსზე. 21,5-ჯერ მეტი, ეიდრე უკრაინული, 43-ჯერ მეტი, ეიდრე უზბეკური და ა.შ. ეს მარტო 1988 წელს როდი შეეხება. მრავალი ათეული წლის მანძილზე ამ მხრივ აფხაზური ლიტერატურა პირველობას არავის უთმობდა. დიდი იყო აფხაზურ ენაზე გამოცემული ლიტერატურის ტირაჟიც. ყოველ 10 ათას აფხაზზე 40 ათასი ეგზემპლიარი აფხაზური წიგნი მოდიოდა, მაშინ როდესაც ყოველ 10 ათას ქართველზე გამოცემული წიგნების რაოდენობა 28 ათას ცალს არ აღემატებოდა. ამ მაჩეენებლით აფხაზ მოსახლეობას მეოთხე ადგილი ეკავა ესტონელების, რუსებისა და ლატეიელების შემდეგ.[262]

რამდენად სწორია ქართველების მიერ აფხაზური სკოლების შეეიწროება? ეფიქრობთ, აქაც საკმარისია ერთი მაგალითის მოტანა. ჩრდილო კაეკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ჩრდილო ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებში არც ერთი ეროვნული სკოლა არ არსებობდა და მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშეი რუსულ ენაზე სწაელობდა,[263] მაშინ როდესაც აფხაზეთში 1976-1977 სასწავლო წელს 25 აფხაზური სკოლა, 1989-1990 სასწაელო წელს 73 აფხაზური სკოლა ფუნქციონირებდა.

ზემოთ აღინშნულ მონაცემებს თუ გაეანალიზებთ, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ავტონომიური რესუბლიკა, მართლაც, შეუდარებლად პრიეილეგირებულ მდგომარეო-

ბაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ლინა კეარჩელია, რომელმაც 1996 წელს ამერიკაში მიწვეულისას პარვარდის უნივერსიტეტსა და ამერიკის დაინტერესებულ წრეებში გაავრცელა თითქმის მთლიანად გაყალბებული მოვლენებისა და პროცესების ამსახველი თავისი საკმაოდ ერცელი სტატია, წერს: „ქართველი პოლიტიკანები ხშირად ირწმუნებიან, რომ აფხაზეთს უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს შემადგენლობაში, ვიდრე რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას ჰქონია რუსეთის ფედერაციაში. ამ იდეის გასამყარებლად ისინი აცხადებენ, რომ აფხაზებს, რომელთა რიცხვი 1978 წლის თანახმად მოსახლეობის 17 პროცენტამდე შემცირდა, ჰქონდათ არაპროპორციულად დიდი წილი სახელმწიფო პოსტებზე. მასთან, ისინი თავს არიდებენ იმ ფაქტს, რომ ყველა მაღალი თანამდებობის აფხაზი პირი თბილისიდან ინიშნებოდა“.[264] რაც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ იმ მონაცემებით აფხაზეთი პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, მაშინ რაღას ეთქმის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა?

რაც შეეხება სახელმწიფო პოსტებზე აფხაზი ეროვნების დიდ წილს, ამას არც თვით ავტორი უარყოფს, მაგრამ მას „ავიწყდება“ ელემენტარული ჭეშმარიტება, როდესაც აცხადებს: ყველა მაღალი თანამდებობის აფხაზი პირი თბილისიდან ინიშნებოდაო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კადრების დანიშვნის ასეთი პრაქტიკა ყოფილ საბჭოთა კავშირში საერთოდ იყო მიღებული, გამონაკლისიც კი არ არსებობდა. იგივე თბილისში, ან კიევში, საერთოდ უკრაინაში, სომხეთში, ყაზახეთში და უკლებლივ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მაღალი თანამდებობის პირი მოსკოვში არ ინიშნებოდა? უფრო მეტიც, როდესაც თბილისი მაღალი თანამდებობის პირს სოხუმში ნიშნავდა (ამტკიცებდა), ეს საკითხი თუ უშუალოდ მოსკოვში არ იყო გადაწყვეტილი, მოსკოვთან აუცილებად უნდა შეთანხმებულიყო. ამ საკითხში რაიმე პრეცედენტი არ ახსოვს 70-წლიან კომუნისტურ რეჟიმს, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირში შემუშავებული იყო ხელმძღვანელი ნომენკლატურული კადრების დანიშვნის ერთიანი პარტიულ-სახელმწიფოებრივი სისტემა.

საჭიროა ის საკითხიც გაირკვეს, თუ რატომ მაინცდამაინც მთელს მოსახლეობაში აფხაზების დაბალი წილის გამო ტეხდნენ აურზაურს აფხაზურ და რუსულ პრესაში? ცნობილია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ავტონომიურ ფორმირებებში ამ მხრივ საქმე მართლაც საგანგაშო იყო. მაგრამ ამის შესახებ კრინტსაც არაჟღერებენ. აგალითად, კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1926-1989 წლებში რუსების რაოდენობა 154 ათასიდან 581 ათასამდე გაიზარდა, ხოლო ძირითადად ამის გამო კარელების წილი მთელ მოსახლეობაში 37-დან 10 პროცენტამდე შემცირდა. ამავე პერიოდში კომის ასსრ-ში რუსების რაოდენობა 14 ათასიდან 722 ათასამდე, ანუ 32-ჯერ გაიზარდა, მკვიდრი მოსახლეობისა კი 92-დან 23 პროცენტამდე შემცირდა. მარტო 1959-1989 წლებში რუსების რაოდენობა ხანტი-მანსის ავტონომიურ ოლქში 90 ათასიდან 848 ათასამდე გაიზარდა, რის შედეგადაც ხანტებისა და მანსების წილი მთელ მოსახლეობაში ერთ პროცენტსაც ვერ აღწევდა და შესაბამისად 0,9 და 0,5 პროცენტს უდრიდა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო ზოგიერთ სხვა ავტონომიურ ფორმირებაშიც.

ახლა სამართლიანი იქნება ასე დავსვათ კითხვა: ნუთუ კარელებს, კომელებს, ხანტებსა და მანსებს არ აწუხებთ თავიანთი მომავალი, ან რუსული პრესა არ უნდა გამოეხმაუროს ამ, მართლაც, მწვავე პრობლემას? მაინცდამაინც აფხაზებს რატომ გამოუჩნდნენ ასეთი „მზრუნველები?“ პასუხი ერთია: გარკვეულ ძალებს აინტერესებთ არა აფხაზების ბედი, არამედ ის, რომ საქართველოში შექმნან დესტაბილიზაცია, თავის ნებას დაუქვემდებარონ აქ მიმდინარე მოვლენები და პროცესები.

ახლა, ბუნებრივია, ვიკითხოთ, ასე თავგამოდებით აფხაზები რატომ ავრცელებენ უსაფუძვლო აზრს, თითქოს აფხაზეთში მოსახლეობის უმრავლესობას აფხაზები შეადგენდნენ? ან რატომ აღნიშნავენ საგანგებოდ იმ მოგონილ ამბავს, თითქოს აფხაზეთში ასი ათასობის აფხაზი ცხოვრობდა და ასევე ასი ათასობით გადასახლდა გასულ საუკუნეში თურქეთში? მაშინ რატომ ტეხენ ამდენ აურზაურს ქართველი მოსახლეობის ზრდის შესახებ, როდესაც აფხაზეთში მცხოვრები სხვა ერების ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია.

საქმე ის არის, რომ რაგინდ ბევრნიც

უნდა ცხოვრობდნენ აფხაზეთში სხვა ერის წარმომადგენლები, მათ არასოდეს არ ექნებათ პრეტენზია მკვიდრ მოსახლეობაზე. და თუ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ აფხაზები არიან, მათი აზრით, ადვილია საქართველოდან გამოყოფა. ისინი მოითხოვენ „აფხაზეთი დაუბრუნდეს კავკასიის ფედერაციას, ხოლო კავკასიის ფედერაციას დაუბრუნდეს მისი დედაქალაქი სოხუმი". მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ სოხუმი არასოდეს ყოფილა კავკასიის ფედერაციის დედაქალაქი, რომ სოხუმი უძველესი დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული და აფხაზეთის დედაქალაქის ორიენ სახელწოდების (დიოსკურია, ცხუმი) შემოქმედი თავის დროზე მხოლოდ ქართულ-მეგრულ-ზანური და სვანურენოვანი მოსახლეობა იყო, ისინი არაფერს ამბობენ არც იმაზე, თუ რას წარმოადგენდა ეს არარსებული თვითმარქვია კავკასიის ფედერაცია. ქართველი ხალხის პოზიცია კი ამ საკითხში ცნობილია — იგი არასოდეს არავის მისცემს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უფლებას.

ისტორიის დამახინჯება, მისი ფალსიფიცირება არ ემსახურება არც ქართველი და არც აფხაზი ხალხების ინტერესებს. იგი ხელს არ უწყობს ერებს შორის ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობების განვითარებას, აღვივებს მავნე, ფსევდოპატრიოტულ გრძნობებს, თესავს უნდობლობას და მტრობას ერებს შორის, რასაც სიკეთე არასოდეს და არავისთვის მოუტანია.

მართალია, ძნელია ყველაფრის დაეიწყება, მაგრამ „რაც იყო — იყო, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად". მთავარი ის არის, რომ ქართველი ხალხი არ აერთიანებს აფხაზი ექსტრემისტების „ნამოღეაწარს" აფხაზ ხალხთან და მას სურს დაიჯეროს, რომ ის რაც მოხდა არ გამოხატავს აფხაზი ხალხის საერთო განწყობას.

ლიტერატურა

[1] მ. ლორთქიფანიძე. არა უწყიან, თუ... გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 16 თებერვალი, 1990.
[2] საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1996, გვ. 21.
[3] გ. ანჩაბაძე. აფხაზები. იხილეთ: ეთნოსები საქართველოში, თბ., 2008, გვ. 55, 296.
[4] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ., 2007, გვ. 354.
[5] Сборник статистических сведений о кавказе, т.1, Тифлис, 1869, с.39.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ., 1007, გვ. 13.
[9] Сборник сведения о Кавказе, т.9, Тифлис, 1885, с.98.
[10] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 283.
[11] იქვე, გვ. 609.
[12] იქვე, გვ. 611.
[13] ნ. ბერძენიშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 614-615.
[14] Гогия Б. Абхазия – историческая провинция Грузии (Географические карти свидетедъствуют). Париж – Тбилиси, 2005, с.13.
[15] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 235.
[16] Гогия Б. დასახელებული ნაშრომი, გვ. 12.
[17] Гогия Б. დასახელებული ნაშრომი.
[18] Гогия Б. დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.
[19] ზ. რატიანი. სამშობლო სად და როდის მოიპოვეს ქაშაგ-ჩერქეზებმა. გაზ. „დიოსკურია", № 52, 2008.
[20] Очерки история Абхазской АССР, ч.1, с.218-219.
[21] ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. 4, თბ., 1955, გვ. 200.
[22] იქვე, გვ. 201.
[23] ი. გოგებაშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 173.
[24] გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ", № 7, 1998.
[25] ე.ფ. გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 78.

[26] ა. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I, თბ., 1949, გვ. 727.
[27] მაგალითად, 1836-1838 წლებში გარნიზონის 659 კაციდან საშუალოდ წელიწადში 154 კაცი ილუპებოდა, ანუ თითქმის მთელი გარნიზონი ოთხ წელიწადში.
[28] Дьячков-арасов А. Н. Абхазия и Сухуми в XIX столетии. Извустия Кавказского отдела Императорского русского Географического общуства, т. XX (1909-1910), № 2, Тифлис, с. 154-155.
[29] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ., 1981, გვ. 141.
[30] მორის ვაგნერი საქართველოს შესახებ, თბ., 2002, გვ. 19.
[31] ნ. ლომოური. ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის. თბ., 2008, გვ. 13.
[32] Гулия Д. История Абхазии, т. 1, Тифлис, 1925.
[33] Ашхацава С.М. Пути развития абхаской истории. Изд. Наркомпроса Абхазии, 1925.
[34] ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი", № 1, 1925, გვ. 46-50.
[35] А.Фадеев. Краткий очерк истокии Аюхазии, часть первая, Сухуми, 1934, с. 9-17.
[36] დ. გულია. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.
[37] იქვე, გვ. 112-113.
[38] Атлас мира. М., 1989, с. 230.
[39] იქვე, გვ. 207.
[40] ჟ. გულია, დასახ, ნაშრომი, გვ. 125-126.
[41] ეკონომიკა, ტ. III, თბ., 1972, გვ. 295-322.
[42] იქვე, გვ. 126-132.
[43] იქვე, გვ. 86.
[44] იქვე, გვ. 87.
[45] ს. მაკალათია, რეცენზია დ. გულის წიგნზე. ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი", . 1, 1925, გვ. 47.
[46] ციტირებულია: ს. მაკალათია, რეცენზია ს. აშხაცავას წიგნზე. გვ. 49-50.
[47] ციტირებულია ა. ფუდეევის დასახელებული ნაშრომის წინასიტყვაობიდან. გვ. 8.
[48] Тиал-Ипа Ш. Д. Абхазы. Сухуми, 1965, с.16.
[49] Гумба М.М. Абхазия в первом тысячелетии н.э. Сухуми, 1989, с.18.
[50] Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тбилиси.1967, с. 12.
[51] Там же, с.12-13.
[52] Там же, с.25, 30.
[53] С. Лакоба. Крылились дни в Сухум-Кале... Сухуми, 1988, с.13.
[54] მ. ლორთქიფანიძე, არა უწყიან, თუ... გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 16 თებერვალი, 1990.
[55] З.В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976, с. 19.
[56] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 173.
[57] აპოლონის როდოსელი, არგონავტიკა, აკ. გელოვანის შესავალი წერილი. თბ., 1975, გვ. 22-23.
[58] იქვე, გვ. 113.
[59] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 49.
[60] გეორგიკა. ტ. VII, თბ., 1967, გვ. 32, 37.
[61] ციტირებულია: ო. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხეთის კულტურა. თბ., 1972, გვ. 26.
[62] ო. ლორთქიფანიძე. ქართული ციეილიზაცია. საიდან იწყება მისი ისტორია? იხ. ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო, ბიულეტენი № 3, თბ., 1994, გვ. 26.
[63] ზ. ანჩაბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
[64] მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. „მაცნე", ისტორიის სერია. № 1, 1992, გვ. 9.
[65] Д.И.Гулия. Сухум не диоскурия. Труды Абхазского научно-исследовательского института краеведения, Выпуск второй, Сухум, 1934, с.87.
[66] ა. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 135, 136.
[67] ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ „ეენიოზის" წარმომაელობისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1975, № 1, გვ. 115-124.
[68] ნ. ლომოური. ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის. თბ., 2008, გვ. 48-51.
[69] ნ. ლომოური. როგორ უნდა გვესმოდეს ეთნონიმი „აფხაზი"? გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 7 აპრილი, 1989.
[70] იქვე.
[71] გეორგიკა. ტ. III, გვ. 236.

72 გ. გასეიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 198-212.
73 თ. გამყრელიძე. „აფხაზ-აბაზგი“ და „აბაზა-აფსუა“. გაზ. „ერი“, 10 აპრილი, 1991.
74 იქვე.
75 ციტირებულია: მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1992, გვ. 55.
76 თ. გამყრელიძე. ქართული სახელმწიფოებრიობა, აღმოსავლური ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 2, 2001.
Гамкрелидзе Т. Иванов В. Индоевропейский язык и индоевропейцы. Тбилиси, 1984, ж. 904=905, თ. გამყრელიძე, „აფხაზ-აბაზგ-ი და „აბაზა-აფსუა“. გაზ. „ერი“, 10 აპრილი, 1991; მისივე. „ოქროს საწმისი“ და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? გაზ. „ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998.
77 ა. ონიანი. სახელწოდებათა აფსილი-აფსუა ურთიერთმიმართების შესახებ. გაზ. „მთაწმინდა“, № 10, 1997.
78 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 427.
79 ჰ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 130.
80 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 305.
81 ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1981, გვ. 279-280.
82 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 215-217.
83 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 608.
84 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 96, 137.
85 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 65.
86 იქვე, გვ. 182.
87 იქვე, გვ. 229.
88 იქვე, გვ. 49:
89 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 455.
90 ქართული პროზა. წიგნი I, თბ., 1981, გვ. 243-244.
91 ციტირებულია: ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 12.
92 ЦГАДА. Ф. 110, О. 1703, Е. 2, Л.1.
93 სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. I, თბ., 1959, გვ. 231.
94 ციტირებულია გაზ. „ოქროს საწმისი“, № 2, 1990.
95 ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 192.
96 იქვე, გვ. 164.
97 მ. დელბა, დიმიტრი გულია, თბ., 1949, გვ. 34.
98 ციტირებულია: თ. მიბმუანი. დიმიტრი გულია აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 22-29 ნოემბერი, 1996.
99 ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 342.
100 ალ. მუსიბბის ხელნაწერში დადიანის მაგიერად შეცდომით დადიმანი წერია.
101 ამ შემთხვევაში ქართლი იგულისხმება.
102 XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, თბ., 1988, გვ. 53.
103 იქვე, გვ. 56.
104 ლუზინიანი, ოსმალეთის პორტის წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია, თბ., 1973, გვ. 24-26, 403, 141.
105 ჟ. ა. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბ., 1988, გვ. 63.
106 მეამედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თბ., 1976, გვ. 21.
107 იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 1.
108 გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. იხ. წიგნში: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“. თბ., 1993, გვ. 133.
109 იაკუთის ცნობები... გვ. 40-41.
110 ციტირებულია გაზ. „ოქროს საწმისი“, № 1, 1989.
111 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბ., 1967, გვ. 23.
112 თ. მიბმუანი. აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 30-31.
113 Л.С. Баранов, Афанасий Никитин - первый русский путешественник в индию, Калинин, 1939, с.74.
114 ციტირებულია: ჰ. ინგოროყვას დასახელებული ნაშრომიდან.
115 ციტირებულია: გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139. Georgraphie d Aboufeda, გვ. 33.

116 იქვე, გვ. 132.
117 თ. მიბჩუანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-32.
118 В.Н.Татищев. Труды, т.2, с.468.
119 Ф.Фадеев. Краткий очерк истории Абхазии, I, Сухуми, 1934, с.51.
120 А.И. Дычков-Тарасов. Бзыпская Абхазия, ИКОРГО, XVIII, Тифлис, 1905, с.65.
121 ციტირებულია: გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 135.
122 ციტირებულია: Н.Ломоури.Некоторые вопросы ранней истории Абхазии. Жур. «Мацне» Серия истории, №3, 1990, с.170.
123 თ. შარაშენიძე, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები. თბ., 1959, გვ. 36.
124 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 214.
125 იქვე, გვ. 215.
126 კ. ლომთათიძე. აფხაზთა ეთნაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. ჟურ. „მნათობი", № 12, 1956, გვ. 138.
127 ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. X, თბ., 1992, გვ. 459.
128 А.С. Хаханов. Древнеишие пределы заселения грузии по Малой Азии. Тифлис, с. 62-63.
129 А.Н. Дычков-Тарасов. Гагра и их окрестности. Тифлис, 1903, с. 36-37.
130 ჯ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
131 ველია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკ. I, თბ., 1971, გვ. 100.
132 იქვე.
133 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 117.
134 ციტირებულია: მ. ბერძენიშვილი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969, გვ. 181, 182.
135 ჯ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 147.
136 ვ. ჯოჯუა. ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა გადმოცემისათვის ბერძენ ავტორებთან. იხ. კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები". წიგნი მეათე, თბ., 1993, გვ. 326.
137 გ. ფიფია. აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხებისათვის, გაზ., „სახალხო განათლება", 8 მარტი, 1990.
138 გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 206.
139 გ. ფიფია. აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო. გაზ. „სახალხო განათლება", 5 ივლისი, 1990.
140 კ. ლომთათიძე. აფხაზთა ეთნაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურ. „მნათობი", № 2, 1956.
141 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.
142 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
143 მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. ჟურ. „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1990, გვ. 52.
144 ჯ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 185.
145 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
146 სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1965, ტ. IV. თბ., 1966.
147 დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
148 ხალხური სიბრძნე, ტ. II, 1963, გვ. 254.
149 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VII, თბ., 1962.
150 ციტირებულია მ. ინაძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 51.
151 ჯ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 185.
152 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
153 იქვე, გვ. 118. ჯ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 184.
154 ლ. სალამანიძე. ე.წ. აფხაზურ-ადიღურ-ჩერქეზულ ელემენტთა შესახებ ქართველურ საკუთარ სახელებში. ჟურნ. „ენთმიადი", № 10, 1990, გვ. 132.
155 მ. ალდუშელიშვილი. ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური თავისებურებანი. იხ. ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო. ბიულეტენი № 1, თბ., 1944, გვ. 17-18.
156 Инал-Ипа Ш.Д. Абхазы. Сухуми, 1965, с.50.
157 ეახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 785.
158 Алексеев В.П. Происхождение народов кавказа. М., 1974, с.194.
159 თ. მიბჩუანი. აფხაზური სპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 15, 82-88.
160 ზ. ჭუმბურიძე. რა ქ�შენ? თბ., 1992, გვ. 67.
161 ზ. ჭუმბურიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
162 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 15.
163 А.Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, часть первая, Сухуми, 1934, с.70.
164 ო. ჭურღულია. „სიტყვა ფიქრის სხეულია" (წერილები და გამოკვლევები). თბ., 1992, გვ. 165, 173.
165 დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1976, გვ. 105.
166 ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

167 ს. ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ. 293.
168 ს. ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ.294-295.
169 ნ. ბერძენიშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 618.
170 ს. ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ. 365-366.
171 იქვე, გვ. 359-360.
172 ო. ჭურღულია. „სიტყვა ფიქრის სხეულია", თბ., 1992, გვ. 209-210.
173 პ. ინგოროყვა. გიორგი მერყულე, თბ., 1954, გვ. 116.
174 დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან IV-VIII სს-ში, თბ., 1991, გვ. 54.
175 თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. იხ. წიგნში: საქართველოსა და ქართველების ალმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 588.
176 ი. კვარჩელია. შუხდულება აფხაზეთიდან, გაზ. „საქართველო", 10-13 ნოემბერი, 1998.
177 ციტირებულია: თ. მიბბუანი, დიმიტრი გულია აფხაზთა ეთნოგენეზისის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 22 ნოემბერი, 1996.
178 სპარსული პოეზიის ნიმუშები, თბ., 1980, გვ. 115-117.
179 ვ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 11.
180 ვ. ლორთქიფანიძე. არა უწყიან, თუ.. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 16 თებერვალი, 1990.
181 Ашуба Ю.З. К истории формирования современной этнодемографической ситуации в Абхазии. В. кн.Население СССР в 80-ые годы. М. 1991. с.126.
182 ეელია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკ. I, თბ., 1971, გვ. 100-106.
183 იქვე, გვ. 97.
184 Клупт М. А. Летопись жизни. М., 1980, с.172.
185 ლ. მარშანია. აფხაზეთის ტრაგედია, თბ., 1995, გვ. 4-5.
186 ჯ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. II, თბ., 1971, გვ. 351-352.
187 Абхазское долгожительство. М., 1987, с.23.
188 Инал-Ипа Ш. Д. Зарубежные абхазы. Сухуми, 1990, с.35.
189 Население СССР в 80-ые годы. М., 1991.
190 Акты Кавказской Археографической комисии. Тифлис, т.XII, ч. II с.1011, № 890.
191 ციტირებულია: Дзидзария Г.А. Махаджырство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, с.198,199.
192 იქვე, გვ. 214.
193 იქვე, გვ. 215.
194 იქვე, გვ. 201.
195 იქვე, გვ. 229.
196 იქვე, გვ. 234.
197 Хашба А. Очерки по истории Абхазской письменности. Труды Абхазского научно-исследовательского института краеведения, выпуск первый, Сухуми, с.146.
198 გ. ძიძარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 284, 287.
199 იქვე, გვ. 435.
200 ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 196.
201 ჯ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I, თბ., 1949, გვ. 732.
202 ო. ჭურღულია. ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წ. I, სოხუმი, 1974, გვ. 110.
203 ეურნ. „ზოამბე", ოქტომბერი, 1896, გვ. 112, 114, 116.
204 ზ. აჩბა. დროა გაიგოთ, რომ აფხაზეთი რუსეთია. გაზ. „7 დღე", № 2, 1993.
205 ლ. მარშანია. აფხაზეთის ტრაგედია, თბ., 1995, გვ. 5.
206 ციტირებულია: გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ", № 7, 1998.
207 გ. ძიძარია. დასახელებული ნაშრომი, გვ. 369, 371.
208 Брокгауз Ф. А. Ефрон И.Ф. Энциклопедический словарь, т.1, Петербург, 1890, с.49.
209 ზოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წელს. განყოფილება I, ტფილისი, 1929, გვ. 37, 60.
210 «Кавказ», 3 ноября 1877 г.
211 ციტირებულია: გ. ძიძარიას დასახელებული ნაშრომებიდან, გვ. 376.
212 გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 457.
213 ეურნ. „ზოამბე", № 11, 1985, გვ. 114.
214 «Кавказ», 11 июня 1878 г.
215 Анчабадзе З. В. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с.65.
216 გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 374.
217 «Новое время», 6 октября 1877 г.
218 გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

[219] გ. ძიძარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 383.
[220] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 384, 385, 395, 396.
[221] Метреидзе Ш.В. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877-1878 гг., с. 36-37.
[222] Дьячков-Тарасов А. Н. Абхазия и Сухуми в XIX столетия. Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XX (1990=1991) 12, Тифлис.
[223] Лежава Г. П. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии. Сухуми, 1969, с.12.
[224] Сборник сведений о Кавказе, т. IX. Тифлис, 1885, с.98.
[225] Брук С.И. Население мира. М., 1966, с.790.
[226] Советский энциклопедический словарь. М., 1983, с.11.
[227] Инал-Ипа Ш.Д. Зарубежные абхазы, Сухуми, 1990, с.36.
[228] გაზ.„საქართველოს რესპუბლიკა“, 11 იანვარი, 1992.
[229] Гаджиев К. Геополитика Кавказа, М., 2003, с.33-34.
[230] Свод статистических данных о населении закавказского края, Тифлис, 1893.
[231] Сборник статистических сведений на Кавказе, т. 1, Тифлис, 1869, отдел 2, с.39.
[232] Белая книга Абхазии, М., 1993, с.30.
[233] სამურზაყანო, საქართველოს ეს ისტორიული მხარე, 1805 წელს შეერთდა რუსეთის მფარველობაში. 1813-1840 წლებში სამეგრელოს მთავარს ექვემდებარებოდა. შემდეგ იგი რუსეთის ხელისუფლებამ გამოისყიდა და სამურზაყანოს საბოქაულო დააარსა. 1857 წელს, როდესაც სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, სამურზაყანო სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარეს. მხოლოდ 1864 წლიდან იგი სოხუმის სამხედრო, ხოლო 1883 წლიდან სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში იყო. სამურზაყანოს სოხუმის ოკრუგისათვის მიერთება, როგორც ეხედავთ, შეტად ხელოვნურად მოხდა.
[234] 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის მაზრობრივი ჯამები, თბ., 1922, გვ. 14-15.
[235] Газ. «Кавказ», 11 августа 1877.
[236] შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 107
[237] ეაკ ურანსუა გამბა. მოგზაურობა ამირკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 112.
[238] Акты кавказской археологической комисси, т. VII, Тифлис, 1881, с.449.
[239] იქვე, გვ. 453.
[240] История военных действий в азиатской Турции в 1828-1829 годах, часть первая, Варшава, 1843, с.32.
[241] Дьячков-Тарасов А. Н. Абхазия и Сухуми в XX столетии. Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XX (1990-1910) №2, Тифлис, с. 159.
[242] Отчет общество востановления христианства на Кавказе. Тифлис, 1869, с.32.
[243] Отчет общество востановления христианства на Кавказе. Тифлис, 1899, с.88.
[244] ს. ლეკიშვილი. ქართველთა ბრალია? იხ. გაზ. „სასალხო განათლება“, 15 თებერვალი, 1990.
[245] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 88.
[246] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო სასტორიო არქივი, ფონდი 229, აღწ. 1, საქმე 920, ფ. 25.
[247] Свод статистических данных о населении Закавказского края. Тифлис, 1893.
[248] Сборник статистических сведениий о Кавказе, т, 1, Тифлис, 1869, отдел 2, с. 39.
[249] Лакоба Н. А. Статьи и речи, Сухуми, с.213.
[250] Национальный состав населения, часть 2, М., 1989, с.3, 73. Население СССР. М., 1990, с.37. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. თბ., 1991, გვ. 6-7.
[251] თ. შახოკია. მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 302-303.
[252] Медицинский сборник, №9, 1870, с.54, 66.
[253] სრულიად საქართველოს ქალაქის მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I, დემოგრაფია. ნაკვეთი 2, ტიფლისი, 1924, გვ. 14.
[254] Газ. «Бзыбь», 29 июля 1989 г.
[255] შეიქმნა 1930 წელს.
[256] აფხაზეთი მოსახლეობის 1926 წლის მონაცემები შესწორებულია ჩვენს მიერ.
[257] Газ. «Аргументы и факты», №2 1990 г
[258] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 იანვარი, 1992.
[259] ციტირებულია: ი. ამირხანაშვილი. იუდას ამბაები. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 3 ნოემბერი, 1989.
[260] Ш.Инал-Ипа. Об изменений этнической ситуации в Аюхазии XIX в Газ. «Советская Абхазия», 6 июля, 1989.
[261] Отчет Абхазского отдела Научно-исследоватальского института экономики, планирования и управления народным хозяйством, рукопись, Сухуми,1990, с. 11-13.
[262] Печать СССР в 1988 году, М., 1989, с.100, 128-131.
[263] Современные этнические процессы в СССР. М., 1977, с.273.
[264] გაზ. „საქართველო“, 10-13 იანვარი, 1998.

ოსეები

„საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ოსები კარგა ხანია ცხოვრობენ და მათთან შუდამ გაქონდა ძმური და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დღემდე შეორჩა... ჩვენ გასაოცარი არაფერი გვაქვს. ოსები ეოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს საქართველოში და მომავალშიც ასეეე იქნებიან. ჩვენ არ გვახსიათებს ტრობა, ღარძლის გუდით ტარება. ქართველები და ოსები შუდამ იეკნენ და იქნებიან ძმები და მეგობრები. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ძალე დადგება ის დრო, როდა მთელი საქართველო გამთლიანდება და აღდგება მისი ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს მთლიანობა საჭიროა არა მარტო ქართველებისთვის, არამედ ოსებისთვის, აფხაზებისთვის და საქართველოში მცხოვრები სხვა ერებისთვის".

ეწმინდანი და ენეტარანი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ოსთა წინაპრები სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი მომთაბარე ალანური ტომები იყვნენ. ამაეე დროს მეცნიერებაში სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომლის თანახმად ალანები არა ირანულენოვანნი, არამედ ერთ-ერთი თურქული მოდგმის ხალხი იყო. ახლახან ქართულ ისტორიოგრაფიას შეემატა პროფესორ რ. თოფჩიშვილის საინტერესო ნაშრომი, სადაც განხილულია ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი და ალანების როლი ოსთა ეთნოგენეზის პროცესში. წიგნს დიდ ღირსებას მატებს ის ფაქტი, რომ ავტორი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა კატალონიელი ისტორიკოსის აუგუსტი ალემანის ნაშრომს, რომელმაც ალანებისა და მათი მონათესავე ტომების შესახებ მსოფლიოში არსებული ყველაენოვანი წყარო მოიძია, თარგმნა და სათანადო კომენტარებით გამოსცა. ყველა წყაროს თანახმად ალანთა ეთნოგენეზი კაეკასიიდან ძალიან შორს მოხდა და ჩუნების შემოსეკამდე (IV საუკუნის 70-იანი წლები) მათი განსახლების არეალი მხოლოდ ეერაზიის ერცელი სტეპები იყო. ამის შემდეგ იკავებენ ისინი ჩრდილოეთ კაეკასიის ეელებს.

პროფესორ რ. თოფჩიშვილის დასკვნით, თანამედროვე ოსების ერთ-ერთი წინაპრების, ირანუნელოვანი ალანების ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ალანები დასაელეთის მიმართულებით იწყებენ მოძრაობას და მომთაბარეობენ თანამედროეე სამხრეთ რუსეთისა და უკრაინის სტეპებში. IV საუკუნის 70-იან წლებში მათ სამომთაბარეო არეალს, კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ტერიტორიიდან აზოეის ზღვამდე, ჩუნები შემოსეიენენ. ამის შემდეგ ალანების ნაწილი დასაელეთ ევროპის მიმართულებით მიდის სათარეშოდ ჩუნებთან და სხვადასხვა გერმანულ ტომთან ერთად და საბოლოოდ ევროპელებს მთლიანად შეერიენენ. ალანების ნაწილი დუნაიმდე აფართოებს სამომთაბარეო არეალს, ნაწილი კიდეე ჩრდილოეთ კაეკასიის დაბლობში სახლდება და ქმნის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რომელთანაც საქართველოს სახელმწიფოს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

XIII საუკუნეში ალანები მონღოლებმა დაიმორჩილეს. ამ საუკუნის შუა ხანებში ცენტრალური კაეკასიის მთიანეთში მათი შესახლება დაწყებული იყო, მათი ძირითადი ნაწილი მთიან ხეობაში XIV-XV საუკუნეებში შესახლდა, ითთეისეს ადგილობრივ მთიელთა კაეკასიური მოდგმის ხალხების ტერიტორია და მათ შეერიენენ. ამის შედეგად ფაქტობრივად ახალი ეთნოსი ჩამოყალიბდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების განმაელობაში ალანები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ ამუდარიიდან მდინარე დუნაიმდე, მაგრამ არც ერთი წერილობითი წყარო ალანებს საქარ-

თეელოში არ ასახელებს. ალანებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კაეკასიის მთიანეთის ის მონაკეეთი, რომელიც ადგილობრივი კაეკასიური მოდგმის ხალხების საცხოვრისი იყო.[1]

პროფესორ რ. თოფჩიშვილის ეს დასკვნები საგულისხმოა იმით, რომ იგი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ზემოთ ნახსენებ ისტორიკოსის ა. ალემანის ნაშრომს, რომელმაც ალანების შესახებ მსოფლიოში არსებული ყველა წყარო მოიძია და დაამუშავა. მისი სქელტანიანი წიგნი კატალონურ ენაზე გამოსულისთანაეე ინგლისურადაც გამოიცა, ხოლო სამი წლის შემდეგ, 2003 წელს წიგნი რუსულ ენაზედაც ითარგმნა.[2] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ძირითადად ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებშიც ანალოგიური დასკვნებია გაკეთებული. ამრიგად, ალანებისა და ოსების იდენტურობაზე საუბარი მცდარია. ოსების ეთნოგენეზის პროცესში ალანებმა მართლაც დიდი როლი ითამაშეს, მაგრამ ოსების ალანების პირდაპირ და უშუალო მემკვიდრეებად გამოცხადება შეუძლებელია. ოსები, როგორც ახალი ეთნიკური ერთეული ალანებისა და ჩრდილოკაეკასიელი კაეკასიურენოვანი მოსახლეობის შერყვნის შედეგად წარმოიქმნა. როგორც სამართლიანად აღიშნავს პროფესორი ნ. ლომოური, „ამ შერწყმის შედეგად წარმოშობილი ახალი ეთნიკური წარმონაქმნი ენობრივად ირანელები არიან, რადგან შერწყმის პროცესში გაიმარჯვა მოსულთა ენამ, ანთროპოლოგიურად „კაეკასიურ" ტიპს ეკუთვნიან, რადგან ანთროპოლოგიურად გაიმარჯვა ადგილობრივმა ტიპმა. კულტურულად ეს ახალი წარმონაქმნი ალანური და „კაეკასიონური" კულტურების მემკვიდრეა".[3] პატიეცემული მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი დასკვნები მიღებულია ენათმეცნიერთა, ანთროპოლოგთა, არქეოლოგთა, წყაროთმცოდნეთა გამოკვლეეების, კერძოდ, მსოფლიო სახელის მქონე ოსი მეცნიერის ვ. აბაეეის, აკადემიკოსებისა და პროფესორების ი. ორანსკის, ნ. კულაეეის, მ. აბდუშელიშვილის, ვ. ალექსეეეის, კ. კრუპნოვის, ა. ნაგლერის, ა. გადლოს და სხვათა გათეალისწინების საფუძველზე.

ამაეე დროს ოსი სეპარატისტი მეცნიერების ნაწილი ცდილობს დაამტკიცოს ადრეული შუასაუკუნეების ხანიდან ალანთა დასახლების არსებობა საქართველოში. ქართველმა მეცნიერებმა, მათ შორის ნ. აფხაზავამ, რომელიც ფართოდ იყენებს რუს მეცნიერთა, კერძოდ, ბ. ეინოგრადოვის, მ. არტამონოვის, ნ. ეოლკოვას, ბ. კუნეეცოეის, ვ. კოვალეეესკაიას შრომებს და რომლებსაც ქართველებისადმი მიკერძოებას ვერ დაეწამებთ, აჩვენა, რომ არც ანტიკური წერილობითი წყაროები და არც არსებული არქეოლოგიური მასალა არ იძლეეა სამხრეთ კაეკასიაში, თუნდაც მცირე რაოდენობით, ალანთა განსახლების საფუძველს. ოსი სეპარატისტი მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში ალანთა ცხოვრების რაღაც ნაეკალეეი დაინახონ, მხოლოდ წინასწარგანწირახული მოტივეთ ვეძებენ ასეთ ფაქტებს. მათ ამოძრაეებთ სხვათა ეთნიკური ტერიტორიების მისაკუთრების სურეილი. ისინი ცდილობენ მოუქებნონ ისტორიული დასაბუთება მიტაცებულ ტერიტორიებსა და ეს მათ შესაძლებლად მიაჩნიათ ისტორიის გაყალბებისა და, მაშასადამე, ისტორიის ხელახალი გადაწერის გზით. მაგალითად, ლიახვის ზემო წელზე გათხრილი სამაროეანში 80-ზე მეტი სამარხიდან ერთადერთი ატარა ჭერქლის არსებობა, რომელიც „ალანური კულტურისთვისაა" დამახასიათებელი, სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აქ ალანების განსახლების ფაქტი ვამტკიცოთ ან სამაროეანი ალანურ კულტურას მივაკუთვნოთ, როგორც ამას ოსი არქეოლოგი ბ. ტეხოეი აკეთებს, მაშინ როდესაც მთლიანად სამაროეანი, დაკრძალეის წესი, სამარხი მოწყობილობა, აქ აღმოჩენილი ნიეთების აბსოლუტური უმრავლესობა დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი „ქართლური" მატერიალური კულტურისათვის.[4]

ფაქტების ასეთი გაყალბების სხვა მაგალითებიც არსებობს. ამას ყველაფერს ცალკეული ოსი „სპეციალისტები" იყენებენ „თაეისი იმ „დებულების" სამტკიცებლად, რომლებმაც, მათი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსებს უნდა აჩვენონ, რომ მათი წინაპრები აქ უხსოვარი დროიდან თუ არა, ყოველ შემთხვეეაში, ადრე შუასაუკუნეებიდან მაინც სახლობენ.[5] როგორც ამბობენ, მათი მიზანია სასურეელი რეალობად წარმოაჩინონ.

ასეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს ადრე შუასაუკუნეებში ალანების სა-

ქართველოში, თუნდაც ძალიან მცირე ჯგუფის, ცხოერების არაევთარი წყარო, სრულიად გაუგებარია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ მომზადებულ წიგნში „ეთნოსები საქართველოში" უერიტიკად იმის გაცხადება, რომ „საქართველოში ოსთა დამკეიდრებას მეცნიერთა ერთი ნაწილი უძველეს დროს, III-IV ან VI-VII საუკუნეებს უკავშირებს".[6]

ალანებთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული წერილობითი წყაროები ალანებს საერთოდ არ იცნობენ. ეს გასაგებიცაა, რადგან ძირითადად XI საუკუნეში, როდესაც იწერებოდა ქართული წყაროები, სადაც საუბარია იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ადრე ალანებს ეკავათ, ახლა უკვე ოსებს უკავიათ. როგორც პროფესორი ნ. ლომოური მიუთითებს, „ქართველებმა ამ ტომთა სხვა სახელი არ იციან და მათ წინამორბედებზე გადაეცეთ მათ დროს ერთადერთი რეალური და ცოცხალი სახელი – „ოესეთი" და „ოესები".

ამრიგად, სრული შეცდომაა I-VIII საუკუნეთა მანძილზე ოს-ქართველთა ურთიერთობაზე ლაპარაკი. ამ პერიოდში ოსები, როგორც რეალური ეთნიკური ერთეული, უბრალოდ, არ არსებობდნენ".[7]

ამგვამად ოსები ქრისტიანები არიან. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს მაჰმადიანურ სარწმუნოებას. არსებობს მოსაზრება, რომ ოსები IV საუკუნეში გაქრისტიანდნენ. ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოფი კესარიელის მიხედვით, ალანები ქრისტიანულ რჯულს მისდევდნენ. ამ ალანებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბიზანტიასთან. ალანთა ნაწილმა კიდეე, „ქართლის ცხოერების" თანახმად, ქრისტიანობა საქართველოდან მიიღო. როგორც XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი აღნიშნავს, ანდრია მოციქული, მას შემდეგ, რაც მან ტაო-კლარჯეთსა და სვანეთში იქადაგა, „სომნიოურთ" (მოციქული სვიმონ კანანელი – ა.თ.) შეეიდა ქუყანასა ოესეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი ერნი მოაქციენეს და განანათნეს".[8] მეტად ნიშანდობლიეია ის ფაქტიც, რომ ქართლის კათალიკოსი განაგებდა ოსეთის სამწყსოს. იმაეე ისტორიკოსის თქმით, „კათალიკოსი ქართლისა... განაგებდეს სიმართლით... სამწყსოსა თეისსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოელით მთისა ადგილისათა, სუანეთისა და ჩერქეზის საზღერამდის, სრულიად ოესეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა".[9]

აღნიშნულის გარდა, სხეა ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ანალიზიც იძლეეა იმის საშუალებას, რომ დაეასკენათ: ოსეთში ქრისტიანობა ბიზანტიისა და საქართველოს ზეგაალენით გაერცელდა. ოსების ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა X საუკუნეში გამოცხადდა.

საქართველოში ოსების თავდაპირეელი შემოსეელა მონღოლთა და თემურლენგის მიერ ჩრდილოეთ კაეკასიის ცენტრალურ ველებზე ოსების დარბეეამ და განადგურებამ განაპირობა; ამ შემოსეევების შედეგად ოსები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თაეიანთი საცხოვრებელი ადგილები და თაეი შეეფერებინათ ცენტრალური კაეკასიონის ხეობებში.

XIII საუკუნის მეორე ნახეაერში საქართველო მონღოლთა შემოსეევებისა და ბატონობის გამო უაღრესად დასუსტდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბარის მოსახლეობა. ყოველიეე ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა შიდა ქართლის მიდამოებში ოსების სამხედრო რაზმების შემოსელისათვის. ეს მონღოლთა ინტერესების სფეროშიც შედიოდა, რომელთაც ოსები საყრდენ ძალად მიაჩნდათ საქართველოში თაეიანთი დამპყრობლური პოლიტიკის განსატარებლად. მართლაც, როგორც ქართველი მემატიანე ეამთააღმწერელიც აღნიშნავს, 1292 წელს ქართლში უმეტობის პერიოდში „იწყეს ოესთა ოხრებად, ხოცად და რბეევად და ტყეევნად ქართლისა"[10] ოსების ქართლში ყოფნა დაახლოებით 30 წელს გაგრძელდა.

ანალოგიურ ცნობას გეაწედის XVIII საუკუნის პირეელი ნახეერის ქართველი ისტორიკოსი ეახუშტი ბატონიშვილი: „იწყეს ოესთა ოხრება და ტყუეენად ქართლისა და ქალაქი გორი მოსტყუეენეს და დაიპყრეს". ოსებს სურთ ფეხი მოიკიდონ ქართლში, ქართველ აზნაურთა მიწის მფლობელობა დიდი საურთხის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ „შემოკრბენ ყოველნი ერისთავნი... მოადგნენ გორს და მრავალნი ოესნი მოსწყდნენ და ქართველნი, და დაწვეს ქართველთა გორი." ოსებმა დასახმარებლად მუხრანში მყოფ

მონღოლებს მიმართეს, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ოსებს უჭერენ მხარს და მათი შუამავლობა იკისრეს. მონღოლებმა ქართველებსა და ოსებს შორის „ჰყვეს ზაეი". როგორც ეახუშტი აღნიშნავს, ამიერიდან შეიქმნა მტერობა ოსებსა და ქართველებს შორის მეფე გიორგი ბრწყინვალემდე, რომელმაც განდევნა, „გაგანასხნა" მონღოლებთან ერთად შემოსული ოსები. გიორგი ბრწყინვალემ წაართვა, „წარუხუნა" ოსებს ქართლში დაპყრობილი ციხეები და დაბები, შემუსრა „კაეკასსა შინა მყოფნი, ურწონ მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყენა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოესთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა".[11]

ამრიგად XIV საუკუნის დამდეგს, როდესაც მეფე გიორგი ბრწყინვალემ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ქეკეკანაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ერთიანად გაწმინდა საქართველო მონღოლებისაგან, ოსთა მოთარეშე რაზმებიც გაანადგურა და საქართველოდან განდევნა; ამის შემდეგ, თითქმის მთელი ორი საუკუნე ქართული წყაროები ოსთა კომპაქტურ მასებს აღარ მოიხსენიებენ.

როგორც სათანადო ლიტერატურული წყარიებიდან ირკვევა, ოსთა ახალშენები ქართლის მთიანეთში XVII საუკუნის შუა ხანებიდან წარმოიქმნა. ამას საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის ცნობაც ადასტურებს, რომლის თანახმად იმ ადგილებში 200-მდე ოსი ცხოვრობდა. ოსები XVII–XVIII საუკუნეებში თანდათანობით გადმოდიან საცხოურებლად ქართლის მთიანეთში. მაგრამ აქ მათ მწირი მიწა და არსებობისათვის მეტად შეზღუდული, არახელსაყრელი პირობები დახვდათ. როგორც ეახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ამ ადგილების „ნაყოფიერება–არს მცირედი", ოსები მარცელეულს „ეერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და ალდოეაონობის გამო". ამიტომ ბუნებრივი იყო ოსების ლტოლვა სამხრეთისაკენ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში ქართლის მოსახლეობა სულ უფრო მცირდებოდა და მათი შეესება მთის ქართველი მოსახლეობით ხდებოდა. ქართველთა ნასახლარ ადგილებს კი ოსები ეპატრონებოდნენ. ასეთი პროცესი უცხო არც გასულ საუკუნეში ყოფილა. ცნობილია, რომ კაეკასიონის აღმოსავლეთი მთიანი რეგიონიდან ქართველების მასობრივად ბარში ჩასახლების შედეგად იყო ჩრდილოეთ კაეკასიიდან მოსახლეობის თვითნებურად გადმოსვლისა და ქართული ტერიტორიების დაკავების ცდები.

ქართული მიწების დასასაკუთრებლად ოსები ძალასაც იყენებდნენ და მათ ჩამოსახლების პროცესს ზოგჯერ მეტად მწვავე ხასიათი აკქონდა. კერძოდ, ერთი ნასეიდობის სიგელის მიხედვით, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარშია შედგენილი (1621-1350 წლებში), ოსები ზემო ჯავაშიც არ სახლობენ. სიგელში ნათქვამია: „ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწმე ასე ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყორა".[12] ამრიგად, ოსებს სოფელ ზემო ჯავაში მცხოვრები ქართველები მთლიანად ამოუწყვეტიათ. ზემო ჯავა შემდგომში მაჩაბლებმა ოსებით დაასახლეს. ქართულ მიწებზე ოსების დასახლების პროცესი არც ეახუშტი ბაგრატიონს გამორჩენია მზედეკლობიდან: „რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლეულან ქართველნი ეკლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლეულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან".[13]

ამრიგად, ამ პრიოდში ქართლის მთიანეთში ქართველთა ნასახლარზე ოსები მკვიდრდებიან. აანალიზებს რა ეახუშტი ბაგრატიონის რუკებს, ჯ. გეახალია სამართლიანად მიუთითებს, რომ „ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო". ოსებით დასახლებული ტერიტორია იმ პერიოდში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" მხოლოდ მთიან ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა. ქართველი გეოგრაფის ეახუშტის მიერ შედგენილ 1735 წლის რუკაზე ოსეთი კაეკასიონის ქედის გადაღმა მდებარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხეროთმოძღვრების ძეგლები, ეპიგრაფიკა და ტოპონიმები, ცხადად ადასტურებს ოსების ჩამოსახლებას ძირითადად XVII საუკუნიდან. მაგალითად,

ცნობილი ოსი მეცნიერი ე. აბაევი აღნიშნავს: „ისტორიული და ენობრივი ფაქტები მოწმობენ, რომ ქსნის ოსების დასახლება ქსნის ხეობის ახლანდელ ადგილებში მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, დაახლოებით უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში".[14] მართლაც, ოსური კულტურის კვალი შიდა ქართლში არსად ჩანს. კერძოდ, ხუროთმოძღვრების ყველა ძეგლი ქართულია. ჯ. ზაქარაია მიუთითებს: „შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც „სამხრეთ ოსეთი" ერქვა, ყველაფერი, რაც მიწიდან არქეოლოგებმა ამოიღეს და რაც მიწის ზემოთ ძეგლი დგას, ქართულია. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ აქ ყოველთვის ქართველი მკვიდრობდა და თუ ვინმე რამეს ქმნიდა და აშენებდა, ისევე ქართველი იყო. სხვა ერის წარმომადგენლის ხელი აქ მხოლოდ ნგრევაში, ქვეყნის წახდენაში ჩანს".[15]

ერთ-ერთი უძველესი დიდი ეკლესია, რომელმაც მრავალჯერ გადაკეთების შედეგად ჩვენამდე მოაღწია გუმბათოვანი ტაძრის სახით, ესაა ნიქოზის ტაძარი. იგი ცხინვალის ახლოს მდებარეობს. მის კედლებზე გეხვდება ქართული წარწერების ფრაგმენტები. იგი თავდაპირველად აიგო მე-5 საუკუნეში. მემატიანე ჯუანშერის ცნობით, მეფე ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისა".[16] ე.ი. ვახტანგმა ააშენა ნიქოზის ეკლესია იმ ადგილას, სადაც წინათ იყო ცეცხლის საკურთხეველი და დასაფლავებული იყო წმინდა რაჟდენი. ვახტანგ გორგასალის მიერ ნიქოზის ეკლესიის აშენების შესახებ ცნობას გეაწედის ვახუშტი ბატონიშვილიც: „მეფემან კათალიკოზად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნეე ზემო ეკლესიასა ეპისკოპოსად; ხოლო სხუანი ეპისკოპოსნი დასხნა: კლარჯეთს, ერუშეთს, წუნას, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინოწმიდას, ჭერამს, ჩილეთს, ხორნაბუჯს, აგარაკს, ნიქოზს წმიდის რაჟდენის საფლავსა ზედა".[17] ამრიგად ვახუშტი ჩამოთვლის იმ ქართულ მიწა-წყალს, სადაც მეფემ ეპისკოპოსები „დაადგინა".

შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკული ძეგლები ანალოგიური დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს. ამ რეგიონის 32 ეპიგრაფიკული ძეგლი შეისწავლა პროფ. გ. ოთხმეზრუმა. ამ ძეგლებზე წარწერები თითქმის მთლიანად ქართულია (ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება ბერძნული და სომხური წარწერებიც). ყველაზე უძველესი წარწერა VIII საუკუნეშია შესრულებული, უმრავლესობა კი – IX–X საუკუნეებში, საკმაო რაოდენობით გვხვდება XVIII საუკუნეში შესრულებული ქართული წარწერებიც. აქ ოსური მოსახლეობის არაეითარი კვალი არ ჩანს. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლამ პროფ. გ. ოთხმეზრუს საშუალება მისცა გაეკეთებინა შემდეგი დასკვნა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის აეტონომიური ოლქის ტერიტორია მთლიანად ქართული წარწერებითაა მოფენილი... როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები ცხადყოფენ, აქ მოსახლეობა ქართული იყო. მხარის გამგებელი ერისთავები თუ ადგილობრივი დიდი ფეოდალები ქართველები იყვნენ, ხოლო მათი სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო".[18]

შიდა ქართლი და, კერძოდ, მისი მთიანეთი რომ უძველესი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული, ამას სხვა ფაქტორებთან ერთად, აქ გაფრცელებული გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმებიც ადასტურებენ. ეს სახელწოდებები ძირძველი, ქართული წარმოშობისაა და მრავალ საუკუნეს ითვლის. ტოპონიმები ერის შორეულ წარსულში ამა თუ იმ რეგიონში ბინადრობის გარკვეული ერთ-ერთ, თუ არა ერთადერთ, საშუალებად გეეელინება. როგორც დიდი ქართველი ისტორიკოსი ს. ჯანაშია აღნიშნავს: „ტოპონიმიკა, კერძოდ, ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გარდმოცემის შუქი ვერ სწვდება".[19] შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართულენოვანი ტოპონიმების ჩამოყალიბება ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ბინადრობას გულისხმობს უხსოვარი დროიდან. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების თანახმად ლიახვის, ქსნისა და სხვა ხეობების შუა და ზემო ნაწილებში, ანუ გეიან პერიოდებში ოსებით საკმაოდ დაახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული სახელწოდებების უმეტესი ნაწილი ქართველური ენების მიხედვით არის წარმოშობილი. უდავოა, რომ მრავალი ტოპონიმი, კერძოდ, კუცხოეეთი. ჩხორეთი, საცხუმეთი, ჩხუნეთი, ცხმორი, გერი, ფაჩური, ლაფაჩი, ლარგვისი, ლაგური და სხვა, რომლებიც ყოფილი სამხრეთ ოსე-

თის აეტონომიური ოლქის ტერიტორიაზეა გაერცელებული, სვანური და ჭანურ-მეგრული წარმოშობისაა და ვარაუდობენ, რომ „შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად".[20]

საერთოდ შიდა ქართლი მოფენილია ქართული ტოპონიმებით, მათ შორის, მისი მთიანეთიც. „სახელწოდებების შეცვლა მოხდა იმ ადგილებში, სადაც ოსობა სახლდებოდა ნასოფლარებსა და აუთეისებულ ადგილებში".[21] გარდა ამისა აეტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ დაიწყეს ქართული ტოპონიმების წინააღმდეგ გალაშქრება და ზოგიერთ შემთხვევაში მიაღწიეს კიდეც სასურველ შედეგს. მაგრამ, საბედნიეროდ, ძველი ქართული ტოპონიმების შესახებ ცნობები დაცულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში.

ოსების ქართლის შიდა დაბლობში ჩამოსახლება XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყება და ეს პროცესი მთელი XX საუკუნე გრძელდებოდა. ამას, ოსების ქართლის ნაყოფიერ ველებზე დასახლების სწრაფვასთან ერთად, ხელს უწყობდა ზოგიერთი ქართველი ფეოდალის ინტერესებიც – გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად დაცლილ მამულებში ემა ვლეხთა გამრავლება. სწორედ ამაზე მიუთითებს ერეკლე მეფის მდივნის იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში" მოტანილი ერთ ცნობაც; „ოსეთში კაცი გაეგზავნე ოსების საშოვნელად, ბევრი დამეხარჯა, მეკირებიან და ჯერ არა ჩანს რა, – ეგების ყმა გაგიმრავლდესთ". ქართველი მოსახლეობა იმდენად შემცირდა გამუდმებული ბრძოლებისა და უფრო მეტად ლეკიანობის გამო, რომ მეფე ერეკლე მეორე იძულებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიყვანოს ოსები, აქ მათ ცხოვრების სათანადო პირობებს უქმნის. ეინმე ოსს თუჯუკი კუდუხაშვილს აზნაურობაც კი უბოძა ოსების საქართველოში გადმოსახლებისათვის.

საერთოდ XVII–XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსები საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ. საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლება ჩრდილოეთ ოსეთიდან – მათი ისტორიული სამშობლოდან – მასობრივად 1860 წლიდან იწყება. ამის შესახებ სანდო წყაროებზე დაყრდნობით უტყუარ ცნობებს გვაწვდის ბროკაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია. კერძოდ, 1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 46 802 კაცს უდრიდა, ხოლო საქართველოში, კერძოდ, ქართლის მთიანეთში 19 324 ოსი ცხოვრობდა.[22] თითქმის ამდენივე ოსი ცხოვრობდა საქართველოში თბილისის გუბერნიის აღწერისას 1858 წელს,[23] რომელიც რუსმა მოხელეებმა ჩაატარეს. ასე რომ, ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. ამავე ენციკლოპედიის მიხედვით 1833 წლის მონაცემებით რუსეთის იმპერიაში 35 750 ოსი ცხოვრობდა და თუ ზემოთ აღნიშნულ პროპორციას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 1833 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. ამავე პერიოდის სხვა წყაროს მონაცემების თანახმადაც საქართველოში 14 ათასი ოსი ცხოვრობდა.[24] კიდევ უფრო ადრე, XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერიაში ოსების რაოდენობა 25 ათას კაცს უდრიდა.[25]

საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლებასთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა იმავე ენციკლოპედიაში მოტანილი ცნობა 1880 წლისათვის ოსების რაოდენობის შესახებ. კერძოდ, 1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთში, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით, 58 926, ხოლო საქართველოში უკვე 51 988 ოსი ცხოვრობდა. ასე რომ ოცი წლის განმავლობაში – 1860 წლიდან 1880 წლამდე – ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ. აქ ისაა საყურადღებო, რომ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები 47 ათასი ოსი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში გაცილებით მცირე რაოდენობით მცხოვრებმა ოსებმა, კერძოდ, 19 ათასმა, 33 ათასით მოიმატა. მოსახლეობის ასეთ ბუნებრივ მატებას ცხოდენ მცირე პერიოდში არ შეიძლებოდა ადგილი ქქონოდა. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ოსები დიდი რაოდენობთ გადმოდიან. ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საცხოვრებლად გადმოსული ოსების რაოდენობა. კერ-

ძოდ, ცნობილია, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში ყოველ ათას ოსზე გაანგარიშებით საშუალოდ წელიწადში 35,7 ბავშვი იბადებოდა და 14,3 კაცი კედებოდა[26]. ამრიგად, ბუნებრივი მატება ოსებში ყოველ ათას სულზე 21,4 კაცს უდრიდა. თუ დაეუშვებთ, რომ ამ 20 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე 21,4 კაცს შეადგენდა, მაშინ 1880 წელს ოსების რაოდენობა საქართველოში 29014 კაცი უნდა ყოფილიყო. ამ წელს კი ოსების რაოდენობა საქრთველოში 23 ათასით მეტი იყო, რაც შეადგენდა ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსახლებული ოსების რაოდენობას მათ ბუნებრივ მატებასთან ერთად. შეიძლება ოდნავ უხეში გაანგარიშებაც გაეაკეთოთ. თუ 1860 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 19 ათასს, ხოლო 1880 წელს 52 ათასს უდრიდა, მაშინ ამ პერიოდში საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად დაახლოებით 35 ათასი ოსი ცხოვრობდა; ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში საქრთველოში ოსების ბუნებრივი მატება 749 კაცს შეადგენდა (35 X 21,4), ხოლო 20 წლის მანძილზე 14 980 კაცს. ამდენად, თუ 1860-1880 წლებში ოსების რაოდენობა საქრთველოში 33 ათასი კაცით გაიზარდა და აქედან ბუნებრივი მატება 14980 კაცს შეადგენდა, მაშინ, ცხადია, დანარჩენი 18020 ოსი, ანუ თითქმის იმდენიე, რამდენი ოსიც საერთოდ ცხოვრობდა საქართველოში 1860 წელს, გადმოსახლებულია ჩრდილოეთ ოსეთიდან. აქ ერთი არსებითი მომენტიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ უკეე აღვნიშნეთ, რომ 1870-იან წლებში საქრთველოში მცხოვრებ ყოველ 1000 ოსზე წლის განმავლობაში 14,3 ოსი კედებოდა. მოკედაობის ეს მაჩვენებელი იმ პერიოდისათვის უაღრესად დაბალია. ყოველ ათას კაცზე სხვა ერის წამომადენლებში ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მაღალია. ამ მოვლენის ასახსნელად ის უნდა გაეთვალისწინოთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქრთველოში საცხოვრებლად გადმოდიოდა ძირითადად ჯანმრთელი, მხოლოდ ახალგაზრდა და შუა ხნის ასაკის მოსახლეობა, რომელთა შორის მოკედაობა დაბალია.

ცნობილი რუსი მეცნიერები გ. ჩურსინი, ვ. პუაფი, ნ. დუბროვინი, ლ. ზაგურსკი და სხე. ოსებს ჩრდილოეთ ოსეთიდან შიდა ქართლში ჩამოსახლებულებად თელიან. კერძოდ, გ. ჩურსინის აზრით, „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსები, შედარებით ახალმოსულები არიან. ადრე აქ სხვა ხალხი ცხოვრობდა, რომელმაც თაეის შესახებ ხსოენა ბეერი ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებში დატოვა".[27] ამაეე აზრისაა პროფესორი ე. პფაფიც: „ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს, რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან."[28] ამრიგად, როგორც გ. ჩურსინი, ისე ე. პუაფი ოსებს ახალმოსულებად, ძირითადად მე-19 საუკუნეში გადმოსახლებულებად თელის. რაც შეეხება აკადემიკოს ნ. დუბროეინს მან კარგად იცის, რომ არაეითარი სამხრეთ ოსეთი არ არსებობს და იგი მოიხსენიებს სამხრეთელ ოსებს როგორც „ეგრეთ წოდებულს". „მცირე მიწიანობის გამო ოსების ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლდენენ... დაიკავეს რა დიდი და მცირე ლიახვის, ქსნისა და მისი შენაკადების ხეობები, ოსები გახდნენ თავად ერსთაეებისა და მაჩაბლების ყმები. ეს გადმოსახლებულები შეადგენენ სწორედ ეგრეთ წოდებული სამხრეთელი ოსების მოსახლეობას".[29] კავკასიათმცოდნე ლ. ზაგურსკისთეისაც ნათელია, რომ ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთი ოსეთია: „ძირეული ოსეთი მდებარეობს კავკასიის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე."[30] რუსი მკვლეეარების გ. ჩურსინის, ვ.პუფაფის, ნ.დუბროეინისა და ლ.ზაგურსკის მხოლოდ ციტირება მოეახდინეთ ს. ლეკიშვილის ნაშრომიდან.[31]

თათრების დასუსტების შემდეგ წინაკავკასიის სტეპებს იკავებენ ყაბარდოელები. XV–XVIII საუკუნეების განმაელობაში განუწყეეტელი ომი მიმდინარეობდა ყაბარდოელებსა და ოსებს შორის. ყაბარდოელებმა დაიპყრეს ოსეთის მთისწინა დაბლობი და დაიწყეს მთის ხეობებში ღრმად შეღწეეა. იმ ოსებმა, რომლებიც ცხოერობდნენ მთისწინეთსა და დაბლობ ადგილებში და ყაბარდოელების ძალაუფლების ქვეშ მოექცნენ, მიიღეს მუსულმანობა და გახდნენ ყაბარდოელი ფეოდალების მოხარკენი. მთის მოსახლეობა კი, რომელიც ჩაკეტილ, მიყრუებულ, მივარდნილ ხეობებში ცხოერობდა, უბადრუკი ცხოერებისათეის იყო გაწყრილი. ამ პერიოდში ოსები გადადიან კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეზე (საქრთველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ამ-

ჟამინდელი ტერიტორია), სადაც ისინი ჩეჟულებრივ ქართველი უეოდალების ყმები ხდებოდნენ.[32]

ყაბარდოელების მიერ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსების ბედი არც ევროპელ მოგზაურებს გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგალითად, იაკობ რაინეგსი (1744-1793) აღნიშნავდა: „ყაბარდოელები, სანამ ესენი დამოუკიდებლობის ხანაში ეაკე ადგილების ბატონები იყვნენ, ოსებს ამუშავებდნენ როგორც ყმებს და ყიდდნენ მათ, როგორც კი მთიდან ჩამოსულთან სადმე ხელთ იგდებდნენ. ჯერაც არიან მოხუცი ოსები, რომლებიც ამით დაშინებულნი, არასოდეს თავის მთებს არ სცილდებიან და არასოდეს არ შეუწუხებიათ თავი იმაზე ფიქრით, კაეკასიისა და მათ გარდა სხვა სამყარო და ხალხი არსებობს თუ არა".[33] ბუნებრივია, კაეკასიის ქედის მიუეალ ხეობებში შეუეეჟული ოსები, მძიმე საარსებო პირობებისა და მუდმივი შიშის გამო, საცხოვრებლად კაეკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, შიდა ქართლის მთიანეთში გადადიოდნენ, შემდეგ, საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, თანდათანობით იწეევნენ ბარისაკენ და ქართველი უეოდალების მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს, კაეკასიონის ქედის ჩრდილოეთით ალანები ცხოვრობენო.[34] ამ ალანებში, რა თქმა უნდა, ოსები ეგულისხმებიან.

კაეკასიონის მთების კალთებზე ოსების ცხოვრების შესახებ მიუთითებს გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორიც ეაგნერიც, რომელმაც 1843-1846 წლებში მოიარა კაეკასია, კერძოდ, შაავი ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნები, სომხეთი, ქურთისტანი და სპარსეთი. იგი აღნიშნავს: „ოსები, რომლებიც ცხოვრობენ კაეკასიის უმაღლეს ალპურ ქედებზე, ქრისტიანები არიან. ისინი ტფილისში ჩეეულებრივ მოდიან, რათა ტეირთის გადაზიდეით და მძიმე დღიური სამუშაოთი გარკვეული რაოდენობის ფული იშოეონ... რათა დააგროვონ მცირე კაპიტალი და ... მთებში უკან დაბრუნდნენ".[35]

ახლანდელი ცხინვალის რეგიონი რომ მთლიანად ქართული მიწა-წყალი იყო, ეს ნათლად ჩანს ოსმალო ავტორის გურჯიზადეს თხზულებიდან „თბილისის დაპყრობის წიგნი", რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის ისტორიისათვის. გურჯიზადე აღნიშნავს, რომ ქართლის მეფე ეახტანგ VI იმყოფებოდა თავის სამფლობელოში – ცხინვალის სახელით ცნობილ მხარეში, ქართველთა ერცელ სანადირო ადგილებში. სწორედ აქ ოსმალთა ლაშქარი „ცხინვალად წოდებულ ყბადაღებულ ადგილს მიუახლოდა. ისლამის წინააღმდეგ აღმდგარმა აჯანყებულმა ქართველებმა... მოლაპარაკებას ბრძოლა არჩიეს".[36]

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ოსების ჩრდილოეთ ოსეთიდან, მათი ისტორიული სამშობლოდან საქართველოში გადმოსახლების საკითხი ქართულ წერილობით წყაროებსა და ქართველ მეცნიერთა შრომებში არაეითარ ეჭვს არ იწეევს, მაგრამ ჩვენ აქ, გარკვეული მოსაზრებით, უმთავრესად მხოლოდ ოსი და რუსი მეცნიერების შეხედულებები გადმოვეცით. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. სიტყვა დაოსებული ქართულ მეტყველებაში საქართველოში ოსების ჩამოსახლების პერიოდიდან ერცელდება. დაოსებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს ძალიან დაღლილს, დაქანცულს, მისუსტებულს. მართლაც, საქართველოში გადმოსახლებული ოსები უკიდურესი სიღარიბის გამო ძალაგამოლეულები და მისუსტებულები იყვნენ. ჩვენი აზრით, ეს ფაქტიც ოსების გადმოსახლებაზე ლაპარაკობს. საერთოდ, ეთნიკური სახელები ქართულ მეტყველებაში ხშირად იყო გამოეყენებული ნეგატიური შეფასებისათვის, კერძოდ, იუდა, ურია, ჩაჩანი, ჯავახი (ჯიუტი) და სხვა. მაგალითად, დაჩაჩანაკებული დაკავშირებულია ჩაჩანთან, ასევე დაოსებული შეიძლება დაკავშირებული იყოს ოსთან.

მოტანილი მასალა, ეფიქრობთ, საკმარისია საკვლევ პრობლემებში სიცხადის შეტანის მიზნით, მით უმეტეს, ჩვენი ნაშრომის სხვა თავებშიც ქართველი, ოსი, რუსი და ევროპელი მეცნიერების არაერთი ანალოგიური თვალსაზრისი მოგვეცას.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსები მასობრივად გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ისინი ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან და ამაში არავითარ შეზღუდვას არ განიცდიან. ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ახლანდელი

ქარელისა და ბორჯომის რაიონებში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდა) და სხვა;

როგორც ოსი მეცნიერი გ. თოგოშვილი აღნიშნავს „ოსები ცდილობდნენ ყიდვის გზითაც შეეძინათ მიწა მიწის მესაკუთრეთაგან, ხიზნად ეწყობოდნენ ან სახელმწიფო მიწებზე სახლდებოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამხრეთ ოსებს არ ეხება. XVIII ს-ის მსგავსად, თაგაურელი ოსები კვლავ დიდად დაინტერესებული ჩანან საქართველოში გადმოსახლებით... XIX ს. 40-50-იანი წლებით თარიღდება თრიალეთელი ოსების დასახლება".[37] ამასთან სათანადო დოკუმენტები ცხადყოფენ რომ XIX საუკუნის დამლევს ოსური სოფლები კახეთშიც იქმნება. ამის შესახებ ოსი მეცნიერი პროფ. ბ. კალოეევი მიუთითებს: „XIX საუკუნის განმავლობაში ოსების დიდი რაოდენობა დამკვიდრდა საქართველოს დუშეთისა და გორის რაიონებში, XX საუკუნის დასაწყისში ზედა და ქვედა კახეთის ტერიტორიაზე 30-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა. ეს ოსები დაფუძნდნენ თაეადების მიწებზე".[38]

ოსების ინტენსიური დასახლება ქართლისა და კახეთის ბარის ტერიტორიაზე მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. თუ 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასს უდრიდა და აქედან 60 ათასი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს გარეთ, 1989 წელს უკვე საქართველოში ოსების რაოდენობამ 164 ათასი შეადგინა და მათ შორის 65 ათასი ყოფილ ოლქში, ხოლო თითქმის 100 ათასი მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობდა.

თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გაეანალიზებთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღებას ის გარემოება მიიყრობს, რომ 1926-1989 წლებში ყოფილ ავტონომიურ ოლქში ოსების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა – 4,8 ათასით, ანუ 8 პროცენტით, ხოლო ოლქის ფარგლებს გარეთ საქართველოში კი 47 ათასით, ანუ 87 პროცენტით. ეს იმის შედეგი არის, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ოსი მოსახლეობის ნაწილი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გადადის საცხოვრებლად. ასე რომ, ოსების მიერ საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური ათვისება მთელი მე–20 საუკუნის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა.

სწორედ ამის შედეგად 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ოსები ქარელის რაიონში შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 15 პროცენტს, ახმეტის რაიონში – 11 პროცენტს, გორისა და კასპის რაიონებში ათ–ათ პროცენტს, ლაგოდეხისა და ბორჯომის რაიონებში – რვა–რვა პროცენტს, და ა. შ. დიდად გაიზარდა ოსების რაოდენობა თბილისში. თუ 1886 წელს თბილისში 314 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1922 წელს – 1446, 1989 წელს დედაქალაქში 33 ათასი ოსი ცხოვრობდა, ე.ი. ერთ საუკუნეში თბილისში ოსების რაოდენობა 105-ჯერ გაიზარდა, ხოლო უკანასკნელი 60 წლის მანძილზე – 23-ჯერ. მართლაც, როგორც 1989 წლის მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, თბილისში მცხოვრებ ოსთა მხოლოდ ნახევარი (16 ათასი) იყო თბილისში დაბადებული.

აღსანიშნავია, რომ ოსები საქართველოში სხვადასხვა გზებით გადმოდიოდნენ, პროფ. ნ. ბერძენიშვილს ოსების ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრის თაავარ გზად დიდი ლიახვის ხეობა–დვალეთის გზა მიაჩნდა. ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ეთაუშტის თხზულებაში გაერცელებულია ამ გზის მარშრუტები. ყოველივე ეს მით უფრო არსებითია, რომ, როგორც ოსი პროფესორი გ. თოგოშვილი აღნიშნავს, „დღესაც ზოგიერთი მკვლევარი ქართლში მოქმედ ოსებს დარუბანდის გზით მოსულებად თვლის და დასავალეთის გზით მათი მოძრაობა კი უსაფუძვლოდ, გამორიცხულად მიაჩნია."[39] ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პროფ. დ. გვრიტიშვილმა. მისი მოსაზრების თანახმად, რომელიც ისტორიკოს–მოგზაურთა ცნობებსა და უშუალოდ პირად დაკვირვებას ემყარება, გზა-ბილიკები ჩრდილოეთ კავკასიიდან უმთავრესად არაგვის, ქსნის, პატარა ლიახვისა და დიდი ლიახვის ხეობაში გადმოდიოდა და აქედან ქართლის ველებში მიემართებოდა. აღნიშნულ ხეობაში მთავარი გადმოსასვლელები იყო: 1. როკის გადმოსავალი, რომელიც დიდი ლიახვის ხეობას ოსეთთან აკავშირებდა; 2. ბახ–ფანდაგის გადმოსავალი, რომელიც როკის გადმოსვლის დასავლეთით მიემართებოდა. ამ

გზას ოსები „ურმის გზის", „მარხილის გზის", „საცალფეხო ბილიკის" გზებისგან განსხვავებით „ცხენის გზას" უწოდებდნენ, რადგან ოსურად „ბახ" ცხენს, ხოლო „ფანდაგ" - გზას ნიშნავს. ბახ-ფანდაგის გადმოსავალის დასავლეთით მდებარეობდა ზეკარის გადმოსავალი, რომელიც უერთდება როკის გზას; 3. ძედოს გადმოსავალი, რომელიც რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი ხეელასთან უერთდება როკის გზას, ხოლო მეორე ჯავა – ონის, ე. წ. „ჩასაელის" გზას უერთდება, იგი ონში გადადის. 4. მამისონის გადმოსავალი, რომლითაც ოსეთის სამხედრო გზა არდონის ხეობაში გადადიოდა. ამ გზაზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო და იგი ქართველებს საგანგებოდ პქონდათ გამაგრებული; 5. სხის გადმოსავალი, რომელიც სხვადასხვა ხეობების გაელით საბოლოოდ როკისა და კობის გზებს უერთდება. ამ მთავარი სამიმოსვლო გზების გარდა სხვა ბევრი მცირე გადმოსავლიც იყო. ამ გზებით ოსებს შეეძლოთ საქართველოსთან ურთიერთობა პქონოდათ. ვის ხელშიც იყო ეს გადმოსასველელები და გზა-ბილიკები, მას ეკუთვნოდა ამ ტერიტორიის კონტროლიც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესეფურები მუდმივად ზრუნავდნენ გადმოსასველელების გამაგრებას, „რათა არ ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი", და როცა საქართველომ ეფლარ შეძლო ჩრდილოეთის ამ საზღვრის დაცვა, შედეგიც შესაფერისი მოჰყვა, მან დაკარგა ზემოდასახელებული რაიონები, სადაც ჩრდილოეთიდან მოსული ოსები დასახლდნენ"[40].

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქ ცხინვალში XX საუკუნემდე ოსებს არასოდეს უცხოურიათ. იგი ყოველთვის ქართული ქალაქი იყო.

ცხინვალსა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ცხინვალი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიისა და საქალაქო წყობის ცნობილი მკვლევარის შ. მესხიას აზრით, ცხინვალი წინა ქრისტიანულ ხანაშიც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

სახელწოდება ცხინვალი წარმოდგება მცენარე რცხილადან. ძველ ქართულში ამ მცენარეს ქრცხილას უწოდებდნენ, ამიტომ ძველ ქართულ წყაროებშიც ცხინვალი მოიხსენება ქრცხინვალის სახელწოდებით. 1344 წლის ერთ-ერთ სიგელში იგი მოხსენებულია როგორც ვაჭრებით დასახლებული პუნქტი,[41] რასაც, უეჭველია, მისი ადგილმდებარეობაც უწყობდა ხელს. როგორც ქალაქი, ცხინვალი პირველად 1392 წლის მცხეთურ სიგელში იხსენება. ისტორიული წყაროების ცნობებით XIV – XVI საუუნეებში ცხინვალი დასახლებული იყო სვეტიცხოველის მონასტრის ყმებით. მცხეთის კათალიკოსს მე-18 საუკუნეშიც ჰყავდა ცხინვალში ყმა ვაჭრები.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია, რომელთაგან უმთავრესი ქალაქებია მხოლოდ ორი – თბილისი და გორი. დანარჩენი 12 „მცირე ქალაქებს" წარმოადგენდნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცხინვალი. მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ალ. ამილახვარი „ეკონგინულ ისტორიაში" ცხინვალს „ყოველთვის ქართლის ქალაქად მოიხსენიებს და გორის შემდეგ მეორე ადგილს აკუთვნებს"[42] ამ პერიოდში იგი სამეფო ქალაქად ითვლება.

ცხინვალს, როგორც ქალაქს, პქონდა სასიმაგრო ნაგებობანი. სათანადო საბუთებში მოიხსენიება ცხინვალის ციხე და „ქრცხინვალის გალავანი", რომელიც საგანგებო თხრილითაც ყოფილა გამაგრებული. როგორც შ. მესხია აღნიშნავს, გვიან ფეოდალურ საქართველოში ქალაქებს, რომლებსაც ციხის გარდა იცავდა ქალაქის კედლები ან მისი მსგავსი სასიმაგრო ნაგებობანი (თხრილები, კოშკები) მიეკუთვნებოდა თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ცხინვალი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბატონიშვილი ვახუშტის გადმოცემით, გიორგი სააკაძე იყო „მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა." ამასთან ცხინვალის მოურავობა მეფეთაგან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბოძებული პქონდათ ამილახვართა გვარის წევრებს – ამილახვრიშვილებს, თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა ცხინვალს მოურავი არ ჰყავდა და მის მოვალეობას სხვა მოხელე ასრულებდა. სწორედ ამის შესახებ მეტყველებს 1766 წლის ერთ – ერთი დოკუმენტი, რომლის

თანახმად სამოურაეო გამოსაღებს მეფე და ციხისთავი იყოფდნენ.[43]

თუ ყოველივე ზემო აღნიშნულს გავითვალისწინებთ და ბევრ სხვა დოკუმენტსა და საბუთსაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ციხისული სხვა ქალაქებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მე-18 საუკუნის და უფრო ადრეული პერიოდის ციხისულის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1770 წლის აღწერით ციხისულში 700 კომლი ცხოვრობდა. სამაგიეროდ, სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული წყაროებით და საბუთებით ჩვენთვის ზედმიწევნით ცნობილია მისი ეროვნული შემადგენლობა.

როგორც ჩანს, აქ უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენელს აქ არასოდეს უცხოვრია. როგორც XVIII საუკუნის პირველ ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე, ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ეახუშტი აღნიშნავს, „დიდის ლიახვის კიდეზედ არის მცირე ქალაქი ქცხინეული, აკეთილ – ჰაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი,[44] ანალოგიურ ცნობას ეხვდებით ციხისულის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალშიც“. კერძოდ, ციხისულის მოსახლეობა ეალდებული იყო მეფისათვის ყოველწლიურად ეძლია ღვინო 28 კოკა, დაემუშაებინა ბატონის ვენახი; ამასთან, მათ „ზოგჯერ კეერნა შეეწერება, ქართველმა, სომეხმა, ურიამ უნდა გამოიღოს, რაც იქ მოსაავალი მოვა იმათვე მოიტანონ“[45].

ამასთან ციხისული და საერთოდ მთელი შიდა ქართლი ქართულ წყაროებში ყოველთვის განიხილება, როგორც ქართლის განუყოფელი ნაწილი. მაგალითად, ამის შესახებ ბატონიშვილი ეახუშტი შემდეგს აღნიშნავს: „იდგა რა მეფე ლუარსაბ (საუბარია ქართლის მეფე ლუარსაბ II-ზე, რომელიც 1606 – 1614 წლებში მეფობდა–ა. თ.) ქცხინვალს, რაჰეთუ ჯამად მოელიდინან თუისთა ქეეყანათა ყოველთა“[46] ციხისული არა ერთხელ იქნა აოხრებული და განადგურებული მტრის მიერ, მას არც შინაური მტერი აკლებდა ხელს. მაგალითად, 1772 წელს ქაჯეთიდან კაპიტანი ი. ლეონი ატყობინებდა გრაფ ნ. პანინს, რომ თავადი ხიდირბეგიშვილი, რომელიც განაწყენდა ერეკლე მეფეზე, საქართველოდან გადაეიდა ახალციხეში და რამდენიმე დღის შემდეგ ღამით შემოიყვანა ცხინვალში თურქები და ლეკები, გაძარცვა იგი, ტყვედ აიყვანა 306 ორივე სქესის ქართველი და წაიყვანა ახალციხეში[47].

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ რამ განაპირობა ცხინვალში ქართველებთან ერთად ებრაელებისა და სომხების შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრება. ცხინვალი, ისე როგორც ონი, სადაც ასევე ადრიდანვე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, მდებარეობდა ჩრდილოეთ კაუკასიიდან, ქართლიდან და ზემო რაჭიდან მომავალ გზებზე და ამდენად თაეიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეაჭრო პუნქტს. სომხები და ებრაელები კი, როგორც ცნობილია, საქართველოს ქალაქებში ძირითადად ეაჭრობას მისდეედნენ.

არც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე შეცვლილა ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. როგორც მოსახლეობის აღწერები და სხვა დოკუმენტები ადასტურებენ, ცხინვალში მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ. მართალია, იგი ამ პერიოდში უკვე ქალაქად არ მოიხსენიება, მაგრამ ცხინვალი ყველგან აღინიშნება როგორც ქართული სოფელი. კერძოდ, ამას აღნიშნავენ XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრები რუსი მოხელეებიც.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლები მრავალგზის მიუთითებენენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევაზე, ძარცვა-გლეჯაზე და ქართველების მკვლელობაზე. XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაე ს. მგალობლიშვილი იგონებს: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთაველების ყმები იყენენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადა-სხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედენენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა... ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდნენ; სახნავ-სათესი არ ჰქონდათ... ოსების ნაწილი ქურდობა – ავაზაკობას მისდევდა... დაირღვა მუშდრობა სოფლისა, ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს“.[48] ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად რუსი გენერლები გა-

დაუდებელ საჭიროებად თელიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმოსოვი 1809 წელს აკაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯიდა სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონვი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მიეცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დვენას ნუ დავუწყებთ. ჩაეგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბორტმოქმედთა და აკაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ეალდებული გავხდოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა თუ ძარცვის დროს.[49]

როგორც ჩანს, ისე ხშირი იყო ოსების მხრიდან გორის მაზრაში მკვლელობები, ძარცვა და ადამინათა ტყვედ წაყვანა, რომ გენერალი ახვერდოვი გენერალ ტორმოსოვისადმი გაგზავნილ პატაკში საჭიროდ თვლის ოსებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ „საეჭროდ ჩასვლა ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინვალში., მიეცეთ სპეციალური ბილეთი თავად რევაზ მაჩაბლისა და ერისთავისაგან".[50]

ამრიგად, რუსი გენერლები ცხინვალს ქართულ სოფლად ასახელებენ, სადაც ოსებს სპეციალრი ნებართვის – ბილეთის გარეშე შესვლა აკრძალული ჰქონდათ.

ახლა თუ მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა უფრო ნათელი გახდება. თბილისის გუბერანიის აღწერის მონაცემების მიხედვით 1858 წელს ცხინვალში ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ებრაელები.[51] შემდგომ ეერიოდშიც, კერძოდ, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135 – ქართველი, 1953 – ებრაელი და 744 – სომეხი. 1886 წელს არცერთ ოსს ცხინვალში არ უცხოვრია.[52] ეს აღწერები ჩატარებულია რუსი მოხელეების მიერ.

ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება მხოლოდ 1920–იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ოსებს ოლქის დედაქალაქად ცხინვალი უბოძეს. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მიხედვით ცხვინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც არ უცხოვრია ცხინვალში.[53] სულ ქალაქ ცხინვალის მსახლეობა 4543 კაცს უდრიდა და მისი მოსახლეობის უმეტესობას ისევ ქართველები (1436 კაცი), ებრაელები (1651 კაცი) და სომხები (1465 კაცი) შეადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდიან ოსები ცხინვალში დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად. ამას განსაზღვრავს უკვე ცხინვალის როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქში მოთავსებული მმართველობითი ორგანოების ეროვნული კადრებით დაკომპლექტებისა და კულტურულ ცენტრად გადაქცევის საჭიროება. უკვე 1926 წელს ცხინვალის მოსახლეობა 5818 კაცს შეადგენდა. აქედან ქართველი – 1920 კაცს, ოსი–1152, ებრაელი - 1772 და სომეხი–827 კაცს უდრიდა. მართალია, ამ აღწერის მიხედვით ცხინვალში ოსებს ქართველები ჯერ კიდევ დიდად ჭარბობენ, მაგრამ შემდეგ წლებში რაოდენობრივი თანაფარდობა ქართველებსა და ოსებს შორის სწრაფად იცვლება ოსების სასარგებლოდ. უკვე 1959 წელს ცხინვალში 4652 ქართველი და 12432 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 6905 ქართველი და 31537 ოსი. ასე რომ, „დიდი ლიახვის კიდეზე" მდებარე უძველესი ქართული ქალაქი თითქმის მთლიანად გაოსდა. აქ რაოდენობრივი თანაფარდობის მკვეთრ დარღვევასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ცხინვალი, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქი, თითქმის მარტოოდენ ოსური კულტურის ცენტრად გადაიქცა.

ამგვამად ოსი ექსტრემისტების „მოღვაწეობისა" და ხელოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტის შედეგად ცხინვალი ქართული მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. ზუსტად არ არის ცნობილი რამდენმა კაცმა დატოვა ქალაქი, მაგრამ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ცხინვალში დღესდღეობით ქართველი აღარ ცხოვრობს.

ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1886-1989 წლებში

	1886წ.	1922წ.	1926წ.	1959წ.	1970წ.	1979წ.	1989წ
ქართველი	1135	1436	1920	4652	5475	5584	6905
ებრაელი	1953	1651	1772	1649	1475	652	396
სომეხი	744	765	827	860	768	712	734
ოსი	–	613	1152	12432	20846	25319	31537
რუსი	–	64	114	1583	1180	1737	1836
დანარჩენი	–	14	33	465	567	787	925
სულ	3832	4543	5818	21641	30311	34791	42333

ახლა ცხინვალის რეგიონში ქართველი ხალხი ეძებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს. ქართველი კაცი ოსებთან მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობას ითხოვს და ეს მისი სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა. მას სჯერა, რომ აქ არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ქართველ კაცს ოსები ცხინვალში უშურველად მიელია და მათთვის კეთილმეზობლობაც გაუწევია. თუ იაკობ გოგებაშვილის სიტყვების მოვიშველიებთ, ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ, ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმ საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს.

მე–19 საუკუნემდე ტერმინ „სამხრეთ ოსეთის" ხმარების არავითარი ცნობა არ არსებობს არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით წყაროებში. იმდროინდელი გაგებით ოსების ქვეყანა ოსეთია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა. მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა იმის შესასწავლად თუ როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" და როგორი სიხშირით იხმარებოდა იგი.

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" პირველად გამოყენებულია 1830 წელს ზურიაში, რომელიც დაიბეჭდა „ტიფლისკი ვედომოსტში" (№72 – 86). როგორც ჩანს, კორესპონდენტი ამ ტერმინს საკუთარი ინიციატიით იყენებს, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მიეჩინეს მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნება კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ.[34]

კორესპონდენტის აზრით, მის მიერ „სამხრეთ ოსეთად" წოდებული ზონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7200 სულს შეადგენდა.

მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დაამუშავა ოსეთის შესახებ არსებული თითქმის ყველა ისტორიული დოკუმენტი და საბუთი და იმ დასკვნამდე მიეიდა რომ 1830 წლამდე როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში ოსეთის მიმართ რაიმე მსაზღვრელის – „ჩრდილოეთის" თუ „სამხრეთის" გამოყენების არცერთი ფაქტი არ დასტურდება. ტერმინ „სამხრეთ ოსეთს" არ იცნობენ უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები. მხოლოდ გერმანელი პროფესორი კ. კოხი აფიქსირებს ტერმინ „სამხრეთ ოსეთს" ქართული ისტორიული პროვინციის დვალეთის აღსანიშნაოად და ისიც XIX საუკუნეში. დვალეთის შესახებ კი, რომ არაფერი ეთქვათ ქართულ წყაროებზე, რუსულ წერილობით ძეგლებში შემდეგია აღნიშნული: „დვალეთი (ნარ–მამისონის ქვაბული) მთელ შუა საუკუნეებში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი შედიოდა თბილისის გუბერნიაში და მხოლოდ 1859 წელს შეუერთდა ელადიკავკასიის (ოსეთის) ოერუგს.[35] ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს (დ. ლაეროი. „ნარკვევი ოსეთისა და ოსების შესახებ." ჟურ. „ტერსკიე ვედომოსტი." №20, 1874).

ს. ლეკიშვილის გამოკვლევით მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" იშვიათად გვხვდება. როგორც

იგი მიუთითებს, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების თორმეტტომეულიში, რომელიც შეეხება 1864 –1917 წლებს და მოიცავს ათი ათასზე მეტ ისტორიულ დოკუმენტს ქართულ, არაბულ, რუსულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" დაფიქსირებულია მხოლოდ ერთხელ. 1852–1915 წლების ქართულ პერიოდულ პრესაში, კერძოდ, 30–ზე მეტი დასახელების ჟურნალ–გაზეთში, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" გამოყენებულია მხოლოდ ორჯერ.

პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" გაჩნდა მე–19 საუკუნის 60–იან წლებში, რომელიც შემდეგ მკვიდრდება რუსი მოხელეების მიერ. მანამდე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები „ოსეთის" ადმინისტრაციული გაერთიანების მიზნით, რაც უზრუნველყოფდა რუსეთის ბატონობას არა მარტო თვით ოსეთში, არამედ კავკასიონის ქედის მთელ სივრცეზე. ბარონი როზენი აცხადებდა: „ჩვენი მტკიცე ბატონობა ოსეთში გადაჭრით გააპობს კავკასიის მთების ქედს ორ ნაწილად, მაშინ როცა ახლა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა კევთს კავშირს ჩვენს მიერ ნახევრად დაპყრობილ და ჩვენდამი მტრულად განწყობილ ხალხებს შორის".[56] მალე შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ოსებით კომპაქტურად დასახლებული რაიონები „ოსეთად" იქნა მონათლული: 1843 წელს თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი," რომელიც ჯაეის, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დეალეთის) უბნებად დანაწილდა. მოგვიანებით ნარის უბანი ჩამოაშორეს თბილისის გუბერნიას და ოსეთის სამხედრო ოკრუგს (შეიქმნა 1959 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში) გადასცეს, რომელიც შემდეგში თერგის ოლქში, 1924 წლიდან კი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ შემადგენლობაში შევიდა. ამ აქციით საქართველოს წაართვეს მისი ისტორიული ტერიტორია – დეალეთი. ყოველივე ამით, კერძოდ, 1843 წელს ოსეთის ოკრუგის შექმნით, „შორსგამიზნული ტოპონიმიური დიეერსიით ნოყიერი ნიადაგი შეუმზადეს „ოსეთად" ან „სამხრეთ ოსეთად" მონათლულ ძველთაძველ ქართულ მიწა–წყალზე ოსთა ტერიტორიული პრეტენზიების და „ორი ოსეთის" სამერმისო გაერთიანების იდეის შემდგომ მუტაციას, რამაც XX–საუკუნეში უკვე აგრესიული ოსური სეპარატიზმის სახით იჩინა თავი.[57] როგორც დოცენტი რ. ლომინაძე სამართლიანად აღნიშნავს, ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგის", ხოლო თბილისის გუბერნიაში "ოსეთის ოკრუგის" (შემდეგში „ოსეთის უბანი") შექმნა ახალი სახელწოდებების – „ჩრდილოეთ ოსეთისა" და „სამხრეთ ოსეთის" საფუძველი გახდა.

ოსი „მეცნიერები" არაეითარ სიყალბეს არ ერიდებიან და იმასაც კი აცხადებენ, რომ თითქოს არსებობდეს რაღაც ისტორიული დოკუმენტი, რომლის თანახმად ერთიანი ოსეთი 1774 წელს რუსეთის იმპერიაში შეეიდა.

2004 წლის 10 იელისს რუსეთის დუმამ მიიღო სრულიად უარეცენდენტო, პროოკუპაციული განცხადება იმის თაობაზე, რომ ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს 1774 წელს და რუსეთი მოვალეა დაიცვას თავისი ოსი მოქალაქეების უფლებები. მათი აზრით, რუსეთს ამ წელს შეურთდა როგორც სამხრეთი ისე ჩრდილოეთი ოსეთი – ცხინე

ეუშვებთო". დიახ, შიდა ქართლი „ჩვენი მამული" იყო ყოველთვის, მაგრამ ჩინოვნიკები XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხელოვნურად და წინასწარგაჩრახულად შეთხზულ ტერმინებს – „ჩრდილოეთ ოსეთსა" და „სამხრეთ ოსეთს" ამკვიდრებენ ხმარებაში. ასე რომ, გარკვეულ ძალებს ყოველთვის აწყობდათ ოსეთის ასეთი დაყოფა კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ასეთმა ძალებმა მოგვიყვანეს დღეს არსებულ კონფლიქტამდე. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ეს იმას ჰგავს, რომ საქართველოს რაიონებს, სადაც ამჟამად სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები ცხოვრობენ, შესაბამისად ეუწოდოთ ჩრდილოეთი სომხეთი, დასავლეთი აზერბაიჯანი ან აღმოსავლეთი საბერძნეთი. ბუნებაში მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ოსეთი არსებობს. რაც შეეხება ოსეთის რუსეთთან გაერთიანების პროცესს, იგი XIX საუკუნის 20-იან წლებში დასრულდა და, რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომებს შეადგენენ. უფრო მეტიც, 1774 წელს რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები არა მთელი ოსები (იმ პერიოდში ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი არ არსებობდა), არამედ, როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, მათი ერთი ნაწილი. როგორც ცნობილია, XIII–XIV საუკუნეებში ჯერ მონგოლ-თათრების, შემდეგ კი თემურლენგის ურდოების შემოსევების შედეგად იმიერკავკასიის ნაყოფიერ ველებზე ოსები სასტიკად იქნენ დარბეულნი. ოსთაგან მიტოვებული დაბლობები ყაბარდოელებმა ჩაიგდეს ხელთ და ამის შედეგად ოსები მთლიანად მცირე მიწიან მთებში აღმოჩნდნენ შემწყვდეულნი, სადაც ჩამოყალიბდა „ალაგირის", „ქურთათის", „თაგაურის" და „დიგორის" ოსური თემები. როგორც ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კ. ხეთაგუროვი აღნიშნავს, ამ თემებს ერთმანეთთან იმდენად შეზღუდული ურთიერთობა ჰქონდათ, რომ ერთმანეთსაც ვერ აგებინებდნენ. ამ საკითხების შესახებ ნაშრომში ვკითხულობ, აწ გარდაცვლილი ახალგაზრდა მეცნიერი ვ. ითონიშვილი აღნიშნავდა: „XVIII საუკუნის შუა წლებიდან ოსეთში საბოლოოდ იძალა პროორუსულმა ორიენტაციამ. საუკუნეების მანძილზე ცენტრალური კავკასიონის ეიწრო ხეობებში შეყუჟული და ყაბარდოელ ფეოდალთაგან შეეიწროებული ოსი ხალხის ისტორიული არჩევანი 1774 წელს გაკეთდა, როდესაც ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის ოსური თემები ყაბარდოსთან ერთად რუსეთს შეუერთდა... 1781 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა დიგორის ოსურმა თემმაც".[58]

საქართველოში მცხოვრები ოსებისა და სხვა ეროვნებების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საფუძველი გიორგიევსკის ტრაქტატის (1783წ.) დადება გახდა.

ცნობილი რუსი მეცნიერების ნაშრომებსა და ავტორიტეტულ გამოცემებში ყველგან მითითებულია, რომ 1774 წელს არავითარი ერთიანი ოსეთი, უფრო მეტიც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი, არ არსებობდა და ამ წელს რუსეთს შეუერთდა მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების რაშდენიმე თემი. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ოსებს, 1801 წელს, როდესაც რუსეთმა უხეშად დაარღვია 1783 წელს რუსეთისა და საქართველოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და შეიერთა საქართველო, ცხადია, ისინიც რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. ცნობილი რუსი მეცნიერი ს. ბრუკი წერს: „XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა და XIV საუკუნის ბოლოს თემურლენგის ურდოების შემოსევების შედეგად შეეიწროებული ოსები მთის ხეობებში დასახლდნენ და დანაწილებული იქნენ დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის საზოგადოებებად. ჩრდილო ოსეთი 1774 წელს ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. სამხრეთ ოსეთი – 1801 წელს".[59] ასეთივე აზრია გატარებული ერთ-ერთ სოლიდურ გამოცემაშიც: „1774 წელს ჩრდილო ოსეთი, ხოლო 1801 წელს სამხრეთი (საქართველოს შემადგენლობაში) ნებაყოფლობით შეეიდნენ რუსეთის შემადგენლობაში".[60] ამ მოსაზრების ავტორი ოსი მეცნიერი ბ. კალოევი გახლავთ. სხვა ფუნდამენტურ გამოცემებშიც, რომელთა ავტორები რუსი და ოსი მეცნიერები არიან, ანალოგიური აზრია გამოთქმული. კერძოდ. ბ. კაბანოვი აღნიშნავს: „მონღოლ—თათართა (XIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს) და თემურ ლენგის (XIV საუკუნის ბოლოს) შემოსევებმა ოსები აიძულეს თაავი შეეფარებინათ კავკასიონის ქედის მთის ხეობებში, საიდანაც მათ დაიწყეს დასახლება მთის სამ-

ხრეთ კალთებზე, თანდათანობით დაიკავეს საშუალმთიანეთისა და წინამთიანეთის ზონა, რომელიც აკრავს ქართლის ბარს.– სამხრეთ ოსეთი შედიოდა ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში და 1801 წელს საქართველოსთან ერთად ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის იმპერიას".[61] ბ. კაბულოვის მოტანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ მტრის მიერ შეეიწროებულმა ოსებმა კავკასიონის ქედის მთის ხეობებში შეაფარეს თავი და აქედან შემდეგ თანდათანობით დაიწყეს დასახლება ქართლის მთიანეთში, რომელიც „აკრავს ქართლის ბარს". ამიტომ საუბარიც კი ზედმეტია აღმოსავლეთ საქართველოში და, კერძოდ, შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის არსებობის შესახებ. ოსებს გამოყოფილად, ცალკე არასოდეს უცხოვრიათ და ისინი ყოველთვის ქართლის ფეოდალთა მიწებზე ცხოვრობდნენ ხიზნებად.

ზემოთ აღნიშნული საკითხები არც ოს და არც რუს მეცნიერებს საკამათოდ არასოდეს გაუხდიათ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კიდევ ცნობილი ოსი მეცნიერის გ.თოგოშვილის მოსაზრებაც მოვიყვანოთ: „1801 წ. ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერდა. ამ გარემოებამ ოსთა ცხოვრების ყველა მხარეს ღრმა კვალი დაამჩნია. ჩრდილო ოსეთი, დაწყებული 1774 წლიდან, მჭიდრო ურთიერთობაში შევიდა რუსეთთან, შეუერთდა მას, თუმცა, ეს საბოლოოდ მაშინვე არ გაფორმებულა და მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის დამთავრდა ეს პროცესი. სამხრეთ ოსები 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეეიდნენ, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ორგანული ნაწილი".[62] შეერთების შემდეგ ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე სახლდებიან, სადაც საარსებო პირობები გაცილებით უკეთესია, ეიდრე კავკასიონის ქედის ღრმა ხეობებში. ეს რუსეთსაც აწყობდა, რადგან ამით იგი ანხორციელებდა კონტროლს რეგიონის ცენტრალურ ნაწილში. „ამ სიერცის შიგნით ფართოედება რუსეთის იმპერიის მიმართ უფრო ლოიალურად განწყობილი ოსური საზოგადოებების დასახლება".[63]

ოსების მიერ ქართული მიწა-წყლის დასაკუთრებისა და ამ მიზნით ოსი სპარატისტების მიერ წამოწყებული სისხლისღერის გასამართლებლად, რუსეთის რეაქციული ძალების უშუალო დახმარებით, გამოიანახა ისტორიის სახელდახელოდ გამყალბებლები, რომლებიც სცემენ სქელტანიან წიგნებს რუსეთში და „ამტკიცებენ", რომ ოსები საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდეც იკ ცხოვრობდნენ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და ისინი დომინირებდნენ კიდეც მოსახლეობის საერთო რაოდენობაშიო. უფრო მეტიც, ისინი შიდა ქართლს სამხრეთ ოსეთად ნათლავენ. ამ დროს კი ოსებს, როგორც ზემოთ ენახეთ, აღმოსავლეთ საქართველოში მე-17 საუკუნემდე არაუსოდეს უცხოვრიათ. მართალია, მე-12 საუკუნეში ოსები შემოყენენ მონღოლებს, როგორც მოთარეშე რაზმები და გარკვეულ პერიოდში ქალაქი გორიც დაიკავეს, მაგრამ მალე ქართველებმა მონღოლების ბატონობისაგან თავის დაღწევის შემდეგ, ოსებიც განდევნეს საქართველოდან. სწორედ ოსების აღმოსავლეთ სასქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრების სასურველი იდეა გასდევს ლეიტმოტივად 1994 წელს სანკტ-პეტერბურგში და 2006 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნებს „ოსეთი და ოსები" და "სამხრეთ ოსეთი". ეს წიგნები უფრო კურიოზების კრებულებს წარმოადგენენ, ეიდრე მეცნიერულ ნაშრომებს. მაგალითად, როგორ შეიძლება სერიოზულ ნაშრომად მიეიჩნიოთ ოსი „მეცნიერის" მარკ ბლიეეის 500 გვერდიანი წიგნი „სამხრეთ ოსეთი", როდესაც ავტორს მოაქვს სხვადასხვა წყაროდან ამოგლეჯილი ციტატები, მაგრამ არასოდეს არ უთითებს წყაროს, წიგნში ვერ შეხვდებით ვერც ერთ სქოლიოს. ამ დროს ავტორს პრეტენზია აქვს წიგნის მეცნიერულ დონეზე და მხოლოდ თავისი „ნამოღვაწარი" მიაჩნია ერთადერთ ჭეშმარიტებად. ამას ავტორი აკეთებს შეგნებულად, რადგან მის მიერ ქართული წყაროებიდან ამოგლეჯილ ციტატებს, შემდეგ მოსდევს სულ სხვა აზრი, რასაც მ. ბლიეეი უმალავს მკითხველს. ხშირად იგი მოტანილ ციტატებს უმოწყალოდ ამახინჯებს. ვერ ეხედავთ აზრს, ვუპასუხოთ მ. ბლიეეის წიგნში უამრავ დილეტანტურ მოსაზრებას, მაგრამ მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა შეექმნას უზნეობის ზეიმზე, მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოტანით დავემაყოფილდებით.

უძველესი ქართული წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა (დაახლოებით V საუკუნის 40-იანი წლები – 502 წ.) ილაშქრა

ოსეთში. მ. ბლიეკი, რადაც არ უნდა დაუჯდეს ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ბრძოლა გაიმართა შიდა ქართლში, კერძოდ, არარსებულ სამხრეთ ოსეთში. წერილობით წყაროებს რომ თავი დაეანებოთ, ამის შესახებ არც მითი და არც ლეგენდა არ არსებობს – ყველაფერი წარმოსახვით იწერება, ხდება ამ ბრძოლის შესახებ არსებული ერთადერთი ქართული წყაროების არნახული გაყალბება, ერთმანეთშია არეული ქართველი მემატიანეების ციტატები და სხვა. მ. ბლიეკს მოყავს ციტატა XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის V საუკუნის ამსახველი თხზულებიდან, რომელიც ეხება ეახტანგ გორგასალის მეფობას და აკეთებს აბსოლუტურად არასწორ, მხოლოდ მისთვის სასურველ დასკვნებს.

ამ ბრძოლის შესახებ მ. ბლიეკი აღნიშნავს: „თვით ბრძოლა ეახტანგ გორგასალსა და ოს – ბაყათარს შორის... გაიმართა სამხრეთ ოსეთში – იქ, სადაც „ერთი მთისაგან გამოეალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვისა და ოესეთისა არაგვისა“.[64] მ. ბლიეკი მკითხველს შეგნებულად უმალავს მოტანილი ციტატის წყაროს, რადგან იქ სულ სხვა რამ წერია და გამოგონილ სამხრეთ ოსეთზე, ან შიდა ქართლში ოსების ცხოვრებაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მდინარე არაგვი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. საერთოდ არაგვის სისტემას ქმნის მდინარეები–მთიულეთის (თეთრი) არაგვი, გუდამაყრის (შავი) არაგვი, ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი. როდესაც მ. ბლიეკი აღნიშნავს, რომ ბრძოლა ქართველებსა და ოსებს შორის გაიმართა იქ, სადაც ერთი მთიდან იღებს სათავეს ქართლის არაგვი და ოსეთის არაგვიო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ოესეთის არაგვი“ შიდა ქართლში მოედინებოდეს და ბრძოლა თითქოს, მართლაც შუაგულ შიდა ქართლში მოხდა. ახლა ვნახოთ როგორ წერია ქართულ წყაროში. როდესაც „დაამტკიცეს ლაშქრობა ოესეთისა... ეახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართველისათა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა“. შემდეგ „წარეიდა ეახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეუენი კაკაესიანნი... განელო კარი დარიალანისა. შესულად მისსა ოესეთად იყო ეახტანგ წლისა თექუსმეტისა.

მაშინ მეფეთა ოესეთისათა შეერიბნეს სპანი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განელის დარიალანსა და ჩაელის ეელსა ოესეთისასა. და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოეალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვისა და ოესეთისა არაგვისა“.[65]

ყველაფერი რომ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა აღინიშნოს, რომ დარიალის ხეობა, რომელიც მდინარე თერგის ხეობის მონაკვეთია საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში, კერძოდ სტეფანწმინდის რაიონში, ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში იხსენიება როგორც დარიალანი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, ზღვის კარი, კაკაესიის კარი, სარმატიის კარი, ოესთა კარი და სხვ. ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ამიერ და იმიერკაკასიის დამაკავშირებელი გზა, რომელიც იცავდა მთლიანად ამიერკაკასიას ჩრდილოეთ კაკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომთა თაედასხმებისაგან. გადმოცემის თანახმად ხეობაში პირველი სიმაგრე ძე. წ. ელთაღრიცხვის II საუკუნის პირველ ნახევარში ააშენა იბერიის მეფე მირიან I-მა. საჭირო ხდება კიდევ ერთი განმარტება. როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ოსებმა ეახტანგ გორგასალთან საბრძოლველად შეერიბეს ლაშქრი და ეახტანგს, „მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განელის დარიალანსა და ჩაელის ეელსა ოესეთისასა. და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან“.ამრიგად, ქართლის არაგვი იმავე „მთისაგან გამოეალს“, სადაც სათავე აქვს აგრეთვე მეორე მდინარეს, „რომელი განელის დარიალანსა და ჩაელის ეელსა ოესეთისასა“. ბუნებრივია, ამ „ოესეთის არაგვს“ არავითარი კავშირი არ აქვს იმ მდინარეებთან, რომლებიც არაგვის სახელითაა ცნობილი, არაგვის სისტემას ქმნიან და შიდა ქართლში მოედინებიან. „ოესეთის არაგვი“, როგორც ქართველი მემატიანის ცნობიდან აშკარად ჩანს, საქართველოში იღებს სათავეს და იმიერკაკასიაში, ოსეთის ეელზე მიდინება, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არა ამიერ არამედ „იმიერ არაგვია“. ძნელი მისახედრი არ არის, რომ „ოესეთის არაგვი“ იგივე მდინარე თერგია. როგორც ივჯავახიშვილი აღნიშნავს, „ამ მდინარეს ეხლა თერგი ჰქვიან, მაგრამ ძველად ქართვე-

ლები მასაც არაგეს უწოდებდნენ... ძველს ქართულს მწერლობაში თერგსაც არაგეი ოსეთისაი ეწოდებოდა".[66]

საბოლოოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა შეკრებილი ლაშქარი ჯერ დაბანაკა მუხნარს და ხერკს, შემდეგ დადგა თიანეთს, რომელიც შიდა ქართლის ჩრდილოეთში მდებარეობდა. აქ მას შეუერთდნენ „მეუენი კაეკასიანნი". ამის შემდეგ ვახტანგმა განელო დარიალანის კარი და გადაეიდა ჩრდილოეთ კაეკასიაში, „ეელსა ოსეთსასა". თაეის მხრივ ოსებმა ჩრდილოეთ კაეკასიაში, ოსეთში შეკრიბეს ლაშქარი, ხაზარებიც დაიხმარეს და ვახტანგს საბრძოლეელად „მოეგებნეს" იმ მდინარესთან, რომელიც მიედინება დარიალის ხეობით იმიერკაეკასიაში და გადის ოსეთის ეელებზე. ეახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „კაეკასიის მთის ჩრდილოეთი" არის ოსთა ეელი.[67]

ამრიგად, ჯუანშერის თხრობაში არსად არ ჩანს, რომ ბრძოლა ქართლში მოხდა. ისტორიკოსი გარკეეეით წერს, რომ ვახტანგ გორგასალმა „განელო კარი დარიალანისა" და ოსეთში შეეიდაო.

ახლა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მემატიანეებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ოსეთი, რომელიც ჩრდილოეთ კაეკასიაში მდებარეობს. ამას ნათლად მოწმობს საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოერება", სადაც დაცულია უამრავი ცნობა იმის შესახებ, რომ ოსები ცხოერობდნენ მხოლოდ ჩრდილოეთ კაეკასიაში, მათ ისტორიულ სამშობლოში – ოსეთში. მაგალითად, XI საუკუნის მოღვაწე, ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერს: მირიან მეფე „გარდაეიდა ოესეთს, მოტყუენა ოესეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდმოელო გზა დეალეთისა და მოეიდა შინა".[68] „გარდამოელო გზა დეალეთისა" ჩრდილო კაეკასიიდან, ოსეთიდან მოსელას ნიშნავს, ხოლო „გარდაეიდა ოესეთს" - ჩრდილო კაეკასიაში გადასელას. შიდა ქართლში რომ ოსებს ეცხოერთან, მემატიანეს არ დაჯიდრებოდა სიტყეების „გარდაეიდასა" და „გარდმოელოს" ხმარება. იგივე აეტორი აღნიშნავს: „იწყეს ოესთა ძებნა სისხლისა მათისა სომეხთა ზედა, გარდამოეიდოდეს ქართლად და დაემეგობრნეს ქართეელთა".[69] ამრიგად, ოსები გადმოეიდნენ ქართლში და ქართველებს დაუმეგობრდნენ სომხების წინააღმდეგ საბრძოლეელად. ოსებს რომ ქართლში ეცხოერთან, თუნდაც მცირე რაოდენობით, მაშინ ისინი, უპირეელს ყოელისა, თეიტრომებთან გამონახავდნენ საერთო ენას. ლეონტი მროველთან ასეთი ადგილები მრაელად გეხვდება: „გარდამოეიდეს ოესნი. . . გზასა დეალეთისასა. ხოლო ვერ იგრძნა ამაზასა გარდამოსლეა ოესთა ვიდრე გარდამოელამდე მთისა";[70] „ასუფაგურ განუხუნის კარნი კაეკასიანთანი და გამოიყეანნის ოესნი, ლეენი და ხაზარნი";[71] „განუხუნეს კარნი კაეკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოესნი და ლეენი, და წინააღდგენენ სპასთა".[72]

როგორც ზემოთ ითქვა, ანალოგიურ აზრს ანეითარებს ოსეთის მდებარეობისა და ოსების საცხოერისის შესახებ ისტორიკოსი ჯუანშერიც. ამის თაობაზე ზემოთმოყვანილი ციტატის გარდა ჯუანშერს თხზულების სხვა ადგილასაც აქეს აღნიშნული. კერძოდ, ოსებმა, ისარგებლეს რა ვახტანგ მეფის მცირეწლოვანებით, გადმოლახეს კაეკასიონის ქედი, აოხრეს ქართლი, და გამარჯეებულნი დარუბანდის გაელით დაბრუნდნენ ოსეთში: „ეითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გრდამოვიდეს ოესნი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი... განელეს კარი დარუბანდისა... და შეეიდეს ოესეთს გამარჯუებულნი".[73] ქართველი მემატიანე ეამთააღმწერელი, XIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსუდან მეფის ხანის აღწერის დროს, აღნიშნაეს. რუსუდანმა გაალო, „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდმოიეანა ოსნი, დურძუენი... და წარაელინა... ბრძოლად ხვარაზმელთა", ხოლო XVIII საუკუნის მოღვაწე ეახუშტი ბატონიშეილი ქართველების თემურლენგთან ერთ-ერთი ბრძოლის შესახებ აღნიშნავს: „გიორგი მეფემან პირეელე გამოიყვანა დარიელიდამ ოესნი დიდძალნი და კაეკასნი. და დაბუდა თემურს შეკრებული სპითა თეისითა".[74] ამასთან, თემურ ლენგის ლაშქარმა განელო „დარუბანდი, ლეკეთი და მეიდნენ ოესეთს",[75] გასათვალისწინებელია ისიც, რომ უამრაეი ანალოგიური ფაქტი გეხვდება არა მარტო ძველ ქართულ ისტორიკოსთა თხზულებებში, არამედ ქართულ ლიტერატურულ, აგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც. მაგალითად, იოეანე საბანისძის ნაწარმოებში „ბაბოს წამება", რომელიც დაწერილია VIII საუკუნის 80-90-იან წლებში, აღნიშნულია: ნერსე ერისთავმა „განელო. . . კარი იგი ოე-

სეთისაი, რომელსა დარიალან ერქმის".[76]

ქართველი მეფეები აქტიურად იყენებდნენ უცხო ძალას დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან დარიალის გზით ხშირად გადმოჰყავდათ ოსები, ლეკები და ხაზარები, რომლებიც შემდეგ ნადაელით დატეიერთულები ბრუნდებოდნენ უკან. ამავე დროს, ქართველი მეფეები იმაზეც ზრუნავდნენ, რომ ჩრდილოეთიდან არ შემოსულიყვნენ მომთაბარე ჩარბილები ტომები. ამ მიზნით ისინი ამაგრებდნენ დარიალის ხეობას, რათა მათი ბრძანების გარეშე ოსები, ყიფჩაყები და ხაზარები ეედარ გადმოსულიყვნენ. როგორც იე. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ეახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ჯერ კიდევ მეფე მირიანმა (ძე. წელთაღრიცხვის II საუკუნე) „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოესითათეის, რათა უმისოდ ვერაღარა ვიდოდნენ". მაშასადამე, ეს კარი განეკუთვნილი იყო ოსებისა და ხაზარებისათვის გზის შესაკრავად".[77] შემდეგში ეახტანგ გორგასალმა, როდესაც დაამორჩილა ოსები და ყიფჩაყები, როგორც ჯუანშერი აღნიშნავს, „შექმნა კარნი ოესეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთელნი. არა ხელეწიფების გამოსელად დიდთა მათ ნათესავთა ოესთა და ყიფჩაყთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა".[78] ამრიგად „კარნი ოესეთისანი", რომელიც უძველეს ქართულ წყაროებში „ოესეთ" ეწოდებოდა, ბოლოს ეკავა ადგილი ოსეთ-ინგუშეთ-ჩეჩნეთ-ინგუშეთ-

თელ თავადებს - ერისთავებს და სხვ. მ. ბლიეი ისეა დაბრმავებული ქართველი ხალხის სიძულვილით, რომ მეფის რუსეთს გამოუსწორებელ შეცდომად უთელის თბილისის კაეკასიის ცენტრად გამოცხადებას.[83] მისივე აზრით, 1803 წელს სამხრეთ ოსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 50 სოფელი) გადაეცათ მფლობელობაში ქართველ თავადებს–ერისთავებს, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიის დაბლობის მცირე ნაწილი მაჩაბლების ქართულ ფეოდალურ საგვარეულოს,[84] რომლებიც თურმე შეიარაღებული გზით ცდილობდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიტაცებას,[85] მაშინ როდესაც XVII საუკუნიდან იწყება ჩრდილოეთ კაეკასიიდან საქართველოში გადმოსული ოსების სწორედ მაჩაბლებისა და ერისთავების კუთვნილ მიწებზე ხიზნებად დასახლება. ასეთი ზღაპრებითაა სავსე მ. ბლიეების, და არა მარტო მისი, წიგნი.

მართალია, მათი ნააზრევი, მათ მიერ მოფვენილი ფაქტები სრულიად უსაფუძვლოა და მათი გაბათილებაც არ არის ძნელი, მაგრამ ისინი უკვე წარმოითქვა მილიონობით მკითხველის წინაშე და ახლა მათ ნაჯახითაც ვეღარ ამოძირკვავ. ასე რომ, „ციცა დადგმულია, სპექტაკლი გათამაშებულია". პუბლიკაციებმა უკვე შეასრულეს თავიანთი როლი ქართველი ხალხის საზიანოდ.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია იმ ფაქტს აღნიშნაც, რომ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მრავალი მისიონერი ჩამოვიდა და ევროპელი მოგზაური გვესტუმრა. მათ ნაშრომებში ეერსად შეხედებით ცნობას იმის შესახებ, რომ შიდა ქართლი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას წარმოადგენდეს. ისინი აღწერენ ოსების დამახასიათებელ თვისებებს, ცხოვრების პირობებს, მაგრამ შიდა ქართლს ყოველთვის უპირობოდ, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ქართლ-კახეთის სამეფოს განუყოფელ ტერიტორიად მიიჩნევენ. მაგალითად, XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც 1778-1781 წლებში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის კარზე იმყოფებოდა, აღნიშნავს: „პროვინცია ქართლი. . . ჩრდილოეთით გადაჭიმულია კაეკასიონის უმაღლეს მთებამდე".[86] გერმანელი მოგზაური ი. გიულდენშტედტი კი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში, შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კაეკასიონის ქედს ასახელებს.[87]

უკანასკნელ ხანს მომრავლდა ბლიეისმაგვარი მეცნიერები, რომელთა წიგნებს სიამაოენებით ბეჭდავენ მოსკოეში. ეს წიგნები მიმართულია ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მაგალითად, ი. კოჩიეესა და ა. მარგიეების წიგნში[88] აღწერილია ათი ისტორია, სადაც მოთხრობილია შესაბამისი კომენტარებით თუ ქართველები რა საშინლად ეპყრობოდნენ ოსებს, როგორ ხოკავდნენ მათ და ერეკებოდნენ საქართველოდან. მაგრამ სამაგიეროდ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ორივე მხრიდან სისხლისღვრა, მსხვერპლი და ლტოლეილები ოსური სეპარატიზმის შედეგია, რომელიც აწყობდა მესამე ძალას. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უმოწყალოდ აწამებდნენ, ხერეტდნენ და თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან, თავიანთი მიწა-წყლიდან აძეებდნენ ქართველებს. იმის შესახებაც დუმან ოსი ავტორები, რომ პირველად სწორედ ქართველების სისხლი დაიღვარა ოსების მიერ. წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ეიმე ა. კასაეი აღნიშნავს: თუ წარმოიდგენთ, რომ მომავალში ინტერნეტი არ იქნება, მაშინ ჩვენ თანამედროვეობას შთამომავლები შეისწავლიან ბიბლიოთეკებში არსებული წიგნების მიხედვით, როგორც ეს ხდებოდა ძველად. ეს წიგნი გვიჩვენებს დრამატულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპისა და აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის – ოსების თანამედროვე ისტორიასთან. ისე როგორც ოსმალეთის იმპერიაში გენოციდი განიცადა სომხებმა, გერმანიაში ებრაელებმა და ბოშებმა, კამბოჯაში კამბოჯელებმა, საქართველოშიც ოსების გენოციდს ქკონდა ადგილი, რაც საქართველოს არ დაუშია.[89] თურმე ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის, ისტორიული ტერიტორიების დაცვა ფაშისტობა ყოფილა. ასე ხომ მსოფლიოში ეერც ერთი ერი ეერ ასცდება ამ ეპითეტის მიკერებას. ასეთი კონფლიქტები და შეტაკებები ხომ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში ძირითადად რუსეთის რეაქციული ძალების ხელშეწყობით მრავალ რეგიონში მოხდა. საინტერესოა, როგორი ეპითეტით მონათლავენ ოსი ლიტერატორი მეცნიერები ჩეჩნეთში მიმდინარე გაცილებით სისხლისმღვრელ ბრძოლებს. მაგრამ ეს მათ არ აწუხებთ, მთავარია მტრის ხატი დახატონ ქართველების სახით.

ა. კასაევი ისევ გემობძღვრავს: „საინტერესოა, რომ ოსეთის რუსულ ნაწილში, სადაც საუკუნეებია ათასობით ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, არასოდეს და არავის თავში აზრად არ მოსულია თავის სამშობლოდ საქართველო გამოეცხადებინა... თითოეულის სამშობლო იქაა, სადაც ის ცხოვრობს, იქ, სადაც ის დაიბადა, იქ, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.[30] თუ მხედველობაში არ მიეღებთ წინასიტყვაობის ავტორის სეპარატისტულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსეთი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლის ერთი ნაწილი რუსეთში მდებარეობს, ხოლო მეორე – საქართველოში, მაშინ საკამათო არაფერი რჩება. ბუნებრივია, საქართველოში დაბადებული ოსისათვის სამშობლო საქართველოა, ისე როგორც რუსეთში დაბადებული ქართველისათვის – რუსეთი. მაგრამ თუ რუსეთში დაბადებული ქართველები იარაღით ხელში ეცდებიან ის ტერიტორია, სადაც ისინი ცხოვრობენ, საქართველოს შემოუერთონ, მაშინ საშინელ სისხლისღვრას ვერ აცდება იქ მცხოვრები ქართველები.

ი. კოჩიევასა და ა. მარგიევის წიგნიც სიყალბისა და ფაქტების დამახინჯების არნახულ ნიმუშს წარმოადგენს. მაგალითად, წიგნის გარეკანზე აღნიშნულია: „სსრ კავშირის მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 164 ათასი ოსი ცხოვრობდა. 2002 წლისათვის საქართველოში დარჩა 38 ათასი ოსი". ავტორები მკითხველებს უმალავენ იმ ფაქტს, რომ 1989 წელს 164 ათასი ოსი ცხოვრობდა მთლიანად საქართველოში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიის ჩათვლით, ხოლო 2002 წელს საქართველოში 38 ათასი ოსი ცხოვრობდა ამ ოლქის ტერიტორიის გარეშე. ეს მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ აჩვენონ, თითქოს საქართველოდან კონფლიქტის შედეგად ოსების დიდი უმრავლესობა წაეიდა და ოსები საქართველოში 126 ათასი კაცით შემცირდა. საქართველოში მთლიანად 2002 წელს 82 ათასი ოსი ცხოვრობდა, მათ შორის, ყოველ სამხრეთ ოსეთის ოლქში – 46 ათასი.

ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს მოყავთ საქართველოში მცხოვრები ოსების ნაამბობი იმის შესახებ, თუ ეთნიკური კონფლიქტის დროს ოსები, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში გადასახლდნენ, როგორ მძიმე პირობებში ცხოვრობენ. ისინი ვერ ეგუებიან საერთო საცხოვრებლებს, სადაც უსუფთაობა, სიეფწროვე, ხმაური და სიღარიბეა.[31] სამაგიეროდ ოსი ეთმეცნიერები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ ქართველებს ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან, რომელიც მათი ისტორიული სახლერებელი ადგილია და სადაც მათი წინაპრები ათასეული წლები ცხოვრობდნენ, როგორ სისასტიკით აძევებდნენ ოსები. რატომ პგონიათ მათ, რომ თავიანთ მიწაზე ლტოლეული ქართველები შესანიშნავად ეგუებიან საერთო საცხოვრებლებს და იქ არც სიეფწროვეა, არც ხმაური და არც სიღარიბე. ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ როგორ კარგად ცხოვრობდნენ ოსები არა მარტო ყოფილ სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს ყველა რაიონში. მეათე ისტორია, რომელიც ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს მოყავთ აღნიშნულ წიგნში, მათდა უნებურად, სწორედ ამის დადასტურებაა. საქართველოს ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბში მცხოვრები ოსი ეროენების ი. კუმარიტოვი აღწერს კონფლიქტის პერიოდში თავის ისტორიას: „მთელი ჩემი დიდი ოჯახი – მე, მეუღლე, დედა, ორი ეაეშვილი, რძალი და შვილიშვილი – ეცხოვრობდით ერთად სოფელ მიტარბში. ყველანი საბჭოთა მეურნეობაში ემუშაობდით. გვქონდა დიდი ხის სახლი, დიდი ბოსტანი. შვეიასეიდეთ საშენი მასალები, ვაპირებდით ახალი, უფრო დიდი სახლის აშენებას. მეურნეობა არც თუ მცირე გვქონდა: 11 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 25 – ფერელი, მრავალი ფრინველი და ღორი, მანქანა - „Газ-69". ეცხოვრობდით შეძლებულად, ბაზარში ვეიდდით ყველს, მატყლს, ყოველგვარ ფრინველს. როდესაც ცხოვრება ქართველებთან შეუძლებელი შეიქმნა... გაეემგზაერეთ (ჩრდილოეთ ოსეთში – ა.თ.) ხელცარიელი, დოკუმენტებიც დაეკარგე.

ჩამოსულისთანაეე მიეხედი, რომ დიდ ხანს ვერ გავატანდი. საქმე ისაა, რომ ეცხოვრობდით ტურბაზაში სხვის კუთხეში. ასთმით ვარ დაავადებული. ყველაზე შესაფერი ადგილი ჩემთვის დედამიწის ზურგზე მშობლიური სოფელი მიტარბია, სადაც თავს ვგრძნობდი ადამიანად. დავთანხმდი უკან დაბრუნებაზე, რომ ერთხელ კიდევ მესუნთქა მშობლიური პაერი. მართალი გითხრათ, ეფიქრობდი ბარემ დამებრუნებინა ჩემი სახლი და გამეფორმებინა იგი ქალიშვილზე, ხოლო შემდეგ უკან ჩამოვსულიყავი და აქ დამესრულებინა სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

ზენთა ბესტაევამ ჩვენ ჩაგვიყვანა მიტარბში, იქ კი გვიცდიდა მ. ააკაშვილი ჟურნალისტებთან ერთად, წარმოთქვა სიტყვა. ჩემს სახლში ცხოვრობდა ეიღაც ქართველი, იგი მაშინვე გამოასახლეს, ბინა მთლიანად გაარქმონტეს. მაშინვე მიეიღე პასპორტი და საკაშვილის ბრძანებით, როგორც გამონაკლისი, საქართველოს მოქალაქეობა. დაგვიანდნენ 5 ათას დოლარსაც, მაგრამ მიეიღე 4 ათასი ლარი (ორი ათასი დოლარი),ისიც ერთ თვეში. მოგეცეს ყველაზე აუცილებელი ავეჯი, ახროხა ბბოთი. სოფელში ამ დროს სინათლე იყო. . . ეცდილობდი სახლის გაყიდვასაც და დავრჩი იქ დეკემბრამდე. სინათლეს აღარ გეაძლეედნენ, ზამთარში გზა არ არის. ცხოვრება იქ ამჟამად ძალიან ძნელია. დაბრუნდი უკან, სახლში დაეტოვე ნათესაი. გამოვიზამთრე აქ, ისევ დაიწყო ძალიან დიდი სიცხეები და ისევ მომინდა მიტარბში წასვლა, რათა დამესვენა ჩემი დაავადებისაგან და მომენახულებინა სახლი. მაგრამ პასპორტი დამეკარგა ჯერ კიდევ 1991 წელს. გასულ წელს საზღვარი გადაელახე ლტოლეიღის მოწმობით, ახლა იგი ჩამომართვეს, ხოლო ქართული პასპორტით საზღვარზე უკვე არ გამიშვებენ"[92].

წერილიდან ნათლად ჩაის, რომ ი. კუმარიტოვი საქართველოს ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბში ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებულად და თავს **გრძნობდა ადამიანად**. აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ კომუნისტური მმართველობის პერიოდში ოჯახი, რომელსაც ყაედა 11 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 25-წერილი, მრავალი ფრინველი და ღორი, ითვლებოდა უმდიდრეს ოჯახად. ი. კუმარიტოვს ჰქონდა საკმაოდ დიდი ხის სახლი (ბორჯომის რაიონის სოფლებში ტრადიციულად ხის სახლებია გაერცელებული), მაგრამ იგი კიდევ უფრო დიდი სახლის აშენებას აპირებდა და ამისათვის მას საშენი მასალებიც შეძენილი ჰქონდა. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. საქართველოში ოსები, მართლაც, შეძლებულად, შეიძლება ითქვას, ყველაზე კარგად ცხოერობდნენ და ამის დამამტკიცებელ შესაბამის ობიექტურ, ოფიციალური მონაცემებსაც ქვემოთ მოეიყვანთ. ამიტომ სრულიად ალოგიკურია დ. მედოეევისა და სხვათა დაჩიელება იმის შესახებ, რომ ოსების სოციალური მდგომარეობა საქართველოში მძიმე იყო. სწორედ საქართველოში ი. კუმარიტოეი „თავს გრძნობდა ადამიანად". აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ი. კუმარიტოეის წერილში, რომელიც ქართველების საწინააღმდეგოდ მოეაეთ წიგნის ავტორებს, როგორც ჩანს, ეს ადგილი გაეპარათ, ასე ეთქვათ, მაინც გაეფინა სიმართლეეშ. ამასთან, როდესაც ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შედეგად ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობები გართულდა, ოსები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საქართველოს რაიონებში, მაშინ როდესაც თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ქართველის ჩასელა შეუძლებელი იყო, ქართველს იქ ჩასელა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ეურადღება უნდა მიეაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის პროგრამა ითვალისწინებს ოსების უკან, საქართველოში დაბრუნებას და მათთვის შესაბამისი საცხოერებელი პირობების შექმნას და არა მათ მიერ ფულის კეთებას, სახელმწიფოს მიერ მოწყობილი სახლკარის გაყიდვას. უკან დაბრუნებულ ი. კუმარიტოეს, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ყველაფერი გაუკეთეს სოფელ მიტარბში ცხოერებისათვის. როდესაც ქეეყანა ეკონომიკურად მოძლიერდება, შეიძლება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ოსებსაც და ქართველებსაც ყველაფერი აუნაზღაურონ, მანამდე კი, გარდამავალ პერიოდში, უშუქობა, უგზოობა და ძნელი ცხოერება აწუხებს მთელ საქართველოს და არა მარტო ოსებით დასახლებულ სოფელ მიტარბის მოსახლეობას.

ი. კოჩიეეა და ა. მარგიეეი ასე ცალმხრიეად, უაღრესად ტენდენციურად აშექებენ მოელენებსა და პროცესებს. ისინი დუმან იმის შესახებ, რომ დაპირისპირება და კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის გამოიწვია რუსეთის იმპერიული ძალებისა და ოთხი უდანაშაულო ქართველის ჩაცსრილეამ და, რაც მთავარია, რუსების კარნახით სამხრეთ ოსეთის აეტონომიური ოლქის გაუქმებამ, საქართველოს შუაგულში თვითნებურად სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებამ, რაც ფაქტობრიეად საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაშლის ტოლფასია. სწორედ ამიტომ იმპერიული ენინთ შეპყობილი რუსეთის რეაქციული ძალები, ოსი სეპარატისტები ცდილობენ არაერთი ამაზრზენი დანაშაულის ჩადენის და-

ფარვას, სიმართლის მიჩქმალვას, თავიანთი მზაკერული გეგმების შენიღბვას. ამავე დროს მათ მიერ ქართველი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის, დატყვევების, აბუჩად აგდების, დახოცვის, არაადამიანური, შუასაუუნეობრივი მეთოდებით წამების უამრავი შემზარავი დოკუმენტი არსებობს.

ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამდე ქართული სოფლების მოსახლეობა იძულებულია ერთობლივი განცხადებით (1921 წლის 25 აპრილი) მიმართოს ხელისუფლებას: „— გვაქვს მეტად ცუდი მდგომარეობა. დღეს ჩვენ ეიმყოფებით ლტოლვილებად, ვართ ჩვენს სახლებს მოწყვეტილნი, ოსების შემოსვლის შემდეგ, გვიხდება 3 თვე, რაც გამოქცეული ვართ სახლებიდან. ცხინვალში დგაეიწვეს 78-80 სახლი და რაც გადარჩა საკონელი და აეეჯი და ჭირნახული, წაიღეს ჯაეის რაიონისაკენ— როცა ეთხოვეთ, ცემითა და მუქარით გვიპასუხებენ. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი, მათში ზოგი დაწვეს და ზოგიც ცემით დახოცეს, გააუპატიურეს ქალები, დიდები, პატარები—"[93] ქართული სოფლების მოსახლეობა ქალაქ ცხინვალისა და ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის გადაცემის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამ მიზნით ქართული სოფლების წარმომადგენელთა არა ერთი და ორი კრება გაიმართა. ერთ-ერთი ასეთი კრების ოქმში, რომელსაც 230 კაცი აწერდა ხელს, აღნიშნულია: „კრებამ ერთხმად, კატეგორიულად პროტესტი განაცხადა ქ. ცხინვალისა და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთზე გადაცემის შესახებ— ქ. ცხინვალი ითელებოდა და ითელება კიდეც, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარსშემორტყმული ქართველებით გასახლებული სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ. ამისათვის განმეორებით დიდ იმედს გამოეთქვამთ, რომ მუსურ-გლეხური მთავრობა ანგარიშს გაუწევს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას და მოსალოდნელ ჩვენ და ოსებს შორის ეროვნული შუღლის თავიდან ასაცილებლად ქ. ცხინვალის თავისი რაიონით დასტოვებს სს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფარგლებში".[94]

ოსების თარეშის გამო ქართული სოფლების მცხოვრებნი აცხადებდნენ (1921 წლის 25 დეკემბერი): „როდემდის უნდა ეიყოთ მოქცეულნი ოსეთის ფარგლებში —მთაერობამ მაშინ მოგეცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვეულებას"[95] ასეთი საარეიო მასალების მოტანა უხვად შეიძლება როგორც ადრინდელი ისე თანამედროვე პერიოდის მოვლენების შესახებ, მაგრამ უმჯობესია იკონიეკასა და ამარგიეკის მიერ მსგავსი წიგნების წერის ნაცვლად, რომლებიც კიდევ უფრო აღიეებენ და ძაბავენ ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს შორის, მათი მშვიდობიანი თანაარსებობის გზებსა და საშუალებებზე ეიფიქროთ.

ფართომასშტაბიანი კონფლიქტი, სისხლისღერა, რომელსაც ადგილი აქონდა ცხინვალის რეგიონში, შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის ამუშაეების გარეშე. ასეთ შემთხვეევაში მასების დამუშავება ხდება მოტყუებისა და დემაგოგიის გზით. ოსი სეპარატისტები ამისათვის არაფერს იშურებდნენ. უპირველეს ყოვლისა, ისინი თამაშობდნენ ეროვნულ გრძნობებზე, რაც ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ხერხია. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ერი, რომ ოსები განსაკუთრებული ხალხია, ატყუებდნენ თავიანთ თვისტომთ, რომ ქართველები აეიწროებდნენ მათ ენასა და ლიტერატურას, თითქოს შიდა ქართლის ტერიტორიაზე ისტორიულად მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ და ეს მათი მიწა-წყალია.

განსაკუთრებით ცოდაედა რუსული მედია, რომელიც, ობიექტური ინფორმაციის ბაერცელების ნაცვლად, მოვლენებს უალრეკად ცალმხრივად აშუქებდა — ყველაფერში დამნაშეედ ქართულ მხარეს მიიჩნეედა. რუსეთის მხრიდან ინფორმაციულმა ომმა მნიშვნელოვნად გააღრმაეა კონფლიქტი, სისხლისღერა. მათი პრესა, განსაკუთრებით საომარი მოქმედებების დროს, აქცენტს დაღუპულთა ეროვნულ კუთვნილებაზე აკეთებდა, ფართოდ აშუქებდა ოსების მხრიდან დანაკარგებს, თითქოს ისინი გადამთიელები იყვნენ და არა საქართველოს მოქალაქენი, თითქოს ამ ძმათამკელელ ომში ერთი ქართველიც არ დაღუპულიყოს. დაცვის ნაცვლად ფეხქეეშ ითელებოდა ზნეობრივი პრინციპები, სამართლიანობა, ადამიანური ღირსება. რუსული მედია, ენებათა ღელვის რაც შეიძლება დაძაბეისათვის, ყველა

ფაქტს, ყველა მოელენას უმოწყალოდ ამა-ხინჯებდა, თუმცა რეალური ვითარება მან შესანიშნავად იცოდა. მოკლედ, მის მიერ წარმოებული ინფორმაციული ომი, მხოლოდ სისხლისღერას მოუხმობდა და საბოლოოდ იმპერიული მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. მხოლოდ ამ პოზიციიდან შუქდებოდა „ცუდი ქართველებისა" და „კარგი ოსების" პრობლემები, რომლებიც სინამდვილეში მათ არანაირად არ აღელვებდათ. ამის სანიმუშო მაგალითებია 1990 წელს საკავშირო ჟურნალ „დიალოგში" (№13) დაბეჭდა ვინმე ა. ტაუსოევას სტატია „წინადღე", რომელიც სპეციალურად შეკვეთითაა დაწერილი, ჟურალისტ ს. ჩერიოშინის სტატია გაზეთ „ტრუდში" (16 და 17 მაისი, 1991), გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული საკუთარი კორესპონდენტის ფ. სიზოს წერილი (31 იანვარი, 1991) და მრავალი სხვ.

სამწუხაროდ, ასეთი გამოხდომები და ცილისწამებები დღემდე გრძელდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიყალბის მასშტაბები უართოდება. ამჟამად უკვე ბუნებაში არარსებული და თანაც სრულიად არარეალური მონაცემები მოაქვთ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ყოფილ სამხრეთ ოსეთში შობადობისა და მოკვდავობის მხრივ თითქოს კატასტროფული მდგომარეობა იყო. დ. მედოევი აღნიშნავს: „არ არის გასაკვირი აგრეთვე, რომ საქართველოში სწორედ სამხრეთ ოსეთში აღინიშნა მოკვდავობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (10 კაცი მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე), მაშინ როდესაც მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე 8 ბავშვი იბადებოდა (1988 – 1989 წლების მონაცემები)". ასეთ მონაცემებს ვერცერთ სტატიკურ კრებულში ვერ შეხვდებით. ავტორი ვერ დაასახელებს წყაროს, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ყოველ 1000 კაცზე ყოფილ სამხრეთ ოსეთში 1988 – 1989 წლებში მოკვდავობა 10 კაცს, ხოლო შობადობა 8 ბავშვს უდრიდა. ამ მხრივ ყოფილ სამხრეთ ოსეთში ისეთივე ვითარება იყო, როგორც მთლიანად საქართველოში, ხოლო ზოგიერთ წლებში – უკეთესი. დ. მედოევს თვითნებურად, თავისი სასურველი მოსაზრების განსამტკიცებლად მოყავს შეთხზული მონაცემები, რაც უარეცედენტო შემთხვევაა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შობადობის დონე გაცილებით დაბალი იყო ქართველებში, ვიდრე აქ მცხოვრებ მთელ რიგ ეროვნებებში, მათ შორის, ოსებშიც. მაგალითად, ჯერ კიდევ 1959 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქართველებში - 21,8 პრომილეს უდრიდა; სომხებში - 28,8; აზერბაიჯანელებში – 43,9; აფხაზებში – 22,3; ოსებში – 25,5 პრომილეს; შემდგომ წლებში შობადობა ყველა ეროვნებაში შემცირდა, მაგრამ თანაფარდობა შობადობის დონეებს შორის, თითქმის უცვლელი დარჩა.[9]

შობადობა, მოკვდავობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოში (მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე)

	1970წ.	1985წ.	1986წ.	1987წ.	1988წ.	1989წ.
საქართველო						
შობადობა	19.2	18.7	18.7	17.9	17.3	16.7
მოკვდავობა	7.3	8.8	8.8	8.8	9.0	8.6
ბუნებრივი მატება	11.9	9.9	9.9	9.1	8.3	8.1
თბილისი						
შობადობა	18.0	16.0	16.1	15.1	14.7	14.4
მოკვდავობა	8.0	8.2	8.2	8.0	8.2	8.2
ბუნებრივი მატება	10.0	7.8	7.9	7.1	6.5	6.2
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა						
შობადობა	19.0	19.2	18.3	19.0	18.1	16.7
მოკვდავობა	6.9	9.0	9.9	9.8	9.1	8.7
ბუნებრივი მატება	12.1	10.2	8.4	9.2	9.0	8.0

წყარო: Демографический ежегодник СССР 1990. М., 1990. с. 152.
Население СССР 1988. Статистический сборник. М., 1989, с. 96-97.
Население СССР 1987. Статистический сборник. М. 1988, с. 164-167.

ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში. მაგალითად, მოსახლეობის ათი ათას სულზე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში 134,3 საავადმყოფო საწოლი მოდიოდა, 67,4 ყველა სპეციალობის ექიმი და 143,4 საშუალო სამედიცინო პერსონალი. საქართველოს რესპუბლიკის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალი იყო და შესაბამისად 110,6, 58,0 და 124,9-ს უდრიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1988 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებლები ოლქს გაცილებით უკეთესი აჩვენდა (საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფის გარდა).

მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნველყოფის დონეც უკეთესი იყო ოლქში, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში. კერძოდ, 1988 წელს მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ყოფილ ავტონომიურ ოლქში უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ასაკის ბავშვთა 53 პროცენტი, საქართველოს რესპუბლიკაში – 46, მათ შორის: აფხაზეთში – 39, ხოლო აჭარაში – მხოლოდ 28 პროცენტი.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა ასევე გაცილებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის საერთო ფართობით, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ ნებისმიერი ავტონომიური ფორმირების მოსახლეობა. ამრიგად, ამ მაჩვენებლითაც ოლქი პირველ ადგილზე იმყოფებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში. რეგიონის მოსახლეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით პკადა პირად საკუთრებაში მსუბუქი ავტომობილებიც. მაგალითად, ოლქის მოსახლეობის ყოველი ათასი კაციდან 59 კაცს ჰყავდა მსუბუქი ავტომობილი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში – 53 კაცს[97].

კიდევ ერთი მაჩვენებლით იდგა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში – ყოველ ათი ათას მოსახლეზე ბიბლიოთეკების რაოდენობით. ამასთან, მოსახლეობის საკლუბო დაწესებულებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტად ჭარობდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელს. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე გაცილებით მეტი სტუდენტი და მოსწავლე მოდიოდა, ვიდრე საშუალოდ საქართველოში და მის ავტონომიურ რესპუბლიკებში–აფხაზეთსა და აჭარაში. ოლქში ასევე მაღალი იყო მუზეუმების დამთვალიერებელთა რიცხვი, ხოლო თეატრალურ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი ყველაზე მაღალი-საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებთან შედარებით მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით.

მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმებით, საშუალო სამედიცინო პერსონალითა და საავადმყოფო საწოლებით 1988 წელს საბჭოთა კავშირსა და საქართველოში მოსახლეობის ყოველ 10 000 კაცზე გაანგარიშებით

	ექიმები	საშუალო სამედიცინო პერსონალი	საავადმყოფო საწოლები
საბჭოთა კავშირი	43.8	116.9	131.3
მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა	68.7	120.4	129.6
საქართველო	58.0	124.9	110.6
მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	47.3	127.1	119.0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	45.4	116.6	109.8
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	67.4	143.4	134.3

წყარო: Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 127-131.

მართალია, ბიბლიოთეკების რიცხვით მოსახლეობის 10 000 კაცზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მ. ბლიევს, დ. მედოევს, ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს ბიბლიოთეკაში არასოდეს შეუელიათ, წინაადმდგ შემთხვევაში ისინი ამდენი სიყალბის თქმას მოერიდებოდნენ.

მოტანილი ოფიციალური მონაცემები სრულ უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საერთოდ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ათეული წლების განმავლობაში ბეერად უკეთესი პირობები ჰქონდათ შექმნილი თავიანთი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ რომელიმე ავტონომიური წარმონაქმნის მოსახლეობას. სწორედ ამაზე მეტყველებს ოფიციალური, ყოფილი საბჭოთა კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის არაერთგზის გამოქვეყნებული მონაცემები. რაც შეეხება მუშაობის ხარისხორივ მაჩვენებლებს, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, მარცველეულის მოსავლიანობა 1988 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჰექტარზე საშუალოდ 17,1 ცენტნერს უდრიდა, ხოლო საქართველოში 26,2 ცენტნერს, მის ავტონომიურ ფორმირებებში, კერძოდ, აფხაზეთში – 28,9 და აჭარაში – 29,6 ცენტნერს. კარტოფილის მოსავლიანობა სამხრეთ ოსეთში ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირში და იგი ამავე წელს ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერს შეადგენდა, საბჭოთა კავშირში – 103; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 111; საქართველოში – 109; აფხაზეთში – 72; ხოლო აჭარა

სოციალური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი საბჭოთა კავშირსა და საქართველოში 1988 წელს

	მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა ერთ მცხოვრებზე (საერთო ფართობი, კვ.მ)	ანბარის საშუალო მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე (მ³)	მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე	სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე	მოზრდილების დამოგარიელებელთა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის 1000 კაცზე	თეატრალურ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის 1000 კაცზე
საბჭოთა კავშირი	15.7	1035	5	5	704	393
მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა	15.9	1289	3	3	557	410
საქართველო	18.8	1160	8	5	1217	715
მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	17.3	1126	6	5	1561	373
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	17.3	907	10	5	556	458
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	21.3	1534	16	11	1522	788

წყარო: Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 43-45; 76-78; 109-116.

ში – 108 ცენტნერს. ასევე უაღრესად დაბალი იყო სამხრეთ ოსეთში ბოსტნეულისა და ყურძნის მოსაელიანობა (ამ უკანასკნელი მაჩვენებლის მიხედვით საბჭოთა კავშირში ბოლო ადგილი ეკავა). სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა 1109 კილოგრამ რძეს უდრიდა და ეს მაჩვენებელიც ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირში. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო საქმიანობის შედეგები, კერძოდ, მოგება და რენტაბელობის დონე (მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან) ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს შეეხება არა მხოლოდ 1988 წელს, არამედ გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებსა და უფრო ადრეულ პერიოდსაც.[98]

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი 1988 წელს

	საბჭოთა კავშირი	რუსეთი	ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა	საქართველო	სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი
მარცვლეულის მოსავლიანობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ცენტნერობით ერთი ჰექტრიდან)	17.0	15.6	32.4	26.2	17.1
კარტოფილის მოსავლიანობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ცენტნერობით ერთი ჰექტარიდან)	103	102	111	109	37
ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (კგ)	2798	2703	2868	1935	1109
ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება კოლმეურნეობებში (მანეთობით)	9.7	10.6	8.3	9.9	26.9
ერთი ცენტნერი კარტოფილის თვითღირებულება კოლმეურნეობებში (მანეთობით)	15.8	17.8	10.1	29.2	53.1
ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება საბჭოთა მეურნეობებში (მანეთობით)	12.0	12.3	10.4	16.4	26.7
ერთი ცენტნერი კარტოფილის თვითღირებულება საბჭოთა მეურნეობებში (მანეთობით)	20.3	21.2	16.4	30.3	99.3
რენტაბელობის დონე საბჭოთა მეურნეობებში (მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან, პროცენტობით)	30.0	36.4	29.9	9.1	-7.4

წყარო: Статистические материалы... с. 218, 268, 293, 295, 303, 309.

ასეთ პირობებში სრულ ანაქრონიზმად, უაზროებად გაისმის ოსი სპეპარატისტი მეცნიერების, ოსი და რუსი ჟურნალისტების – მ. ბლიევის, დ. მედოევის, ი. კოჩიევის, ა. მარგიევის, ს. ჩერიომინის, ა. ტაუსოევას, ე. სიზის და სხვათა „მოსაზრებები" იმის შესახებ, თითქოს სამხრეთ ოსეთი, იმყოფებოდა რა 70 წლის განმავლობაში საქართველ-

ლოს სსრ შეამდგენლობაში ავტონომიური ოლქის სახით, განიცდიდა სოციალურ და კოლონიურ ჩაგვრას. ეს აბსურდული მოსაზრებები ოსი სეპარატისტებისა და მათი დამჭაში და დამფინანსებელი რუსი რეაქციული ძალების ერთობლივი „ნამოღვაწარია".

საქართველოში მცხოვრები ოსებისადმი ქართველი ხალხი ყოველთვის იჩენდა პატივისცემას, მათდამი მზრუნველობას, უშურველად უწყობდა ხელს მათი სულიერი კულტურის განვითარებას.

1988 წელს „სამხრეთ ოსეთში", რომლის მოსახლეობა 6,4-ჯერ ნაკლები იყო ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაზე, ყოველ ათი ათას მცხოვრებზე 3,5-ჯერ მეტი დასახელების წიგნი გამოდიოდა 2-ჯერ მეტი ტირაჟით, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში.[99]

ყოფილ სამხრეთ ოსეთში სრული შესაძლებლობა ჰქონდა ახალგაზრდობას განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო. მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, „ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებში არც ერთი ეროვნული სკოლა არ არსებობდა და მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშვი რუსულ ენაზე სწავლობდა",[100] საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შორის, 90 სკოლა – ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 8 სკოლა ოსებით შედარებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში – თბილისში, ლაგოდეხში, ბორჯომში, ქარელსა და ყვარელში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1921 წლამდე არც ერთი ოსური სკოლა არ არსებობდა. 1926 წლისათვის საქართველოს ხუთ მაზრაში უკვე 19 ოსური სკოლა იყო, ხოლო 1928–29 სასწავლო წელს ოსური სკოლების რიცხვი 26-მდეწ გაიზარდა.[101]

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა. ეროვნული ენები განიდევნა ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, საცხოვრებელი კორპუსებიდან, ინსტიტუტებიდან, სკოლებიდან. შინ და გარეთ, სამუშაოზე და ქუჩაში ყველაფერი რუსულ ენაზე „ალაპარაკდა". ასეთი ვითარება იყო მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. საბურველ შედეგსაც მალე მიაღწიეს. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების მიხედვით მშობლები შვილებთან ურთიერთობაში ნაკლებად იყენებდნენ მშობლიურ ენას. ამ აზრის იყო გამოკითხულთა 37,5 პროცენტი. 50,0 პროცენტი კი თვლიდა, რომ შვილებთან ურთიერთობაში იყენებდა როგორც მშობლიურ ენას, ისე რუსულ ენას. გამოკითხულთა 90,0 პროცენტი ქალაქად არაოფიციალური მიმოწერის დროს რუსულ ენას ხმარობდა, ხოლო 10,0 პროცენტი – ორიენ ენას. მხატვრულ ლიტერატურას 45,0 პროცენტი მხოლოდ რუსულ ენაზე კითხულობდა, ხოლო პერიოდულ პრესას – 67,0 პროცენტი. ამასთან გამოკითხულთა 100,0 პროცენტი აუდიტორიის წინაშე მხოლოდ რუსულ ენაზე გამოდიოდა.[102]

ყოველივე ეს ძირითადად იმან განაპირობა, რომ ოერიში მიაქნდათ ეროვნულ ენებზე და ცდილობდნენ მხოლოდ რუსული ენის დამკვიდრებას. მაგალითად, საკმარისი აღმოჩნდა ყოფილ საბჭოთა კავშირის პირველ პირს ნ. ხრუშჩოვს ბელორუსიის უნივერსიტეტის კიბეებზე ეთქვა საკრამენტული ფრაზა: „რაც უფრო მალე ჩვენ ყველანი ვილაპარაკებთ რუსულად, მით უფრო სწრაფად ავაშენებთ კომუნიზმს", რომ არა მარტო ბელორუსიაში, არამედ უკრაინაშიც მაშინვე დაიწყეს ამ ყოველმხრივ საზიანო და ნაცოდვილარი ნაზრევის ცხოვრებაში გატარება.[103] მართალია, კომუნიზმი ვერ აშენდა, მაგრამ სამაგიეროდ ბელორუსიაში თითქმის აღარ დარჩა სკოლა მშობლიურ ენაზე. მოსწავლეთა 79,0 პროცენტი განათლებას რუსულ ენაზე იღებდა. ბელორუსული სკოლა მხოლოდ სოფლად შემორჩა. სკოლებში ბელორუსულ ენას სამჯერ ნაკლები საათები ეკუთვნოდა დათმობილი, ვიდრე რუსულს. ბელორუსული ენის დისკრიმინაციის საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათი, ვინც მშობლიურ ბელორუსულ ენას ასწავლიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ცნობილი დაღესტნელი პოეტი

რასულ გამზათოვი წერდა: „ჩემს მშობლიურ დაღესტანში ლიტერატურა ცხრა ენაზე იქმნება. აბერაციებენ, რომ არც ერთ მათგანს არ უწერია გაკრობა– უკანასკნელ დროს ეროვნულ ენაზე ორი ახალი ლიტერატურული ჟურნალი გამოიცა. მაგრამ გვაღელვებს საკითხი: ეის შეეძლება ეს ჟურნალები წაიკითხოს ათი, ოცი წლის შემდეგ? მახაჩკალაში არ არის არცერთი ბაბაშვო ბაღი, არც ერთი სკოლა, არც ერთი კლასი, სადაც ჩვენი წინაპრების ენას ასწავლიდნენ".[104] აი დროს საქართველოში, როგორც ითქვა, 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა 90 ეროვნულ სამხრეთ ოსეთში და 8 ოსებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ოსი აეტორები სკოლების რაოდენობის საკითხშიც არ ერიდებიან სიყალბეს და აცხადებენ: ოსებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში დაიხარა ოსური სკოლები, ხოლო ლაგოდეხის რაიონში არსებულ ერთადერთ ფონის ოსურ სკოლაში დირექტორი ქართველია. ბავშვები ძალიან ცოტაა, რამდენადაც ფონისა და გარშემო სოფლების მოსახლეობა მცირდებაო".[105] ჯერ ერთი, რეა სკოლიდან ფუნქციონირებს ხუთი ოსური სკოლა, მეორეც, რატომ არ შეიძლება ოსური სკოლის დირექტორი ქართველი იყოს, გაუგებარია. ამასთან მარტო ლაგოდეხის რაიონში სამი ოსური სკოლაა – ბოლქვის საბაზო, ფონისა და არეშფერანის საშუალო სკოლები. რაც შეეხება მოსწავლეების სიმცირეს – ესეც გასაგებია. ოსები მარტოოდენ კონფლიქტური სიტუაციის გამო საქართველოდან არ წასულან. ასი ათასობით ქართველმაც დატოვა საქართველო ეკონომიკური სიდუხჭირის გამო. რაც მთავარია, ქვეყანაში უაღრესად გაუარესდა დემოგრაფიული ეითარება, გინახავრდა შობადობა. კერძოდ, თუ 1980-1989 წლებში, ათ წელიწადში საქართველოში 935 776 ბავშვი დაიბადა, 1995-2004 წლებში ანუ ისევ ათ წელიწადში დაბადებულთა რაოდენობამ 504 302 ბავშვი შეადგინა. ასეთ პირობებში მოსწავლეთა რაოდენობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა და ზოგიერთი სკოლა დაიხურა კიდეც. რა გასაკვირია, რომ სოფელ ფონაშიც მოსწავლეთა რაოდენობა შემცირებულიყო.

მოწინავე ქართველი საზოგადოება ეოველთვის ზრუნავედა ოსური კულტურის განვითარებისათვის; ისტორიული ფაქტია, რომ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, ერეკლე მეფის დროს საგანგებო კომისიამ ოსებს შეუქმნა პირველად დამწერლობა, მოგვიანებით კი ქართული დამწერლობის გრაფიკა დაედო საფუძვლად ოსურ დამწერლობას.

ქართველი ხალხი მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ასევე ეოველთვის ზრუნავდა ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლა– განათლების მიღებისათვის. ისტორიული სიმართლე მეტ პატივისცემას იმსახურებს. სიმართლე კი ის არის, რომ როგორც ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, ოსებმა ისარგებლეს ქართული „დედა-ენით" და მოკლე ხანში შექმნეს ოსური „დედა-ენა". ამასთან, რადგან ფოტოსურათების დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მათ ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომლებიც უფასოდ დაეთმოთ.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართველი მისიონერები იღწვოდნენ ოსეთის მოსახლეობაში განათლების შესატანად. 1764 წელს ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში გაიხსნა პირველი სკოლა ოსი ხალხის ისტორიაში. ეს სკოლა ერთადერთი იყო არა მხოლოდ ოსეთში, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. როგორც ოსი ისტორიკოსი გ. თოგოშვილი აღნიშნავს, სკოლის გახსნის „პროგრესული იდეის აეტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ. . . მას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა აქონდა. ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა. . . დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში"[106].

XIX საუკუნეში თბილისისა და გორის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარებში მრავალი ახალგაზრდა სწავლობდა ჩრდილოეთ ოსეთიდან. ისინი შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ და თვალსაჩინო კვალი დატოვეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სასკოლო განათლებასა და თავისი ხალხის კულტურულ ცხოვერებაში. ცნობილია, მაგალითად, რომ ერეკლე მეფის ბრძანებით საქართველოში

მიიღო განათლება იოანე იალღუზიძემ, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ოსეთის ყველაზე ცნობილი მოღვაწე გახდა. მის მიერ შესრულებულია პირველი ოსური ხელნაწერი (1802 წ.) ქართული გრაფიკით. 1812 წელს ქართული გრაფიკის საფუძველზეა შედგენილი აგრეთვე პირველი ოსური ანბანი. დიდი დამსახურება მიუძღვის ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ცნობილ ქართველ მწერალს დანიელ ჭონქაძეს, რომელიც, როგორც ოსური ენის კარგი მცოდნე, 1855 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსური ენას ასწავლიდა. დანიელ ჭონქაძის მიერ ჩაწერილი ოსური ხალხური შემოქმედების ნუმუშების ნაწილი 1868 წელს პეტერბურგში გამოიცა.[107] მან რამდენიმე წიგნიც თარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე. როგორც ა. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, დ. ჭონქაძეს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ მინდობილი ქონდა რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა, მუშაობაც დაუწყია, მაგრამ აკადემყოფობის გამო ვერ დაუმთავრებია. ლექსიკონის ნაწილი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.[108]

უსადაუდებელი წელილი შეიტანა ოსური ენის შესწავლასა და განეითარებაში აკადემიკოსმა გიორგი ახელედიანმა. ოსთა სამეცნიერო კადრების უმრავლესობა მომზადდა თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებში. 1906 წელს თბილისში დაარსებულმა „ოსური გამომცემლობის საზოგადოებამ" 1907 წელს თბილისში გამოუშვა ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ" („ახალი ცხოვრება"). ამ საზოგადოებამ თბილისში მცხოვრები ოსი ახალგაზრდებისათვის გახსნა სკოლა, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. ამავე საზოგადოებამ ჩამოაყალიბა დრამატული წრე, რომელმაც თავისი პირველი სპექტაკლი 1906 წელს უჩვენა მაყურებელს. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ქართველი ხალხის ხელშეწყობით პირველი ოსური სახელმწიფო დრამატული თეატრი დაარსდა საქართველოში 1931 წელს. მომდევნო 1932 წელს კი ცხინვალში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი.

მეტად ანგარიშგასაწევი და აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც ორჯონიკიძეში არსებობდა ჩრდილოეთ ოსეთის ისტორიის, ეკონომიკის, ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომზადდა ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის ოთხტომეული, რომლის შედგენაში ინსტიტუტის თანამშრომლებს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. აქვე მომზადდა „ოსეთის ლიტერატურის ისტორიის" მრავალტომეული, რომლის პირველი ტომი ჯერ-კიდევ ამ 25 წლის წინათ გამოიცა. გამოცემულია აგრეთვე „ოსეთიის ისტორიის" მრავალტომეული. სამხრეთ ოსეთშიც გამოიცა ოსური ხალხური ზღაპრების რამდენიმე ტომი როგორც ოსურ, ისე ქართულ და რუსულ ენებზე და სხვ.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას კითხვა, თუ რამ განაპირობა დღეს არსებული ვითარება ყოფილ სამხრეთ ოსეთის აეტონომიურ ოლქში. უპირველეს ყოვლისა, ეს იმის შედეგია, რომ ათეული წლების მანძილზე ეროვნულ და ეროვნებათშორის სფეროში დაგროვილ მტკიცენეულ პრობლემებზე ნაკლებად ეზრუნავდით, აშკარად უგულებელყოფდით ისტორიულ ფაქტებს. ამასთან, რაც მეტად საგულისხმოა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის რეაქციული წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ზეწოლა მოეხდინათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და ამით მომავალშიც განეხორციელებინათ თავიანთი იმპერიული მიზნები. საქართველოში ამისათვის საჭირო იყო აფხაზეთსა და ოსეთში არსებული სეპარატისტული ძალების გამოყენება, ამ ძალების გაფართოება, მათდამი მხარდაჭერა, ანტიქართული განწყობილების გაღვივება. მათ ამ საქმეში ფართოდ გამოიყენეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. იდეოლოგიურად ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რამაც შემდეგში სისხლისღერა და მრავალი უბედურება გამოიწვია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში.

ყალბად გაგებულმა პატრიოტიზმმა ის შედეგი გამოიღო, რომ ოსი სეპარატისტული ძალები და ოსი ექსტრემისტები ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის, ცდილობენ

სამკედრო-სასიცოცხლოდ დააპირსპირონ ერთმანეთს ქართველი და ოსი ხალხები. ეს იმის შედეგიც არის, რომ ჩვენც წლების მანძილზე ყურადღებას არ ეაქცევდით ეროვნული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას, ვერიდებოდით სიმართლის თქმას ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ხალხთა განსახლების ობიექტური მიზიზების შესახებ, ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან განვიხილავდით. ამის ნათელი მაგალითია ოსური ლიტერატურის კლასიკოსის ეოსტა ხეთაგუროვის აბსოლუტურად მცდარი მოსაზრება ოსეთის მდებარეობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კაეკასიაში ოსური თემები ღრმა ხეობებში ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან უაღრესად შეზღუდული ურთიერთობა ჰქონდათ. ამავე დროს, მას „ახალქალაქიდან, ქუთაისიდან და გორიდან დაწყებული და მოზდოკით დამთავრებული" დანარჩენ ოსეთად მიაჩნია.[10] არა გეგონია ეს მოსაზრება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და ოს სეპარატისტებსაც კი არ სჯერათ, არავის წაეკითხოს, მაგრამ ყველაფრის მხოლოდ ინტერნაციონალური პოზიციიდან განხილვის გამო, მასზე სიტყვაც არავის დაუსვია. არ შეიძლება საღი აზრი მოველენების უბრალო შემაუურე დარჩეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ვერ ურიგდება თავისი ზეგაელენის დაკარგვას ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში და სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით ცდილობს მის აღდგენას. რუსული რეაქციული ძალები, როგორც ზემოთ ითქვა, ხელს უწყობენ ოს სეპარატისტებს შექმნან ცრუ წარსული ისტორიის ხელახალი გადაწერის გზით, რათა თავდაყირა დააყენონ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ჭეშმარიტი ისტორია. თავის დროზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულად და კულტურულად ქართულ მიწაწყალზე, რუსული იმპერიული ძალებით იყო ნაკარნახევი. ოსებმა დაიწყეს ბრძოლა ქართული ტერიტორიების მისაკუთრებისათვის. ეს პროცესი საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1922 წელს შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

მანამდე კი, როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 1918-1921 წლებში დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ბოლშევიკური რუსეთის კარნახით შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე სამჯერ მოეწყო აჯანყება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასამხობად. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი უსიტყვოდ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, იგი მანამდეც და შემდეგაც ძირს უთხრიდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ასეთ მძიმე ეთაარებაში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია 1920 წლის 20 მარტს განცხადებით მიმართავს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, იტალიის წარმომადგენლებს თბილისში: „ჩვენ მივიღეთ ფაქტიური აღიარება, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვართ, მაგრამ... მხოლოდ შიშველმა აღიარებამ ვერ მოგვცა ვერაფითარი უპირატესობა ჩვენი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი არსებობის ბოლომდე შენარჩუნების საქმეში... ჩვენ განსაკუთრებით ჩაგვცა ლახვარი თანხმობის ქვეყნების ჩვენდამი დამოკიდებულებამ ჩვენი ჩრდილო საზღვრების დაცვის საქმეში, საიდანაც ჩვენი სახელმწიფოს დანგრევის მიზნით ბოლშევიკები მოემართებიან. ჩვენ არაერთხელ აღძაერით შუამდგომლობა ამ ბრძოლაში ამუნიციით და სურსათით მხარდაჭერისთვის. მხარდაჭერას დაგეპირდნენ... მაგრამ დღემდე ვერ მივიღეთ თქვენგან ვერც ერთი ეახნა, ვერც ერთი ფუნტი პური. ახლა დადგა მომენტი, როდესაც მეტი ლოდინი შეუძლებელია და დაპირებებით ვერ დავეამაყოფილდებით... ჩვენ ისევ მარტონი დაერჩით, ან იმის გამო, რომ თქვენი მთავრობები არასაკმარისად არიან ჩახედულნი, ან კიდევ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი რესპუბლიკის დანგრევა აღმოსაელეთში თქვენი ინტერესების ხელყოფად არ ითვლება.

ასეთ ეითარებაში ჩვენი ხალხის უმაღლესი ინტერესები საქართველოს მთავრო-

ბას კარნახობს დაუყოვნებლივ ეძებოს ხსნის გზები უკვე თქვენს გარეშე, თქვენი ინტერესების გაუთვალისწინებლად"[110].

ასეთ მძიმე ვითარებაში, როდესაც რუსეთის წითელი არმიის ნაწილები უახლოდებოდნენ საქართველოს საზღვრებს, ოსები შიდა ქართლში რამდენჯერმე აჯანყდნენ. რუსეთის მე-11 არმიის ხელმძღვანელობაც საქართველოზე შეტევისა და მისი გასაბჭოების მიზნით იმედს აჯანყებულ ოსებზე ამყარებდა, რომლებიც, აჯანყებულთა მიერ მიღებული მემორანდუმის მიხედვით, მხარს უჭერდნენ „სამხრეთ ოსეთში დაწყებულ კომუნისტურ აჯანყებებს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც გადატრიალებისათვის ყველაფერი მომწიფებული კი არა, გადამწიფებულიც არის"[111]. აჯანყებული ოსები მოითხოვდნენ ავტონომიას და საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წელს მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და 25 თებერვალს გამოაცხადა საქართველოს გასაბჭოება. ოსებმა, ამ საქმეში გაწეული დახმარებისათვის, 1922 წელს სანაცვლოდ მიიღეს ავტონომია ოლქის სტატუსით ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ოსებით კომპაქტურად დასახლებული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ტერიტორიის ნაწილი იმდენად პატარა იყო, რომ იქ ავტონომიური წარმონაქმნის შესაქმნელად არაეითარი საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ ავტონომიური ოლქის შექმნისათვის გამართლება რომ მოეძებნათ, მას მიუერთეს ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი, მათ შორის, ქალაქი ცხინვალიც, რომელიც ოლქის დედაქალაქი გახდა. ამ მიწა-წყალზე, და აწ უკვე ოსეთის დედაქალაქ ცხინვალშიც, ოსებს არასოდეს უცხოვრიათ.

ამრიგად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" ხელოვნურად იქნა შეკოწიწებული, მაშინ როდესაც შიდა ქართლი ისტორიულად ქართველ ტომთა კონსოლიდაციის ცენტრს წარმოადგენდა. ამავე დროს ავტონომიური ოლქის შექმნით ჩადებული იყო ერთგვარი შენელებელი მოქმედების ყუმბარა ანალოგიური ვითარების შემთხვევაში საქართველოზე ზეწოლის მოსახდენად, რაც შესანიშნავად გამოიყენეს კიდეკაც რუსეთის რეაქციულმა ძალებმა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის (1991 წ.) გამოცხადების შემდეგ. ეს ძალები ეურად არ იღებენ მოვლენების ისტორიული განვითარების კანონზომიერების პროცესებს და ცდილობენ ყველაფერი ისევ ძველ სიერცეში დაბრუნონ. ამიტომ ისინი ესწრაფვიან, რაც შეიძლება გაალრმავონ და გაანგარძლიეონ კონფლიქტი და ამით ზეწოლა მოახდინონ საქართველოზე, რადგან საქართველო ისეთ სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში მდებარეობს, სადაც მრავალია დიდი ქვეყნების ინტერესთა გადაკვეთის წერტილი. ნათელია, რომ ეს კონფლიქტი რუსეთის რეაქციული ძალებისა და ადგილობრივი სეპარატისტების მიერ არის ინსპირირებული. განა მტკიცება უნდა იმას, რომ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობა ამჟამად 50 ათასსაც ვერ აღწევს, ვერ შეინახავს საკმარისი რაოდენობით ჯარებს, ვერ აღჭურვავს მათ თანამედროვე ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკით და ვერ დაუშანტაჟებს საქართველოს. ამდენად არსებული კონფლიქტი არის პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთი ცდილობს გადაზარდოს იგი ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკურ კონფლიქტში, რასაც მიადწია კიდეკ. ამ კონფლიქტმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა – ქართველისაც და ოსისაც.

მოვლენების მსვლელობა რომ ნათელი გახდეს უნდა აღინიშნოს შემდეგი. 1990 წლის 20 სექტემბერს „სამხრეთ ოსეთმა" დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად გამოაცხადა თავი. ამავე წლის 10 დეკემბერს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. ორიეე ეს გადაწყვეტილება გააუქმა საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ.

1991 წლის 5-6 იანვარს ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის დასაცავად და წესრიგის დასამყარებლად საქართველოს ხელისუფლებამ შეიყვანა მილიციისა და გვარდიის ნაწილები, რომლებსაც დაუპირისპირდა ადგილობრიეი და ჩრდილოეთ კავკასიის მებრძოლები. მათ უკან იდგა რუსეთის სამხედრო ტექნიკა და რუსი სამხედროები. თით-

ჭრის მთელმა ქართველმა მოსახლეობამ და 30 ათასმა ოსმა დატოვა რეგიონი.

შეიარაღებული შეტაკება „სამხრეთ ოსეთთან“ ძირითადად დასრულდა 1992 წლის 14 იელისს, როდესაც რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოების მეთაურებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „სამხრეთ ოსეთში“ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პრინციპების შესახებ. ამ შეთანხმების შესაბამისად მშვიდობის დასაცავად ქართულ-ოსური დაპირისპირების ზონაში შეიყვანეს შერეული ძალები რუსული, ქართული და ოსური ბატალიონების შემადგენლობით. დამყარდა შედარებითი სიმშვიდე. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია იყენებს რა ამ სიმშვიდეს, რუსეთის კარნახით, იღებს მთელ რიგ არაკანონიერ გადაწყვეტილებებს. კერძოდ, 1997 წლის დეკემბერში, ოფიციალური თბილისის პროტესტის მიუხედავად, ავტონომიის პარლამენტმა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უარგლებში ხმა მისცა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. 2001 წლის 8 აპრილს მიღებულ იქნა „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის პირველი მუხლი გვაუწყებს შემდეგს: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფო“. ეს ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ „სამხრეთ-ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლებას კონფლიქტის მოსაგვარებლად კონსტრუქციული დიალოგი არ სურდა. ამავე დროს რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რათა შეინარჩუნოს თავისი ხეგემონია თუნდაც საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე. მან უაღრესად გაამარტივა რუსული პასპორტების მიღების პროცედურა „სამხრეთ ოსეთის“ მცხოვრებთათვის. ამის შედეგად რუსეთის მოქალაქეობა მიიღო „სამხრეთ ოსეთის“ მცხოვრებთა დიდმა უმრაველესობამ. ამ საბაბით იგი თვალს ხუჭავს რა „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ პერმანენტულად საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ შეიარაღებულ ინციდენტებზე, ღიად აცხადებს, რომ იგი დაიცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს „სამხრეთ ოსეთში“. ამით ფაქტობრივად რუსეთი ესწრაფვის მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის ანექსია.

უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში აღნიშნული კონფლიქტების გარშემო განვითარებულ მოვლენებსა და პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორია მეორდება. 1918-1920 წლებში, როდესაც საქართველომ რუსეთის იმპერიისაგან თავი დააღწია და დამოუკიდებლობა მოიპოვა, და ამჟამად განვითარებული მოვლენები წვიმის ორი წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს. ისე როგორც მაშინ, ახლაც ოსი ექსტრემისტები რუსეთის რეაქციული ძალების კარნახით მოითხოვენ „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ სტატუსს ცენტრალური საქართველოს ტერიტორიაზე და რუსეთთან შეერთებას.

ამ ყოველად უსაფუძვლო მოთხოვნის შესახებ ცნობილმა მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელმა ს. არუთინოვმა ჟურნალ „როდინას“ (№ 1, 1992, გვ. 71) კორესპონდენტის კითხვაზე: **„გთხოვენთ, როგორ გამძვინვარდა ეს ხანძარი „სამხრეთ ოსეთში“, მხოლოდ იმიტომ რომ ოსეთმა თავი გამოაცხადა საქართველოსგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“, უპასუხა: „კონფლიქტი გარდაუვალი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს არავითარი ოსეთი არაა, არამედ ძირძველი ცენტრალური საქართველოა, სადაც ბოლო საუკუნეებში ჭარბად დასახლდა ოსური მოსახლეობა. რა თქმა უნდა, ოსებს აქვთ უფლება იცხოვრონ იქ, მაგრამ გამოაცხადონ თავიანთი სახელმწიფო აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამის უფლება არა აქვთ. სხვა საქმეა ჩრდილოეთ ოსეთი“**[12].

მართლაც, სხვა საქმეა ჩრდილოეთ ოსეთი. წარსულის შეცდომების გაუთვალისწინებლობით შეიძლება კიდევ უფრო დიდი ტრაგედია განმეორდეს. ამის ცხადად გრძნობს თვით ოსი ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილი და იგი გმობს სეპარატისტების ყოველად უაზრო და დაუფიქრებელ მოქმედებას. საკვეყნოდ ცნობილმა ოსმა მეცნიერმა ე. აბავემა, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა სტატია „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია“. მან ისტორიულ რეალობებზე დაყრდნობით ობიექტურად შეაფასა 1990-იანი წლების დასაწყისში „სამხრეთ ოსეთში“

მიმდინარე პროცესები. იგი აღნიშნაედა: „მინდა ვიყო ობიექტური და გავაკრკვიო იყო თუ არა ოსების მხრიდან რაიმე ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც პროვოკაციის მოწყობით გაამწვავეს დაპირისპირება და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი მოქმედებები იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო მოსკოვზე, პერსპექტივაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებით. სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოეთელი თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი – ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის, და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისთვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ სალხს შორის, უპირველეს ყოველისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება". მისივე აზრით, სამხრეთ ოსეთი უნდა განთავისუფლდეს ბუტაფორული „სუვერენიტეტისაგან"[13].

2008 წლის 7 აგვისტოს „სამხრეთ ოსეთში" კელაე განახლდა კონფლიქტი. როგორი დიდიც არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების შეცდომები ამ კონფლიქტის დაწყების დროს, როგორი წინდაუხედავი და გაუთელელიც არ უნდა იყოს ცხინვალში საომარი მომქმედებების დაწყება მათი მხრიდან (თუ კი ამას დაადგენს მუკერძოებელი საერთაშორისო გამომიება), ვთელით, რომ გლობალურად ის მაინც რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული. ის წლების განმაელობაში, ცალმხრივად საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისა და ელემენტარული საერთაშორისო ნორმების იგნორირებით ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებდა რუსეთის მოქალაქეობას და მათ რუსულ პასპორტებს ურიგებდა, ხოლო შემდგომ, ეითომდა ამ თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით, დაიწყო სამხედრო მოქმედება. ევროსაბჭოს მიერ ამ მოელენებთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით საზღვარგარეთ მოქალაქეების დაცვა – მოუფიქრებელია და დამოკიდებულია რუსეთის პოლიტიკურ მოქმედებებზე იმ ქვეყნებთან მიმართებაში, სადაც მისი უამრავი მოქალაქე ცხოვრობს. რუსეთი ცდილობს საქართველოში თავისი ინტერვენცია გაამართლოს „სამხრეთ ოსეთის" დაცვის აუცილებლობით ქართული ჯარებისაგან, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ კავკასიის რეგიონში გაბატონებასთან ერთად, რუსეთის მიზანი საქართველოს წინააღმდეგ ომში იყო ის, რომ წართვას ნატოს ამ რეგიონში გაფართოების საშუალება.

რუსეთმა ანექსია გაუკეთა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, რასაც წინ უძღოდა აგრესორის მიერ სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის დაბომბვა, ქართული სამხედრო შენაერთებისა და დაუცველი, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული უმძიმესი სამხედრო დანაშაულებები: მკელელობები, ძარცვა, მაროდიორობა და შეურაცხყოფა. ქართველებისაგან დაიცალა ათეულობით სოფელი. ქართულ ქალაქებსა და სოფლებში დაინგრა და განადგურდა უამრაეი საცხოვრებელი სახლი და მატერიალური ქონება, განადგურდა ისტორიული ძეგლები. ევროსაბჭოს რეზოლუციის თანახმად, ომის შედეგად 192 ათასი ადამიანი იძულებით გადასახლებულია, ხოლო 300 ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 500 დაიჭრა „სამხრეთ ოსეთისა" და რუსეთის და 364 დაიღუპა და 2234 დაიჭრა საქართველოს მხრიდან.[14] ამავე დროს რუსეთმა ცალსახად აღიარა საქართველოს ორი განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა. როგორც ევროსაბჭოს რეზოლუციაშია აღნიშნული, „ასამბლეა მოითხოვს, რუსეთმა აღიაროს, რომ მისი მხრიდან ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა საერთაშორისო ნორმებისა და ევროსაბჭოს პრინციპების დარღვევაა. ასამბლეა მის ასეთ ნაბიჯს საქართველოს საზღვრების დარღვევად და მისი ტერიტორიის დაკავებად მიიჩნევს, ამიტომ მოით-

ხოეს რუსეთისაგან, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება." ასამბლეა მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრს თუ დამკვირვებელის სტატუსის მქონე ქვეყანას, არ ცნონ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, აღიარებულ იქნეს ეთნიკური წმენდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსეთი ან სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება აკონტროლებს. ასამბლეა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ეთნიკური წმენდის ფაქტებს „სამხრეთ ოსეთში", ქართულ სოფლებსა და ეგრეთ წოდებულ ბუფერულ ზონებში, რასაც რეგულარული სამხედროები და ცალკეული დაჯგუფებები ჩადიოდნენ და რასაც ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების შემდეგაც ჩადიან. განსაკუთრებით აღსანიშნაია ის ფაქტი, რომ რუსეთმა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ევროკავშირის შუამდგომლობით გაფორმებული ხელშეკრულება ე. წ. ბუფერული ზონებიდან თავისი ჯარების გაყვანის შესახებ. მაგალითად, რუსეთის რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს ახალგორის რეგიონი და იქიდან არ გაყავთ ჯარები. ახალგორის რაიონი კი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენდა, სადაც ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტს ადგილი არასოდეს ქქონია. ასევე არ გაყავს მას თავისი ჯარები ზემო აფხაზეთიდან, საჩხერის რაიონიდან და ა. შ. იგი არ უბრუნდება კონფლიქტამდელ საწყის ეტაპს, როგორც ეს შეთანხმებით იყო განსაზღვრული. რუსეთი ამავდროულად ზრდის თავის საჯარისო კონტინგენტს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში". აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა ყველა ფუნდამენტური ნორმა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები დაარღვია, რომლებშიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას თვითონვე აფიქსირებდა. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს კონფლიქტების მოსაგვარებლად.

უკანასკნელმა ათწლეულმა კიდევ ერთხელ დაგვაწმუნა, რომ მტრობას, სისხლისღერას, ერთმანეთის ინტერესების უგულებელყოფას სიკეთე არასდროს და არაფისთვის მოუტანია. რა თქმა უნდა, დაპირისპირება სიკეთეს არ მოუტანს არც ქართველებს და არც ოსებს, რომელთანაც ჩვენ მჭიდროდ გვაკავშირებს საერთო ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მატერიალური და სულიერი კულტურა და, რაც მთავარია, სისხლისმიერი ნათესაობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისში ყველაზე ხშირი იყო ქართულ-ოსური ქორწინებები.[115] ასევე ხშირი იყო ასეთი ქორწინებები მთელ საქართველოში. ასეთი ქორწინებების შედეგად შექმილი ოჯახები, როგორც წესი, თანაბრად ეფუძნება ქართულ და ოსურ კულტურას. ცხადზე უცხადესია, რომ დაპირისპირება არ შედის ორი მოძმე ხალხის არც პოლიტიკურ, არც ეკონომიკურ და არც კულტურულ ინტერესებში, როგორც მთლიანად საქართველო წარმოადგენს ერთიან, განუყოფელ ორგანიზმს, ისე ცხინვალის რეგიონი განუყოფელია დანარჩენი საქართველოსაგან, მისი ეკონომიკა – საქართველოს ეკონომიკისაგან, ერთიანობის გარეშე შეუძლებელია თავით ცხინვალის კეთილდღეობა.

ამ ჭეშმარიტების მოწინააღმდეგეები ქართველი და ოსი ხალხის მტერები არიან, რომლებიც ცდილობენ თავს მოხვეული პოლიტიკური კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტშიც გადაზარდონ. ხომ ყველასათვის ნათელია, რომ ეს კონფლიქტი გარეშე რუსეთის რეაქციული ძალებისა და ერთი მუჭა ადგილობრივი სეპარატისტების მიერ არის ინსპირირებული. განა მტკიცება უნდა იმაზე, რომ ცხინვალის რეგიონი, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური პოტენციალით საქართველოს საშუალო სიდიდის – ქარელის რაიონსაც კი ვერ უტოლდება, ვერ შეინახავს საკმარისი რაოდენობით ჯარებს, ვერ აღჭურავს მათ თანამედროვე, ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკით და ვერ დააშანტაჟებს საქართველოს. ცხინვალის რეგიონში ხომ 50000 კაციც არ ცხოვრობს. ამავე დროს თვითგამოცხადებული „სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის" პრეზიდენტი ე. კოკოითი და მისი მხარდამჭერები იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, რომ ცხინვალის რეგიონის შეერთება ოსეთთან, უწინარესად ნიშნავს დანარჩენ საქართველოში დიდი რა-

ოდენობით მცხოვრებ თაეიანთ ძმებთან სამუდამოდ კაეშირის გაწყვეტას და ამდენად საქართველოში მცხოვრები ერთიანი ოსი ხალხის შუაზე გახლეჩას. ამიტომ არ არის შემთხვეევითი ცხინვალის რეგიონში მცხოვრები თანამემამულეებისადმი საქართველოს ოსი ეროვნების მოქალაქეთა შემდეგი მიმართვა: „ –თქვენც ხომ შესანიშნავად იცით, რომ ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინათ ძმათა შორის დაწყებული სისხლიანი კონფლიქტი იყო არა ოს–ქართველთა დაპირისპირება, არამედ ჩვენი სამშობლოს, საქართველოს მტრების მიერ გაჩაღებული სამოქალაქო ომი, რომელმაც საბოლოოდ, თითქმის, მთელი საქართველო მოიცვა და მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა–ოსისაც, ქართველისაც და საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ეროვნების მოქალაქისა...

საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების მოქალაქეები ეართ ქართველი ერის ნაწილი და ეინც ჩვენს ხელოვნურად გახლეჩას, ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდებას ლამობს, ქართველი და ოსი ხალხების, ჩვენი საერთო სამშობლოს დაუძინებელი მტერია... ნუ ენდობით იმ უნიჭო და ცბიერ „ისტორიკოსებს", რომლებიც „ორი ოსეთის" გაერთიანების იდეას ქადაგებენ. –ეს იდეა, უპირველეს ყოვლისა, ოსი ხალხის სრული გადაგვარებისა და განადგურებისათვის არის მოგონილი.

ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) გარეთ მთელ საქართველოში ასი ათასზე მეტი ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე ეცხოვრობთ. თქვენცა და ჩვენც ჩვენი შთამომაელებისათვის სიკეთე და ბედნიერება გესურს. ამიტომ ჩვენო მეგობრებო, ნათესაებო, ძმებო და დებო, მოდით, ერთად ეაშენოთ ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველოს – ჩვენი საუკეარი სამშობლოს მომავალი".[116]

კაეკასიაში მშვიდობის დამყარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია რუსეთს და ეს როლი მან აუცილებლად უნდა შეასრულოს. პოლიტიკურმა მოტივებმა გზა არ უნდა გადაუღობოს სიმართლეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რამდენიმე საუკუნეს მოიცავს. ქართველები და რუსები ერთ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას – მართლმადიდებლობას ეაღიარებთ და, ცხადია, ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სიახლოვეც გეაკაეშირებს ერთმანეთთან. ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში თანაცხოვრების დროს დიდი ჭირისა და ლხინის მომსწრენიც ვიყაეთ, ერთად ვითავისებდით ყოველივეს, რამაც კიდევ უფრო დაგეაკაეშირა ერთმანეთთან. ერთმანეთის გვერდით ვიბრძოდით საერთო მტრის წინააღმდეგ და საერთოდ, 70-წლიან პერიოდში ბევი და უფრო მეტად უბედობა კარდაკარ გედეედდა. მომსწრენი ეიყაეთ იმისა, თუ როგორ ეერ გაამართლა ახალი საზოგადოების აშენების – სოციალისტური წყობის მოდელმა. ეპოქის დიდი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა და მან თან გაიყოლა ჩვენი თაობების დიდი ტკივილები და განცდები. ძველთან გამოთხოვება და გარკვეულწილად წარსულთან დაბრუნება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედეით ჩანდა. ბევრგან ეერ აეცდით ეთნოპოლიტიკურ დაპირისპირებებს, რაც დიდი სისხლისღვრით დამთავრდა. ამასთან საბჭოთა კაეშირის ელეისებურმა დაშლამ, პოლიტიკურმა, სამართლებრივმა, სამეურნეო და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კონტაკტების ერობაშად გაწყვეტამ ერთ ფუნქციონირებად სივრცეში, სამაგიერო, უმთავრესად საექსპორტო სივრცეების ძიებამ, რაც დიდ სირთულეებთანაა დაკაეშირებული თანამედროვე სამყაროში, ხალხი უკიდურეს გაჭირავეებაში ჩააგდო. ეჭვი არ არის, კონფლიქტების დარეგულიერება ხალხს ამ გაჭირეებიდან გამოიყვანს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თაობებს უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში მოუწიათ ცხოვრება, რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი ინტელიგენციის, მეცნიერების, მწერლების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა მეგობრობა სამაგალითოდ დარჩება შთამომაელობას. დღესაც, ამ დაბაბული ეითარების ჟამს, ქართველ ხალხს ეერაეინ დასწამებს რუსი ხალხის მიმართ უპატიეცემულობას. გეჯერეა, რომ ასეთივე გრძნობითაა განწყობილი ჩვენს მიმართ რუსი ხალხი. ამიტომ დიდ იმედს ეამყარებთ რუსეთზე. საკმარისია მან გამოიჩინოს კეთილი ნება – შეუწ-

ყეიტოს სეპარატისტებს პოლიტიკური, ეკონომიკური და, რაც მთავარია, სამხედრო მხაედაჭერა, რომ კონფლიქტი უმალვე ამოწურება და ყველაფერი მშვიდობიანად დალგდება. ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის: მშვიდობიანი კავკასია ერთნაირად გეჭირდება ქართველებსაც და რუსებსაც. ბედმა გვარგუნა სამუდამოდ ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება და „ხსოვნის მჭონე შთამომაელობას" სიყვარული გზად და ხიდად უნდა დაეუტოეოთ.

ლიტერატურა

---

[1] რ თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი გაანსახლების ადგილი, თბ., 2008, გვ. 49-53.

[2] Агусти Алемань. Аланы в древных и средневековых письменных источниках. М., 2003.

[3] ნ. ლომოური, ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები. ჟურნ. „ცისკარი", № 5, 1992, გვ. 105.

[4] ციტირებულია: ნ. ლომოური, ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები. ურნ. „ცისკარი", № 5, 1992, გვ. 107

[5] ნ. ლომოური. დასახ. ნაშრომი, გვ. 108

[6] ეთნოსები საქართველოში. თბ., 1008, გვ. 74.

[7] ნ. ლომოური. დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[8] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 42

[9] იქვე. გვ. 232.

[10] ქართლის ცხოვრება, ტ. II. გვ. 296.

[11] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 256.

[12] ციტირებულია: ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური პრობლემა. იხ. წიგნი. „ოსთა საკითხი", თბ., 1996, გვ. 95

[13] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 363-364.

[14] В.Абаев. Осетинский язык и фольклор, М., 1959, с. 501.

[15] კ. ზაქარაია. შიდა ქართლის მთიანეთის ხეოოთმოძღერების ისტორიისათვის. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, თბ., 1996, გვ.125.

[16] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 199.

[17] ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 113-114.

[18] გ. ოთხმეზური. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, გვ. 156.

[19] ს. ჯანაშია. შრომები, ტ.III, თბ., 1929, გვ.117.

[20] ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 168. ციტირებულია: კ. ხარაძე. შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ. იხ. წიგნი: „ოსთა საკითხი". გვ. 167.

[21] კ. ხარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ 167.

[22] Энциклопедический словарь. т. XXII, С.Петербург, 1897, с. 263.

[23] Сборник материалов для описания Тифлисской губернии т выпуск Тифлис 1870

[24] Газ. `Тифлисские ведомости~, №72, 1830.

[25] А.Гольдштейн. Башни в горах, М., 1977, с. 283.

[26] Сборник сведений о Кавказе, т. IX, Тифлис, 1885, с. 238, 267.

[27] Г.Чурсин. Осетины, сб. Юго-Осетия, 1924, с. 133.

[28] В.Пфаф. Этнологические исследования об осетинах, сб. свед. о Кавказе, №2

[29] Н.Дубровин. История войны и владычества Русских на Кавказе, т. , СПБ, 1871, с. 187.

[30] Л.Загурский. Административные отделы Кавказского края, Известия Кавказского отдела, Тбилиси, 1877-78, с. 118.

[31] ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?" იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, გვ. 270-272.

[32] А.Гольдштейн. Башня в горах. М., 1977, с. 282-283.

[33] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 208-209.

[34] შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 294.

[35] მორიც ეაგნერი საქართველოს შესახებ. თბ., 2002, გვ. 33-34.

[36] გურჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი. თბ., 1975, გვ. 26-28.
[37] გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ. თბ., 1969, გვ. 26.
[38] Б.Калоев. Осетины, М.. 1967, с. 61. ციტირებულია ს. ლეკიშვილის დასახელებული ნაშრომიდან. გვ. 271.
[39] გ. თოგოშვილი. ნიკო ბერძენიშვილი და საქართველო ოსეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. იხ. წიგნში: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 39.
[40] დ. გერიტიშვილი. დეკანთა ეინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. იხ. წიგნი: მიმომხილველი. I, თბ., 1949, გვ. 118.
[41] თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, გვ. 197. ციტირებულია: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 229.
[42] ა. ამილახვარი. გეორგინული ისტორია, „მნათობი," №8, 1939, გვ. 128, 153, 154. ციტირებულია: შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.
[43] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.
[44] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 370.
[45] „დასტურლამალი" მეფის ეახტანგ მეექვსისა; თბ, 1888, გვ. 122. ციტირებულია: შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.
[46] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.
[47] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II, თბ., 1997. გვ. 350.
[48] ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. ტფილისი, 1938, გვ. 22-23.
[49] Акты Кавказской археографической комисии, т. VI, Тифлис, 1874, с. 690.
[50] Акты Кавказской археографической комисии, т., VI, Тифлис, 1874, г. с. 460.
[51] Сборник материалов для описания Тифлисской губернии. т I выпуск I, Тифлис, 1870, с. 39.
[52] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.
[53] სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი I, ნაკვეთი 2, ტფილისი, 1923, გვ. 36.
[54] ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?" იხ. წიგნში: „ოსთა საკითხი." გვ. 261. (აქტები. ტ. VII, გვ.354).
[55] Очерки истории Юго-Осетинской А/О, т. I, 1985, с. 120.
[56] ციტირებულია: რ. ლომინაძე. ვინ და როდის დაარქვა შიდა ქართლის მთიანეთს „სამხრეთ ოსეთი." გაზ. „განათლება," 30 ოქტომბერი, 1991 წელი.
[57] ვ. ითონიშვილი. სამხრეთ ოსეთი ცენტალურ საქართველოში?! იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გვ. 16.
[58] ვ. ითონიშვილი. სამხრეთ ოსეთი – ცენტრალურ აქართველოში?! იხ. კრებული: ოსთა საკითხი. გვ. 15).
[59] С. Брук. Население мира. М., 1986, с. 170.
[60] Народы мира. М., 1988, с. 350.
[61] Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 545.
[62] გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ. თბ., 1969, გვ. 16.
[63] А.Цхуриев. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004), М., 2006, с. 17.
[64] М.Блиев, Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отношений. М., 2006, с. 21.
[65] ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 150-151
[66] ი. ჯაჯანიშვილი. თხზ. თორმეტ ტომად. ტ. II, თბ., 1983, გვ. 25-26, 45.
[67] ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 632.
[68] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 68.
[69] იქვე. გვ. 47.
[70] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 55.
[71] იქვე. გვ. 59.
[72] იქვე. გვ. 136.
[73] იქვე, გვ. 145-146.
[74] ქართლის ცხოვრება, ტ. IV,გვ. 269.
[75] იქვე, გვ. 272.
[76] ქართული პროზა, წიგნი I. თბ., 1981, გვ. 127.
[77] ივ. ჯაჯანიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII, თბ., 1998, გვ. 464.
[78] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 156.
[79] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 256-257.

[80] М. Блиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
[81] იქვე. გვ. 268.
[82] იქვე. გვ. 57.
[83] იქვე. გვ. 39.
[84] იქვე. გვ. 43.
[85] იქვე. გვ. 54.
[86] იაკობ რანინგხი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 145.
[87] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.I, თბ., 1962, გვ. 185, 267.
[88] И.Кочиева, А.маргиев. Грузия. Этнические чистки в отношении осетин. М., 2005.
[89] И.Кочиева, А.маргиев. დასახ. ნაშრომი. გვ. 3-5.
[90] И.Кочиева, А.маргиев. დასახ. ნაშრომი. გვ. 6
[91] И.Кочиева, А.маргиев. დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.
[92] И.Кочиева, А.Маргиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 137-138.
[93] ნ.ხუციშვილი. შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროვეობა. საარქივო დოკუმენტები გეამცნობენ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 20 იანვარი, 1990 წელი.
[94] ნ. ხუციშვილი. დასახ. ნაშრომი.
[95] ციტირებულია: ლ.თოიძე. ოსური ავტონომიის შექმნა საქართველოში. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გვ. 329.
[96] М. Тухашвили. Социально-демографические проблемы населения третьего возраста в Грузинской ССР. В кн. `Население третьего возраста-, М., 1986, с. 226.
[97] Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 57.
[98] Статистические материалы...с. 218, 228, 232, 248, 268, 293, 295.
[99] Печать СССР в 1988 году, М. 1989, с. 129-131.
[100] Современные этнические процессы в СССР. М., 1977, с. 273.
[101] ე. ჯიოევა. ბრძოლა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის 1921–1932 წლებში. თბ., 1971, გვ. 11.
[102] Русская нация в Союзе народов СССР. Куйбышев, 1990, с. 125.
[103] „Литературная газета', 13 сентября 1989 г.
[104] Газ. „Известия" 29 марта 1988 г.
[105] И.Кочиева. А.Маргиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 107.
[106] გ. თოგოშვილი. სასქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV–XVIII სს. თბ., 1969, გვ. 241.
[107] Осетинские тексты собранные Д. Чонкадзе и В. Цороевым, записки Академии наук, т. XIV, 1868.
[108] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1969, გვ. 376.
[109] Хетагуров К. Собрание сочинений в пяти томах. Т. IV, М., 1960, с. 235.
[110] ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. დანართი იხ. ოსთა საკითხი. თბ., 1996, გვ. 308-309.
[111] იქვე. გვ. 304.
[112] ციტირებულია: ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. იხ. წიგნი: „ოსთა საკითხი", გვ. 297.
[113] В. Абаев. Трагедия Южной Осетии: путь к согласию. «Независимая газета» от 22 января 1992 г., № 13.
[114] ვეროსაბჭოს მიერ საქართველო-რუსეთის ომის შესახებ მიღებული რეზოლუცია. გაზ., „საქართველოს რესპუბლიკა", 7 ოქტომბერი, 2008.
[115] А.Сусоколов. Межнациональные браки в СССР. М., 1987, с.47.
[116] გაზ. „24 საათი", 20 ივლისი, 2004 წელი.

სომხეები

საქართველოში, ამჟამად მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს შორის, სომხები, ებრაელებთან ერთად, უძველესი დროიდან ბინადრობენ. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 248 929 სომეხი ცხოვრობდა (მთელი მოსახლეობის 5,7 პროცენტი), ხოლო მთლიანად ქვეყანაში – 281 229 სომეხი ეროვნების წარმომადგენელი (მთელი მოსახლეობის 6,1 პროცენტი). მეტნაკლები რაოდენობით სომხები ცხოვრობდნენ საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში ლენტეხის გარდა. ამჟამად, ისე როგორც ისტორიულად, აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით მეტი სომეხი ცხოვრობდა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლების არაკონტროლირებადი ტერიტორიების ჩათვლით, აღმოსავლეთ საქართველოში 235 852 სომეხი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 45 377 სომეხი, ანუ 5,2-ჯერ ნაკლები. ქვეყანაში სომხების განსახლების ძირითადი არეალია სამცხე-ჯავახეთი (113 347 კაცი), თბილისი (82 586 კაცი), აფხაზეთი (32 000 კაცი) და ქვემო ქართლი (31 777 კაცი).

სომხები უძველესი ქრისტიანული ერია. ქრისტიანობა სომხეთში პირველად თადეოზ და ბართლომე მოციქულებმა იქადაგეს და ამიტომ მათი ეკლესია სომხურ საშოციქულო ეკლესიად იწოდება. სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობა სომხეთში IV საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა გრიგოლ განმანათლებლის მისიონერული ღვაწლის შედეგად. გრიგოლი გახდა სომხეთის პირველი ეპისკოპოსი და სომხური ეკლესია გრიგორიანულადაც იწოდება. სომხური ეკლესიის იდეოლოგიაა მონოფიზიტობა, რომელიც ქართულ ეკლესიას არასოდეს უცვნია. მონოფიზიტთა შეხედულებით ძე ღმრთისა ორბუნებიანად (ღვთაებრივი და ადამიანური) შეიძლება ეაღიაროთ მხოლოდ განხორციელებამდე, რომლის შემდეგ ღვთაებრივმა ბუნებამ მთლიანად შთანთქა ადამიანური. ამის შემდეგ ძე ღვთისა მხოლოდ ერთბუნებიანია. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც გაიმართა 451 წელს, დაგმო მონოფიზიტობა. კრებამ ძე ღმრთისას შესახებ მიიღო დიოფიზიტური დოგმა. საბოლოოდ VI საუკუნის შუა წლებიდან სომხურ ეკლესიას, შეიძლება ითქვას, მონოფიზიტობიდან აღარ გადაუხვევია. VII საუკუნეში საბოლოოდ მოხდა საეკლესიო განხეთქილება ქართველებსა და სომხებს შორის. საქართველომ ქალკედონური ანუ ბიზანტიური ქრისტიანობა აირჩია. სომეხთა ეკლესიამ, როდესაც 605-607 წლებში გაუქმდა ავანის ქალკედონური საკათალიკოსო, მის მრევლს მოთხოვნა წაუყენა – თუ უარს არ იტყოდნენ დიოფიზიტობაზე, სომხეთი დაეტოვებინათ. დიოფიზიტი სომხების ერთმა ნაწილმა მრწამსი არ შეიცვალა და საქართველოში გადმოსახლდა.

საქართველოში სომხური ეთოსის არსებობის შესახებ ნათელი წარმოდგენა რომ ეიქონიოთ, აუცილებელია გაეცნოთ სომხეთის სახელმწიფოს ისტორიას. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ სომხეთს ჰქონდა სახელმწიფოებრივი აყვავების პერიოდები, როდესაც შექმნა საკაობრივ მნიშვნელობის ფასეულობები, მაგრამ ამავე დროს სომხეთს დამოუკიდებლობის დაკარგვის, რბევა-აწიოკების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდებიც გადაუტანია. სწორედ ამ ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში მტრებისაგან შეეწროებული სომეხი მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში შემოდიოდა საცხოვრებლად და აქ პოულობდა თავშესაფარს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მიჯნაზე სომხეთის მთიანეთში მოსახლე ტომების გაერთიანებას ხელი შეუწყო ასურელთაგან მოსალოდნელმა საშიშროებამ. ამის საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ურარტუ. ამავე ათასწლეულის I ნახევარში ყალიბდება აბორიგენი ტომების კავშირი. ესენი იყვნენ ურარტუელები, პაიასს ტომობრივი კავშირი და სხვ. მეცნიერთა აზრით პაიასს ტომიდან მომდინარეობს სომეხი ხალხის სახელი „პაი". აკადემიკოს თ. გამყრელიძის აზრით, განსა-

კუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პროტოსომხების კავშირის საკითხი პაიასას ქვეყანასთან, რომელიც მოხსენებულია ჩვ. წ.-მდე XIV-XIII საუკუნეებში ხეთურ წყაროებში და ლოკალიზებულია მცირე აზიის ჩრდილო აღმოსავლეთში. თუ წინასწარ არ გადაწყდა პაიასის ქვეყნის მცხოვრებთა ენობრივი კუთვნილების საკითხი და მათი ენის პროტოსომხებთან კავშირი, შეიძლება მხოლოდ ვიეარაუდოთ პაიასას ტოპონიმის გარკვეული კავშირი სომეხთა თეითსახელწოდებასთან პაი. კიდეეაც რომ დავუშვათ პროტოსომხებსა და პაიასის ქვეყნის მცხოვრებთა და შესაბამისად მათ ენებს შორის გენეტიკური კავშირის არარსებობა, შეიძლება ჩავთვალოთ შესაძლებლად ასეთი ურთიერთობების არსებობა ამ ეთნიკურ დაჯგუფებებს შორის, რაც შესაძლებელს გახდიდა პროტოსომხების მიერ ეთნონიმის სახით პაი სახელწოდების გადაღებას[1]. პაიის გარდა სომხების ეპონიმია არმენი. ქართველების გარდა ყველა სხვა ხალხი მათ „არმენების" სახელწოდებით იცნობს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის აქამენიდურ და ბერძნულ წყაროებში გვხვდება.

სომხეთი თავმოყრილი იყო არარატის მთის გარშემო, რომლის სახელწოდება დაკავშირებული ურარტუს სახელმწიფოსთან. ამასთან სომხების ეთნოგენეზის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ყველაზე უფრო გაერცელებული თეორიის თანახმად სომხები მოსულები ან ადგილობრივი წარმოშობისანი არიან. მეცნიერებაში გამოთქმულია აგრეთვე მათი შემარიგებელი მოსაზრებებიც. საბოლოოდ სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი სომხეთის სახელმწიფოს შექმნას თანხვდება – ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე.

მეცნიერებაში გაერცელებულია ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით სომეხი ხალხი ისტორიულ არენაზე მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში გამოჩნდა ასურელების ზეწოლის შედეგად ურარტუს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ. შეიძლება სომხები წარმომავლობით დასავლეთიდან მოსული ფრიგიელებიც იყვნენ. ამ მხრივ საინტერესოა პეროდოტეს შეხედულება არმენიელების ეთნოგენეზის შესახებ: „ფრიგიელები, როგორც მაკედონელები ამბობენ, იწოდებოდნენ ბრიგებად, მთელი ის ხანი, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადაეცვლნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს; ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად ყოფილან შეიარაღებული."[2] ქეელა შემთხვევაში, ენის მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, სომხები ინდოევროპული ხალხია. მათ მიერ დაკავებული მდინარე არაკსის მთიანი ველის ტერიტორია იყო ასურელების პროვინცია, შემდეგ მიდიის, ხოლო გვიან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ, ბერძნული. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის (323) შემდეგ სომხეთი სელევკიდების მმართველობაში მოექცა.[3] მართლაც, ამის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიამ ნგრევა დაიწყო. საბოლოოდ ხელისუფლებისათვის ბრძოლა 301 წელს დამთავრდა იმით, რომ ალექსანდრეს სამმა მხედართმთავარმა მთელი იმპერია გაინაწილეს. წინა აზია, ირანის ერცელი ტერიტორიით, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთ მხედართმთავარს – სელევკეს ხედა წილად. სელევკიდთა ერცელმა სამფლობელომ დაახლოებით ორნახევარი საუკუნე იარსება. ამ პერიოდშიც სომხეთი ერთ მთლიან პლიტიკურ ორგანიზმს არ წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 331 წელს, მაკედონელის მიერ აქამენიანთა იმპერიის განადგურების შემდეგ, სომხეთის სახელმწიფო აღდგა და მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანა, თუმცა მალე მას ჩამოცილდა სამხრეთ-დასავლეთის ოლქები – კომაგენე და სოფენა და დიდი სომხეთის სახელით სელევკიდების სამფლობელოში მოექცა. სელევკიდების მიერ დანიშნულმა ადგილმარეგმა მმართველმა არტაშეს I ისარგებლა სელევკიდების რომაელებთან დამარცხებით და ძველი წელთაღრიცხვის 189 წელს დიდი სომხეთი და სოფენა დამოუკიდებელ სამეფოებად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ სელევკიდთა ბატონობის ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს ჯერ კიდევ არ წამოადგენდა, სომხების მიერ დასახლებულ მიწა – წყალზე სამი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა – მცირე სომხეთი, დიდი სომხეთი და სოფენე. დიდმა სომხეთმა ეს სახელწოდება მცირე სომხეთისგან განსხვავების მიზნით ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან მიიღო.[4]

დიდმა სომხეთმა თავის ძლიერებას ტიგრან II დიდის (ძველი წელთაღრიცხვის 95-56 წლები) მეფობის პერიოდში მიაღწია. მან გააერთიანა მთელი სომხეთი და თავის სამეფოს სოფენაც შეუერთა. მის მფლობელობაში მოექცა კომაგენე, ატროპატენა, დასავლეთი მიდია, ფინიკია, კილიკიის ნაწილი, ანტიოქია და სხვა ქვეყნები. სომხეთი უამრავი მიწის მფლობელი და ძლიერი პოლიტიკური ერთეული გახდა. შემდეგში სომ-

ხეთს მსგავსი ძლიერებისათვის არასოდეს მიუღწევია. ამავე პერიოდში გაძლიერდა პონტოს სამეფო, რომლის მეფემ მითრიდატე VI ტიგრანთან საიდუმლო ხელშეკრულება დადო მოსაზღვერე ქვეყნების დაპყრობა-განაწილების შესახებ. მათი შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, რომაელთა და პართიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რომაელებთან ბრძოლაში ტიგრან დიდი დამარცხდა, დაკარგა მიერთებული მიწები და შეინარჩუნა მხოლოდ ეთნიკური საზღვრები. სომხეთში რომის ბატონობა დამყარდა. ამი შემდეგ სომხეთი წელში ეეღარ გაიმართა. იგი ჯერ რომისა და სპარსეთის ბრძოლის ასპარეზად იქცა, III საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ირანის გავლენის სფეროში მოექცა. 387 წელს სომხეთი ირანმა და ბიზანტიამ გაიყოფილა. ბიზანტიამ თაეის კუთვნილ სომხეთის დასავლეთ ნაწილში შეუობა გააუქმა, ხოლო ირანმა სომხებს ჩამოართვეს თანამდებობანი და ქვეყანას სპარსი მმართველი განაგებდა. VII საუკუნის II ნახევარში სომხეთი დაიპყრო არაბებმა. ამ პერიოდში, მეაცირი ჩაგერის გამო, სომხები სამშობლოდან მიდიოდნენ. სომხებმა თავიანთი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზნით მრავალჯერ მოაწყვეს აჯანყება დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. IX საუკუნის ბოლოს სომხებმა მოაღწიეს არაბთა უღლისაგან განთავისუფლება და სახელმწიფოს აღდგენა, მაგრამ XI საუკუნეში ბიზანტიამ თანდათან დაიწყო სომხეთის მიწების დაპყრობა და 1054 წელს მისი დედაქალაქი ანისიც დაიკავა. სომხეთმა კელავ დაკარგა დამოუკიდებლობა.

XI საუკუნის შუა წლებში სომხეთი სელჩუკებმა დაიპყრეს. XI საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც სელჩუკები იწყებენ ბრძოლას სომხეთისათვის, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო აღარ არსებობდა – სომხურ მიწებს ბიზანტია ფლობდა. ბიზანტიის მიერ სელჩუკთა შემოჭრის წინ სომხეთის მოსპობამ დიდად შეასუსტა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წინააღმდეგობის უნარი.[5] XII საუკუნეში საქართველოს სამეფოს დახმარებით სომხეთი განთავისუფლდა. განსაკუთრებით მძიმე იყო სომხეთისათვის XIII-XIV საუკუნეებში ჯერ თათარ-მონღოლთა და შემდეგ თემურლენგის შემოსვევები, რასაც მოჰყვა ნგრევა და მოსახლეობის მასობრივი განადგურება. ამ პერიოდში უაღრესად ინტენსიური გახდა სომხების მიგრაცია საზღვარგარეთ. სომხების უმეტესობა გადასახლდა ოქროს ურდოში, ყირიმში, პოლონეთში, უკრაინაში, საქართველოში, ბიზანტიაში, სირიასა და ლიბანში. სომხური დასახლებები განხდა ბუკოვინაში, გალიციაში, ტრანსილვანიაში.

XVI-XVIII საუკუნეებში სომხეთი ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. საბოლოოდ მათ შორის ქეკემონიისათვის ბრძოლა იმით დასრულდა, რომ დასავლეთ სომხეთი ოსმალეთის ხელში გადავიდა, ხოლო აღმოსავლეთ სომხეთი ირანს დაექვემდებარა. ასე გაგრძელდა XIX საუკუნის დასაწყისამდე. სომხეთის ტერიტორიების გამუდმებულ დაპყრობით ომებს სომეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეწირებოდა. როგორც ჩანს, სომხებში უაღრესად მაღალი იყო შობადობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება, თორემ ამდენ ნგრევას, მოსახლეობის განადგურებას, ინტენსიურ ემიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებულ სიცხლეებს, დიდი მსხვერპლის ფასად გამუდმებულ აჯანყებებსა და ზურნეას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ერი ვერ გაუძლებდა. სომხებისათვის განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა 1915-1916 წლები, როდესაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებისათვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის ცდას, „თითქმის სამი მილიონი სომეხიდან, რომელიც თურქეთში ცხოვრობდა, 1,5 მილიონზე მეტი შეეწირა".[6] ამ პერიოდში 600 ათასზე მეტი სომეხი იძულებით გადასახლეს მესოპოტამიის უდაბნოში, სადაც უმრავლესობა დაიღუპა. დაახლოებით 300 ათასი სომეხი რუსეთში გადასახლდა. თურქეთიდან გაქცეული სომხები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, უმთავრესად ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და ამერიკაში. მათ შეეძინეს სხვადასხვა ქვეყანაში სომხური დასახლებები, რომელთაც სომხურ დიასპორებს უწოდებენ.

შუა საუკუნეებში სომხების რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ისინი გაფანტულად ცხოვრობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა სადაც კი დამკვიდრდნენ, ყველგან იცავდნენ მშობლიურ ენას, კულტურას, ტრადიციებს, მათ მჭიდრო კავშირი აქონდათ ერთმანეთთან და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტიათ. განმანთავისუფლებელ ბრძოლაში დახმარებისათვის არაერთხელ მიმართეს ევროპის ქვეყნების მმართველ წრეებსა და ვატიკანს, მაგრამ მათ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხებმა ორიენტაცია რუსეთზე აიღეს. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის ინტერესები კავკასიაში ძლიერდება, როდესაც რუსეთი ისწრაფვის ინდოეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაკენ

მიმავალ სავაჭრო გზებზე კონტროლის დამყარებას, იგი იწყებს სამხრეთით ტერიტორიების გაფართოებაზე ზრუნავს და კაკეასიის ქეკუნების ისტორიული ტერიტორიების რუსეთის იმპერიისათვის მიერთებას.

საუკუნეების მანძილზე მტრებისგან შეკიწროვებული სომხები ყოველთვის პოულობდნენ თავშესაფარს საქართველოსა და მის დედაქალაქში. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის აღება (1122 წ.) შემდეგ დედაქალაქში ბევრი ანისელი სომეხიც ჩაასახლა იქ ქრისტიანული ელემენტის გაძლიერების მიზნით და მათ ქართველებთან გათანაბრებული მოქალაქეობრივი უფლებები მისცა.[7] ამასთან სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობით, დავით აღმაშენებელმა გორში სომეხი ეაჭრები ჩაასახლა და მათ პრივილეგიური პირობები შეუქმნა.[8] სომეხი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ, როგორც სომეხთა მფარველსა და მათ მოჭირნახულეს. მათეოს ურჰაეცის (XII ს.) ცნობით, დავით აღმაშენებელი „იყო შემწეცნარებელი და მოყვარული სომეხი ხალხისა". დავით აღმაშენებლის დროდან მოყოლებული სომხეთიდან გადმოხეცეწილნი მეტწილად თბილისში სახლდებოდნენ. როგორც ვ. ნალბანდიანი აღნიშნავს, თემურ ლენგის შემოსევების დროს მომძე ქართველი ხალხი, მიუხედავად თავისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, შემწეობის ხელს უწყედიდა უფრო მძიმე პირობებში მყოფ სომეხ ხალხს, რომელიც მოკლებული იყო სახელმწიფოებრიობას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა იმ პერიოდის ისტორიკოსის თოფმა მეწოფეცის გადმოცემა: როდესაც ქართველთა მეფემ გიორგიმ შეიტყო თემურ-ლენგის ჯარების ახალი თავდასხმის შესახებ, ქართველ ხალხთან ერთად სომხებსაც მიუნია თავშესაფარი მიუდგომელ ციხეებში და თვით ითავა მოსული ურდოებისთვის წინააღმდეგობის გაწევა— გაძლიერდა სომხების გახეხვნა საქართველოსკენ, განსაკუთრებით კი თბილისისკენ. მაჰმადიანური ბატონობის პერიოდში სომხეთის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. მათ განუწყვეტლივ ემუქრებოდა ფიზიკური გაწყდომის, ეკონომიკური გაღარიბების, უეკლესიდ გაქრობის, თუ იძულებითი ემიგრაციის საშინელი საფრთხე. ამ პირობებში სომხებისთვის სიმშვიდ თავშესაფარს, ბუნებრივია, წარმოადგენდა საქართველო, სადაც მომძე ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე კედლებში, მის ჭერქვეშ შეიძლებოდა უზრუნველი ცხოერება ეპოვა კაცს.[9] უმჯობესია, ამ საშინელი გაჭირვების ჟამს სომეხთა მდგომარეობისა და მათი საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობილ სომეხ ისტორიკოსს თოფმა მეწოფეცს (1376-1446) მოეუსმინოთ: 1431 წელს „სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქეკუანაში როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე რომ, შეჭამეს ძაღლები და კატები, გეამები, ცხენები, ეირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩაო, მაშინ თავიანთ ეაეებსა და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ... ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის გაეარიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწეიტ".[10] კიდევ უფრო ადრე, მონღოლთა შემოსეეების დროს სომეხი მოსახლეობის ნაწილმა საქართველოს ცენტრალურ რაიონებს მოაშურა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მოსახლეობა მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, თანაგრძნობით შეხედა ყარსიდან აყრილ თანამემამეებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი შენიშნავს: „ქართველებნი... ძალზე კეთილნი და გულითადნი იყვნენ მოსულების მიმართ, რომლებიც მათთან თავშესაფარს ეძებდნენ".[11]

ოსმალო ავტორის გურჯიზადეს თხზულებაში დაცულია სომხების თბილისში დასახლების ცნობა. იბრაჰიმ ფაშამ 1723 წელს „განჯიდან თბილისისკენ მოაბრუნა სადაეე, დამორჩილებულ და დაქვემდებარებულ სომეხთა ტომიდან 3000 რეაია წამოიყვანა და თბილისში დაასახლა".[12]

საქართველოს ხელისუფლება მოხდეადა ტრტებთან გამუდმებული ბრძოლების შედეგად უაღრესად შეთხელებული ქართული მოსახლეობის შეესებას მეზობელი ქეკუნებიდან შემოეკანილი ხალხების ხარჯზე ცდილობდნენ. ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებსა და დოკუმენტებში არაერთი ცნობაა დაცული საქართველოსა და მის ქალაქებში სომხების, ოსების, ბერძნების, ლეკების, ჩერქეზების, ელის თათრების შემოეკანის შესახებ. მათ დასამაგრებლად გარკეეულ შეღაეათებსაც აწესებდნენ. ქართველი მეფეები და დიდებულები განსაკუთრებით სომეხი ეაჭრების შემოეკანაზე ზრუნავდნენ, რომლებიც გადასახადს თეთრით იხდიდნენ, ფული კი ძნელი საშოვარი იყო იმდროინდელ საქართველოში. ამასთან სომხები ძირითადად აღებ-მიცემობას მისდევდნენ და ეს ქეკუნის ეკონომიკის წინსულასაც უწყობდა ხელს. სრულებითაც არ არის შემთხეეეითი „ქართლის ცხოერებაში" დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ, როდესაც იმერეთის მპყრობელმა ალექსანდრე III-მ (1639-1661) დადიანის ტყეეობიდან თაეისი მა-

მის გამოხსნა მოინდომა, დადიანმა, სანაცელოდ ჩიხორსა და ჩხარში დასახლებული სომხები მოითხოვა: „დადიანმან სთხოვა ჩიხორსა და ჩხარს სომხები სახსრად. აპყარა და მისცა, რაც შემოუკუეთა, და გამოიხსნა მამა თვისი და მოიყვანა იმერეთს".[13] ამ ამბავს იტალიელი მისიონერი დონ ქრისტოფორო დე კასტელიც გადმოგვცემს, რომელიც 1627-1654 წლებში საქართველოში იმყოფებოდა: იმერეთის მეფეს გიორგის ეალდებულება უკისრია... იმერეთიდან სომეხთა და ებრაელთა მოსახლეობა სამეგრელოში გაეგზავნა იქ სავაჭრო მეურნეობის მოსაწყობად.[14]

ეახუშტი ბატონიშვილი თაეის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" უამრავ ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ მის დროს სომხები საქართველოს ყველა დიდსა და მცირე ქალაქში ცხოვრობდნენ და ყველგან ეაჭრობას ეწეოდნენ. ამ საქმიანობით დაკავებული სომხები დიდ შემოსავალსაც ღებულობდნენ, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მე-19 საუუნეში. ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი 1779 წელს ერეკლეს ლაშქრობისას ერეკლე II-ის მიერ რეა სოფლის მოსახლეობის აყრა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩასახლება.[15] აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევაში სომხები პირადი ინიციატიეითაც გადმოდიოდნენ თავშაფრის საძებნელად თუ ცხოერების პირობების უკეთ მოწყობის მიზნით საქართველოში საცხოერებლად. ამ მრიე საინტერესოა ბატონიშვილი გიორგის 1775 წლის დაჩტიკეებული განაჩენი ძმების აღაჯანის, საკასა და თათულას შესახებ, რომლებმაც იჩივლეს, რომ ისინი ბაბანას ყმები კი არ იყვნენ, არამედ ერევნიდან იყვნენ მოსულები.[16] ამასთან დოკუმენტურად შემონახულია ცნობები, როდესაც სომხები ითხოვენ საქართველოში ჩამოსახლების ნებართეას, მაგალითად, მე-18 საუუნის მიწურულში მეფე ერეკლე II-მ ნება დართო სამ ყარაბაღელ სომეხ მელიქს ჩასახლებულიყვნენ თავის ყმებთან ერთად ქეემი ქართლში. თანამედროეე ბოლნისის, თეთრიწყაროსა და მარნეულის რაიონების ტერიტორიაზე მაშინ ჩასახლდა სომხების საკმაოდ დიდი ჯგუფი. სოფლები — დაღეთი, სამშვილდე, ბოლნისსაჩინი და ბეერი სხვა სოფელი დაიკავეს მაშინ ჩამოსახლებულებმა.[17]

ამრიგად, სომხები თაეისი ისტორიული განსახლების ტერიტორიაზე მუდმივად გაჩიკედნენ მტრის შემოსეეას, რბეეა-აწიოკებას, დატყვეეებას და ისინი ჯგუფებად შემოდიოდნენ საცხოერებლად უპირატესად საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში. ამასთან გარეშე მტრების შემოსეეის შედეგად საქართველოს მოსახლეობაც ნადგურდებოდა და მცირდებოდა. ქართული სამეფოს დიდი ნაწილი თითქმის გაუკაცრიელდა, სახელმწიფოს ფუნქციონირება კი შეუძლებელი იყო მოსახლეობის გარკეეული რაოდენობის გარეშე. ქეეყნის არსებობის ეს უკანტორი თითქმის ამოწურული იყო. ამავე დროს ეეიდალებისათეის შთაკარი იყო მიწაზე ყმა გლეხი ჰყოლოდათ. ზემოთ აღნიშნული საფუძველზე შეიძლება დაეასკეანთ, რომ მტრისგან დეენილი სომეხი მოსახლეობა საქართველოში თავშესაფარს პოულობდა მაშინაც, როდესაც მისი მოსახლეობა მრაეალრიცხოვანი იყო, და მაშინაც. როდესაც ქეეყნის რიგ პროვინციაში მოსახლეობა განადგურდა ან მნიშვნელოვნად შემცირდა. ქართლსა და კახეთში დღემდე არსებობენ სომხური სოფლები, რომელთა მოსახლეობის აბსოლუტური უმრაელესობა უკეე ქართველად თელის თავს. ამ გარემოებას ისიც გაპირობებდა, რომ საუუნეების განმაელობაში სომხების ჩასახლება ხდებოდა შედარებით მცირე ჯგუფებით, მაგრამ მე-19 საუუნიდან, რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ, ეითარება კარდინალურად შეიცვალა და უკეე სომეხთა დიდი მასები შემოდიან საქართველოში საცხოერებლად.

თანამედროეე სომხეთის ტერიტორიაზე სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო მცირე ხნით მხოლოდ რუსეთის 1917 წლის რეეოლუციის შემდეგ არსებობდა (1918-1920 წლები). 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის რეეოლუციურმა კომიტეტმა რუსეთის დახმარებით სომხეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. საბოლოო დამოუკიდებლობა კი სომხეთმა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ (1991 წ.) მიიღო. სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა მთელი მისი ისტორიის განმაელობაში მეზობელი დიდი ქეეყნების (რომის, ბიზანტიის, ოსმალეთის, სპარსეთის და ბოლოს რუსეთის) და არც თუ შორს მობინადრე არაბების ცხოეელ ინტერესს იწეედა. ამიტომ სომხეთი ძირითადად სხეა სახელმწიფოების მიერ იყო დაპყრობილი. რეეოლუციამდე სომხეთი ორ — აღმოსაელეთ და დასაელეთ ნაწილად იყო გაყოფილი. დასაელეთი სომხეთი ოსმალეთის, ხოლო აღმოსაელეთი სპარსეთის მფლობელობაში იმყოფებოდა. თურქმანჩაის 1828 წლის საზაეო ხელშეკრულების შედეგად, რომლითაც დასრულდა რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომი, ჩრდილოეთ აზერბაიჯანი და აღმოსაელეთ სომხეთი რუსეთს შეურთდა. ამ ტერიტორიების რუსეთთან შეერთების შემდეგ თურქეთიდან და ირანიდან

იქ დაიწყო სომხების მასობრივი გადმოსახლება. თანდათანობით ეს პროცესი სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს და გადმოსახლება ხდება არა მარტო აღმოსავლეთ სომხეთში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში – საქართველოსა და აზერბაიჯანში.[18] განსაკუთრებით ეს პროცესი ინტენსიურ ხასიათს იღებს რუსეთ-თურქეთის 1878 წლის ომის შემდეგ.

რუსეთ-ირანს შორის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა, და ჯერ კიდევ თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულება არ იყო დადებული, თაურიზში მყოფ რუსეთის გენერალ პასკევიჩთან მივიდნენ სომეხი დეპუტატები თხოვინთ: ნება დაერთოთ ირანის აზერბაიჯანში მცხოვრები სომხები სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლებულიყვნენ. სომხების გადმოსახლება რუსეთის ინტერესების სფეროშიც შედიოდა და ამ მიზნით შეიქმნა „გადმოსახლებულთა დამმარე განსაკუთრებული კომიტეტი". ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ახლად წარმოქმნილი სომხეთის (ერევნის) ოლქის სამმართველოს უფროსი, ცნობილი ქართველი პოეტი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ხოლო ყარაბაღის ყოფილ სახანოში სომხების დასახლების მოწყობა დაევალა, ყარაბაღის სამხედრო-საოლქო სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ თაგან ატაზაზს. გადმოსახლებულები 6 წლის განმავლობაში თაეისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან, ამასთან გადმოსახლებულთა თითოეულ ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება 15-25 მანეთის ფარგლებში.

სომხები სამხრეთ კავკასიაში ასევე დიდი რაოდენობით გადმოსახლდნენ რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დროს, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. ამ ომში რუსების მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი, აგრეთვე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებიც. აღრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად (1829 წლის 2 (14) სექტემბერი) რუსეთმა შემოიერთა საქართველოს ისტორიული პროვინციის – სამცხე – საათბეგოს 10 რაიონი: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ბაჯარაქის, ფოცხოვისა და ჩილდირის რაიონები. ამასთან ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, გურიის, აგრეთვე, ერევნისა და ნახიჩევანის სახანოების რუსეთის მიერ მიერთება.

რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აზერბაიჯანსა და განსაკუთრებით საქართველოში, კერძოდ, მის ისტორიულ პროვინციაში – სამცხე-ჯავახეთში დიდძალი სომხობა გადმოსახლდა თურქეთიდან. გადმოსახლების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ისიც იყო, რომ სომხები ომის დროს დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთს ჯარს, აწვედიდნენ საიდუმლო მასალებს ციხე-სიმაგრეთა სუსტი მხარეებისა და თურქეთის ჯარის საბრძოლო ვითარების შესახებ. სომხები თავდაპირველად იმედოვნებდნენ, რომ ზაეის დადების შემდეგ ტერიტორიები, სადაც ისინი თურქეთში ცხოვრობდნენ და რუსეთმა ომის მსელელობის დროს დაიპყრო, დარჩებოდა რუსების ხელში, მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა. ადრიანოპოლის ზაეის შემდეგ რუსეთის ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი კვლავ ოსმალეთის მფლობელობაში დარჩა და სომხები მუსულმანებისაგან მკაცრ შურისძიებას ვერ აცდებოდნენ. გენერალი პასკევიჩიც აღნიშნავდა იმის შესახებ, რომ არ უნდა დაეშეშეათ ოსმალებმა შური იძიონ სომხებზე იმ დახმარებისათვის, რაც მათ გაუწიეს რუსეთსო.

თურქეთიდან სომხების პირველმა ჯგუფებმა გადმოსახლება სამხრეთ კავკასიაში 1829 წლის შემოდგომაზე დაიწყეს. 1830 წლის გაზაფხულამდე მას მოეკვა გადმოსახლებულთა დიდი რაოდენობა. მარტო საქართველოში ათასობით სომეხი გადმოსახლდა. გზაში მათ თავს ესხმოდნენ მუსულმანები და წამოეგებულ ქონებას, რაც კი ებადათ, სტაცებდნენ. საქართველოში მათ უკიდურესად გაჭირვებულებმა, არაფრის მქონენებმა მოაღწიეს. იმდენად დიდი იყო სამაგიეროს გადახდის შიში და ახალ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების უკეთესად მოწყობის იმედი, რომ გადმოსახლებული სომხები აცხადებდნენ: „ზეცადან ჩამოსულმა კრილტემ რომ გეიქადაგოს თურქეთში დაბრუნება, ჩვენ მის რჩევასაც-კი ყურს არ დაუგდეთო".[19]

1829-1831 წლებში თურქეთიდან სამხრეთ კავკასიაში 14044 ოჯახი, ანუ დაახლოებით 84 ათასი კაცი გადმოსახლდა და მათი დიდი ნაწილი – 5 ათასი ოჯახი (25 000 სომეხი) საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ახალციხესა და მის რაიონებში დასახლდა[20]. თეით ქალაქ ახალციხეში 1832 წელს 12100 კაცი ცხოვრობდა – 2475 აღგილობრივი და 9625 ოსმალეთიდან გადმოსახლებული (9608 სომეხი და 17 ბერძენი). გადმოსახლებულნი 3,9-ჯერ აღემატებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. როგორც ამერიკელი მეცნიერი ა. კოჩიკიანი აღნიშნავს: „რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომამდე გადასახლებული სომეხთა უმრავლესობა საქართველოს დედაქალაქ თბილისში ცხოვრობდა. როდესაც ქვეყნის სამხრეთი რაიონები რუსეთს შეუერთდა, ბევრი სომეხი ოს-

მალეთის იმპერიიდან ემიგრაციაში წაიყვა, დასახლდნენ მესხეთსა და ჯავახეთში, სადაც თანდათანობით შეადგინეს მოსახლეობის უმრავლესობა. ამჟამად ამ ტერიტორიების მცხოვრებთა ძირითადი ნაწილი იმ სომხების შთამომავლები არიან, რომლებმაც დატოვეს ერზრუმი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ".[21]

ირანიდან და ოსმალეთიდან 1828-1830 წლებში გადმოსახლებული სომხების დიდი ნაწილი ერევნის (შემდეგში სომხეთის) ოლქში, მერმინდელ ერევნის გუბერნიაში დასახლდა, რომელიც თანამედროვე სომხეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. 1832 წელს სომხეთის ოლქში ცხოვრობდა 82377 სომეხი (მათ შორის: 57226 გადმოსახლებული – 35560 ირანიდან და 21666 ოსმალეთიდან). ოლქის მთელი მოსახლეობა კი 164450 კაცს შეადგენდა. სომხები უკვე სომხეთის ოლქის მთელი მოსახლეობის 50,1 პროცენტს შეადგენდნენ, მაშინ როდესაც 4 წლის წინათ ისინი აქ არ აღემატებოდნენ მთელი მოსახლეობის 15-18 პროცენტს[22]. 1832 წელს სომხეთის ოლქში მკვიდრ სომეხთა რაოდენობა 25151 კაცს უდრიდა, ხოლო მუსულმანთა – 82073 კაცს. ამრიგად, მთელ ქვეყიდრ მოსახლეობაში (გადმოსახლებული სომხების გარეშე) სომხები მხოლოდ 23,4 პროცენტს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ 1828-1830 წლებში მუსულმანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა რუსეთის ქეეშეეერდომობას (ისე როგორც საქართველოს ისტორიული პროვინციების სამცხე-ჯავახეთის გამუსულმანებულმა ქართველობამ) ამჯობინა ირან-თურქეთში გადასახლება. მუსულმანები 1828 წლამდე ერევნის ოლქში დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ამრიგად, კარდინალური ცვლილებები მოხდა ოლქის მოსახლეობის ეროვნულ და რელიგიურ შემადგენლობაში. საკუთრივ ქალაქ ერევანში 1832 წელს 11463 კაცი ცხოვრობდა – 7331 მუსულმანი და 4132 სომეხი (36,0 პროცენტი). თუ გადმოსახლებულ სომხებს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ სომხები ქალაქის მოსახლეობის 24,4 პროცენტს, ხოლო მუსულმანები 75,6 პროცენტს შეადგენდნენ.

სომხების ჩასახლება საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. მარტო ექვსი წლის განმავლობაში – 1897-1902 წლებში საქართველოში შემოვიდა 55 ათასი ლტოლვილი სომეხი. მხოლოდ თბილისში 1897-1910 წლებში სომხების რაოდენობა გაიზარდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე, რომელთაგან დაახლოებით 68 ათასი იყო ახლად მოსული (უპირატესად თურქეთიდან).[23] თბილისში სომხების განუწყვეტელ შემოსვლაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ 1863 წელს მისი მოსახლეობა 62 318 კაცს შეადგენდა და აქედან ახალმოსული იყო 14928 კაცი, რომელთა სამ მეოთხედს სომხები შეადგენდნენ.[24]

ასეთი მაგალითების მოტანა მრავალად შეიძლება, მაგრამ, ეფიქრობთ, რაც მოვიტანეთ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თბილისში სომხების გადმოსახლების მასშტაბებზე.

სომხების ჩასახლებას საქართველოში 1930-იან წლებშიც აქონდა ადგილი. ამის შედეგად 1939 წელს სომხების რაოდენობა საქართველოში 415 ათასს უდრიდა, ნაცვლად 307 ათასისა 1926 წელს. 13 წლის განმავლობაში სომხების რაოდენობის ზრდა 108 ათასით, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მხოლოდ მათ ბუნებრივ მატებას გამოეწვია. სომხები საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით 1970 წელს ცხოვრობდნენ – 452 ათასი. მომდევნო 20 წელიწადში სომხების რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირდა და 1989 წელს 437 ათასი კაცი შეადგინა. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ სომეხ მოსახლეობაში ინტენსიური ხდებოდა გარემიგრაციული პროცესები და მათი შედარებით მაღალი ბუნებრივი მატება ეეღარ ფარავდა უარყოფით მიგრაციულ სალდოს. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით მთლიანად საქართველოში 281 ათასი სომეხი ცხოვრობდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე – 249 ათასი. 1989-2002 წლებში მათი რიცხვი მთლიანად ქვეყანაში 156 ათასი კაცით შემცირდა, განსაკუთრებით კი თბილისში – 68 ათასი კაცით. თუ მხედველობაში მივიღებთ მათ ბუნებრივ მატებას, ამ პერიოდში სულ საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში 164 ათასი სომეხი წავიდა.

XIX-XX საუკუნეში და მანამდეც გარკვეულ პერიოდებში სომეხ მოსახლეობას რაოდენობით ქართველების შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა. XX საუკუნის ბოლოდან დაიწყო მათი ინტენსიური მიგრაციული პროცესები და ამის გამო სომხებმა საქართველოში რადენობის მხრივ მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. სომეხ ერში მიგრაციული პროცესები ძირითადად სამმა ფაქტორმა განაპირობა – ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სომხები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ინტენსიური მიგრაციული პროცესებით. მაგალითად, 1990 წელს საბჭოთა კავშირი დაახლოებით 450 ათასმა ადამიანმა დატოვა და მათი ძირითადი ნაწილი სამ ეთნოსს – ებრაელებს (200 ათასი), გერმანელებს (145 ათასი)

და სომხებს (50-60 ათასი) განეკუთვნებოდა.[25] აღსანიშნავია ისიც, რომ მიგრაციული ნაკადების პიკის დროს – 1994 წელს რუსეთში საქართველოდან საცხოვრებლად გადაიყვა 67 ათასი კაცი, მათ შორის: 26 ათასი რუსი, 13 ათასი ქართველი, 12 ათასი სომეხი და 16 ათასი სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ამავე წელს რუსეთში საცხოვრებლად სომხეთიდან 47 ათასი კაცი გადაიყვა: 38 ათასი სომეხი, 5 ათასი რუსი და 4 ათასი დანარჩენი ეროვნება. როგორც ვხედავთ, სხვა ეროვნებებთან შედარებით სომხეთიდან ადგილი ჰქონდა მკვეთრი ერის – სომხების დიდი რაოდენობით მიგრაციას რუსეთში. სწორედ ამ ფაქტორის გამო 1992-1998 წლებში რუსეთში საცხოვრებლად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან 59 ათასი ქართველი, 116 ათასი აზერბაიჯანელი და 276 ათასი სომეხი გადაიყვა. ძირითადად ამ მიზეზის გამო რუსეთის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით რუსეთში სომხების რაოდენობა 1989-2002 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2002 წელს 1 130 ათასი კაცი შეადგინა, ნაცვლად 532 ათასისა 1989 წელს. ამჟამად რუსეთში უკვე მუდმივად ცხოვრობს შვიდი ხალხი, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა ცალ-ცალკე აღებული ერთ მილიონს აჭარბებს, მათ შორისაა სომხებიც.[26]

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ მიწათმფობელი არისტოკრატია თაეის გაელენის, ირეიდგეიტს თანდათანობით კარგავდა. მთაეარი გახდა უკვე არა მიწის, არამედ კაპიტალის ფლობა. კაპიტალმა კი, ქართულ არისტოკრატიასთან შედარებით, სომეხი ეაჭრებისა და ხელოსნების ხელში მოიყარა თაეი. უცხოეთში მოღეაწე უმეტესად წარმოშობით სომეხ მეცნიერებს, მიაჩნიათ, რომ მომხდარი სოციალური „რესტრუქტურიზაცია“ შეიძლება განეიხილოთ როგორც თანამედროვე ქართულ-სომხური მეტოქეობის საფუძველი. მათი აზრით, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართველები (არა მარტო არისტოკრატია, არამედ გლეხობაც) იყენენ აღშფოთებულნი სომხების ხელში კაპიტალის თავმოყრით და ეს გადაიზარდა სოციალურ შეურაცხყოფაში, მეტოქეობაში ორ ხალხს შორის.

მეტად ძნელია ასეთი მოსაზრების გაზიარება, მით უმეტეს, რომ ამის თითქმის არაეითარი საფუძველი არ არსებობს. მთაეარი როლი ურთიერთობებში ითამაშა მე-19 საუკუნეში „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეის აღორძინებამ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო სომეხ, არამედ მის მეზობელ ხალხებსაც. ამ იდეის განხორციელებისათეის სომხური ბურჟუაზიისა და სომეხი მოღეაწეების ნაწილი არაფერს იშურებდა და ყველაფერზე მიდიოდა. მათი აზრით, ისე როგორც მე-19 საუკუნეში, ახლაც „საქართველო საქართველო კი არ არის, ქეელი სომხეთია“. ისინი სხვადასხვა ენაზე ბეჭდაეენ და აერცელებენ „დიდი სომხეთის“ რუკებს, რომლებიც მოიცაეს მთელ საქართველოს, აზერბაიჯანსა და თანამედროეე თურქეთის დიდ ნაწილს. მათივე აზრით, აზერბაიჯანი აღმოსაელეთი სომხეთია, რომლის დედაქალაქია ბაკურაკერტი. სომეხი „მეცნიერები“ ინტერნეტში გამუდმებით ათავსებენ თაეიანთი მეზობელი ქეეყნების წინააღმდეგ მიმართულ სტატეებს, მათი ქეეყნის გაფდიდებისა და მეზობელთა დამამცირებელ ხასიათის ცნობებს. ახლახან (17.07.2009), დასაელეთ სომხეთის სომეხთა ეროვნული საბჭოს წეერმა, ფილოსოფოსმა არმენ აბრამიანმა ერეევანში პრესკონფერენციაზე განაცხადა: „სომხები არ არიან ნაციონალური უმცირესობა არც თურქეთში, არც საქართველოსა და აზერბაიჯანში. სომხები ამ ქეეყნის მკეიდრი მოსახლეობაა“.[27]

სანამ ამ საკითხს განეიხილაედეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის არაეითარი საფუძველი ქართულ-სომხურ ურთიერთობაში მეტოქეობას არ ჰქონია. ქართველები იმით იყენენ უკმაყოფილნი, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები გამიზნულად, ყოელად მიუღებელი ხერხებით ცდილობდნენ ქართველთა ადგილ-მამულების ხელში ჩაგდებას. ამის შესახებ რუსი მოღეაწეებიც არაერთზის აღნიშნაედნენ. მაგალითად, რუსი მოღეაწე ი. კანადაეეი, რომელმაც კაეკასიაში თითქმის 20 წელი იცხოერა, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში მიუთითებდა, რომ სომხები ქართველების კუთვნილ 7-8 ათას მანეთად ღირებულ სახლებს ხელში 200-300 მანეთად იგდებდნენ და ამ საქმეში განსაკეთფრებელ ვირტუოზულობას იჩენდნენონ“.[28] ი. კანადაეეი, მოყავს რა იმის მაგალითები, თუ როგორი მაქინაციებით იგდებდნენ სომხები მასობრივად ხელში ქართველთა ქონებას ჩალის ფასად, ასკენის: „აი, ასეთ შედეგს მიაღწია სომეხმა ერმა, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოს მკეიდრი მოსახლეობა“.[29] ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქეამს XIX-XX საუკუნეების ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ეელიჩკო. იგი მრაეალგზის აღნიშნავს იმის შესახებ, თუ როგორ გადადიოდა ქართველი თაეადაზნაურობის ქონება სომხების ხელში, რომლებიც საკუთარ მიზნებს მეტად შენიღბული მეთოდით აღწეევენ და კაეკასიური ატმოსფეროს გახარწნას მეტად

გულდასმით ცდილობენო.

ი. კანდელაკი საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ისიც კარგად შეამჩნია, რომ სომხები ყოლოსალური სიმდიდრის შეძენასთან ერთად, ცდილობდნენ ყოველიეე ქართული კულტურული მემკვიდრეობის წაშლას და მათ მითვისებას. იგი მიუთითებს იმის შესახებ, რომ სომხებმა რამდენიმე მართლმადიდებლურ ტაძარში გაანადგურეს ქართული წარწერები, შეცვალეს განადგურებული წარწერები სომხური წარწერებით და ქართული ტაძრები სომხურ-გრიგორიანულ ტაძრებად გადააკეთეს. ამასთან ერთად, მდიდარი სომხები ყიდულობდნენ მიწებს და ამ მიწებზე ასახლებდნენ სომეხ ემიგრანტებს, რათა გაესომხებინათ მხარე.[30] განსაკუთრებით ბევრი და თანაც ძვირადღირებული მიწები ჩაიგდეს ხელში სომხებმა ბათუმში. იყო შემთხვევები, როდესაც სომხები 100 ათას მანეთად ღირებულ მიწის ნაკვეთს ხელში 200-400 მანეთად იგდებდნენ.[31] ცნობილია, რომ მათი მიზანი იყო, მყარად მოეკიდებინათ ფეხი საქართველოს შაეიზღვეისპირეთში, განსაკუთრებით აფხაზეთში.

საბოლოოდ სომხებმა ეაჭრობის სფეროში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეეს მთელ კაეკასიაში. რუსი მოღვაწე ეეგენი მარკოეი პირდაპირ მიუთითებს, რომ სომხების პრაკტიკული თვისებების გამო, მათთეის იმდენად უსაფრთხო გახდა კაეკასიის სხვა ხალხების საეაჭრო კონკურენცია, არაფერი რომ არ ეთქეათ ქართველების, თათრების, რუსების ეკონომიკურ დამონებაზე, ებრაელიც კი, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თავისი ექსპლუატაციის ხელოვნების წინააღმდეგ დაუფარაე დრტენეკას იწვეეს, სომხის თანდასწრებით ბალაბზე დაბალია, წყალზე ჩუმი და ალარ წარმოადგენს არაეიფთარ საშიშ ელემენტს, ისე როგორც დიდი ეორთხის შემყურე პატარა თაგუნა.[32]

იმდროინდელი სომეხი მოღვაწეები არც მალაეენ თაეიანთ ჩანაფიქრს და უკეე აშკარად გამოთქეამენ კმაყოფილებას იმის გამო, რომ სომხურ კაპიტალს საქართველოში გაბატონებული ადგილი უჭირაეს და ქართველების კუთვენილი ადგილ-მამულები მათ ხელში გადადის. ისინი სომხებს კაეკასიაში, კომერციული თვალსაზრისით, მოწინაეე, მომაელის მქონე ხალხს უწოდებენ, ქართველ თაეადაზნაურობას კი დაძაბუნებულ, მიხრწნილ წოდებად თელიან, შეა საუუნეების გადმონაშთს ეძახიან. ასეთი აზრია გატარებული ბ. იშხანიანის წიგნში „კაეკასიის ხალხები". „თუ იმპერიის ხალხებთან შედარებით სომხებს მრეწველობაში მეხუთე ადგილი უკაეიათ, ხოლო ეაჭრობაში – მეორე, სამაგიეროდ კაეკასიაში მათ პირველი და გაბატონებული ადგილი უჭირაეთ. რუსებიც კი ამ მხრივ სომხებს უალრესად ჩამორჩებიან კაეკასიაში– ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქეს ხალხისათეის, რომელიც რიცხობრივად კაეკასიაში ჩამორჩება რუსებს, თათრებსა და ქართველებსაც კი. ამის მიუხედაეად, არცერთ ხალხს არ მიეღწეეია ისეთი სიმაღლისათეის, როგორსაც მიაღწიეს სომხებმა მრეწველობასა და ეაჭრობაში– მთელი ქართველი მოსახლეობის 5,26 პროცენტი შედგება შთამომაელობითი თავადაზნაურობისგან, რომელიც, თავის მხრივ, კაეკასიაში მთელი თაეადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტს შეადგენს. ეეოსად შეხედებით სხვა მსგავს მაგალითს, რომ შეა საუუნეების ფეოდალური გადმონაშთი რომელიმე ხალხის ახალ საზოგადოებრივ წყობაში ასეთი დიდი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი. მართალია, დიდი ნაწილი ამ დაძაბუნებული წოდებისა უკეე პროლეტარიზებულია და გლეხობის, ხელოსნებისა და მუშების რიგებში გადაეიდა, მაგრამ გაბატონებული სახელმწიფო სისტემის წყალობით, ჯერ კიდეე სარგებლობს პრეიელეგიებით. მეორე მხრივ, ამ წოდების უმაღლესი ფენა, რომელიც მდიდარი ქართველი მიწათმფლობელი თაეადებისაგან შედგება, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით თანდათან ქეეითდება და ფულადი მეურნეობის ზეგაელენით იძულებულია თავისი ადგილ-მამული გამარჯეებულ მსხვილი კაპიტალის მფლობელ მაგნატებს მიჰყიდოს. სომეხი და უცხოელი კაპიტალისტები იძენენ დიდაძალ მიწის ნაკვეთებს გაკოტრებული თაეადაზნაურებისაგან".[33]

მთელი ეს ექსკურსი იმიტომ დაგეჭირდა, რომ ზოგიერთი შეგნებულად აყალბებს ისტორიულ რეალობებს, თაეგზას უბნეეს და ეროენული შეულისაკენ უბიძგებს თანამემამულეებს. დასამალი არ არის, ჯაეახეთში ქართველობას თაეის ძირძველ მიწაზე, რომლის დასაცავადაც უამრაეი სისხლი დაუღვრია, არცთუ სახარბიელო პირობებში უხდება ცხოვრება. ადგილობრივი ხელმძღვანელობა წლების მანძილზე არავითარ ყურადღებასა და ზრუნეას არ იჩენდა მათ მიმართ. ასეთ პირობებში ჯაეახეთის, ისედაც მცირერიცხოვანი ქართული მოსახლეობა კიდეე უფრო შემცირდა და მშობლიურ მიწა-წყალზე უცხო გარემოში აღმოჩნდა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერით ჯაეახეთში 3,5 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

სომეხი ეაიმეცნიერები არაერთხელ ამბილეს არაკეთილსინდისიერებაში საქეეჯ

ნოდ ცნობილმა მეცნიერებმა. მაგალითად, სომეხი ეიიმეცნიერები უცხოურ ჟურნალებში ინგლისურ ენაზე ბეჭდავენ სტატიებს ჩვენ წელთაღრიცხვამდე XIX საუკუნის სომხური (პაისური) მონეტების შესახებ, რომლებიც, ცნობილი რუსი მეცნიერების აზრით, სინამდვილეში განეკუთვნება XII-XIII საუკუნეებს და გამოშვებულია აზერბაიჯანელი ათაბაგების მიერ. ასევე აშკარად ყალბი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული სომეხ ეიამეცნიერებს ძველი სომხური იეროგლიფური დამწერლობის თაობაზე. მეწამორის ქვაზე არსებულ არაბულ წარწერებს, რომლებიც უცხოელი მეცნიერების აზრით ჩვენი ერის XIX საუკუნეს მიეკუთვნება, ისინი ასაღებენ ჩვენ წელთაღრიცხვამდე XIX-XVII საუკუნეების პაიასურ იეროგლიფურ დამწერლობად, რომლიდანაც წარმოიშვა თურმე მსოფლიოს ყველა ანბანი. მათი აზრით, ამ „აღმოჩენების" შემდეგ „შეწყვეტა არსებობა" საეკუნეობრივმა გაუგებრობამ ურარტუს სახელმწიფოს კონცეფციის შესახებ. მათ ურარტუს მთელი კულტურა სომხეთს დაუკავშირეს. როგორც ცნობილი რუსი მეცნიერი აკადემიკოსი ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, სომეხმა ეიიმეცნიერებმა მოახდინეს „უმეტესწილად ძალიან დაშორებული და არაზუსტი ურარტული და სომხური სიტყვების შედარებები, ამ ენების ფონეტიკური შესაბამისობებისა და მათი წყობის გაუთვალისწინებლად (თავის დრო'ს სომხური ენის მიერ ურარტული სიტყვების დასესხება დამტკიცებული იყო გ. კაპანიანცისა და გრ. აჩარიანის მიერ)". სომეხი ეიამეცნიერები ყოველგვარი ხერხებით ცდილობდნენ, და ზოგჯერ აღწევდნენ კიდეც, თავიანთი „ნააზრევის" უცხოურ აეტორიტეტულ ჟურნალებში გამოქვეყნებას. ბ. პიოტროვსკემ აჩვენა მათი ყალთაბანდობა და სცადა შეეწერებინა „უნივერსური თეორიების" ნაკადი, რომელიც ენებას აყენებს სომხურ ისტორიულ მეცნიერებას. და რომელიც, სამწუხაროდ, შეიჭრა პოპულარულ ლიტერატურაში". ბ. პიოტროვსკემ გადაწყვიტა ამ საკითხეს უცხოურ პრესაში სტატიის გამოქვეყნება. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, აკადემიკოს ე. ამბარცუმიანის თხოვნით, რათა სომხეთის აკადემიის საქვეყნოდ თავი არ მოჭროდა, აკადემიკოსმა ბ. პიოტროვსკემ სტატია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში გამოაქვეყნა.[34]

ყველაფერი ეს სომხებს სჭირდებათ იმისათვის, რათა ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენონ მეზობელ ქვეყნებს, მათი ეიამეცნიერები იქექებიან ისტორიის ანალებში და ეძებენ სომხეთის არაარსებულ ტერიტორიებს სხვა ქვეყნებში. ამისათვის ისინი არ ერიდებიან არც მოსყიდვებს, არც უკადრებელი გზით სხვისი ენების ხელში ჩაგდებას, არც აშკარად სხვისი ხუროთმოძღვრების ძეგლების მითვისების მცდელობას და არც კურიოზებამდე მისული ისტორიული ფაქტების დამახინჯებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია დიდი რუსი პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე გრიბოედოვის 1820-იან წლებში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „თქვენნი აღმატებულებაე, არაეითარ შემთხვევაში არ მისცეთ სომხებს ცენტრალური რუსეთის მიწებზე დასახლების უფლება. ეს ისეთი ერია, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მითვისებს და მთელ მსოფლოს განუცხადებს, რომ ეს მათი უძველესი მიწაა"[35].

კურიოზამდე მისული ფაქტების დამახინჯებად მიგვაჩნია ისიც, როდესაც ზოგიერთი სომეხი მეცნიერი სომხურ ხუროთმოძღვრებას მიიჩნევს განსაკუთრებულ ფენომენად, რომელმაც დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა რომაული რელიგიური ხელოვნების ჩასახვაში, გოთიკის წარმოშობაში. მათი აზრით, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ეკრობის სხვა ქვეყნების ქალაქებს აშკარად ეტყობათ სომხური ხუროთმოძღვრების გაელენა. მეტად არადამაჯერებლად ჟღერს იმის მტკიცება სომხების მრჩიდან, თითქოს ლეონარდო და ვინჩის მოგზაურობას სომხეთში დასაელეთისა და განსაკუთრებით იტალიელი ისტორიკოსები მხოლოდ იმის გამო უარყოფენ, რომ მან არ სურთ აღიარონ სომხური ხუროთმოძღვრების გაელენა ლეონარდო და ვინჩზე.[36] ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ისინი ჯიუტად ცდილობენ დაამტკიცონ ის აზრი, რომ საქართველოში 650-ზე მეტი სომხური ეკლესიაა, ქართული ხუროთმოძღვრების შედეერები — მცხეთის ჯვარი, ოშკი, ხახული, იშხანი, შატბერდი და მრაველი სხვა უკვდავი ქართული ძეგლი სომხურია, თუმცა ეს ძეგლები თავისი არქიტექტურით, მთელი თავისი მორთულობით, ეს იქნება სკულპტურული რელიეფი, ორგამენტი თუ ვედლის მხატვრობა, ქართული კულტურის ორგანული ნაწილია, ქართული ხუროთმოძღვრებაა, რომ არაფერი ეთქვათ ქართულ ასომთაერულ წარწერებზე, რომლებიც ამ ნაგებობების ედლებზე მრაელად გეხვდება.

სომეხი ეიამეცნიერები ცილისმწამებლური პუბლიკაციებით ცდილობენ ჩვენთან მცხოვრებ სომეხი ეროვნების ადამიანებს დაუბნელონ გონება, მოწამლონ მათი ცნო-

ბიერება, დააყენონ ისინი აგრესიის გზაზე, მაგალითად, როდესაც ჯავახეთში მცხოვრებ სომეხს წლების განმავლობაში ჩასჩიჩინეს, რომ ეს ტერიტორია სომხური და არა ქართული, რომ ჯავახეთის ხუროთმოძღვრება სომხური ხუროთმოძღვრების ნაწილია და მათ ამაზე გაცილებით მეტ სიყალბესაც შესთავაზებ, რომელსაც ხელს აწერს, ეთქვათ, აკადემიკოსი, მეტად ძნელია შემდეგში ამ ადამიანების გადაწყმუნება, მათი ჭეშმარიტებასთან ზიარება.

უკანასკნელ წლებში სომხური და რუსული პრესის, ელექტრონული მედიის მეშვეობით უამრავი ინფორმაცია ქეყენდება იმის შესახებ, რომ თითქოს ჯავახეთი სომხეთის ისტორიული მიწა-წყალია და იგი უნდა შეუერთდეს სომხეთს. მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი, ახალქალაქში დაბანაკებული რუსული სამხედრო ნაწილის გაუქმებამდე, მის შესასელთან უზარმაზარი პლაკატი იყო გამოკრული (15 მეტრის სიგრძისა და 3 მეტრის სიმაღლის), რომელიც იწერებოდა მიწოდებით: „დაეუფლე ამ მიწას უშიშრად... რუსეთის არმია შენ დაგიცავს. იქვე იყო ამ სიტყვების აეტორის მეფის რუსეთის გენერალ პასკევიჩის პორტრეტიც (პასკევიჩმა ორგანიზაცია გაუკეთა საქართველოს ახალ ქალაქის რაიონში 1829 წელს თურქეთიდან სომხების ჩამოსახლებას). ცხადია, ეს მოწოდება გაახსენდათ იმ ძალებს, რომლებიც აქეზებენ და ზურგს უმაგრებენ ჯავახეთში მოსახლე სომხებს და ცდილობენ ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას.[37] ასე რომ, პათოლოგიური აზრებით შეპყრობილი სომეხი ვაიმეცნიერები და მათი დამქაშები ხელიდან შემთხვევას არ უშვებენ ჩირქი მოსცხონ ქართველ ხალხს და მიკერძოებულად, ფაქტების არნახული დამახინჯებით წარმოაჩენენ საქართველოს ისტორიის საკითხებს, განდიდების მანიით შეპყრობილნი მხოლოდ სათაესოდ განიხილავენ ყველა მოვლენას და უსაფუძვლო განცხადებებით შეცდომაში შეპყავთ გაუცნობიერებელი საზოგადოებრიობა. თუ დიდ რუს ეროტიკოსს ბ. ბელინსკის დაევესესხებით, „მრწამსი ძეიროსაი უნდა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქეშმარიტია და არა იმიტომ, რომ იგი ჩვენია". სასურველობის სფეროს თუ გაეცდებით, ჭეშმარიტებისაგან მეტად შორს აღმოჩნდებით. ამავე დროს, მართალია, მათი ნაზრეები, მათ მიერ მოყვანილი ფაქტები სრულად უსაფუძვლოა და მათი გაბათილებაც არ არის ძნელი, მაგრამ ისინი უკვე წარმოიეკვა მილიონობით მკითხველის წინაშე და ახლა მათ ნაგლახითაც ეეღარ ამოძირკეავ. ასე რომ, „პიესა დადგმულია, სპექტაკლი გათამაშებულია". პუბლიკაციებმა უკვე შეასრულეს თავიანთი როლი ქართველი ხალხის საზიანოდ.

აქ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ერმელი ყოველთვის ცდილობდა სეპარატიზმის წახალისებას საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეროვნებებში, რადგან თუ საბჭოთა კავშირის დაშლის საკითხი დადგებოდა, რესპუბლიკები იძულებული გაეხადათ ხელი აეღოთ დამოუკიდებლობაზე და დასახმარებლად რუსეთისათვის მიემართათ. ამ გეგმის ყველა პუნქტი 1991 წელს გაზეთ „მოსკოვსკეე ნოვოსტში" დაიბეჭდა. გეგმის თანახმად აფხაზეთი გამოეცდოდა საქართველოს შემადგენლობიდან, საქართველოს გამოეყოფოდა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და იგი გაერთიანდებოდა ჩრდილოეთ ოსეთთან. ასევე უნდა გამოყოფოდა საქართველოს ჯავახეთი და სომხეთს შეერთებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსალეთი საქართველო – აზერბაიჯანს. ამავე გეგმის მიხედვით, უნდა გაუქმებულიყო აჭარის ავტონომია.[38] მოკლედ, გეგმა საქართველოს დაშლას ითვალისწინებდა, რომლის მთავარი ნაწილის განხორციელება, სამწუხაროდ, რუსეთმა ჯერჯერობით მაინც შეძლო. სწორედ ასეთი გეგმის შედეგია ის, რომ დღეს ხშირად ისმის ანტიქართული მოწოდებები, „ჯავახქის ავტონომისა" და ამ რეგიონის სომხეთზე მიერთების მოთხოვნა. „ნეზავისიმაია გაზეტას" ფურცლებზე კვეყნდება მასალა: „შესაძლოა, ეაგრძნობინოთ ერეკანს, რომ, თუ საქართველო განაგრძობს ანტირუსულ გეზს, სომხეთი შეძლებს დე-ფაქტო შემოიერთოს რეგიონი, რომელიც ცნობილია სომხურად „ჯავახქ"-ის და ქართულად „ჯავახეთის" სახელწოდებით".[39]

ასეთი მხარდაჭერით წახალისებულ და გათამამებულ ეინშე მარიამ სტეფანიანის რუსულენოვან გაზეთ „ვაზეტა სნგ"-ში (1.III.2005) გამოქეყნებულ სტატიაში უკვე უშუალოდ არის მოწოდებები ჯავახეთის სომხეთთან მიერთების შესახებ. სტატიის აეტორი გვაუწყებს, რომ ჯავახეთში შექმნილი პარტიის – „ეირქისა" და ადგილობრივი „დაშნაკ ცუთიუნის" წარმომადგენლების აზრით, „ჯავახქი საქართველოს შემადგენლობაში დროებით იმყოფება და ადრე თუ გვიან სომხეთს შეუერთდება", რაც იმას ნიშნავს, რომ „ფაქტობრივად სომხეთი შეიძლება სერიოზულად აღმოჩნდეს ახალი ომის საზღვარზეო". სტატიაში მოყვანილია საქართველოში, სომხეთსა და რუსეთში მცხოვრები სომხების გამონათქვამები, რომელთა მიხედვით საქართველოში გარდაუვალია ეთნოკონფლიქტები და ახალი სის-

ხლისღერა. კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია, რომ „ჯაჯახეთის მიერთება შეესაბამება სომხეთის ეროვნული უშიშროების ინტერესებს... თუ ყარაბაღი ჩვენთვის პრესტიჟის საქმეა, ჯაჯახეკი კი სიკეთილ-სიცოცხლის საკითხია". ისინი ფაქტობრივად სომხეთის მთავრობას საქართველოსთან ომისაკენ მოუწოდებენ და რჩევასაც აძლევენ კონფლიქტის შემთხვევაში როგორ დაიკავონ ჯაჯახეთი. ისინი არ ფიქრობენ იმის შესახებ, რომ ჯაჯახეთი სიკეთილ-სიცოცხლის საკითხია სწორედ საქართველოსათვის. მათ სრულებითაც არ ადარდებთ ის, თუ როგორი სისხლისღერა და უბედურება შეიძლება მოუტანოს ასეთმა უაქელაციო განცხადებებმა ორ მოძმე ხალხს. გრძნობს რა ამ საშიშროებას, ამერიკელი მეცნიერი ა. კოჩიკიანი სამართლიანად მიუთითებს, რომ „ქართულმა მხარემ" დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თავის სომეხი მოქალაქეების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების გადაწყვეტას, ხოლო ერევანმა არ უნდა გაალვიეოოს ნაციონალისტური განწყობილება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროებში, უნდა დაეხმაროს ჯაჯახეთს, მაგრამ ამავე დროს დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტი".[40]

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჯაჯახეთთან და აგრეთვე ქვემო ქართლთთან, ქვეყნის ამ ორ უმნიშვნელოვანეს რეგიონთან, ეკონომიკური კავშირები თითქმის მოშლილია, ხელისუფლება ნაკლებად ზრუნაედა და ახლაც ნაკლებად ზრუნაეს მათი სოციალური და კულტურული პრობლემების გადასაწყვეტად, საერთოდ, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის ქართულ სამყაროში ინტეგრირებისათვის. ისინი თითქმის თაეიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ. მათთან ეპიზოდური შეხვედრები და ისიც უმეტესად არჩევნების დროს, მხოლოდ ცალკეული თარიღების აღნიშვნა საქმეს არ შეელის. ამ მხრივ სრულ უმოქმედობას იჩენს პრესა და ელექტრონული მედია. განსაკუთრებით ბევრი საკითხია მოსაგვარებელი კულტურის სფეროში, რათა სომეხმა და აზერბაიჯანელმა საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ იგრძნოს თავი.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო მეტად ხელ-ფეხს ეხსნებათ სეპარატისტულ ძალებს, რომლებიც ცდილობენ ისტორიის ხელახლა გადაწერას, საქართველოს ისტორიული პროვინციის – ჯაჯახეთის სომხეთის ეთნიკურ ტერიტორად გამოცხადებას, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, საერთოდ ქართული კულტურული მემკვიდრეობის მითვისებას.

ახლა ენახოთ, როგორია რეალობა და ვინ ცხოვრობდა ისტორიულად ჯაჯახეთისა და საერთოდ მესხეთის ძირძველ ქართულ მიწაზე.

ანტიკურ ეპოქაში გაელენის სფეროებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სომხეთისა და იბერიის მეფეები. ძვ. წ. III საუკუნეში იბერიის სამეფო სომხეთის სამეფოზე უფრო ძლიერი ჩანს, თუმცა მომდევნო საუკუნეში სომხეთი მეზობელი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ხარჯზეც გაფართოოებას იწყებს. ამის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი: „მოგვითხრობენ არმენიაზე, რომ ის პირველად პატარა ყოფილა. გაზრდილა არტაქსიასა და ზარიადრის მეშვეობით... ამათ გაზარდეს (ქვეყანა იმის ხარჯზე), რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები... იბერებს – პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე... ხალიბებისა და მოსინიკებისგან (წაიღეს) კარენიტი და ქსერქსენე.[41] მეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად, იბერიისაგან ჩამოჭრილი მიწები შეესაბამება ქვემო ქართლს, ტაოსა და სპერს. შემდგში ქართველებს ამ მიწების დაბრუნება ბრძოლით უხდებოდათ. პროფ. ეაკა ლორთქიფანიძე აანალიზებს რა ამ პერიოდის საქართველოს სამხრეთის თემების მდგომარეობას, ასკვნის: მესხეთი ყოველთვის ქართულ ტერიტორიას წარმოადგენდა. ამასთან, დიდი სომხეთის სამეფოს არსებობის გარკვეულ პერიოდში მესხეთის ნაწილი სომხებს ჰქონდათ დაპყრობილი. I საუკუნის მეოთხე ათეულიდან მოყოლებული იბერიის მეფეს უსარგებლია მარჯვე შემთხვევით და ფართო პოლიტიკური გეგმა დაუსახავს: სამაგიეროდ, სომხეთის დაპყრობა მოუნდომებია. სწორედ ამ დროს უნდა დაებრუნებინათ ქართველებს სომხებისაგან დასაკუთრებული ზოგიერთი თემები. IV საუკუნეში სომხური წყაროების ცნობითაც, საქართველომ ტაოს გარდა ყველა თემი კელავ შემოიერთა, რაც შეეხება ტაოს, იგი ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში შედიოდა. შემდეგ ძვ. წ. II საუკუნეში სომხეთის ძლიერი სახელმწიფო დაეუფლა, მაგრამ I-II საუკუნეებში სომხებისაგან გათავისუფლდა და ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. შემდეგ იგი კელავ სომხეთმა მიიერთა. VIII საუკუნიდან ტაო ქართულ სამეფოს შეუერთდა. ძველი ბერძენი ავტორები ტაოს ქართულ მიწად ისხენებენ, ხოლო აქ მცხოვრებ ტაოხებს ქართულ ტომს უწოდებდნენ. მათი ნაშრომების მიხედეით ტაოში ყოველთვის ქართული ტომი ცხოვრობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხური სისტო-

რიო მწერლობის „მამა“, V საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი გუგარქსს ქართულ ქვეყნად მიიჩნევს, ხოლო კლარჯეთს – ქართველთა ქვეყნის კუთხედ. იგი წერს: შემდგომ სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადეილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღერა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დწყებული ეიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე.[42] უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები, განსაკუთრებით „ქართლის ცხორება“, ყოველგვარი ეჭვის გარეშეს გარეშე ცხადყოფს, რომ სამცხე-ჯავახეთი უძველესი ქართული ეთნიკური ტერიტორიაა, რასაც გულმოდგინედ უარყოფენ სომეხი „მეცნიერები“ და ფაქტების უხეში დამახინჯებით ცდილობენ საქართველოს ეს უძველესი პროვინცია სომხურად გამოაცხადონ.

ინგლისელი მეცნიერი დ. ლენგი თავის წიგნში „ქართველები“, რომელიც 1966 წელს გამოიცა ინგლისურ ენაზე, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ სამცხე და ჯავახეთი, საერთოდ მთელი მესხეთი ტრადიციულად საქართველოს ეთნიკური ტერიტორიაა. იგი აღნიშნავს, რომ უძველეს დროში „იბერიის სახელმწიფოს... მიწები მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლს, თანამედროვე დედაქალაქ თბილისის მიმდებარე რაიონს, კახეთს, სამცხეს, თრიალეთს, ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთს.[43] სხვა ადგილას დ. ლენგი კიდეე აღნიშნავს, რომ მუშკები (თანამედროვე მესხები) „დაახლოებით 1165 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე დამკვიდრდნენ ეუფრატის სათაევებთან... ამავე პერიოდში მათი ნაწილი ცხოვრობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და გავლენიან მესხთა ტომს... მათ მიერ ჩამოყალიბებულმა პროვინციამ სამცხემ, დღევანდლამდე შეინარჩუნა თავისი განმასხვავებელი თავისებურებანი“.[44]

მე-11 საუკუნის ქართველი მოღვაწე ლეონტი მროველი გარკვევით მიუთითებს, რომ ჯავახეთი, კლარჯეთი და არტაანი ქართული ტერიტორიებია. „იყო კლარჯეთს ერისთავი არზოკ მეფისა, აზნაურთავეგანი, და იგი ავნებდის საზღვართა სომხითისათა“. სომეხთა მეფის არტაშანის დროს, როდესაც მისი ლაშქარი ბერძნების მხარეზე იყო და სპარსელებს ებრძოდა, ქართველებმა და ოსებმა სომხებთან ადრე დამარცხებისათვის „პოეს მას შინა ჟამი მარჯუე“ და სომხებს მრავალჯერ შეუტივს. სომეხთა მეფემ შეკრიბა ლაშქარი და „წარმოგზავნა ქართველთა ზედა“.[45] საბრძოლველად „შეერბეს ქართველნი და ოვსნი, და მიეგებნეს ქუეყანასა ჯავახეთისასა... სძლიეს ქართველთა და ოვსთა, და აოტეს ზარენ, ძე სომეხთა მეფისა, და მოსპეს სპა მისი ყოველი და სდევნეს საზღვართამდე სომხითისა“.[46] ამრიგად ლეონტი მროველი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ სომხეთიდან „ქართველთა ზედა“ წარმოგზავნილ ლაშქარს ქართველები მიეგებნენ ჯავახეთის ქვეყანაში, დაამარცხეს სომხები და ჯავახეთიდან სდიეს სომხეთის საზღვრამდე. სომხები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილან და უკან დაუბრუნებინათ დაპყრობილი ქართული ტერიტორიები: „სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი“.[47]

ლეონტი მროველი წმინდა ნინოს საქართველოში გამომგზაურების აღწერისას კიდეე უფრო ნათლად წარმოაჩენს, რომ ჯავახეთი საქართველოს უძველესი პროვინციაა. იგი აღნიშნავს: „წარმოვიდა მუნით წმინდა ნინო და მოვიდა ორბანთად, საზღვართა სომხითისათა, და მუნ დაზამთრა ჭირთა შინა მრავალთა. და თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წამოეშართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა იგი მოეშთხეა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა აკვიან ფაარავნა“.[48] ამრიგად წმინდა ნინო გამოემგზავრა საქართველოში ქრისტიანობის გასაერცელებლად. მან დაიზამთრა ორბანთაში – სომხითის საზღვარზე და მეოთხე თვეს წამოვიდა და მოადწია ჯავახეთის მთებსა და ფაარავნის ტბას. ცხადია, ჯავახეთი საქართველოს ტერიტორიაა – ორბანთადან საქართველო იწყება.

ადრეულ საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა ვიფარაუდოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში (XII-XIII სს) და უფრო ადრეც, ჯავახეთის მოსახლეობა, რომელიც თითქმის მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა, მეცირეოცსოვანი არ უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ამ პერიოდში აქ ამდენი ქარავსლის, ხიდის, ციხის, ეკლესია-მონასტრის, სამეფო რეზიდენციის (ლლეი, ლრტოლა, ბოჟანო, ეარძია, ალასტანი) აშენება. ამ ისტორიული ძეგლებიდან ბევრი დღემდე შემორჩა. თუ გაეითვალისწინებთ ამ კუთხის მაშინდელ აღმაყვლობასა და დაწინაურებას, თუ მხედველობაში მიეიღებთ იმასაც, რომ 1254 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონ კაცს აღწევდა, შეგეიძლია ეთქვათ, რომ ჯავახეთში აღნიშნული პერიოდისათვის 150 ათასი ქართველი მაინც ცხოვრობდა.

როგორც ცნობილია, შემდგომ პერიოდში საქართველომ სახელმწიფო ძლიერება დაკარგა. ქეყენის სასიცოცხლო ენერგია უცხოელ დამპყრობლებთან გამუდმებულ ბრძოლას ეწირებოდა. მისი მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. მესხეთისაგან, „საქართველოს ათენისაგან", როგორც მას ალექსანდრე ფრონელი უწოდებდა, წარსულის „აჩრდილი და ნატამალი დარჩა".

სამცხე-საათაბაგოში მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XVI საუკუნეში. როგორც აკადემიკოსი სერგი ჯიქია აღნიშნავს, XVI საუკუნის II ნახევარში პოლიტიკურად გაძლიერებულმა ოსმალო-თურქებმა მაშინდელი საქართველოს გართულებული შინაური მდგომარეობით ისარგებლეს და ხანგრძლივი სისტემატური შემოსევების შედეგად დაიპყრეს ეს სამთაურო. მათ თავიანთი ხელისუფლება დამყარეს სამხრეთ საქართველოში და მას „ბურჯისტანის ეიალაეთი" უწოდეს.

საქართველოს სამხრეთი პროვინციის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩაატარა საყოველთაო აღწერა, რომლის უშუალო მიზანი დასაბეგრაე ობიექტების გამოელენა იყო. სპეციალურ დავთარში შეჰქონდათ საჭირო ცნობები, მათ შორის მოსახლეობის შესახებ. ამ უნიკალურმა თურქულმა ხელნაწერმა, რომელიც 1595 წელს არის შედგენილი, ჩვენამდე მოაღწია. „ბურჯისტანის ეიალაეთის" „დიდი დაეთარი", როგორც მას ეწოდება, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია იმდროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. ამაეე დროს, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, „დავთარი" შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ.

„დავთრის" მიხედეით, „საქართველოს პროვინციაში" შედიოდა ახლანდელი ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები, ოსმალეთის მიერ მიტაცებული ყარსის მხარის, არტაანისა და ოლთისის ოლქები. სულ დასახლებულია 1160 სოფელი.

რამდენადაც თურქებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ეს მხარე ძირძველი ქართული მიწა-წყალი იყო, მას, სომეხი ყველასჩემიების გასაგონად, „ბურჯისტანის ეიალაეთი" ანუ „საქართველოს პროვინცია" უწოდეს და არა „სომხეთის პროვინცია".

„დავთარში" აღნიშნული, ყოველი კომლის უფროსის სახელი, მამის სახელი და ზოგჯერ პროფესიაც. ეს საშუალებას გვაძლევს გავარკეეოთ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. მოსახლეობის 97 პროცენტი ქრისტიანი იყო.

როგორც აკადემიკოსი სერგი ჯიქია აღნიშნავს, ონომატოლოგიური ხასიათის მასალიდან დავთარში ტოპონიმიკურის გარდა ძლიერ საინტერესოა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობაში გავრცელებული ადამიანთა საკუთარი სახელების დიდი სია. დავთარში მხოლოდ ოჯახის მეთაურ მამაკაცთა სახელებია წარმოდგენილი, მაგრამ ისე უხვად, რომ შესაძლებელია ამ თვალსაზრისით იმ დროისათვის დამახასიათებელი სრული სურათის აღდგენა. ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში შემავალი სოფლები, სადაც ამჟამად მხოლოდ სომხები ცხოვრობენ, 1595 წელს მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. მაგალითად, სხეილისი (ახალციხის რ-ნი), სადაც ამჟამად მხოლოდ სომხები სახლობენ, მთლიანად ქართული სოფელი იყო. დავთარში გვხვდება ქართული სახელები: პაპუნა, ლომინა, ბეჟანი, გრიგოლი, თევდორე, მახარა, კეირიკე, აღდგომელი, წამალა, შაშია...

ქართველები ცხოვრობდნენ ახალქალაქის რაიონის ამჟამად სომხებით დასახლებულ სოფლებში – ეარეეანში, ტურცხში, ბურნაშეთში, აზაერეთში, კარტიკამში, აბულში... ამ სოფლებში გავრცელებული იყო თითქმის მხოლოდ ქართული სახელები: ლაშქარა, პეტრე, დემეტრე, მამუკა, თევდორე, მერაბი, ილედა, საბა, ბერო, იასონი, ბეჟანი, ჯიშერა, ირემა, ზოსიმე და სხე.

ასე რომ „ბურჯისტანის ეიალაეთის" მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ეჭვს არ იწვევს. როგორც გამოკვლეეთ დადგენილია, მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტს ქართველები შეადგენდნენ. როგორც სამართლიანად მიუთითებდა ცნობილი ეკონომისტი და დემოგრაფი, ია გამყრელიძე „საამისო საფუძველს იძლევა „დავთრის" ონომასტიკური შესწავლა, საიდანაც ჩანს, რომ თითქმის მთელი მოსახლეობა ქართველებისაგან შედგება".[49]

ამრიგად, XVI საუკუნის მიწურულს, 1595 წელს, ჯაეახეთი თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. ამ ასპექტში ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის რაოდენობის დადგენაც. ერთი რამ შეიძლება გარკეევით ითქვას: მესხეთი და მისი შემადგენელი ნაწილი – ჯაეახეთი მტერმა მრავალჯერ აოოხრა და გააპარტახა. მოიმალა მისი სამეურნეო ცხოვრება. მოსახლეობის დიდი ნაწილი თაეისი ქეეყნის თაეისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა, ერთი ნაწილი აუტანელი პირობების გამო ქეეყნის სხეადასხვა მხარეში, უპირატესად შიდა რა-

ონებში – ქართლსა და იმერეთში გადასახლდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამჟამად ფრიად გაერცელებული გვარები: ჯაჯახიშვილები, ჯაჯახაძეები, ჯაძახეები, ჯაჯახიძეები, ჯაჯახები, მესხები, მესხიშვილები, მესხიები, მესხაძეები, მესხელები, მესხიძეები და სხვ. ნათლად მიუთითებს მათი სამცხე-ჯავახეთიდან წარმომიელობაზე.

პროფესორი ეკა გურგენიძე აანალიზებს ქართული ეთნონიმური გვარების საფუძველზე მიგრაციულ პროცესებს[30]. „ადეილი წარმოსადგენია სამცხე-ჯავახეთიდან საუკუნეების განმავლობაში ქართული მოსახლეობის მიგრაციის რა მასშტაბებთან გვქონდა საქმე, როცა მარტო „მესხი" და „ჯავახი" ფუძის მქონე 14 გვარის მქონეთა რაოდენობა 18430 კაცს შეადგენდა, რაც დღეს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მთელი ქართველი მოსახლეობის დაახლოებით მეხამედია, საკმაო ალბათობითია და სანდოობით შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთიდან მიგრირებულთა საერთო რაოდენობა (რომელთა გვარები „მესხი" და „ჯავახი" ფუძიდან არ არის ნაწარმოები) რამდენჯერმე, შეიძლება 5-10-ჯერ და კიდეე უფრო მეტი იყოს ზემოთმოტანილ ციფრთან შედარებით... აქ ის ფაქტიც უნდა დაეიმოწმოთ, რომ ის გვარები, რომლებიც საქართველოს ბევრ მხარეშია გაერცელებული, ხშირად სწორედ მესხურ-ჯავახური წარმოშობისაა. და კიდეე ერთი საინტერესო ფაქტი – თელავისა და საგარეჯოს რაიონებში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი ჯავახიშვილია... ისიც ბეჟრზე მეტყველებს, რომ ზუგდიდის რაიონშია სოფელი აბასთუმანი, წყალტუბოში – ზედა და ქვედა მესხეთი, ხარაგოულში – ეარძია და ა."[31].

აღნიშნული მიზეზების გამო დავთარში ხშირად არის ნახსენები „მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლები". კერძოდ, 1160 სოფლიდან 368-ში ანუ ყოველ მესამეში 1595 წლისათვის არცერთი მცხოვრები აღარ ითელებოდა. ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა იყო პეტრას ლიეაში – 48-დან 41 სოფელი მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან. კერძოდ, არცერთი კაცი არ ცხოვრობდა ლიკანში, ზაღეერში, ბაკურიანში, ყეფისში, ფაფაში, კორტანეტში, ახალდაბაში, ქეიშხეთსა და სხვა სოფლებში. მაგრამ ეს სოფლები დავთარში მაინც არის შეტანილი, რადგან გადასახადს იღებდნენ მეზობელი სოფლების იმ მცხოვრებთაგან, რომლებიც ამ მიწებს ამუშავებდნენ. ჩვენი გაანგარიშებით ამ პერიოდში ჯავახეთში 8-10 ათასი ქართველი მაინც ცხოვრობდა.

თურქეთის ბატონობა სამცხე-საათაბაგოში, კერძოდ, ჯავახეთში თითქმის დამღუპველი აღმოჩნდა აქ მცხოვრები ქართველებისათვის. მტერმა ყველაფერი იღონა მათი გამუსულმანებისათვის. ამ მიზნით იგი განსაკუთრებით ფართდ ნერგავდა მიწის მფლობელობის ქართული ფეოდალური წესის ნაცვლად ოსმალური წესს, მიწის დროებით მფლობელად ცხადდებოდა სამხედრო ვალდებული, რომელიც აუცილებლად მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. ეს წესი ქრისტიან ქართველებს აიძულებდა მაჰმადიანის რჯული მიეღოთ. ამ პროცესს ხელს უწყობდა ისიც, რომ დავთრის მიხედვით ქრისტიანი გაცილებით მეტ გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსულმანი.

მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთის მთავრობამ მუსლიმანი ქართველები თათრებად მონათლა. 1829 წლის შემდეგ, როცა სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთიდან სომხები გადმოიდნენ საცხოვრებლად „ბამაამადიანებული ჯავახობა ოსმალეთში გადახიცეწა და დაცარიელდა ჯავახეთი მკეიდრისაგან" (ალექსანდრე ფრონელი). ამ პროცესს რუსეთის მთავრობაც უწყობდა ხელს. ამის მიუხედავად, მე-19 საუკუნეში აქ დიდძალი ქართველობა სახლობდა, თუმცა უმრავლესობა უკვე გამაჰმადიანებული იყო. მაგალითად, 1880 წლის 1 იანვრისათვის ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა 3,7 ათასი სომეხი და 17,4 ათასი ქართველი. ამ უკანასკნელთაგან 3,4 ათასი მართლმადიდებელი იყო, 14 ათასი კი – მაჰმადიანი. აღნიშნული პერიოდისათვის ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა 10 ათასი თათარიც, რომელთა ნაწილი წარმოშობით ქართველი იყო. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შექმნა ჯავახეთშიც. რომ არა ჩვენი დაუდეგრობა, ახლა ჯავახეთში 3 ათასის ნაცვლად სულ მცირე 30 ათასი ქართველი უნდა ცხოვრობდეს.

სომეხმა მოსახლეობამ ცუდად იცის ქართული ენა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში ძალდატანებით ამკეიდრებდნენ რუსულ ენას. საქართველოში, ისე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ეროვნებათშორის ურთიერთობების ძირითადი ენა რუსული გახდა. სულ უფრო იზრდებოდა რუსული ენის თავისუფლად მფლობელთა აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებელები. ამჟამადაც რუსული ენა კვლავ რჩება ერებს შორის კავშირურთიერთობების ძირითად ენად. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ზუსტად მესამედი თავისუფლად ფლობდა რუსულ ენას, უფრო მაღალი იყო რუსული ენის მცოდნეთა წილი ეროვნულ უმცირესობებში. კერძოდ, საქართველოში მცხოვრები

სომხების თითქმის ნახევარი თავისუფლად ფლობდა რუსულ ენას, მაშინ როდესაც ქართულ ენას თავისუფლად ფლობდა სომხების მხოლოდ 32,7 პროცენტი. წინა საუკუნეებში საქართველოში მცხოვრები სომხები, თუ იგი ახალმოსული არ იყო, საოჯახო, სალაპარაკო ენად ქართულს ხმარობდა: მაამა დიდმა უმრავლესობამ სომხური საერთოდ არ იცოდა. ამ ფაქტს მრავალი წერილობითი წყარო ადასტურებს. მაგალითად, რუსი მოხელე დ. კობიაკოვი 1876 წელს აღნიშნავდა: თბილისში მცხოვრებმა ბევრმა სომეხმა სომხური ენა თითქმის სრულებით არ იცის და თავის შშობლიურ ენად ქართულს თვლის. ზოგიერთი კი, ვინც სომხური ენა იცის, მაინც უმთავრესად ქართულ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც თბილისში ძირითადი სალაპარაკო ენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში.[52]

თბილისში მცხოვრებმა სომხებმა სომხური ენა რომ არ იცოდნენ, ამის შესახებ აკაკი წერეთელსაც აქვს აღნიშნული. იგი 1879 წელს დაესწრო სომხების მიერ დადგმული ისტორიული დრამის „არშაკის" წარმოდგენას. როგორც პოეტი წერს, მაყურებელი, რომელთა დიდმა ნაწილმა სომხური არ იცოდა, მაინც დიდ აღტაცებას იჩენდა პიესის მიმართ და „ისეთი ჩმაურობა იყო, რომ კაცს ეგონებოდა თუ სომხეთი იქცეულო". აკაკი წერეთელი, რომელსაც სომხური არ ესმოდა, დარბაზში მეზობლად მსხდომ სოფს მაყურებელს შეეკითხა პიესის შინაარსის შესახებ, მაგრამ პოეტი განცეფურებული დარჩა: ჯუბლიკის სამ ნაწილს არა ესმოდა-რა– „იანცებსაც" რო არა ეკურებოდათ-რა, ის კი გასაკირველი იყო".[53]

აღსანიშნავია, რომ თვით სომეხი მოღვაწეებიც არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ საქართველოში მცხოვრები სომხების დიდმა უმრავლესობამ სომხური ენა არ იცოდა და ქართულად ლაპარაკობდა. ერეკლე მეფის ეპოქის სომეხი მოღვაწე, არტემ არარატელი აღნიშნავს: „აქაური სომხების უმრავლესობამ სრულებით არ იცის სომხური და ქართულად ლაპარაკობს".[54] განსაკუთრებით თბილისელი სომხები შესანიშნაოად ფლობდნენ ქართულ ენას. ე. მარკოვის მიხედვით, „თბილისელმა სომხებმა" იქამდე გააიგიეს თავი ქართველებთან, რომ ბევრმა მათგანმა მხოლოდ ახლა დაიწყო სომხურის სწავლა, დიდი უმრავლესობა კი ლაპარაკობს და ცხოვრობს ქართულად".[55]

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სომეხი ეაიმეცნიერის განცხადებით საქართველოში თითქოს სომხები ძალდატანებით ასიმილაციას განიცდიდნენ. ამის დამამტკიცებელი არაეითარი წერილობითი წყარო ან უბრალო ცნობაც კი არა არსებობს. პირუკუ მოვლენას კი ადგილი აქონდა. სომეხი „მეცნიერები" ცდილობენ მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას. ეს ნათლად ჩანს იმ ანტიქართული სტატიებიდან, რომლებიც იბეჭდება სომხურ პრესაში და რომლის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ვინმე მანუკიანის სტატია: „საუკუნის მანძილზე ასიმილირებულია საქართველოს სომხების ნახევარი". სტატია სომხურ გაზეთ „ეზორ პაირნიქში" („სამშობლოს ძალიერება") 1999 წლის 20 მარტს დაიბეჭდა და მისი ქართული თარგმანი გაზეთ „ახალ საქართველოში" გამოქვეყნდა (1999 წლის 29 აპრილი – 5 მაისი).

აღნიშნული სტატია უპრეცედენტო შემთხვევაა პრესის ისტორიაში. აეტორის მიერ მოტანილ არცერთ მონაცემს რეალობასთან ოდნაეი შეხებაც არა აქვს. მანუკიანი ციფრობრივ მონაცემებს თვითონვე თხზავს, მაგრამ იმდენი ჭკუა არ ყოფნის, რომ ფანტასტიკის სამყაროში არ გადაეიდეს. აშკარაა მისი დაფარული მიზნებიც. იგი ქართულ მიწებს სომხურად აცხადებს და ქართველების სახით მტრის ხატის დახატვას ცდილობს, მაგრამ რა შეიძლება მოაკე

ნის დასაწყისში მსოფლიოში საერთოდ არსებობდა თუ არა. 1897 წელს მოსკოვის მოსახლეობა – 1039 ათასს, პეტერბურგისა – 1265 ათასს, ხოლო კიევისა – 248 ათას კაცს უდრიდა".[56] თუ მანუკიანის გაანგარიშებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ, ამჟამად მსოფლიოში 6,6 მილიარდი კაცის ნაცვლად 218 მილიარდი კაცი უნდა ცხოვრობდეს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მანუკ მანუკიანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ და ამით ამ გარემოებას სხვაგვარ დატვირთვას ანიჭებს. ცნობილია, რომ სომეხი ერი ნაკლებად ექვემდებარება ასიმილაციას და გაუგებარია, რაღა მაინცდამაინც ჩვენთან განიცადა ასიმილირება. საქართველოში ხომ სომხებს ოდითგანვე ცხოვრების საუკეთესო პირობები პქონდათ შექმნილი, რაც თვით სომხეთის მთავრობის წევრებსა და კულტურის მოღვაწეებს არაერთხელ აღუნიშნავთ. ახლაც საქართველოში მცხოვრები სომხები სწავლობენ მშობლიურ ენაზე სომხურ სკოლებში, ბიუჯეტიდან გამოიყოფა საკმაოდ დიდი სახსრები 170-ზე მეტი სომხური სკოლის დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება აგრეთვე სომხური თეატრი, გაზეთი და ა.შ. მსოფლიოში ვერ ნახავთ მსგავს პრეცედენტს. როგორც წესი, სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ იმ სკოლებს, თეატრებს, გაზეთებს (ისიც იშვიათ შემთხვევაში), რომლებიც სახელმწიფო ენაზე ფუნქციონირებს. ასე რომ, თუკი საქართველოში მცხოვრებ სომხებს სურთ მათმა შვილებმა სომხურ ენაზე ისწავლონ, თუ მათ სურთ იარონ სომხურ თეატრში, იკითხონ სომხური გაზეთები, ნახონ სომხური გადაცემები ტელევიზიით, წესით მათ თვითონ უნდა შეაგროვონ ფული და საკუთარი ხარჯებით გახსნან სომხური სკოლები, დაარსონ სომხური თეატრი, სომხური გაზეთი, სომხური გადაცემები ტელევიზიასა და რადიოში და ა.შ. ისე, როგორც ამას ადგილი აქვს მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში – ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სომხური დიასპორა ამ ხარჯს თავად აფინანსებს.

საქართველოში, თავისიანე ქვეყანაში, სომხები ახერხებდნენ ქართველების გასომხებას. სამწუხაროდ, საქართველოში ამ პროცესს საკმაოდ ფართო მასშტაბი პქონდა. კერძოდ, სომხები ეკონომიკური ბერკეტებისა და სხვა საშუალებების გამოზნული გამოყენებით ახერხებდნენ ქართველი მოსახლეობის სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას და მათ გასომხებას. სომეხი ეაჭრები სხვადასხვა მაჭინაციებით ჩაღლის ფასად ეიდულობდნენ ქართველთა ადგილ-მამულებს და შემდეგ ამ მიწებზე დასახლებულ გლეხობას აიძულებდნენ სომხური სარწმუნოების მიღებას. ცნობილია, რომ იმ პერიოდში რელიგიური აღმსარებლობა ეროვნულ კუთვნილებასაც გულისხმობდა. ეინც სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო, არასომეხიც კი, სომეხად ითვლებოდა. ქართველი გლეხების გასომხების საინტერესო ფაქტი აქეს აღწერილი რუს ეთნოგრაფს ნ. ეოლკოვას 1976 წელს დმანისში მოწყობილი ექსპედიციის დროს: „დმანისის რაიონის სოფელ ეარდისუბანში ცხოვრობენ ქართველები და სომხები. ეს უკანასკნელნი ატარებენ გეარებს სომხური ფორმით (მინასიანცი, მიქაელიანცი, ავაკოვი, მარქაროეი და სხვ.) და პასპორტშიც სომხებად იწერებიან, რაც საერთოდ თანხდება მათ ეთნიკურ თვითშეგნებას. ამ სომხებმა სომხური ენა არ იციან (მათი მშობლიური ენა ქართულია) და მათი კულტურული ტრადიციები დაკავშრებულია ქართულ და არა სომხურ კულტურასთან. თუ ამ ფაქტს მიეიღებთ მხედველობაში, უნდა ეიტანისხმოთ, რომ ადგილი აქონდა მშობლიური ენისა და კულტურის სფეროში სომხების ასიმილაციას ქართველების მიერ. მაგრამ საკმე მთლად ასე არ არის. გამოკითხვისას გამოირკვა, რომ სომხური გვარების მატარებელნი წარმოშობით ქართველები არიან, რომლებიც აქ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ასი წლის წინათ გადმოსახლებულან. მაგალითად, მიქაელიანნებისა და მინასიანების წინაპრები დიდნელი ქართველი თეთრაძეები იყვნენ, რომლებიც დიდმიდან სამი თაობის წინ წამოსულან. მარქაროეების წინაპრები გორელი მეკანაფილეები არიან. საინტერესოა, რომ ეარდისუბანში ახლაც მათ გეარს მენაბდიანს ეძახიან (პატრონიმულ სახელს) და არა მარქაროეებს. ეარდისუბნის ახლანდელ მცხოვრებთა ხსოვნაში შემონახულია მათი მამებისა და ბაბუების მონათხრობი იმის შესახებ, თუ აქ გადმოსახლებულნ ქართველებს ადგილობრივმა სომეხმა მემამულემ, რომელსაც ეკუთვნოდა გარშემო მდებარე მიწები, როგორ მისცა სომხური გეარები".[57] ასეთი უამრავი მაგალითი არსებობს.

ქართველების გასომხების პროცესი არც იტალიელ მისიონერებსა და ევროპელ მოგაზურებს გამორჩენიათ მხედველობიდან. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი დონ პიეტრო აციტაბილე აღნიშნავს: „ყოველდღე ჩვენი თვალებით ვხედავთ, რომ ქართველები სომხდებიან".[58]

საქართველოში მცხოვრები სომხები, რომლებმაც ეაჭრობის შედეგად საკმაოდ დიდი ქონება დააგროვეს, ყიდულობდნენ ქართველთა ადგილ-მამულებს და ამ მიწაზე მცხოვრებ ქართველებს აიძულებდნენ მიეღოთ სომხურ-გრიგორიანული ან სომხურ-კათოლიკური სარწმუნოება, რაც მათი გასომხების ტოლფასი იყო. თბილისის გარშემო მდებარე ბევრი სოფლის ქართველი მოსახლეობაც კი სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოაქციეს, მათ გვარები სომხურად გადაუკეთეს, თუმცა ისინი ქართულად ლაპარაკობდნენ და მათი კულტურული ტრადიციებიც ქართული იყო. ასე მოხდა თბილისთან ახლომდებარე კუმისის, თელეთის, კოდის, შინდისისა და სხვა სოფლების მოსახლეობის გასომხება, რომლებმაც ერთი სიტყვა სომხური არ იცოდნენ. მაგალითად, სოფელ კუმისში გრიგორიანული სარწმუნოება ქართველ მოსახლეობაში უფეს იკიდებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც დანგრეული ქართული ეკლესიის ნაცვლად აშენდა სომხური ეკლესია. გასომხება ხდებოდა როგორც მოტყუებით, ისე ძალდატანებით. გრიგორიანული სარწმუნოება ქართველებს სარწმუნოებასთან ერთად გვარებსაც უცვლიდა. კერძოდ, ხდებოდა როგორც გვარის დაბოლოების (ბეგოიანები, ალაევერდოები, მდივანოები და სხვ.), ისე მთლიანად გვარის შეცვლა – ათაბეგოები (ჯაყელი), ორველოები (ჯაჯახიშვილი), ამუზოები (ფალავანდიშვილი) და სხვ. დაშნაკობის დროს სომხებმა სოფელში სომხური სკოლაც კი გახსნეს და 1923 წლამდე, ქართული სკოლის დაარსებამდე, ქართველ ბავშვებს სომხურად ასწავლიდნენ.[59] საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც კი მათ პასპორტში ეროვნება სომეხი ეწერათ. ძირითადად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გახდა შესაძლებელი ამ უსამართლობის გამოსწორება. კომუნისტების პერიოდში, პასპორტში ეროვნების შეცვლა თითქმის შეუძლებელი იყო.

ამ ასპექტში მეტად საინტერესოა შემდეგი ფაქტი. მოსახლეობის 2002 წლისა და მე-20 საუკუნეში ჩატარებული აღწერების მონაცემების თანახმად, ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავერაში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით კი ამ სოფელში მხოლოდ სომხებია დაფიქსირებული. საქმე ისაა, რომ უხსოვარი დროიდან ხიზაბაერის ქართულ მართლმადიდებელ მოსახლეობას სომხებმა მიღებინეს სომხურ-კათოლიკური სარწმუნოება, ამის შედეგად მოხდა სარწმუნოებისა და ეროვნების გაიგივება. ქართული ხალხური ლექსი ხიზაბაერზე ამბობს: „ხიზაბაერა დიდი არი, სულ ქართველი ფრანგიაო".[60] ხიზაბაერა ძველთაგანვე დიდი სოფელი იყო. 1595 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ხიზაბაერაში 40 კომლი ცხოვრობდა.[61]

ზემოთ მოტანილი მაგალითების საფუძველზე ჩვენ სულაც არ ეპირებთ იმის თქმას, რომ თითქოს მარტო ქართველების გასომხება ხდებოდა და პირუკუ პროცესს ადგილი არ ჰქონია. საუკუნეების მანძილზე ჩვენთან მცხოვრები სომხების ნაწილი მართლაც გაქართველდა. შემდეგში კი მათ, ამ უკვე ჭეშმარიტმა ქართველებმა, დიდი როლი ითამაშეს ქართული სახელმწიფოს განეითარებასა და ქართული კულტურის ისტორიაში.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ესა თუ ის ქვეყანა ისტორიის გარკვეულ პერიოდში აღწევდა თავისი სამხედრო თუ ეკონომიკური ძლიერების მწვერვალს, იპყრობდა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტერიტორიები სამუდამოდ მისი საკუთრებაა. ასეთი ამბიციური აზრების ტყვეობაში ყოფნას სიკეთე არცერთი ერისათვის არასოდეს მოუტანია. მოელენები იცვლება და უმრავლეს შემთხვევაში ქვეყნები იბრუნებენ სხვა ქვეყნების მიერ მიტაცებულ თავიანთ ტერიტორიებს. იგივე შეიძლება ითქვას „დიდი სომხეთის" შესახებაც.

ის რაც ზემოთ ითქვა, რაც ზემოთ მაგალითები მოვიტანეთ, ეხება მხოლოდ სომეხ ვაჭრებსაც და მათ დამქაშებს. მთლიანად სომეხ ხალხს ამის თქმის საფუძველი არ მოუცია. საქართველოში მცხოვრებ სომხებს გულწრფელად უყვარდათ საქართველო და მისი დედაქალაქი. ისინი არ იყვნენ საქართველოს უფლები შვილები. დიდი სომეხი დრამატური გაბრიელ სუნდუკიანი აღინიშნავდა: „ჩვენ, საქართველოში აღზრდილნი სომხები, ქართული მიწით ვართ გაზრდილნნი". ცნობილი სომეხი პოეტი ჰოვანეს თუმანიანი კი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის მგზნებარე დამცველი იყო. მას 13 შვილი ყავდა. ოსმალეთის ომის დროს, სადაც მისი უფროსი ვაჟი დაიღუპა, ჰოვანეს თუმანიანმა შვიდი ქალიშვილი გაგზავნა ფრონტზე მოწყალების დებად. როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ საქართველოს ჯარი შემოესია, ჰოვანეს თუმანიანის რამდენიმე ქალიშვილი ერევანში მოეხდა და მან უბრძანა შვილებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ამ ომში, თორემ ის მათ დაწყევლიდა".[62]

საქართველოსა და სომხეთს მდიდარი ისტორიული წარსული აქვთ. ისტორიამ მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებს გარკვეულწილად ერთნაირი ბედი არგუნათ: საქართველოსაც და სომხეთსაც ჰქონდათ სახელმწიფო-

ბოიი აყვავების პერიოდები, როდესაც შეიქმნა საკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული ღირებულებები. ამაავე დროს მათ დამოუკიდებლობის დაკარგვის, უცხო ტომთა მოძალების, რბევა-აწიოკების საკმაოდ ხანგრძლივი უუამო ეამიც გადაუტანიათ. ქარტეხილებით აღსავსე ისტორიის მანძილზე, ბუნებრივია, მათ შორისაც იყო გაუგებრობის, ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევები, მაგრამ ამის ყოველთვის გადაფარავდა ძმური თანაცხოვრებისა და ურთიერთდახმარების საერთეროვნული ინტერესების გათავისების სურვილი. არასოდეს მდგარა ქართველთა და სომეხთა წინაშე მეგობრის არჩევანის საკითხი. როგორც დიდი ილია ამბობდა, ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხებს და სომხები ჩვენ გვინახავდენ სამხრეთით.

მეტად სამწუხაროა, რომ ეს უდავო ჭეშმარიტება ზოგს დღემდე ვერ გაუცნობიერებია და თავისი აუზონავი სიტყვით, უსაფუძველო პუბლიკაციებით ორ მეგობარს ხალხს შორის უნდობლობას თესავს, ქმნის მათ შორის ხელოვნურ დაპირისპირებას და ამით ორივე ხალხის მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ისე წერას და ისეთ პრაქტიკულ საქმიანობას კი, რის შესახებაც ზემოთ ითქვა, უმჯობესია სომეხმა მოღვაწეებმა იხელმძღვანელონ ძველი ბერძენი მოაზროვნის თემისტოკლეს შეგონებით, როდესაც მან ადგილ-ჩამულის მონაკვეთის გაყოდვისას მაცნეს უბრძანა, ხმა დაერთო: „ამ მონაკვეთს მეზობელიც კარგი ეყავსო“.[63] ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ როგორც დიდი სომეხი პოეტი ე. თუმანიანი ამბობდა: თუ თვალს გადავაკვლევთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, ქართველები მათ შორის ერთი ყველაზე საუკეთესო მეზობლები არიან“.[64]

ასე იქცეოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები და ჩვენც ამის მოსურნენი ვართ.

საბედნიეროდ, სომეხთა შორის მუდამ საკმაოდ იყვნენ ჭეშმარიტი მოკეთეები, რომლებიც ქართველი ხალხის ჭირსა და ლხინს თავისად მიიჩნევდნენ, ქართველებთან გაგებითია და სიყვარულით ცხოვრობდნენ. სწორედ ამ რწმენით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი დიდი წინაპრები და ეს რწმენა უნდა იყოს ჩვენი მეგზური მომავლის გზაზეც.

ლიტერატურა

---

[1] Гаджиева Т., Иванов В. Индоевропейский язык в лингвоэкологии. Книга вторая. Тбилиси. 1984, с. 913.

[2] ა. ყაუხჩიშვილი. ბერძნულის ენობრივი საქართველოს შესახებ. ბერძული და ქართული ტექსტი. თბილისი, 1960. გვ. 111-112.

[3] Жорж де Монтиан. Армянская трагедия 1915 года. Баку, 1990, с. 15.

[4] ვ. ჯანელიძე. ამერიკელების ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან. თბილისი, 1962, გვ. 21.

[5] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბილისი, 1985, გვ. 463-464.

[6] Лепе Д. Армяне. М., 2005, с. 339.

[7] Тифлис по одиннадцатой переписи населения 25 марта 1876 года. Тифлис, 1880, с. 275.

[8] ლ. ფალავანდიშვილი. ჩანე ურბანელის ცნობები საქართველოს შესახებ. კრებული „საქართველო რუსთაველის სანაში“, გვ. 247.

[9] ე. ნალბანდიანი. თბილისი ძველ სომხურ წყაროებში. თარგმანი სომხურიდან. თბ., 1959, გვ. 118, 122.

[10] თო�ს მეწოლეცი. ისტორია ეიმურ-ალვანეთისა და მისი შიაპრობელებისა. თბ., 1987, გვ. 62.

[11] Геворкян К. История Армении. М., 1976, с. 167.

[12] გეორგიაბადე. თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ., 1975, გვ. 51.

[13] ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ., 1959, გვ. 420.

[14] ფონ ქრისტეფოროო დე ანსტელი. ცნობები და ანდაზები საქართველოს შესახებ. თბ., 1976, გვ. 32,51.

[15] ე. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბ., 1982, გვ. 169.

[16] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, თბ., 1972, გვ. 669.

[17] ვ. ჯაიანელი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 79.

[18] Хачикбекян В. Армянская Советская Социалистическая Республика. В кн.: Население союзных республик. Сборник статей. Москва, 1977, с. 263.

[19] ა. ბეგეშელი. საქართველოს და ამერიკელების ეკონომიური გაცვლარება XIX-XX საუკუნეში, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 395.

[20] Кочинян Прошлое и настоящее грузино-армянских отношений. Журн. "Центральная азия и кавказ". № 6 (30), 2003, с. 147.

[21] იქვე. გვ. 600.

[22] Аргутинский П. Население Тифлиса, Тифлисский муниципальный календарь на 1917 год. Тифлис, 1916, с. 163.

[23] Сборник статистических сведений о Кавказе. Тифлис, 1869, с. 83.

[24] საერთაშორისო მიგრაცია. თბ., 2001, გვ. 15.

[25] Основные итоги всероссийской переписи населения 2002 года. Госкомстат Россий, 2003, с. 13-15.

[26] PanARMENIAN.NET http://www.panarmenian.net/news/rus/?nid = 34513

[27] Кенгишев И. К. Очерки Закавказской жизни, Баку, 1990, с. 66.

[28] იქვე. გვ. 72.

[29] იქვე. გვ. 79.

[30] იქვე. გვ. 75.

[31] Марков. Е. Очерки Кавказа. С. Петербург-Москва, 1887, с. 401-402.

[32] Михеев Б. Народности Кавказа Петроград, 1916, с. 100-101 106.

[33] Пиотровский Б. Письмо в редакцию. "Историко-филологический журнал" Эривань, 1971, №3, с. 302-303.

[34] Армянский терор. Баку, 2003, с. 164.

[35] Х. Зарян. Леонардо да Винчи и Армения. Журн. "Литературная Армения". 1971, №6, с. 60.

[36] დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა. კრებ. „ორბელეანი“, 1998, № 7, გვ. 34.

[37] Газ «Московские новости» от 17 марта 1991 г.

[38] ივ. საქართველო". 29-31 მარტი. 1997.
[39] Кочешки А. указ. статья, с. 150
[40] ციტირებულია: ა. ამფოლაძე. „ხასაზღვრო დავა". ჟურ. „ერი". 6. III. 1991.
[41] Ш. Хоружая. Хозяйство и история. М., 1984, с. 172.
[42] Д. Лекг. Грузины. М., 2004, с. 82.
[43] იქვე. გვ. 58.
[44] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 48.
[45] იქვე.
[46] იქვე. გვ. 49.
[47] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 85.
[48] ე. გაფრინდაძე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" როგორც დუმოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი. იხ. ხტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948, გვ. 86.
[49] ა. სილაგაძე, ა. ოიოიაძე. ჩვენ-სახელები საქართველოში. თბ., 1997
[50] ვ. გურგენიძე. ქართული ეთნონიმიური გვარების ბაგრატელების ტერიტორია და მიგრაციული პროცესები. ეურნ. „დემოგრაფია", № 1(6), 2004,გვ. 98.
[51] Тифлис по одноименной переписи 25 марта 1876 года. Тифлис, 1880, с. 43, 133.
[52] აკაკი წერეთელი, ტ. XI, თბ., 1960, გვ. 461-462.
[53] Арарратский А. Жизнь Артемия Араратского уроженца селения Багирванта близ горы Арарата... ч. 11. СПБ, 1813, с. 14.
[54] Марков Е. Очерки Кавказа. С. Петербург-Москва, 1887.
[55] Народонаселение стран мира. М., 1984, с. 435.
[56] Этнические и культурно-бытовые процессы на Кавказе. М., 1978, с. 16-17.
[57] ფონ ჰიტერი ალიტბილე. ცნობები საქართველოზე. თბ., 1977, გვ. 66.
[58] ი. ზიალეშვილი. „ქუთა ღაღადის" ქო. ბაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1990, 24 აგვისტო.
[59] ს. ბაკალათია. ზემსხეთ-ჯავახეთი. თბ., 1938, გვ. 125.
[60] ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 245
[61] ციტირებულია: ბ. ბარგულაძე. პოეანეს ოუმანიანია, თბ., 1969, გვ. 174.
[62] ალტარაქე. რჩეული ისტორიები, ტ. II, თბ., 1987, გვ. 30.
[63] ციტირებულია: ბ. ბარგულაძე. ჭმოის ღალატი. „ცისკარი" 2005. 27 ივნისი – 10 ივლისი.

აზერბაიჯანელები

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში ყველაზე მრავალრიცხოვანია აზერბაიჯანული მოსახლეობა. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად მათი რაოდენობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 284 761 კაცს უდრიდა და მთელი მოსახლეობის 6,5 პროცენტს შეადგენდა. აზერბაიჯანელები ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობენ – 224 606 აზერბაიჯანელი ანუ თითქმის 80 პროცენტი ქვემო ქართლში ბინადრობდა, აზერბაიჯანელთა დანარჩენი ნაწილი კახეთში (40 036), თბილისში (10942), შიდა ქართლში (5768) და ქვემონ სხვა რეგიონებში ცხოვრობდა. მხოლოდ სამ რაიონში – მარნეულში, გარდაბანსა და ბოლნისში აზერბაიჯანელთა რაოდენობა 197 264 კაცს უდრიდა, რაც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა 68,9 პროცენტს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელთა 98,7 პროცენტი დაბადებულია საქართველოში და ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია საქართველოში მცხოვრებ ეროვნებებში ქართველების შემდეგ (99,3 პროცენტი).

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანელები მოსახლეობის რაოდენობის მიხედეით მეოთხე ადგილზე იმყოფებოდნენ ქართველების (70,1 პროცენტი), სომხების (8,1 პროცენტი) და რუსების (6,3 პროცენტი) შემდეგ. იმის გამო, რომ მიგრაციული პროცესები აზერბაიჯანელებში ნაკლებ ინტენსიოობით ხასიათდება, მათ მეორე ადგილზე გადმოინაცვლეს, რაც უპირველესად იმ ფაქტორით აიხსნება, რომ აზერბაიჯანელთა უმრავლესობა – 75 პროცენტი 1989 წელს სოფლად ცხოვრობდა, სოფლის მოსახლეობაში კი გარე მიგრაციული პროცესები ნაკლებ ინტენსიურია ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით.

აზერბაიჯანელები მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებენ. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის ძირითადად შიიზმია გავრცელებული. აზერბაიჯანელთა 98,5 პროცენტი (280,6 ათასი) მაჰმადიანია, ერთი პროცენტი – ქრისტიანი (2863 კაცი), მათ შორის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელია (2647 კაცი), აზერბაიჯანელთა 0,4 პროცენტი სხვა რელიგიური აღმსარებლობისაა, ხოლო 0,1 პროცენტი არც ერთ რელიგიას არ აღიარებს.

ისტორიული წყაროების მიხედეით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპარი მომთაბარე ტომები ძირითადად სპარსეთიდან, თურქეთიდან და ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიდან შემოვიდნენ. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე დაყოფილი იყო 15 სახანოდ და წერილ ფეოდალურ სამფლობელოებად. ზოგიერთი სახანო ქართულ-კახეთის სამეფოს გავლენის სფეროშიც ექცეოდა ხოლმე. თვით ცნება „აზერბაიჯანი" იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც 1920-იან წლებში შეიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში, მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და დამკვიდრდა 1918 წელს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისას. მე-20 საუკუნემდე აზერბაიჯანელებს თათრებად ან თურქებად მოიხსენიებენ. საქართველოში ხდებოდა უმთავრესად ირანიდან გადმოსახლებული თათრების დასახლება, თუმცა მომთაბარე ტომები აღნიშნული სახანოებიდანაც შემოდიოდნენ. ამ ასპექტში ინტერესმოკლებული არ არის აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნამდე მოკლე ისტორიული ექსკურსიც გავაკეთოთ.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში შეიქმნა მონამფლობელური სახელმწიფო მანა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ძველაზერბაიჯანული ტომების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული კონსოლიდაციის საქმეში.

მანის სახელმწიფოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ

მიდიელი ტომები, რომელთა პირველი პოლიტიკური გაერთიანება წარმოიქმნა ძველი წელთაღრიცხვის IX-VIII საუკუნეებში. მიდია ძველი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. მან შემდეგ დაიპყრო მანის სახელმწიფო, დაამხო ასურეთის მრავალსაუკუნოვანი ჰეგემონია, დაიპყრო ურარტუს ძლიერი სამეფოც, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის 553 წელს მიდიას აუჯანყდა მის შემადგენლობაში მყოფი სპარსეთი და ბოლო მოუღო მიდიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. მიდიის დამოუკიდებლობა აღდგა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა დაამხო სპარსეთის სახელმწიფო. მიდიის ახალი სამეფო ძველი მიდიის მხოლოდ ნაწილს მოიცავდა, რომელიც ისტორიაში ცნობილია მიდია-ატროპატენის ან ატროპატენის სახელწოდებით. მიდია-ატროპატენს ეკავა თანამედროვე აზერბაიჯანის სამხრეთი ტერიტორია და კავკასიის ალბანეთს ემეზობლებოდა.

ატროპატენა – მეცნიერებაში ცნობილი აზერბაიჯანის უძველესი სახელწოდებაა, რომელიც შემოგვინახა ბერძნულმა წყაროებმა. სპარსელებთან მან მიიღო ფორმა „ადერ-ბაიდაგან", სომხებთან – „ატერ-პატაკან" და „ატრ-პატაკან", არაბებთან „ადერბაიჯან" და „აზერბაიჯან", რაც ნიშნავს „ცეცხლის ქვეყანას" და დაკავშირებული იყო ცეცხლთაყვანისმცემლობის ფართო გავრცელებასთან.[1] ქართულ წყაროებში ის „ადარბადაგანის" სახელწოდებით არის ცნობილი.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილს ძველად ეწოდებოდა ალბანეთი. მასში შედიოდა აგრეთვე ახლანდელი დაღესტნის სამხრეთი ნაწილი. ალბანელებმა ქრისტიანობა IV საუკუნეში მიიღეს. V საუკუნეში შეიქმნა ალბანური დამწერლობა. III საუკუნეში ალბანეთი სასანიანთა ირანმა დაიმორჩილა, რომელმაც VI საუკუნეში საბოლოოდ გაიაუქმა მეფის ხელისუფლება და იგი ირანის პროვინციად აქცია. VII საუკუნის შუა ხანებში ალბანეთი არაბებმა, ხოლო XI საუკუნეში თურქსელჩუკებმა დაიპყრეს, რომლებიც მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ალბანელების დიდმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო უშუალო მონაწილეობა.

საერთოდ თურქულენოვანი აზერბაიჯანული ხალხის ჩამოყალიბება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ისტორიულად ისე მოეწყო, რომ ერთიანი თურქულენოვან ერთობის ფორმირებამდე, აზერბაიჯანის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ორივე ნაწილში ადურბადაგანსა და ალბანეთში, ეთნოგენეტიკური პროცესები მიმდინარეობდა საკუთარი, ერომანსეთისაგან სამკაოდ განსხვავებული გზებით. XI-XII საუკუნეებში სამხრეთ აზერბაიჯანს, ალბანეთსა და შირვანს იპყრობს თურქულენოვანი ტომები – ოღუზები, რომლებიც ცენტრალურ და შუა აზიაში ცხოვრობდნენ. X საუკუნეში სირდარიის ქვემო წელზე ჩამოყალიბდა ოღუზთა სახელმწიფო, რომელიც XI საუკუნეში გაანადგურეს აღმოსავლეთიდან მოსულმა ყიჩაყებმა. ოღუზების ნაწილი დასავლეთით წამოვიდა და სამხრეთ-რუსეთის სტეპებში დასახლდა. მეორე ნაწილმა კი წინა აზია დაიპყრო. ბუნებრივია, აზერბაიჯანის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებში ოღუზების პოლიტიკური ბატონობის დამყარებამდე საერთო ინტეგრაციის პროცესებს აზერბაიჯანის ამ ორ ნაწილს შორის ადგილი არ ჰქონია. თუმცა ისტორიულად გარკვეული მსგავსი პროცესები ორივე ნაწილში მიმდინარეობდა, მაგალითად, არაბების დაპყრობის შემდეგ ორივე ნაწილში ერცელდება ისლამი, ერცელდება არაბული ენა. ამან უეჭველად შეასრულა თავისი როლი აზერბაიჯანის ორივე ნაწილის დაახლოების, ეთნოკულტურული და ენობრივი განსხვავებათა აღმოფხვრის პროცესში. მაგრამ არაბების გაბატონებამდე ჭირს მათი ერთობის ხელშესახები მაგალითების პოვნა, რაც განპირობებული იყო აზერბაიჯანის ამ ორი ნაწილის ეთნოგენეტიკური და ეთნოკულტურული განვითარების საკუთარი გზებით. ბუნებრივია, აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სხვადასხვა სახელმწიფოებრიობა და რელიგიური და ენობრივი განსხვავებულობანი. კერძოდ, ადურბადაგანი (მცირე მიდია) და ალბანეთი სრულიად სხვადასხვა სახელმწიფო წარმონაქმნებია, საკუთარი სამეფო დინასტიებითა და მთავრებით. მიუხედავად კულტურული და ეკონომიკური კავშირებისა ისინი არ წარმოადგენდნენ ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ტერიტორიულ ორგანიზმს. ამრიგად არ არსებობდა ის ატრიბუტები, რომლებიც საჭირო იყო ერთიანი ეროვნების ჩამოსაყალიბებლად. დიდი იყო

მათ შორის რელიგიური განსხვავებაც. ალბანეთში ძირითადად გავრცელებული იყო ადგილობრივი წარმართული კულტები, ხოლო IV საუკუნიდან ქრისტიანობა, ადურბადაგანში კი – ზოროასტრიზმი.

ასევე თვალსაჩინო იყო ადურბადაგანსა და ალბანეთს შორის ენობრივი განსხვავება. ალბანეთში ძირითადად ლაპარაკობდნენ ალბანურ ენაზე, შეიქმნა ეროვნული (ალბანური) დამწერლობა, რამაც დააჩქარა სხვადასხვა ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ჯგუფების შერწყმისა და საბოლოოდ ალბანური ერთობის ჩამოყალიბების პროცესი. სამხრეთ აზერბაიჯანში კი საკუთარ, ალბანურისაგან სრულიად განსხვავებულ ენებზე (მიაჩნიათ ხურიტულ, კასიტურ-ელამურ და სხვ. ენებზე) ლაპარაკობდნენ. აქ მიდიელების და, მაშასადამე, მიდიური ენის გაბატონების შემდეგ ადგილობრივი ენების გამოყენების არეალი შეიზღუდა და მერე კი ეს ენები საერთოდ გაქრა. ამრიგად არაბთა შემოსვლამდე აზერბაიჯანის ისტორიულ ტერიტორიაზე არსებობდა ორი ეთნიკური ერთობა. არაბების მიერ მათი დაპყრობის შემდეგ დაიწყო არაბების მიერ ისლამისა და არაბულის, როგორც სახელმწიფო რელიგიის ოფიციალური ენის, თანდათანობით გავრცელება, რომელიც დასრულდა აზერბაიჯანის ორივე ნაწილის სრული ისლამიზაციით და არაბულ და სპარსულ ენებზე გადასვლით. ალბანელები იძულებულნი გახდნენ ყურანის ენაზე გადასულიყვნენ და მიეღოთ დამყარობთა დამწერლობა. ალბანელებმა დაკარგეს მშობლიური ენა და შესაბამისად დამწერლობა. არაბი ავტორები უკვე აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანისა და ირანის (ალბანეთის) ენები იყო სპარსული და არაბული. ანალოგიური პროცესები განვითარდა ადურბადაგში (არაბულად აზერბაიჯანში), მაგრამ ნაკლებად მტკიცედ, ვიდრე ალბანეთში. ისლამიზაციამ აქ მასობრივი ხასიათი მიიღო და დაიწყო არაბული ენის დამკვიდრება. ყოველივე ამან შექმნა მყარი წინაპირობა მომავალში აზერბაიჯანის ორი ნაწილის გასაერთიანებლად და ერთიანი ეროვნების ჩამოსაყალიბებლად.

სრულიად ახალი ხანა იწყება აზერბაიჯანის ცხოვრებაში XI საუკუნიდან. ამ საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანი, არანი (ალბანეთი), შირვანი და სხვა ქვეყნები დაიპყრეს თურქულენოვანმა ოღუზების ტომებმა. თურქული ტომები ოჯახებით მასობრივად სამუდამოდ სახლდებოდნენ აქ და ითვისებდნენ ახალ მიწებს. აზერბაიჯანი მათთვის ახალი საშობლო გახდა. აზერბაიჯანელი მეცნიერები სწორედ ამ ასპექტში განიხილავენ აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პრობლემას.[2] როგორც ისინი მიუთითებენ, „ოღუზთა შემოსვლამ დასაწყისი დაუდო ეთნოლინგვისტური ერთობების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს ისტორიული აზერბაიჯანის ორივე ნაწილში და განსაზღვრა ეთნოგენეტიკური პროცესების მდგრადი ხასიათი მთელ მის ტერიტორიაზე, მთლიანობაში ვითარდებოდა ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფარგლებში, რომელიც დასრულდა სეფევიდების აზერბაიჯანული სახელმწიფოს წარმოქმნით XVI საუკუნეში... ამრიგად, აზერბაიჯანელების, როგორც განსაკუთრებული თურქულენოვანი ხალხის, საფუძველის შემადგენელი და მის შემადგენლობაში შემავალი ეთნიკური ერთობები თავიანთი ფესვებით დაკავშირებული არიან ადგილობრივ კავკასიურ-წინაზიურ ეთნიკურ გარემოსთან და აქვთ ათასწლოვანი კულტურულ-ისტორიული ტრადიციები“.[3]

აღსანიშნავია, რომ XII საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც აზერბაიჯანში ოლდეღიზიდთა დინასტია გამეფდა, რომელიც მოიცავდა სამხრეთ აზერბაიჯანს, არანსა და ნახიჩევანს, აგრეთვე ირანის დასავლეთ ოლქებს, სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია.[4] შემდეგში მან ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა და მის ტერიტორიაზე რამდენიმე აზერბაიჯანული სახანო ჩამოყალიბდა. XVII-XVIII საუკუნეებში ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა მყარდება რუსეთთან, რომელიც იმით დასრულდა, რომ 1803-1809 წლებში და რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის შედეგად რუსეთი ზედიზედ იკავებს აზერბაიჯანულ ტერიტორიებს – სახანოებსა და ორდუბადის ოლქს, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდებიან.

აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები მე-19 საუკუნემდე, შეიძლება ითქვას, უკქტობრივად არ არსებობდა.

მე-19 საუკუნეში და განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლება ვიმსჯელოთ აზერბაიჯანის მოსახლეობის

რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, თუმცა ცნობილია, რომ 1828 წლისათვის, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოები და სხვა ფეოდალური ერთეულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეეიღნენ, აზერბაიჯანელების რაოდენობა დაახლოებით 600 ათას კაცს უდრიდა.

1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. მაშინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი იყო ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიები. ბაქოს გუბერნიის მოსახლეობა 713 ათას კაცს უდრიდა, ხოლო ელისავეტპოლის – 729 ათას კაცს. ორივე გუბერნიაში აზერბაიჯანელი თათრები (როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ) ჭარბობდნენ. კერძოდ, ბაქოს გუბერნიაში აზერბაიჯანელები 53,0 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო ელისავეტპოლის გუბერნიაში – 65,0 პროცენტს, სომხები კი შესაბამისად – 7,8 და 35,4 პროცენტს. ბაქოს გუბერნიაში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე თათრები – 118 ათასი (16,6 პროცენტი) და თალიბები – 51 ათასი (პროცენტი).

რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების თანახმად აზერბაიჯანის მოსახლეობა 1 806,7 ათას კაცს უდრიდა. მისი მოსახლეობა სწრაფად იზრდება და 1913 წელს 2 339,2 ათასი გახდა, ანუ 15 წელიწადში 532,5 ათასი კაცით მოიმატა. მოსახლეობის ბოლო – 1999 წლის აღწერის მონაცემების თანახმად აზერბაიჯანის მოსახლეობა 7 953,4 ათას კაცს უდრიდა და ერთი საუკუნის განმავლობაში (1897-1999 წლებში, 102 წელიწადში) 4,4-ჯერ გაიზარდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ ბოლო აღწერებს შორის პერიოდში (1989-2002 წლები) მთელი საქართველოს მოსახლეობა 800 ათასი კაცით შემცირდა, ხოლო სომხეთში (1989-2001 წლები) – 92 ათასით, აზერბაიჯანის მოსახლეობა (1989-1999 წლები) 952 ათასი კაცით გაიზარდა. ამ პერიოდში უაღრესად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად საშუალოწლიური ზრდა 95 ათას კაცს შეადგენდა. 2006 წლისათვის მისი მოსახლეობა კიდევ 483 ათასი კაცით გაიზარდა და 8 436 ათას კაცს მიაღწია.

აზერბაიჯანის წინაპარი მომთარაბე ტომების საქართველოში ჩამოსახლება, უპირველეს ყოვლისა, ირანის სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა ქვეყნის აღმოსავლეთი პროვინციების – ქართლისა და კახეთის ისლამურ კოლონიზაციას. ირანელები და თურქი დამპყრობლები გამუდმებული თავდასხმების შედეგად აოხრებდნენ ქართულ მიწა-წყალს, სპობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ან ათი ათასობით ქართველი ტყვედ მიპყავდათ თავიანთ ქვეყნებში, გაუკაცრიელებულ ნაყოფიერ მიწებზე კი მომთაბარე თურქულ ტომებს, ან როგორც მათ უწოდებდნენ, მომთაბარე ხალხს – ელებს ასახლებდნენ. საშინელი რბევა-აწიოკებას გადარჩენილი მკვიდრი მოსახლეობა თავს სამშობლოს სხვა კუთხეებში აფარებდა. ქვემო ქართლის აწინდელ აზერბაიჯანულ სოფლებში ახლაც შეხვდებით სასაფლაოებს, სადაც საფლავის ქვებს ქართული წარწერები აქვთ შემორჩენილი.[5]

მე-15 საუკუნის დასასრულსა და მე-16 საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ. მე-16 საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის პოლიტიკურ ერთიანებად დაშლის პროცესი. ქვეყანა სათავადოებით იყო მოფენილი. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქართლში თათარი მოსახლეობის გაჩენა. ირანის მმართველები ცდილობენ მდინარე დებედის ქვემო წელში შექმნან დასაყრდენი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. იაღუბ ყაენმა (1479-1490 წწ) სწორედ ამ ადგილებში ააშენა ციხე ალჯაყალა. როგორც ეახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს მან 1488 წელს „პირველ აღაშენა ციხე ესე“.

მტერი ტოპონიმებსაც ცელიდა, რათა ყოველგვარი ქართული წაეშალა ძირძველ ქართულ მიწაზე. ამ ადგილსო, აღნიშნავს ეახუშტი, ძველად ქურდვაჯრის ხევი ეწოდებოდა და აწ უწოდებენ ალჯაყალასო. იაღუბ ყაენმა ამაევე მიზნით დაბა ქაოზიანშიც აააშენა ციხე.

ქართველი მეფეები ვერ ურიგდებოდნენ მტრის მიერ ქართული მიწა-წყლის დასაკუთრებას და თავის მხრივ ცდილობდნენ მათ უკან დაბრუნებას. ამ მიზნით კონსტანტინე მეფემ (1479-1505 წწ.) „უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, მიუხდნენ ელთა,

დატეეებულთა ყეენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყეეყენეს"[6] ქართულ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466-1478 წწ) დროს კიდე „ჩაუხდეს ბარათიანნი, დაიფორაქეს ელი და დახოცეს მრავალი თათარი ყაენისაგან შეწყალებულნი"[7] მიუხედავად ამისა ამ პერიოდიდან უკვე აღჯაყალის ციხე-სიმაგრე მტრის დასაყრდენ პუნქტადაა გადაქცეული და მომთაბარე ტომების მიერ ქართლის სამხრეთი ნაწილი და, კერძოდ, დებედის ხეობა, როგორც ჩანს, უკვე მიტაცებულია. დებედის ხეობაში, სადაც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, განსაკუთრებულად ნაყოფიერი მიწები მდებარეობდა, ასახლებენ მომთაბარე ტომებს. ჯერ იაყუბი ყაენმა 1490 წელს დებედის ხეობაში დატოვა ელნი, ხოლო შემდეგ შაჰ თამაზმა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოასახლა ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი. ყოველივე ეს, როგორც აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, ნათელყოფს, რომ ირანი თავის ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას შაჰ აბასამდე გაცილებით უფრო ადრე შეუდგა. ალბათ განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში იყო.[8]

თათრების ქართულ-კახეთში ჩამოსახლება მეტად ფართო და საშიშ ხასიათს იღებს შაჰ აბას I-ის დროს. ირანის ეს ცბიერი და ძლიერი მმართველი ჯერ შეფარეით, შემდეგ კი ღიად, ბრძოლითა და სისხლისღვრით შეუდგა საქართველოში მომთაბარე თათარი ტომების ჩამოსახლებას. თავდაპირველად მან ქართლის მეფეს გიორგი X-ს შეუთვალა: „ლორე ჩემი იყოსო". მაშინ მეფემან გიორგი ჯერეთ შორს დაიჭირა და, რადგან მოჭირეებით სთხოეა, სხუა ღონე აღარა ჰქონდა და დაანება. მაშინ დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ და შეაყენა ჯარი თეისი ციხესა მას შინა".[9] შაჰ აბასმა ლორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალოს მუსლიმანული ტომები ჩამოასახლა და ადმინისტრაციულად აღჯაყალის ციხისთავს დაუქვემდებარა. ამ პერიოდში შაჰ აბასმა „მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ"[10] ამ პერიოდიდანვე ჩნდება საქართველოში ტოპონიმი „ბორჩალო" და სხვა თათრული ტოპონიმები, განსაკუთრებით ქვემო ქართლში. ამრიგად ბორჩალოს სახელწოდება მოდის XVIII საუკუნის დასაწყისში დებედის ხეობაში ჩასახლებული თურქმანული ტომის ბორჩალუსაგან. მოგვიანებით თურქმანული და თურქული მომთაბარე ტომები – ყიზილბაშები თანდათანობით გადაადგილდნენ ქართლის შიგნით. მათ მიაღწიეს დმანისის, ქცისა და ალგეთის ხეობებს, გავიდნენ ბრტყელის მარცხენა სანაპიროზეც, სადაც უფრო კარგი საძოვრები იყო. ელების გამრავლება-გადადგილების შედეგად XVIII საუკუნეში ქცის, ფოლადაურისა და შულაურის ხეობებში უამრავი მათი სოფელი შეიქმნა.

ირანის შაჰმა აბას I-მა 1604 წელს ქართლის სამეფოს სხვა ტერიტორიასთან ერთად დებედის ხეობაც ჩამოაჯრა და იმ პერიოდიდან იგი ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ქართველი მეფეები ვერ ურიგდებოდნენ თურქმანულ-ყიზილბაშური ტომებით დასახლებული თაეიანთი ტერიტორიების მიტაცებას. ბორჩალოს სახანო, რომელიც გარკვეულ პერიოდში ბამბაკის სახანოსაც მოიცავდა, ხშირად არ ემორჩილებოდა ქართლის სამეფოს და იგი ირანის აგრესიის დასაყრდენს წარმოადგენდა.[11] XVIII საუკუნის 50-იან წლებში მეფე თეიმურაზ მეორემ ბორჩალოს სახანო თაეის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ 1765 წელს სამოურავოდ აქცია. ასევე ყაზახის სახანოსაც მეფის მოურავები განაგებდნენ. „თათარი ელის" უდიდესი ნაწილი მეფის ყმა იყო, „მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა". ეს ნათლად ჩანს მრავალ ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროში, სამართლის ძეგლში. კერძოდ, სახლთუხუცეს გიორგი მაღალაძისადმი ანტონ I-ის წყალობის წიგნში, რომელიც შედგენილია 1768 წელს, ნათქვამია: „მეფის თეიმურაზის ძე. მეფე ირაკლი მეფე საქართველოსი ქართლისა, კახეთისა, ჯაზახისა, შამშადილოსი და ბორჩალოს მპყრობელ-მჭონებელი"[12]. მეფე ერეკლე II-ის ერთ-ერთ განწესებაში კი ეკითხულობთ: „თათარი ქართლისა და კახეთისა ქეეყნებში– ესენი ყველანი საუფროსოს და საუფლისწულოებს გარდა საზოგადო ყმანი არიან და მეგატონე მეფე არის ამათი მბრძანებელი და მოქმედი".[13]

მაგრამ შაჰ აბასს კახეთის განადგურების, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მოსპობისა და იქ თათართა მომთაბარე ტომების დასახლების გაცილებით ფართო გეგმები ჰქონდა დასახული. ამ გეგმის გასაორციელებლად იგი წინასწარ გულმოდგი-

ნედ ემზადებოდა. მან ლეკებს შეუთვალა, ჩემი ლაშქრობის დროს თქვენთან შემოიხიზნენ კახელები და ისინი ყველანი მოსპეთ და დაატყვევეთო: „მაშინ ეზრახა შაბაზს ლეკთა და გაუგზავნა კაცი და შეუთვალა ესრეთ, ეითარმედ: „მნებავს წარმოტყუევნა და იავარ-ყოფა სრულიად სანახებისა ამის, კახეთს მე აეყრი და, რაც მანდ ხიზანი კაცი და ქალი შემოვიდეს, დაატყვევეთო“.[14] ანალოგიურ ცნობას გეაწედის ეახუშტი ბატონიშვილიც: „მნებავს მოწყუედა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქუენ კერძთა მთათა შინა, თქუენ მოსრენით და ტყუე-ყვენით იგინი და აღგავსე მეცა ნიგითა“, ე.ი. ამ დახმარებისათვის დაგასაჩუქრებთო. ლეკებმაც სიხარულით მიიღეს შაბ აბასის წინადადება და დახმარება ალუთქვეს.[15]

შაბ აბასის მიზანი ერთხელ და სამუდამოდ ქართლ-კახეთის სრული შემოერთება და ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევა იყო, რის იმედსაც მას მრავალი წლის სამზადისი აძლევდა. ჯერ კიდევ 1614 წელს მან კახეთი სასტიკად აოხრა, ათასობით ადამიანი დაატყვევა. 1615 წლის შემოდგომაზე ჯერ კახეთი, ხოლო შემდეგ ქართლიც აჯანყებამ მოიცვა. შაბ აბასმა აჯანყების ჩასაქრობად 15-ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა, მაგრამ თეიმურაზ პირველი 6 ათასიანი კაცით შეებრძოლა მტერს და ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. მომდევნო 1616 წლის გაზაფხულზე შაბ აბასი დიდი ლაშქრით წამოვიდა ქართლ-კახეთის მოსასპობად, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთი დიდი ტრაგიკული ბრძოლის შესახებ უმჯობესია ქართველ მემატიანეს ბერ ეგნატაშვილს მოეუსმინოთ: შაბ აბასი „წარეიდა და ჩაავლო კახეთი და ამოსწყვიტა. და წავიდა და მოაოხრა, და სხუანი აპყარნა და თანა წაასხნა. და რომელნიმე ლეკთა ამოსწყვიტეს და დაატყვევეს და რომელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშაველ და ხევსურეთს, და სხუანი ააოხრეს და ამოსწყვიტეს. და რაც – ოდენნი შეიპყრეს ცოლშვილიანად აპყარეს და წაასხეს“.[16] ამის შემდეგ შაბ აბასმა ქართლიც დაარბია, მაგრამ ქართლში მისი ლაშქრობა ისე მძიმე შედეგებით არ დამთავრებულა, როგორც კახეთში, თუმცა ქართლშიც საკმაო რაოდენობით ხალხი დაატყვევა. შაბ აბასმა კახეთიდან მშობლიურ მიწაზე აყრილი მოსახლეობა სპარსეთში გადაასახლა. „წარიყვანნა აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხუარასანს და ფერიას“.[17] ფერია დღევანდელი ფერეიდანია, სადაც კახელების დიდი ნაწილი დაასახლა შაჰმა. აღსანიშნავია, რომ დაკარიელებულ კახეთის მიწებზე ლეკები ჩამოსახლდნენ. ასე შეიქმნა ჭარისა და ბელაქნის უბატონო თემები, რომლებიც ირანელი დამპყრობლების ერთგვარ დასაყრდენს წარმოადგენდა. შემდეგში ჭარ-ბელაქანი ოსმალეთის დასყრდენიც იყო კახეთში ლეკიანობის წახალისების საქმეში.

კახეთმა შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა, ხოლო ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკედა.[18] შაჰ აბასის ოფიციალური ისტორიკოსის, ისქანდერ მუნშის ცნობით, 1616 წელს კახეთში შაჰ აბასის ლაშქრობის შედეგად, 130 ათასი ქართველი ირანში გადაასახლეს, სულ კი შაჰ აბასის ოთხივე შემოსევის შედეგად ირანში 200 ათასზე მეტი ქართველი გადაუსახლებიათ. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, ეს რიცხვი 400 ათას აჭარბებდა.[19]

შაჰ აბასმა 1616 წლის ლაშქრობის შედეგად აოხრებული კახეთი ძირითადად განჯის ხანს, ყიზილბაშ ფეიქარხანს ჩაუბარა სამართავად („დასუა პატრონად“). შაჰმა მას დაკარიელებულ კახეთში მომთაბარეთა ჩამოსახლება დაავალა. ფეიქარხანიც „ასახლებდა ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მონდობასა კახთასა“.[20]

1629 წელს, შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ, საგარეო ვითარების გართულების გამო, კახეთში „თათრების“ დასახლება ერთგვარად შენელდა, მაგრამ ეს იდეა მალე ისევ გაცოცხლდა და კახეთში მომთაბარეთა ჩამოსახლება დაეკალა სელიმ-ხანს, რომელიც განჯის ხანი იყო. 1656 წელს მას საგანმგებლოდ გადაეცა კახეთი. მან ადარბადაგანიდან დიდი რაოდენობით ჩამოსახლა კახეთში „თათრები“. ეახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ამან სალიმხან მოიყვანნა ელნი და დასხნა შიგნით – და გარეთ – კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიანი, ალაეერდი და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი“.[21] კახეთს გადაშენება ელოდა. „მრავალი ელი ცოლ-შვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კა-

ხეთი გასათათრებლად და ელის დასახლება".[22]

გადაშენების საყოველთაო საფრთხემ მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. 1659 წლის მრისხანე აჯანყებამ ერთბაშად გაწმინდა ჩამოსახლებული მომთაბარე ტომებისაგან თითქმის მთელი კახეთი. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: ქართველთა ჯარი დაესხა თავს ბახტრიონის ციხეს, „მოსრნეს ბახტრიონის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყვნენ, მიპყენენ იქიდამე ხოცითა, ჩაყიდნენ ალაყერდს, და, რომელნიცა მუნ იყენენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა... სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვიტეს... კახეთში თათარნი აღარსად იპოვოდენ, თვინიერ ყარაღაჯისა".[23]

ქართველების შეუპოვრობამ მტერს ცხადად დაანახვა, რომ კახეთის გათათრების, „კახეთის ყიშლაღ-ილაღებად გადაქცევის" შაპ აბასის გეგმას განხორციელება არ ეწერა. ელის მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა კახეთში და რაიმე ცელილებები ამ მხრივ არც ერეკლე II-ის მეფობის დროს მომხდარა. კიდევ უფრო მძიმე ეითარება იყო შექმნილი ქვემო ქართლში, რომელიც მკვიდრი მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაცლილი იყო და არც ქვეყნის სხვა კუთხეებიდან იყო შესაძლებელი ქართველი მოსახლეობის ქვემო ქართლში გადასახლება. ამ მხრივ ქვეყნის ყველა კუთხეს თავისი გასაჭირი აქონდა. მტრებთან გამუდმებული ბრძოლების, ადამიანებით ეაჭრობისა და ასევე გამუდმებული შინააშლილობების შედეგად ქართველი მოსახლეობა ყველგან უაღრესად შემცირებული იყო. თითქმის მთლიანად დაცარიელთა თრიალეთი, ასევე ქვემო ქართლის პროვინციები — საბარათიანო და სომხითი, დაცარიელდა ისტორიული ქალაქები დმანისი და სამშვილდე. ამ პროცესს ნათლად გვიჩვენებს მეფე ერეკლე II-ის დროინდელი სამართლისა და დემოგრაფიული ძეგლები.

დემოგრაფიული ძეგლები, რომლებიც დღემდე შემორჩა და აღმოსავლეთ საქართველოს განეკუთვნებიან, XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება. სამწუხაროდ, აღწერის დაეთრგების ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა შეიძლება ეიქონიოთ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც შედგენილია ერეკლე II-ის კარზე და საქართველოს შესახებ სხვა აღწერილობით მასალებთან ერთად გადაეცა რუსეთის რეზიდენტს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიზნით.[24] ქართლ-კახეთის მოსახლეობის შესახებ ნუსხაში მოყვანილი მონაცემები ძირითადად ეყრდნობა 1767 წელს ან მომიჯნავე წელს ჩატარებულ აღწერას.

მე-18 საუკუნეში საქართველოს სამხედრო ძლიერება სულ უფრო სუსტდება და მას აღარ შეეძლო მოთარაშე მტრებისთვის საკადრისი პასუხი გაეცა. ეს ნათლად ჩანს ჩვენამდე მოღწეული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით. კერძოდ, 1721 წლის მოსახლეობის აღწერიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს პროვინციაში — ქვემო ქართლის სადროშოში — მოსახლეობის შემცირების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობდა ასობით სოფელი. მაგრამ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში ამ მხარეში მოსახლეობა აღარ ჩანს. სომხითი, საბარათიანო, თრიალეთი, გუჯარეთი, ყაიფული, ტაშირი აოხრებულ ადგილებად არის მოხსენებული და მხოლოდ ზოგიერთ მთგანში 40 ან 100 კომლიდან ერთი თუ იყო დარჩენილი და ისინიც ერთმანეთთან იყვნენ შეხიზნულნი. კერძოდ, ნუსხაში აღნიშნულია: „არს აოხრებული და უმეკიდრო ქნილი თრიალეთი, ადგილი ერცელი და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელ-მრავალი.

არს აოხრებული ყაიფული, უმეკიდრო ქეყანა, ფრიად კეთილი და მრავალი სოფელი.

არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქეყანა დიდი და მრავალი და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ერთმანეთში არიან ხიზნათ.

არს საბარათისშეილო ქეყანა დიდი. ასისგან ერთი დარჩენილა, ხიზნათ არიან".[25]

1770 წელს დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით მეტად რთულია გავარკვიოთ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა. მართალია, ნუსხაში არის მონაცემები ცალკეული ეთნოსების კომლთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე ეთნოსის

კომლთა რიცხოვნობა ერთადაა მოცემული. ეს, ალბათ, გასაგებიცაა, რადგან ფეოდალური ურთიერთობების თვალთახედვით, მთავარი იყო მებატონის მიწა გაუკაცრიელებული არ ყოფილიყო და მასზე ემა გლეხს ეცხოვრა. სწორედ ამ მიზეზის გამო ერეკლე II ცდილობდა გაუკაცრიელებული მიწების შეესებას ეთნიკურად არაქართველებით. კერძოდ, მან მუღანის ველიდან, რომელიც სამხრეთ აზერბაიჯანში მდებარობს, გადმოახალა სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი. მათგან შექმნა სოფლები ქაფანახჩი, ყიზილ-აჯლო და მუღანლო, რომლებიც ამჟამად მარნეულისა (ქაფანახჩი და ყიზილ-აჯლო) და გარდაბნის (მუღანლო) რაიონებში მდებარეობენ. მარტო ამ სამ სოფელში (მუღანლოში, ყიზილ-აჯლოსა და ქაფანახჩის თემის საკრებულოში) ამჟამად 20650 აზერბაიჯანელი ცხოვრობს.[26] ამასთან ცნობილია, არა ერთი და ორი შემთხვევა, როდესაც ერეკლე მეფე პირდაპირ იბრძოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თურქმანული ტომების ქართლსა და კახეთში დასასახლებლად. ცნობილია, რომ მან ჯარიც კი გაგზავნა ყარაბაღსა და ნახჩევანში გადასახლებულთა დასაბრუნებლად. ააყრევინა ისინი და უკან დააბრუნა. ამ ქმედებებს თავისი გამართლება აქონდა. დაუსრულებელი ომებისა და ლეკიანობის შედეგად ქართლ-კახეთის მოსახლეობა უალრესად შემცირდა; ქვემო ქართლი კი ფაქტობრივად გაუკაცრიელდა, ხოლო მთელი ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობა 222 ათას კაცს არ აღემატებოდა.[27] ფრიად საინტერესოა ის, რომ 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა მთავრდება ქართლ-კახეთის მოლაშქრეთა რიცხვის შესახებ მონაცემის მოტანით: „თათრის გამოყვანა შეიძლება ჯარში 5 ათასი, ქართველი და სომეხი 18 ათასი, ერთად 23 ათასი". რუსეთის იმპერატორის მიერ საქართველოში გამოგზავნილი კაპიტნის ნ. იაზიკოვის ცნობით, ერეკლეს ბრძოლის ველზე შხოლოდ 15 ათასი მებრძოლის გამოყვანა შეეძლო. მიუხედავად ამისა, იაზიკოვი იმასაც მიუთითებდა, რომ ერეკლე მეორე უდიდესი მხედარია, მის მოელობლობაშია ბორრალოსა და ჯაზახის სახანოები, ერევნისა და განჯის ხანები მას უხდიან ხარკს, ხოლო დანარჩენი სპარსელები, რომლებიც მის მიწას გარს ერტყმიან, შიშის ქვეშ ყავსო.[28]

ასეთ ეითარებაში, როდესაც საუკუნეების განმავლობაში მტერმა მიზანმიმართულად დაცალა ქართლ-კახეთი და განსაკუთრებით ქვემო ქართლი ქართული მოსახლეობისაგან და ფაქტობრივად ქვეყანა იავარყო, ერეკლე მეფის მეცადინეობა ქართლ-კახეთის გარკვეულ ტერიტორიებზე მომთაბარე თათარი ტომების შენარჩუნებისა და ზოგიერთ შემთხვევაში დასახლების შესახებ, ისტორიულად გამართლებული და სწორი ნაბიჯი იყო. მეფე ერეკლე მათ იყენებდა ბრძოლებში, ისინი იხდიდნენ ჩვეულებრივ გადასახადებს, ისე როგორც ქართველი მოსახლეობა და მეფე მათზე ზრუნავდა როგორც ქვეყნის მოქალაქეებზე.

ამრიგად, თავის დროზე მტრის მიერ ქვემო ქართლსა და კახეთში გასახლებული ადგილობრივი მოსახლეობის ნაფუძარზე მეეიდრდებიან ცენტრალური და სამხრეთ ირანიდან შემოსული ყიზილბაშური თემები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი „დასტურლამალი", რომელიც შეადგინა მეფე ვახტანგ VI-მ 1707-1709 წლებში. იგი ერთადერთი ძეგლია, რომელიც შეიცავს ძეირფას ცნობებს ქართლში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომების — ელების ისტორიის შესახებ. „დასტურლამალში" ჩამოთვლილია ყიზილბაშური თემები, რომლებიც ტომთა დაშლის შედეგად წარმოქმნილან, კერძოდ, არანდუ, ამირსასლუ, ამაადლუ, დემურჩი, ნაზარლუ, ნასიბლუ, ნაჯაბადილუ, საეანალუ, სარაჯლუ, ქაფანაქჩი, ქეშალუ, ხიალუ, ჯაეანშირი, ჰამადლუ, ჰასანლუ და სხვ.[29] „დასტურლამალში" ნაჩვენებია თითოეულ თემში შეპაეალი კომლთა რაოდენობა, სულ ძეგლის მიხედვით ქვემო ქართლში 1860 კომლი თათარი ცხოვრობდა. ამჟამად ძალიან ძნელია ამ მონაცემის სანდოობის შესახებ საუბარი, მაგრამ რამდენადაც ამდენი კომლი აღრიცხული იყო, თუ მეტს არა, 1860 კომლს აუცილებლად უნდა ეცხოვრა. თუ კომლში საშუალოდ 6 წევრს მაინც ეიგულისხმებთ, მაშინ ამ პერიოდში ქვემო ქართლში 11160 თათარი ცხოვრობდა. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ დღეეანდელი საქართველოს ფარგლებში აღარ შედის თათრებით დასახლებული ზოგიერთი პუნქტი, რომელიც იმდროინდელი საქართველოს ფარგლებში შედიოდა.[30]

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ შეიქმნა ბორჩალოს დისტანცია, რომელიც თბილისის მაზრაში შედიოდა. 1880 წელს თბილისის მაზრას გამოეყო და ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად შეიქმნა ბორჩალოს მაზრა თბილისის გუბერნიაში. მასში თაედაპირველად შედიოდა წალკის, მანგლისის, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის რაიონების ტერიტორია, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე რაიონების ტერიტორიათა ნაწილი. ბორჩალოს მაზრა 1929 წელს გაუქმდა.

საბოლოოდ შეიძლება დაეასკვნათ, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქულენოვანი სოფლები XVIII საუკუნის დასაწყისიდან არსებობენ. როგორც წესი, მეჯოგე თურქმანული ტომები ყოველ თაედამსხმელს თან მოჰყეებოდნენ და მათთეის ხელსაყრელ ადგილებზე სახლებოდნენ. ამიტომ მტრის წასლისთანაეე ქართველები „მოსერიდნენ გარემოთა თათართა"[31] განსსაკუთრებით დიდი ბრძოლა გადაიხადეს ქართველებმა 1659 წელს, როდესაც სელიმ-ხანის მიერ კახეთში ჩასახლებული „თათართა" დიდი ურდოებისაგან მთლიანად გაწმინდა მთელი კახეთი. ცოტა უფრო ადრე, მარტყოფის აჯანყებამ გიორგი საკაძის მეთაურობით ასევე ჩაშალა ქართული სამეფოების ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევის შაჰ-აბას I-ის გეგმა.

საქართველოში ირანიდან გადმოსახლებულ მომთაბარე ტომებს არ გააჩნდათ ეროვნული შეგნება. ისინი დროთა განმავლობაში აზერბაიჯანელებს შეერწყნენ, რომლებთანაც მათ აკავშირებდათ ენა, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი და სოციალური წყობა. ამიტომ საქართველოში მცხოვრები მათი ახლანდელი შთამომაელები თავს აზერბაიჯანელებად თელიან.[32]

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა (შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება) განსხვავებულია ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ცნობილია, რომ მოსახლეობის გამრავლების რეჟიმი სხვადასხვაა არა მარტო კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით, არამედ იმ ქვეყნების შიგნითაც, რომელიც აქვთ განსხვავებული კულტურული და ეთნიკური მოსახლეობის სტრუქტურა. შობადობა მჭიდრო კორელაციაშია მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან, ხოლო ცალკეულ შემთხვეევაში ეთნიკური ასპექტები უკაეშირდება მოკვდაობას. ასე, რომ ეთნიკური ფაქტორები, მექანიზმები გაელენას ახდენს მოსახლეობის გამრავლების რეჟიმზე.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები გამოირჩეეიან მაღალი შობადობის დონით, რაც განპირობებული ტრადიციებით, ზეს-ჩვეულებებით და, უპირველეს ყოვლისა, მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებლობით. მიუხედავად ამისა, მე-19 საუუნეში საქართველოში და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანული მოსახლეობის გამრავლების ტემპი შედარებით დაბალი იყო. ამ მოელენას განაპირობებდა აზერბაიჯანელი ქალების უადრესად ნაადრეი ქორწინება, რაც ხშირად იწვეედა მეორად უნაყოფობას, დედებისა და ახალშობილთა მოკვდაობის მაღალ დონეს. ჯერ კიდეე მე-19 საუკუნეში ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ მაჰმადიანურ მოსახლეობაში ნაადრეი ქორწინება იწვეედა შობადობის შემცირებას. აკრძოდ, აღნიშნაედნენ, რომ „მუსულმანების დაბალ შობადობას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ქალების უადრესად ადრეულ ასაკში ქორწინება, რაც მნიშენელოეანწილად იწვეეს უნაყოფობასა და უძლურებას... ბევრი ქალი იღუპება 13-17 წლის ასაკში, განსაკუთრებით ნაადრეი ქორწინების გამო".[33]

აღნიშნული ფაქტორი მე-19 საუკუნეში აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნელი გამრავლების ერთ-ერთ მიზეზი იყო. მართლაც, ბორჩალოს მაზრაში 1875-1879 წლებში მთელი დაქორწინებული აზერბაიჯანელი ქალების 7,5 პროცენტი 15 წლამდე ასაკში დაქორწინდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქართველ ქალებში 1,6 პროცენტს არ აღემატებოდა.[34] ამასთან აზერბაიჯანელი ქალები მასობრივად თხოვდებოდნენ 18 წლამდე ასაკში.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების რაოდენობა სწრაფად იზრდება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და მისი ბუნებრივი მატების ტემპი ყველაზე მაღალია საქართველოს მოსახლეობის ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფთან შედარებით. ამ შემთხვევაში ტრადიციულ და რელიგიურ ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა საერთოდ ქვეყანაში ორსული ქალების პიგიენურ-სანიტარული პირობების არსებითმა გა-

უმჯობესებამ, მათი სამედიცინო მომსახურების ამაღლებამ და, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, ნაადრევი ქორწინების უალრესად შემცირებამ. მაგალითად, 1980 წელს საქართველოში 3211 ათასოვილი აზერბაიჯანელი ქალიდან მხოლოდ 38 ანუ 1,2 პროცენტი დაკორწინდა 18 წლამდე ასაკში, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო რუს ქალებში – 1,6 პროცენტი.[35]

1926 წელს საქართველოში 138 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, 1959 წელს – 154 ათასი. შემდეგი 30 წლის განმავლობაში (1959-1989 წწ.) აზერბაიჯანელების რაოდენობა ზუსტად გაორკეცდა და 308 ათას კაცს უდრიდა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში საქართველოს მოელმა მოსახლეობამ მხოლოდ 33,6 პროცენტით მოიმატა. აღსანიშნაია ისიც, რომ აზერბაიჯანელების ასიმილაცია სხვა ხალხებთან ფაქტობრივად არ ხდება. ამჟამად საქართველოში 285 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს და მათი სწრაფი გამრავლება განპირობებულია ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, რელიგიური აღმსარებლობითა და ხელსაყრელი საარსებო პირობებით – ისინი საქართველოში ყველაზე ნაყოფიერ მიწებზე ცხოვრობენ.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში შობადობის უალრესად მაღალი ინტენსიობა და დაბალი მოკედობა განაპირობებდა მათი ბუნებრივი მატების მაღალ დონეს. მაგალითად, აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ზუსტად სამჯერ აღემატებოდა ქართველთა ბუნებრივ მატებას. კერძოდ, 1989 წელს ყოველ ათას ქართველზე ბუნებრივი მატება 7,6 კაცს შეადგენდა, შესაბამისი მაჩვენებელი აზერბაიჯანელებში 22,8 კაცს უდრიდა. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი სხვა წლებშიც, რის შესახებაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში ეროვნებების მიხედვით 1970, 1979 და 1989 წლებში (მოსახლეობის 1000 კაცზე)

	შობადობა			მოკვდაობა			ბუნებრივი მატება		
	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989
მთელი მოსახლეობა	19,2	17,8	16,7	6,9	7,3	8,3	16,9	8,3	8,6
მათ შორის ქართველი	19,1	17,5	16,1	7,2	8,2	8,5	11,9	9,3	7,6
აფხაზი	22,6	16,2	17,9	4,2	5,5	6,0	18,4	19,7	11,9
ოსი	21,9	19,1	17,2	6,6	7,3	8,1	15,3	11,4	9,1
რუსი	14,5	13,8	11,2	8,9	11,3	13,3	5,6	2,5	-2,1
აზერბაიჯანელი	29,8	27,9	28,6	5,3	5,7	5,8	23,9	22,2	22,8

წყარო: საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები. ამასთან დემოგრაფიული მონაცემები ეროვნულ ჭრილში აღარ მუშავდება პასპორტიდან ეროვნების გრაფის ამოღების გამო. მაგრამ თუ შეეადარებთ ქართველებით დასახლებული და აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონების ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს ერთმანეთს, თვალნათლივ ჩანს, რომ ბუნებრივი მატების დონე აზერბაიჯანელებში, ქართველებთან შედარებით, საგრძნობლად მაღალია. მაგალითად, 2008 წელს ქართველებით დასახლებულ რაიონებში მოსახლეობის კლებას ჰქონდა ადგილი, კერძოდ გურჯაანის რაიონში ყოველ ათას კაცზე კლებამ 3,1 კაცი შეადგინა, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში – 1,7 კაცი. ამავე დროს ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში, კერძოდ, მარნეულის რაიონში მოსახლეობის 1000 კაცზე ბუნებრივმა მატებამ 10,6 კაცი შეადგინა, ბოლნისის რაიონში – 9,5 კაცი, გარდაბნის რაიონში – 6,0 კაცი და ა.შ.

აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ძალიან ცუდად იცის ქართული ენა. ასეთი ვითარება წლითი-წლობით გრძელდება და მნიშვნელოვნად აფერხებს მათი ინტეგრაციის პრო-

ცესს ქართველებთან, დანარჩენ ეთნოსებთან. ეითარება კიდეე უფრო გაამწვაეა იმ გარემოებამ, რომ რუსული ენა, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი საკომუნიკაციო ენა იო სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, უკანასკნელ პერიოდში ამ ფუნქციას თანდათანობით სულ უფრო ნაკლებად ასრულებს. საქართველოში მცხოერები აზერბაიჯანელების მხოლოდ 15,1 პროცენტი ფლობს თაეისუფლად ქართულ ენას, რუსულს კი – 26,4 პროცენტი,[16] თუმცა ეს მაჩვენებელიც არ არის მაღალი. აზერბაიჯანელ ქალებში, მაშაკაცებთან შედარებით, განსაკუთრებით დაბალია ქართული და რუსული ენების თაეისუფლად ფლობის მაჩვენებელი. ამ მხრივ გაცილებით უფრო უარესი ეითარებაა ქვემო ქართლში. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო აზერბაიჯანელი მოსახლეობისათეის მიუწდომელია ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოელენების შესახებ. ძალაუნებურად იგი გარიყულია იმ პრობლემებისაგან, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას და გადაწყვეტას მოითხოვს. ამჟამად აზერბაიჯანელი მოსახლეობა, შეიძლება ითქეას, ეერ მონაწილეობს ქვეყნის ცხოვრებაში. ქართული ენის შესწაელის საკითხი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დიდი მონდომებით დაისეა, ყურადღების მიღმა დარჩა და ეაიზოდურ ხასიათს ატარებდა. აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის სწაელებასთან დაკაეშირებული რეფორმები, მისი უნაკლოდ განხორციელების შემთხვეეაშიც კი, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოგვცემს სასურეელ შედეგს.

ამ საკითხთან დაკაეშირებით აუცილებელია შემდეგიც ითქეას. საქართველოში უკეე რამდენიმე წელიწადია პასპორტიდან ამოღებულია გრაფა ეროენების შესახებ და ამდენად იგულისხმება, რომ ქვეყანაში მცხოერები ყველა მოქალაქე ქართველია. ამავე დროს საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ეროენული ნიშნით არის გახსნილი ასეულობით სომხური, აზერბაიჯანული თუ რუსული სკოლა, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს, რაც გაუმართლებლად მიგეაჩნია. გაუმართლებელია ჩეენს მოსაზღერე აზერბაიჯანის რაიონში ქართული სკოლის არსებობაც. ასეთი სკოლები თუ მაინცდამაინც უნდათ აქონდეთ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს, კერძო დაფინანსებით უნდა ფუნქციონირებდეს. ცხადია, ამ პრობლემის გადაწყვეტა ერთი ხელის დაკერით მიზანშეუწონელი და შეუძლებელიცაა. მისი მოგეარება სათანადო მომზადებასა და მეტად ფაქიზ მიდგომას მოითხოეს.

ლიტერატურა

[1] История Азербайджана, т. I, Баку, 1958, с. 44.

[2] История Азербайджана с древнейших времен до начала XX века Баку, 1995, с. 394-408.

[3] იქეე, გვ. 406, 408.

[4] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, 1975, გვ. 189

[5] ე. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 314.

[6] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოერება. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 385.

[7] ქართლის ცხოერება. ტ. II, თბ., 1959, გვ. 342.

[8] ციტირებულია: კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 115.

[9] ქართლის ცხოერება, ტ. II, გვ. 381.

[10] ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

[11] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, თბ., 1977, გვ. 477.

[12] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 869-870.

[13] ქართული სამართლის ძეგლები. ტ II, თბ., 1965, გვ. 517

[14] ქართლის ცხოერება. ტ. II, გვ. 401

[15] ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 588.

[16] ქართლის ცხოერება. ტ. II, გვ. 401

[17] ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 589

[18] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწილი I, თბ., 1946, გვ. 335.

[19] მონაცემები მოტანილია გ. ჭიპაშვილის ნაშრომიდან: ირანის ქართველი მოსახლეობა. თბ., 1990,

გვ. 13.

[20] ეახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 590.

[21] იქვე. გვ. 599

[22] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 434.

[23] იქვე. გვ. 438

[24] ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. ჟურნ. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 1, 18073, გვ. 148.

[25] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 421.

[26] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ტ. II, თბ., 2003, გვ. 203, 213-214.

[27] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 48.

[28] გ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკეთი II, თბ., 1997, გვ. 521.

[29] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 288-289.

[30] ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. ჟურნ. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 1, 1973, გვ. 151.

[31] ეახუშტი ბატონიშვილი: დასახ. ნაშრომი, გვ. 387.

[32] ლ. ზურაბაშვილი, ეროვნებთაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989, გვ. 38

[33] Сборник статистических сведений о Кавказе. Т. I. Тифлис, 1869, с. 37.

[34] Сборник сведений о Кавказе. Т. IX.. Тифлис, 1869, с. 157.

[35] Численность состав и движение населения Грузинской СССР. Тбилиси, 1987, с. 139.

[36] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. I, თბ., 2003, გვ. 119.

რუსები

რუსები წარმოიშენენ ძველი რუსი ხალხისაგან (IX-XIII სს.). ისინი ადმოსავლეთ სლავი ტომების საფუძველზე გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის რღვევისა და კიევის გარშემო ძველი რუსული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში ჩამოყალიბდნენ. კიევის რუსეთი გახდა არა მარტო რუსების, არამედ უკრაინელებისა და ბელორუსების შექმნის საფუძველი. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში საკუთარ სახელ რუსთან ერთად გაერცელებული იყო სახელმწიდება ველიკორუსი ან ველიკოროსი. მოსახლეობის 1897 წლის აღწერის დროს რუსები, უკრაინელები და ბელორუსები აღწერილია ერთ გრაფაში როგორც რუსები, თუმცა გრაფიდან ცალ-ცალკეც არის გამოყოფილი ველიკორუსი, მალორუსი (უკრაინელი) და ბელორუსი. ამ აღწერის მიხედვით რუსების (ველიკორუსების) რაოდენობა იმპერიაში 55 667 ათას კაცს უდრიდა. მათგან ქალაქებში ცხოვრობდა 8 826 ათასი რუსი ანუ რუსების 15,8 პროცენტი.

1926 წელს რუსების რაოდენობა საბჭოთა კავშირში 77 760 ათას კაცს უდრიდა. აქედან რუსეთში ცხოვრობდა 74 042 ათასი რუსი, ხოლო დანარჩენი 3718 ათასი (4,8 პროცენტი) – საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. შემდეგ წლებში რუსების რაოდენობა იზრდება როგორც რუსეთში, ისე განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებში. მაგალითად, 1979 წელს საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 137 397 ათასი რუსი, აქედან რუსეთში – 113 522 ათასი, ხოლო 23 875 ათასი – დანარჩენ რესპუბლიკებში (მთელი რუსი მოსახლეობის 17,4 პროცენტი). ამავე 1979 წელს რუსეთის შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით რუსები ცხოვრობდნენ უკრაინაში (10 472 ათასი, უკრაინის მთელი მოსახლეობის 21,1 პროცენტი), ყაზახეთში (5 991 ათასი, ყაზახეთის მთელ მოსახლეობის 40,1 პროცენტი), ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით სომხეთში (70 ათასი, სომხეთის მთელი მოსახლეობის 2,3 პროცენტი). რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, რუსეთის მოსახლეობა 145 166 731 კაცს უდრიდა და აქედან 115 889 107 რუსი იყო ანუ მთელი მოსახლეობის 79,8 პროცენტი. უკანასკნელ წლებში რუსეთში ინტენსიური იმიგრაციული პროცესების მიუხედავად, რუსების წილი მთელ მოსახლეობაში განუწყვეტლივ მცირდებოდა, რაც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებით არის გამოწვეული. მაგალითად, 1989 წელს რუსეთის მოსახლეობის ყოველ 100 000 კაცში 81 529 კაცი რუსი იყო, ხოლო 2002 წელს – 79 832 კაცი.

რუსეთში მკვიდრი ერის – რუსების დემოგრაფიული განვითარება დიდი საშიშროების წინაშე დგას. პროფესიონალი დემოგრაფების აზრით, მსოფლიოში მოსახლეობის სტაბილიზაცის პროცესი მოხდება რუსი ეთნოსის გარეშე. თუ ასე გაგრძელდა, რუსეთის მოსახლეობა უაღრესად შემცირდება რუსი მოსახლეობის ხარჯზე და შეიძლება ყოველიე ამან მიგვიყვანოს გეოგრაფიული რუკიდან რუსი ერის გაქრობამდე.[1] ცნობილი რუსი დემოგრაფი ე. ბორისოვი კი აღნიშნავს: „შემდეგში შობადობა რომც აღარ შემცირდეს, რაც საეჭვოა სერიოზულად რომ ეივარაუდოთ, ქვეყანაში ამჟამად არსებული დემოგრაფიული განათლების პირობებში და რუსეთი ერის გადაშენებისაგან გადარჩენის საზოგადოებრივი მოძრაობის არ არსებობის პირობებში, დეპოპულაცია გაგრძელდება განუსაზღვრელად დიდ ხანს, შეიძლება რუსეთის პოლიტიკური რუკიდან სრულ გაქრობამდეც კი. მაგრამ ქვეყნის დაღუპვა შეიძლება ადრეც მოხდეს, როცა მოსახლეობის რაოდენობა იმდენად შემცირდება, რომ იგი დასუსტდება და ვინმე დიდი მეზობელი მას თავისთან მიიერთებს.“[2]

ამ ასპექტში რუსეთისთვის მეტად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ვითარება რეგიონებში. რუსეთის ფედერაციაში შობა-

დობის ზოგადი კოეფიციენტი 2004 წელს 10,4 პრომილეს უდრიდა, მოკედაობის – 16,0 პრომილეს, ხოლო ბუნებრივი მატებისა – მინუს 5,6 პრომილეს ანუ 1000 კაცზე ბუნებრივი კლება 5,6 კაცს შეადგენდა. თუ ამ მაჩვენებლებს რუსეთის ფედერაციაში შემაჯალ სხვა ეროვნული აეტონომიების მაჩვენებლებს შეეადარებთ, დიდ განსხვავებას დაენახავთ. განსაკუთრებით კატასტროფული ვითარებაა ამ მხრივ რუსებით დასახლებულ მიწებზე. კერძოდ, ფსკოვის ოლქი მოკედაობის მხრივ რეკორდსმენია – 2004 წელს ყოველ ათას კაცზე 24,2 კაცი გარდაიცვალა, შემდეგ მოდიან ასევე რუსებით დასახლებული ოლქები – ტვერი (23,2 %o), ნოვგოროდი (22,4 %o), ტულა (21,7 %o), ივანოვო (21,6 %o), აგრეთვე, კოსტრომა, სმოლენსკი, ლენინგრადი, ელადმირი, რიაზანი, იაროსლავი (20-21 %o). მოკედაობის დონე მაღალია რუსეთის მსხვილ ქალაქებშიც. დაბალი შობადობისა და მაღალი მოკედაობის დონეების გამო დიდია მოსახლეობის ბუნებრივი კლება. თუ 2004 წელს რუსეთის ფედერაციაში ყოველ 1000 კაცზე 5,6 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა, ზემოთ აღნიშნულ ოლქებში ეს მაჩვენებელი 10,6-15,1 პრომილეს ფარგლებში მერყეობდა. ამრიგად, სურათი მეტად უიმედოა. როგორც რუსი მეცნიერები აღნიშნავენ, ამოწყდომა ემუქრება არა მარტო მთელ ოლქებს, არამედ ქვეყნის მსხვილ ქალაქებსაც.

საქართველოში რუსები მკვიდრდებიან XIX საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი 1830-იანი წლებიდან. მანამდე საქართველოში მხოლოდ რუსების პატარა სამხედრო დასახლებები არსებობდა. როგორც წესი, სამხედრო პირებთან ერთად საქართველოში სამუშაოდ ჩამოდიოდნენ სხვადასხვა რანგის მოხელეები, რომელთა დიდი ნაწილი შემდეგ საცხოვრებლად საქართველოში რჩებოდა. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: თუ თავდაპირველად ადმინისტრაციულ დაწესებულებებს სამხედრო პირები განაგებდნენ, შემდგომში შეიქმნა სამოქალაქო მმართველობა რუსული პერსონალით. ამასთან, ბევრი ჯარისკაცი ხანგრძლივი სავალდებულო სამსახურის გაგლის შემდეგ საქართველოში სახლდებოდა.

რუსი მოსახლეობა საქართველოში მარტოოდენ სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის პერსონალით როდი იზრდებოდა. 1830 წელს კანონით ნებადართულ იქნა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან დასაჯის მიზნით მაგივ ერეტიკოს-რასკოლნიკების ამირკაკასიაში გადმოსახლება. მეფის რუსეთი მათში სახელმწიფოსა და რელიგიის მიმართ საშიშროებას ხედავდა. მეფის ხელისუფლების ბრძანებით ამიერკავკასიაში და ძირითადად საქართველოში გადმოსახლეს ჯერ მალაკანები (1836 წ.), ხოლო შემდეგ დუხობორები (1841 წ.). ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

ასე წარმოიქმნა საქართველოში ახლანდელი ნინოწმინდის რაიონში სოფლები ეფრემოვკა, ორლოვკა, როდიონოვკა, სპასოვკა, ბოგდანოვკა და სხვ. დუხობორები დასახლდნენ აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში თავად ორბელიანის მიწებზე და სხვა ადგილებშიც. რუსების საქართველოში ჩამოსახლება მეტ-ნაკლები ზომით მთელი XIX და XX საუკუნეებში გრძელდებოდა, მაგრამ მაინც ყველაზე დიდი მასშტაბები მან 1930-იან წლებში მიიღო. ამ წლებში საქართველოში საცხოვრებლად თითქმის 200 ათასი რუსი გადმოსახლდა.

საქართველოში რუსების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა როგორც XIX, ისე XX საუკუნეებში. თუ 1801 წლის, რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების პერიოდში, რუსები საქართველოში ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ, ერთი საუკუნის შემდეგ – 1897 წელს 98 365 რუსი ცხოვრობდა იმდროინდელ საქართველოში. 1926 წელს საქართველოს თანამედროვე საზღვრებში 96 ათასი რუსი ცხოვრობდა, ხოლო 13 წელს შემდეგ – 1939 წელს 308 ათასი. ყველაზე მეტი რუსი საქართველოში 1959 წელს ცხოვრობდა – 408 ათასი (მთელი მოსახლეობის 10,1 პროცენტი). 1989 წელს რუსების რაოდენობამ საქართველოში 341 ათასი კაცი შეადგინა.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რუსების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა კავკასიაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სწორედ მიგრაციული პროცესები. (კავკასიის მოსახლეობაში ჩვენ ვგულისხმობთ სამხრეთ კავკასიას – საქართველო, აზერბაჯანი, სომხეთი და ჩრდილოეთ კავკასიის – ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო ბალყარეთის, ჩრდილო-ოსეთის-ალანიას,

ჩერნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის – რესპუბლიკებს). საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926-1939 წლებში რუსების რაოდენობა კაკასიაში 502 ათასიდან 1764 ათასამდე გაიზარდა, ანუ 1262 ათასი კაცით. თუ იმ პერიოდში რუსების ბუნებრივ მატებას გავითვალისწინებთ, მაშინ 1926-1939 წლებში კაკასიაში საცხოვრებლად შემოვიდა სულ ცოტა მილიონი რუსი. ამ წლებში რუსების რაოდენობა 251,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტიტულოვანი ერებისა – მხოლოდ 28,0 პროცენტით. 1959 წელს რუსები უკვე შეადგენდნენ კაკასიის მთელი მოსახლეობის 17,4 პროცენტს, მაგრამ მათი წილი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კაკასიის მთელ მოსახლეობაში. კერძოდ, თუ სამხრეთ კაკასიის მოსახლეობაში რუსები შეადგენდნენ 10,2 პროცენტს, ჩრდილოეთ კაკასიაში მათი წილი 38,9 პროცენტს უდრიდა. რუსები რაოდენობრივად ყველაზე მეტი იყვნენ კაკასიაში მოსახლეობის 1970 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით. ამის შემდეგ მათი რაოდენობა მცირდება და მოსახლეობის უკანასკნელი, აღწერის (2002 წ.) მიხედვით კაკასიაში ცხოვრობდა 1220 ათასი რუსი, ანუ 925 ათასით რუსით ნაკლები 1989 წელთან შედარებით. სამხრეთ კაკასიაში რუსების რაოდენობა 2002 წელს 225 ათასს უდრიდა (მთელი მოსახლეობის 1,1 პროცენტი), ხოლო ჩრდილოეთ კაკასიაში – 995 ათასს (15,0 პროცენტი).

რუსების რაოდენობა კაკასიის მოსახლეობის მთელ რაოდენობაში 1926-2002 წლებში

ათასი

წლები	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002
კაკასია абсолютуръ	7617	10827	12712	16659	18859	21032	22182
%	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის რუსები абсолютуръ	502	1764	2212	2411	2330	2145	1220
%	6,6	16,3	17,4	14,5	12,3	10,2	5,6
სამხრეთ კაკასია абсолютуръ	5872	8027	9505	12295	14052	15727	15537
%	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის რუსები абсолютуръ	336	888	965	974	917	785	225
%	5,7	11,1	10,2	7,9	6,5	5,0	1,4
ჩრდილოეთ კაკასია абсолютуръ	1745	2800	3207	4364	4813	5305	6645
%	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის რუსები абсолютуръ	166	876	1247	1437	1413	1360	995
%	9,5	31,3	38,9	32,9	29,3	25,6	15,0

ამრიგად, კაკასიის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ორმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი ესაა მკვეიდრი მოსახლეობის უალრესად მაღალი ბუნებრივი მატების დონე, რომელიც დამახასიათებელი იყო მთელი XX საუკუნის განმავლობაში უკლებლივ ყველა კაკასიელი ხალხისათვის ქართველებისა და ნაწილობრივ სომხების გარდა. მეორე უაქტორია რუსების მასობრივი შემოსელა მუდმივ საცხოვრებლად კაკასიაში, განსაკუთრებით 1920-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1930-იან წლებში. რუსეთი კაკასიაში თავისი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად, აქ საიმედო დასაყრდენის შექმნისათვის, ყოველმხრივ ცდილობდა რუსი მოსახლეობის დასახლებას კაკასიის რეგიონში. კაკასიაში ეკონომიკის ინდუსტრიული განვითარების საბაბით ამ პერიოდში უამრავი რუსი მუდმივად დასახლდა საცხოვრებლად როგორც სამხრეთ, ისე განსაკუთრებით ჩრდილოეთ კაკასიაში. ადიღესა და ჩერქეზეთში რუსებმა მოსახლეობის უმრავლესობაც კი შეადგინეს. კერძოდ, 1926 წელს ადიღეში რუსები მთელი მოსახლეობის 26,0 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო 1939 წელს – 71,1 პროცენტს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსებმა მასობრივად დატოვეს კაკასიის რეგიონი. ეს პროცესი ძირითადად გამოიწვია კაკასიის რეგიონის ცალკეულ რაიონებში არსებულმა და მოსალოდნელმა ეთ-

ნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებითმა გაუარესებამ, თავისი ისტორიული სამშობლოსაკენ სწრაფვამ, სადაც მათ უკეთესი ცხოვრების პირობებიც ეგულებოდათ. როგორც აღნიშნეთ, 2002 წელს მთელ სამხრეთ კავკასიაში რუსების რაოდენობამ 225 ათასი შეადგინა, მაშინ როდესაც 1989 წელს მხოლოდ აზერბაიჯანში 392 ათასი რუსი ცხოვრობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა განსაკუთრებით შემცირდა ჩეჩნეთში, რაც ჩეჩნეთში ომს უკავშირდება. ძირითადად ამ მიზეზით ჩეჩნეთი და ინგუშეთი დატოვა დაახლოებით 250 ათასმა რუსმა. 2002 წელს ჩეჩნეთსა და ინგუშეთში 45 ათასი რუსი ცხოვრობდა.

რუსების რაოდენობა საქართველოში 1989 წელთან შედარებით 241101 კაცით შემცირდა და ამჟამად ქვეყანაში 100071 რუსი ცხოვრობს (მათ შორის, კონტროლირებად ტერიტორიაზე 67000), ნაცვლად 341172 რუსისა 1989 წელს. ასეთი შემცირება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. საქართველოდან გაიდა 80000 საბჭოთა შეიარაღებული ჯარების კონტინგენტი, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა რუსები იყვნენ. ამასთან, 1990-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში ეროვნულ სფეროში დაგროვილი გადაუწყვეტელი პრობლემების შესახებ შესაძლებელი გახდა ხმამაღალ მსჯელობა, ამაღლდა ეროვნული გრძნობა, ბევრს გაუჩნდა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილი, რაც კიდევაც განახორციელა. რა თქმა უნდა, არც თუ უმნიშვნელო როლი ითამაშა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, უკეთესი საცხოვრებელი პირობების ძიებამ და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა. მაგრამ რუსების რაოდენობის შემცირება, გარკვეულწილად, ერთმა ფაქტორმაც განაპირობა, კერძოდ, უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ 18364 კაცი შეადგინა. ამრიგად, რუსების 241101 კაცით შემცირება გამოიწვია, ერთი მხრივ, მისი მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ (18364 კაცი), მეორეს მხრივ, ძირითადად რუსეთში საცხოვრებლად წასულამ (162737 კაცი) და, მესამე მხრივ, საქართველოში საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში მოსამსახურე დაახლოებით 60000 რუსის გასვლამ. სწორედ აღნიშნული ფაქტორების გამო, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მილიონობით შემცირდა რუსების რაოდენობა. მაგალითად, მოსახლეობის უკანასკნელი ორი აღწერის პერიოდში (10-12 წელიწადში) რუსების რაოდენობა უკრაინაში 3 მილიონით შემცირდა, ყირგიზეთში – 313 ათასით, აზერბაიჯანში – 250 ათასით, ლატვიაში – 202 ათასით და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ რუსეთში 1989-2002 წლებში საცხოვრებლად თითქმის 11 მილიონი კაცი ჩავიდა, ხოლო რუსეთიდან 5,4 მილიონი კაცი გაეიდა. ამრიგად, მიგრაციული მატება 5,6 მილიონ კაცს უდრიდა. ამავე პერიოდში რუსეთის მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ 7,4 მილიონი შეადგინა, რომლის 3/4-ის კომპენსაცია მიგრაციული მატების ხარჯზე მოხდა. ამის შედეგად, რუსეთის მოსახლეობა 1989-2002 წლებში ნაცვლად 7,4 მილიონისა, მხოლოდ 1,8 მილიონი კაცით შემცირდა. მიგრაციული მატების დიდ უმრავლესობას კი იმიგრანტები შეადგენდნენ ბალტიის პირეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან.

ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და მიგრაციული პროცესების შესახებ ერთი ფაქტის შესახებაც უნდა აღინიშნოს. ხშირად რუსი პოლიტიკური მოღვაწეები ქართველებს აყვედრიან, რომ რუსეთში თითქოს ერთ მილიონამდე ქართველი ცხოვრობდეს, რომლებიც იქ მუშაობენ და მოღებული გასამრჯელოთი საქართველოში არჩენენ ოჯახებს. რა თქმა უნდა, ქართველების გარკვეული რაოდენობა, მართლაც, მუშაობს რუსეთში, მაგრამ ისინი იქ საქმესაც აკეთებენ და თავიანთი ოჯახების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, რუსეთის ბიუჯეტის შევსებაში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ, თუმცა, არაეითარი ასი ათასობით და, მით უმეტეს, მილიონი ქართველი იქ არც ცხოვრობს და, მაშასადამე, არც მუშაობს.

რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით რუსეთში მუდმივად 198 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს – 131 ათასი. ე.ი. რუსეთში ორი უკანასკნელი აღწერის პერიოდში (1989-2002 წლებში) მუდმივად მცხოვრები ქართველების რაოდენობა მხოლოდ 67 ათასით გაიზარდა. ამავე 2002 წელს რუსეთში მუდმივად ცხოვრობდა 1130 ათასი სომეხი და 621 ათასი აზერბაიჯანელი,[3] მაშინ როდესაც 1989 წელს მათი რაოდენობა შესაბამისად 532000 და 356000 უდრიდა. ამრიგად აღნიშნულ პერიოდში რუსეთში მუდმივად მცხოვრები სომხების რაოდენობა 598 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებისა 265 ათასით გაიზარდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ლოგიკურია ასეთი კითხვაც დაისვას: თუ რუსეთში ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს, მაშინ დანარჩენ უცხოეთის ქვეყნებში – საბერძნეთში, თურ-

ქეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლანდიაში, აშშ-ში და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში სულ მცირე ერთი მილიონი ქართველი უნდა ცხოვრობდეს. გამოდის, რომ საქართველოში ქართველი თითქმის აღარ დარჩენილა. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ, მეტად საყურადღებო, ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველომ, ძირითადად რუსეთიდან, ასი ათასობით ევაკუირებული მოსახლეობა მიიღო და ეს გასაგებიც არის. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური პუნქტები, რომლებსაც ეევლებოდათ მათი ნორმალური საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა, სურსათ-სანოვაგით მომარაგება, სამედიცინო მომსახურება, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დაკმაყოფილება. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ისტორიკოს ე. კუპატაძის გაანგარიშებით 1942 წლის 1 აგვისტოსათვის ჩვენს ქვეყანაში ევაკუირებული იყო მარტო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 292000 წევრი. განსაკუთრებით ზრუნეას იჩენდნენ მათი დასაქმებისათვის. ომის პირველი წლის დასასრულისათვის სამუშაოზე უკვე მოაწყვეს ევაკუირებული შრომისუნარიანი მოსახლეობის 80 პროცენტი. ყოველივე ეს მეტად რთულ და მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ ამის შესახებ არაფის დაუწერია. საკმარისია ითქვას, რომ ჰატარა ქალაქ ფოთის მოსახლეობა ომის წლებში სამჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში საქართველოში მოეწყო ევაკოსპიტალები, სადაც სამედიცინო მომსახურება გაუწიეს 497 ათას დაჭრილ და ავადმყოფ მეომარს, რომელთაგან 254 ათასი ფრონტზე დაბრუნდა. ომის მძიმე წლები საქართველოში გაატარეს ცნობილმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მსახიობებმა: ე. ვერესაევმა, ი. ნოეკიევმა, ი. ნეჟნიმ, ს. პროკოფიევმა, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ე. კაჩალოვმა და სხვ. ამას გარდა, ათასობით უპატრონო ბავშვი ორგანიზებულად ჩამოიყვანეს საქართველოში, რომლებსაც აქ სითბო და მზრუნველობა არ მოელებიათ. ევაკუირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოში დარჩა საცხოვრებლად. სწორედ ამაზე მიუთითებს მოსახლეობის აღწერები. კერძოდ, 1939 წელს საქართველოში 308 ათასი რუსი ცხოვრობდა, ხოლო 1959 წელს – 408 ათასი, ანუ 100 ათასით მეტი. ამავე პერიოდში სომხების რაოდენობა საქართველოში 414 ათასიდან 443 ათასამდე გაიზარდა, ე. ი. რაოდენობრივად რუსებზე გაცილებით მეტი სომეხი მოსახლეობა, რომლის ბუნებრივი მატებაც შესამჩნევად მაღალი იყო რუსებთან შედარებით, მხოლოდ 29 ათასით გადიდდა. ომის შემდეგ საქართველოში საცხოვრებლად სულ ცოტა 80 ათასი რუსი დარჩა. გასაგებია, რომ ეს იყო ომის მძიმე წლები, მაგრამ ქართველმა ხალხმაც არანაკლებ მძიმე წლები გადაიტანა უკანასკნელ ხანს.. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აფხაზეთის ტრაგედია რუსმა ექსტრემისტულმა ძალებმა დაგეატეხეს თავს. ასე რომ, დასაკვედრებელი, დამატებით კიდევ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტის გახსენების გარეშეც, რბილად რომ ეთქვათ, ქართველ ხალხს არაფერი აქვს.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ მთელი 200 წლის განმავლობაში საქართველოში მცხოვრები რუსი ხალხის მიმართ ანტირუსულ განწყობას ადგილი არასოდეს პქონია, ამის ერთი ფაქტიც არ არსებობს. მიუხედავად ამისა საქართველოდან, ისე როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რუსების ემიგრაციამ რუსეთში, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ინტენსიური ხასიათი მიიღო. ეს პროცესი დაჩქარა რუსეთში მიღებულმა კანონებმა, რომლებიც ითვალისწინებს დახმარებას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თანამემამულეთა ისტორიულ სამშობლოში საცხოვრებლად დაბრუნების შემთხვევაში[4].

ლიტერატურა

---

[1] Хорев Б. Демографические итоги 2001 года. Население и кризисы. Выпуск восьмой. Москва, 2002, с. 46.
[2] Борисов В. Демография. Москва. 1999, с. 191.
[3] Основные итоги Всероссийской переписи населения 2002 года. М., 2004, с. 13.
[4] Комахия М. Славянское население Грузии. Жур. «Центральная Азия и Кавказ», №4, 2007, с. 154.

ებრაელები

ებრაელები ისტორიულად ძველი ებრაელებიდან მომდინარე ხალხის საერთო ეთნიკური სახელია. ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ისინი მოხსენებული არიან ებრაელებად და ურიებად (ურიანი). ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში ებრაული სახელმწიფოები იყო ისრაელის სამეფო და იუდეველთა სამეფო. ეს ორი სამეფო წარმოიშვა ძვ. წ. 929 წელს ისრაელის ერთიანი სამეფოს დაშლის შედეგად.

ძვ. წ. 722 წელს ისრაელის სამეფო დაიპყრო ასურეთმა, ხოლო იუდეველთა სამეფო ძვ. წ. 586 წელს – ბაბილონმა. ამ დაპყრობებმა განაპირობა ებრაელთა განსახლება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და იქ ებრაული დიასპორების შექმნა. თვით ტერმინს დიასპორას, რომელიც ბერძნული სიტყვაა და გაფანტვას ნიშნავს, თავდაპირველად იყენებდნენ პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელების მიმართ. ებრაელები აქტიურად ჩაებნენ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, თუმცა შეინარჩუნეს რელიგიური და ეროვნული თავისებურებები. ებრაელთა ნაციონალური კონფესია არის იუდაიზმი. ძველი აღთქმა საერთო პირველწყაროა ქრისტიანებისა და იუდეველებისათვის, მაგრამ მის ძირითად არსს თითოეული სხვადასხვაგვარად აცნობიერებს. იუდაიზმის მიმდევრებისათვის მიუღებელია ერთარსება – სამების რწმენა.

ქართული წერილობითი წყაროების თანახმად ებრაელები საქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრობენ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად ქართველებთან მცხოვრები ეთნოსებიდან ებრაელებს საქართველოში ცხოვრების ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვთ, რომელიც 26 საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს. საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ საქართველოში ებრაელების მოსვლას ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს. XI საუკუნის ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი, რომელმაც საქართველოში ებრაელების გადმოსახლების პირველი ცნობა შემოგვინახა, აღნიშნავს, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აოხრების შემდეგ განდევნილი ებრაელები ქართლში მოვიდნენ. საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის მამასახლისს ისინი ხერკში, მცხეთის მახლობლად დაუსახლებია. კერძოდ, ლეონტი მროველი აღნიშნავს: „ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანაკი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის“[1]. XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ებრაელთა ჩამოსახლების შესახებ კი აღნიშნავს: „შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდონოსორისაგან“ და ისინი მცხეთელმა მამასახლისმა ხერკში დასახლაო[2]. დაეთო რეტორს ხერკად საგურამო მიაჩნია[3]. ხერკის ცენტრი უნდა ყოფილიყო ზედაზნის ციხე. მართალია, ჩვენი ისტორიკოსების ორიეე ცნობის მიხედვით ებრაელები ხერკში დაუსახლებიათ, მაგრამ ამ ცნობებში ჩანს ერთი არსებითი განსხვავება. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ებრაელები საქართველოში „კვალად მოვიდნენო“, ე.ი. ებრაელები ადრეც მოსულან საქართველოში. ვახუშტისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო ისრაელის სამეფოს კატასტროფა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 722 წელს მოხდა, როდესაც ასურელები ისრაელში შეიჭრნენ და მისი დედაქალაქი სამარია დაიპყრეს. როგორც ჩანს, ებრაელთა ნაწილი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნე-

ში გადმოიხეენა საქართველოში. ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროველისა და ეახუშტი ბატონიშვილის ნაშრომებში კი აისახა ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს ნაბუქოდონოსორის მიერ იუდეაში დატრიალებული ტრაგედია. ამ ცნობებს შორის განსხვავება ისაა, რომ ეახუშტისათვის ცნობილია უფრო ადრე, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში ებრაელების დასახლება ქართლში. ამიტომ აღნიშნავს ეახუშტი, რომ ებრაელები 586 წელს კელავე მოვიდნენ ქართლში და ისინი ისევე ხერკში დაასახლესო. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ებრაელები 28 ან სულ მცირე 26 საუკუნეა რაც საქართველოში ცხოვრობენ.

ებრაელები შემდეგ წლებშიც ჩამოსახლებულან საქართველოში. როგორც „ქართლის ცხოვრება" გვამცნობს, კეისარ ვესპასიანეს დროს, როდესაც მან იერუსალიმი აიღო, დარბეული ებრაელები ქართლში მოვიდნენ და მცხეთაში ადრე მოსული ებრაელების გვერდით დასახლდნენ.[4]

უძველესი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ამ პერიოდში საქართველოს ქალაქები – მცხეთაში, ურბნისსა და სხვ. არსებობდა „უბანი ჰურიათა", სადაც ცხოვრობდნენ ებრაელების რელიგიური თემები, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი საკულტო ცენტრები: „ბაგინი ურიათა" – სინაგოგები.

საქართველოში ებრაელების შემოსვლა შემდეგ პერიოდშიც გრძელდებოდა. ცნობილია, რომ ბიზანტიის გაელით VI საუკუნეში ებრაელები ჯერ დასავლეთ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მეეიდრდებიან. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ებრაელები შემოდიან ირანიდან და ერაყიდან, ხოლო თურქეთიდან გადმოდიან არამეული ებრაელები (ლახლუხები). ამავე პერიოდიდან შედარებით დიდი რაოდენობით საქართველოში, ძირითადად ქალაქებში, ჩნდებიან მეფის რუსეთიდან გადმოსახლებული ევროპელი ებრაელები (აშკენაზები), რომლებსაც ჩვენში რუსულენოვან ებრაელებად იცნობენ.

ანტიკურ და გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოში ებრაელები ძირითადად ქართლში ცხოვრობდნენ, შემდეგ ისინი ქართლიდან ქვეყნის ყველა ისტორიულ კუთხეში განსახლდნენ – უმეტესად დიდ და მცირე ქალაქებში. მათი ძირითადი საქმიანობა აღებმიცემობა იყო, მისდევდნენ აგრეთვე ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართველ ებრაელებს შეეძლოთ შეეძინათ ადგილ-მამულები, პეოლოდათ ყმებად კრისტიანი ქართველები. ევროპაში ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. ამრიგად ქართველ ებრაელებს ქართველი მეპატრონეების თანაბარი უფლებები ჰქონდათ. მათ საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში არასოდეს განუცდიათ ეროვნული ჩაგვრა და სარწმუნოებრივი დევნა.

როგორც მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, საქართველოში ოდითგანვე ცხოვრობდნენ ებრაელები, მაგრამ ისინი შუა საუკუნეებშიც კი არ განიცდიდნენ დევნას ქართველების მხრივ, და ებრაელთა დარბევები, რაც ხშირად ხდებოდა და ახლაც ხდება ევროპაში, საქართველოში არასოდეს ყოფილა.[5]

ეს მოვლენა შეუმჩნეველი არც უცხოელ მოგზაურებს დარჩენიათ. კერძოდ, გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც 1778-1781 წლებში ერეკლე II-ის კარზე იმყოფებოდა, აღნიშნავდა: მდინარე ქსანსა, ლარგვსა და ალტარა ლიახეს შორის მდებარე ქართულ სოფლებში ებრაელები „ეწევიან მხოლოდ მემინდერეობას და სხვა ქართველი გლეხებიეთ ცხოვრობენ. ისინი ისევე დაბეგრილი არიან გადასახადებითა და საბატონო ბეგარით, მათთან ერთად მიდიან ომში და ქართველებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სახელწოდებით და რელიგიით".[6]

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ფრანგი მოგზაურის შარდენის მოსაზრება. იგი 1672-1673 წლებში მოგზაურობდა საქართველოში და ერცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი ფაქტი და მოვლენა. შარდენი ხაზგასმით აღნიშნავს იმ თავისუფლების შესახებ, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს აქვს მინიჭებული: „აქ უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი".[7]

საერთოდ ქართულ წერილობით წყაროებში არ ჩანს ებრაელთა შეეიწროების შემთხვევები. სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს კაეშირი არ გაუწყვეტიათ საქართველოსთან. ისრაელში საკმაოდ ბევრი ქართული წიგნი გამოდის, არსებობს რამდენიმე ქართულ-ებრაული ორგანიზაცია. ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთთანადგომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მიუხე-

დაეად სიშორისა, ახლაც ქართველებსა და ებრაელებს ერთმანეთს შორის მიმოსვლა არ შეუწყვეტიათ.

ქართველი შემატიანეები მიუთითებენ იმის შესახებ, რომ იმდროინდელ ქართლში ექეს ენას შორის, რომლებიც თანაბრად „იზრახებოდა“, ე.ი. მოსახლეობაში თანაბარი უფლებით სარგებლობდა, ებრაული ენაც ყოფილა. მიუხედავად ამისა, ებრაელებმა თავიდანვე შეისწავლეს ქართული ენა, ეზიარნენ ქართულ ადათ-წესებსა და ტრადიციებს. ებრაელებს დიდი როლი მიუძღვით საქართველოს გაქრისტიანებაში. ისტორიკოსი ლეონტი მროველი ხაზგასმით აღნიშნავს მცხეთელი ებრაელების და განსაკუთრებით ებრაელ ქალის სიდონიას ღვაწლს. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ქართველთა განმანათლებელმა ნინომ „ჰოვა ჰორია ერთი მღედელი, სახელით ,ბბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. ისინი მისი მოწაფეები გახდნენ და „ექუსნი დედანი სხუანი ,ურიანი“,[8] რომლებიც დაუცხრომლად ქადაგებდნენ ქრისტეს სჯულს. ებიათარ მღედელი ქრისტიანად მოქცეულმეე იუდაიზმის მიმდე�არი ყოფილა. სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია. ქრისტეს კვართის ჩამომტანი საქართველოში ასევე ებრაელია – ელიოზ მცხეთელი.

ფეოდალურ საქართველოში ებრაელები არა მარტო აღებმიცემობასა და ხელოსნობას მისდევდნენ, არამედ მიწასაც ამუშავებდნენ. მათი უფლებრივი მდგომარეობა ქრისტიანული მოსახლეობის ანალოგიური იყო. იმდროინდელი მოსახლეობის აღწერებში ხშირად გეხვდება ქართულ სოფლებში მცხოვრები ებრაელები. მაგალითად, ჩვენი ცნობილი ბიზნესმენის ბაღრი პატარაკაშვილის გვარი წარმოშობილია ქართული სახელისაგან პატარაკაი, რომელიც რამდენჯერმე ფიგურირებს 1781 წლის არაგვის საერისთაოს ბარის სოფლების აღწერის დაეთარში. ამ პერიოდში გვარს არა აქეს მიღებული დასრულებული ფორმა და ერთი და იგივე სახელის მქონე ადამიანები ერთმანეთისაგან რომ განასხვაონ, აღწერის დროს მათი მამის სახელსაც უთითებენ. კერძოდ, სოფელ ციხისძირში ცხოვრობდა პატარაკაის შვილი ჭიგო, უნდილანთ კარში – პატარაკაის შვილი ქიტესა, წინდუშეთის სახასოში – აზნაურ კობიაშვილის ყმა ინას შვილის პატარაკაის ობოლი და ბოგანო პატარაკაის შვილი ნაი'ხელი და სხვ.[9] პატარაკაი ქართული სახელია,[10] რომელმაც შემდგომ ჩამომაეალთა გვარი აწარმოვა. ქართული გვარების უდიდესი ნაწილი წარმოქმნილია სახელებისა და მეტსახელებისაგან, რომელთაც ემატებათ გვარის მაწარმოებელი სუფიქსი „ძე“„ „შვილი“ და მამაშვილობას გამოხატავს. მაგალითად, ჭიაბრის შვილი = ჭიაბრიშვილს, ივანეს შვილი = ივანიშვილს, თევდორეს ძე = თევდორაძეს, ლომინას ძე = ლომინაძეს, მახარას ძე = მახარაძეს, პატარაკაის შვილი = პატარაკაიშვილს და სხვ. ებრაელთა გვარების წარმოქმნაც ქართული გვარების წარმოშობის საერთო კანონზომიერებებს ემყარება. ჩნელია ამჟამად გადაჭრით იმის თქმა, ზემოთ აღნიშნულ არაგვის საერისთაოს ბარის სოფლებში მცხოვრები პატარაკაის სახელის მქონე ადამიანები და მათი შვილები ეროვნებით ებრაელები იყვნენ თუ არა, ან აქ დაედო თუ არა სახელი პატარაკაი საფუძვლად პატარაკაიშვილის გვარის წარმოშობას, მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ პატარაკაის სახელის მქონე ადამიანები შვილებს ან მათ შვილებს ქართულ სახელებთან ერთად ებრაული სახელები ჰქვიათ, კერძოდ, ინა და ნაი'ხელი. აქ იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი მოსაზრებით, პატარაკაშვილი, პატარაკაი, პატარაკაიშვილი... საჭოჭმანოდ საქცევი გვარ-სახელები არაა. როგორც ერთი, ყველა აღიშნული გვარი ქართველი კაცის საკუთრებაა და თუკი სადმე შემთხვევით რომელიმე პირი ებრაელად თავს თვლის, იგი მისი ნებასურვილია; ერთეული შემთხვევის განზოგადება დაუშვებელიცაა და უხერხულიც“.[11]

ანალოგიურადაა წარმოდგენილი ეინაობის შესახებ ცნობები მოსახლეობის უფრო ადრეული აღწერებში (მაგალითად, 1721 წლის აღწერა, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ სამხრეთ-დასაელეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ 1595 წელს მოსახლეობის დაბეგვერის მიზნით ჩატარებული საეოველთაო აღწერა და სხვ.). 1595 წლის აღწერაში, რომელიც „გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთრის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ეინაობის აღსანიშნაეად სახელი აწ, როდესაც ერთი და იგიეე სახელი რამდენიმე პირს ჰქვია, სახელი და მამის სახელი გეხვდება: პაპუნა გოგიჩა ანდრიას ძე, იეანე ივანეს ძე და ა.შ. შემდგომ ანდრიას ძე-დან გვარი ანდრიაძე, ხოლო ივა-

ნეს ძე-დან გეარი იეანიძე წარმოიშეა. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეს გეარები შეიძლება წარმოშობილიყო საქართველოს რამდენიმე კუთხეში. რადგან დაეითი, იაკობი, სიმონი, პეტრე, პაველ და სხვა სახელები კახეთშიც იყო გავრცელებული, ქართლშიც, იმერეთშიც, აჭარაშიც და სხვა კუთხეშიც. ასე წარმოიშეა ებრაელთა გეარებიც: სიმონიშვილი, იაკობაშვილი, იოსებაშვილი, პაატაშვილი, დაეითაშვილი, არონაშვილი, ისხაკაშვილი და ა.შ.

ქართველ ებრაელთა შორის გეხვედება რუსული ოე-ით დაბოლოებული გეარებიც: დავაროეი (პარალელური გეარია დავარაშვილი), მამისთვალოეი (მამისთვალაშვილი) და სხე. მე-19 საუკუნეში რუსული დაბოლოებით გაფორმებული გეარები ჩეეულებრიეი მოეელენა იყო, რის შესახებაც ვაეა-ფშაველა აღნიშნავდა: „მაშინ რაზიკოეად ვიზერებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც კი მიმეღო თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოება „ოეი“-თ“.[12]

ამრიგად, საქართველოში მცხოვრები ებრაელების ქართველ ხალხთან უალრესად ახლო ურთიერთობები ქართულ ონომასტიკაშიც აისახა — ებრაული გეარების წარმოქმნას ქართული გეარების წარმოშობის კანონზომიერებები უდევს საფუძვლად და ამდენად ქართველ ებრაელებსა და საკუთრივ ქართველებს ბეერი საზიარო გეარიც აქეს.

ებრაელები უძველესი დროიდან უმთავრესად ჩაინც დაბებსა და ქალაქებში, ხელოსნობისა და სააღებმიცემო ცენტრებში ცხოერობდნენ“.[13] მათი უმთავრესი საქმიანობაც აღებმიცემობა იყო, თუმცა ხელოსნობასა და მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. ხელისუფლება დაინტერესებული იყო სომხების მსგავსად, ებრაელების ვაჭრობით, რადგან ისინი მეფეს, ეკლესიასა და ბატონს ძირითადად თეთრით ემსახურებოდნენ. შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის მიჯნაზე ებრაელები ძირითადად უკვე ქალაქებში ცხოერობენ და თითქმის ყველგან ვაჭრობას ეწევიან. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს მიხედვით ებრაელები საქართველოს ყველა დიდ თუ მცირე ქალაქში სახლობენ და მათთან ერთად ყველგან სომხებიც ბინადრობენ. საქართველოში მთელი ვაჭრობა ამ ორი ეროვნების ხელშია თავმოყრილი. ებრაელებმა იმდენი ქონება დაგროვეს, რომ გახდნენ ყმებისა და მამულების მქონე დიდვაჭრები.

ქართულმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა თბილისელი „მკვიდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელის“[14] სახელი, რომელიც მე-12 საუკუნეში მოღვაწეობდა და ეროვნებით ებრაელი იყო. ასევე შემონახულია XIII საუკუნის ებრაელი მსხვილი ვაჭრის იოსებ ბუღფაბაისის სახელი, რომელიც მოხსენებულია კახა თორელის 1260 წლის რკონის მღვთიშობლისადმი სოფელ ხოვლეს შემოწირულობის სიგელში.

XI-XIII საუკუნეებში საქართველოში ვაჭრობა ინტენსიურად ეითარდება, მაღალგანვითარებული იყო ვაჭრული და ეახშური კაპიტალი. იზრდება ვაჭართა რიცხეიც. ყოველიე ამას ხელს უწყობდა საქართველოს ხელისუფლება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამას ემსახურებოდა ქვეყნის სამონეტო სისტემაც. ქართულ მონეტებს საერთაშორისო აღიარება რომ ჰქონოდათ, წარწერებს არა მარტო ქართულ, არამედ არაბულ და სპარსულ ენებზეც აკეთებდნენ. ამრიგად, „აღნიშნულ ეპოქაში კარგად არის შეგნებული როგორც ფულის ღირებულება, ისე ვაჭრობის მნიშვნელობა. ამით აიხსნება ის ყურადღება, რომლითაც სარგებლობენ ვაჭრები საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოერებაში და რომლის საფუძველზედაც მოხდა მათი დაყოფა „დიდ“ და, იგულისხმება, „მცირე ვაჭრებად“.[15] შეგთხვეევით არ არის, რომ დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თამარ მეფისა და გიორგი რუსი შეუღლების დიდმნიშვნელოვან საქმეში. სახელმწიფო დარბაზის დაეალებით მან ჩამოიყვანა ჩრდილო კაეკასიიდან თბილისში თამარის საქმროდ აარჩეული, რუსი ბატონიშვილი იური (გიორგი) ბოგოლიუბსკი. ჩანს, ის ჩაბმული იყო ჩრდილოეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, დიდვაჭრები სამეფოს ზოგიერთ საქმიანობაშიც იღებდნენ მონაწილეობას და სხვა სახელმწიფოებში დესპანად იგზავნებოდნენ ხოლმე. აღსანიშნაეია, რომ დიდვაჭრების მეშეეობით ხშირად არამარტო მეფე და სამეფო კარი, არამედ დიდებულებიც უკაეშირდებოდნენ უცხო ქვეყნებს, ისინი აგროვებდნენ სამხედრო ხასიათის ცნობებს, სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ეითარებას და ა.შ. ცხადია, ამ საქმეში დიდ როლს ებრაელი დიდვაჭრებიც ასრულებდნენ.

ამრიგად საქართველოს ეაჯრები სათანადო როლს თამაშობდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რაც მხატვრულად აისახა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ნაწარმოების პერსონაჟი, დიდეაჯარი უსენი მეფის დაახლოებული პირია:

„უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი,
წინა მიისეა, შეიძღენა, ძღვენი მიართეა რომელი?“[16]

ეაჯართა 'ეხუცესი უსენი ეხმარება გულანშაროს ხელმწიფეს მელიქ სურხაეს ფინანსურად, აგრეთვე რძალის არჩევაში. ნადიმზე მისული უსენი ძღვენის მირთმევის შემდეგ მეფეს შეკადრებს: „სხეა რამე მყაეს, სასძლო თქენი, შუსრთაეი თქენნის ძისა“. საგულისხმოა, რომ დიდეაჯარ ზანქან ზორაბაბელსაც დაეკალა თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოყვანა.

ებრაელები თბილისის გარდა, ეახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, საქართველოს სხვა ქალაქებშიც ცხოვრობდნენ, კერძოდ, ატენში, მბორეთში, ქცხილეანში, სურამში, ახალდაბაში, ახალციხეში, აწყურში, გოკიაში, შარალეთში, ქუთაისში, ჩიხორში, საჩხერეში, ონში, ოზურგეთში, აგრეთვე სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში: ჭალა-ტყეში, ხოტეესა და მუხაურში. ეახუშტი ამ ადგილების მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას თითქმის ყველგან ზოგადი ფრაზით აღნიშნავს: „მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი და ურიანი“, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის რაოდენობით ქართველები ჭარბობდნენ სომხებსა და ებრაელებს, ხოლო სომხები – ებრაელებს. იქ სადაც დაცული არ იყო ეროვნული შემადგენლობის ასეთი თანაფარდობა, ეახუშტი ამის შესახებაც გარკვევით მიუთითებს. „არს ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკრეულ იმიერ-ამერ, მოსახლენი ქართველნი და ურიანი“.[17] ამრიგად ახალდაბაში სომხები არ ცხოვრობდნენ. მეორე შემთხვევაში ეახუშტი აღნიშნავს: „მდინარის კიდეს, არს მუხაური, მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ეაჯარნი“.[18] ამ შემთხვევაში უკვე, როგორც ჩანს, ებრაელები რაოდენობრივად ჭარბობდნენ სომხებს.

საქართველოში მე-19 საუკუნემდე ებრაელების რაოდენობის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ წერილობით წყაროებში მათი რაოდენობის შესახებ, თუნდაც ცალკეული დასახლებული პუნქტის მიხედვით, მონაცემები არ არსებობს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც რუსეთის რეზიდენტს გადაეცა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ამ ფრიად საყურადღებო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „არს ქალაქი წილკანი და ამასა შინა მკეიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, ხიზნით, 700 კომლი. არს ქალაქი სურამი და ამასა შინა მკეიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, 200 კომლი... მაჩაბლის ოსი 860, ურია არის 40 კომლი.“[19] როგორც ეხედავთ, ებრაელების რაოდენობის შესახებ ცნობები დაზუსტებული არ არის. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ამ პერიოდში ებრაელები სხვა დიდ თუ მცირე ქალაქებშიც ცხოვრობდნენ, თუნდაც თბილისში. ამასთან დასახელებულ წყაროში შეუძლებელია ცალკე გამოიყოს ებრაული კომლების რაოდენობა. სამაგიეროდ ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს უცხოელ მოგზაურთა ნაშრომები. მაგალითად, იაკობ რაინეგსი ტრეედის (სამტრედიას) შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „გაშლილია და სხეადასხვა ხალხით, უმეტესად ებრაელებით არის დასახლებული“.[20] მისივე თქმით, შორაპანი, რომელიც ძველ დროში დიდი და კარგად გამაგრებული პუნქტი იყო, ახლა „მიტოვებულია და დანგრეული; მხოლოდ რამდენიმე ასეული ებრაული ოჯახი ცხოვრობს ძველი ციხის გარეთ მიწის ნაყოფიერებით მდიდრულად დასაჩუქრებული“.[21]

სამწუხაროდ, ეეროელი მოგზაურების ცნობების სანდოობა ეჭვს იწვევს, თუნდაც იმის გამო, რომ ფრანგი მოგზაური ეაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც საქართველოში ი. რანეგესზე ოდნავ გვიან, 1820-იანი წლების პირველ ნახევარში იმოგზაურა, აღნიშნავს: „იმერეთში, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ცხოვრობს... გაფანტული რამდენიმე ასეული ებრაული ოჯახი“.[22] საერთოდ, რაინეგსისა და გამბას ნაშრომების გაცნობისას ფაქტებისა და მოელენების აღწერის სანდოობის თვალსაზრისით მეტ ყურადღებას გამბას ნაშრომი იმსახურებს. მაშასადამე, ამ მოსაზრებითაც შორაპანში ნაელებ სავარაუდებელი ეცხოერა ასეულობით ებრაულ ოჯახს, როდესაც მთელ იმერეთში ცხოვრობდა ებრაე-

ლების ასეულობით ოჯახი. ამასთან, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნის დასაწყისში ბევრი ებრაელი ცხოვრობდა ქუთაისში. იგივე გამბა აღნიშნავდა: „ქუთაისში მოსახლეობა ჯერ კიდევ ცოტაა. დაახლოებით რეაალი ებრაელი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს. ისინი განაკერძოებულ უბანში ცხოვრობენ. ... ებრაელები ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ეაჭრობენ".[23]

საქართველოში ებრაელების რაოდენობის განსაზღვრა მე-19 საუკუნემდე ცალკეული პერიოდებისათვის შეუძლებელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცულ დემოგრაფიულ ცნობებს, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ებრაელების რაოდენობასა და მისი ზრდის მაჩვენებელს სხვა ეთნოსებთან ურთიერთკავშირში განვიხილავთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში 6 ათასი ებრაელი მაინც ცხოვრობდა. თითქმის ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი კ. ანთაძე: „XVIII საუკუნის მიწურულისათვის საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე ებრაელთა საერთო რიცხვი დაახლოებით 6,5 ათასს შეადგენდა".[24] ამიტომ ჭირს დათანხმო პროფ. ე. ჯაოშვილს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დადგენაში ცალკეულ პერიოდებში, მოსაზრებას 1800 წელს საქართველოში 3,3 ათასი ებრაელის ცხოვრების შესახებ".[25]

რუსეთის იმპერიაში, 1897 წლის ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, 5063 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, კავკასიაში – 40,5 ათასი, ხოლო საქართველოში 12,2 ათასი, მათ შორის: თბილისის გუბერნიაში – 5188, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 7006 ებრაელი.

1926 წლის აღწერით საბჭოთა კავშირში 2597,4 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. 1897 წელთან შედარებით ებრაელების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება იმ ტერიტორიების უცხოეთის სახელმწიფოებისათვის გადაცემამ გამოიწვია, სადაც ებრაელები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ.

1926 წელს საქართველოში 30,2 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, მათ შორის, 20,6 ათასი ქართველი ებრაელი იყო. ებრაელები ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოში 1970 წელს ცხოვრობდნენ – 55,4 ათასი. ამ პერიოდიდან იწყება ებრაელების საცხოვრებლად გადასახლება უპირატესად ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა კავშირში, რომელიც დახურულ სივრცეს წარმოადგენდა, სწორედ ამ პერიოდიდან დაუშვეს ებრაელების თავისუფალი გასვლა. ამის შედეგად ებრაელთა ემიგრაციის პროცესი სულ უფრო ინტენსიური გახდა. 1979 წელს საქართველოში 28,3 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს 24,8 ათასი. 2002 წლის აღწერით საქართველოში ებრაელების რაოდენობა მხოლოდ 4 ათას კაცს უდრიდა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის 0,1 პროცენტს შეადგენდა. საქართველოში ებრაელების ემიგრაცია 1970-2000 წლებში სხვადასხვა ინტენსიობით ხასიათდება.

1970-იანი წლების დასაწყისი იყო საბჭოთა კავშირიდან და, მათ შორის, საქართველოდან, ებრაელების ემიგრაციის პიკის პერიოდი. მხოლოდ 1971-1974 წლებში – 4 წელიწადში – საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში წაიცდა 25 320 ებრაელი ანუ საქართველოში მცხოვრები ებრაელების (1970 წელს ქვეყანაში 55,4 ათასი ებრაელი ცხოვრობდა) 45,7 პროცენტი.

1980-იან წლებში ებრაელთა ემიგრაცია საქართველოდან მნიშვნელოვნად შემცირდა – გართულდა ნებართვების გაცემა. 1987 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე ვაშინგტონში ეწვიტის დროს თავის კოლეგას შულცს შეპირდა საბჭოთა კავშირიდან წასვლის მსურველ ებრაელთა მიმართ ყველა ბარიერის მოხსნას. ორი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ სპეციალური განათლების მქონე ებრაელების ემიგრაცია გამოიწვევდა „ტვინების გადინებას" საბჭოთა კავშირიდან. საბოლოოდ ე. შევარდნაძის ჩარევით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

1990 წლიდან ისევ გაიზარდა ებრაელების ემიგრაცია საქართველოდან, რასაც სტიმული მისცა ქვეყანაში მომხდარმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ეკონომიკის გაჩანაგებამ, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღარიბებამ. 2001 წელს ისრაელში თბილისისა და ტელ-ავივის სახელმწიფო უნივერსიტეტების თანადგომით ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა 1970-იან და 1990-იან წლებში ემიგრირებულ ქართველ ებრაელებთან ემიგრაციის მიზეზების გამოკვლევის მიზნით.

კითხვაზე დატოვეთ თუ არა საქართველო ანტისემიტიზმის გამო, არც ერთ ებრაელს დადებითი პასუხი არ გაუცია. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ანტისემიტიზმი საქართველოში არ არსებობს[26].

საქართველოს მეზობელ რესპუბლიკებში – სომხეთსა და აზერბაიჯანში ებრაელები ასევე ძველი დროიდან ცხოვრობენ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სომხეთში ებრაელები ცხოვრობდნენ სომხური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, მათ მოიტანეს სომხეთში ახალი კულტურა. მე-7 საუკუნის დასაწყისში სომხებსა და ებრაელებს შორის დამოკიდებულება გამწვაედა. ებრაელები სომხეთში ჩანან არაბთა პირველი შემოსევების დროსაც (VII საუკუნის 40-იანი წლები), მაგრამ არაბების მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, ისტორიული წყაროები მათ აღარ ახსენებენ.[27] მე-20 საუკუნეში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მონაცემების მიხედვით, სომხეთში ებრაელებს ათას კაცზე მეტს არასოდეს უცხოვრია, ხოლო უკანასკნელი აღწერის (2001 წ.) მონაცემების თანახმად, სომხეთში ებრაელები თითქმის აღარ ცხოვრობენ.[28] რაც შეეხება აზერბაიჯანს, 1897 წელს აქ ცხოვრობდა 8,4 ათასი ებრაელი. 1926 წელს აზერბაიჯანში ებრაელების რაოდენობამ 30,8 ათას კაცი შეადგინა, 1970 წელს – 41,3 ათასი. ამის შემდეგ, ისე როგორც საქართველოში, აზერბაიჯანში ებრაელების რაოდენობა სწრაფად მცირდება და 1999 წელს მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად ქვეყანაში 8,9 ათასი ებრაელი ცხოვრობდა.[29]

ებრაელების ემიგრაციის დინამიკა საქართველოდან 1970-იან და 1990-იან წლებში

წლები	რაოდენობა	წლები	რაოდენობა
1971	4 300	1990	1 346
1972	10 900	1991	1 407
1973	7 450	1992	2 595
1974	2 670	1993	3 750
1975	870	1994	3 295
1976	496	1995	2 275
1977	436	1996	1 493
1978	930	1997	1 107
1979	1 139	1998	944
1980	818	სულ	48 221

წყარო: Квирикашвили Э. Эмиграция грузинских евреев в Израиль. Жур. «Центральная Азия и Кавказ». № 6, 2003, с. 211.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები რჯულისმიერი ცხოვრების სტილის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: სეფარადებად და აშკენაზებად. ქართველი ებრაელები (დაახლოებით 80 პროცენტი) თაეიანთ თავს სეფერადებად თვლიან.

საქართველოში ებრაელთა ცხოვრების შესახებ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელებისათვის საქართველო ნამდვილი სამშობლო გახდა. არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი ცნობა რუსეთთან შეერთებამდე, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები რაიმე შევიწროებას განიცდიდნენ. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგაც ებრაელების უფლებების ცალკეული შეზღუდვები მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებიდან მოდიოდა. პროფ. კ. ანთაძეს აღნიშნულთან დაკავშირებით მოყავს ასეთი მაგალითი: ნიკოლოზ I-ის გამეფებისთანავე დაისვა საკითხი საქართველოში ებრაელთა ცხოვრების უფლების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ ეს ღონისძიება არ განხორციელდა. საქართველოს მთავარმართებელმა კატეგორიულად განაცხადა ქართველ ებრაელთა გადასახლება შეუძლებელიაო: ისინი უძველესი დროიდან საქართველოში ბინადრობენ, არიან ყმა-გლეხები, მისდევენ სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობას და თუ მათ ხელს ვახლებთ, ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესები შეიალახებაო. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა და 1837 წლის 18 მაისს ქართველ ებრაელებს მუდმივი ბინადრობის უფლება მიეცათ, სხვა ებრაელებს კი, გარდა ხელოსნებისა, რომელთაც დროებით ბინადრობის უფლება მიიღეს, აეკრძალათ საქართველოში ცხოვრება.[30] აღსანიშნაეია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში ყმა ებრაელს უფრო მსუბუქი ყმობა ჰქონდა და ეაჭარ ებრაელს უფრო ნაკლები გადასახა-

დი, ეიდრე ქართველს.

სხვა ქვეყნებში ებრაელს უყურებდნენ როგორც უცხო ელემენტს და იზოლაციაში აქცევდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. უამრავი მაგალითი არსებობს, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში, ებრაელებისთვის უფლებების აყრის, მათი ღირსების უფხქევშ გათელვის შესახებ. ესპანეთში, სადაც ებრაელები უძველეს დროში დასახლდნენ, ჯერ კიდევ VII საუკუნეში ტოლედოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ყოველი ებრაელი ეალდებული იყო ერთი წლის განმავლობაში გაქრისტიანებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოერთმეოდა ქონება, დაერტყმოდა ასი როზგი და, სამუდამოდ შერცხვენის ნიშნად, თაეიდან და შუბლიდან ტყავს ააძრობდნენ და სამშობლოდან გააძევებდნენ. ასეთიეე უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ებრაელები საფრანგეთში, საიდანაც ჯერ 1182 წელს, ხოლო შემდეგ 1306 და 1501 წლებში გაასახლეს. მათ უძრაეი და მოძრაეი ქონება კი მთლიანად სახელმწიფომ დაისაკუთრა (მაგალითად, 1306 წ.). ებრაელები, მართალია, კელაე დაბრუნდნენ საფრანგეთში, მაგრამ მათი ცხოერება გაუსაძლისი იყო.[31] ისინი ეეროპის არც სხვა და მუსლიმანურ ქეეყნებში ცხოერობდნენ დამშეიდებით.

არნახულად არბეევნენ და აწიოკებდნენ ებრაელებს რუსეთში. მწერალმა დაეით კლდიაშეილმა შემოგეინახა ქართველებისა და ებრაელების ურთიერთთანადგომის ერთი უბადლო მაგალითი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1905 წელს: „რუსეთიდან საზარელი ამბები მოდიოდა, განსაკუთრებით საზარელი ამბები იყო ებრაელების დარბეევის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ბეერ ქალაქში. აბობოკრებული ბრბო შაერაზმელების ხელმძღვანელობით უმოწყალოდ ჟღლეტდა, შეუბრალებლად აცამტეერებდა ებრაელობას, არ ზოგავდა არაფრით. ეს ჟღლეტა წარმოებდა, როგორც შემდეგში გამოირკეა, მთავრობის ნებართვით და ხელშეწყობით. ებრაელების ამგვარი ჟღლეტა მოხდა ოდესაში... სისხლი იღერებოდა ყოეელ ფეხის ნაბიჯზე,, ქუჩები მოფენილი იყო... უამრავი მსხეერპლი. დაიღუპა უთვალაეი ხალხი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერი, ოდესის უნიეერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე (საბა) კლდიაშეილი. ხალხის საზარელი ჟლეტის მაყურებელს ეერ მოეთმინა სახლში ყოფნა და საკოდაეთა მისაშეველებლად გამოეიდა ქუჩაში და ისიც შეუბრალებლად ყაზახების ნასროლი ტყვიით გამოსალმებულ იქნა წუთისოფელს... უნიეერსიტეტმა მისი ნეშტი გადმოზაეანა საქართველოში განსასვენებლად.

ბათუმი დიდად ემზადებოდა მოკლულის ცხედრის მისაღებად. დილა იყო, როცა გემი მოადგა ნაპირს. გემიდან გადმოასვენებს მიცვალებული. მახლობლების გარდა იქ არავის უშეებდნენ, მაგრამ, რაღაც ხერხით, ერთ ჯარისკაცს მაინც მოეხერხებინა და მიიჭრა კუბოსთან... მან მიმართა მიცვალებულს:

— ძვირფასო ადამიანო, შენ ჩეენთვის გასწირე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერება, შენი ყველაფერი, ჩეენი საცოდაეი ხალხის მისაშეველებლად გამოხვედი... შენც იგი გხედა, რაც ჩეენებს და ჩეენ არასოდეს დაეიეიწყებთ შენს ჩეენდამი გულკეთილობას, შენს სახელს, ჩეენთვის ძვირფას სახელს! გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო! შეჩეენება შენს მკელელებს, ჩეენ მტარეალებს!

მწარედ აქვითინებული იგი გაშორდა კუბოს.

იგი იყო ებრაელი ჯარისკაცი".[32]

ასეთი მაგალითების მოყეანა მრაელად შეიძლება. ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღეაწეებმა ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშეილმა, ან. ფურცელაძემ და სხე. მე-19 საუკუნეში არაერთხელ აღიმაღლეს ხმა ებრაელთა უფლებებისა და მათი ღირსების დასაცავად. თვით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც არ ერიდებოდნენ ქართველები დაეცვათ ებრაელი ხალხი უსამართლობისა და შეურაცხყოფისაგან. ამ მხრივ საინტერესოა 1916 წლის 11 მარტის გაზეთ „სახალხო ფურცელში" მოთაესებული პუბლიკაცია:

„რუსეთის სახელმწიფო სათათბირო,

დეპუტატი ზამისლოვსკი: წყნარად ეერ ვილაპარაკებ „ებრებზე", ვინაიდან ისინი სამშობლოს მოღალატეები არიან...

დეპუტატი ჩხენკელი: გთხოეთ ასე ნუ ლაპარაკობთ, ეს არ არის საპარლამენტო გამოთქმა.

ზამისლოვსკი: რა სამარცხვინო დროებაა, რომ რუსეთის სათათბიროში „ებრებზე" ლაპარაკის ნებას არ გვაძლეეენ!

ჩხენკელი: თქეენ გეუბნებიან, არ იხმა-

როთ ასეთი სიტყვები!

ზამილოვსკი: დიახ, სიძვირის უმთავრესი მიზეზიც „ჯიდები" არიან.

ჩხენკელი: ხულიგნებო!

თავმჯდომარე: სხდომიდან გააძევეთ დეპუტატი, რომელმაც ასეთი სიტყვა იხმარა.

ჩხენკელი გააძევეს".[33]

ბუნებრივია, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ედო საფუძვლად საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნაში ებრაელებისადმი სიძულვილს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ უძველეს პერიოდში მაღალი კულტურის მატარებელი ებრაელი ხალხი თავისი საშობლოდან გამოქცა მტრის საშინელ სისასტიკეს და თავი შეაფარა სხვადასხვა ქვეყანას. იმ შორეულ წარსულშიც მათ კარგად პქონდათ გათვითცნობიერებული ეროვნული შეგნების, ტრადიციებისა და ადათ-წესების დაცვის მნიშვნელობა. მიუხედავად სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრებისა, მათ არათუ დაკარგეს ყოველივე ეს, არამედ გადასცეს თაობიდან თაობას და განაკითარეს. მათ არც თავის მიწა-წყალზე დაბრუნებისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის რწმენა და იმედი დაუკარგავთ, რაც ებრაელებს ასულდგმულებდა საუკუნეების განმავლობაში.

თავიდანვე მაღალი კულტურის მატარებელი ებრაელი ხალხი, ბუნებრივია, გადარჩენისა და მარადიულ მიწაზე დაბრუნების იმედს განათლებისა და სიმდიდრის დაგროვებაში ხედავდა. მათი ცხოვრების პრიორიტეტიც განათლებული თაობის აღზრდა და ეაჭრობა გახდა. შედეგიც სასურველი მიიღეს: კაცობრიობა ბევრადაა დავალებული ებრაელი მეცნიერების უდიდესი ფუნდამენტური აღმოჩენებით, ებრაული კულტურისა და ხელოვნების მიღწევებით. ეაჭრობის შედეგადაც მათ დიდი სიმდიდრე დააგროვეს, მოახერხეს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაულ თემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარება. ამის გამო არ დარღვეულა მათი ეროვნული სულიერებისა და განვითარების საერთო ხაზი. გარკვეულწილად ებრაელების ფუნდამენტური აღმოჩენები, თამამი იდეები და, რაც მთავარია, ეაჭრობის შედეგად მოპოვებული და დაგროვილი დიდი სიმდიდრე აღიზიანებდათ სხვადასხვა ქვეყნის მმართველ და მდიდარ ელიტას. ისინი ებრაელებში ხედავდნენ, არც თუ უსაფუძვლოდ, ძლიერ მეტოქეს, რომელთა ხელში ექცეოდა ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი, რის გამოც ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში მათ მიმართ დრაკონულ კანონებს ღებულობდნენ.

1998 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ქართველი და ებრაელი ხალხის ისტორიაში. ამ წელს მათ იზეიმეს ერთად თანაცხოვრების 26 საუკუნე. ასეთი იუბილე უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა ებრაელებმა მიიღეს თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე დაბრუნების ნებართვა, საქართველოში მცხოვრები ებრაელების დიდი ნაწილი, მათიევე თქმით, საცხოვრებლად გადავიდა საშობლოდან საშობლოში.

ლიტერატურა

[1] ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 15-16

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 53

[3] იქვე. სქოლიო.

[4] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 44

[5] ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1954, გვ. 366-367.

[6] ი. რაინგსი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 150.

[7] შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 297-298.

[8] ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 95.

[9] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967, გვ. 121, 125, 138-139.

[10] აალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 176

[11] ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები. ტ. II, თბ., 1999, გვ. 496.

[12] ეიეა-ფშაველა. თხზულებთა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V, თბ., 1961, გვ. 438.

[12] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3; თბ., 1978, გვ. 667.
[14] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 37.
[15] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, თბ., 1958, გვ. 31.
[16] შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, პალეე ინგოროყვას რედაქციით, წიგნი პირველი, თბ., 1970, გვ. 342
[17] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 380.
[18] იქვე, გვ. 376.
[19] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თქ., 1965, გვ. 420.
[20] იაკობ რაინეგსი. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
[21] იქვე, გვ. 129.
[22] ეაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 214.
[23] ეაკ ფრანსუა გამბა. დასახ. ნაშრომი, გვ. 134.
[24] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 146.
[25] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 82.
[26] Кирикашвили Э. Эмиграция грузинских уврсев в Изариль. Жур. «Центральная Азия и Кавказ». № 6, 2003, с. 208-210.
[27] ვ. მამისთვალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7.
[28] Результатыт переписи населения республики Армения 2001 г. Эревая, 2003, с. 360.
[29] Popylation of Azerbaijan. Baku. 2006, 23 p.
[30] ბ. შუკიანი. საქართველოს ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა XIX საუუკუნეში, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, გვ. 60-62.
[31] ვ. მამისთვალიშვილი. ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ., 1995, გვ. 4-6.
[32] დ. კლდიაშვილი. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II, თბ., 1981, გვ. 248-249.
[33] ციტირებულია: ნ. ბროლაძე. საქართველო ამას არ იმსახურებს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ოქტომბერი, 1996.

ბერძნები

ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებს უძველეს დროში აქვს ფესვი გადგმული. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ კავშირებს ნეოლითურ და ადრე ბრინჯაოს პერიოდებშიც კი ხედავს. როგორც აღნიშნავენ, ეგეოსური კულტურის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ადრე ბრინჯაოს კულტურის ფორმირებაც საშხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიური იმპულსების შედეგები უნდა იყოს. რაც მეტად მნიშვნელოვანია, ქართველი და უცხოელი მეცნიერების (ე. ფურნეე) ნაშრომების მიხედვით, წინაბერძნულ ენობრივ მასალაში, რომელიც შემოგვინახა ბერძნულმა ენამ, შეგვიძლია გამოვყოთ ერთი ნაწილი სიტყვებისა და ფუძეებისა, რომელნიც აშკარა საკუთრივ ქართველურ ენობრივ სამყაროსთან უნდა გვიჩვენებდნენ მიმართებას.[1] საყურადღებოა ბერძენ ავტორთა ცნობები ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში ხალხთა გარკვეული მასების მიგრაციული ნაკადების მიმართულების შესახებ, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ეგეოსის ზღვის აუზიდან კავკასიისაკენ, თუმცა უფრო ადრე, როგორც სათანადო მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს ან II ათასწლეულის დასაწყისში ადგილი ჰქონია ქართველური ტომების ერთი ნაწილის მიგრაციას კავკასიიდან ეგეოსის ზღვის აუზისაკენ, რომელსაც დაუმკვიდრებია აქ წინაბერძნული კულტურის ქართველური კომპონენტები.[2] პროფესორი რ. გორდეზიანი სიფრთხილეს იჩენს და აღნიშნავს, რომ ეს მიგრაციები შესაძლოა უნდა დაუკავშირდეს პელასგთა – ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ წინაბერძნული ტომის გამოჩენას ისტორიულ ასპარეზზე.[3]

საკუთრივ ბერძნულ ტომთა დამკვიდრებამდე კუნძულ კრეტაზე ძვ.წ. III-II ათასწლეულში შეიქმნა მაღალგანვითარებული მინოსის კულტურა, რაც თვით ელინური წყაროების მიერ დადასტურებული ფაქტია. მხოლოდ ამ კულტურის დაქვეითების შემდეგ ბერძნულენოვანმა ტომებმა შექმნეს მიკენის კულტურა, რომელიც ჩამოყალიბდა მინოსის კულტურის ძლიერი ზეგავლენით და კრეტა-მიკენის კულტურის ბოლო საფეხურია (ძვ.წ. XVI საუკუნის დასასრული – ძვ.წ. XII საუკუნე). მიკენის კულტურის დაცემას მიაწერენ ბერძნული ტომების – დორიელების შემოსევას. ამრიგად ზემოთ აღნიშნული მასალა უფლებას გვიტოვებს ვთქვათ, რომ ქეული ბერძნული ტომები არ მოსულან ცარიელ ადგილზე და აქ მათ დახვდათ ქართველური ტომების მონაწილეობით შექმნილი შესანიშნავი ცივილიზაციები. ამის შემდეგ, როგორც მიუთითებენ, რამდენიმე საუკუნოვან დაქვეითებას მოჰყვა ბერძნული კულტურის, ახალი წმინდად ელინური ცივილიზაციის აღმავლობა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში კულტურული იმპულსების წყაროდ გადაიქცა.[4]

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ქართველური ტომების ეგეოსის ზღვის აუზში ბინადრობის შესახებ კატეგორიულად გამოთქვა პროფესორმა აკაკი ურუშაძემ.

ბერძნულ-ქართული ისტორიული ურთიერთობების ასპექტში საინტერესოა ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის აუზში მობინადრე წინარბერძნული ტომის პელასგების ეთნოგენეზისა და სხვა წინაბერძნულ ტომებთან ერთად მათი ძირითადად მცირე აზიის დასავლეთში გადმოსახლების საკითხი. მეცნიერებაში წამოყენებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად პელასგებს ახლო მიმართება უნდა ჰქონოდათ ქართველურ ტომებთან. ამ თვალსაზრისის წამოყენებას საფუძვლად უდევს მეცნიერულად დასაბუთებული მრავალი ენობრივი პარალელი, ანტიკურ წყაროთა მონაცემები, არქეოლოგიური მასალა. მაგალითად, პროფესორი აკაკი ურუშაძე, რომელმაც ეს საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა, უფრო შორს მიდის და აცხადებს,

რომ „ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც თავის მხრივ, უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ეხედებით არაპირდაპირ მითითებას და ზოგჯერ პირდაპირ მინიშნებასაც პელასგებისა და კავკასიური, კოლხური ტომების იდენტურობის შესახებ".[5] ოგი ენობრივი მასალის, ძველ ბერძენ ავტორთა ნაშრომებში დაცული ცნობების, სამეცნიერო ლიტერატურაში მკვეთრად წამოყენებული დამაჯერებელი მოსაზრებების საფუძველიანი ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ „მაკრონები (მაკრონები ბერძნული წყაროების მიხედვით ერთ-ერთი კოლხური ტომია – ა.თ.), ისევე როგორც ქართველთა სხვა წინაპარი ტომები, უძველეს ხანებში მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე კი არ ცხოვრობდნენ, არამედ შორს – დასავლეთითაც, ეგეოსის ზღვის რაიონში და მჭიდრო გენეტიკური კავშირი პქონდათ ამ რაიონის აეტოხთონ პელასგებთან".[6]

იგი საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს წინაელინური მოსახლეობის – პელასგებისა და ქართველთა წინაპარი ტომების მჭიდრო გენეტიკურ კავშირს.

ეოველიეკ ზემოთქმულის გამო აღნიშნავენ, თუ რატომ არ აისახა, რატომ არ შემორჩა ქართველი ტომების ეგეოსის ზღვის აუზებში ბინადრობისა და მაღალგანვითარებული კულურების შექმნაში მონაწილეობა ქართველი ხალხის ხსოვნაში. მოელენები, რასაც ადგილი პქონდა ძვ. წ. III და II ათასწლეულებში ისეთი ასაკოვანია, რომ ისინი, როგორც ჩანს, დაიბინდა ხალხის მეხსიერებაში, რასაც ხელი შეუწყო მტრის წინააღმდეგ გამუდმებულმა ბრძოლებმა საკუთარი სახის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის. მაგრამ არც სულ ასეა საქმე.

იტალელი მისიონერი და სწავლული დონ ქრისტეფორო დე კასტელი 1627-1654 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. მან ლათინურ ენაზე ჩაწერა ქართველი ქალის, ვინმე ქრისტინეს საოცარი ლოცვა, რომელიც შეუდარებელი ეროვნული გრძნობის მატარებელია. სწორედ ამ ლოცვაში საუბარია იმის შესახებ, რომ ქართველებს დიდი წელილი მიუძღვით ქვეყნიერების განათლებაში და ანტიკური ბერძნული სიბრძის წარმოშობაში. აღსანიშნავია, რომ კასტელმა შეისწავლა ქართული ენა და ნაკლებ დასაჯერებელია, რომ მან საკუთარი ინიციატივით ჩაამატა აღნიშნული აზრი ქრისტინეს ლოცვაში, უბრალოდ, შინაარსობრივად ასეთი აზრის ჩამატება კასტელს არც მოაფიქრდებოდა:

„ეს, ეუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მეესება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კენესის ქაოსად გადაქცეულა.

იმ ადამიანებზე ეტირი, რომლებიც ჩემი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან ზამაცი მებრძოლნი იყენენ და ახლა ეშმას მონებენ. საქართველოს იმ მიწას ეტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, ალთქმული წმინდა ქვეყანა და ქრისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის საძოვარზე ნარეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ეტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ეტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უეიცობის წყარო გამხდარა, სადაც თაეიანთი შემეცნების სიბრძაეის გამო, ბეერი სიღატაკეში ჩაეარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოეებულია".[7]

ბერძნები და რომაელები სხვადასხვა ქვეყნებში აარსებდნენ ახალშენებს, რომლებიც ანტიკური კოლონიების სახელით არის ცნობილი. საქართველოში ბერძნების პირეელი დასახლებები გაჩნდა შავი ზღვის სანაპიროზე. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე. შემდეგში აქ მრავალი ანტიკული ქალაქი და დასახლება წარმოიშვა.[8] საქართველოში მდებარე ანტიკური ქალაქებიდან განსაკუთრებით აღსანიშნაეია ფაზისი (თანამედროეე ფოთის რაიონი), დიოსკურია (თანამედროეე სოხუმი), ეანი და სხე., რაც უკეე თაეისთაეად მიუთითებს ანტიკური საბერძნეთისა და ძველი კოლხეთის მოსახლეობას შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაზე. ი. გარაყანიძის აზრით, თუ რა ბედი ეწია ძველ ელინ კოლონისტებს ჯერჯერობით უცნობია,[9] მაგრამ, ეფექრობთ, გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ ბერძენი მოსახლეობის ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი უცხოელთა შემოსეეების შედეგად დაიღუპა და, ალბათ, ყველაზე დიდი ნაწილის ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია მოხდა. ამდენად, უძველეს ეპოქოდში საქართველოში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობა უკეალოდ გაქრა. ბერძნების ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციის შედეგი უნდა იყოს გეარადქცეული ეთნონიმი

ბერძენი. ამავე ძირისაა გვარები ბერძენიშვილი, ბერძენიძე, ბერძენაშვილი, ბერძენაძე, ბერძენია, ბერძნიშვილი და სხვ. ეს მით უფრო საგულისხმობა, რომ ეთნონიმი ბერძენის გვარადქცევას არაეთარი კაენური არ აქვს ახლანდელ ბერძნულ მოსახლეობასთან, რომელიც საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოვიდა. მაგალითად, ბარათაშვილის გაყრის საქმეზე მეფე დავით X-ის განჩინებაში, რომელიც 1523 წელსაა შედგენილი, ნახსენებია გვარი ბერძნიშვილი,[10] ხოლო XVII საუკუნეში შედგენილ ერთ-ერთ განჩინებაში კი აღნიშნულია: „არის მოფიცარი შვგდებული: ბერძნიშვილი შანშე".[11] ახლანდელი ბერძნების საქართველოში შემოსელამდე მრავალ დოკუმენტში გეხვდება გვარები: ბერძენიშვილი, ბერძენაშვილი, და სხვ. ყოველივე ეს შეიძლება ბერძნების უძველეს დროში საქართველოში ცხოვრებისა და მათი ქართულ მოსახლეობაში გათქვეფის გამოძახილიც იყოს.

ამგვარად საქართველოში მცხოვრებ ბერძენ მოსახლეობას არაეთარი კაენური არ აქვნია იმ ძველ ბერძენ მოსახლეობასთან, რომელიც ძველ დროში ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში. თანამედროვე ბერძნების წინაპრები საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებიდან, ანატოლიიდან გადმოსახლდნენ და ისინი ძირითადად „პონტოს" ბერძნები არიან. მათი ჩამოსახლება მეფე ერეკლე II-ის სახელს უკავშირდება, როდესაც ოქროს, ვერცხლის და სპილენძის საბადოების დასამუშავებლად მეფემ ამ საქმის მცოდნე ბერძენი ოსტატები მოიწვია. სულ ბერძენთა 800-ზე ოჯახი ახტალის მიდამოებში დასახლდა. სხვადასხვა მეცნიერი მათი ჩამოსახლების სხვადასხვა თარიღს ასახელებს. მაგალითად, პროფესორი კ. ანთაძე აღნიშნავს, რომ 1778 წელს ერეკლე მეორის მოწვევით ანატოლიიდან და გიუმიშახანიდან ჩამოვიდნენ ბერძნები.[12] პროფესორი ვ. ჯაოშვილი ეურდნობა რა პ. აკრიტისის ცნობას, ანატოლიიდან ბერძნების ჩამოსახლების თარიღად 1763 წელს ასახელებს[13], რომელიც ჩვენი აზრით, უფრო ახლოს დგას რეალობასთან. ახტალაში ჩამოსახლებული ბერძნების შთამომავლები არიან მარნეულის რაიონის სოფელ ოფრეთში ამჟამად მცხოვრები ბერძნები, რომელთა რაოდენობა 2002 წელს მხოლოდ 123 კაცს უდრიდა.[14]

მე-19 საუკუნის პირველ მესამედში ბერძნების საქართველოში ჩამოსახლება ინტენსიურ ხასიათის იღებს. 1813 წელს თურქეთიდან გადმოსახლდა 120 ოჯახი და დასახლდა ქართველების ყოფილ სოფელ წინწყაროში (თეთრი წყაროს რაიონი). უფრო ადრე (1806-1807 წლებში) ბერძნები ქვემო ქართლშიც დამკვიდრნენ. რუსეთ – თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად და თურქეთის ადმინისტრაციის მხრიდან რელიგიური და სამოქალაქო უფლებების უაღრესად შეეიწროების გამო თურქეთიდან ბერძნები რამდენიმე ეტაპად, კერძოდ, ოთხ ჯგუფად შემოვიდნენ საქართველოში. პირველად თურქეთის ქალაქების – მადანისა და გიუმიშხანის ეერცხლის სარეწაოებში მომუშავე 84 ოჯახი 1829 წელს დაიძრა საქართველოსკენ, რომლებიც სოფელ წინწყაროში ჩაასახლეს, სადაც ადრე ჩამოსახლებული ბერძნები ცხოერობდნენ. ამ სოფელში მიწის სიეიწროეის გამო ისინი საბოლოოდ სოფელ ბეშთაშენში დაასახლეს. მეორე ჯგუფი ბერძნებისა (34 ოჯახი) 1830 წელს დასახლდა თრიალეთში, კერძოდ, წალკის ციხის მახლობლად უკაცრიელ სოფელ ზემო ახალშენში. სოფელს სახელი გადაარქვეს და უწოდეს ბაშკეეჯ-ქანდიგი. მესამე ჯგუფი ბერძნებისა, რომელიც იმავე 1830 წელს ჩამოსახლდნენ წალკის მიდამოების მტო

1829-1831 წლებში თურქეთიდან გადმოსახლებულთა შესასწავლად უმთავრესი და ძირითადი წყაროა. ამის შესახებ როგორც საქართველოს, კავკასიისა და ამიერკავკასიის ოლქების მთავარმართებელი ბარონი როზენი აღიშნავდა, ფონ-კრონენკმა თავი მოუყარა „იმდენად ზუსტ და სრულ ცნობებს, რომ მისი გამოქვეყნა იმსახურებს დიდ ყურადღებასო“.[16] ამდენად 1829-1839 წლებში წალკის რაიონში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების რაოდენობისა და დასახლების ადგილების შესახებ ცნობები სანდოა და ეჭვს არ იწვევს. ბერძნებმა ქართველების ყოფილ ნასახლარებზე წალკაში 18 სოფელი გააშენეს. 1829-1830 წლებში წალკაში ბერძნების 642 ოჯახი დასახლდა. სულ კი წალკის რაიონში, როგორც ძველად დასახლებულები, ისე ახლად გადმოსახლებულები, ბერძნების 629 ოჯახი ცხოვრობდა.[17] თუ კომლზე საშუალოდ 6,5 წევრს ვივარაუდებთ, (კომლის საშუალო ზომა განესაზღვრეთ გადმოსახლებულთა ზოგიერთი ჯგუფში კომლებისა და სულადობრივი რაოდენობის შესახებ დაცული ცნობების საფუძველზე), მაშინ წალკაში მცხოვრები ბერძნების რაოდენობა 4088 კაცს შეადგენდა. ამავე პერიოდში პროფესორ ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით წალკის რაიონში 7 ათასამდე ბერძენი ცხოვრობდა,[18] ხოლო პროფესორ კ. ანთაძის გაანგარიშებით – თითქმის 5 ათასი,[19] რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებთ. აღსანიშნავია, რომ 1829-1830 წლებში თურქეთიდან ბერძნებთან ერთად სომხებიც გამდოსახლდა და მათი საერთო რაოდენობა აღწევდა 7 ათას კაცს. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ პერიოდში ფონ-კრონენკმა საკმაოდ ზუსტად დაადგინა გადმოსახლებულთა რაოდენობა.

ბერძნების საქართველოში გადმოსახლება მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. კერძოდ, ყირიმის ომის დროს (1854-1856 წლები) ბერძნების რამდენიმე ათეული ოჯახი ძირითადად ისევე წალკაში დასახლდა, 1864 წელს ბერძენთა 200-მდე ოჯახი უკვე გორისა (ციხისჯვაროში) და ახალციხის (მიქელწმინდაში) მაზრებში სახლდება. 1860-იანი წლების ბოლოდან ბერძნები მასობრივად სახლდებიან აფხაზეთში, ძირითადად სოხუმის მახლობელ სოფლებში. აქ მათ სამი სოფელი – ალექსანდროეკა, ოლგოსკოე და გეორგიევსკოე დაარსეს. ამ სოფლებში 1886 წელს შესაბამისად 186, 135 და 123 ბერძენი ცხოვრობდა.[20] აღსანიშნაია, რომ სოფელ ალექსანდროეკაში ბერძენი კალატოზები გენერალმა გეიმანმა დაასახლა 1869 წელს. ამ სოფელსა და სოფელ ოლგინსკოეში დასახლებულ ბერძნებს საკმარისზე ბევრად მეტი მიწის ნაკვეთები ჰქონდათ – მათ განკარგულებაში არსებული მიწების ერთ მეოთხედსაც ვერ ამუშავებდნენ. დანარჩენ მიწის ფართობებს ისინი ან ჰყიდდნენ ან იმარაგებდნენ (ს. ყაუხჩიშვილი).[21] ამავე 1886 წელს საქართველოში ბერძნების რაოდენობა უკვე 28774 კაცს უდრიდა, აქედან თბილისის გუბერნიაში – 22 171 და ქუთაისის გუბერნიაში – 6603 კაცს.

მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების თანახმად რუსეთის იმპერიაში 167 ათასი ბერძენი ცხოვრობდა, ხოლო კავკასიაში – 105 ათასი. საქართველოში ამ წელს 41600 ბერძენი ბინადრობდა (თბილისის გუბერნიაში – 27,1 ათასი, ქუთაისის გუბერნიაში – 14,5 ათასი). 1886 და 1897 წლებში საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა რაოდენობის შედარება მოწმობს, რომ ამ პერიოდში ბერძენთა იმიგრაცია ქვეყანაში გრძელდებოდა.

აღსანიშნაია, რომ მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში შემოსული ბერძნების დიდი ნაწილი ქალაქებში სახლდება (ბათუმი, სოხუმი, თბილისი). მაგალითად, თუ 1886 წელს სოხუმში 99 ბერძენი ცხოვრობდა, 1922 წელს სოხუმში უკვე 4922 ბერძენი ცხოვრობდა და აქედან 3381 ანუ 67,7 პროცენტი საქართველოს ფარგლებთ გარეთაა დაბადებული. ამავე 1922 წელს ბათუმში მცხოვრები 7 629 ბერძენიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებულია 71,3 პროცენტი, თბილისში მცხოვრები 1257 ბერძენისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 44,3 პროცენტს უდრიდა[22] და ა.შ.

მე-20 საუკუნეში საქართველოში მცხოვრები ბერძნები ძირითადად ბუნებრივი მატების შედეგად მრაველდება. 1926 წელს საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვროდა, ხოლო 1989 წელს – 100 ათასი, ანუ ამ პერიოდში საქართველოში მცხოვრები ბერძნების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა – 1,9-ჯერ გაიზარდა. 1989 წელს ბერძნები ყველაზე დიდი რაოდენობით წალკის რაიონში ცხოვრობდნენ (27 ათასი). ცნობილი მიზეზების გამო 1989-2002 წლებში დაახლოებით 85 ათასი

ბერძენი უცხოეთის ქვეყნებში, ძირითადად ისტორიულ სამშობლოში – საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად. 2002 წელს საქართველოში 15 166 ბერძენი ცხოვრობდა (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე).

საქართველოში მცხოვრები ბერძნები ენობრივად ორ ჯგუფად იყოფიან: ბერძნულენოვანი ელინოფონები და თურქულენოვანი „ურუმები". ელინოფონები ლაპარაკობენ ბერძნული ენის პონტოს კილოკავზე. როგორც ცნობილია, ბერძნებმა VI საუკუნეში შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე – პონტოში თავიანთი დასახლებები დაარსეს. ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, ეარაუდობენ, რომ თრიალეთის ურუმთა, განსაკუთრებით ძველი ქართული პროეინციებიდან მოსული გუშიშხარელებისა და პასენების ეთნოგენეზში გარკვეული როლი შეასრულეს ლაზებმა. მათ ყოფაში შემონახულია ძველი ქართული ტრადიციები, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები. ელინოფონები ძირითადად ცხოვრობენ აფხაზეთსა და აჭარაში, ურუმები კი – უმთავრესად წალკისა და დმანისის რაიონებში.

ბერძნები მართლმადიდებელნი არიან. საქართველოში მცხოვრები ბერძნების უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებლობას აღიარებს. მაგალითად, 2002 წელს ქვემო ქართლში ცხოვრობდა 7415 ბერძენი – საქართველოში მცხოვრები ბერძნების თითქმის ნახევარი (48,9 პროცენტი). აქედან 7342 ბერძენი (99,0 პროცენტი) მართლმადიდებელი იყო. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ბერძნების 99,1 პროცენტიც მართლმადიდებლობას აღიარებდა. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ბერძენებით დასახლებულ საქართველოს დანარჩენ ადმინისტრაციულ მხარეებში.

ლიტერატურა

რ. გორდეზიანი. ბერძნულ-ქართული კულტურის ურთიერთობების ისტორიისათვის. იხ. ბერძნები საქართველოში. თბ., 1990, გვ. 12-13.

[2] იქვე, გვ. 14.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 17.

[5] ა. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964.

[6] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133

[7] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1976, გვ. 203.

[8] **Качарава Д. Каврквелия Г. Города и населения причерномория античной эпохи. Тбилиси, 1991.**

[9] ი. გარაყანიძე. საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII-XX სს), იხ.: ბერძნები საქართველოში, გვ. 28.

[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, თბ., 1972, გვ. 10

[11] იქვე, გვ. 188

[12] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 141.

[13] **Акритис П. Греки Кавказа. Народы Кавказа, II М., 1962, с. 422.** ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 318.

[14] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის ძირითადი შედეგები. ტ. II, თბ., გვ. 213

[15] ჯ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი პირველი, თბ., 1949, გვ. 553-557.

[16] იქვე, გვ. 552.

[17] იქვე, გვ. 556-559.

[18] ვ. ჯაოშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

[19] კ. ანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

[20] **Свод статистических данных о населений Закавказского края... 1886 года. Тифлис, 1893.**

[21] ნ. ტონია. ბერძენთა ყოფა. იხ.: ბერძნები საქართველოში. თბ., 1990, გვ. 87.

[22] სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I, დემოგრაფია, ნაკვეთი 2, მოსახლეობა სქესის, წლოვანების, ეროვნების, დაბადების ადგილის, ბინადრობის ხანგრძლივობისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის მიხედვით. თფილისი, 1923, გვ. 11, 14, 15.

ქისტები

ჩეჩნებსა და ინგუშებს ქართველები ქისტებს უწოდებენ. ამასთან ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებაა ეაინახი, რაც „ჩვენს ხალხს“ ნიშნავს. ჩეჩნების თვითსახელწოდებაა „ნოხჩო“, რომელიც ქართველ მწერალს XIV საუკუნის ბიბლიის მინაწერზე პირველად პყავს მოხსენებული, თუმცა ეთნონიმის „ნოხჩო“ ყველაზე ადრინდელ მოხსენიებად მაინც VII საუკუნის ანონიმურ „სომხურ გეოგრაფიაში“ ფიქსაციაა მიჩნეული.[1]

ქართულ წერილობით წყაროებში ეაინახები დურძუკებად ან ძურძუკებად მოიხსენიებიან, ხოლო ინგუშები – ღლიღეებად. ამრიგად ეთნონიმ „ქისტს“ ქართულ წყაროებში წინ უსწრებს „დურძუკი“. ეთნონიმი „ქისტი“ ჩეჩნებისა და ინგუშების აღსანიშნავად გვიან ფეოდალურ ხანიდან იხმარება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეთნონიმები „ჩეჩნი“ და „ინგუში“ პირველად XVIII საუკუნის დასაწყისში მოიხსენიება და შესაბამისად დიდი დასახლებული აულების ჩეჩნისა და ინგუშის სახელწოდებებიდან მომდინარეობს.

ამჟამად ჩეჩნები და ინგუშები სუნიტი მაჰმადიანები არიან, თუმცა ისინი ადრე ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ, რომელიც ჯერ ჩეჩნეთში VIII და განსაკუთრებით XI საუკუნეებიდან, ხოლო ინგუშეთში XII საუკუნეში საქართველოდან გაერცელდა. XVII-XVIII საუკუნეებში როგორც ჩეჩნეთში, ისე ინგუშეთში მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანულ რელიგიას მისდევდა. აქ ისლამი საბოლოოდ XIX საუკუნის შუა ხანებში გაერცელდა.

ქართული ისტორიული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ეაინახების შემოსელას საქართველოში III საუკუნეში პქონდა ადგილი. როგორც ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი გადმოგვცემს, ფარნავაზ მეფის ძეს, ქართლის მეფე საურმაგს ერისთაველი აუჯანყდნენ. დახმარებისათვის მან დედის ძმის ქეეყანას დურძუკეთს მიმართა: „მიეიდა ქეეყანასა დურძუკთასა დედის ძმათა მისთა თანა“[2]. საურმაგმა დურძუკების დახმარებით ერისთაველი დაამარცხა. როგორც ჩანს, პოლიტიკური მოსაზრებებით, საურმაგმა დურძუკები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გადმოასახლა, თუმცა გადმოსახლების მოტივად მემატიანე სხეა მიზეზს ასახელებს – ხალხი მეტად გამრავლებული იყო და „ეერღარა იტეედა დურძუკეთიო“[3]. დურძუკების მნიშვნელოვანი რაოდენობა ლეონტი მროველის თქმით, საურმაგმა „დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ეიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.[4] დროთა განმავლობაში საქართველოში გადმოსახლებული დურძუკები გაქართველდნენ.

საქართველოში ეაინახთა გადმოსახლებას ადგილი პქონდა XIII საუკუნეშიც, მაგრამ ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XVIII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე. მათი პირველი ნაკადი თიანეთის მაზრის სოფელ ხორბალოში სახლდება. პანკისის ხეობაში, როგორც ჩანს, პირველად დასახლდნენ სოფელ დუისში 1826 წელს, შემდეგ ომალოში და ა.შ. 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით თბილისის გუბერნიაში 2497 ქისტი ცხოვრობდა, აქედან თიანეთის მაზრაში – 2150 (86,1 პროცენტი), ხოლო დუშეთის მაზრაში – 347 (13,9 პროცენტი) ქისტი“.[5] რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად კავკასიაში მხოლოდ 413 ქისტი ცხოვრობდა და თითა დიდი უმრავლესობა – 371 კაცი (89,8 პროცენტი) საქართველოში ბინადრობდა.[6] მაგრამ ეს მონაცემი არ არის სწორი. როგორც ცნობილია, ამ აღწერის დროს ეროვნება მშობლიური ენის საფუძველზე განი-

საზღვრებოდა და რამდენადაც ქისტებმა ძირითადად მშობლიურ ენად ჩეჩნური დაასახელეს, შეუძლებელია ამ აღწერის მიხედვით ქისტების რეალური რაოდენობის დადგენა. ამ პერიოდში ოთხასზე მეტი ქისტი მხოლოდ სოფელ დუისში ცხოვრობდა, რასაც ადასტურებს მწერლისა და პედაგოგის, პანკისის ხეობის მკვიდრის, 1863 წელს სოფელ ჯოყოლოში დაბადებული მ. ალბუთაშვილის მიერ 1901 წლისათვის შედგენილი მონაცემები პანკისის ხეობის 17 სოფლის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ.[7] დინამიკაში მხოლოდ სამი დიდი სოფლის – დუისის, ომალოსა და ჯოყოლოს მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა:

დუისის, ომალოსა და ჯოყოლოს ქისტი მოსახლეობის რაოდენობა 1886, 1901 და 2002 წლებში

სოფლები \ წლები	1886	1901	2002
დუისი	546	600	4103
ომალო	219	240	1221
ჯოყოლო	205	240	1228

პანკისის ქისტების კომპაქტური დასახლებები ფაქტობრივად შექმნილია ამ სამ სოფელში. მაგალითად, 2002 წელს საქართველოში ცხოვრობდა 7110 ქისტი, აქედან მხოლოდ დუისში, ომალოსა და ჯოყოლოში 6552 ქისტი ბინადრობდა. (92,2 პროცენტი). ისტორიულად ქისტებით დასახლებულ სოფლებში სხვა ეროვნებების წარმომადგენლები თითქმის არ ცხოვრობდნენ.

საქართველოში მცხოვრები ქისტები შობადობის უაღრესად მაღალი დონით გამოირჩევიან. მაგალითად, 2002 წლის მონაცემების თანახმად, 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ ქალს საქართველოში საშუალოდ 2,1 ბავშვი ყავდა. (იგულისხმება ცოცხალი ბავშვები), ყოველ ქართველ ქალს – 2,0 ბავშვი, ხოლო ყოველ ქისტ ქალს – 2,7 ბავშვი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დანარჩენი ეროვნების ქალებთან შედარებით. ამასთან მოსალოდნელ ბავშვთა რიცხვი (არსებული ბავშვების ჩათვლით) ფერტილური ასაკის (15-49 წლის ასაკი) ყოველ ათას გათხოვილ ქალზე საშუალოდ ქვეყანაში 2334 ბავშვს უდრიდა, ქართველ ქალებში – 2298 ბავშვს, ხოლო ქისტ ქალებში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო და 3351 ბავშვს უდრიდა, ანუ ყოველ ათას გათხოვილ ქისტ ქალს ფერტილურ ასაკში 1053 ბავშვით მეტი უნდა ეყოლოს ქართველ ქალებთან შედარებით.[8]

საქართველოში მცხოვრები ქისტები მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებენ, თუმცა XIX საუკუნეში მათი ნაწილი ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი იყო. მაგალითად, 1888 წელს სოფელ ჯოყოლოში არსებული ფიცრული ეკლესიის ნაცვლად ქვითკირის ეკლესია ააშენეს, ხოლო 1902 წელს სოფელ დუისში – მეჩეთი. ჩვენამდე მოღწეული ცნობის მიხედვით, შეგვიძლია 1886 წელს თბილისის გუბერანიის მხოლოდ თიანეთის მაზრაში მცხოვრები ქისტების რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მსჯელობა. ამ წელს თიანეთის მაზრაში 2150 ქისტი ცხოვრობდა და აქედან 453 ქისტი ანუ 21,1 პროცენტი ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდა.[9] მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ქისტები უკვე მაჰმადიანები არიან. მაგალითად, კახეთში მცხოვრები 6997 ქისტიდან (კახეთში ცხოვრობს საქართველოში მცხოვრები ქისტების 98,4 პროცენტი) მაჰმადიანია 6961 ქისტი ანუ 99,5 პროცენტი და მხოლოდ 21 ქისტია ქრისტიანი (0,3 პროცენტი).

ქისტები ლაპარაკობენ ჩეჩნურ-ინგუშური ენების (კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფი) ქისტურ დიალექტზე. ისინი განათლებას ქართულ ენაზე იღებენ და ამიტომ მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ ქართულ ენას. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით თავისი ეროვნების ენას მშობლიურ ენად თვლიდა ქისტების 99,6 პროცენტი. ამავე დროს ქისტების 77,2 პროცენტი თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას, ხოლო რუსულს – 14,5 პროცენტი.

1990-იანი წლების დასაწყისში ეკონო-

მიკური პირობების უაღრესად გაუარესების გამო ქისტების დიდი ნაწილი (ახალგაზრდები და საშუალო ასაკის ადამიანები) ჩეჩნეთში გადასახლდა, მაგრამ ძირითადად რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო ქისტების უმრავლესობა ისევ პანკისის ხეობაში დარჩენილა, სადაც მათ დაემატა ომის შედეგად ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი.

ლიტერატურა

[1] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ., 2007, გვ. 65.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 27.

[3] იქვე.

[4] იქვე

[5] Свод статистических данных я населении Закавского края извлеченных из посеинных списков 1886 года Тифлис 1893

[6] Первая всеобщая перелись населения Российской империи 1897 года т 2 С Петербург 1905 с 44

[7] მ. ალბუთაშვილი. პანკისის ხეობა. თბ., 2005, გვ. 82-83.

[8] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. I, თბ., 2003, გვ. 154, 165.

[9] Свод статистических данных о населении Закавского края извлеченных из посемеинных списков 1886 года. Тифлис, 1893.

გერმანელები

საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთგაცნობის პირველი ცალკეული შემთხვევები შუა საუკუნეებში გეხვდება. საქართველოში ჩნდება ცნობები გერმანიის შესახებ, ხოლო ევროპელი, და, მათ შორის, გერმანელი მოგზაურები, დიპლომატები, მეცნიერები, მწერლები ქართველ ხალხზე, მის ისტორიასა და კულტურაზე აწვდიან ცნობებს გერმანიასა და მთელ ევროპას. ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II ბარბაროსა სთავაზობდა მეფე თამარს თავის ერთ-ერთ ეიჟს. ამ წინადადების შემოთავაზებას საეარაუდოდ 1185-1187 წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი, თამარის პირველსა და მეორე ქორწინებას შორის. ეს წინადადება უარყოფილ იქნა, რადგან გაიმარჯვა ჩრდილო კაეკასიურმა ორიენტაციამ.

საქართველოში ბეერმა გერმანელმა იოგზაურა, კერძოდ, შიტბერგერმა (1396-1417), შობერმა (1717-1722), ეოლფმა (1734), შნეზერმ (1733-1736) და მრავალმა სხვამ. განსაკუთრებით აღსანიშნაეია XVIII საუკუნის 70-იან წლებში ბალტიისპირელი გერმანელის გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, რომელმაც საქართველოს შესახებ ფასდაუდებელი სანდო ცნობები დაგიტოეა. ამაეე პერიოდში (XVII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში) ერეკლე მეფის კარზე იმყოფებოდა მეცნიერი და მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელმაც ასევე დამაჯერებელი ცნობები დაგვიტოეა საქართველოს შესახებ[1].

გერმანელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში ცალკე უნდა გამოეყოთ გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი არტურ ლაისტი, რომელმაც თავისი ცხოერება საქართველოს დაუკავშირა. იგი ფ. ბოდენშტედტის (გერმანელი მწერალი, რომელიც 1844 წელს ჩამოვიდა საქართველოში, თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას, მოიარა საქართველო და თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა გერმანიაში) რჩევით დაინტერესდა საქართველოთი. მან თარგმნა გერმანული ენაზე „ეეფხისტყაოსანი" და გამოაქვეყნა დრეზდენსა და ლაიფციგში. მისი ნაშრომი „ქართველი ხალხი" მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან, ი. მაჩაბელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. იგი 1892 წლიდან საქართველოში დამკვიდრდა და 1927 წელს აქვე გარდაიცვალა.

გამოჩენილი გერმანელი მწერლებისა და ფილოსოფოსების ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ ენაზე, მათ შორისაა ლესინგი, რომლის კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმი" მოხსენიებულია მეფე ერეკლე მეორე, ამ პიესის გმირი ვერნერი აღფრთოვანებით ამბობს: „მაშ არ იცნობ პრინც ერეკლეს? იმ მამაც ეაკაცს, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტში შეიჭრება?"[2] ვერნერის აღფრთოვანება კარგად გამოხატავს იმ რეზონანს, რომელიც ჰქონდა ევროპაში ერეკლე II-ის საბრძოლო და პოლიტიკურ მოღვაწეობას სპარსეთსა და სამხრეთ კაეკასიაში.

გერმანიაში მე-18 საუკუნეში სეკტანტების დევნამ წარმოშვა სეპარატისტული მოძრაობა. ამას მოჰყვა სეკტანტების გადასახლება ამერიკასა და რუსეთში. ამ მოძრაობის მეთაურთა აგიტაციით გერმანიაში მშვიდობიანობის ხანა დამთავრდა და თავს უნდა ეუშველოთ სამშობლოდან ამერიკაში ან კაეკასიაში გადასახლებითო.[3] ამავე დროს საქართველოში გერმანელთა ჩამოსახლება იქ არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამაც განაპირობა, ძირითადად ნაპოლეონის ომებმა და მიწების სიმცირემ.

სეპარასტისტებმა ამისათვის შესაფერისი დროც შეარჩიეს – 1816 წელს შტუდგარტში გზად გაიარა რუსეთის იმპერატორ-

მა ალექსანდრე I-მა, რომელსაც სექტანტებმა კავკასიაში დასახლების ნებართვა სთხოვეს. ჯერ კიდევ საქმე საბოლოოდ არ იყო მოგვარებული, როდესაც 1817 წელს 7 ათასი სექტანტი კავკასიისაკენ გამოემართა. კოლონისტებს უადრესად მძიმე პირობებში მოუხდათ მგზავრობა. დასახლებული ადგილის მიცემამდე ისინი ოდესაც შეჩერდნენ, სადაც უნდა დალოდებოდნენ დასახლებული ადგილების მიცემას, მაგრამ აქ მათ დიდი უბედურება დაატყდათ თავს — სახადით დაავადნენ და კოლონისტების თითქმის ნახევარი დაიღუპა.

კოლონისტების პირველი ჯგუფი თბილისს 1817 წლის სექტემბერში მოადგა. საბოლოოდ 1817-1818 წლებში თბილისის გუბერნიაში გერმანელთა 8 კოლონია შეიქმნა: მარიენფელდი — სართიჭალაში; თბილისის კოლონია სოფელ კუკიაში (სოფელი კუკია თბილისს მიეკუთვნა 1824 წელს[4], ახლანდელი დაავით აღმაშენებლის გამზირი); ალექსანდერსდორფი — დიდუბეში (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები); პეტერსდორფი — მარიენფელდის მახლობლად; ელიზაბეტტალი — ქვემო ქართლში (დღეევანდელი ასურეთი); ეკატერინენფელდი — ბოლნისთან; ანენფელდი და ელენენდორფი — თბილისის გუბერნიის ელიზაველტოპოლის მაზრაში, რომელიც 1868 წელს თბილისის გუბერნიას გამოეყო და ცალკე გუბერნიად გადაკეთდა. ამდენად ანაფელდისა და ელენენდორფის გერმანული კოლონიები 1868 წლის შემდეგ საქართველოში აღარ შედიოდა. ზოგიერთ გერმანულ კოლონიაში სხვა ეროვნების თითო-ოროლა კაციც ცხოვრობდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ელენენდორფის, ეკატერინენფელდისა და ელიზაბეტტალის კოლონიები. ძირითადად მაღალი შობადობის გამო კოლონისტების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა.

კოლონისტების რაოდენობა 1817-1818 და 1886 წლებში

კოლონიები	კოლონისტების რაოდენობა	
	1817-1818 წლებში	1886 წელი
მარიენფელდი	181	396
სოფელი კუკია	200	793
ალექსანდერსდორფი	99	384
პეტერსდორფი	148	195
ელიზაბეტტალი	307	1148
ეკატერინენფელდი	350	1209
ანაფელდი	237	437
ელენენდორფი	501	1457

წყარო: ა. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, თბ., 1949, გვ. 471-473. **Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893.**

მოგვიანებით შეიქმნა შემდეგი გერმანული კოლონიები: ალექსანდრესპილფი წალკის მახლობლად, ნაიდორფი და გრანდერბერგი სოხუმთან ახლოს, გეორფელდი, აიგენფელდი, გრიუნფელდი, ტაუბენფელდი და ფრაიდენტალი ძველი კოლონიების მახლობლად.

გერმანული კოლონიების მოწყობის საკითხს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მან ამისთვის სათანადო სახსრებიც გამოყო, კოლონისტებს მიეცათ შეღავათები გადასახადებში. ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით ისინი ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 1829 წელს სამხრეთ კავკასიაში გაერცელებულმა შავმა ჭირმა კოლონისტების რამდენიმე სოფელი საგრძნობლად დაუზარალა. მთავრობამ მათ ისევე გაუწია დახმარება, მაშინ როდესაც ადგილობრივი მცხოვრებლები სრულიად უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. ხელისუფლება გერმანელი კოლონისტების განმანათლებლურ საქმიანობასა და მეურნეობის უკეთ მოწყობაზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ იმედები გაუცრუდათ. 1819 წელს გენერალი ერმოლოვი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ოზადაველეს წერდა: „მე ეფიქრობდი, რომ აქაურ მხარეს ისინი მისცემდნენ

მაგალითს შრომისმოყვარეობისა, მეურნეობრივი კეთილმოწყობისა და ზნეობისა. პირიქით, კოლონისტებში უდიდესი ნაწილი მეტად უსაქმური და ნაკლებად ზრუნავს ოჯახურ მოწყობილობაზე, ხოლო კიდევ უფრო მცირეა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთა ზნეობრიეობა არ წარმოადგენს ყოელად მაენე გარყვნილებას", ისინი დროს უქმად აცდენენ აპოკალიფსის გარშემო კამათში, რასაც გადაყოლილნი არიანო.[5]

ზუსტად ანალოგიურ მოსაზროებას გამოთქვამს გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორის ვაგნერი, რომელმაც 1843-1846 წლებში მოიარა კავკასიის ქვეყნები და საქართველოში გერმანული კოლონიებიც მოინახულა: „ეადასახადები, რასაც გერმანელი კოლონისტები ხაზინას უხდიან, ძალზე მცირეა, თეით ადგილობრივ მკედრთა გადასახადებთან შედარებითაც... რუსეთის მთავრობა გერმანელი კოლონისტების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და შემწყნარებლობას იჩენდა... ნოი-ტიფლისში ჩემი ჩამოსელის ცოტა ხნით ადრე საქართველოს გამჭვირვალე ცაზე კომეტის გამოჩენამ სეპარატისტების აღგზნება საოცრად გაზარდა. ამ ხალხმა... გადაწყვეტა სახლ-კარის მიტოვება და წასვლა იერუსალიმში – სამყაროს თითქოსდა მოახლოებული აღსასრულის გამო... შეკრებებზე ნოი-ტიფლიში, ალექსანდრეს-დორფსა და კატარინენფელდში დილიდან გვიანობამდე ლოცულობდნენ, გალობდნენ და უხამს სისულელეებს ყბედობდნენ... სამი საათის ყოფნის შემდეგ წამოვედი სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ შინაგანად შეწუხებული ამ საბრალო თანამემამულეთა საოცარი უგუნურებით".[6] საკმე იქამდეც კი მიეიდა, რომ 1843 წელს გაერცელდა შემდეგი ცნობა: ღმერთი სეპარატისტთა სასულიერო ხელმძღვანელის, მოხუცი კალის, შპონის, მეშვეობით, მოითხოვდა იერუსალიმში გადასახლებას. შპონის წინადადებით მდიდარმა გერმანელებმა გაყიდეს ქონება და მათხოვრობით ირჩენდნენ თავს. მრავალმა გერმანელმა კიდევ თავი დაანება მუშაობას და იმდენს შრომობდა, რომ შიმშილით არ დაღუპულიყო. ხელისუფლების მიერ შპონისა და ლიდერების დაპატიმრების შემდეგ გერმანელთა ცხოვრება ჩვეულ რიტმას დაუბრუნდა[7].

მიუხედავად აღნიშნულისა, რელიგიურ საკითხებზე დაეის პროცესში ეკონომიკურად ჩამორჩენილმა თბილისში დასახლებულმა კოლონისტებმა შეძლეს ხელობებში დაწინაურება და თაეიანთეის ხელსაყრელი პირობების შექმნა (პ. გუგუშვილი). თანდათანობით გერმანელმა კოლონისტებმა წარმატებებს მიაღწიეს ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. ეკონომიკური სიძლიერე შობადობის ამაღლებასაც უწყობდა ხელს. კოლონისტების მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე მაღალი იყო საქართველოში მცხოერებ სხეა ეროენებებთან შედარებით. 1865 წლის სანდო მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში კოლონისტების რიცხეი 6114 კაცს უდრიდა.[8] რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოში 9 405 გერმანელი ცხოერობდა, მათ შორის: თბილისის გუბერნიაში – 8340, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 1965 კაცი. გერმანელი მოსახლეობის სქესობრიეი თანაფარდობა თითქმის თანაბარი იყო – 4716 მამაკაცი და 4689 ქალი.[9] შემდეგი 42 წლის განმავლობაში გერმანელთა რაოდენობა საქართველოში 2,2-ჯერ გაიზარდა და მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მონაცემების მიხედეით 20,5 ათასი კაცი შეადგინა.

გერმანელი კოლონისტები კარჩაკეტილ ცხოერების ეწეოდნენ. გერმანელი ქალები ერიდებოდნენ ურთიერთობას სხეა ეროენების ქალებთან. შერეული ქორწინებები მეტად იშვიათი იყო. გერმანელ მამაკაცს ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში უფლება აქონდა განსვენებული მეუღლის და ცოლად მოეყვანა.

საქართველოში მცხოერები გერმანელები სხეა ეროენების მიმართ მძაფრ ნაციონალიზმს ამჟღავნებდნენ, ქედმაღლობდნენ და საკუთარ თავს დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ. მათი აზრით, ყველა დანარჩენი ველურები იყვნენ. რუსებს განსაკუთრებული ეიოეტით ამკობდნენ – ღორებად მოიხსენიებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც გერმანელების ქლუბში სტუმრად მისული რუსი მოქალაქეები ცემა-ტყეკით გამოუსტუმრებიათ[10].

საარქივო მასალების გაცნობა მოწმობს, რომ გერმანელებს შორს მიმავალი გეგმებიც აქონდათ. „აშიერკაეკასიის გერმანელთა კომიტეტს (მდებარეობდა თბილისში) სურდა შეექმნა სახელმწიფო სახელმწიფოთი". ა. სონლაშვილის მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ გერმანელების მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე გერმანელთა ავტონომიური ოლქის შექმნა. ამ მიზნით ისინი გერმანეიიდან საჭირო დირექტი-

ებს და ფინანსურ დახმარებასაც ილებდნენ[11].

1941-1945 წლების ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში ხორციელდებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ღონისძიებები და ასეთ მძიმე პერიოდში, მონდომების შემთხვევაშიც კი, ძნელი იყო სამართლიანობის დაცვა, მაგრამ ყოველად გაუმართლებელი იყო ხალხთა ტოტალური დეპორტაციების განხორციელება. დიდი სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო გაფართოოდა დეპორტაციული ოპერაციები, რომელთა განხორციელებაში ათი ათასობით სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ომის დაწყებიდან სულ მალე, 1941 წლის 4 ივლისს მთავრობა სცემს დირექტივას იმ ტერიტორიებიდან, სადაც გამოცხადებული იყო საომარი მდგომარეობა, სოციალურად საშიში პირებისა და მათი ოჯახების გასახლების ღონისძიებათა შესახებ.

ომის წლებში საბჭოთა კავშირში ეთნიკური ნიშნით ძალდატანებითი მიგრაცია გახდა დეპორტაციის მთავარი საფუძველი. რა თქმა უნდა, შესაძლოა იყო ღალატიც, მაგრამ მთელი ხალხის დასჯა არანაკლებ უმართებულო ქმედებაა. მაგალითად, 1941 წლის 3 აგვისტოს სამხრეთი ფრონტის სარდლობა სტალინს უგზავნის შემდეგი შინაარსის ტელეგრამას: „დნესტრზე საომარმა მოქმედებებმა გვიჩვენა, რომ გერმანელი ეროვნების მოსახლეობა ფანჯრებიდან და ბოსტნებიდან ესროდა უკან დახეულ ჩვენს ჯარს. დადგენილია აგრეთვე, რომ 1941 წლის 1 აგვისტოს გერმანულ სოფეში შემოსული გერმანულ-ფაშისტურ ჯარს ხვდებოდნენ პურ-მარილით. ფრონტის ტერიტორიაზე არის უამრავი დასახლებული პუნქტი გერმანელი მოსახლეობით. გთხოვთ, მისცეთ მითითება ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს არასაიმედო ელემენტების სასწრაფოდ გასახლების შესახებ“. რა თქმა უნდა, ყველა გერმანელის მიმართ ასეთი ღონისძიების გატარება უმართებული იყო.

ომის პერიოდში პირველი იძულებითი გადასახლება შეეხო სწორედ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ გერმანელებს, რომლებსაც მიიჩნევდნენ ფაშისტი ოკუპანტების პოტენციურ მოკავშირეებად. 1,5 მილიონი საბჭოთა გერმანელიდან ამა თუ იმ სახით გადადგილებას დაექვემდებარა 1,2 მილიონი კაცი.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მონაცემებით, ქვეყანაში აღირიცხა 1 427,2 მილიონი გერმანელი. განსაკუთრებით მსხვილი გერმანული კოლონიები იყო რუსეთში (862,5 ათასი კაცი), უკრაინაში (392,7 ათასი), ყაზახეთში (92,7 ათასი), აზერბაიჯანსა (23,1 ათასი) და საქართველოში (20,5 ათასი). გერმანელთა დეპორტაციები დაიწყო 1941 წლის აგვისტოში (ყირიმელი გერმანელებისა) და ძირითადად დამთავრდა 1942 წლის 1 იანვრისათვის. მასობრივად გერმანელთა იძულებითი გადასახლება სექტემბერსა და განსაკუთრებით ოქტომბერში ჩატარდა. 1941 წლის 25 დეკემბრისათვის დეპორტაციას დაქვემდებარებული 904255 გერმანელიდან გასახლებული იყო 856 168 კაცი, მათ შორის, გერმანელთა აეტონომიული რესპუბლიკიდან 446,5 ათასი. 1941 წლის სექტემბრის დასაწყისში ლიკვიდირებული იყო ეოლგაზე გერმანელების აეტონომიური რესპუბლიკა, რომელიც განაწილდა სარატოვისა და სტალინგრადის ოლქებს შორის. აღსანიშნაავია ისიც, რომ 1941 წლის 8 სექტემბრის სტალინის განკარგულებით მოქმედი არმიიდან მოხსნეს გერმანელი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები, რომელთა რაოდენობა ომის დასაწყისისათვის 35 ათას კაცს შეადგენდა. როგორც ჩანს, ისინი სამხედრო კომისარიატებმა არმიაში გაიწვევეს ეოლგაზე გერმანელთა აეტონომიური რესპუბლიკიდან, რადგან 1939 წლის ოქტომბრიდან საბჭოთა გერმანელებს ქვეყნის სხვა რეგიონებიდან წითელ არმიაში აღარ იწვევდნენ.

სამხრეთ კავკასიიდან გერმანელების დეპორტაციის შესახებ 1941 წლის 8 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია თაედაცეის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ი. სტალინს ატყობინებდა, რომ საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მცხოვრები გერმანელების მხრიდან ანტისაბჭოთა მუშაობის აღმოფხვრის მიზნით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მიზანშეწონილად მიაჩნია ოპერატიულ აღრიცხვაზე მყოფი ანტისაბჭოთა და საეჭვო ელემენტები დაპატიმრებულ იქნან, ხოლო გერმანელი მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი 46 533 კაცის რაოდენობით გადაასახლონ ყაზახეთში. იმავე 8 ოქტომბერს გამოდის თაედაცეის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება, რომლის საფუძველზე 1941 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით ბაკოსა და კრასნოეოდსკის გაელით საქართველოდან საქონლის ვაგონებით 20527 გერმანელი გადაასახლეს ყაზახეთის ალმა-ატის, ჯამბულის, სამხრეთ-ყაზახეთის, პაელოდარისა და

სემიპალატინსკის ოლქებში (1941 წლის 25 დეკემბერის მონაცემები).[12] ოპერაციის დაწყების წინ საბჭოთა-პარტიულ აქტივთან ერთად გერმანელებს ჩაუტარეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. იმ შემთხვევაში თუ ოჯახის რომელიმე წევრი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდოდა მასზე პასუხისმგებლობა ოჯახის უფროსს ეკისრებოდა, ოჯახის დანარჩენი წევრები კი რეპრესირებულები იქნებოდნენ. თუ ცალკეული პიროვნება უარს იტყოდა დეპორტაციაზე, მას დააპატიმრებდნენ და გადასახლებდნენ იძულებითი წესით. ანტისაბჭოთა გამოსელებისა და შეიარაღებული შეტაკების წარმოშობის შემთხვევაში მათ სალიკვიდაციოდ მიიღებდნენ გადამწყვეტ ზომებს. დეპორტირებულთა მოძრაგ და უძრავ ქონებას ყადაღა დაადეს. აღსანიშნაია, რომ დადგენილებით საქართველოდან უნდა გადაესახლებინათ 23 580 გერმანელი, მაგრამ გადაასახლეს 20527, ზუსტად იმდენი, რამდენი გერმანელიც ცხოვრობდა საქართველოში მოსახლეობის აღწერის მონაცემებით 1939 წელს.

1957 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დეპორტირებულებს ცხოვრების ნება მისცეს ნებისმიერ საბჭოთა რესპუბლიკაში, ქვეყნის ნებისმიერი რეგიონში საქართველოსა და ყირიმის გარდა. გერმანელებს მხოლოდ 1972 წელს მოეხსნათ საცხოვრებელი ადგილის არჩევაში შეზღუდვა. ამის გამო საქართველოში გერმანელები მცირე რაოდენობით დაბრუნდნენ. 1979 წლამდე დაახლოებით 2 ათასი გერმანელი დაბრუნდა საქართველოში. 1998 წელს რეაბილიტირებულნი იქნენ რეპრესიული პოლიტიკის მსხვერპლნი.

ეოეველეე ზემოთ აღინშნულის გამო, თუ 1939 წელს საქართველოში 20 527 გერმანელი ცხოვრობდა, (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 0,6 პროცენტი), 1959 წელს მათმა რაოდენობამ 2259 კაცი შეადგინა, 1989 წელს – 1546, ხოლო 2002 წელს – 651 კაცი (ქვეყნის მოსახლეობის 0,01 პროცენტი). 2002 წელს საქართველოში გერმანელების ასეთი შემცირება გამოიწვია ცხოვრების დაბალმა დონემ, ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა და, რაც მთავარია, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილმა. ამ ფაქტორების გამო გერმანელების დიდი ნაწილი გერმანიაში გადასახლდა.

ლიტერატურა

---

[1] ა. სონღულა'შვილი. გერმანელები საქართველოში. თბ., 1995, გვ. 3-4.
[2] გ. ლესინგი. დრამები, თბ., 1958, გვ. 156.
[3] ციტირებულია: ჯ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტომი I, თბ., 1949, გვ. 470.
[4] Тифлис по одновременной переписи 25-20 марта 1876 года. Тифлис, 1880, с. 305.
[5] ციტირებულია: ჯ. გუგუშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 476,
[6] ჭ. ვაგნერი. საქართველოს შესახებ. თბ., 2002, გვ. 64-67.
[7] ა. სონღულა'შვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 03.8.
[8] Сборник статистических сведений О Кавказе. Т. 1, Тифлис, 1869, с. 48.
[9] Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения произведенной 28 января 1897 года. Т. 2. С. Петербург, 1905, с. 40.
[10] ა. სონღულა'შვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
[11] იქვე.
[12] Сталинские дерортации, 1928-1953. Под. общ. ред. акад. А Н Яковлева, М., 2005, с. 276 285, 354-356.

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები

ზემოთ განხილული ეთნოსები შედარებით მრავალრიცხოვანია და მათი რაოდენობა 2002 წელს 4 330 788 კაცს შეადგენდა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 99,1 პროცენტი იყო. დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები მცირერიცხოვანია. მათი ხაერთო რაოდენობა 41 398 კაცს უდრიდა და მთელ მოსახლეობაში მათი წილი 0,9 პროცენტს არ აღემატებოდა.

ქურთები წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს ძველმა მიდიელმა და ირანულმა ტომებმა. ამჟამად ქურთები ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სირიაში, ერაყში (ქურთისტანის ტერიტორიაზე), ლიბანში, აღლანეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ძირითადად სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთსა და თურქმენეთში. მათი ენაა ქურთული და განეკუთვნება ირანული ენების დასავლურ შტოს.

1514 წელს ქურთისტანი გაინაწილა თურქებმა და ირანმა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაიყო თურქეთმა, ირანმა, ერაყმა და სირიამ.

ქურთების ცალკეული მომთაბარე ტომები საქართველოში, კერძოდ, მესხეთში XVI საუკუნეში გამოჩნდნენ. თანამედროვე ქურთების ძირითადი მასა 1918-1920 წლებში გადმოსახლდა ეანიდან და ყარსიდან მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს მათი შეეიწროება. ცნობილია, რომ 1802 წელს მეფის ძე იოანე რუსეთის იმპერატორს თხოდა, რათა მისთვის მიეცათ ნებართვა მის საკუთარ მამულში დაესახლებია თურქეთისა და ირანის პროვინციებიდან საქართველოში სამუდამოდ გადმოსახლების მსურველი ქურთები, თურქები და სომხები, „რომლებიც მანამდე, მშვიდობიანობის დროსაც, მრავლად მოედინებოდნენ აქეთკენ თავისუფალ მიწებზე დასახლებულადო“.[1] ამრიგად ქურთები XIX საუკუნემდეც შემოდიოდნენ საქართველოში საცხოვრებლად.

1886 წელს საოჯახო სიების მიხედვით საქართველოში 2762 ქურთი ცხოვრობდა, აქედან თბილისის გუბერნიაში – 2130, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 632 ქურთი. 1897 წელს ქურთების რაოდენობამ საქართველოში 4362 კაცი შეადგინა (თბილისის გუბერნიაში 2538, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1824 ქურთი ცხოვრობდა). რუსეთის იმპერიაში ამ წელს ქურთების რაოდენობა 99836 კაცს უდრიდა და თითქმის მთლიანად კავკასიაში ცხოვრობდნენ. აქედან ნახევარი (49389 კაცი) ერევნის გუბერნიაში სახლობდა. აღსანიშნავია, რომ რამდენადაც 1897 წლის აღწერის მიხედვით, ეროვნება მშობლიური ენის საფუძველზე განისაზღვრებოდა, აღნიშნული მონაცემები შეიძლება რეალურ ვითარების ზუსტად ვერ ვერ ასახავდეს. მაგალითად, „ოფიციალური სტატისტიკა არ იცნობდა აზერბაიჯანელებს, როგორც ცალკე ეროვნებას. საკუთრად აზერბაიჯანელ და სხვა მუსულმან ტომებს აღრიცხავდნენ, როგორც თურქებს ან როგორც „აზერბაიჯანელ თურქებს“. ამ „თურქთა“ სახით– სტატისტიკურ მონაცემებში ხშირად გაერთიანებულია აგრეთვე ლეკები, ქურთები და თვით ირანელებიც კი– და სხვ“.[2]

ქურთების რაოდენობა საქართველოში იზრდება 1918-1920 წლებში თურქეთიდან მათი შემოსელის შემდეგ. 1926 წელს უკვე საქართველოში 10217 ქურთი და 2262 ეზიდი ცხოვრობდა. შემდგომი წლების აღწერებში ისინი ერთ ხალხად – ქურთებად აღირიცხებიან. 2002 წლის აღწერის დროს ეზიდები ცალკე გამოიყენენ ეზიდთა ტრადიციების ცენტრის „რაზიბუნ“-ის მოთხოვნით. ამის მიზეზი გახდა ის, რომ თანამედროვე ქურთების ძირითადი ნაწილი კონფესიით ეზიდებია, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მუსულმანები. ამით ისინი ერთმანეთს დაუპირის-

პირდნენ. ამრიგად, ეზიდები და ქურთები ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფად მიაჩნიათ, მაშინ როდესაც ისინი ქურთი ერის წარმომადგენლები არიან და მათი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ რელიგიაა.

1959 წელს საქართველოში 16212 ქურთი ცხოვრობდა. მაღალი ბუნებრივი მატების გამო 30 წელიწადში მათ რაოდენობა გაორკეცდა და 1989 წელს საქართველოში 33331 ქურთი აღირიცხა. 2002 წელს, ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში 2514 ქურთი და 18329 ეზიდი ცხოვრობდა. ქურთების რაოდენობის დინამიკაში განხილეის დროს თვალში საცემია ის გარემოება, რომ 1926 წელს ქურთები თითქმის 4,5-ჯერ მეტნი არიან ეზიდებზე, მაშინ როდესაც 2002 წელს ეზიდები 7,3-ჯერ ჭარბობენ ქურთებს. როგორც ჩანს, 1926 წელს მათ ეთნიკურ ფორმირებაზე გადამწყვეტი როლი რელიგიას არ უთამაშია – ეზიდებმა რელიგიური მრწამსის გამო ქურთებიდან თავისი თავი არ გამოაცალკევეს.

ქურთები ასიმილაციას სხვა ხალხებთან არ განიცდიან. ისინი საქართველოში ძირითადად ქალაქად ცხოვრობენ. კერძოდ, 1989 წელს ქვეყანაში მცხოვრები 33 ათასი ქურთიდან 30 ათასი თბილისში ცხოვრობდა. თბილისის გარდა ქურთები მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსთაველსა, ბათუმსა და თელავში. 2002 წელსაც ქურთების დიდი უმრაველესობა ისევ თბილისში ცხოვრობდა.

ასურელები სემიტური მოდგმის ხალხია, არამელების შთამომავალნი. მათ იცნობენ აგრეთვე, როგორც სირიელებსა და აისორებს. აღსანიშნავია, რომ ქართველი ტომების შესახებ უძველესი ცნობები შეიმოგვინახა ასურულმა წყაროებმა, რომლებიც 30 საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. ასურელების წინაპრებს – არამელებს დიდი ტერიტორია ეკავათ ახლო აღმოსავლეთში. ასურელები ლაპარაკობენ ახალსირიულ ენაზე, რომელიც თავისი სტრუქტურით მნიშვნელოვნად დაშორდა სემიტურ ენას, რომელსაც იგი წარმოშობით განეკუთვნება. ასურელები ქრისტიანები არიან. ასურელი მამების – საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფის სახელთანაა დაკავშირებული სამონასტრო ცხოვრების დაწყება და განვითარება საქართველოში. მათი მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. ასურელმა მამებმა აღმოსავლეთ საქართველოში მრავალი მონასტერი ააშენეს. ისინი საქართველოში VI საუკუნეში სირიიდან მოვიდნენ. მათი წამოსვლის ინიციატორი იოანე ზედაზნელი იყო. საქართველოში VI საუკუნის I ნახევარში პირველი დაეთან გარეჯელი მოვიდა, შემდეგ მას ამავე საუკუნის შუა ხანებში მოყვნენ იოანე ზედაზნელი მოწაფეებით, 70-იან წლებში აბიბოს ნეკრესელი და სხვ. წყაროებში იხსენებიან „ათორმეტი“ ან „ათასამმეტი ასურელი მამანი“, მაგრამ სინამდვილეში ისინი მეტნი იყვნენ. ასურელებმა მამებმა ქართველ წარმართულ მოსახლეობასა და ჩრდილო კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა გააერცელეს. ამრიგად ასურელთა ცხოვრების პირველი ეტაპი საქართველოში ასურელ მამებს უკავშირდება.

XVII საუკუნის მეორე ნახევაში მეფე ერეკლემ აღმოსავლეთიდან ლტოლვილი ასურელთა რამდენიმე ოჯახი კახეთში ჩააასახლა. ამ ოჯახების ნაწილი შემდეგ დაესაელეთ საქართველოში გადასახლდა. რუსეთ-სპარსეთის ომის შემდგომ სპარსეთიდან გამოქცეული ასურელების ნაწილი საქართველოში დასახლდა. ასურელთა ჩამოსახლება საქართველოში შემდეგ წლებშიდაც გრძელდებოდა. კერძოდ, 1860 წლების ბოლოს ურმიიდან ჩამოსული ასურელები ყარიასს ეელზე დასახლდა და მათ სოფელი ეასილეეკა დააარსეს, ხოლო XX საუკუნის ბოლოს ისევ ურმიიდან ჩამოსული ასურელების რამდენიმე ოჯახი მცხეთის რაიონის სოფელ ძველ ქანდაში დამკვიდრდა.

მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების თანახმად რუსეთის იმპერიაში 5286 ასურელი ცხოვრობდა. აქედან მხოლოდ 17 ციმბირსა და 3 ასურელი შეუა აზიაში ბინადრობდა, დანარჩენი 5266 ასურელი კავკასიაში ცხოვრობდა, მათ შორის, თბილისის გუბერნიაში – 1570 და ქუთაისის გუბერნიაში – 127 კაცი.[3] ზოგიერთი წყაროს ცნობით 1890-იან წლებში თბილისში 5 ათასი ასურელი ცხოვრობდა, რაც არ არის სწორი.[4] ასურელთა შედარებით დიდი რაო-

დენობა საქართველოში ირანიდან და თურქეთიდან 1910-იან წლებშიც შემოვიდა, რაც ძირითადად პირველმა მსოფლიო ომმა განაპირობა.

მოსახლეობის აღწერების მონაცემების მიხედვით 1926 წელს საქართველოში 2904 ასურელი ცხოვრობდა, 1939 წელს – 4707; 1959 წელს 5005; 1989 წელს – 6200; ხოლო 2002 წელს – 3299. ისინი ძირითადად ბინადრობენ თბილისში, სენაკში, ზუგდიდსა და ქუთაისში, აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფელ ქეელ ქანდაში, სადაც 2002 წელს 754 ასურელი ცხოვრობდა, რომელთა ინტეგრაცია ქართველ საზოგადოებაში ძალიან მაღალია.

უკრაინელების დამკვიდრება საქართველოში დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისიდან – რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ, თუმცა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ დაუმორჩილებლობის გამო დაშალა „ზაპოროჟსკაია სეჩი“, ბევრი კაზაკი იძულებული გახდა თავშესაფარი სახელმწიფოს სამხრეთ რეგიონებში ეძებნა. ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი საქართველოშიც აღმოჩნდა[1].

XIX საუკუნის განმავლობაში რუს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებთან ერთად უკრაინელებიც მკვიდრდებოდნენ საქალაქო დასახლებებში. ამასთან უკრაინელი ჯარისკაცებს უხდებოდათ სამხედრო სამსახურის მოხდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და თითქმის წყვეტდნენ კავშირს თავის მახლობლებთან. საეალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ისინი სახლდებიან სპეციალურად მათთვის გამოყოფილ მიწებზე, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში. მაშინ დამკვიდრებული უკრაინელების შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ საქართველოში. ისინი ძირითადად გაქართველდნენ. საკმაოდ ხშირი იყო უკრაინელების სტიქიური, ინდივიდუალური ჩასახლებებიც. 1897 წელს თბილისის გუბერნიაში 6443 უკრაინელი ცხოვრობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 4008, სულ კი საქართველოში 10 451 უკრაინელი ბინადრობდა. უკრაინელების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 1926-1939 წლებში – 14 595 კაციდან 45 595 კაცამდე. ასეთი ზრდა იმ მიზეზებაც გამოიწვია, რომ 1932-1933 წლებში არნახული შიმშილობა ჩამოვარდა, უპირველეს ყოვლისა, უკრაინაში, ვოლგის-პირეთში, ჩრდილო კავკასიაში, რომლის შედეგად მილიონობით ადამიანი დაიღუპა. ამ პერიოდში ბევრი უკრაინელი საქართველოს მოაწყდა. ისინი ძირითადად ქალაქებში დასახლდნენ.

საქართველოში მცხოვრები უკრაინელების რაოდენობა 1939-1989 წლებში დიდად არ შეცვლილა. 1959 წელს მათმა რაოდენობამ 52 236 კაცს მიაღწია, შემდეგში მათი რიცხვი შემცირდა, მაგრამ 1989 წლისათვის ისევ გაიზარდა და 1959 წლის მაჩვენებელს ოდნავ გადაამეტა კიდეც – ამ წელს საქართველოში 52443 უკრაინელი ცხოვრობდა. 1990-იან წლებში უკრაინელები მასობრივად ტოვებენ საქართველოს და 2002 წელს საქართველოში უკვე მხოლოდ 7039 უკრაინელი ცხოვრობდა.

პოლონელები საქართველოში პირველად XVIII საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ მისიონერები, რომელთა ნაშრომები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ საქართველოს შესახებ. 1794 წელს კავკასიაში შედარებით დიდი რაოდენობით გადმოსახლეს ტყვე პოლონელი ჯარისკაცები, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ. მათი ნაწილი საქართველოშიც მოხვედა. საქართველოში პოლონელების შემდეგი შემოსვლა ისევ ტყვე ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უკავშირდება, რომლებიც ნაპოლეონის მხარეს იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ. ამავე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ნებაყოფლობით ჩამოდიან პოლონელები სამშაოს საძებნელად. ესენი იყვნენ მასწავლებლები, ოფიცრები, ფიზიკოსები, ეკგრები და სხვ. ასევე სამუშაოს საძებნელად XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდა პოლონელ ემიგრანტთა ახალი ჯგუფი. 1897 წელს საქართველოში ცხოვრობდა 8220 პოლონელი, აქედან 6282 თბილისის, ხოლო 1938 ქუთაისის გუ-

ბერნიაში ბინადრობდა. ბედის საჩებნელად ჩამოსულთა უმრავლესობა მამაკაცები იყენენ, რასაც ნათლად გვიჩვენებს საქართველოში მცხოვრები პოლონელების სქესობრივი შემადგენლობა – 1897 წელს საქართველოში 6687 პოლონელი მამაკაცი და 1533 პოლონელი ქალი ცხოვრობდა, ძირითადად თბილისსა და ქუთაისში. 1918-1924 წლებში პოლონელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. XX საუკუნეში პოლონელთა რაოდენობა საქართველოში თანდათანობით მცირდებოდა. 1989 წელს საქართველოში 2316 პოლონელი ცხოვრობდა, ხოლო 2002 წელს მხოლოდ 870 პოლონელი.

საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ცალკეული ეთნიკური ჯგუფების რაოდენობის დინამიკა 1959-2002 წლებში
(შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემები)

	1959 წელი	1970 წელი	1979 წელი	1989 წელი	2002 წელი
საქართველო – სულ	4044045	4686358	4993182	5400841	4371535
მათ შორის					
ბელორუსი	5152	6149	5702	8595	542
პოლონელი	2702	2565	2200	2014	870
ესტონელი	2148	2108	1625	2316	59
ლიტველი	513	822	603	977	134
ლატვიელი	606	828	601	530	91
მოლდოველი	2630	2417	2392	2842	864

ესტონელები, ლატვიელები და **ლიტველები** საქართველოში მცირე რაოდენობით ცხოვრობენ. მათგან შედარებით დიდი რაოდენობით ესტონელები გამოირჩეოდნენ. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან თურქეთში გადასახლებული აფხაზების დაცარიელებული მიწები რუსეთის ხელისუფლებამ საკოლონიზაციოდ გამოყო, სადაც ინტენსიურად ასახლებდნენ რუსებს. ამ პერიოდში შედარებით მცირე რაოდენობის ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებსა და მოლდაველებსაც აძლევენ დასახლების უფლებას. სწორედ ამ დროს ესტონელები სახლდებიან აფხაზეთში, ძირითადად ახალ დასახლებულ პუნქტ ესტონსკოეში. 1886 წელს საოჯახო სიების მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში ცხოვრობდა 637 ესტონელი, უპირატესად სოფელ ესტონსკოესა (283 კაცი) და სოფელ ლინდაუში (273 კაცი). ყველაზე მეტი ესტონელი საქართველოში ცხოვრობდა 1939 წელს – 2498 კაცი. 1989 წელს მათი რაოდენობა 2316 კაცს უდრიდა. 1990-იან წლებში აფხაზეთში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დროს ესტონელთა უმეტესობა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა. ამჟამად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ 59 ესტონელი ცხობრობს და ისინიც ძირითადად ქართულ-ესტონური შერეული ოჯახების წარმომადგენლები არიან.

ლატვიელები საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს გამოჩნდნენ, მანამდე ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ლატვიელი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ ლატვიელი ლტოლვილები, რომლებიც მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ ჯარის სხვადასხვა ნაწილებიდან გამოიქცნენ და საქართველოს შეაფარეს თავი. ამჟამად საქართველოში მცხოვრები ლატვიელები, უმეტესად, ქართულ-ლატვიური ოჯახების წარმომადგენლები არიან. 1989 წელს საქართველოში 530, ხოლო 2002 წელს 91 ლატვიელი ცხოვრობდა.

ლიტველები საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში გამოჩნდნენ. ამ პერიოდში მათი ნაწილი ნებაყოფლობით გადმოსახლდა საქართველოში, ნაწილი კი რუსეთის ადმინისტრაციამ საქართველოში სამუ-

შაოდ გამოგზავნა. მცირე რაოდენობით ლიტველები შემდეგ წლებშიდაც ჩამოდიოდნენ საცხოვრებლად, ძირითადად შერეული ოჯახების წარმომადგენლები. 1989 წელს საქართველოში 977, ხოლო 2002 წელს – 134 ლიტველი ცხოვრობდა.

ლიტერატურა

---

[1] ჯ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I, თბ., 1949, Акты, собранные кавказского археографического комиссею. Т. I, с. 500-5001, №597-598.

[2] ჯ. გუგუშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 689

[3] Общий свод по империя результатов разработки данных первой всеобщей переписи населения. Т. II, С.-Петербург, 1905, с. 55.

[4] Жур. «Центральная Азия и Кавказ», № 5, 2006, с. 184.

[5] Комахия М. Славянское население Грузии. Жур. «Центральная Азия и Кавказ», № 4, 2007, с. 152.

დანართი

საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა ეროვნებების მიხედვით*

შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემები

	1926 წ.**		1939 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.		2002 წ.	
	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%
საქართველო - სულ	2677233	100	3540023	100	4044045	100	4686358	100	4993182	100	5400841	100	4371535	100
მათ შორის:														
ქართველი	1788186	66,8	2173922	61,4	2600588	64,3	3130741	66,8	3433011	68,8	3787393	70,1	3661173	83,8
აფხაზი	56847	2,1	57226	1,6	62878	1,6	79449	1,7	85285	1,7	95853	1,8	3527	0,1
ოსი	113298	4,2	147292	4,2	141178	3,5	150185	3,2	160497	3,2	164055	3,0	38028	0,9
სომეხი	307018	11,5	415013	11,7	442916	11,0	452309	9,7	448000	9,0	437211	8,1	248929	5,7
რუსი	96085	3,6	308684	8,7	407886	10,1	396694	8,5	371608	7,4	341172	6,3	67671	1,5
აზერბაიჯანელი	137921	5,2	187841	5,3	153600	3,8	217758	4,6	255678	5,1	307556	5,7	284761	6,5
ბერძენი	54051	2,0	84636	2,4	72938	1,8	89246	1,9	95105	1,9	100324	1,9	15166	0,3
ებრაელი	30534	1,1	42300	1,2	51582	1,2	55382	1,2	28298	0,6	24795	0,5	3772	0,1
უკრაინელი	14356	0,5	45595	1,3	52236	1,3	49622	1,1	45036	0,9	52443	1,0	7039	0,2
ქურთი	10217	0,4	12915	0,4	16212	0,4	20690	0,4	25688	0,5	33331	0,6	2514	0,0
იეზიდი***	2262	0,1	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	18329	0,4
ქისტი****	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	7110	0,2
დანარჩენი	66458	2,5	64599	1,8	42031	1,0	44282	0,9	44976	0,9	56708	1,0	13516	0,3

* მონაცემები მოყვანილია შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერებისათვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

** მასალების დამუშავების პროგრამის შესაბამისად, 1926, 1939, 1959, 1970 წლების მონაცემები მოყვანილია სახეზე მყოფი, ხოლო 1979, 1989, 2002 წლებისა – მუდმივი მოსახლეობის მიხედვით.

*** 1939 წლის აღწერის შემდეგ იეზიდები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად. 2002 წლის აღწერის დროს ისინი ცალკე გამოიყენენ იეზიდთა ტრადიციების ცენტრის „რაჰიბუნ"-ის მოთხოვნით.

**** 2002 წლის აღწერამდე ქისტები „დანარჩენ ეროვნებებიდან" არ გამოიყოფოდნენ.

საქართველოში მცხოვრები უპირატესი ეროვნებები დინამიკაში 1979-2002 წლებში რაიონულ ჭრილში

	სულ მოსახლეობა	მათ შორის ეროვნებები:									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	რუსი	უკრაინელი	აზერბაიჯანელი	სომეხი	სულ უბრალელი	ბერძენი
საქართველო სულ											
1979	4993182	3433011	85285	160497	371608	45036	255678	448000	28298	95105
1989	5400841	3787393	95853*	164055	341172	52443	307556*	437211	24795	100324*
2002	4371535	3661173	3527	38028	67671	7039	284761	248929	3772	15166
თბილისის მერია											
1979	1056140	636431	326	27891	129143	12614	12867	152900	14878	16179
1989	1246936	824412	406	33157	124867	16074	17986	150138	13541	21722
2002	1081679	910712	471	10268	32580	3328	10942	82586	2726	3792
აფხაზეთის ა.რ.											
1979	486082	213322	83097	952	79730	10257	500	73350	2067	13642
1989	525061	239872	93267	1165	74914	11655	517*	76541	1752*	14664
2002	1956	1912	9	2	23	2	6	1	0	0
მხოლოდ ეროვნების ხელმა											
ქ. სოხუმი											
1979	108337	41477	10766	227	28556	3733	129	11823	1725	7069
1989	119150	49460	14922	315	25739	4001	148	12242	1385	7355
ქ. ტყვარჩელი											
1979	21549	5171	7958	176	6168	896	37	306	31	144
1989	21744	5086	9202	188	5321	773	0	337	28	139
გაგრის რაიონი											
1979	63889	16770	5435	190	17517	2198	56	20904	133	752
1989	77079	21575	7028	301	18690	2859	0	22834	175	890
გალის რაიონი											
1979	75306	68890	632	141	3663	494	125	598	17	304
1989	79688	74712	627	73	2480	600	0	530	15	224
გუდაუთის რაიონი											
1979	53247	6974	27697	66	8607	905	44	9403	64	745
1989	57534	7699	30541	83	7741	1059	0	8857	55	601
ტყიბულის რაიონი											
1979	50767	26138	834	46	7734	845	29	13328	45	927
1989	54962	29014	1311	68	7646	954	0	13878	44	1093
2002	1956	1912	9	2	23	2	6	1	0	0
ოჩამჩირის რაიონი											
1979	70681	31047	28027	60	4129	695	41	5698	18	179
1989	75388	34800	27640	89	4439	897	0	6226	24	232
სოხუმის რაიონი											
1979	38306	16855	1748	46	3356	491	39	11290	34	3522
1989	39516	17526	1996	48	2858	472	0	11617	11	4130
ოქტომბრის ა.რ.											
1979	354224	283872	1508	322	34544	5402	994	16101	996	7072
1989	392432	324813	1636	815	30042	5943	1077	15849	798*	7396
2002	376016	351132	1558	208	9073	1056	542	8848	181	2168
ქ. ბათუმი											
1979	122292	73126	665	177	24781	3584	528	13936	922	2576
1989	136930	90233	951	638	21112	3960	665	13394	720	2747
2002	121806	104313	800	142	6300	770	301	7517	161	587
ქედის რაიონი											
1979	19604	19510	1	1	35	24	4	5	0	8
1989	20061	19989	2	2	39	7	1	4	0	1
2002	20024	19958	15	2	26	3	7	8	0	0

ქობულეთის რაიონი										
1979	78305	64340	16	102	6073	1216	198	1583	42	3839
1989	88183	75272	33	100	4709	1191	168	1728	54	4146
2002	88063	83367	50	36	1692	176	79	958	13	1487
შუახევის რაიონი										
1979	23635	23572	1	4	21	8	8	7	0	2
1989	25386	23951	3	24	843	200	34	89	1	5
2002	21850	21796	25	5	14	2	1	5	0	1
ხელვაჩაურის რაიონი										
1979	71600	64721	821	37	3578	555	235	546	32	625
1989	82243	75861	646	44	3313	569	182	619	17	493
2002	90843	88321	645	19	1029	103	151	355	7	91
ხულოს რაიონი										
1979	38788	38603	4	1	56	15	21	24	0	22
1989	39629	39487	1	7	26	16	27	15	0	4
2002	33430	33377	23	4	12	2	3	5	0	2
სამხრეთ ოსეთის ა.ო.										
1979	97988	28187	8	65077	2046	524	56	953	654*	48
1989	98527	28544	9*	65232	2128	472	83*	984	397	46*
ქ. ცხინვალი										
1979	34791	5584	7	25319	1737	481	35	712	652	35
1989	42333	6905	5	31537	1836	427	39	734	396	30
ჯავის რაიონი										
1979	11832	576	1	11060	89	23	7	15	0	6
1989	10418	601	0	9530	99	19	0	28	0	0
ზნაურის (ყორნისის) რაიონი										
1979	12188	3927	0	8140	55	6	3	20	1	2
1989	10189	3619	0	6455	47	6	0	22	0	0
ლენინგორის (ახალგორის) რ-ნი										
1979	13772	7092	0	6401	59	3	3	159	0	1
1989	12073	6493	0	5340	50	11	0	155	0	0
2002 მცხეთა-მთიანეთის მხარეში										
ცხინვალის რაიონი										
1979	25405	11008	0	14157	106	9	8	47	0	4
1989	23514	10926	0	12370	96	9	0	43	1	0
ბურთის მხარე										
1979	155005	143220	11	231	6164	989	272	3365	47	186
1989	158053	147496	0	225	4567	970	239	3457	18	187
2002	143357	138942	78	152	1558	194	91	2134	9	49
ოზურგეთის რაიონი										
1979	84895	75177	10	163	4867	895	130	3046	45	129
1989	89725	80915	0	173	3551	849	156	3206	18	143
2002	78760	75142	59	103	1133	159	55	1944	8	29
ლანჩხუთის რაიონი										
1979	41307	39680	1	45	1100	68	88	227	0	33
1989	41333	39864	0	35	912	103	62	195	0	37
2002	40507	39868	7	33	345	28	33	160	0	18
ჩოხატაურის რაიონი										
1979	28803	28363	0	23	197	26	54	92	2	24
1989	26995	26717	0	17	104	18	21	56	0	7
2002	24090	23932	12	16	80	7	3	30	1	2
იმერეთის მხარე										
1979	738108	692586	64	1149	25298	3559	1403	4064	5087	9112
1989	766892	725767	26	1162	20821	4185	1283	3547	4836	1081
2002	699666	689490	388	639	4924	636	274	1890	328	242

ჭ. ქუთაისი										
1979	193258	170408	17	446	12882	1495	356	1298	4024	518
1989	232510	211215	26	509	10273	2045	427	1143	4050	682
2002	185965	181465	92	245	2223	293	132	613	296	127
ბაღდათის რაიონი										
1979	30376	29960	0	13	214	34	63	42	22	2
1989	29185	28897	0	9	102	18	31	44	18	5
2002	29235	29073	7	10	91	7	5	22	9	1
განის რაიონი										
1979	38970	37729	0	15	136	24	67	55	211	26
1989	35478	35016	0	7	125	29	43	27	192	5
2002	34464	34279	24	13	96	9	18	8	3	9
ზესტაფონის რაიონი										
1979	73663	71574	1	101	1142	177	118	324	52	32
1989	75706	73912	0	85	806	244	103	233	50	24
2002	76208	75412	53	56	370	72	7	141	5	6
თერჯოლის რაიონი										
1979	44662	44137	1	42	241	32	87	78	0	23
1989	43586	43081	0	41	194	31	68	100	0	18
2002	45496	45220	29	13	150	15	4	38	0	1
სამტრედიის რაიონი										
1979	64693	60465	6	109	1982	209	102	961	581	37
1989	64798	60864	0	92	1601	323	104	1003	392	32
2002	60456	58883	33	39	635	80	24	615	4	22
სენაკის რაიონი										
1979	45910	45353	0	27	122	12	95	170	84	28
1989	45329	44883	0	48	128	25	31	72	59	13
2002	46846	46391	11	117	84	8	0	20	0	5
ტყიბულის რაიონი										
1979	39813	37606	0	106	1504	214	39	143	6	43
1989	37064	35359	0	84	1035	191	65	126	2	50
2002	31132	30656	29	35	282	40	6	41	3	10
წალენჯიხის რაიონი										
1979	65547	60105	4	113	3737	620	199	289	36	124
1989	70743	63804	0	151	4580	888	188	313	40	148
2002	73889	72885	48	58	576	73	55	130	2	16
ჩიათურის რაიონი										
1979	70207	68701	3	45	669	136	95	343	26	107
1989	68719	67507	0	57	528	91	51	297	19	77
2002	56341	55802	17	22	190	20	10	217	5	40
ხარაგაულის რაიონი										
1979	32704	32394	1	17	128	9	54	69	9	10
1989	28907	28573	0	12	91	7	42	29	8	5
2002	27885	27728	7	22	85	5	8	20	0	2
ხონის რაიონი										
1979	38305	34154	31	115	2541	397	128	292	36	32
1989	34967	32656	0	67	1358	293	130	160	6	22
2002	31749	31496	38	9	142	14	5	25	1	3
ქახეთის მხარე										
1979	429737	348636	15	13843	15668	1480	28454	9207	109	1266
1989	441045	360245	0	12441	13690	1952	33641	6473	67	1316
2002	407182	341503	175	6109	3844	222	40036	3789	26	283
თელავის რაიონი										
1979	73731	61976	1	676	1944	362	5698	2265	43	46
1989	77800	65577	0	858	1751	331	7094	1124	15	50
2002	70589	60370	38	412	381	63	8373	460	8	20

ახმეტის რაიონი										
1979	44200	32692	0	5497	247	36	259	223	2	15
1989	42167	32401	0	4669	258	56	266	192	4	19
2002	41641	31237	10	1961	134	6	152	100	0	6
ბერეკაანის რაიონი										
1979	76088	72845	3	647	799	86	324	1103	19	46
1989	78648	75665	0	650	708	143	226	641	24	43
2002	72618	71148	32	463	350	36	58	484	6	16
დედოფლისწყაროს რაიონი										
1979	35345	27539	1	238	3627	456	227	2153	3	848
1989	36329	28500	0	256	3370	543	232	2150	4	920
2002	30811	27441	8	102	701	21	1019	1286	0	153
ლაგოდეხის რაიონი										
1979	52844	33596	0	5088	4249	247	7902	1138	15	44
1989	54171	34684	0	4515	3330	276	9683	966	8	36
2002	51066	35376	15	2239	1204	48	11392	561	5	16
საგარეჯოს რაიონი										
1979	54718	38110	9	235	1683	187	13658	464	18	181
1989	60159	41612	0	219	1581	242	15804	301	4	134
2002	59212	39409	21	125	377	21	18907	231	4	27
სიღნაღის რაიონი										
1979	50255	45257	1	56	2710	72	318	1377	3	46
1989	49151	45474	0	57	2108	70	257	746	0	60
2002	43587	42226	26	45	539	15	118	419	0	16
ყვარელის რაიონი										
1979	42556	36621	0	1406	409	34	68	484	6	40
1989	42620	36332	0	1217	584	291	79	353	8	54
2002	37658	34296	25	762	158	12	17	248	3	31
მცხეთა-მთიანეთის წარმ										
1979	118805	104169	22	5794	2675	338	2126	1754	59	733
1989	121791	109176	0	4969	1961	402	2283	628	11	929
2002	125443	116476	60	3977	757	143	2248	532	7	163
მცხეთის რაიონი										
1979	58712	48566	18	2649	1976	259	1998	1555	37	613
1989	62631	53685	0	2505	1374	300	2199	455	9	831
2002	64829	58808	20	1464	583	113	2236	427	4	129
დუშეთის რაიონი										
1979	36783	33485	4	2262	577	70	69	119	18	98
1989	37546	34701	0	1812	525	89	63	131	1	85
2002	33636	32229	31	1167	103	18	5	43	0	19
თიანეთის რაიონი										
1979	16541	16007	0	285	89	9	51	73	4	19
1989	15238	14899	0	207	42	13	17	34	0	12
2002	14014	13777	3	147	37	6	4	20	1	13
ახალგორის (ფონინგორის) რ-ნი										
2002	7703	6520	6	1110	20	1	2	37	2	2
ყაზბეგის რაიონი										
1979	6769	6111	0	598	33	0	8	7	0	3
1989	6376	5891	0	445	20	0	4	8	1	1
2002	5261	5142	0	89	14	5	1	5	0	0
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხ.										
1979	72902	70810	2	395	221	22	93	121	1155	34
1989	59757	58070	0	324	148	15	71	99	928	58
2002	50969	50565	36	121	109	16	47	28	27	8

ამბროლაურის რაიონი										
1979	22773	22553	0	22	87	8	26	25	22	6
1989	17984	17827	0	12	69	7	28	13	13	2
2002	16079	15991	10	6	46	8	0	9	0	3
ონის რაიონი										
1979	16202	14558	0	353	70	5	21	45	1130	5
1989	12815	11431	0	298	32	0	16	65	914	42
2002	9277	9093	7	108	19	2	4	13	27	1
ცაგერის რაიონი										
1979	20953	20806	1	12	40	6	26	29	3	23
1989	17547	17467	0	7	26	4	14	8	1	12
2002	16622	16539	10	5	29	4	22	6	0	4
ლენტეხის რაიონი										
1979	12974	12893	1	8	24	3	20	22	0	0
1989	11411	11345	0	7	21	4	13	9	0	2
2002	8991	8942	9	2	15	2	21	0	0	0
სამეგრელო და ზ/სვანეთის მხარე										
1979	423695	392871	68	437	21999	3355	784	1420	550	471
1989	424746	397620	0	354	17823	3440	801	1234	355	419
2002	466100	459614	423	163	4163	528	142	476	31	86
ზუგდიდის რაიონი										
1979	119213	113827	36	105	3916	378	241	293	30	31
1989	124846	119640	0	86	3084	604	289	243	8	72
2002	167760	166039	172	44	1142	109	47	90	1	13
აბაშის რაიონი										
1979	29385	29124	3	20	281	22	46	42	8	19
1989	28341	27916	0	10	226	45	33	27	5	14
2002	28707	28474	32	14	124	15	10	11	0	0
მარტვილის რაიონი										
1979	47926	47324	8	22	236	26	110	110	20	27
1989	46106	45658	0	17	166	46	48	49	9	33
2002	44627	44399	37	8	131	14	8	16	0	6
ზესტაფონის რაიონი										
1979	17584	17433	0	15	52	9	38	24	1	8
1989	14709	14602	0	8	36	9	18	13	0	3
2002	14248	14168	12	3	52	1	0	11	0	0
სენაკის რაიონი										
1979	51029	47206	0	55	2285	560	87	284	202	45
1989	52442	48668	0	38	2002	532	91	363	157	35
2002	52112	51532	36	19	263	41	10	92	9	5
ჩხოროწყუს რაიონი										
1979	31555	31107	3	8	257	66	17	57	0	10
1989	30196	29779	0	7	147	43	85	26	0	5
2002	30124	29895	36	2	127	20	1	30	0	1
წალენჯიხის რაიონი										
1979	40064	35990	8	58	2794	505	99	146	15	225
1989	38755	36156	0	35	1629	370	52	82	3	181
2002	40133	39764	42	5	224	42	7	26	0	7
ხობის რაიონი										
1979	38362	37420	0	24	690	80	61	55	0	9
1989	38782	38079	0	22	437	86	44	44	2	6
2002	41240	40929	29	6	216	21	16	6	0	1
ქ. ფოთი										
1979	48377	33440	10	130	11488	1709	85	409	274	97
1989	50569	37122	0	131	10098	1705	141	387	171	70
2002	47149	44414	27	62	1884	265	43	194	21	53

სამცხე-ჯავახეთის მხარე ხელ.										
1979	226051	78148	18	3999	10639	1274	472	128574	417	1771
1989	235512	87408	0	3572	10431	1568	454	128204	323	1693
2002	207598	89995	42	822	2230	162	59	113347	58	740
ახალციხის რაიონი										
1979	50350	21702	10	135	2910	564	119	24035	345	230
1989	54822	25648	0	140	3426	673	118	23469	269	239
2002	46134	28473	12	52	410	42	13	16879	47	129
ადიგენის რაიონი										
1979	19975	18007	4	81	424	75	46	1263	7	21
1989	21282	19491	0	73	294	65	50	1237	5	23
2002	20752	19860	13	28	101	20	17	698	0	7
ახალციხის რაიონი										
1979	12411	9651	0	9	56	3	14	2654	0	14
1989	13432	10753	0	21	45	9	11	2565	0	15
2002	13010	10671	4	9	34	5	0	2273	0	8
ახალქალაქის რაიონი										
1979	69455	3067	0	47	1788	420	142	63692	4	70
1989	69108	3005	0	38	1737	525	171	63092	8	68
2002	60975	3214	3	10	157	14	3	57516	1	51
ბორჯომის რაიონი										
1979	37228	25351	3	3713	1631	180	64	4699	59	1403
1989	38973	28057	0	3293	1768	277	61	3877	37	1313
2002	32422	27301	10	719	585	75	24	3124	9	540
ნინოწმინდის რაიონი										
1979	36632	370	1	14	3830	32	87	32231	2	33
1989	37895	454	0	7	3161	19	43	33964	4	35
2002	34305	476	0	4	943	6	2	32857	1	5
ქვემო ქართლის მხარე										
1979	528468	167760	136	7976	37768	4411	203009	49530	357	52186
1989	608491	214347	111	8587	34934	4859	243975	43993	432	50252
2002	497530	222450	183	2184	6464	527	224606	31777	57	7413
ქ. რუსთავი										
1979	129459	79820	98	4493	23060	2453	7443	6707	452	2956
1989	159016	103523	111	5613	21267	2688	11576	6872	355	4014
2002	116384	102151	44	1410	3563	395	4993	2809	46	257
ბოლნისის რაიონი										
1979	68694	12032	4	499	1377	142	45914	6396	24	2031
1989	81547	17688	0	516	1210	160	53808	5545	14	2345
2002	74301	19926	35	80	414	14	49026	4316	1	438
გარდაბნის რაიონი										
1979	100635	46306	31	1058	6614	1099	39956	2093	38	1423
1989	114762	52396	0	916	6263	1015	48781	1617	29	1522
2002	114348	60832	48	412	994	65	49993	1060	4	236
დმანისის რაიონი										
1979	44574	5774	0	24	691	22	32164	2308	1	3537
1989	51844	14590	0	41	579	47	33107	187	0	3174
2002	28034	8759	9	12	156	7	18716	147	0	218
თეთრიწყაროს რაიონი										
1979	35227	15665	0	1688	2416	214	2336	5044	11	7637
1989	36490	16732	0	1297	2365	327	2499	4520	8	8413
2002	25354	18769	16	205	689	14	1641	2632	2	1281
მარნეულის რაიონი										
1979	100539	6453	2	115	3250	450	72965	12986	23	3791
1989	120394	7805	0	122	2930	550	91923	12581	21	3657
2002	118221	9503	29	47	523	29	98245	9329	0	396

წალკის რაიონი										
1979	49340	1710	1	99	360	31	2231	13996	8	30811
1989	44438	1613	0	82	320	72	2281	12671	5	27127
2002	20888	2510	2	18	125	3	1992	11484	4	4589
შიდა ქართლის მხარე										
1979	305977	252999	10	32431	5713	811	4648	6661	1695	535
1989	321598	269623	0	32052	4844	908	5146	6068	1324	561
2002	314039	288382	104	13383	1946	225	5768	3521	322	218
გორის რაიონი										
1979	136213	111295	6	15090	3696	517	671	3397	1031	219
1989	149472	124111	0	16021	3138	546	742	3342	823	237
2002	148686	137957	45	6405	1136	123	607	1972	254	97
კასპის რაიონი										
1979	54163	44417	1	5219	688	106	2747	808	7	115
1989	55629	45545	0	5649	712	170	2872	357	5	101
2002	52217	44162	13	3479	271	35	3962	254	1	27
ქარელის რაიონი										
1979	51243	39258	1	9075	504	56	1146	772	281	87
1989	50730	39907	0	7802	309	74	1426	770	186	101
2002	50422	45593	25	2755	217	21	1183	542	21	52
ხაშურის რაიონი										
1979	64358	58029	2	3047	825	132	84	1684	376	114
1989	65767	60060	0	2580	685	118	106	1599	310	122
2002	62714	60670	21	744	322	46	16	753	46	42

საქართველოში მცხოვრები უპირატესი ეროვნებების დინამიკა 1939-1970 წლებში რაიონულ ჭრილში

	სულ მოსახლეობა	მათ შორის ეროვნებები:								
		ქართველი	აფხაზი	ოსი	რუსი	უკრაინელი	აზერბაიჯანელი	სომეხი	სულ ებრაელი	ბერძენი
საქართველო სულ										
1939	3540023	2173922	57805*	147677*	308684	45595	188058*	415013	42300	84636
1959	4044045	407886	52236	2600588*	153600	442916	62878	141178*	15716*	72938*
1970	4686358	313074	79449	150185	396694	49622	217758	452309	55382	89246
ქ. თბილისი										
1939 სულ	594528	275109	0	11561	101013	8429	5991	149557	14172	3557
1939 ქ. თბილისი	519220	228394		9328	93337	7415	5874	137331	13915	3207
1939 თბილისის რაიონი	75308	46715		2233	7676	1014	117	12226	257	350
1959	775509	373827	244	16405	135347	12204	31069	156259	8819	8186
1970	891928	514248	314	21797	124342	10603	10915	150208	19579	10698
აფხაზეთის ა.რ.										
1939	311885	91967	56197	0	60201	8593	0	49705	1982	34621
1959	404738	158198	61193	693	86715	11474	478	64425	1836	9101
1970	486959	199595	77276	1214	92889	11955	707	74650	4372	13114
ქ. სოხუმი										
1939	44290	8813	2415	0	18580	2033	0	4322	1545	4990
1959	64730	20110	3647	101	23819	2756	87	5783	1281	3141
1970	101798	34560	7355	193	31220	3832	165	11664	3718	5998
ქ. ტყვარჩელი										
1959	28440	6140	5670	252	12087	1805	128	961	82	284
1970	25805	6745	7862	213	8276	1047	62	578	52	234
გაგრის რაიონი										
1939	39501	3655	1929	0	10280	1882	0	15896	144	3579
1959	52229	10365	2302	115	16257	2118	76	18211	200	389
1970	67451	14876	4137	189	20555	2964	76	20926	316	729
გალის რაიონი										
1939	49885	44715	1786	0	2697	399	0	58	15	24
1959	59619	54288	389	67	2983	608	54	635	10	165
1970	73256	64671	511	95	5119	638	122	684	34	578
ბუდიონის რაიონი										
1939	40065	1700	19473	0	6957	690	0	7314	104	3126
1959	53468	6307	23508	19	11170	1193	46	9579	153	624
1970	60139	7031	28382	182	11129	1211	59	10202	122	749
ბულრიფშის რაიონი										
1959	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1970	51706	25997	801	97	8160	879	114	13857	57	1000
ოსმბირის რაიონი										
1939	60209	12610	28632	0	10160	2165	0	4532	39	666
1959	61901	24481	23779	50	5869	939	29	5562	40	195
1970	70252	30182	28996	76	5069	832	68	5912	42	217
სოხუმის რაიონი										
1939	77925	20474	1962	0	11527	1424	0	17583	135	22236

1959	84351	36507	1898	89	14530	2055	78	22694	70	4303
1970	36552	15533	1432	169	3361	552	41	11027	23	3609
აჭარის ა.რ.										
1939	200106	127542	1029	0	30535	6866	0	14085	1923	7959
1959	245286	178637	1157	248	32794	5844	674	15830	1259	5737
1970	309768	236928	1361	392	35774	7181	885	15614	1546	6867
ქ. ბათუმი										
1939	70019	28724	507		17686	2710		12052	1778	3863
1939 ბათუმის რაიონი	36752	23206	507		4100	1497		1515	45	1195
1959	82328	40181	484	176	20857	3076	419	12743	1139	1668
1970	100603	53185	615	201	23527	4245	456	13029	1334	2244
ქედის რაიონი										
1939	13392	12865	7		256	161		23	0	35
1959	17204	16857	2	2	191	86	3	27	4	2
1970	19065	18844	6	3	76	0	12	20	0	3
ქობულეთის რაიონი										
1939	41472	25135	6		8096	2426		446	89	2764
1959	54401	38656	17	60	7234	1742	85	2141	63	3405
1970	70717	54223	22	141	7630	1753	225	1834	158	3900
შუახევის რაიონი										
1959	20324	20154	1	0	97	27	6	6	1	2
1970	23196	23091	1	1	43	8	0	4	0	0
ხელვაჩაურის რაიონი										
1959	42870	35011	651	9	4155	865	153	884	50	657
1970	61905	53546	714	41	4436	1027	171	716	54	707
ხულოს რაიონი										
1939	38471	37612	2		397	72		49	11	102
1959	28159	27748	2	1	260	48	8	29	2	3
1970	34282	34039	3	5	62	0	21	11	0	13
სამხრეთ ოსეთის ა.ო.										
1939	106118	27525	0	72266	2111	428	89	1537	1979	39
1959	96807	26584	6	63698	2380	439	46	1555	51	61
1970	99421	28125	14	66073	1574	502	62	1254	1485	70
ქ. ცხინვალი										
1939	13810	3433		8122	1185	201	5	826	1946	15
1959	21641	4652	1	12432	1583	258	30	860	33	48
1970	30311	5475	8	20846	1180	333	35	768	1475	39
ლენინგორის (ახალგორის) რ-ნი										
1939	22725	8823		13016	212	1	0	634	14	2
1959	16770	7087	0	8958	87	16	4	581	1	0
1970	14543	6987	3	7045	63	0	9	390	2	9
ჩინვარის (ეონრისის) რაიონი										
1939	18782	4559		13899	196	69	35	15	2	2
1959	14816	4145	0	10508	94	17	0	14	6	3
1970	13487	4084	0	9246	71	0	8	18	1	4
ცხინვალის რაიონი										
1939	30693	10038		20280	198	79	0	52	14	10
1959	16770	7087	0	8958	87	16	4	581	1	0
1970	26653	10801	2	15567	117	0	4	42	3	8
ჯავის რაიონი										

1939	20108	674		18949	320	78	49	10	3	10
1959	16285	770	0	14876	364	99	2	50	7	6
1970	14427	778	1	13369	143	0	6	38	4	10
გურიის მხარე										
1939	132134	118305	0	32	9166	3106	24	364	110	110
1959	145933	125979	18	200	8929	1847	217	5669	53	199
1970	149550	135844	15	183	7132	1183	120	4114	137	143
ოზურგეთის რაიონი										
1939	58514	48643		11	6471	2358	9	239	60	49
1959	75240	58008	18	160	7509	1595	192	5023	51	132
1970	79710	68177	11	136	5707	1093	83	3803	133	103
ლანჩხუთის რაიონი										
1939	39071	36448		17	1783	569	5	58	20	21
1959	40031	37577	0	38	1272	214	25	606	2	51
1970	40246	38543	4	22	1216	90	24	237	1	28
ჩოხატაურის რაიონი										
1939	34549	33214		4	912	179	10	67	30	40
1959	30662	30394	0	2	148	38	0	40	0	16
1970	29594	29124	0	25	209	0	13	74	3	12
იმერეთის მხარე										
1939	594997	548919	0	340	20903	5842	62	3157	12856	705
1959	651959	580670	59	1024	35561	6675	792	5327	1645	1197
1970	718559	656657	136	1151	28436	4736	928	4232	17461	1017
ქ. ქუთაისი										
1939	77515	59612		85	7392	1361	16	977	6906	241
1939წ. ქუთაისის რაიონი (ქ. ქუთაისის გარეშე)	72473	69173	0	36	2147	633	18	138	80	59
1959	128203	96614	26	334	16213	2443	284	1614	581	610
1970	162787	135659	39	429	12056	1669	397	1450	8960	641
ბაღდათის რ-ნი (ჩიკალოვსკის)										
1939	32053	31490		15	369	88	3	23	13	4
1959	29560	29027	0	1	311	78	6	34	0	16
1970	30973	30522	3	11	232	0	15	49	42	0
ვანის რაიონი										
1939	43974	41846		1	1124	320	0	10	521	20
1959	40999	39867	2	1	225	67	37	83	645	1
1970	41505	40334	2	11	227	44	27	40	728	4
ზესტაფონის რაიონი										
1939	66017	62051		64	1956	1150	3	277	171	29
1959	68196	64544	0	94	1842	644	17	332	12	38
1970	73975	70914	7	85	1449	485	58	315	368	30
თერჯოლის რ-ნი (ხიდარის)										
1939	33239	32419		2	257	68	0	467	4	4
1959	43847	42777	5	42	397	48	88	358	0	63
1970	46438	45513	4	38	554	41	55	148	8	8
სამტრედიის რაიონი										
1939	58200	51482		18	2279	482	2	307	3367	31
1959	62356	52728	6	55	3021	478	57	894	65	64
1970	67141	57578	12	83	2442	332	74	967	5410	31

სარეკრის რაიონი										
1939 (ეკუთვნოდა ჭიათურის რ-ნს										
1959	38202	36342	0	23	178	16	11	155	1	3
1970	45552	43153	2	56	267	81	25	206	1644	2
ტყიბულის რაიონი										
1939	32952	29661		18	2192	663	1	202	15	29
1959	44411	38089	0	178	3857	802	39	726	30	103
1970	42733	39427	6	143	2125	337	50	241	40	77
წალენჯიხის რაიონი										
1939 (ეკუთვნოდა ქუთაისს)										
1959	62389	52728	8	156	6254	1464	149	475	280	106
1970	67086	57007	39	101	7001	1405	134	396	177	125
ჭიათურის რაიონი										
1939	100329	95074		42	1738	627	17	693	1706	272
1959	64562	61228	11	91	1831	383	61	442	19	146
1970	72059	69935	13	65	1154	216	37	293	61	83
ხარაგაულის რ-ნი (ორგონიკიძის)										
1939	41363	40579		51	460	103	2	44	43	15
1959	36486	35568	0	23	468	87	27	132	5	11
1970	35591	35077	1	39	229	0	35	55	13	10
ხონის რ-ნი (წულუკიძის)										
1939	36882	35432		8	989	347	0	19	30	1
1959	32548	31158	1	26	964	165	16	82	7	11
1970	32719	31538	8	90	700	126	21	72	10	6
კახეთის მსარე										
1939	364608	278364	0	13802	26088	1538	11461	22666	553	426
1959	395438	321963	25	13404	21898	1533	16468	13100	135	858
1970	416048	344354	43	12970	18800	1687	20983	9582	378	1176
თელავის რაიონი										
1939	84557	62603		6228	2780	272	2150	7370	63	49
1959	59139	48727	6	539	1928	254	3089	3828	24	18
1970	67932	57067	11	736	2137	348	4473	2256	52	28
ახმეტის რაიონი										
1959	37141	30815	0	5470	308	86	13	192	2	27
1970	40960	35905	3	4419	269	64	47	117	0	5
გურჯაანის რაიონი										
1939	75211	59039		312	2117	237	5235	7842	94	21
1959	71829	66551	3	530	1468	186	87	2501	12	19
1970	75357	71379	7	848	1044	156	99	1508	39	30
დედოფლისწყაროს რ-ნი (წითელი წყაროს)										
1939	30796	22816		23	5983	343	9	1085	10	182
1959	36316	26030	1	51	5574	345	1151	2122	21	669
1970	37330	28172	5	166	4401	373	624	2297	14	856
ლაგოდეხის რაიონი										
1939	46546	28904		5521	7601	182	2573	1188	290	40
1959	48476	30663	7	5259	6111	285	3998	1240	19	29
1970	52840	33715	0	5466	5297	234	6167	1223	235	53

საგარეჯოს რაიონი										
1939	38632	29832		721	2393	107	1481	2160	62	65
1959	51717	40010	0	273	2218	161	7931	908	29	16
1970	48031	35652	4	203	1722	331	9386	386	23	145
სიღნაღის რაიონი										
1939	53068	45889		12	4214	311	11	2362	9	65
1959	51942	45616	5	32	3704	139	172	1757	14	52
1970	52034	46291	9	67	3384	92	138	1371	10	43
ელარეულის რაიონი										
1939	35798	29276		985	1000	86	2	659	25	4
1959	38878	33549	3	1250	587	77	27	552	14	28
1970	41564	36373	4	1267	536	91	49	424	5	16
მცხეთა-მთიანეთის მხარე										
1939	72374	61812	0	8149	1258	282	3	626	10	67
1959	97135	82659	11	6799	2570	399	561	2613	20	448
1970	101472	90704	21	5060	2003	284	815	687	56	244
მცხეთის რაიონი										
1939 (თბილისს ეკუთვნოდა)										
1959	32822	25799	10	1638	1425	208	515	2245	9	97
1970	39396	33564	18	1765	1452	190	757	499	30	209
დუშეთის რაიონი										
1939	44563	38476		4606	686	131	0	525	8	62
1959	37778	34023	0	2787	522	94	13	256	6	14
1970	37096	34332	3	2011	360	94	37	143	16	22
თიანეთის რაიონი										
1939	17628	17238		14	175	76	1	82	1	0
1959	18559	16992	0	367	575	93	15	104	3	335
1970	17341	16752	0	301	140	0	13	36	9	12
ყაზბეგის რაიონი										
1939	10183	6098		3529	397	75	2	19	3	5
1959	7976	5845	1	2007	48	4	18	8	2	2
1970	7639	6056	0	983	51	0	8	9	1	1
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე										
1939	109940	105873	0	672	1079	291	1	374	1507	20
1959	90405	84862	10	478	1499	303	513	572	51	315
1970	79979	76577	33	459	378	0	74	211	1937	12
ამბროლაურის რაიონი										
1939	38191	37666		11	334	120	0	8	21	5
1959	26667	26490	0	7	74	17	7	31	1	5
1970	24128	23847	2	13	123	0	20	32	17	0
ონის რაიონი										
1939	28654	26063		655	355	54	0	264	1223	9
1959	21784	19399	2	426	130	25	1	157	4	7
1970	19016	16322	0	443	89	0	38	150	1874	5
ცაგერის რაიონი										
1939	32281	31616		4	220	62	1	98	261	5
1959	27262	25089	8	44	1219	236	96	152	46	258
1970	23356	23055	30	1	111	0	4	15	45	7
ლენტეხის რაიონი (ქვ. სვანეთის)										
1939	10814	10528		2	170	55	0	4	2	1

1959	14692	13584	0	1	76	25	409	232	0	45
1970	13479	13353	1	2	55	0	12	14	1	0
საშუალო და ზემო სვანეთის მხ.										
1939	340126	306592	0	138	21664	5594	29	961	2444	332
1959	374633	333306	62	363	26860	4978	627	2554	394	674
1970	412190	376144	122	389	23783	3895	467	1680	2305	735
ზუგდიდის რაიონი										
1939	74246	65583		24	6601	902	7	194	87	104
1959	96643	85748	19	80	7505	1149	170	768	79	146
1970	112241	104557	45	71	5423	729	160	437	151	117
ობშის რაიონი										
1939	37311	35884		1	775	122	0	33	440	4
1959	30286	29786	1	6	332	49	10	57	9	8
1970	30416	29970	1	17	32	31	14	33	1	4
მარტვილის რ-ნი (ტყიბულ.)										
1939	49400	46044		13	1778	476	6	116	648	11
1959	47777	46252	13	33	504	148	80	251	2	30
1970	49167	48163	7	25	378	150	48	101	249	4
ფოთის რ-ნი (ოქემ. სვანეთის)										
1939	16314	15130		24	818	217	0	10	4	6
1959	16311	15820	0	16	174	233	2	15	2	2
1970	17801	17546	3	9	110	0	29	21	4	4
სენაკის რაიონი (ცაიშის)										
1939	46797	43390		22	2009	528	5	149	405	56
1959	47553	42296	6	34	2961	447	237	405	43	16
1970	50336	45682	12	50	2496	463	59	361	749	62
ხობი-ფოთის რაიონი										
1939	28578	27545		2	750	234	0	12	7	8
1959	27647	26579	4	62	572	169	64	131	2	13
1970	30784	30102	7	8	409	83	14	63	8	6
წალენჯიხის რაიონი										
1939	28207	26407		4	1195	404	7	45	8	8
1959	29019	27244	3	10	888	218	24	284	2	279
1970	37813	33925	22	90	2315	438	56	178	21	362
ხიბის რაიონი										
1939	29671	27833		8	984	289	0	57	364	10
1959	31280	29916	3	13	1013	144	6	86	1	29
1970	37653	36254	15	23	894	127	33	38	5	49
ქ. ფოთი										
1939 ფოთი სულ	29602	18778	0	40	6754	2422	4	345	481	125
მ.შ. 1939 ქ. ფოთი	25464	15895		15	5913	2157	3	312	477	123
1939 ფოთის სასოფლო საბჭო	4138	2881		25	841	265	1	33	4	2
1959	48117	29665	13	109	12911	2421	34	557	254	151
1970	45979	29945	10	96	11626	1874	54	448	1117	127
სამეგრ.-ზემო სვანეთის მხარე სულ										
1939	266115	44941	0	5116	13503	1485	88164	104540	1247	1695
1959	213329	70381	20	3894	14766	1660	189	118431	539	1825
1970	231593	79225	43	4104	12586	1425	307	127725	996	1815

ახალციხის რაიონი										
1939	55490	5836		12	1538	257	28428	16454	1016	262
1959	50420	18878	4	135	3684	548	36	25753	368	265
1970	51907	21436	4	124	2849	587	79	25497	845	215
ადიგენის რაიონი										
1939	41314	5466		20	1281	329	32923	942	29	16
1959	19593	16187	3	51	1271	187	60	1627	28	33
1970	20272	17582	9	89	676	162	102	1466	15	38
ასპინძის რაიონი										
1939	32644	6500		2	293	58	21612	1741	5	34
1959	11265	9081	0	8	60	6	5	2068	2	20
1970	12494	9929	0	3	95	0	7	242	1	8
ახალქალაქის რაიონი										
1939	64655	4857		10	1102	173	4015	54081	12	43
1959	62977	3566	1	14	1647	317	25	57209	39	57
1970	69992	3926	16	32	1297	317	47	63954	25	70
ბორჯომის რაიონი										
1939	37437	22189		5071	3427	581	177	3946	179	1320
1959	37010	22619	4	3681	3488	558	44	4684	101	1373
1970	39661	26021	13	3842	3325	359	49	4167	106	1445
ნინოწმინდის რ-ნი (ბოგდანოვკის)										
1939	34575	93		1	5862	87	1009	27376	6	20
1959	32064	50	8	5	4616	44	19	27090	1	77
1970	37267	331	1	14	4344	0	23	32399	4	39
ქვემო ქართლის მხარე										
1939	219603	28245	0	3262	14691	1614	81364	44155	141	34798
1959	298493	64729	37	4856	30013	3657	99655	48004	589	43943
1970	498573	154920	48	7303	41606	4661	177948	53173	3633	50031
ქ. რუსთავი										
1959	62395	27680	28	1601	19724	2481	3693	4367	499	723
1970	98210	55158	20	3224	21610	2404	5765	5943	505	1907
ბოლნისის რ-ნი (ლუქსემბურგის)										
1939	34181	2574		19	832	129	20703	4740	17	130
1959	45019	7803	2	147	837	143	28545	6302	7	957
1970	60558	10869	4	411	1010	174	40350	5973	19	1490
გარდაბნის რაიონი (ყარაიის)										
1939	17770	633		28	2741	373	12121	410	52	15
1959	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1970	117552	58099	12	1190	11393	1379	35331	4811	3039	119
დმანისის რაიონი (ბაშკიჩეთის)										
1939	33975	6538		34	1663	138	16945	2719	4	5320
1959	34174	5742	2	41	1126	143	19666	2800	10	4499
1970	43785	6608	0	31	860	59	29219	2156	1	4748
თეთრი წყაროს რ-ნი (აღბულაღის)										
1939	44421	15810		3058	4980	218	1206	11444	27	5539
1959	39150	17085	0	2858	3551	202	1472	6887	26	6812
1970	36945	16000	3	2284	2730	197	2097	5694	19	7588

მარნეულის რაონი (ბორჩალოს)										
1939	48970	1550		32	2897	287	28665	13116	20	1802
1959	72155	4921	3	81	3757	567	44560	14928	40	2723
1970	91054	6117	1	74	3430	378	63259	13975	35	3294
წალკის რაიონი										
1939	40286	1142		91	1578	469	1724	11726	21	21992
1959	45600	1498	2	128	1018	121	1719	12720	7	28227
1970	50471	2069	8	89	573	70	1927	14621	15	30885
შიდა ქართლის მხარე										
1939	227489	158728	0	31954	6472	1527	653	23286	3376	307
1959	254380	198710	28	29116	8554	1223	2311	8597	326	395
1970	290819	237220	23	29090	7111	1071	3647	6806	4406	404
გორის რაიონი										
1939	90185	59078		13055	2775	448	3	13299	877	85
1959	103445	79715	25	11885	5140	615	120	3508	256	112
1970	124743	102692	9	11578	3973	577	307	3134	1852	101
კასპის რაიონი										
1939	44831	31911		5155	1368	384	632	5172	46	10
1959	49897	40543	0	5073	982	240	1589	1233	15	120
1970	54063	44256	2	5372	874	117	2340	801	18	118
ქარელის რაიონი										
1959	44297	32243	0	8910	615	124	567	709	9	41
1970	49522	37082		9019	672	138	902	699	841	62
ხაშურის რაიონი										
1939	92473	67739		13744	2331	695	18	4815	2453	212
1959	56741	46209	3	3248	1817	244	35	3147	46	122
1970	62491	53190	12	3121	1592	239	98	2172	1695	123

მოსახლეობის განაწილება სარწმუნოების მიხედვით 2002 წელს*

	სულ	მათ შორის:							პროცენტებით ხელმოწერილი წილი მთელ მოსახლეობაში მათ შორის:						
		ქრისტიანელი							ქრისტიანელი						
		მართლმადიდებელი	კათოლიკე	სომეხი ეკლესიის ერთგული	მუსლიმი	ებრაელი	სხვა	არ აქვთ	მართლმადიდებელი	კათოლიკე	სომეხი ეკლესიის ერთგული	მუსლიმი	ებრაელი	სხვა	არ აქვთ
ზოგადი საქართველო	4371535	3868233	34727	2 +85	2541	433784	33468	29631	83,8	0,8	3,8	0,1	9,9	0,8	0,7
ქალაქისა ბერა	1081878	868664	2715	51887	2328	11438	19952	6692	91,4	0,3	4,8	0,2	1,1	1,8	0,5
ტბილისი	320361	301451	518	7427	147	1929	7414	1375	94,1	0,2	2,3	0,0	0,6	2,3	0,4
ლიტაბ-ზენეული	139447	131018	496	4819	317	321	1819	743	94,0	0,4	3,3	0,2	0,2	1,3	0,5
ისანი-სამგორი	284591	239118	943	31070	543	2684	7544	1684	84,2	0,3	10,9	0,2	1,0	2,6	0,7
მთაწმინდა-კრწანისი	93342	85413	224	5795	779	2581	1484	636	87,4	0,2	6,2	0,8	3,2	1,6	0,8
ეკეკ-სამგორელი	243838	234820	434	2776	532	3323	901	1052	96,3	0,2	1,1	0,2	1,4	0,4	0,4
კოლონის ზეგა	1956	1840	1	1	0	9	3	2	98,2	0,1	0,1	0,0	0,5	0,2	0,1
აკრის არ	376016	246552	683	3162	151	115161	866	15331	64,8	0,2	0,8	0,0	30,6	0,3	4,1
ქსოფელი	121806	88020	438	2778	126	26033	579	3832	72,3	0,4	2,3	0,1	21,4	0,5	3,1
ქვის რაიონი	20024	14668	1	8	0	4735	1	611	73,3	0,0	0,0	0,0	23,6	0,0	3,1
ქობულეთის რაიონი	88063	68061	159	264	8	14904	281	3434	78,4	0,2	0,2	0,0	16,9	0,3	3,9
ბაღდათის რაიონი	21850	17779	12	3	1	3978	1	76	81,4	0,1	0,0	0,0	18,2	0,0	0,3
ხონეფასურის რაიონი	90843	47416	70	170	20	35962	60	7135	52,2	0,1	0,2	0,0	39,6	0,1	7,9
ხელის რაიონი	33430	3618	3	1	6	29559	12	241	10,8	0,0	0,0	0,0	88,4	0,0	0,7
ბორის შარე	143357	127217	724	341	13	13738	445	881	88,7	0,5	0,2	0,0	9,6	0,3	0,6
ლანჩხუთის რაიონი	41587	37538	14	43	0	2524	128	262	90,2	0,0	0,1	0,0	6,2	0,3	0,6
ოზურგეთის რაიონი	78760	68621	704	289	12	8492	223	419	87,1	0,9	0,4	0,0	10,8	0,3	0,5
ჩიხატაურის რაიონი	24090	21060	0	9	1	2720	94	206	87,4	0,0	0,0	0,0	11,3	0,4	0,8
ახალციხის შარე	898666	883482	478	591	365	1549	1907	1313	98,1	0,1	0,1	0,1	0,2	0,3	0,2
ბაქურიანი	85963	81071	16	241	299	235	733	270	98,0	0,1	0,1	0,2	0,1	0,4	0,1
ტაბაწულის რაიონი	31112	31004	4	0	3	12	16	82	99,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	0,3
წყალტუბოს რაიონი	73889	73211	12	65	15	58	237	231	99,2	0,0	0,1	0,0	0,1	0,3	0,3
ქიაფარის რაიონი	58341	55925	18	26	6	24	151	81	98,5	0,2	0,0	0,0	0,0	0,3	0,2
ხალვაშის რაიონი	29235	29069	4	6	0	29	97	21	99,4	0,0	0,0	0,0	0,1	0,3	0,1
ვანის რაიონი	34484	33957	10	3	1	302	51	140	98,5	0,0	0,0	0,0	0,9	0,1	0,4
ზესტაფონის რაიონი	76208	75188	40	25	11	22	204	118	98,4	0,1	0,0	0,0	0,0	0,3	0,2
თერჯოლის რაიონი	45490	45352	3	16	1	4	49	71	99,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	0,2
სამტრედიის რაიონი	68458	59709	13	180	11	298	180	85	98,8	0,0	0,3	0,0	0,5	0,3	0,1
სენაკის რაიონი	46848	46616	1	8	0	1	88	152	99,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	0,3
ხარაგაულის რაიონი	27885	27758	9	5	9	0	85	23	99,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,3	0,1
ხობის რაიონი	31148	30342	63	7	0	664	54	29	97,5	0,3	0,0	0,0	1,8	0,2	0,1
ცაგერის შარე	407882	350128	737	1146	73	51256	2682	1242	86,0	0,2	0,3	0,0	12,6	0,6	0,3
ამბროლაურის რაიონი	41641	32868	12	80	10	8303	279	109	78,9	0,0	0,1	0,0	19,9	0,7	0,3
ბაღდათის რაიონი	30811	28122	13	592	3	1702	237	142	91,3	0,0	1,9	0,0	5,5	0,8	0,5
დედოფლისწყაროს	30811	28122	13	592	3	1702	237	142	91,3	0,0	1,9	0,0	5,5	0,8	0,5
თელავის რაიონი	70289	61268	29	84	8	8443	523	232	84,8	0,0	0,1	0,0	12,0	0,7	0,3
ლაგოდეხის რაიონი	51066	38330	240	59	9	11603	346	339	75,1	0,5	0,1	0,0	22,5	1,1	0,7

საგარეჯოს რაიონი	38712	38601	8	67	17	1918	28	80	97,2	0,0	0,1	0,0	32,1	0,4	0,2
სიღნაღის რაიონი	43387	42681	2	179	0	316	323	58	97,9	0,0	0,4	0,0	0,7	0,0	0,1
ყვარლის რაიონი	31628	30801	40	6	3	1890	127	103	83,2	1,1	0,0	0,0	0,0	0,3	0,3
ბუნდო-მთაანეთის შორე	126443	121690	43	181	15	2240	1849	314	97,0	0,0	0,1	0,0	1,8	0,0	0,3
ახალგორის რაიონი	7783	7573	0	2	1	2	199	66	97,7	0,0	0,0	0,0	0,0	1,4	0,9
ლენინის რაიონი	33838	33320	3	7	1	8	253	42	99,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,1
თიანეთის რაიონი	14914	13984	4	1	1	2	48	54	99,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,3	0,4
ბუნდოს რაიონი	84829	81592	23	89	12	2223	629	151	95,2	0,1	0,1	0,0	3,4	1,0	0,2
ეკიბეგის რაიონი	5761	5751	1	2	0	5	1	1	99,8	0,0	0,0	0,0	0,1	0,0	0,0
ჩაკალოვნების და ქალი საკრებულის შორე	58969	58678	3	6	32	73	119	65	99,4	0,0	0,0	0,1	0,1	0,2	0,1
ამბროლაურის რაიონი	15078	15065	1	0	4	3	19	46	99,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	0,3
ონის რაიონი	9277	9263	0	0	28	10	31	5	99,2	0,0	0,0	0,3	0,1	0,3	0,1
ცაგერის რაიონი	18622	18514	1	0	8	32	87	2	99,4	0,0	0,0	0,0	0,2	0,4	0,0
ლეჩხუმის რაიონი	8991	8948	1	0	0	28	7	12	99,5	0,0	0,0	0,0	0,3	0,0	0,1
სამეგრელო და ზემო სვანეთის შორე	466109	462435	84	190	51	1815	1184	1151	99,2	0,0	0,0	0,0	0,2	0,3	0,2
ზუგდიდის რაიონი	167760	166614	14	18	14	73	364	660	99,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,2	0,4
ანაგის რაიონი	28707	28549	0	4	0	43	47	22	99,4	0,0	0,0	0,0	0,2	0,2	0,1
მარტვილის რაიონი	44627	44537	0	8	0	9	41	32	99,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	0,1
მესტიის რაიონი	14248	14128	1	8	1	0	89	11	99,2	0,0	0,1	0,0	0,0	0,7	0,1
ხობის რაიონი	32112	31888	12	60	13	21	47	73	99,3	0,0	0,1	0,0	0,0	0,1	0,1
ჩხოროწყუს რაიონი	30124	29987	4	13	2	13	43	89	99,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	0,2
წალენჯიხის რაიონი	40153	39930	5	2	1	4	185	26	99,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,4	0,1
ხიდის რაიონი	41248	40231	3	1	1	787	183	74	97,6	0,0	0,0	0,0	1,9	0,4	0,2
ქუთაისი	47148	46233	23	75	19	81	223	83	98,7	0,1	0,2	0,0	0,2	0,5	0,4
სამცხე-ჯავახეთის შორე	207598	85011	27871	87027	69	5859	388	589	40,9	13,4	42,3	0,0	2,8	0,2	0,3
ადიგენის რაიონი	20752	12238	4206	132	4	3867	42	79	58,9	20,7	0,0	0,0	18,1	0,2	0,4
ასპინძის რაიონი	13018	8717	3094	2123	3	1061	27	85	67,0	0,4	16,5	0,0	8,2	0,2	0,7
ახალქალაქის რაიონი	50975	3233	8165	48920	2	339	84	138	6,3	16,2	96,0	0,0	0,9	0,1	0,2
ახალციხის რაიონი	46134	28002	9002	8018	58	48	73	117	62,4	19,6	17,4	0,1	0,1	0,2	0,3
ბორჯომის რაიონი	32422	30691	52	1417	1	11	126	122	94,7	0,2	4,4	0,0	0,0	0,4	0,4
ნინოწმინდის რაიონი	34305	1338	5360	27318	1	243	12	42	3,9	15,6	79,6	0,0	0,7	0,0	0,1
ქვემო ქართლის შორე	497530	242984	1840	25668	110	225857	2111	638	48,7	0,2	5,2	0,0	45,4	0,4	0,2
ქარელი	16384	10565	307	1160	38	4832	1814	483	63,6	0,3	0,9	0,0	4,2	0,7	0,4
ხაშურის რაიონი	74301	21413	215	3143	11	49907	236	116	28,9	0,3	4,2	0,0	66,1	0,3	0,1
გორგასლის რაიონი	114348	62879	317	481	23	50096	433	127	55,0	0,3	0,4	0,0	43,8	0,4	0,1
დმანისის რაიონი	28034	9113	20	12	5	18840	29	15	32,5	0,1	0,0	0,0	67,2	0,1	0,1
მარნეულის რაიონი	118221	10246	111	9719	25	98508	492	52	8,7	0,1	7,4	0,0	83,4	0,4	0,0
თეთრწყაროს რაიონი	25354	22275	8	843	8	1507	115	26	89,0	0,0	3,7	0,0	5,7	0,4	0,1
წალკის რაიონი	20888	5485	87	11330	0	2537	20	41	33,8	0,5	54,2	0,0	12,1	0,1	0,2
შიდა ქართლის შორე	314039	302380	368	398	332	9788	3564	1287	96,3	0,1	0,1	0,1	1,0	1,1	0,4
გორის რაიონი	148588	144825	321	254	272	517	1804	783	97,4	0,2	0,2	0,2	0,4	1,1	0,5
კასპის რაიონი	52210	47187	12	20	4	3926	847	219	90,4	0,0	0,0	0,0	7,5	1,6	0,4
ქარელის რაიონი	50472	48213	22	83	24	1212	470	86	96,3	0,0	0,1	0,0	2,4	0,9	0,2
ხაშურის რაიონი	62714	61905	13	82	32	32	843	127	98,6	0,0	0,1	0,1	0,1	1,0	0,2

* ცენტრალური ხელისუფლების შიგ კონტროლირებადი ტერიტორიის მიხედვით. სარწმუნოება არ მიუთითა 12-ს კაცმა.

მოსახლეობის განაწილება ეროვნების და სარწმუნოების მიხედვით (2002 წ.)

	სულ	მათ შორის:							სარწმუნოება არა მითითებული
		ქრისტიანული							
		მართლმადიდებელი	კათოლიკური	სომხურ-გრიგორიანული	ებრაული	მაჰმადიან-ური	სხვა	არცერთი	
სულ საქართველო	**4371535**	**3666233**	**34727**	**171139**	**3541**	**433784**	**33466**	**28631**	**12**
ქართველი	3661173	3468794	1508	3049	474	139306	13864	24172	6
აზერბაიჯანელი	284761	2647	59	147	71	280650	893	294	0
სომეხი	248929	57649	21478	166950	19	161	1094	574	4
რუსი	67671	64330	744	654	70	218	948	706	1
ოსი	38028	36186	40	36	35	89	1120	522	0
სულ თბილისი	**1081679**	**988664**	**2715**	**51687**	**2320**	**11438**	**19152**	**5692**	**11**
ქართველი	910712	900783	813	2396	174	757	2997	2787	5
აზერბაიჯანელი	10942	1093	8	53	11	9272	330	175	0
სომეხი	82586	31199	927	48606	10	51	736	1053	4
რუსი	32580	31001	420	968	39	43	314	392	1
ოსი	10268	9667	15	27	5	17	322	215	0
ებრაელი	17116	3328	72	113	12	384	12599	608	0
კოდორის ხეობა (აფხაზეთის არ)	**1956**	**1940**	**1**	**1**	**0**	**9**	**3**	**2**	**0**
ქართველი	1912	1904	0	0	0	3	3	2	0
აზერბაიჯანელი	6	0	0	0	0	6	0	0	0
რუსი	23	23	0	0	0	0	0	0	0
სულ აჭარის არ მოსახლეობა	**376016**	**240552**	**683**	**3162**	**161**	**15161**	**966**	**1533**	**0**
ქართველი	351132	221639	220	184	44	113288	793	14964	0
სომეხი	8848	5448	312	2930	1	13	29	115	0
რუსი	9073	8725	83	39	9	80	34	103	0
ბერძენი	2168	2147	4	2	0	2	2	11	0
სულ გურიის მოსახლეობა	**143357**	**127217**	**724**	**341**	**13**	**13736**	**445**	**881**	**0**
ქართველი	138942	124039	36	7	10	13636	358	858	0
სომეხი	2134	1107	669	333	0	4	9	12	0
რუსი	1558	1494	10	1	0	1	45	7	0
სულ იმერეთის მოსახლეობა	**699666**	**693462**	**478**	**591**	**365**	**1549**	**1907**	**1313**	**1**
ქართველი	689490	684774	274	44	84	1281	1777	1256	1
სომეხი	1890	1183	147	536	0	0	14	10	0
რუსი	4924	4822	29	8	7	8	37	17	0
ოსი	639	623	1	0	0	3	11	1	0
სულ კახეთის მოსახლეობა	**407182**	**350126**	**737**	**1146**	**73**	**51256**	**2602**	**1242**	**0**
ქართველი	341503	336871	638	18	50	1306	1587	1033	0
აზერბაიჯანელი	40036	248	2	15	9	39749	7	6	0
ქისტი	6997	21	0	0	1	6961	13	1	0
რუსი	3844	3390	15	3	1	7	360	68	0
ოსი	6109	5796	9	1	1	17	227	58	0
სულ მცხეთა-მთიანეთის	**125443**	**121690**	**43**	**101**	**5**	**2240**	**1040**	**314**	**0**

მოსახლეობის განაწილება ეროვნების და სარწმუნოების მიხედვით (2002 წ.)

	სულ	მათ შორის:							სარწმუნოება არა მითითებული
		ქრისტიანული							
		მართლმადიდებელი	კათოლიკური	სომხური-გრიგორიანული	ებრაული	მაჰმადიანური	სხვა	არცერთი	
მოსახლეობა									
ქართველი	116476	115322	19	5	9	13	860	248	0
აზერბაიჯანელი	2248	42	0	0	0	2191	8	7	0
რუსი	757	742	4	1	2	1	4	3	0
ოსი	3977	3826	0	1	1	2	96	51	0
სულ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მოსახლეობა	50968	50670	3	6	32	75	118	65	0
ქართველი	50365	50351	2	1	5	26	116	64	0
აზერბაიჯანელი	47	0	0	0	0	47	0	0	0
რუსი	109	106	1	0	0	1	1	0	0
ოსი	121	121	0	0	0	0	0	0	0
სულ სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა	466100	462435	64	190	51	1015	1194	1151	0
ქართველი	459614	456436	20	23	26	859	1150	1100	0
აფხაზი	423	416	0	0	0	3	1	3	0
სომეხი	476	285	16	166	0	1	0	8	0
რუსი	4163	4085	12	1	2	6	34	21	0
უკრაინელი	528	56	4	0	1	0	1	7	0
სულ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა	207598	85011	27871	87827	69	5859	366	595	0
ქართველი	89995	74427	8877	208	21	5817	230	415	0
ბერძენი	740	733	0	5	0	0	1	1	0
სომეხი	113347	6704	18894	87470	2	5	109	163	0
რუსი	2250	2031	56	122	0	2	12	7	0
ოსი	822	796	6	3	0	2	9	6	0
სულ ქვემო ქართლის მოსახლეობა	497530	242088	1040	25688	110	225657	2111	838	0
ქართველი	222450	218307	306	148	17	2224	987	461	0
აზერბაიჯანელი	224606	869	36	71	50	222959	518	83	0
სომეხი	31777	5730	405	25323	2	70	103	144	0
რუსი	6464	6025	102	111	10	60	81	75	0
ბერძენი	7415	7342	9	19	3	24	11	7	0
სულ შიდა ქართლის მოსახლეობა	314039	302380	368	399	332	5769	3564	1207	0
ქართველი	288382	283941	303	15	34	98	3008	983	0
აზერბაიჯანელი	5768	87	0	0	1	5654	20	6	0
სომეხი	3521	3000	39	381	2	6	66	27	0
რუსი	1946	1886	12	2	0	7	26	13	0
ოსი	13383	12772	3	1	28	3	409	167	0

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge